114
1980 №9

ISSN 0132—590 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

9 1980



ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ
ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 140 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 9 სექტემბერი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

კარლო კალაძე — მონუმენტი. ლექსი . . . 3
ზურაბ გეგეშიძე — ხმა მღაღადებლისა. რომანი . . . 7
კონსტანტინე ლომია — ლექსები. თარგმ. ბ. ხარანაულმა . . . 33
ივანე თარბა — ამზაჩა. გაგრძელება. თარგმ. ა. წვინარია-აბრამიშვილმა და ჯ. თითმერიამ . . . 36
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . 62
კოლაუ ნადირაძე — გამოღვიძება 6 ივლისს. ლექსი . . . 89
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები . . . 90
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. გაგრძელება . . . 95
ლია სტურუა — ლექსები . . . 114
მაყვალა გონაშვილი — ლექსები . . . 119
ქეთევან ჭილაშვილი — ეშმაკის ცხენზე. მოთხრობა . . . 121
ზურაბ კუხიანიძე — ლექსები . . . 124
ოთარ ჭელიძე — აია-კოლხიდელი ზღვაოსანი. პოემა. დასასრული . . . 127
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები გაგრძელება 141

### ოცდამეექვსე ყრილობის შესახვედრად

თენგიზ გელაშვილი — ვინ ააშენა თქვენი სახლი . . . 151
მირიან ხერგიანი — მე ჯავახეთს რა მიჭირდა . . . 161

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პროკოფი რატიანი — ისტორიული გმირი აკაკის პოეზიაში . . . 169
ვლადიმერ ჯიბუტი — პოეტის კრიტიკული წერილები . . . 178
ირინე მოდებაძე — „სურამის ციხის“ მხატვრული სტილის ზოგიერთი თავისებურება . . . 182

### ფაქტები, მოგონებანი

ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება . . . 185

### გამოსათხოვარი

რევაზ ჯაფარიძე — ამაღლება კაცისა. . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, თ. ბიბიხეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

გადაეცა ასაწყობად 21/VII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-80 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X$108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.
უე 08579. ტირაჟი 19.350. შეკ. 2110
ააღ.ქდი ფურცელი 13, საღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

# მონუმენტი

...მე ვარ არსენა
ჯორჯიაშვილი...
ხალხური სიმღერა.

ამ სიმღერას გვახსენებს
ხმაც კი თუჯის ნალეწის.
მტკვრის კიდეა, ავჭალა,
თუ ზეგანი ზაჰესის,
აივნების ხელახლა
ფრთების გაშლას თბილისშ,,
ჭრილში უზის ფერადი
კრთომა გამჭვირვალე ცის!

ჯორჯიაშვილს, არსენას,
ან ამ ქალაქს, ან ამ მთებს
ან ამ ახალგაზრდობას
სხვა რა შუქი ანათებს —
ლაჯებ-გაშლით, ქვეყანას
აქ რომ აგრე ადგანან,
ტანს რომ რკინა აუსხამთ —
გასაოცრად ტანადებს!...

ჯორჯიაშვილს, არსენას,
ვეტყვი, რისი თქმაც მინდა:
— დარი იყო, ავდარი,
გვათოვდა თუ გვაწვიმდა
რა იმედიც გამაჩნდა
იმავ იმედითა ვარ:
ავჭალიდან ვაპირებ
დავინახო მთაწმინდა!

რიყე მტკვრის და არაგვის,
მთის ქვა-ღორღი, ავჭალა...
ნუთუ მოსაგონებლად
სხვა აქ არა დაგვრჩა-რა!
არა? ჩვენი დღეების
გმირს გავძახი: — არსენავ,
გადმოხედე ქვეყანას,
გაინათე გზა-შარა!

აქ ღამეებს ათევდა
გარიყრაყი თბილისის
და ვარსკვლავთა ნამცრევი
მტკვარს სად მიაქვს, ვინ იცის!
ჩქარა, თორემ ჩაიწვა
მთვარის ნამწვიც არაგვში —
ფსკერზე ლექი აიმღვრა
ნაცარივით ცივი ცის...

ავჭალიდან დროდადრო
ვინ ახლა და ვინ ადრე —
უტევს უღრანს გულდაგულ,
ისე, როგორც ვინატრე.
და ვით ქვა ქვას, ღვართქაფიც
არ დაინდობს მძინარ ხევს —
საუკუნის ყურდახშულ
მყუდროებას მიარღვევს!

ჩანს, ვით ხალხის, ისე მტკვრის
ყოველ ტალღას თან დაჰყვა
სიჭაბუკის უქრობი
ელვარება კვალდაკვალ!
და შენ უცხო კი არა —
როგორც ერთი ქართველი,
ხარ ათასჯერ ათასის
ერთი გამომხატველი.

სწორედ შენ ხარ ის კაცი
კლდე რომ გაუჩეხნია,
გეძებს გაღმა-გამოღმა
სანთლით შენი სეხნია!
მე კი მტკვრის და არაგვის
მებადურიც მეგონე —
შენს მოქნეულ ბადის ქვეშ
ტალღა ტალღას შეხლია!

საგუბართან ჩუმჩუმად
მიყვარს შენი ყურება,
როცა ზეცას ციმორის
შხეფი შეესხურება.
ცა კი ბადით ამოაქვს
ნაპირ-ნაპირ მებადურს
და ავჭალის ნაპირიც
ჰგავს ვარსკვლავებ-შეფანტულს!

მიკვირს, როგორ ვიფიქრე,
რომ სხვა გორის ვიყავი,
ჩარხის — მუშა, უბირი,
ღამის — მეხრე, მთიბავი, —
ვხედავ, შენი წერაქვით
გამეტებით ნალეწ ქვას,
სასახელო გარჯაა
და სახელი არ ერქვას!?

რა აზჯარი აგისხამს,
რა ომის და რა ჯარის! —
მაინც ვისი გორის ხარ,
გეკითხები... ავჭალის!?
ხელის აგრე შემართვა
მეც მტკვრისპირად მაჩერებს...
წლების გაღმა-გამოღმა
თან დაგყვებით არსენებს!

აგრე დგომაც მენიშნა
ჯმუხა-ბიჭის, შავ-შავის,
შმაგი წუთიც — შორეულ
ელვით ღამის გამსჭვალვის...
დრო იყო და, მეც ერთი
საიდუმლო გავიგე:
ვიცი, შავ-შავ ვაშლებში
რომელია ავჭალის!

ვიცი, დიახ, და ახლა
გახსენებაც მიცდია:
ვიცი, მუჭში ქარ-ცეცხლი
თუ ვინ გამოიმწყვდია!
დაილოცოს სილაღე
მისებრ ხელმადლიანი,
უთქვამს კიდეც, რად უყვარს
ხელში ვაშლის ტრიალი.

შენ თვალნათლივ გიყურებ,
ის ოცნებით მინახავს, —
თბილის-ქალაქს კაი — ყმა
უკეთესი ვინა ჰყავს!
ზეცა რომ არ გიყვარდეს —
ბნელს არ შეეჭიდები, —
მავთულებზე ჩამწკრივდნენ
წუთებივით ჩიტები...

წუთი რაა, არსენავ,
ერთი მოკლე გაშლა ფრთის,
ერთი ნაპერწკალი და
ვერ ივიწყებ აქამდის...
(ვეუბნები აქვე მდგომს,
ვაჟკაცს, ღონე მორეულს —
ჯორჯიაშვილს, არსენას,
განა ვინმე შორეულს).

— გაიხსენე: მზიანი
ბინდ-ბუნდია დილისა,
ხელ-პირს იბან, მოგესმის
რხევაც ხელმანდილისა.
გაიხსენე: ყრუ წუთიც
რომ გამხელა არი ცის...
მაგრამ როგორ მონახოს
სიტყვა, არც მან არ იცის...

იმ პატარა მეზობლის,
შენ თუ არა, ვის სწამდა,
წყალს ყელსა და ქეჩოზე
ვინც კისკისით გისხამდა,
და არც გააგებინე
საით მიიჩქაროდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კისკისით იქ დარჩა,
იმ დოქით და წყაროთი.

არის მხოლოდ სიცოცხლე,
წუთს სხვა არა ჰქვია რა,
ყელს სიმღერა ეწადა —
ვიწრო ყულფი კი არა!
ცხრამეტი წლის იყავი,
ცხრამეტი წლის დარჩები.
ბინდმა მხოლოდ თვალ-წარბზე
წამით გადაგიარა.

ქალაქს შენი სახელი
დღესაც ესახელება
თუჯის იმ ძველ ჩამომსხმელს
შვენის ეს ამღერება.
ცხრამეტი წლის შემდეგაც
მტკვარზე, ლალი შემართვით
გააჩაღეს თბილისის
ზეცა შენმა ხელებმა!

დღევანდელი სიცოცხლე
იმ აღგზნებით ჩაღდება —
გულმა გითხრას და უმალ
რასაც იტყვი — ახდება!
აჰა, შენი ქალაქი,
შენი გასახარისი:
მუხათგვერდი, დიდუბე,
მტკვრის რიყე და კრწანისი!

ძალით დასახლებული
შენი ნაძალადევი.
შენი ცხრა-ძმა, განწირულ
გმინვით ღამე-ნათევი.
შენი მარსელიოზით
სვლა მუშათა უბნების,
ორთქლმავლების სულისთქმა
სული თავისუფლების!

აჰა, შუშის ფარნები
ჩვენც ავუნთეთ აივნებს,
ძველმაც ნახოს ახალი
გულში თუ რას გაივლებს!
შენც ხომ ძველი თბილისის
ამაღლებას ესწრები —
ძველ ბუდეებს ქალაქში
დაუბრუნდნენ მერცხლები!

აღსდეგ ძეგლად! იტყვიან:
რკინაა თუ ბრინჯაო —
დასაყრდენი გაბედულ
ლაჯით მოისინჯაო.
არც ინატრო სილაღე
სხვა სიცოცხლის, სხვა ბედის,
დრო შენს თვალწინ დაბერდა,
შენ ხარ ისევ ცხრამეტის!

შენ, არც მუხრან-ბატონის
და არც ამილახვართა
გვარს არ მისდევ, ქალაქი
ისე გაგისხვაგვარდა.
ჩაუვლია მტკვრის ტალღებს,
წაუშლია გვარი გვარს,
შენ კი სარკმლის ჩარჩოში
ჩაუსმელი ცა გიყვარს!

მხოლოდ შენ ერთს გაგენდო
სანამ ღრუბლებს აშლიდა
ბომბით აფეთქებული
დილა ჯორჯიაშვილთა!
შაირ-სიტყვით მეტეხის
ხიდისთავმაც გახსენა:
ჯმუხა-ბიჭი, ქართველი,
ჯმუხა-ბიჭი, არსენა!

შენი გადმოსახედი
კიდევ — აჰა, ამ ბაღის —
შენი — პირველ დღიდანვე,
შენი — განა ყაბახის!
მაშ, კვლავ თავზე დაადექ
თბილისს, როგორც ადექი.
ძვალში უზის ქვაფენილს
შენი ბომბის ნატეხი!

ძველთა-ძველი საძირკვლის
ქვასაც შენი მზე უნდა.
ჯავრმაც კარი გააღო,
ჯავრიც გამომზეურდა.
ღამეები მტკვრისპირად
ხომ არის და არც არის —
სწვავდა ათასთვალება
შემოხედვა ავჭალის!

საუკუნის პირველი
შუქმომფენი შენა ხარ,
მაგრამ განა წინაპრის —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი აღმოჩენა ხარ!
მაგალითიც — განწირვით
ცაში ხელის აწვდომის:
მაგალითიც ჩვენი დღის,
ჩვენი ახალგაზრდობის...

ჩვენი ყველა თაობის
გამარჯვება არი დღეს.
მონუმენტი ასეთი
აბა, როგორ არ იდგეს!
აღმშენებლებს ცად აწვდილ
ხარაჩოზე მოგვისწრო.
გაგვახსენა ზეიმით
ყველა ჩვენი ომის დრო.

ჯორჯიაშვილს, არსენას,
ჩვენი ნგრევა-შენება,
ერთხელ აქ რომ აანთე
კვლავ იმ დღედ გეჩვენება?
— აგრემც იყოს, ქალაქის
გაჩაღებულ სარკმელებს
ჩაუქრობი სიცოცხლის
ქინით შეეშველება!

ბნელი უნდა დამარცხდეს,
ბნელი როდი დამშვიდდა —
მზეზეც აფეთქებაა
ალბათ, ჯორჯიაშვილთა!
ეს არც ქებად მიიღო
და არც დღეთა აღრევად...
ჩვენ სიკვდილს და სიცოცხლეს
დაჩვეული აგრე ვართ.

სინათლის და სილაღის
უკეთესი თქმულება
მტკვრის გაღმა და გამოღმა
არც მე არ მეგულება.
ახდა რასაც ოცნებად
თვლიდა თვითონ ლენინი.
აჰა, ჩვენი ასწლედის
ბრწყინვა თვალგახელილი.

ჯმუხა-ბიჭი, მემკვიდრე
ჯავრის წარბებშავშავის,
მშვენებელი შუქ-ნათელ
საგუბართა ჯავშანის,
მუდამ ჩვენი იმედი,
მუდამ ჩვენი არსენა...
მაინც ვისი გორის ხარ,
გეკითხები... ავჭალის!?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# ხმა მღაღადებლისა

რომანი

## ნაწილი პირველი

### 1

ძველად, საქართველოში, სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ, ხალხი იშვიათად მოგზაურობდა. ბატონყმობა ახალი გაუქმებული იყო, მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა. გლეხები მიწას ამუშავებდნენ მამაპაპეული გუთნებით და სახნისებით, და ქვეყანა მაშინ არ იყო ხმაურიანი. დრო მდორედ მიედინებოდა, ყოველგვარი გადაადგილება, თვით მეზობელ სოფელში გამგზავრებაც კი, ღირსშესანიშნავ მოვლენად ითვლებოდა. მეზობელ სოფელში გლეხი მხოლოდ საქმეს მიჰყავდა, თუმცა ზოგჯერ ნათესავებსაც მოინახულებდა ხოლმე. ესეც საქმე იყო, და საღამო ხანს, შინ დაბრუნებული, კერიასთან ჩამომჯდარი გლეხი შინაურებს უყვებოდა, თუ რა გარდახდა გზად, ან როგორ მიიღეს მოყვრებმა. გარეთ კი ბნელოდა, მრუმე ღამეში ჩაფლული ქვეყანა გარს შემოხვეოდა ისლის ქოხს; ერთი ბეწო სარკმლის სიგანემდე შეკუმშული სამყარო ცალი თვალით იჭვრიტებოდა ფარღალალა ფიცრულში, ქოხის შუაგულში ნაკვერცხლები ტკაცუნებდნენ, ნაჭაზე ჩამოკიდებულ გამურულ კარდალაში ღომი თუხთუხებდა, ხოლო მოფარფატე ალით განათებული გულუბრყვილო სახეები მდუმარე ყურადღებით მისჩერებოდნენ მთხრობელს. მოსათხრობი ბევრი კი არაფერი იყო, მაგრამ წვრილმანი ამბებიც საინტერესო ეჩვენებოდათ. რასაკვირველია, ხალხს მაშინაც ჰქონდა ურთიერთ მიმოსვლა. ზოგიერთები შორეულ მხარეებშიც აღწევდნენ. მაგრამ მოგზაურობა არ იყო ადვილი საქმე, ხიფათსაც შეიცავდა და დროც დიდი სჭირდებოდა. შორეული მხარეებიდან დაბრუნებულნი შეცვლილნი ჩანდნენ, დამხვდურთაგან განსხვავებულნი. ალბათ, იმიტომ, რომ ხეტიალში ბევრი ისეთი რამე ენახათ, რაზედაც შინ დარჩენილთ წარმოდგენა არა ჰქონდათ. მათი მონაყოლი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, თითქმის ჯადოსნურ ზღაპარს ჰგავდა, რადგან კაცი მჭიდროდ იყო მიჯაჭვული საკუთარ მიწას, კარმიდამოს, კუთხეს, და სხვა მხარეების

ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ზოგიერთს ზოგი რამ სმენოდა, მაგრამ სად მოსმენილი და სად თვალით ნანახი? თავისი კუთხე-ქვეყნით შემოფარგლული კაცის ცნობიერება ძნელად ითვისებდა უჩვეულოს, განსხვავებულს. ბევრი იყო მაშინ ისეთი, ვინც თავის კუთხეს ორმოცი ვერსის მანძილზე არ გასცდენოდა და ყოველივე, რაც იმ ორმოცი ვერსის იქეთ არსებობდა, უცხო და საკვირველი იყო, თან საშიში და მიმზიდველი, ქვეყნის უთვალავ საიდუმლოებათა დამადასტურებელი. ადამიანი ბავშვივით გულუბრყვილო იყო მაშინ, შეზღუდული და მალემრწმენი. ბევრი რამისა სჯეროდა კაცს, რადგან ბევრი რამ არ იცოდა. ქვეყნიერება არ იყო ჯეროვნად შესწავლილი. ბურუსით მოსილი ბნელი სამყარო თავს ეხვია ადამიანს ზღაპრულ გარემოსავით, თმაგაშლილი ალქაჯებით, მკივანა ჭინკებით, ოჩოკოჩებით, ოჩოპინტრეებით, ტყაშმაფებით, მესეფებით და სხვადასხვა სულებით დასახლებული, და შიშიც იდუმალი მოვლენებისადმი ხშირად სძლევდა ნებისყოფას. ამიტომ ჭირდა ნაცნობ და მფარველ გარემოს მოშორება, შორს, სიუცხოვეში გაჭრა, შეუცნობელთან შებმა. ადამიანი მჭიდროდ იყო მიჯაჭვული საკუთარ მიწას, რომელიც აძლევდა მას ყოველდღიურ სარჩოს, და ბოლოს, ოდეს აღესრულებოდნენ დღენი კაცისა ამა ქვეყნად, — უმზადებდა საუკუნო სავანესაც. პატარა სოფელი ოჯახს ჰგავდა, სადაც ყველანი იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირ-ვარამსა თუ ლხინს, ჰქონდათ თანხმობაც და უთანხმოებაც, ხოლო სოფლის განაპირას, ათასწლოვანი ცაცხვებით დაფარულ მყუდრო სასაფლაოზე განისვენებდნენ პაპანი და პაპისპაპანი ამა სოფლის დღევანდელ მკვიდრთა.

სოფელი ბნელი ყოფილა მაშინ, ბნელი და თავისთავადი. ის პატარა სოფელიც, მდინარე ცხენისწყლის პირას, ნოტიო მიწიდან ძალუმად ამოხეთქილი ჭალების ჭარბ სიმწვანეში რომ ჩაფლულიყო, თვითმყოფ სამყაროს წარმოადგენდა, პატარა სამყაროს, პატარა ქვეყანას, თავისი ნაძრახი ადგილებით, თბილი ჰაერით, სიმინდის ყანებით, საძოვრებით, კოხტა კარმიდამოებით, ისლით დახურული ქოხებით, ძველისძველი ეკლესიით და თავად ყაფლან ვარდანიძის ქვიტკირის სასახლით. თავადის სასახლეს მწვანედ აბიბინებული უზარმაზარი ეზო ერტყა გარს. ეზო სურომოდებული გალავნით იყო შემოღობილი. ჭიშკრიდან, ბებერი კოპიტებით დაფარულ სასახლემდე ერთი ვერსი მაინც იქნებოდა. სანამ ეზოში შემოსული ცხენოსანი სტუმარი სასახლის კიბემდე მიაღწევდა, შილიფად ჩაცმულ მასპინძელს თავისუფლად შეეძლო ტანსაცმლის გამოცვლა და საკუთარი თავის წესრიგში მოყვანა, რათა სტუმარს ღირსეულად დახვედროდა. თუმცა, შილიფად ჩაცმული თავადი ყაფლანი ჯერ არავის ენახა, გაგანია ზაფხულშიც კი, უკანასკნელ ღილამდე ჰქონდა შეკრული ახალოხის საყელო. გამოვიდოდა აივანზე და გასცქეროდა სივრცეს.

დიდებული არე იშლებოდა აქედან. ცის თაღს მიბჯენილი ყინულოვანი მწვერვალები კავკასიონისა ზღუდავდნენ დაბლობს ჩრდილოეთიდან. სადღაც, შორს, სამხრეთით, აჭარა-გურიის მთები იდგნენ. მშვენიერი იყო ყაფლანის სამოსახლო. ეზოს ღელე ჩაუდიოდა, შუაგულ ეზოში ორი უზარმაზარი ბებერი ცაცხვი გაშლილიყო, რომელთა ჩრდილქვეშ ზაფხულობით პურობა იმართებოდა. დაუსრულებელი ოხუნჯობა, სიმღერა და ცეკვა-თამაში აქ, ზოგჯერ, გვიან ღამემდე გრძელდებოდა. თავადი ყაფლანი სტუმრებს მუდამ ღირსეულად ხვდებოდა. სასახლის უკან, მოფარებულში მდგარი საჯინიბო, ხულა, მარანი, ბეღელი და მისთანანი, — დოვლათით იყო სავსე. თვით შენობაში ოთახის კედლები სპარსულ ნოხებს დაემშვენებინა. ნოხებზე სხვადასხვა იარაღი ეკიდა, კაჟიანი თოფებით, ჯაზაირებით, ხორასნულით და

ხირიმით დაწყებული, მოკლე სატევრებით, მუზარადებით და ფარხმალით დამთავრებული. ზოგი მათგანი ნადავლი იყო, ზოგი საჩუქარი. ქალბატონი მენიკი, მეუღლე ყაფლანისა, როცა თბილი დარი იდგა, ვახშამს წინა აივანზე უმართავდა სტუმრებს, სადაც საღამოობით სასიამოვნო გრილი ნიავი უბერავდა ხოლმე.

სტუმარი არასოდეს არ აკლდა ამ სახლს. იყო დრო, როცა ამ ოჯახში სადილად ხარი იკვლებოდა. მაგრამ ბოლო ხანებში თავად ყაფლანს აღარ მოსწონდა გაუთავებელი სტუმრობა და უთავბოლო მისვლა-მოსვლა. თანდათანობით იკლო ხვასტაგმა. თუმც ხელმომჭირნე არასოდეს ყოფილა, მაინც ზოგიერთებზე ადრე შეიგრძნო, რომ დაუდევარ ფლანგვას და უდარდელ დროსტარებას არ შეეძლო ზიანი არ მოეტანა არა მარტო ოჯახისათვის, არამედ ქვეყნისათვის. დროს რაღაც ახალი მოჰქონდა, ბუნდოვანი მომავალი რაღაც ახალ შესაძლებლობებს სახავდა, ადამიანისგან ახალ თვისებებს მოითხოვდა. კაცის ყაირათს მეტი ძალა ეძლეოდა. საჭირო ხდებოდა საუკუნოვანი კარჩაკეტილობის გარღვევა, ზოგი მამაპაპური ჩვეულების უარყოფა და სიუცხოვეში გაჭრა.

თავადი ყაფლანი გრძნობდა ამას. იგი მწიგნობარი კაცი გახლდათ, კაცი მდიდარი, დარბაისელი, ტკბილად მოუბარი, მეტრფე საკუთარი ქვეყნისა. თავის დროზე უებრო მეომრად იყო მიჩნეული. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დროს, ისტორიაში ყირიმის ომის სახელით რომ არის ცნობილი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა თავადი ყაფლანი, თავისი ბიძის, მთელ იმერეთში ვაჟკაცობით სახელგანთქმული მოხუცის, თავად ქაიხოსრო მიქელაძის ცხენოსან რაზმში ირიცხებოდა. თავადი ქაიხოსრო სოლომონ მეფის ნათლული იყო, ყრმობითვე გაწაფული თურქებთან ომში. ოთხმოც წელს მიღწეულ მოხუცს აღარ ეგონა ისევ თუ მოუწევდა სამშობლოს დასაცავად ხმლის აღება. მაგრამ თურქები გურიას შემოესივნენ, ოზურგეთი დაიპყრეს და თითქმის ჩოხატაურამდე მოვიდნენ. დიდი განსაცდელი დაატყდა თავს დასავლეთ საქართველოს. ყარსიდან აფხაზეთამდე გაჭიმულ ფრონტზე რუსთა ჯარები გაჭირვებით უმკლავდებოდნენ მრავალრიცხოვან და საუკეთესოდ აღჭურვილ მტერს. მთელი საქართველო აღსდგა თურქთა წინააღმდეგ. ასეულ წლობით გაღვივებული, ძვალში და სისხლში შთამომავლობით გადმოსული სიძულვილი მოსისხლე მტრისადმი და აუტანელი წყურვილი შურისძიებისა თითქმის ერთბაშად აგიზგიზდა ქართველთა სულში. მოხალისეები სახალხო მილიციის რაზმებში ეწერებოდნენ, დიდი და პატარა მზად იყო საბრძოლველად. სახელგანთქმული გენერალი თავადი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი იმერეთში ჩამოვიდა. ის სათავეში ჩაუყენეს რუს-ქართველთა გაერთიანებულ ლაშქარს. თავადი ქაიხოსრო იმერელთა ცხენოსან რაზმს მეთაურობდა. ეს გულადი და შემმართებელი მოხუცი ახლაც მშვენივრად გამოიყურებოდა. სპეტაკი წვერი უმშვენებდა ხორბლისფერ სახეს, მიმინოსებრი გამოხედვა ამ ხანდაზმული ადამიანის უსაზღვრო სულიერი სიმხნევის გამომხატველი იყო. მან სახალხოდ დადო ფიცი, ვიდრე წინაპართა სისხლს არ ავიღებ, შინ არ დავბრუნდებიო, და არც დაბრუნებულა. მდინარე ჩოლოქის გადალახვისას, მელნისფერ ულაყზე ამხედრებული მოხუცი თავადი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა მტრის მოწინავეთა რიგებში და კვეთა და ჰკაფა რაც ხელთ მოხვდა, ვიდრე მტრის ხიშტს არ წამოეგო თავად.

თავადი ყაფლანი მხარდამხარ მიჰყვებოდა სახელოვან ბიძას და ხმალი ხელიდან არ გაუგდია, სანამ ხიშტებით დაკუწულ-დაჩეხილმა გონი არ დაჰკარგა. ქართველებმა გაიმარჯვეს იმ ბრძოლაში. ფეხდაფეხ სდიეს მტერს, ვიდრე სელიმ ფაშა თავისი ჯარის ნაშთითურთ ქობულეთისკენ არ გააქციეს.

ბრძოლის ველი მკვდრებით და დაჭრილებით იყო მოფენილი. გონდაკარგული თავადი ყაფლანი ბუჩქის ძირას ეგდო. სახე მიტკალივით გაფითრებოდა, დალექერტებული სისხლი ტანსაცმლიანად ტანზე შეხმობოდა. საღამომდე იწვა ასე, სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი. საღამოს, ოდეს მზე ზღვაში ჩაესვენა, გოლიათმა გოგიელა ნიგურიანმა და მისმა მომდევნო ძმამ ოქროპირამ იპოვეს სულთმობრძავი თავადი და ბრძოლის ველიდან გამოიტანეს. გოგიელა და ოქროპირა თავად ყაფლანის ერთგული ყმები იყვნენ და თან ახლდნენ ბატონს ომში. მათ მოუარეს ბატონს და როცა დარწმუნდნენ, რომ ამ დაკუწულ სხეულს ჯერ კიდევ არ განრიდებოდა სული, ურემზე დადეს, ზემოდან ნაბადი გადააფარეს და შინისაკენ წამოიყვანეს. მაგრამ ურმით ჯაყჯაყი წვიმებისაგან გადარეცხილ ოღროჩოღროებზე სულთმობრძავი ადამიანისათვის ძალზე საშიში რამ იყო. მაშინ გოგიელამ ურემი გააჩერა და ირგვლივ მიმოიხედა. ახლომახლო არავინ ჩანდა ერთი ცხენოსანის გარდა, რომელიც მახლობელ გორაკზე წამოსკუპებული სამოსახლოსაკენ მიემართებოდა. გოგიელამ გადაჭრა მინდორი და იმ ცხენოსან კაცს წინ დაუხვდა. მხედარმა ცხენი შეაყენა. გოგიელამ აუწყა თავისი გასაჭირი და შველა თხოვა. ეს ცხენოსანი კაცი ლანჩხუთელი აზნაური ყოფილიყო, გვარად ჭყონია. ომიდან შინ ბრუნდებოდა. ღარიბი აზნაური იყო. მან თავისი ძველი ქოხი დაუთმო ბატონ ყაფლანსა და მის გლეხებს. შემდგომად ამისა, გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმაც შეიტყო ბატონი ყაფლანის გმირობისა და დაჭრის ამბავი და დასტაქარი მიუჩინა მას. ჭყონიას ნათესავმა ექიმბაშმა მალამოები დაადო და ორი თვე ებრძოლა სიკვდილს ყაფლანი. ორი თვის შემდეგ, როგორც იქნა, მოიხედა. შინ ჩამოიყვანეს. ყაფლანი ძლიერი კაცი იყო, ნაწრთობი, ნავარჯიშევი, და იმხანად გადაურჩა სიკვდილს, თუმცა კიდევ დიდხანს იმუშებდა იარებს. როცა ერთი წლის მერე, ომერ-ფაშა ისევ შემოესია სამეგრელოს და გენერალმა ივანე მუხრან-ბატონმა ენგურის მარცხიანი ბრძოლის შემდეგ თავისი ჯარები მდინარე ცხენისწყლის პირას დააბანაკა, თავადი ყაფლანი შინ იჯდა. მას აღარ შეეძლო ბრძოლა. მას აღარ შეეძლო ცხენით ჯირითი და ძველებური დროსტარება. საქართველო იმჯერადაც გადაურჩა საფრთხეს. ყირიმის ომი დამთავრდა. ბატონი ყაფლანი წიგნებში ჩაეფლო. საკუთარ ოთახში განმარტოებული ბევრს ფიქრობდა სიცოცხლისა და სიკვდილის რაობაზე და ზოგჯერ ვერ მიმხვდარიყო, რომელი უფრო ჰგავდა სიზმარს — სიცოცხლე თუ სიკვდილი? ან რას ნიშნავდა მარადისობა, რომელ საუფლოში დამკვიდრებას, ყოფნას თუ არყოფნას? სიკვდილის კარიბჭესთან შემდგარ კაცს ხომ ეჩვენება თურმე, რომ ყოველივე განვლილი სიზმარს ჰგავს, ხოლო სიზმრიდან მუდამ სიცხადეში ბრუნდება ადამიანი, ისე ვერ ალიქვამს სიზმარს, და რაკი კაცს სიკვდილის წინ, სიცოცხლე სიზმარივით ესახება, ნუთუ სიკვდილია სიცხადე?

ბატონი ყაფლანი ბევრს ფიქრობდა. ვაჟკაცი იყო. თუმც არასოდეს ყოფილა გოროზი და მედიდური, მაგრამ ბოლო დროს უფრო გალმობიერდა, წლებმა და ნაწამები სხეულის სიძაბუნემ სულ სხვა მხრივ მიმართა მისი გულის ყური, დააეჭვა და გაუჩინა წყურვილი ჭეშმარიტების შეცნობისა. მას სჯეროდა, რომ ყოველივე განგების ნებით ხდებოდა, მაგრამ სურდა სცოდნოდა რატომ და რისთვის? რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს არავინ იცოდა ამქვეყნად, და არც ოდესმე სცოდნია ვისმე.

ამასობაში, ბატონ-ყმობაც გააუქმეს. ამ ამბავს დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია, რაც არ უნდა იყოს, მაინც თავის წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საქმის საჭიროება იმთავითვე იწამა და სხვებსავით ჯიუტად არ მოსჭიდებია

დრომოჭმულ წესს. მან იცოდა, რომ ცალკეული ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის ნება-სურვილი ვერასოდეს ვერ აღუდგება წინ განგების ნება-სურვილს. სახელმწიფო, მას განგებისაგან შექმნილ სისტემად მიაჩნდა, რომლის ბედ-იღბალს სწყვეტს განგება და არა ხელმწიფე, განგება ქმნის და იგივე ამხობს, როდესაც ამას კანონზომიერება აუცილებლობად აქცევს. მას სწამდა, რომ ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდებოდა, ზემოდან იყო მოვლენილი. რაკი ქვეყანაზე ახალმა სიომ დაუბერა, მას ვერაფერი შეაჩერებდა, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. ის, რაც შეიძლება დღეს არაჩვეულებრივ რამედ გეჩვენებოდეს, ხვალ შეიძლება ძალზე ჩვეულებრივი რამ გახდეს. ალბათ ასეთი შეხედულების გამო, უყოყმანოდ გაანთავისუფლა გლეხები. საერთოდ, სამართლიანობის მოყვარული კაცი იყო, მაგრამ გოგიელასა და ოქროპირას სხვებზე მეტი მიწა არგუნა. იმათი უმცროსი ძმა საბა იმხანად შინ ჰყავდა ხელზემოსამსახურედ. ბატონი ყაფლანის ოჯახში საბა არაფერს აკეთებდა, უბრალო დავალების შესასრულებლად თუ გაგზავნიდნენ სადმე. ზოგიერთი მემამულისაგან განსხვავებით, ბატონი ყაფლანი არასოდეს ავიწროებდა თავის გლეხებს. გლეხებიც მშვიდად ცხოვრობდნენ, მოჰყავდათ სიმინდი, ღომი, ლობიო, ბოსტნეული, უვლიდნენ საქონელს, ღორებს, აშენებდნენ ფრინველს. მას შემდეგ, რაც ყმობისგან განთავისუფლდნენ, ზოგიერთები იჯარით იღებდნენ ბატონი ყაფლანის მიწის ნაკვეთებს და ამუშავებდნენ. ზოგიერთები თანდათან მდიდრდებოდნენ, ზოგი ღარიბად იყო ისევ, მაგრამ ასე თუ ისე, გლეხს ჰქონდა სარჩო. გლეხი თავის მიწაზე იდგა. ვაჭრობა არ აინტერესებდა, მრეწველობა ჯერ არ ჩასახულიყო. ფოთი-თბილისის რკინიგზა ის-ის იყო გაჰყავდათ, მოგზაურობა არ იყო იოლი საქმე. მეზობელ სოფელში ნათესავების მოსანახულებლად თუ გაემგზავრებოდა ზოგჯერ გლეხი, ზოგიერთი კი, წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე, შეაბამდა ურემს და მთელი ჯალაბით გაუდგებოდა გზას მოწამეთისაკენ, რომ იქაურ ეკლესიაში, ძველისძველად, არაბთა მიერ წამებით დახოცილი არგვეთის მთავრების, წმინდა მოწამეთა, დავითის და კონსტანტინეს ნეშტთან ელოცა. ბნელი იყო მაშინ სოფელი, ერთფეროვნად გადიოდა დრო.

მაგრამ იმ დროისათვის რკინიგზა კარგა ხნის გამოგონებული გახლდათ და თუმცა პატარა სოფლის მკვიდრთ ამ გამოგონებისა ბევრი არაფერი სმენოდათ, რკინიგზის ლიანდაგები სერავდნენ უზარმაზარ სივრცეებს, ამოკლებდნენ დროსა და მანძილს, აფართოებდნენ ქვეყნიერების საზღვრებს, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებდნენ სხვადასხვა მხარეებს და სხვადასხვა ხალხებს, და ურმის თვლით მავალი გაუბზარავი დინება დროისა დაირღვა,. სადღაც შორეთში, შეუცნობლის ბნელ წიაღში ჩაისახა გრანდიოზულ გარდატეხათა მომასწავებელი ახალი სული. ბოლოს და ბოლოს, ამ გამოგონებამ საქართველოშიც შემოაღწია და სწორედ იმ წელიწადს, როდესაც ბატონმა ყაფლანმა თავისი ოცი წლის ვაჟი ნესტორი, ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებული, მოხდენილი, ახოვანი ჭაბუკი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს მიავლინა, — რკინიგზის მშენებლები — ინჟინრები, მიწისმზომელები, მუშები, — მდინარე ცხენისწყლის ნაპირს მოადგნენ, სწორედ იქ, სადაც ომერ-ფაშას შემოსევის დროს გენერალ ივანე მუხრან-ბატონის ჯარი იყო განლაგებული, ცხენისწყალზე ხიდი ააგეს და ლიანდაგები ერთმანეთს შეუერთდა.

ორთქლმავლის კივილმა გააპო ჰაერი.

ბატონი ყაფლანი თავისი ოთახიდან გამობრძანდა. მზე ჩადიოდა. ყაფლანს განსაკუთრებით უყვარდა მზის ჩასვლის ჟამი. მთელი დღე კითხვით და ფიქრით გართული, მზის ჩასვლისას სტოვებდა თავის სამყოფელს. ქვიტკი-

რის სასახლის უკანა აივნიდან თვალი აწყდებოდა ზღვარდაუდებელ სიმწვანეს, ხოლო თვალსაწიერის ბოლოს, უზარმაზარი წითელი მზე მოჩანდა, რომლის სხივთა არილი არანივთიერ მეწამულ სითხესავით შეშხეფებოდა ცის უსასრულო ტატნობს. მორჭმულობისას, ბატონი ყაფლანი თავის სულში გამჯდარ ნაღველს სწორედ იმ ფერად აღიქვამდა, რომელიც ეფინებოდა სოფელს დედამიწის კიდეში ჩაცურებული მნათობის ძალგამოცლილი შუქისაგან. ბინდისფერი გახდა მისთვის სოფელი.

ბატონმა ყაფლანმა ყური მიუგდო შორეულ გუგუნს. რაღაც ახალი შემოდიოდა მძინარე ჭალებში. შიშინით და სტვენით მიიკვლევდა გზას გაუვალ შქერში გამჭვარტლული ორთქლმავალი და გამურული მემანქანეები იყვნენ მაცნენი ახალი გარდატეხებისა. საფუძველი ეცლებოდა ნაცნობ ქვეყანას, დროს მიჰქონდა ჩვეული წარმოდგენები და მოჰქონდა რაღაც უჩვეულო, ჯერ შეუცნობელი. ბატონ ყაფლანს კიდევ უფრო მოერია ნაღველი. მომავალი ბინდით იყო მოცული და აივანზე მდგარი თავადი, ხედავდა შორი ტყეების თავზე გაწოლილი მნათობის წითელ ზოლს, გრძნობდა: ამ უსასრულო სივრცის ფარგლებში მოქცეული ადამიანის სიცოცხლე იყო ფუჭი და უაზრო, თუ მართლაც არ არსებობდა არაფერი თვალით ხილული სამყაროს მიღმა. „ამაოდ დავშვრით“, — გაიფიქრა მან.

აივანზე ფარეში ამოვიდა, მოშორებით დადგა და მოკრძალებით მოახსენა თავადს:

— ქალბატონმა შემოგითვალათ, ვახშამს სად მიირთმევთო?

ეს იყო ყასიდი შეკითხვა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მოსდევდა:

— სადაც თვითონ ინებებს!

ახალგაზრდა მსახურის სხეულში ზამბარის დაჭიმულობა იგრძნობოდა. მზად იყო მყისვე მოწყვეტოდა ადგილს ბრძანების შესასრულებლად. პასუხი რომ მიიღო, მსახური ადგილს მოწყდა.

ეს ბიჭი, გლახუნა უნდილაძე, ყაფლანის ნაყმევის ვაჟი იყო. მისი თვალები, სიმინდის მარცვალივით წვრილი და უფერო, ცივად გამოიყურებოდნენ. წითური თმა ჰქონდა, კანიც მოწითალო და ჭორფლიანი. ხუთიოდე წლის უკან, მამამისი შემთხვევით შემოაკვდა ყაფლანის ფათერაკიან უმცროს ვაჟს, ჯამბაკურს. ეს მოხდა მაშინ, როცა ჯამბაკური პირველად წაიყვანეს სანადიროდ. მაშინ ჯამბაკური ათი წლისა იყო. გარიჟრაჟის ბინდბუნდში, ტყის განაპირას, უსაფრთხო ალაგას დატოვეს ბავშვი ერთი ფარეშის თანხლებით. აქამდე ძლივს აღწევდა ძაღლების ყეფა. ტყეში სიჩუმე იდგა. მონადირენი სადღაც ტევრს მიღმა დააჭენებდნენ ცხენებს. მზის პირველი სხივები ღრუბლებს წითლად ღებავდნენ. დაცვარულ მოლზე ნაფეხურების შუქის კვალი რჩებოდა. ცხენის ჩონჩორიკს ქინქლა მისეოდა. ის-ის იყო ჩიტებმაც იწყეს გალობა, რომ ლიწინ-ლიწინით გამოარღვია ქვერი მარეკებისგან აგდებულმა ტახმა და პირდაპირ იმ პატარა მინდორზე გამოვარდა, სადაც ცხენზე ამხედრებული ჯამბაკური ერთადერთი ფარეშის თანხლებით ელოდა ნადირს. და ნადირის დანახვაზე აღელდა გამოუცდელი ბავშვი, მაჭახელა გადმოიღო და ანაზდეულად გაისროლა, მაგრამ ააცდინა ტახს და შიგ გულში მოარტყა შორიახლო მდგარ ფარეშს.

ამ ამბავმა ფრიად დაამწუხრა ყველა. ზოგიერთთა აზრით, ასე მარცხიანად დაწყებული პირველი ნადირობა კარგს არაფერს უქადდა ჯამბაკურს. ავადმდევნელი ბედის მანიშნებლად მიიჩნიეს უნებური მკვლელობა. ეს მკვლელობა მართლაც უნებური იყო, არავის არ ედო ბრალი, მაგრამ ყაფლანს მაშინვე უნიშნა გულმა, რომ მომავალში გლახუნას შთამომავლები მტრად გადაეკიდებოდნენ ჯამბაკურის შთამომავლებს და აიღებდნენ წინაპრისგან დან-

თხეულ სისხლს. უკვე იმ დღიდანვე ეჭვით დაუწყო ცქერა დაობლებულ გლახუნას, და იმ დღიდანვე იკისრა გლახუნაზე ზრუნვა, თითქოს ცდილობდა მისი გული მოეგო, რომ როგორმე გამოესყიდა ჯამბაკურისგან ჩადენილი ცოდვა. გადაწყვეტილი ჰქონდა მიწა ებოძებინა გლახუნასათვის და დაესახლებინა, დაეოჯახებინა. მანამდე კი შინ ჰყავდა მოსამსახურედ და ბიჭიც თითქოს ერთგულად ემსახურებოდა, მაგრამ ყაფლანს მაინც არ სჯეროდა მისი ერთგულებისა, მაინც არ ენდობოდა. ვის შეეძლო ეთქვა, რა ედო ამ ბიჭს გულში, თავის მოქმედებით იქნებ, თავის ზრახვებს მალავდა, იქნებ მისი ერთგულება მოჩვენებითი იყო და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა? ასეთი უნდობლობის უფლება ყაფლანს არ ჰქონდა, ბიჭი არაფერს ამჟღავნებდა საეჭვოს, და ზოგჯერ ყაფლანს ეთაკილებოდა თავისი ეჭვიანობა. მიაჩნდა, რომ თვითონ იჩენდა სიმდაბლეს, ცუდს რომ ვარაუდობდა, ბიჭი კი არაფერ შუაში იყო. მაგრამ ზოგჯერ, როცა შენიშნავდა საწყალი და მორჩილი კაცის იერს ამ მწითური ბიჭის ცბიერ სახეზე, უნდობლობა კედელივით წამოიმართებოდა ხოლმე და ისევ აფრთხობდა ის, რაც იმ უფერო, წვრილი და ცივი თვალების მიღმა იმალებოდა. ნათქვამია: ავთა მამათა ნაქნარი შვილიშვილს მოეკითხებაო. გლახუნას მამის სიკვდილი ღვთის ნება იყო. მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივე ღვთის ნებით ხდება და ეს რომ ირწმუნოს კაცმა, მაშინ აღარც დამნაშავე იარსებებს და აღარც უდანაშაულო. მაშინ ვერავის მოთხოვ პასუხს. მაგრამ სად ნახავ განგებას მინდობილ კაცს, რომელიც არ ეძებდეს მიზეზს და პასუხს? ღმერთმა უწყის, როდის დადგებოდა ის დრო, როცა გლახუნაც მოითხოვდა სისხლს სისხლის წილ, თუნდაც ეს სისხლი უნებურად ყოფილიყო დაღვრილი. ვინ იცის, იქნებ თავის უბეში მომავალ მტერს ინახავდა?

ეს მოუშორებელი ეჭვი აიძულებდა გლახუნასადმი განსაკუთრებით ყურადღებიანი ყოფილიყო, ანებივრებდა კიდეც მას და თვითვე ამჩნევდა, რომ განებივრებას კარგი შედეგი არ მოსდევდა. ბატონის წინაშე ლაქუცა გლახუნა თავის თანამოძმეებს ქედმაღლურად ექცეოდა, აბუჩად იგდებდა, მბრძანებლობდა, თითქოს ბატონის ლმობიერება და ყურადღება მისი ღირსებების დაფასებას ნიშნავდა, და არა სხვა რამეს. მაგრამ საკმარისი იყო ბატონის სახეზე ოდნავ უკმაყოფილება შეემჩნია, რომ შეშინებული ძაღლივით ბეჩავად გამოიყურებოდა, სიბეჩავე კი არასოდეს არ იწვევდა თანაგრძნობას ყაფლანის გულში, თუმცა ადამიანს თავისი არსით ბეჩავად თვლიდა. მხოლოდ კაცმა იცის, რომ სიკვდილი ელოდება, მხოლოდ კაცს გაუცნობიერებია წუთისოფლის ამაოება და მაინც ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს, მაინც მიემართება მომავლისკენ და ებღაუჭება ისეთ რაიმეს, რაც გულის სიღრმეში თვითვე იცის, რომ წარმავალია და ამაო. მაგრამ სწორედ ეს განწირულება ამაღლებს ადამიანს და იქნებ, ამიტომაც იყო, რომ სოფლის სამდურავით გულის მოოხება ფუჭ საქმედ მიაჩნდა ბატონ ყაფლანს. გარეგნულად გამოხატული სისაწყლე აუტანელ ზიზღს ჰგვრიდა, სიბეჩავე მტრისაც კი აღიზიანებდა. სისასტიკეშიც კი გაცილებით მეტ ღირსებას ხედავდა, თუმცა თვითონ ზომიერი კაცი იყო და სასტიკი ადამიანი ყველაფერზე მეტად სძაგდა. ვინ იცის, რა იყო ამის მიზეზი?! იქნებ სიბეჩავე სისასტიკის წარმომშობად მიაჩნდა?

ჩოლოქის გადალახვისას, როცა ბატონ ქაიხოსროს მხარდამხარ მიჰყვებოდა მტრის ბანაკისკენ, ყაფლანმა ერთ-ერთ კარავთან ქვეითი ოსმალო შენიშნა, რომელმაც გახელებული მხედრების მოახლოებისას ხმალი ძირს დააგდო, სასოწარკვეთილმა ხელები სახეზე აიფარა და შეჰბღავლა ამღვრეულ ცას, ყრუს და შორეულს. მისი სახე სასიკვდილოდ დაჭრილ ნადირზე უარე-

სი და საშინელი იყო, და ის უკანასკნელი წამი, რომელსაც მოსისხლე თურქი უმწეო განწირულებით ებღაუჭებოდა, იყო დამტევი უზარმაზარი, დაუსაბამო ტანჯვისა. წამიერად აღქმულმა უნუგეშო სახემ და ამ სახეზე აღბეჭდილმა მორჩილმა სასოწარკვეთილებამ ისე გააშმაგა ბატონი ყაფლანი მაშინ, რომ ცხენიდან მთელი ტანით გადმოიხარა და ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი ბედისწერის უმწეო მსხვერპლს, თითქოს ამით სურდა ჩაეკლა ცნობიერებაში ამ კაცის დანახვაზე მოულოდნელად წამოტივტივებული მოგონება, რომელიც უადგილოდ ახსენებდა: „არა კაც ჰკლა!"

იმ ბრძოლის შემდეგ, სიკვდილს რომ ებრძოდა აზნაურ ჰყონიას ბნელ ქოხში, დაკუწული სხეულით განაწამები, ხშირად ხედავდა იმედდაკარგული ოსმალოს დაღმეჭილ სახეს, იმის თვალებში ჩამდგარ შიშს, სამართებელივით ელვარეს და წვერწამახულს, და „არა კაც ჰკლა" გახდა მისთვის სიტყვა ფუჭი და უსარგებლო, რამეთუ მტერიც კაცია, ადამის შვილი. „ჩვენ ყველანი ერთ ვართ", მაგრამ არ ვემორჩილებით საკუთარ ნებას, რადგან განგება გვყოფს ქართველებად და თურქებად, ძლიერებად და სუსტებად, ქალებად და კაცებად, თავადებად და გლეხებად, მტრებად და მოკავშირეებად, და ასე დაშლილნი და დანაწევრებულნი, ადამის ძენი ვუპირისპირდებით ერთმანეთს, ვიბრძვით, ვომობთ და მხოლოდ სიკვდილის ჟამს, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ, ვერთიანდებით ისევ, ვუგებთ მოყვასს, ჩვენ დღეში მყოფს, დედამიწის ყველა კუთხეში, წარსულში თუ მომავალში, თითქოს კვლავ ვიბრუნებთ იმ ცოდნას, რომელიც ოდესღაც გვებოძა, მაგრამ დავკარგეთ და დავივიწყეთ.

ჰყონიას ქოხში გაათთრებით ებრძოდა სიკვდილს ბატონი ყაფლანი და ამ ბრძოლაში თითქოს ზოგი რამ საცნაურდებოდა. სიცხის ალმურში ჩაძირული ხშირად ხედავდა იმ მეომრის მოკვეთილ თავს, მორჩილების გამო, რომ არ დაინდო, მხოლოდ ის ერთი დაემახსოვრდა თავისი მარჯვენით შემუსრულ ურიცხვ მტერთაგან, რადგან მხოლოდ ის ერთი აღიქვა კაცად, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი მტრად შეიგრძნო. და რაკი ის ერთი აღიქვა კაცად, მხოლოდ მისი სახე ახსოვდა და შეიძლება თანაუგრძნობდა კიდეც შემზარავი გარდუვალობის წინაშე შეძრწუნებულ, ბედის მორჩილ კაცს, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ის იყო სიცოცხლეს დახარბებული ადამიანი და მხოლოდ მერე — თურქი. სიკვდილის კიდეზე მდგარ ყაფლანს ზოგჯერ, ასეთნაირად ეხატებოდა სინამდვილე.

„არა კაც ჰკლა" იყო ღვთის სიტყვა, მაგრამ საიდან მოდიოდა მტრობა, ადამის ძეთა დანაწევრება და დაქუცმაცება, თუ არა ისევ განგებისაგან?

ბატონი ყაფლანი იწვა და ფიქრობდა. ამ ამბებს მერმეც დაფიქრებია, უკვე შინ დაბრუნებული, თავის ოთახში განმარტოებული. ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და გასცქეროდა უსასრულოცას. მონანიება მსტოვარივით შემოპარულიყო სულში, როგორც დახუთულ საკანში. საგნები და მოვლენები ჰკარგავდნენ ოდინდელ მნიშვნელობას და იძენდნენ ახალ ელფერს, მაგრამ მრავალგზის დაღვრილი სისხლი, მდორე გუბედ რომ იდგა სადღაც, მაინც არ იწვევდა სინდისის ქენჯნას, რადგან ბატონ ყაფლანს სწამდა, რომ სხვა გზა არ იყო, ყოველივე აუცილებლობით იყო გამოწვეული და ახლაც კი, როცა ჩვეული სამყარო შეტორტმანდა, მაინც ფხიზელ განსჯას აძლევდა უპირატესობას, ვიდრე მოდრეკილი სულის მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეულ საეჭვო ცნებებს, მონანიებას რომ ემყარება. რა იყო მოსანანიებელი, როცა ვიღაცას მიჰყავდა ბნელ გზაზე და უმზადებდა მოულოდნელ ფათერაკებს, რომელთა არიდება მას არ ძალუძდა, მის ნებასურვილზე არ იყო დამოკიდებული. მას სწამდა, რომ წესების შეცვლა არ შეეძლო და არც უნდა ეცადა, რადგან

/

წესების შეცვლას ყოველთვის დამარცხებული ცდილობს, მაშინ როდესაც მოვლენები მუდამ თავისი წესით მიემართება. კაცი ის არის, ვინც განზე გახტომას კი არ ლამობს, არამედ მშვიდად მიჰყვება საკუთარი დროის დინებას. ბატონ ყაფლანს სწამდა, რომ მორჩილი იყო, დროისა და გარემოებათა ტყვე, და ამიტომ ჩეხდა და კაფავდა განუკითხავად, უნდოდა ეს, თუ არ უნდოდა თავისი არსების დაფარულ ფენებში. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა, არამედ თავის დროს, თავის გვარსა და თემს. ამიტომაც არ ედო ბრალი იმაში, რაც ქვეყნად ხდებოდა, რაც თვითონ მას მოუმოქმედებია. მისი მოქმედება იძულების შედეგი იყო, მაგრამ ვინ იცის, იქნებ, იძულებისადმი მორჩილებას დანაშაულამდე მიჰყავხარ? მიყოლა და მინდობა, იქნებ, კიდევ უფრო ართულებს ცხოვრებას?

მოსწონდათ თუ არ მოსწონდათ, ცხოვრება ასეთი იყო და სანამ სული ედგა, ვერ განუდგებოდა ცხოვრების კანონებს. მისი სამშობლოს ათასწლოვანი ჭირვარამი, უნაყოფოდ დაღვრილი ენერგია, იავარქმნილი ბედი, ათიათას ფუთიან წნეხივით აწვა სულს და არჩევანის საშუალებას უსპობდა. ან კი არსებობს საერთოდ არჩევანი? გადაუხდელი ვალი, აუღებელი სისხლი, საუკუნეების მანძილზე ატანილი შეურაცხყოფა და დამთრგუნველი მოთმინება ნებას არ აძლევდა ზემოთ მიემართა მზერა და ყოფილიყო თავისუფალი განსჯისას თუ მოქმედებისას. დიახ, ის იყო მორჩილი, მაგრამ ამგვარი მორჩილება სულაც არ მიაჩნდა ქედის მოხრად. „არა, კაც ჰკლა“ იყო სიტყვა, რომლის მიმართ ის უნებურად რჩებოდა ყრუდ, თუმც გულში ხვდებოდა ეს დიდებული სიტყვა. რამდენი რამ იყო ამ ქვეყნად მოსაწონი და განუხორციელებელი?! რა უნდა ექნა? კაცის სურვილზე ცოტა რამ იყო დამოკიდებული, უმისოდ იყო ყოველივე განპირობებული წარსულის ულრმეს და ბნელ ჯურღმულში. ყოველივე შორიდან იწყებოდა, შორიდან მოდიოდა. ხალხიც, ოდესღაც, ვილაცისგან ჩადენილი ცოდვები საკუთარ ცოდვებად ქცეულიყო და საკუთარ ცოდვებთან ერთად უნდა ეტვირთა.

ამასობაში, მზე ჩავიდა და ბატონმა ყაფლანმა წითლად აფერადებულ დასავლეთს ზურგი აქცია. ოთახებში საკმევლის სუნი იდგა. აივნიდან ბაასის ხმა ისმოდა. ბატონი ყაფლანი დიდი ოთახის ერთ კუთხეში კედელზე მიმაგრებულ ხატს მიაცქერდა. წმინდა გიორგის მოოქროვილ ხატს სანთლის ყვითელი ალი ალაპლაპებდა. გრძელ და ვიწრო სარკმლის მინებს თანდათან წყდებოდა მზის უკანასკნელი სხივები და მეწამულ კვალს ტოვებდა. „უფალო შემიწყალე, მეოხად ეყავ ნესტორს“, პირჯვარი გადაისახა ბატონმა ყაფლანმა და იქვე გაიფიქრა, რომ განგების მიერ გარდაწყვეტილი ლოცვის აღუვლენელადაც აღსრულდებოდა. კარგა ხანია ყაფლანი ცდილობდა ლოცვავედრებით ზედმეტად არავინ შეეწუხებინა და მორჩილად მიჰყოლოდა ბედს. სიყრმისას, რამდენჯერაც შევედრებია ხატებს, არასოდეს აღსრულებია გულის წადილი, ბედისწერის ჩარხი ყოველთვის თავისი წესით ტრიალებდა. საოცარი ის იყო, რომ ზოგიერთ ადამიანს განგება სოვდაგრად ჰყავდა წარმოდგენილი. რამდენჯერ უნახავს ეკლესიაში მისული მლოცველი, ხატის წინ მუხლებზე მდგარს რაღაც რომ უთხოვია და სამაგიეროდ შესაწირავი აღუთქვამს, თითქოს ქრთამით შეიძლებოდა განგების გულის მოგება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ გლახაკნი და უპოვარნი, სულ რომ არაფერი ებადათ, მდუმარე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, ზოგჯერ, თხოვნასაც კი ვერ ბედავდნენ. ვინ იცის, იქნებ ასეც სჯობდა? ხომ ამბობენ, სასუფეველს ის იმკვიდრებს, ვინც არაფერს თხოულობსო.

ბატონი ყაფლანი ნელა დაიძრა აივნისკენ, საიდანაც ბაასის ხმა ისმოდა. ის ვერ იყო გუნებაზე.

ყაფლანის დანახვაზე სტუმრები ფეხზე წამოდგნენ. ყაფლანი მიესალმა აზნაურ ელიზბარს, ჩოლოქის ომში ნამყოფს, ახლა უკვე სამოცდაათ წელს მიღწეულ თეთრწვერა მოხუცს, წარსულში უებრო მოჯირითეს და მოქეიფეს, რომელიც მუდამ თეთრ ჩოხა-ახალოხს ატარებდა, — და აზნაურ კოწიას, ევროპულად გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ამ სოფელში დაწყებითი სკოლის გახსნაზე ოცნებობდა; ქალბატონი მენიკი სუფრის თავში იჯდა. ფარეშები სუფრას აწყობდნენ, ბატონმა ყაფლანმა მოიკითხა სტუმრები. სტუმრებმა მადლობა მოახსენეს და თავიანთ მხრივ მოიკითხეს მასპინძელი.

— გმადლობთ, ბატონო, ძალიან კარგად ვარ! — თქვა ყაფლანმა.

ნესტორის გამგზავრების შემდეგ ის ვერ იყო კარგად, მაგრამ სტუმრებთან ამას ხომ არ გამოამჟღავნებდა.

ქალბატონმა მენიკიმ სუფრასთან მიიწვია მამაკაცები. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. საუბარი რკინიგზაზე ჩამოვარდა.

— დაკეთდა, ბატონო, ხალხი, დაყიდეს მიწები მამასისხლად, დიდ მოგებას ნახულობენ, — თქვა ელიზბარმა.

ჩუმად მჯდარი ყაფლანი უყურადღებოდ შესცქეროდა ელიზბარს. რკინიგზაზე საუბარი მას არ აინტერესებდა. ნესტორის გამგზავრების შემდეგ, საკუთარი სახლი დაცარიელებული ეჩვენებოდა. სწორედ დღეს გაამგზავრა თავისი პირმშო ნესტორი რუსეთისკენ...

რიონის მდორე ტალღებზე ნელა მიირწეოდა პატარა გემი.

— ბაბა, ბაბა! — უკანასკნელად დაიძახა თვალცრემლიანმა ბეგლარმა და თავისდაუნებურად ორივე ხელი ნაპირისკენ გაიშვირა. გემის ერდოზე იდგა ნესტორი, ცალი ხელით მოაჯირს დაყრდნობილი, მეორე ხელი ნესტორმა თხუთმეტი წლის ბეგლარ ნიგურიანს დაადო მხარზე. ეს თვალცრემლიანი ყმაწვილი იყო ნესტორის ერთადერთი გამოუცდელი მეგზური. ორპირიდან გასული გემი ფოთში უნდა ჩასულიყო. მერე შორი გზა ელოდათ ზღვით. ახალგაზრდები სევდიანად გასცქეროდნენ ჭაობიან ტყეებში ჩაფლულ ჩაბინდულ დაბლობს კოლხეთისას. უკან დარჩენილ ნაპირზე თავშიშველი გლეხები იდგნენ, ბეგლარის მამა ოქროპირა, მაღალი, ძვალმსხვილი, ოდნავ მხრებში მოხრილი შეჭაღარავებული მამაკაცი, და ბეგლარის ბიძა, კაფანდარა, კუზიანი საბა. ისინი თანდათან პატარავდებოდნენ. ნაპირზე შეგროვილი ურმები სათამაშოებს ემგვანებოდნენ, ადამიანები — ქონდრის კაცებს, რეალობა ჰკარგავდა ფორმებს, თითქოს ბურუსში იძირებოდა სამყარო. სამშობლო მხარე სიზმარივით ქრებოდა თვალწინ. გლეხები ჩუმად მისჩერებოდნენ სადღაც, შორეთში გაცურებულ გემს. სულ მალე გემი მდინარის ზედაპირზე აორთქლილ ნისლში გაუჩინარდა. გლეხები უსიტყვოდ მობრუნდნენ, ყაბალახები დაიხურეს და გაუყენეს ურემი თავიანთ სოფლისკენ მიმავალ გზას.

2

გზა ორთავე მხარეს ხსლტეთი იყო შემოზღუდული. ხარები ზანტად მიიზლაზნებოდნენ. გაუსაპნავი ურმის თვლის ჭრიალი კვნესასავით გაისმოდა უკიდეგანოდ გაშლილი მინდვრების სიმარტოვეში. ურემზე მსხდარი საბა და ოქროპირა ფიქრს მისცემოდნენ და ვერ ამჩნევდნენ, როგორ ბინდდებოდა, მინდვრის ბოლოში ეულად მდგარ მაღალ წიფლის ხეს ამოფარებული მთვარე ნელა გამოდიოდა საფარიდან და თანდათან ცაზე ამომავალი, ყვითელი და მრგვალი, კერიის პირზე გამომცხვარ კეცის მჭადს ემსგავსებოდა, რომელსაც ზედ შეფიცხული და მერე აფხეკილი თხმელის ფოთლის ნაშთივით დამჩნეოდა მუქი ლაქები, უცხო სამყაროს უდაბნოების და მთების ნიშანი.

გზა ტყეს გასდევდა. ამ ადგილებში, აქა-იქ ტყე გაეკაფათ, ახოებიდან ჯირ-

კვები ამოეძირკვათ და ყანები გაეშენებინათ. წალმით დახურული და წკნელით შეკრული სასიმინდეები ყვავის ბუდეებივით იდგნენ ტყის პირას. გაუმარგლავი სიმინდი ბიბინებდა სადღაც და ჰაერში სიმინდის მყარი, ჩვეული სუნი იგრძნობოდა, მაყვლის, შამბის და ხმელი ნეშოს სუნთან ერთად. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ურემი რკინიგზას, რაღაც ახალი, უცნობი სუნი მაზუთიანი შპალებისა, გავარვარებული რკინისა, ორთქლისა და ნახშირისა შემოდიოდა ნესტოებში და აღიზიანებდა ყნოსვას. პრიალა ლიანდაგები ლარივით გაჭიმულიყვნენ უსასრულობისაკენ, სულ მალე მატარებლებიც დაიწყებდნენ მიმოსვლას და ფოთში ჩასაღწევად გემი აღარ იქნებოდა საჭირო. ახლა აუხდენელი, თუმცა პირველ ხანებში გლეხებს არათუ არ სჯეროდათ, არამედ სიცილადაც კი არ ჰყოფნიდათ მატარებლის ხსენება.

ბატონ ყაფლანის ოჯახში რკინიგზის თაობაზე კარგა ხანია ლაპარაკობდნენ. ბატონი ყაფლანი გაზეთ „დროებას“ იწერდა. ერთხელ, ამ გაზეთში ამოიკითხა საბამ, რომ ფოთი და თბილისი რკინიგზით უნდა დაკავშირებოდა ერთმანეთს. მეორედ, ამავე თემაზე ყაფლანის სტუმრების საუბარს შეესწრო, და ერთ მშვენიერ საღამოს, სოფლის წისქვილში ქვეყნიერების ავკარგზე ხმამაღლა მომასლაათე, გრძელ ჯორკოებზე მსხდარ გლეხებს საბამ აუწყა: დრო დადგება, ბაბაიებო, კაცი რკინის სახლს გააკეთებს, ბორბლებს მოურგებს და ეს სახლი ურემზე სწრაფად ივლისო. გლეხებმა არ დაუჯერეს. მათ ვერ წარმოედგინათ ბორბლებზე შემდგარი რკინის სახლი. როგორ უნდა ევლო რკინის სახლს? რა ძალას უნდა დაეძრა ამოდენა სიმძიმე? ნახშირი და ორთქლი დაძრავსო, განმარტა საბამ. ნახშირი და ორთქლი? კაი თუ ღმერთი გწამს! სიცილად არ ეყოთ გლეხებს ეს განმარტება, და საბა ატირდა. როცა რაიმეს არ უჯერებდნენ, საბა ცრემლებს ვერ იკავებდა.

მაგრამ გამოხდა ხანი და რკინიგზა მართლაც გაიყვანეს. ახლა საშას წინასწარმეტყველება და რაკი წინასწარმეტყველება ახდა, გლეხები მოწიწებით განიმსჭვალნენ ამ კუზიანი ნათელმხილველისადმი. მათ ხომ საკუთარი თვალით იხილეს, როგორ გამოიარა საცდელმა შემადგენლობამ ცხენისწყლის ხიდზე. ხიდქვეშ გრძელი ტივი ტივტივებდა. ტივზე ხიდის მშენებელი ინჟინერი იდგა, რომელსაც კოკორდიანი ქუდი ეხურა და მოვერცხლილღილებიანი სერთუკი ეცვა. ნაპირზე სასულე ორკესტრი გრიალებდა, ხიდს კი ქშენით უახლოვდებოდა ვეება ორთქლმავალი, მოათრევდა მწვანე ვაგონებს, მართლაც რომ სახლებს ჰგავდნენ, ფანჯრებიც ჰქონდა, კარიც, კიბეც, საწოლებიც...

ორთქლმავალი ხიდზე შემოგორდა, ტივზე მდგარმა ინჟინერმა ქუდი მოიხადა და ნაპირზე შეგროვილ ხალხს დაუქნია: თავადაზნაურობას და მოხელეებს, გლეხებს და მუშებს, ქალებს და კაცებს, ბავშვებს და მოხუცებს, რომელთა ზურგს უკან იდგნენ ცარიელი ეტლები, ურმები, შეკაზმული ცხენები. ხალხი სულგანაბული ელოდა, როდის ჩამოიქცეოდა ხიდი უსაშველო სიმძიმისაგან და დანთქავდა ხიდქვეშ მდგარ კოპწია ინჟინერს, ინჟინერი კი არხეინად იყურებოდა მაღლა, მის თავზემოთ, გაპრიალებულ რელსებზე, გრუხუნით მისრიალებდნენ მძიმე ბორბლები. მატარებელი ხიდზე გადავიდა, გრიალით და კივილით გააგრძელა გზა, მიეფარა ალვის ხეთა გრძელ რიგს და სოფელ წიფლნარის განაპირას აშენებულ სადგურზე გაჩერდა. აზრიალდა, აზავთდა ნაპირზე თავშეყრილი ხალხი, სასულე ორკესტრმა მარში დასცხო, სასულე ორკესტრთან ჩამწკრივებულმა ჯარისკაცებმა ახალგაზრდა ოფიცრის ბრძანებით შაშხანები გადმოიღეს მხრიდან და ჰაერი დაცხრილეს, რკინიგზის მშენებლები, კალატოზები, დურგლები, მჭედლები ქუდებს იქნევდნენ და „ვაშას“ გაიძახოდნენ, ბრწყინვალედ მორთული თავადაზნაურობა და შავსერ-

თუკიანი მოხელეები ერთმანეთს კმაყოფილებას უზიარებდნენ და იმ ზღვა ხალხში, მხოლოდ ყაბალახიანი გლეხები ჩანდნენ ყველაზე მეტად შეცბუნებულნი, თუმცა გაურკვეველი მორცხვი ღიმილი მაინც გამოკრთოდა წვერ-ულვაშით დაფარული ერთფეროვანი სახეებიდან. ახდა სასწაული! რკინის სახლი საშინელი სისწრაფით და გრუხუნით დაიძრა, იდიდოს ღმერთო, შენმა სახელმა, რას არ მოესწრება კაცი?!

წერა-კითხვის ცოდნამ, საბა ნათელმხილველად აქცია თანასოფლელთა თვალში. მაგრამ ამ ქვეყნად ხომ ბევრი ისეთი რამეც ხდება, რასაც ვერც გაზეთში ამოიკითხავ წინასწარ, ვერც საღვთო წიგნებში და ვერც ეფრემგვერდში? ხუთი წლის წინათ, როცა ბატონიშვილი ჯამბაკური პირველად წაიყვანეს სანადიროდ, ტყიდან გარეული ტახის გამოვარდნამდე, სანამ დამფრთხალი ჯამბაკური თოფს გადმოიღებდა და ანაზდეულად გაისროდა, ხომ არავის შეეძლო ეთქვა ავბედითად გასროლილი ტყვია ვის მოუსწრაფავდა სიცოცხლეს შემოდგომის იმ ღრუბლიან, მშვიდ დღეს, — ადამიანს, თუ ნადირს? უხილავი ხელით, უხილავ ეტრატზე, უხილავი ასოებით იყო დაწერილი იმდღევანდელი ნადირობის შედეგი, მაგრამ ჯერ კიდევ მღვრიე გარიჟრაჟზე, როცა ცხენოსნები ბაზიერების, მარეკების, მსახურების და აყეფებული ძაღლების თანხლებით, ბატონი ყაფლანის უზარმაზარი ეზოს ჭიშკრიდან გავიდნენ და ტყისკენ გაემართნენ, იმჟამად ბატონის კარად მყოფმა საბამ მწუხარედ თქვა: გული მიგრძნობს, დღეს რაცხა უბედურება დატრიალდებაო. საკუთარი წინათგრძნობა საბას თვითვე აშინებდა და ტიროდა, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. უბედურება კი მართლაც დატრიალდა.

იმ ამბის მერე გლეხებს უკვე ეშინოდათ საბასი, რადგან არავინ იცოდა ამჯერად ვის უწინასწარმეტყველებდა უბედურებას. მისი გულთმისნობა, რაღაცნაირი ავბედითი გამოვლინება იყო დაფარული სიბრძნისა. მომავლის შეცნობის უნარი საბას განასხვავებდა დანარჩენთაგან და თუმცა გულის სიღრმეში ეშინოდათ კიდეც მისი, მაინც პატივს სცემდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ადამიანს, რომლის თვალთა წინაშე ფარდა ეხდებოდა იდუმალებას. ღვთის კაცად მიიჩნიეს იგი. კაცი, რომელსაც შეეძლო შეღწევა არმოხდენილის უკუნში, მართლაც ხომ იდგა რაღაცით მაღლა ლობიოს და მჭადის საზრუნავით დღენიადაგ შეპყრობილზე? ის ბუნებით დაჩაგრული კაცი იყო, გონჯი და კუზიანი, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ფიზიკური ნაკლი ერთგვარ საზღაურად ებოძა და ამ დანაკლისმა გაუღო კარი იდუმალების შესაცნობად და განსაჭვრეტად? ხომ ყველასათვის ცხადი იყო, რაღაცით საბა თავის ძმებზე მაღლა იდგა, თუმცა იმათი სარჩენი გამხდარიყო, რადგან ვერცერთს ვერ შეედრებოდა ჯანღონით და შრომის უნარით.

როცა მშობლები დაეხოცათ, საბაზე ათი წლით უფროსი გოგიელა ცოლშვილიანი კაცი იყო უკვე. მომდევნო ძმა ოქროპირაც ცოლშვილიანი გახლდათ. ძმებს შორის ხუთ-ხუთი წელი იყო განსხვავება. მაშინ საბა თხუთმეტი წლის ყრმა იყო, სუსტი, ღვთისმოშიში და უპოვარი. უფროსი ძმები მტკიცედ იდგნენ ფეხზე. ჯანი არცერთს არ აკლდა, განსაკუთრებით გოგიელას, რომელსაც მართალია, ჩიტის ფართხალა გული ჰქონდა, — მეომრად და ფალავნად არ გამოდგებოდა, თუმცა ჩოლოქის ომში კი ახლდა ბატონს, — მაგრამ ამ ნაკლს გოლიათური აღნაგობით ივსებდა. ის მიწის მუშად იყო შექმნილი, დაღლა რა არის, არ იცოდა. დაუსრულებლივ შეეძლო ემუშავნა. კაფავდა, ძირკვავდა, ბელტებს უბაყუნებდა. ვეებერთელა სხეულის პატრონი ორ ოყიან თოხს მოკლე ტარს უკეთებდა, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო მიწასთან, რათა წელში ორად მოხრილს გულმოდგინედ დაემუშავებინა მიწა. „მიწა გვაჭმევს და მიწა გვჭამსო“,

უყვარდა თქმა და მიწასთან შეუპოვარ ჭიდილში ღვრიდა ღონეს. მტკიცედაც მოიკიდა მიწაზე ფეხი. თავისუფალი გლეხი გახდა, გამდიდრდა, მამული გაიფართოვა, ტყეც კი შეიძინა.

ყოველივე ამას ულევი ჯანით მიაღწია, რადგან გამჭრიახობით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ იმ დროს, ჯანი ჯერ კიდევ ფასობდა და სულ უფრო ემატებოდა დოვლათი მის სახლს. მეუღლე ადრე გარდაეცვალა. მისი ერთადერთი ვაჟი სიმონა მამაზე არანაკლებ გამრჯე გამოდგა. ის ახლა მდიდარ სასიძოდ ითვლებოდა. გოგიელას კარგად ჰქონდა საქმე. ოქროპირაც ახერხებდა თავის გატანას. მხოლოდ საბა იყო სხვის კარად დარჩენილი. არაფერი გააჩნდა ხუცურ-მხედრული წერა-კითხვის ცოდნის გარდა, არაფერი შეეძლო საღმრთო წიგნებისა და ეფრემვერდის კითხვის გარდა. ბატონის კარზე ცხოვრება არ იყო მძიმე საბასთვის, მაგრამ მეუღლე რომ მოუკვდა, გოგიელამ წამოიყვანა საბა და ამიერიდან იგი ამ ოჯახის წევრი გახდა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ საბა ოჯახს ვერ მოეკიდებოდა და გლეხი კაცის მძიმე ჰაპანს ვერ გასწევდა. ძმებზე მაინც დიდი გავლენა ჰქონდა, მის სიტყვას ისმენდნენ და იჯერებდნენ. მიუხედავად მახინჯი სხეულისა, არ იყო სულბოროტი კაცი. პირიქით, კეთილი, ჭკვიანი და ალღოიანი იყო, და ზოგ რამეს სხვებზე ადრე ხვდებოდა. „სხვა დრო მოდის, ბაბაიებო, — ამბობდა ზოგჯერ, — გლეხის საშველი არასოდეს არ იქნება. ქვეყანას მალე ნასწავლი ხალხი ჩაიგდებს ხელში. გადით გადაღმა, ისწავლეთ, ნახეთ“... გაკვირვებით მოისმინეს ეს სიტყვები მისმა ძმებმა და დაიჯერეს. ამის შემდეგ იყო, რომ ოქროპირას უფროსი ვაჟი ბეგლარი ნესტორს რუსეთში გააყოლეს.

თხუთმეტი წლის ბეგლარი ფრიად მოსაწონი ყმაწვილი გახლდათ და ბატონმა ყაფლანმა ის ისურვა ნესტორის მხლებლად და მოსამსახურედ. თავდაპირველად მშობლებს არ ემეტებოდათ შვილი სასხვისშვილოში გასაგზავნად. მათთვის ქვეყნიერება ორმოცი წელიც არ ალემატებოდა. გარდა ამისა, ბეგლარი გამრჯე მუშა იყო და მეურნეობაში ეხმარებოდა ოჯახს, მაგრამ თუკი ჭკუას იხმარდა და ვაჭრობას ისწავლიდა, ქონებას შეიძენდა და გამდიდრდებოდა, რით იყო ცუდი? წავიდეს, ქვეყანას ნახავს, ენებს ისწავლის, დიდი კაცი დაბრუნდება, გადაწყვიტა საბამ და შეყოყმანებულმა მშობლებმა ჰქმნეს ისე, როგორც საბამ ურჩია მათ. მაგრამ იმ ღამეს, ბეგლარი და ნესტორი რუსეთისკენ რომ გაამგზავრა, ურემზე მჯდარ საბას გული ეთანაღრებოდა. მას ძლიერ უყვარდა ძმისწულები, მეტი ვინ ჰყავდა, და თვლემამორეულ ოქროპირასთან ერთად, დაბა ორპირიდან შინისკენ მიბრუნებულს, — როცა ივნისის ღამის მდორე დუმილს გაუსაპნავი ურმის თვლის საწყალობელი ჭრიალი ფხრიწავდა, — გულზე ნაღველი შემოსწოლოდა, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ბეგლარი სადღაც, უცხო ქვეყანაში მიემგზავრებოდა, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქეთ, სადაც გაავებული თეთრი დათვები ღამღამობით სოფელში შემოდიან თურმე და იტაცებენ ტყავით შემოსილ ადამიანებს, და ისეთი მკაცრი ზამთარი იცის იმ მხარეში, რომ მზე დიდხანს ვერ ჩერდება გაყინულ ცაზე. ბეგლარი პირველი გლეხი იყო ამ პატარა სოფლის მკვიდრთაგან, ვინც იმჟამად საქართველოს საზღვრები დატოვა. ღმერთმა უწყის, მის წინაპართაგან რამდენი მოუტაციათ და გაუყიდიათ ტყვედ თურქეთის და ეგვიპტის ბაზრებზე, იქნებ, ზოგი მათგანი სახელოვან მამლუქადაც კი ქცეულა, ზოგს სიდუხჭირეში ამოხდენია სული, დაუვიწყნია მშობლის ენა, მაგრამ ის დრო წავიდა, მამლუქობა გადავარდა, კარგა ხანია გლეხებმა თავიდან აიცილეს ტყვეობის საფრთხე. ახლა საშოვარზე გასული კაცი შინ მდიდარი ბრუნდება, მაგრამ მაინც ძნელია ხეტიალი შორეულ ქვეყნებში და განა ყველას უწერია შინ დაბრუნება? თუმ-

ცა თავიდანვე ბეგლარის გამგზავრების მომხრე იყო, საბას მაინც აშინებდა უცხო, ცივი და ვრცელი სივრცეები, რომელიც მას არასოდეს ენახა თვალით, თუმცა ზოგი რამ ჰქონდა სმენილი. სამაგიეროდ ოქროპირა კმაყოფილი ჩანდა. ეტყობა, ბეგლარის გამგზავრება ნათელ ფერებში ეხატებოდა. თეთრ დათვებზე ის არ ფიქრობდა. თავი ჩაექინდრა თვლემამორეულს, ურმის ჯაყჯაყი ურხევდა სხეულს. საბამ იდაყვი წაჰკრა ძმას. ოქროპირამ თავი ასწია.

— დაგეძინა, ბიჭო? — ჰკითხა საბამ.

— არა.

— აბა?

— ვფიქრობ ისე, რაცხას...

— არ დაგეძინოს, რკინიგზას გადმოვცდით უკვე...

ურემმა ბნელ შარაზე შემოუხვია. არემარე გარინდულიყო, ფოთოლი არ იძვროდა. ტყე გაიარეს და ისევ მინდორზე გავიდნენ. აქა-იქ გამოჩნდნენ სოფლის განაპირას მდგარი გომურები. ნაცნობი გარემო გაჟღენთილი იყო ნაკელის, თივის და კერიის კვამლის საამო სუნით. სოფლის სიახლოვემ ხარებსაც შეჰმატა ხალისი და გაუსაპნავი გოგორას ჭრიალი შეუერთდა ძაღლების ყრუ ყმუილს. ურემი ორღობეში შეხრიგინდა. მიძინებული ქოხები ბნელ ხეებში მიყუჩებულიყვნენ. არსაიდან ხმა არ ისმოდა. ურემი გაჩერდა. დაღლილი ხარები ზანტად იქნევდნენ კუდს. ოქროპირა და საბა ურმიდან გადმოვიდნენ. ოქროპირამ ჭიშკარი შეაღო, საბამ ხარები ბოგირზე გადაიყვანა და ეზოში შეუძღვა. სადღაც, შორს, მამლებმა იყივლეს. შუაღამე გადასული იქნებოდა. თეთრი ღრუბლები ზღვის ტალღასავით მოცურავდნენ ბნელ ცაზე, მთვარეს შემოეხვივნენ და დაფარეს.

— დარჩი აქ, ამაღამ, — ხმადაბლა უთხრა ოქროპირამ საბას.

— წავალ, ბარემ, — ასევე ხმადაბლა უპასუხა საბამ.

— ღამე ეშმაკისაა...

— რა მიჭირს შე კაცო, ღმერთი თავის გაჩენილს არ დაკარგავს...

— კაი, აბა, — ოქროპირამ ურემი ეზოს სიღრმეში შეიყვანა. უკანასკნელად გაისმა გულსაკლავი ჭრიალი. მერე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. უღლიდან გამოხსნილი ხარები ჩალას ახრამუნებდნენ. ისმოდა ჩალის ჩუმი შრიალი. ოქროპირა ქოხში შევიდა, სადაც მას ელოდა ანჩხლი ცოლი ბაბალე და უმცროსი ვაჟი ბესო. საბამ გრძელი ეზო გაიარა, ალაგეზე გადააბიჯა და ბილიკს დაადგა. მარტო დარჩენილს მოაგონდა ოქროპირას სიტყვები „ღამე ეშმაკისააო“ და ცოტა არ იყოს, შეკრთა. ღამღამობით წანწალი არ უყვარდა საბას. შუკიდან მთვარით განათებულ მინდორზე რომ გავიდა, მინდვრის ბოლოს, მტკიცე გალავნით შემოყორილი თეთრი ეკლესია დაინახა, დაბურული ცაცხვებით, მაღალი ვერხვებით და გარინდული ალვის ხეებით გარშემორტყმული. ეს მისი სოფელი იყო. მისი საუფლო, ნაცნობი და მახლობელი, მაგრამ ღამეს და მთვარის ვერცხლისფერ შუქს გარემო გაეუცხოვებინა. მხოლოდ ეკლესიის სიახლოვე იცავდა და იმედს უნერგავდა, მაგრამ როცა წარმოიდგინა თუ რამდენი ვინმე განისვენებდა მიწაში, გალავანს იქეთ, სიკვდილის იდუმალება ტანში ჩაუჯდა თითქო და იდუმალებით მოცული თეთრი ეკლესია საშიშად მოეჩვენა. ამასობაში მინდორი გადაჭრა და თხმელნარში შევიდა. ბნელოდა. მთვარის შუქი ვეღარ ატანდა ფართოდ გაშლილ ტოტებს შორის. სიბნელეში მარტოდმარტო დარჩენილი უჩუმრად მიჰყვებოდა ვიწრო ბილიკს და უეცრად გარკვევით მოესმა ძახილი: „საბაა!“

გული გადაუქანდა, ანაზდეულად შიშის ელდამ დაუარა. ახლომახლო არავინ ცხოვრობდა. მხოლოდ ამ თხმელნარის ბოლოს იდგა ისლით დახურული ქოხი გოგიელასი. ვინ უნდა ყოფილიყო ამ დროს გარეთ? ან ვის უნდა ეცნო ამ წკვარამში საბა? ეს ადგილი

ნაძრახ ადგილად ითვლებოდა სოფელში. ღამით აქ გავლას ყველა ერიდებოდა. ძველები ამბობდნენ, მაგ თხმელებში ბევრჯერ წავწყდომივართ ალქაჯებს, ჭინკებს და ოჩოკოჩებსო, მაგრამ თვითონ საბას არასოდეს ენახა ავი სული. ზოგჯერ ღამღამობით, როცა კერიასთან ისხდნენ და ვახშმობდნენ, ან კიდევ სიმინდს ფშვნიდნენ კაკუტით და თან ზღაპრებს ყვებოდნენ შემოდგომის მიწურულს, ბაგაზე დაბმული ცხენი მოულოდნელად ბრახუნს ატეხავდა ხოლმე, და მაშინ გოგიელა უხალისოდ წამოდგებოდა, ჭრაქს ხელს დაავლებდა და იტყოდა: „ჭინკა იქნება, ეგ ოხერი, დაუპწნის ახლა ცხენს ფაფარს და მერე ველარ დაშლი“. ამ სიტყვებით გადიოდა გოგიელა კარში, თვითონაც ბევრჯერ მიჰყოლია და მართლაც უნახავს ფაფარდაწნული ცხენი როგორ ბორგავდა და შფოთავდა...

— საბაა-ა! — ახლა უკვე ქალის ნაზი ხმით დაუძახა ვიღაცამ.

საბამ ძველებისგან იცოდა, რომ ავსულს და მავნეს ხმისამოუღებლად უნდა გასცლოდა. უკან არც ამჯერად მიიხედა, თუმცა ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს. გული გამალებით უცემდა და ეს მოკლე გზა, სადაც ათასჯერ გაუვლია დღისით, ახლა აუტანელად გრძელი ეჩვენა. დრო უსასრულოდ იჭიმებოდა, თითქოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამ გზაზე იდგა, ვერასოდეს ახერხებდა მის ჩათავებას და არც არაფერი არსებობდა ამ შეგრძნების გარდა. უეცრად ბარდებში რაღაცამ გაიშლიგინა, ვიღაცამ ბელტი ისროლა, ბელტი ხის ტანს შეასკდა და ჩამოიშალა, და ისევ გაისმა წივანა ხმა: „საბაა, საბაა!“ არც ახლა მიიხედა უკან. ნაბიჯს მოუჩქარა და პირჯვარი გარდაისახა: „უფალო მიხსენ მაცდურისაგან, უფალო მიხსენ მაცდურისაგან!“

— საბაა, საბაა! — წიოდნენ, კიოდნენ და ხარხარებდნენ გათამამებული ჭინკები ზურგს უკან, ბელტებს უშენდნენ, შორიახლო მოსდევდნენ, მაგრამ საბა ისევ პირჯვარს იწერდა გამალებით, თავჩაღუნული მიძუნძულებდა ბილიკზე და მიბუტბუტებდა: „უფალო [illegible] მიხსენ მაცდურისაგან“. გზა [illegible] ილეოდა, ტყე არ მეჩხერდებოდა, და ის-ის იყო, იმედდაკარგულ და თავზარდაცემულ საბას მუხლები უნდა მოკვეთოდა, რომ წინიდან რაღაც სინათლე შემოეფრქვია. თავი ასწია და დაინახა ბილიკზე მომავალი მოხუცი, თეთრწვერა და თეთრთმიანი, თავით ფეხთამდე თეთრ სამოსელში გახვეული, მთვარის შუქზე უფრო მკვეთრი იდუმალი შუქით განათებული. მოხუცი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა მისკენ, შუქი თან მოსდევდა მას, მრისხანედ აბრიალებული თვალები რომელიღაც წერტილისათვის მიეშტერებინა სივრცეში და რამდენიმე წამს, გაშეშებული, პირდაღებული, მონუსხული საბა ენაჩავარდნილი შესცქეროდა ამ უცნაურ ჩვენებას; თეთრმა მოხუცმა სინათლის სხივივით სწრაფად ჩაუარა საბას, თითქოს ვერც შეამჩნია ის, და ერთბაშად გაუჩინარდა. ჭინკების კივილი შეწყდა, ტყეში სრული სიჩუმე ჩამოიღვარა. სადღაც ფოთოლი მოწყდა ტოტს და ფარფატ-ფარფატით დაეშვა ბილიკზე. საბა ტყის განაპირას იდგა და ხედავდა გოგიელას კარმიდამოს. ისლის ქოხი მშვიდად ჩაფლულიყო ვრცელ ეზოში. ჩაბურულ ხეებს შორის ჩამოწოლილ წყვდიადში სასიმინდეს, ხულას, მარნისა და ჭის სილუეტი იკვეთებოდა. საბა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, მთელი სხეული უთრთოდა. ძეძვნარი გაარღვია, აკანკალებული და ძალაგამოცლილი ხელებით სარებს მოეჭიდა, წკნელის ღობეზე გადაძვრა და თავისი ეზოს მიწაზე დადგა ფეხი. მხოლოდ ახლა იგრძნო თავი მტკიცედ და მხოლოდ ახლა გაბედა უკან გახედვა. ბნელი ტყის თავზე ფრთიანი ანგელოზივით გადაფრინდა ღრუბლის ფთილა. საბამ სამჯერ გადაიწერა პირჯვარი, მუხლებზე დამდგარმა სამჯერ შეახო მიწას შუბლი და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა ქოხისაკენ.

გოგიელას და სიმონას ეძინათ. საბა

თავის ტახტზე ჩამოჯდა, ნელა გაიხადა ტანსაცმელი, ქვეშაგები გაშალა, კიდევ ერთხელ გარდაისახა პირჯვარი და „მამაო ჩვენო“ გაიმეორა. მერე დაწვა და დაძონძილი საბანი გადაიფარა. ქოხში ნესტის და ფქვილის სუნი იდგა. ქოხის კარი ღია იყო და მთვარით მოვერცხლილი წყვდიადი ჩამდგარიყო კარის ჭრილში. შორს, ჭოტის ხმა გაისმა. ვრცელი და ღრმა ღამე გადაჰფენოდა დიდ და ულეველ ქვეყანას. თითბრისფერი მთვარე, რომელიც ახლა ეზოს თავზე ღრუბლებში დაცურავდა, დაჰნათოდა მთელ ქვეყნიერებას, თოვლიან მთებს, მტუტისფერ უდაბნოებს და ლაინისფერ ზღვას. ზღვის ტალღებს მიჰყავდათ უცნობ შორეთში მშობლიურ ბუდეს მოწყვეტილი პატარა ბეღლარი.

რატომ? რისთვის?

საბა გვერდზე გადაბრუნდა, მოიკუნტა, გაირინდა, თითქოს იგრძნო მარადიული სამყაროს სუნთქვა, ადამიანის სიკნინე და სიმარტოვე.

## 3.

შემდგომად ამისა, გამოხდა ხანი და დაქორწინდა სიმონა, ერთადერთი ვაჟი გოგიელასი. ცოლი მისი გაღმა სოფლიდან იყო. ქალს სახელად ალათი ერქვა. ის იყო მეტად მოხდენილი, სანდომიანი ასული, შთამომავალი აჭარიდან გადმოხვეწილი შაინიძისა. გამაჰმადიანებული შაინიძე სელიმ ხიმშიაშვილის რაზმში იბრძოდა თურმე, ხოლო როცა თურქებმა აჯანყებული სელიმი ხიხანის ციხეში მოიმწყვდიეს, შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს, — შაინიძემ გაქცევით უშველა თავს. უვლია მთამთა, ტყე-ტყე და ხევ-ხევ, გარეული ნაყოფით გაუტანია თავი და ტანსაცმელშემოფლეთილსა და ღონემიხდილს გამოუღწევია რიონის დაბლობზე, სადაც სიკვდილის საშიშროება აღარ ემუქრებოდა მას. აქ იგი ცხენისწყლის პირას მცხოვრებ მებატონეს, ყაფლან ბატონის სახლიკაცს შეხიზვნია, ქრისტიანულად მონათლულა და ოჯახს მოჰკიდებია. შემდგომად ამისა დაუზრდია შვილები, ქალიშვილები დაუთხოვებია. რაც რამ ებადა, ერთადერთ ვაჟიშვილს სულიას დაუტოვა თურმე და მოკლე ხანში თვითონაც დატოვა ცოდვილი მიწა.

ალათი სულიას ქალიშვილი იყო. ჩარდახიანი ურმით მოიყვანეს იგი გაღმა სოფლიდან. ცხენოსანმა მაყრებმა გადმოჭრეს ფონი, გამოიარეს დიდი მინდორი და გოგიელას ოჯახში გააგრძელეს ქეიფი. ბატონმა ყაფლანმა ულელი ხარი აჩუქა ახლადდაქორწინებულთ. ახლადდაქორწინებულნი შეუდგნენ ცხოვრებას.

იმხანად, ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა დამთავრდა და მატარებლებმა განრიგით იწყეს მოძრაობა. რკინიგზამ გააადვილა მიმოსვლა და გლეხებიც თანდათან დაიძრნენ ადგილებიდან. ერთ მშვენიერ დღეს, სიმონამ აიკრა გუდანაბადი და საშოვარზე გავიდა. მაშინ სიმონა ოცდაორი წლისა იყო. ის იყო მაღალი ჭაბუკი, განიერი მხარბეჭის პატრონი, წაბლისფერთმიანი. ნიგურიანებს სახნავ-სათესი საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ რაკი ოჯახს მოეკიდა, სიმონამ გადაწყვიტა კიდევ უფრო გაეფართოებინა მამული, რათა მის მომავალ შთამომავლებს ულევად ჰქონოდათ სარჩო-საბადებელი. სიმონამ იცოდა, რომ საშოვარზე გასული ხალხი ფულს შოულობდა, ფულს კი ამ დროისათვის მეტი ძალა მიეცა. ფული აუცილებელი რამ გახდა გლეხისათვის.

სიმონა ფეხით გაუდგა გზას. როდესაც სოფელს გასცილდა, საძოვრებიც ჩამოიტოვა და ტყეში შევიდა, დაინახა ჩოხისკალთებაკაპიწებული გლახუნა უნდილაძე. გლახუნა ტყეს კაფავდა. ადრიანი დილა იყო და ხეებსა და მოლს ცვარი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა. საძოვრების ბოლოში ტყე გაშლილიყო, რომელიც ბატონ ყაფლანს ეკუთვნოდა. ამ ტყის პირზე გადიოდა დაბისკენ მიმავალი გზა. სიმონამ იცოდა, რომ გლახუნა ყაფლანის კაცი იყო, მაგრამ

მაინც გაუკვირდა ამგვარ საქმიანობაში რომ დაინახა. სიმონა ტყის პირს მიუახლოვდა, „გამარჯობა შენიო“, გასძახა გლახუნას და დასასვენებლად ერთი თელის ძირში ჩამოჯდა. გლახუნამ ცული მოჭრილ მორში ჩაასო, სიმონას გვერდით მოუჯდა და გამოელაპარაკა. საუბარში გამოირკვა, რომ ქალბატონს გლახუნასთვის ერთ-ერთი თავისი მოახლე ქალი გაურიგებია, ბატონს სამოსახლო მიწა მიუზომავს და ნება დაურთავს ქოხისთვის საჭირო მასალა ამ ტყეში დაემზადებინა.

— რა გინდა, ბატონო, კარგი საქმეა ძალიან, — მიულოცა სიმონამ და თუმცა თვითონ მამულიც ჰქონდა და სამოსახლოც, მაინც შეშურდა გლახუნასთვის გაცემული წყალობა. ზოგი რა იოლად შოულობს ქონებასო, გაიფიქრა.

მაგრამ გლახუნას მაინცა და მაინც დიდი სიხარული არ ეტყობოდა.

— მამა ქე მომიკლეს და ახლა რა ოხრად მინდა მაგენის შეშა, — გესლიანად თქვა მან.

ამაზე სიმონამ არაფერი უპასუხა, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ის მკვლელობა შემთხვევით მოხდა.

— მაგენზე ნაკლები ხალხი კი არ ვიყავით ჩვენ, — გააგრძელა სიტყვა გლახუნამ, — ჩვენი წინაპარი, ბიძია, სპარსეთში და ოსმალეთში მეფეებს ტახტიდან აგდებდა თურმე, მერე გამოქცეულა იქიდან ის უპატრონო და ქე დავჩაჩანაკებულვართ, თუარა ყაფლანის სამადლო რა უნდა მჭირდეს ახლა მე?

სიმონა გააკვირვა გლახუნას სიტყვებმა, მაგრამ არც ამჯერად შეეპასუხა. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ და სიმონა თავის გზას დაადგა.

შუადღე იქნებოდა, როცა დაბას მიაღწია. ადრე ეს ადგილი სოფლის განაპირას წარმოადგენდა. ირგვლივ ტყეები იყო და ნადირიც ბლომად იყო იმ ტყეებში. რკინიგზა რომ გაიყვანეს, აქაურობამ სახე იცვალა, ტყე გაკაფეს, სადგურის კოხტა, თეთრად შეფეთქილი შენობა ააგეს. სადგურის ირგვლივ გაჩნდა ქუჩები, დუქნები, [illegible] ხლეები. პარასკევობით აქ ბაზრობა იმართებოდა და ახლომახლო სოფლებიდან გლეხებს ურმებით მოჰქონდათ სანოვაგე. ეს გამოცოცხლება, რა თქმა უნდა, რკინიგზამ გამოიწვია.

როცა სიმონა სადგურზე მივიდა, რკინიგზის ლიანდაგზე მატარებელი იდგა. ლიანდაგების გადაღმა მუშები თხრილს თხრიდნენ. სიმონა შესცქეროდა ცეცხლის ეტლს. გამურული მეცეცხლურები ნახშირს ყრიდნენ ტენდერში, ხოლო სარკმელში თავგამოყოფილი მემანქანე უცქეროდა თავის თანაშემწეს, რომელიც მოშიშინე ორთქლმავლის თვლებს ზეთიანი ჩვრით აპრიალებდა. ბაქანზე გაბღენძილი ჟანდარმი დააბიჯებდა. სადგურის უფროსი ივანოვი, სქელი, ლოთი კაცი, რომელიც ოცი წელი იყო, რაც საქართველოში ცხოვრობდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა საქართველოზე და ქართული ენის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა, კედელზე მიმაგრებულ ვეებერთელა ზარის ქვეშ იდგა და ამღვრეული თვალებით ათვალიერებდა ბაქანზე მოსეირნე ხალხს, მატარებლის გასვლის მაუწყებელ ზარს რომ ელოდა. მოსეირნეთა შორის იყო ინგლისიდან ჩამოსული ინჟინერი, გვარად მელორი, შავ სურთუკში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის კაცი. ეს კაცი რკინიგზის მშენებლობაზე მოიწვიეს საქართველოში სხვა უცხოელ ინჟინრებთან ერთად და მან ნახევარ წელიწადში ისე კარგად შეისწავლა ქართული ენა, რომ მუშებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა. სიმონა შესცქეროდა ხალხს. ორთქმავალი, ვაგონები, და ამ ვაგონებით მოგზაური ხალხი უცნაურ მორიდებას და მოწიწებას იწვევდა მის სულში. გაუბედაობა მორეოდა, თითქოს აქ დგომა დანაშაული ყოფილიყო უბრალო გლეხისთვის, რომლის ზურგს უკან, ამ თეთრი სადგურის მიღმა, მწვანედ გაშლილიყო ულრანი ტყეები,

ტრიალი მინდვრები და გადახვითქული ყანები, პატარა სოფლის სანახებიდან სადღაც შორს, უსასრულოდ გადაჭიმული. იმ მინდვრების, ყანების და ტყეების უკან იდგნენ სვანეთის ცივი, ცისფერი მთები, საიდანაც ოდესღაც მისი წინაპარი სისხლს გამოქცეოდა და ამ მყუდრო ჭალებში გადმოხვეწილიყო. გული სიმონას ახლაც უკან უწევდა, ისლიანი ქოხისკენ, სადაც დატოვა მამა, ბიძა და ფეხმძიმე ცოლი, თავისი სოფლისკენ, სადაც დატოვა ხარები და ძროხები, თავისი მარტივი ცხოვრებისკენ, სადაც დატოვა გაუმოროდებელი სიმინდისა და მოუთიბავი თივის საზრუნავი, მაგრამ გამორჩენის სურვილიც იმდენად ღრმად იჯდა მის სულში, რომ აიძულებდა ჯიუტად მდგარიყო ბაქანზე და ეცქირა მატარებლის მომლოდინე ხალხისათვის.

ამასობაში სადგურის ზარი დაირეკა და სამგზავრო მატარებელი თბილისისაკენ დაიძრა. სიმონა მობრუნდა და კანტორისკენ გაემართა, სადაც მუშებს ქირაობდნენ. ეს იყო ხის შენობა, იქვე რკინიგზასთან მდგარი, გრძელი და დაბალი, რომელსაც აყევე გრძელი აივანი ერტყა გარს. აივანზე ისხდნენ სამუშაოს საძებრად მოსული გლეხები. სიმონამ აიარა კიბე და შეუერთდა გლეხებს. ის შუადღემდე იცდიდა აქ. შუადღისას, ლიანდაგზე საბარგო შემადგენლობა ჩამოდგა და სიმონას რიგმაც მოაწია. მან გაუბედავად შედგა ფეხი ვიწრო და ბნელ ოთახში, სადაც მხოლოდ მაგიდა იდგა, ხოლო მაგიდას გაოფლილი რწმუნებული უჯდა. მაგიდაზე საწერი კალამი, სამელნე და ქაღალდები ეწყო. დაღლილმა აგენტმა სახელი, გვარი და წლოვანება გამოჰკითხა სიმონას, მერე ქაღალდზე კალმისტარიააწრიპინა და როცა წერას მორჩა, თავი ასწია.

— ფოთში თუ წახვალ?

— კი, — მოკრძალებით უპასუხა სიმონამ.

— მაშინ, მომიწერე აგერ ხელი, — და ის გრძელი ეტრატი, რომელზედაც წელან რაღაცას წერდა გულმოდგინედ, სიმონას წინ დაუდო, თან თითით აჩვენა ხელმოსაწერი ადგილი. შეუჩვეველი ხელით აილო წერა-კითხვის უცოდინარმა სიმონამ კალმისტარი და გაჭირვებით გამოსახა ქაღალდზე ერთმანეთის გადამკვეთი ორი მრუდე ხაზი. ამის შემდეგ რწმუნებულმა ქაღალდი გამოართვა, ღია კარიდან რკინიგზას გახედა, ლიანდაგზე მდგარი მატარებლისკენ ხელი გაიშვირა და უთხრა:

— ადი, ეგერ, ვაგონში!

რკინიგზაზე საბარგო შემადგენლობა იდგა. ვაგონები ყავისფრად იყო შეღებილი. რაკი საქმე გაარიგა, სიმონა კანტორიდან გამოვიდა და ვიწრო და დახუთულ ვაგონში ავიდა, რომელსაც ერთადერთი სარკმელი ჰქონდა, ხოლო იატაკზე თივა ეყარა. ვაგონში რამდენიმე გლეხი დახვდა, წელან მასთან ერთად რომ ელოდნენ რწმუნებულთან შესვლის რიგს. დამხვდურნი ახალმოსულს კიდევ ერთხელ მიესალმნენ. ამის შემდეგ მატარებელი ფოთისკენ დაიძრა. სარკმლიდან გრილმა ნიავმა შემოუბერა და სიმონას, რომელიც ურმის გარდა არასოდეს არცერთ ტრანსპორტში არა მჯდარა, სისწრაფის უჩვეულო შეგრძნებამ გული სიხარულით აუფართქალა.

— რავა ბედაურივით მიჯლიგინებს, — გაეცინა სიმონას.

— ბედაურს ქე ჩამეიტოვებს უკან, — თქვა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა.

— კაი ბედაურს ვერ აჯობებს, მარა...

—თურმე ქვაბში ურჩხულია დამწყვდეული და იმას მიყავსო, — გამართეს გლეხებმა კამათი.

სიმონა სარკმელთან დადგა. უკიდეგანო მიწა უკან მიცურავდა, თითქოს ჯადოსნური ხალიჩიდან უმზერდი ქვეყანას. ორთქმავლის ბოლი მიდამოს ეფინებოდა. მატარებლის გრუხუნით დამფრთხალი ცხენები თავაღერებული გარბოდნენ მინდორში. გარბოდნენ ცხვრებიც, ხარ-კამეჩი გაოგნებული უყურებდა შორიდან ქმენით და კივი-

ლით მომავალ საოცრებას. ტყეები, მინდვრები, მოსახლეები, ყანები, ბილიკები, ტელეგრაფის ბოძები ისე სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს, რომ სიმონას თვალები აუჭრელდა. ვაგონი მიირწეოდა, მიხრიგინებდა, რომელი ურემი შეედრებოდა, ისმოდა ორთქმავლის ქშენა, გამოჩნდა მდინარე, ხიდზე გადასვლისას ისეთი საშინელი გრუხუნი ატყდა, რომ სიმონა დაფრთხა და უკან ისკუპა, მაგრამ გრუხუნი მყისვე შეწყდა და ისევ გაისმა ის თანაბარი, რიტმული დაგადუგი, რომელსაც თანდათან ეჩვეოდა ქვეყნის უნახავი გლეხი. საბოლოოდ დამშვიდებული სიმონა ყურადღებით აკვირდებოდა გარემოს ვაგონის სარკმლიდან. ქვეყანა აქეთაც ისეთივე იყო, როგორც მის სოფელში. აქეთაც გოროზად იდგნენ თეთრი ჭადრები და ბებერი ცაცხვები, თითქოს წარსულის საიდუმლოს ინახავდნენ თავიანთ დაბურულ შტოებში. ალვის ხეები მოწყენილობის გრძნობას ბადებდნენ, მიწას აქაც ისეთივე ფერი ჰქონდა, როგორც მამისეულ საყანეში, ისლიანი ქოხები ედგათ აქეთაც, მაგრამ თანდათან, რაც უფრო წინ მიიწევდა მატარებელი, შეუმჩნევლად სხვაფერდებოდა გარემო, რაღაცა ნაცნობი ქრებოდა, და მის ნაცვლად ჩნდებოდა რაღაცა ახალი, შავ ნიადაგს აგურისფერი აყალო ჰარბობდა, შორეული მთები იცვლიდნენ მოხაზულობას და ნელ-ნელა უკან იხევდნენ, დაბლობი მხრებს შლიდა, ფართოვდებოდა და სიმარტოვის შეგრძნება სულ უფრო იპყრობდა სიმონას. ეს შეგრძნება განსაკუთრებით უმძაფრდებოდა მაშინ, როდესაც მატარებელი სადმე უდაბურ ადგილას ჩერდებოდა და მოსაწყენ მდუმარებაში, ფშანებიდან ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი ისმოდა.

აბაშა, სენაკი, ქვალონი და ჰალადიდი ჩამოიტოვეს და მოსაღამოვების პირს მატარებელი ფოთის სადგურს მიადგა. გლეხები ბაქანზე გადმოვიდნენ. რწმუნებულმა ყველანი ერთად შეკრიბა, ვიწრო შუკებში ბაყაყებით ამოვსებულ, აშმორებულ და აბუყბუყებულ ჭაობებს შორის ატხრა და დაბინდებულში, ერთ მიწურთან შეიყვანა ღამის გასათევად. სამუშაოს ისინი მეორე დილით უნდა გასცნობოდნენ. გლეხებმა გაინაწილეს შინიდან წამოღებული საგზალი, ივახშმეს, ისაუბრეს, ზოგიერთებმა ყალიონი გააბოლეს, შემდეგ იატაკზე თივა დაიგეს და დასაძინებლად დაწვნენ. მთელი ღამე ისმოდა გაბმული ყიყინი, თითქოს ერთადერთი სულდგმული, რომელიც ქვეყნიერებაზე დარჩენილიყო, იყო ბაყაყი.

მეორე დილით რწმუნებულმა ნავსადგურისკენ გარეკა წიფლნარში დაქირავებული გლეხები. იმ დღეს პირველად იხილა სიმონამ ზღვა. ზღვა იყო მშვიდი, ბაცი ცისფერი. მოსარკულ ზედაპირზე იალქნიანი გემები დასრიალებდნენ, ხოლო ცაში ურიცხვი თოლია დაფრინავდა. გემების დანახვაზე სიმონას თავისი ბიძაშვილი ბეგლარი მოაგონდა, ამ ცისფერი ზღვის გემით გადამლახველი, და ცოტა არ იყოს შეშურდა მისი ბედი. „მე აქ მორები უნდა ვათრიო, ის კაცი კი რუსეთის სატახტო ქალაქში კარგს ჭამს და კარგს სვამსო“, — გაიფიქრა მან.

ფოთში ნავსადგური შენდებოდა და გლეხებს უმთავრესად შავ სამუშაოზე იყენებდნენ. ისინი დაათრევდნენ მორებს, ქვას, კირს და დუღაბს, მაგრამ თუ ვინმე რაიმე ხელობას დაეუფლებოდა, შეეძლო ახალ საქმეს მოჰკიდებოდა. ზოგიერთმა დურგლობა შეისწავლა, ზოგიერთმა კალატოზობა, ზოგიერთებმა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ იმ სამი თვის განმავლობაში, რომელიც სიმონამ ფოთში გაატარა. ვერცერთი ეს ხელობა ვერ აითვისა. ეტყობა, თავიდანვე მიწის მუშად იყო შობილი. ჯანი მამაზე არანაკლები მოსდევდა, მუშაობდა და ფულს აგროვებდა. ამასობაში, ფოთში რამდენიმეჯერ ჩამოვიდა ინგლისელი ინჟინერი მელორი, რომელიც ცოტა ხნის წინ იქნა ნახსენები ამ წიგნში. მელორი თავის

საქმეებს მორჩა, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩქარობდა ინგლისში დაბრუნებას. მოდიოდა ნავსადგურში, ესაუბრებოდა ინჟინრებს, უყურებდა მუშებს. ერთხელ, მან დიდხანს უცქირა სიმონას, რომელმაც ვეებერთელა მორი, ოთხი კაცი რომ ვერ ასწევდა ისეთი, მხარზე შეიდო და წაიღო. როცა სიმონა მეხუთე მორის წასაღებად მობრუნდა, ინჟინერი მელორი დამტვრეული ქართულით გამოელაპარაკა მას. ჰკითხა სახელი, წლოვანება და უთხრა, გურიაში ვაპირებ მოგზაურობას, მეგზურად ხომ არ წამომყვებიო.

— რა მინდა გურიაში?! — იუარა სიმონამ.

ამ საუბრისას, მელორი სიმონას ვეებერთელა ხელებს დასცქეროდა, წელზე რომ ჰქონდა დოინჯად შემოწყობილი.

— რასაც აქ იღებ, ორი იმდენ გასამრჯელოს გადაგიხდი, — პირდაპირ სახეში შეხედა ცისფერთვალება ინგლისელმა თაფლისფერთვალება ქართველ გლეხს. ჩანდა, თვალში მოუვიდა ეს ახოვანი ჭაბუკი. მაშინ სიმონამ კეფა მოიფხანა და დათანხმდა. ამის შემდეგ, ანგარიში გაუსწორა კანტორას და წაყვა მელორის მეგზურად.

მელორის განზრახული ჰქონდა მთელი საქართველოს შემოვლა. მას მოსწონდა ეს ქვეყანა და სურდა უკეთ შეესწავლა იგი. შეიძლება, თავისი ხელმწიფისაგანაც კი ჰქონდა დავალებული ამ ქვეყნის გაცნობა. მოგზაურები ფოთიდან გავიდნენ. გარდა სიმონასი, მელორის კიდევ ორი კაცი ახლდა: ჭალადიდელი მეგრელი ბარდღა ადამია და ოზურგეთელი გურული ბეჟანა მამალაძე. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, თითქმის სიმონას თანატოლები. მოგზაურებმა დაიქირავეს ერთი ცხენი, რომელზედაც მელორი შეჯდა, და ორი ჯორი, რომლებსაც ბარგი აჰკიდეს. პალიასტომის ტბას და კოლხეთის ჭაობებს შემოუარეს და სუფსისკენ დაიძრნენ. ერთ მშვენიერ საღამოს, ტყიდან გამოვიდნენ ტრიალ მინდორზე, დაღლილ-დაქანცულნი. ახალი ნაწვიმარი იყო და გზის გაგრძელება აღარ ღირდა. მინდვრის განაპირას ძელქვის ხე იდგა. აქ შეჩერდნენ. ჯორებს ბარგი მოხსნეს და ცხენთან ერთად საძოვრად გაუშვეს, კარავი დადგეს და ცეცხლი გააჩაღეს. შორს მწვანედ ბიბინებდა ტყიანი გორაკები, რომელთა უკან იისფერი ქედები გაწოლილიყვნენ. გავარვარებული მზე ზღვაში ჩადიოდა და კრიალა ცაზე აქა-იქ დაკიდულ ღრუბლის ფთილას ალუბლისფრად ღებავდა. სიმონა ხის ძირში ჩამოჯდა, ალვის ხეების კენწეროებს შეხედა და თავისი სოფელი მოაგონდა. საოცარი ნაღველი შემოაწვა გულზე. იგრძნო, როგორ მოენატრა მშობლიური კერა, მამა, ბიძა, ცოლი...

იმ საღამოს, როცა სულ დაბინდდა და წყვდიადი გაცრეცილი ნაბადივით შემოეხვია მინდორს, მახლობელ ტყეში განწირული კაცივით აკივლდა ტურა. სიმონა ჩუმად იჯდა ცეცხლთან. მთელი დღის ნასიარულევს და დაქანცულს პირში ხემსი არ ჩაედო, მაგრამ ვახშამზე გული არ მიუდიოდა. არც ძილი ეკარებოდა. ჭალადიდელმა მეგრელმა ბარდღა ადამიამ შეამჩნია სიმონას უგუნებობა და ჰკითხა, უქეიფოდ ხომ არა ხარო?

— სახლი მომენატრა, — უპასუხა სიმონამ.

ისინი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რადგან დანარჩენებს უკვე ეძინათ. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მიწა შრებოდა, ცეცხლი დანაღვერდალებულიყო, ტყეში კი ტურა კიოდა.

— ეჰ, კარგია, ბაბა, სახლი და წყნარი ცხოვრება, მარა გაჭირვება რომ არ გაყენებს?... — ამოიოხრა ბარდღამ.

— ამ კაცს, — ინგლისელ ინჟინერს გულისხმობდა სიმონა, — ფარა არ აკლია, ძამია, მარა ხომ ხედავ, არ მიიჩქარის თავის ქვეყანაში.

— არც მდიდარი კაცია მოსვენებული, როგორც ვატყობ მე, მოსვენებული კაცი მიწაშია მარტო...

ამის შემდეგ, ისინი თავთავიანთ

ძველმანებში გაეხვივნენ და დაიძინეს. ძილში სიმონა შფოთავდა, მთელი ღამე ცხენები ესიზმრებოდა.

როგორც კი ირიჟრაჟა, სიმონა წამოდგა. ალიონის მღვრიე ბინდბუნდში, სადღაც მინდვრის ბოლოს, რამდენიმე კოცონი ციმციმებდა და ცხენების ჭიხვინი ისმოდა. სიმონა გააკვირვა ამ სანახაობამ. ამასობაში, დილის ნისლი თანდათან გაიფანტა და უკვე გარკვევით გამოჩნდა ცეცხლთან შეგროვილი შეიარაღებული ხალხი. ტყის პირას ლაშქარი დაბანაკებულიყო. როცა დანარჩენებმაც გაიღვიძეს, დაინახეს მინდორზე მოჯირითე ჩოხიანი ცხენოსნები. გლეხები ვერ მიმხვდარიყვნენ, ამოდენა ჯარი საიდან გაჩნდა აქ. მაშინ მელორმა განუმარტა: თურქებთან ომი განახლდა და ეს ალბათ, ქართული ლაშქარია, რომელიც ქობულეთისკენ მიემართება. ამის შემდეგ, სასწრაფოდ შეკრიბეს ბარგი, ჯორებს აჰკიდეს და მეომრებისკენ გაემართნენ. მელორიმ ცხენს მათრახი გადაჰკრა და დაწინაურდა. როდესაც გლეხებმა დაბარგული ჯორები ბანაკში მირეკეს, მელორი ქართველ ოფიცრებს ესაუბრებოდა. ოფიცრებს ჩოხები ეცვათ, მაგრამ მხრებზე რუსული ეპოლეტები ჰქონდათ დაკრული. ცხენოსნების გარდა, ჯარი ქვეითებისაგანაც შედგებოდა. უმრავლესობა — მოხალისე გლეხები იყვნენ. სიმონა და მისი ამხანაგები შეერივნენ მოხალისეებს და დაუწყეს ამბის გამოკითხვა. მელორის ნათქვამი მართალი გამოდგა, ჯარს ქობულეთისკენ ჰქონდა გეზი აღებული.

— მოდის თათარი, მარა ღდინს გავაცლით, —. ტრაბახობდნენ მოლაშქრეები. \

ამ დროს, სიმონას ვიღაცამ დაუძახა. სიმონა მობრუნდა და დაინახა თავისი ცოლისძმა ალია. ეს ყმაწვილი ქრისტიანულად იყო მონათლული და სახელიც ქრისტიანული ერქვა — ალექსანდრე, მაგრამ შინაურები და მეზობლები ალიას ეძახდნენ, თითქოს ოდესღაც გამაჰმადიანებული ქრისტიანის შთამომავალი, ისლამიდან ისევ ქრისტეს რჯულზე მოქცეული, კვლავ მაჰმადიანი ყოფილიყო. სიძე-ცოლისძმას ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. ალიას მხარზე პაპამისის დროინდელი თოფი ჰქონდა გადაკიდებული, წელზე სატევარი ეკიდა და მხნედ გამოიყურებოდა. მათ ერთმანეთის ამბები გამოიკითხეს, მერე განმარტოვდნენ და საუბარი გააბეს. ამ საუბრისას გამოირკვა, რომ ალიას გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალოს ხელში დარჩენილი ქართველების განთავისუფლება. თავისი წინაპრების სისხლის აღებაც სწყუროდა, სელიმ ხიმშიაშვილის აჯანყების დროს რომ დაღვარეს თურქებმა.

სიმონა ალიაზე სამი წლით უფროსი იყო, თანაც ცოლისძმის დანახვაზე კიდევ უფრო მოენატრა ცოლი და ოჯახი. ამიტომ:

— თურქებისაგან დაღვრილ სისხლს ვინ არწყავს? დაანებე, ძმია, ამ საქმეს თავი და წამოდი, ერთად დავბრუნდეთ შინ! — ურჩია ცოლისძმას.

— მაგას რავა მეუბნები?! — იწყინა ალიამ.

— რომ მოგკლან, არ გეშინია, ბაბა?

— მომკლან თუ არა, ჩემისთანები მოუკლავთ? დიდი ამბავი! თუ კაცი ხარ, სამშობლო ქე უნდა დაიცვა!

ამაზე სიმონა ჩაფიქრდა, ჩვეულებისამებრ კეფა მოიფხანა. მას მოაგონდა, რომ ოციოდე წლის წინ, მამამისიც მონაწილეობდა თურქებთან ბრძოლაში. მაშინ:

— აბა, მეც წამოგყვები, მარტო ვერ გაგიშვებ, არ მინდა ინგლისური ფულები მე, — გადაწყვიტა სიმონამ.

ამის შემდეგ, სიმონა გამოეთხოვა ინგლისელ მელორის, ჭალადიდელ ბარდღა ადამიას, და მოხალისეებს შეუერთდა. ოზურგეთელმა გურულმა ბეჟანამაც მიატოვა მოგზაური ინჟინერი და ქობულეთისკენ დაიძრა ლაშქართან ერთად. წინ ცხენოსნები მიდიოდნენ, უკან ქვეითნი მისდევდნენ. სულ ბოლოში ურმებით მოჰქონდათ სურსათი და ტყვია-წამალი. კალოს

ხარის გამოშვების დრო იქნებოდა, როცა ლაშქარი ზღვის პირს მიუახლოვდა. შორიდან გრუხუნი ისმოდა. სიმონამ მაღლა აიხედა და ძალიან გაუკვირდა, რომ მოკრიალებულ ცაზე არსად ჩანდა საავდრო ღრუბელი. მაგრამ სულ მალე მოლაშქრეებმა შეიტყვეს, რომ ჭექა-ქუხილი კი არ იყო, არამედ თურქული ზარბაზნები უშენდნენ ჭურევებს ზღვის ნაპირზე განლაგებულ რუსთა ჯარებს. რუსთა ჯარები გარს შემორტყმოდნენ ციხისძირს და ცდილობდნენ ამ მნიშვნელოვანი სიმაგრის აღებას, რათა შემდეგ ბათუმისკენ გაეგრძელებინათ შეტევა. იმ ღამეს ქართული ლაშქარი რუსთა რეგულარულ ნაწილებს შეუერთდა.

სიმონა, ალია და ბექანა გურიის ქვეით რაზმში ჩარიცხეს. რაზმი მდინარე კინტრიშის ნაპირზე განლაგდა. მეორე ნაპირი თურქებს ეჭირათ. სიმონას წალდის გარდა არავითარი იარაღი არ გააჩნდა. ასეთივე დღეში იყვნენ ბექანა და კიდევ ორი გლეხი: სიმონას თანასოფლელი თანდილა ნიგურიანი, — ეს კაცი სიმონას გარე ბიძაშვილად მოხვდებოდა, — და საჯავახოელი ჯაშინიკა გოგუაძე. ესენი ხანჯლების ამარა წამოსულიყვნენ. უიარაღობა ომში ვერაფერი საქმეა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოხალისეები მზად იყვნენ შიშველი ხელებით გასწორებოდნენ მტერს. მაგრამ თოფს და ზარბაზანს შიშველი ხელით ვერ გაუსწორდები. მაშინ გლეხებმა გადაწყვიტეს გადაელახათ მდინარე, თურქთა ბანაკში შეპარულიყვნენ და როგორმე იარაღი ეშოვათ. ასეც მოიქცნენ. როგორც კი დაღამდა, სიმონა, ალია, ბექანა, ჯაშინიკა და თანდილა მაღლა აუყვნენ მდინარის სათავეს და ნაპირს მიუახლოვდნენ. ამათგან თოფი მხოლოდ ალიას ჰქონდა. მდინარის დინება მეტად სწრაფი იყო, თანაც კუნაპეტი ღამე იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. თურქთა ბანაკიდან ძაღლების ყეფა და ყმუილი ისმოდა. გუშაგები ხანდახან ერთი მეორეს გასძახოდნენ. გლეხებმა ერთმანეთს ხელები გადააჭდეს, ფერხულის ცეკვის დროს რომ იციან ისე, და წყალში შევიდნენ. წყალი გააფთრებით ეძგერა მათ და ჯაშინიკას, რომელიც ყველაზე მსუბუქი და ჩია ტანის კაცი იყო, ფეხქვეშ მიწა გამოაცალა. სიმონამ შესძლო მისი შეკავება. ამათში სიმონა ყველაზე ძლიერი და მაღალი გახლდათ.

მდინარე არ იყო ღრმა, მაგრამ სწრაფი დინება წინ წასვლის საშუალებას არ იძლეოდა. დიდის ვაივაგლახით მოთარეშეებმა გააღწიეს გაღმა. აქ ისინი ქვიშაზე დასხდნენ, ტანსაცმელი გაწურეს და ისევ ჩაიცვეს. შემდეგ ამ ადგილების მცოდნე ჯაშინიკა წინ გაიძღოლეს და ხეებით და ბუწკნარით დაფარულ ვიწრო ხევს მიყვნენ, სადაც წყლის ჩუმი ლიკლიკი ისმოდა. კარგა ხანს იარეს წელამდე ქვერში, მერე თავქვე დაეშვნენ და გავაკებულ თხემზე შეჩერდნენ. იქვე ახლოს, მიტოვებული გომურის თუ ნალიის სილუეტი შეამჩნიეს. ეს ნალია ტყის პირზე იდგა. მიუახლოვდნენ ნალიას. მიწაზე მორები ეყარა, გათლილი და გასხეპილი. ტყის მჭრელების სადგომი თუ იყო აქ. ქვემოთ, თურქთა ბანაკში, კოცონების შუქი მოჩანდა.

— რა ვქნათ ახლა? — იკითხა ჯაშინიკამ.

— მე მეძინება, ბაბა, სად ვსდიო თათარს ამ უკუნეთში?! — დაამთქნარა სიმონამ.

ამაზე თანდილამ თქვა: სიბნელით უნდა ვისარგებლოთ, ბიძია, თუ არა სინათლეში თათარი ახლოს რას მიგვიშვებსო.

— პაწა თუ არ წევიძინე, ვერ ვივარგებ კაცად, — განაცხადა სიმონამ.

არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. სიმონა ნალიაში აძვრა, თივაში დაწვა და დაიძინა. მაშინ დანარჩენებმა გადაწყვიტეს სიმონა აქ დაეტოვებინათ და თვითონ გაეგრძელებინათ გზა თურქთა ბანაკისაკენ. თქმა და აღსრულება ერთი იყო.

სანამ სიმონას ეძინა, ალია, თანდი-

ლა, ბექანა და ჯაშინიკა გზას დაადგნენ. რასაკვირველია, არავითარი გზა არ იყო. წყვდიადს ცა და ხმელეთი გაეერთიანებინა და მხოლოდ შორეული ცეცხლების კიანთი რჩებოდა გეზის მანიშნებლად. ისინი ხან გაუვალ ჯაგებს წააწყდნენ, ხან სასაზღვრო მესერს, ხან ღელეს, ერთ ადგილზე ნახირიც კი დააფრთხეს, მაგრამ მიმართულება არ შეუცვლიათ. წინ დაუდგრომელი და ცქვიტი ჯაშინიკა მიძვრებოდა მეძებარი ძაღლივით, მას თოფმოღერებული ალია მიჰყვებოდა. როცა მამლების პირველი ყივილი გაისმა, მოთარეშეები თურქთა ლაშქარს მიუახლოვდნენ. ტყის განაპირას წერწისა და მოცვის ბუჩქებში ჩაცუცქდნენ და თვალთვალი დაუწყეს ბანაკს. ყველაზე განაპირა კარავთან კოცონს თავზე ფესწამოკოსებული თურქი ჯარისკაცები შემოსხდომოდნენ, რომლებსაც ნახევარ მთვარესავით მოღუნული ხმლები ეკიდათ, ხოლო თოფები ერთმანეთზე აეყუდებინათ და შეეკრათ, როგორც ჩალის ზვინს კრავენ ყანაში. ჯარისკაცები ბაასობდნენ, ზოგიერთები იქვე, ცეცხლთან იწვნენ და ეძინათ. უფრო ახლოს მისვლა შეუძლებელი იყო. თანდილა, ალია, ბექანა და ჯაშინიკა ბუჩქებში ისხდნენ, სველი ტანსაცმელი ტანზე ეკვროდათ, სიცივისაგან სახე გალიგვებოდათ და ცხვირიდან წუწები ჩამოსდიოდათ.

— ჭკვიანი კაცი ყოფილა, ძამა, სიმონა, ქე წევს ახლა თბილად თივაში და ძინავს არხეინად, — ჩაიჩურჩულა ბექანამ.

მაშინ თანდილა ფეხზე წამოდგა და ალიას მიმართა:

— ერთი დოუგრუხუნე მაგენს თოფი და მერე მე ვიცი!

აქ უნდა ითქვას, რომ თანდილა იყო ჯირკვივით ჩაკუნძული, საშუალოზე ოდნავ დაბალი კაცი. ჯაგარივით უხეში და ნახშირივით შავი თმა ერთმანეთზე გადანასკვულ სქელ წარბებამდე ჩამოსდიოდა და შუბლის ვიწრო ზოლს ტოვებდა. ის იყო სიტყვაძუნწი და გულჩახვეული, საშინელი ძალღონის პატრონი. კაცი პირქუში და ქვე[illegible] რი. მართალია, ჯაშინიკასებ[illegible] რტე და მოქნილობა აკლდა, არც სიმონას მკლავის ძალა გააჩნდა, მაგრამ ეს ღრჯო კაცი ისე მყარად იდგა მიწაზე, რომ მისი დაძვრა ძნელი საქმე ჩანდა.

როდესაც ალიამ მხრიდან თოფი გადმოიღო და თათრებს სცეცხლა, თანდილამ ხანჯალი იძრო, ერთი გულშემზარავად დაიღრიალა თავისი მქისე ხმით და საფარიდან გამოვარდა. პირველსავე თურქს ყელში ტარამდე ჩასცა ხანჯალი, უმალვე ამოაძრო და მეორეს მუცელში აძგერა. ვიდრე მოულოდნელობისაგან დამფრთხალი თურქები გონს მოეგებოდნენ, თოფების შეკვრას ხელი სტაცა და უკანვე გავარდა, ტყისაკენ, სადაც ამხანაგები ეგულებოდა. მირბოდა და მისდევდა ყიჟინი, თოფის ხმა. თხრილს გადაევლო, სადღაც წყვდიადში მიმავალ ამხანაგებს შესძახა, არიქა, თავს უშველოთო, და ძეძვში ძურწა თავი. გაავებული ნადირივით მირბოდა ღრანტეებში, ეკლიან ბუჩქებში ტანსაცმელი შემოეფლითა, ცალ ხელში ისევ სისხლიანი სატევარი ეჭირა და იღლიაში ამოდებულ თოფებს მაგრა უჭერდა მკლავს. თანდილამ კარგა ხანს ირბინა იმ ყიამეთში, ბოლოს ძალა გამოელია და ხის ძირში დავარდა.

იღლიაში თოფებამოდებული თანდილა რომ თხრილს გადმოევლო და ტყისკენ გამოქანდა, ალიამ კიდევ ერთხელ გაისროლა თოფი. ამის შემდეგ, ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ შტოების ლიწინი ისმოდა შორიდან, ტევრში შევარდნილი თანდილასაგან ატეხილი. ყოველივე ეს, ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ თურქები ვერც კი გარკვეულიყვნენ ადამიანი დაესხათ თუ ავი სული. მერე თურქები გონს მოვიდნენ, წამოიშალნენ, ხელი დაავლეს მაშხალებს, თოფებს, ხმლებს და აყვირდნენ, აწრიალდნენ, დამფრთხალი ცხენები აჭიხვინდნენ, კანტი-კუნტი სროლაც გაისმა. რამდე-

ნიმე ჯარისკაცი, სხვებზე გულადი, ტყისკენ გამოეშურა. საფარში მყოფი გლეხები ფეხზე წამომდგარიყვნენ და ის-ის იყო გაქცევას აპირებდნენ, რომ ბრმა ტყვია შიგ გულში მოხვდა ბეჟანას. ბეჟანამ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, ისე დალია სული.

— არიქა, თავს ვუშველოთ! — შესძახა ალიამ ამხანაგის გვამთან დახრილ ჯაშინიკას და მოუსვა. ჯაშინიკამაც უმალ მისდია, მაგრამ ისე იყო თავზარდაცემული რომ ნარ-ეკალში გაიხლართა, ველარ გაარღვია ძეძვი და გრაკლა. ამხანაგის სიკვდილის შემყურეს, გული გამალებით უცემდა და ღონეც გამოლეოდა. მაშინ ჯაშინიკამ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, მაღალ კოპიტზე აძვრა და კენწეროში გაინაბა. თურქი ჯარისკაცები ტყეში შემოვარდნენ. თოფები მოემარჯვებინათ, ხელში ანთებული მაშხალები ეჭირათ. ისინი მაშხალებით ანათებდნენ ბუჩქებს, ათვალიერებდნენ მიდამოს და ცდილობდნენ ერთმანეთს არ მოშორებოდნენ. ბოლოს იმ ხის ქვეშ მოგროვდნენ, რომლის ერთ-ერთ შტოზე ჯაშინიკა იჯდა. შიშისაგან სულგანაბული ჯაშინიკა ხედავდა იმათ ფერწასულ სახეებს, ძრწოლა-ბოლმა და რისხვა თანაბრად რომ აღბეჭდილიყო ზედ. თურქები ილანძღებოდნენ და თათბირობდნენ. ამ ყოფაში იყვნენ, როდესაც ერთ-ერთი ასკერი ბეჟანას გვამს წააწყდა. მან გულგამგმირავი ღრიალით მოუხმო დანარჩენებს, ხმალი იძრო და ვიდრე სხვები მოცვივდებოდნენ, ერთის მოქნევით მოსხიპა თავი ბეჟანას უსულო სხეულს. მეორე ასკერმა ხიშტზე წამოაგო გასისხლიანებული თავი. დანარჩენებიც გამხნევდნენ, მიხვდნენ რა, რომ ავსულებთან არ ჰქონდათ საქმე. მიესივნენ გვამს და ფეხებით გათელეს. ეტყობა, თურქებმა ბეჟანა მიმიჩნიეს ერთადერთ თავდამსხმელად და რაკი ბეჟანას გაუსწორდნენ, „შაითან, შაითანის", ძახილით დაბრუნდნენ ბანაკისკენ, დაშოშმინებულნი. ხიშტზე წამოგებული თავი ბეჟანასი თან წაიღეს. ყოველივე ეს, ხის კენწეროზე შესკუპული ჯაშინიკას თვალწინ მოხდა.

ამასობაში, ალიამ ულრან ტყეში შეაღწია და თავი სამშვიდობოს დაიგულა. შეჩერდა, მიწაზე დაჯდა და სული მოითქვა. მერე ყური მიუგდო სიჩუმეს, მაგრამ არავითარი ჩქამი არ ისმოდა ტყეში. მაშინ ალია წამოდგა და ფრთხილად დაიძახა:

— ჯაშინიკა!

არავინ გამოეპასუხა. ალიამ თოფი დატენა, მოიმარჯვა და უკან გაბრუნდა. საფრთხეგამოვლილს უმძიმდა უკან მიბრუნება, მაგრამ სინდისიც ქენჯნიდა მიტოვებული ამხანაგის გამო. რაც უფრო უახლოვდებოდა თურქთა ბანაკს, მით უფრო ემატებოდა მხნეობა და სულ უფრო და უფრო ხმამაღლა უხმობდა ჯაშინიკას. ჯაშინიკას ბედმა იმდენად შეაშფოთა, რომ სიფრთხილეს აღარ დაგიდევდათ.

ასე ძახილ-ძახილით ქაცვიან კორდს აუყვა, სერი გადაიარა, ერთ ალაგას თხილის შტოები გასწი-გამოსწია და პატარა მინდორზე გავიდა. ტყე თითქოს მკვდარი იყო, ყრუდ დუმდა ყოველივე. ირგვლივ განუჭვრეტელი უკუნი ჩამოწოლილიყო, მაგრამ მინდვრის შუაგულში მაინც შეამჩნია უცნაური აჩრდილი კუნძზე მჯდარი არსებისა. ეს არსება ალიასკენ ზურგშექცევით იჯდა. ალია ბუჩქებში გაინაბა და რამდენადაც კი შეეძლო, მხედველობა დაძაბა. საშინელ წყვდიადში ისმოდა მხოლოდ ფაჩუნი. რომელსაც უცნაური არსება გამოსცემდა. ის სავსებით შიშველი იყო, ტანი სქელი ბანჯგვლით ჰქონდა დაფარული, ჯარჯივით აბურძგვნილი თმა მხრებამდე ჩამოშვებული. იჯდა უძრავად ჩაბურული ხეებით გარემოცულ მინდორში და ტანს იფხანდა. ფხანის ჩუმი ხმა შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა ალიას, ასეთი რამ არასოდეს განეცადა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ვერც კი მიმხვდარიყო, შიშს შეეპყრო თუ გაოცებას. მონუსხულივით შესცქეროდა ჯირკზე ჩამომჯდარ

თჩოკოჩს და გრძნობდა: ამგვარად მაშინაც კი არ შეშინებულა, როცა სულ ცოტა ხნის წინ, ხმალამოწვდილი თურქები ავი გნიასით შემოცვივდნენ ტყეში, სადაც უკვე მიწაზე ეგდო ტყვიით განგმირული ბეჟანა...

მერე ალიამ წყვდიადიდან გამოკვეთილი ბანჯგვლიანი სილუეტი მოჩვენებად ჩათვალა. როცა გაიფიქრა მეჩვენებაო, შვების მსგავსი სიხარული განიცადა. მაგრამ ფხანის ხმა, დაგუბული ბურდღუნი და მთქნარება, — რაღაც არსების არსებობის დამადასტურებელი, — ცივი საგანივით შეეხო ისევ მის სმენას და ცნობიერებას. მაშინ ალიამ გადაწყვიტა უჩუმრად გასცლოდა აქაურობას. ფრთხილად მობრუნდა, ისე რომ ერთი ფოთოლიც კი არ შეურხევია, და ფეხაკრეფით გაუდგა უკან იმ ბილიკს, რომელმაც აქეთ მოიყვანა. ქურდივით მიიპარებოდა, ყოველგვარი გაფაჩუნება გულში ეკალივით ესობოდა, ჯაშინიკას დაძახება თავში აზრადაც კი არ მოსდიოდა. კარგა ხანს იარა, სულგანაბულმა, ღიჭიანებში და უეცრად, გადამტყდარი ფიჩხის ლიწინი მოესმა. ადგილზე გაქვავდა და დაიძაბა. ლიწინი განმეორდა, აშკარა იყო ვიღაც მოდიოდა ბილიკზე, კაცი ან მხეცი, შტოებს აქეთ-იქეთ სწევდა და აშრიალებდა. ალია ხის ტანს აეკრო და თოფი შემართა. ჩირგვებიდან ყაბალახიანი კაცი გამოძვრა და ალიას ზედ ცხვირწინ ჩაუარა. ამ უცნაურ კაცში ალიამ თანდილა შეიცნო და ხმადაბლა დაუძახა:

— თანდილა!

— რომელი ხარ?! — იყვირა უცებ თანდილამ, განზე გახტა გველნაკბენივით და სატევარი დააძრო.

— ალია ვარ, კაცო!

— უჰ, დაგექცა ოჯახი! — შვებით ამოისუნთქა თანდილამ და ხანჯალი ქარქაშში ჩააგო.

ამის შემდეგ ალიამ ბეჟანას სიკვდილი აუწყა თანდილას. თანდილა ძალიან შეწუხდა და ჯაშინიკა მოიკითხა. ჯაშინიკას ამბავი არც ერთმა იცოდა და არც მეორემ. მაშინ უკან დაბრუნება გადაწყვიტეს ამბის გასაგზავნად. თანდილას ოთხი ნაალაფარი თოფი ჰქონდა თან. ერთი თოფი ალიას გადაჰკიდა, სამი თვითონ გადაიკიდა და გაუდგნენ გზას. კარგა ხანს იბოდიალეს ტყეში, სანამ თურქთა ბანაკიდან კოცონების ციმციმს შეამჩნევდნენ. ფრთხილად მიუახლოვდნენ თავიანთ ადრინდელ სამალავს. ხელიგულივით გადაეშალათ თვალწინ ბანაკად მდგარი ჯარი. ბანაკში სიწყნარე სუფევდა. სწორედ ამ დროს, მეორედ იყივლეს მამლებმა. თანდილამ ცას აჰხედა და შეამჩნია, როგორ შეჰპარვოდა მღვრიე ნაცრისფერი კუპრისფერ ტატნობს.

— არ დაგვათენდეს აქანა, — უთხრა მან ალიას.

ალიამაც აჰხედა ცას და უცებ ციდან ძახილი შემოესმა:

— ალია, ალია!

ალია და თანდილა ერთმანეთს მიაჩერდნენ, მაგრამ ხმა არცერთს არ ამოუღია. ორივენი გასუსულნი იდგნენ. ერთხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის მერე გარკვევით გაისმა ძახილი ციდან:

—ალია! თანდილა!

— ბიჭო, ბეჟანას სული ხომ არ გვიძახის? — შემკრთალი ხმით იკითხა თანდილამ.

— რა ვიცი მე? ტყის კაცი ქე ვნახე ამალამ და... — ჩურჩულითვე უპასუხა ალიამ.

— სად ნახე ტყის კაცი?

— საცხა, ტყეში!

— ეგებ, გამოგვსდია, ა?

— ალია! თანდილა! ჯაშნიკა ვარ, აგერ, ხეზე! — ხელმეორედ გაისმა ძახილი ციდან.

მაშინ თანდილა გაბრაზდა და საკმაოდ ხმამაღლა იყვირა:

— ჯაშინიკა თუ ხარ, ქე ჩამოეთრიე ძირს!

მართლაც, ამ სიტყვებთან ერთად, გაისმა ფოთლების სუსტი შრიალი, ჯაშინიკა ციყვივით უჩუმრად ჩამოყვა ხეს და გაოცებულ ალიას და თანდი-

ლას გამოეცხადა. თანდილას და ალიას გაუხარდათ ჯაშინიკას დანახვა. თანდილამ ერთი თოფი მოიხსნა და ჯაშინიკას ჩამოჰკიდა.

— რა გინდოდა, ბიჭო, ცაში? — ჰკითხა მერე.

— ცაში კი არა, ხეზე ვიჯექი, — უპასუხა ჯაშინიკამ და უამბო, რაც მოხდა აქ, მათი გაქცევის შემდეგ. ბექანას ამბავმა ალია და თანდილა ერთობ დაამწუხრა.\ჯაშინიკა ჩირგვებში გაძვრა-გამოძვრა და ამხანაგები ბექანას ნეშტთან მიიყვანა. ცხედარი საშინელი სანახავი იყო. მთელი სხეული დამტვრეული და დალეწილი, სისხლში და ტალახში მოსვრილი, დაკეპილი ხორცის გროვა. წაჭრილი თავის ადგილზე სისხლის გუბე იდგა. სამივენი ატირდნენ. რის ვაივაგლახით მოჩიჩქნეს მიწა და შელანძღულ გვამს მიაყარეს. ამის შემდეგ, ალია წელში გაიმართა და ბოღმიანად თქვა:

— ჩვენ ვიყოთ ძაღლის შვილები, თუ მაგ ურჯულო თათრებს ბექანას სისხლი არ ვანთხევინეთ!

— ამენ, ძმაო, — დაუდასტურა ჯერ თანდილამ და მერე ჯაშინიკამ.

— აბა, დავსცხოთ მაგ ძაღლიშვილებს!

— დავსცხოთ, — თქვა თანდილამ, — თოფები ქე გვაქვს. რიგრიგობით ვისროლოთ, ხან ერთმა, ხან მეორემ, ხან მესამემ, თუ არა თოფის დატენას ვერ მოვასწრებთ. ხეებს ამოვეფაროთ. თუ გაგვიჭირდა, ქე გევიქცეთ. რას მოგვძებნიას ამ უკუნში მაგ ბრუტიანი თათრები?

— დევიწყოთ? — იკითხა ალიამ.

— დევიწყოთ! — გასცა ბრძანება თანდილამ.

ატყდა ბათქა-ბუთქი. ჯერ ერთხელ გავარდა თოფი, მერე მეორედ, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ...

ისევ აწრიალდა ოსმალთა ბანაკი. ისევ გაისმა დამფრთხალი ცხენების ჭიხვინი. ნამძინარევი ჯარისკაცები წამოიშალნენ და თავგზააბნეულნი გარბოდნენ სადღაც. აირ-დაირია მტრის მარჯვენა ფლანგი, მეზარბაზნეებმა ზარბაზანი გამოაგორეს და მისცხეს ტყეში მიმალულ უხილავ მოწინააღმდეგეს, ქართველთა ბანაკში კი, მდინარის გაღმა, ვერაფრით ვერ გაეგოთ თურქთა ესოდენ უჩვეულო აწრიალების მიზეზი.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## მკვდარი სახლის კივანზე

სიკვდილი ყველა შავი არის,
        ვინ თქვა ნათელი,
მაგრამ თუ მკითხავთ,
        სულ ყველაზე შავი სიკვდილი
არის ის,
        როცა იღუპება ოჯახი მთელი:
როს სახლი კვდება, კარი რჩება გამორაზული
და არ მიგიღებს არც ბავშვი და არც ხანდაზმული.

ამასწინ წვიმა შემომესწრო მიმავალს მთაში
და შევველ სახლში, ომის გამო მოკვდა რომელიც,
ივლისი იდგა, მე კი ყინვა ვიგრძენი მაშინ —
აკი სიცივე არის სიკვდილს განუყოფელი.
მე შევიხედე ფანჯარაში და ელდა მეცა —
თითქოს სიკვდილმა შემომხედა იქიდან ბეცად
და საწოლებიც აჭრიალდნენ ცივი ჭრიალით,
იქიდან შავი სუდარები გადმოსრიალდნენ...
და შემეშინდა — ვაჟკაცობას რა აიწონის,
მაგრამ კედლებს რომ მივაშტერდი, მომეცა გონი —
მე კედლებიდან სურათები დაღუპულების,
ისე მიმზერდნენ, თითქოს ახლა ჩასწყდათ გულები,
თითქოს ახლაღა გაიგესო თვისი სიკვდილი,
შვილს მამამისი შეებრალა — მამას კი შვილი.
შესაბრალისი იყო ცქერა მათი ტანსაცმლის...
ომი სარკესაც ნუთუ თავის მჭვირვალ გარსს აცლის —
რადგანაც აღარ ირეკვლოდა მასში მზის თვალი.

მე იქ ნანახმა მკვდარმა სახლმა, განცდილ-ნაფიქრმა,
გადამაფრინა ჩემი ზღვების და მთების მიღმა:

დღეს ოკეანის გაღმა სჭედენ ბომბს ნეიტრონის,
რათა შეიქმნენ მეტი რიხის და ძალის მქონნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ამ სახლის ბედი ყველამ გაიზიაროს,
და ევროპელმაც ამერიკის ჭკვაზე იაროს.
რომ განალაგონ რაკეტები, სურთ ევროპაში,
რომ ყველას სარჩო მოაქციონ ერთს მთლიან ყბაში,
ბჭობენ შეყრილნი ერთად, როგორც შავი ყორნები.
როგორ გაწყვიტონ ხალხი, ხოლო მათი ქონების
პატრონი თვითონ როგორ გახდნენ...

ვცდილობდი თავი დამეღწია ფიქრისთვის, წვიმა
კვლავ გაძლიერდა, ისე, როგორც დიდი ხნის წინათ,
კვლავ ახმაურდა იატაკზე წვიმის წვეთები,
— სად ხარ პატრონო, სახლი დაგრჩა შესაკეთები!
პატრონს კი სახლი თურმე უკვე აღარ სჭირდება
და სახლიც წვიმით თურმე თავის სიკვდილს სტიროდა...

* * *

გათხოვდა ჯერ რძეშეუშრობელი,
ვით ვაშლის ნერგი, ნორჩი, პატარა,
ახარა სიძე, ხოლო მშობელი
თვალცრემლიანი გზებით ატარა,

ვის შევადარო მე ის ასული?
კვლავ ვაშლის ნერგი მომაგონდება,
— ადრე რომ გაშლის კვირტს
სულწასული
და გაზაფხულს ვერ დაელოდება.

## ის, შორეული, სისხლიანი სურათი

სმენას სწვდებოდა შორი ხმა სროლის,
იქ, ტუაფსესთან ომი შხიოდა,
მზის სისხლით წითლად ჩანდა ცის
ზოლი,
შავ-მეწამულად გამოსჭვიოდა.
ო, არასოდეს მაჩვენა, ვნატრობ,
სანაპიროზე ძველი სურათი,
დაე, მზე წითლით ფერავდეს ტატნობს,
ფერით, რომლითაც ჩვენ ვართ გულადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დღეების წიგნი

ჰგავს ყოველი დღე
    არდაწყებულ მოთხრობის ფურცელს —
სწერენ სულ ახალს —
    მაგრამ მუდამ ძველსა და უცვლელს.
სწერენ,
    მრავლად ჰყავს ავტორი და თანაავტორი,
მხვნელი, მთესველი, მეცნიერი, ავიატორი.
მას სწერენ — მინდვრად
    და ყამირის ლიანდაგებზე ,
მდინარეებზე,
    ზღვის გემებზე, მკვიდრად ნაგებზე,
მას სწერენ — სადაც მზე ანათებს
    მაღალ მთის წვერებს
და ხალხით სავსე მიტინგებზეც იმასვე სწერენ.
სწერენ ცის თაღზე
    ნაჯაფარი და მტკიცე ხელით...
და როცა ერთად მოიყრება
    ნაშრომი მთელი
მას დაერქმევა დღის მოთხრობა,
    რომელიც შევა
კრებულში —
    მყუდრო, მშვენიერი სახელით — „წელი“.
...ვდგავარ ზღვის პირას,
ცაზე მკვეთრად გამოკვეთილი
მზე ამობრწყინდა,
    — იმ მოთხრობის ბოლო წერტილი...

## გულის ფრთები

გულის ფრთები

ძველზე ძველი ფრთებია...

თვითმფრინავიც

სიმაღლეებს

თუკი შეჰიდებია

ისევ გულის ფრთების მადლი
და იმედი ხლებია.

და თუკი დღეს რკინის ფრთებით
მოვიარეთ ცის კიდე,
ამით მხოლოდ გულის ფრთების
ვალი გამოვისყიდეთ.

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე თარბა

# ამზაჭა

## რომანი

აფხაზური მარულის ცხენივით მიჰქროდა დრო.

სკოლა, რომ დავამთავრეთ, იმ საღამოს შეკრება გვქონდა. ჩვენს გასაცილებლად მოვიდნენ უმცროსკლასელებიც, ერთი სიტყვით, მთელი სკოლა გვაცილებდა. ადაც აქ იყო. ჩემს წინ იჯდა, სულ ახლოს. მასთან ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ მეუხერხულებოდა. ისიც წრიალებდა (მე ასე მეჩვენებოდა), წამდაუწუმ ჩემკენ ბრუნდებოდა. ხვალიდან უკვე აღარ გვიწევდა სკოლისკენ ერთად სიარული. ამას იქით სკოლაში სტუმრად თუ მოვიდოდი.

დღეის იქით ყოველდღე სკოლამდე რომ მიმეცილებინა ადა, ხალხი რას იტყოდა?

მძიმე დღე დამადგა. თუ ამზაჭაში დავრჩი, სხვა ადგილი უნდა მოვნახო შესახვედრად, მაგრამ სხვა ქალაქში თუ წავედი სასწავლებლად? მაშინ როგორ წავა ჩემი საქმე? რაღა ვქნა?

იმ საღამოს გავბედე.

„ადა, უჩემოდ არ წახვიდე. დამელოდე. ალხასი".

პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც უკანვე დამიბრუნა, ერთადერთი სიტყვა ეწერა: „კარგი". ადას სახლს რომ მივუახლოვდით, მაშინღა ამოვღერღე:

— გული მწყდება, რომ სკოლა დავამთავრე.

— შენ იმაზე გწყდება გული, რომ სკოლა დაამთავრე, მე კი ჯერ სადა ვარ, მთელი ორი წელი წინა მაქვს, — შეშურდა ადას.

— ორი წელიწადი ისე ჩქარა გაივლის... ვერ წარმოიდგენ, ისე ჩქარა და დაამთავრებ სკოლას... ჩემსავით... მე.. სკოლას თუ როდისმე დავამთავრებდი, არ მეგონა, ახლა კი გული მწყდება.

— შენ რა გიჭირს! გზა ხსნილი გაქვს.

— სათქმელად ადვილია. გზაში რომ დავრჩე?

— ეგ წარმოუდგენელია. ალხას, სად გადაწყვიტე სწავლის გაგრძელება?

— მე? აკადემია მინდა დავამთავრო, სამხატვრო აკადემია. თბილისში.

გაგრძელება. იხ.. „მნათობი", № 8.

— რა კარგია თბილისი! — აკადემიაზე უფრო ქალაქი რომ მოსწონდა, ვერ დამალა, — თბილისში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, მაგრამ თვალიდან არ მცილდება. რა ქალაქია! რა ბედნიერი ხარ, ალხას!

— ბედნიერება ჯერ სადაა. მოვხვდები, რო?

— მოხვდებიო? მოხვდები, აბა, არ მოხვდები? მაგრამ თბილისი რომ გაგიტაცებს, ყველა და ყველაფერი დაგავიწყდება.

— ეგ რა თქვი, ადა! მე შენ არასოდეს დამავიწყდები, არასოდეს! — წამოვცდა.

— იქ ბევრი რამ მოგხიბლავს! — დაიბნა ადა. — ამზაჲას კი არ ჰგავს თბილისი.

— მე ამზაჲა ყველაფერს მირჩევნია.

— ახლა ასე გგონია, მაგრამ რომ მიიხედ-მოიხედავ... მერე ყველაფერი დაგავიწყდება... ყველაფერი...

—არასოდეს!

— ვნახოთ!

— ვნახოთ!

— ამაღამ, ხედავ, როგორ ანათებს მთვარე? — თავი ასწია და მოკაშკაშე ცას ახედა ადამ.

მისმა სიტყვებმა დამაფიქრა. აქამდე მე მას მაინც როგორც მოსწავლე გოგონას ვუყურებდი და მორიდებით ველაპარაკებოდი. ახლა მივხვდი, რომ მან მშვენივრად იცოდა მთვარის მნიშვნელობა, როცა ქალიშვილი და ჭაბუკი ღამეს შეფარებულნი საუბრობენ, — არსად ისე არ ანათებს მთვარე, როგორც ჩვენს სოფელში. — დაამატა მან.

— აბა, ტყუილად ჰქვია ჩვენს სოფელს ამზაჲა? ასეც უნდა იყოს.

დიდხანს შევყევით საუბარს. ბოლოს ისევ ადა გამოერკვა და შეიცხადა.

— ღმერთო, რა მეშველება, გაგიქეცი, თორემ შავ დღეს დამაყრიან.

თქვა და გაიქცა.

— ადა! — დავუძახე, თითქოს ამით უნდა მეთქვა ის მთავარი სათქმელი. ღამეში მიიმალა.

კარგახანს გაოგნებული ვიდექი. სახლისკენ წამოვედი, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა, დავდიოდი მთელი ღამე სოფელში. გორაკზე ავედი. შევყურებდი დიდ მთას — ყიანტაზს, რომელიც ჩვენს სოფელს თავზე ადგას. მზე და მთვარე ვერ სძლებენ უიმისოდ. დილაობით თუ ყიანტაზმა გზა არ მისცა მზე ისე ვერ გამოჩნდება. ეს ყველამ იცის.

მაგრამ მთვარე?

მთვარეც სადღაც სოფლის იქით ნამგალივით ჩნდება, ღრუბლებს ცელავს, გზას იკაფავს და სოფლისკენ მოემართება, მერე ალერსიანი, გაწმენდილი, ქათქათა გამოდის ღრუბლებიდან და ყიანტაზს ადგება თავზე. აქ კოხტავდება, იღებს იმ იერს, მშვენიერს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და ისე ადგება თავზე ყიანტაზს, თითქოს მთა მისთვის სარკე იყოს, დიდხანს სამზერი.

ჩემი სოფელი ამზაჲა!

ახლა აქ ჩემსავით ყველაფერი ხარობდა, ფიქრობდა, ლაპარაკობდა, ოცნებობდა, იტანჯებოდა.

ასეთი ღამის მიტოვება და შინ წასვლა ახლა არ შემეძლო.

ეზოში რომ შევედი, გათენდა — კიდეც.

ჩემი სოფელი ამზაჲა!

ამზაჲა, სადაც მთის ცივ წყაროსავით ამოჰყო თავი ჩემმა სიყვარულმა!

ადა მედგა თვალწინ, ძილი არ მეკარებოდა.

ცხადი სურათი სიზმარში ვერ გადამქონდა.

8

კრებაზე ერთი ვაი-ვიში და ყაყანი იდგა. სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ ვხვდებოდი კი, რომ კარგს არაფერს ამბობდნენ. ძნელი მისახვედრი არც იყო.

ჩვენ გვჭორავდნენ: ფარნას, გალინას და მე.

ბევრი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა გავათორმეთ. შორს, ახლ შეკვეთას რომ ვასრულებდით, სოხუმ-

ში გამოგვიძახეს და სამივეს საკითხი მხატვართა საერთო კრებაზე გაიტანეს.

— ჩვენი რა ბრალია? — წამდაუწუმ გაიძახოდა ფეხიფეხგადადებული გალინა. — შეკვეთებს ეგ იღებდა, ჩვენ მხოლოდ ვეხმარებოდით...

ამას ჩემზე ამბობდა.

— ჰო, ჩვენ მხოლოდ ვეხმარებოდით, — ბუზღუნით უკრავდა კვერს ფარნა, — ხელშეკრულებებს ეგ აწერდა ხელს.

— ძალიან კი დაეხმარეთ, თქვენმა მზემ, ძალიან! ფეხზე დადგომა არ დააცალეთ ბიჭს, ისე შეუვარდით წელში. თქვენს ანკესს ეგ ლიფსიტა კი არა, ღლავიც ვერ გადაურჩება!

— კარგი, ერთი! ეგ თქვენ მამა აბრამის ბატკანი და ანგელოზი ნუ გგონიათ, შებერტყილი ჯეელია. პატიოსან მხატვრებს ჩირქი მოგვცხო, სახელი გაგვიტეხა!

— მართალია, მართალი!

— სულაც არ არის მართალი! მაგ თქვენს გალინასა და ფარნას ვიცნობთ, რა ხვითოებიც არიან!

— იმათაც რა ქნან? ყველას უნდა რაღაცის გაკეთება, ვისაც როგორ შეუძლია, ისე შოულობს ფულს.

— ჩვენ, რა, რითი ვართ მაგათზე ნაკლები?

— ვითომ, იმ შეკვეთებს ჩვენ ვერ შევასრულებდით?

— თქვენც მოძებნეთ, ძმაო, სამუშაო, ვინ გიშლით, რო?...

— სადმე თუ რამე იყო, თქვენ დააცხრებით ხოლმე, ჩვენ ვინ რას მოგვაშავებს?

მხედარი რომ ცხენს ვერ დაიმორჩილებს და აღვირს რომ მოუშვებს, ისე მიუშვა კრება თავის ნებაზე თავმჯდომარემ. ჩანდა, გამოცდილი კაცი იყო, კრებებზე ჭიპი ჰქონდა მოჭრილი. მოვარდნილ ღვარცოფსა და თავსხმას ჰგავდა კრება და თავმჯდომარეც უცდიდა, როდის დამთავრდებოდა წყალდიდობა.

ასეთი რამ არასოდეს მენახა. მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი ,მერჩია. დანა რომ დაერტყათ, სისხლი არ გამომივიდოდა. ასე მეგონა, ნება რომ მიეცათ, ეს ხალხი ამკუწავდა.

„მართალია, შეკვეთები ჩემს სახელზე იყო გაფორმებული, მაგრამ ფარნამ და გალინამ არ მითხრეს, ასეა საჭიროო? ახლა ყველაფერს მე მაბრალებენ, თვითონ კი ხელს იბანენ, აედგები და კრებას მოვახსენებ ყველაფერს, მაგრამ, ვითომ, გამიგებენ და დამიჯერებენ?“

შეძრწუნებული ველოდი, როდის ამაყუდებდნენ კედელთან და დამსვამდნენ საბრალდებულო სკამზე.

კრების მონაწილეებმა ჩვენი ლანძღვა-გინებით გული იჯერეს. ზოგი გვიცავდა. რომელი მხარე დამარცხდა, ვერ გამეგო. ბრძოლის დამთავრების შემდეგ კანტი-კუნტი სროლა რომ გაისმის, ისე ისროდნენ რეპლიკებს ხან აქედან, ხან იქიდან.

— აბა, ამხანაგებო, ახლა ვთქვათ, რისი თქმაც გვინდა, — თითქოს რაც აქამდე ითქვა, წყლის ნაყვა იყო და კრება ახლაღა იხსნებაო, ბრძანა თავმჯდომარემ. — დავუჩქაროთ, ამხანაგებო, დავუჩქაროთ!

ტყავი გაგვაძრეს, მერე ის ტყავი ჯოხზე ააცვეს და იმდენი აფრიალეს, ვიდრე არ დაიღალნენ.

დაბალი ღობე მე აღმოვჩნდი და გადამიარეს, გადამთელეს.

— თავიდანვე რომ ასე დაიწყო, მერე, ალბათ, პირიდან გამოგვაცლის ლუკმას.

— ეგ ჩვენ დაგვინდობს?!

— რა მაგისი ბრალია, გამოუცდელია, გარეწრებმა ხელი შეახოცეს, ვერა ხედავთ?

— ეყოფა, რაც მოხვდა, საზღვარი აქვს ყველაფერს.

— ნამდვილი დამნაშავეები კი მშრალად ამოვიდნენ წყლიდან.

მდუღარეში ამოვლებული ქათამივით გამოვედი კრებიდან...

სანაპიროზე გავედი.

ზღვას სულაც არ ედარდებოდა, ვის

რა აწუხებდა ამ ცოდვამადლიან დედამიწაზე.

არც გალინას და ფარნას დაადგა კარგი დღე, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მაინცდამაინც დიდად არ შეწუხებულან. შუბლის ძარღვი, ალბათ, გაწყვეტილი ჰქონდათ და ფურთხის მოწმენდას შეჩვეოდნენ.

„რა ვქნა, როგორ მოვიქცე, მომეჭრა თავი...“

— არა უშავს, არ მომხდარიყო, კარგი იყო, მაგრამ ახლა წამხდარი საქმის გამოსწორებაზე უნდა იფიქრო, — ხუტა არძინბა დამდგომოდა თავზე.

პასუხის გაცემა არ შემეძლო.

— შენს ადგილას, იცი, რას ვიზამდი? სოფელში წავიდოდი, გულს გადავაყოლებდი, იქ საჭირო საქმეს მოვკიდებდი ხელს...

— სათქმელად ადვილია. იქაც იმდენი რამ შემიშლის ხელს.

— მაინც ამზაჭაში ჩასვლა სჯობია შენთვის.

...ამზაჭაში ჩასვლისთანავე, დედის საფლავზე გავედი.

„აგერ მოვედი, დედაჩემო, შენს საფლავთან, მაპატიე, რომ ასე დავაგვიანე... ახლა შენს წინაშე ვდგავარ. ვიცოდი, რომ მაპატიებდი, როგორც ადრე ბევრჯერ გიპატიებია. გმადლობ, დედა, გმადლობ...“

„— კარგი ჰქენი, შვილო, კარგი. მე გელოდი. კაცი ყოველთვის შინ ვერ დაჯდება, მაგრამ სახლის გზა არ უნდა დაივიწყოს, კაცი სხვაგან სტუმარია, სახლში კი მასპინძელია. გესმის, ალხას?“

„მესმის, დედაჩემო ,მესმის“.

„იმ მიწაზე უნდა გაიხარო, შვილო, სადაც შენი მამა-პაპის ძირი და ფესვია. ბევრი სიძნელე შეგხვდება ამ ცხოვრებაში, მაგრამ არ შედრკე, ყველაფერს მოერევი, ყველაფერს, თუ შენი თავის რწმენას არ დაკარგავ... ნუ გეშინია, შვილო! მე აქა ვარ, მე არსად არ მივდივარ! დედა არსად არ მიდის! შვილს არასოდეს არ დატოვებს“.

„გმადლობ, დედა“.

ჩემი სოფელი, ჩემი ამზაჭა! ამაყი, დევივით მხარბეჭიანი, მწვანე ნაბადში გახვეული ამზაჭა. ბებერი, ბებერი, მაგრამ თოთო ბავშვივით ფაქიზი და მშვენიერი ამზაჭა!

მივყვები აალიფრას ნაპირს და სოფლის გზაზე გავდივარ.

— გამარჯობა ალხას! — მესალმებიან აქეთ-იქიდან:

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ.

ყველას აინტერესებს, ისე, სტუმრად ჩამოვედი, თუ...

სტუმრად ჩამოვიდაო, ეუბნება ხალხს ჩემი დედინაცვალი, დასასვენებლად ჩამოვიდაო. მამაჩემიც კვერს უკრავს. სოხუმში ჩემი ყოფნა მას, თითქოს, თანასოფლელთა თვალში ამაღლებს, ზურგს უმაგრებს.

მამაჩემს არ ესმის, რატომაც იმეორებს ასე დაჟინებით ჩემი დედინაცვალი — სტუმრად ჩამოვიდა, დასასვენებლად ჩამოვიდაო...

— ბებიაჩემი, ჯარმხან ბაალოუ-ფჰა, სიხარულით მეცხრე ცაზეა.

სოფელში ჩემი ჩამოსვლა ბებიასთვის კვერცხიდან წიწილის გამოჩეკვასავით ბუნებრივი რამაა. წრიალებს, ფუთფუთებს.

— ჩემი ალხასი ჩამოვიდა, ხალხო, — ეზოდან ეზოში გადადის ბებია, — ყველაზე დიდი უმაღლესი დაამთავრა და ჩამოვიდა, — თან ხელებს ისე მაღლა სწევდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ჩვენს მთებზე დიდია ის უმაღლესიო.

— ალხასი ჩამოვიდა, ალხასი და არც არსად წავა, — იძახდა ჩემი პატარა დაიკო — ამინა, — არსად არ წავა, არსად!

— გაჩუმდი, შე არ გასაზრდელო! — გაჯავრებით მიაძახებდა ხოლმე ჩემი დედინაცვალი, — ენა გაიკმინდე, გესმის?

ამინას ამის გაგონებაც არ სურდა.

— არსად არ წავა! არსად არ წავა!

ამინას კრულავდა და წყევლიდა დედამისი ,მაგრამ ბავშვი, — აპა! — ყურებსაც არ იბერტყავდა.

ჩემი უმცროსი ძამიკო — ადამირა სულ სხვანაირად გამოხატავდა სიხარულს. არ კუნტრუშებდა, სიტყვით არაფერს ამბობდა. მაგრამ ხელზე შეჩვეულ ბოჩოლასავით კუდში დამდევდა, ჩემი ყურებით ვერ ძღებოდა. თვალს არ მაცილებდა, თითქოს მზად იყო, ერთი სიტყვაც რომ მიწაზე დამვარდნოდა, ციმციმ აეტაცებინა. ისეთი სასოებით მომჩერებოდა, თითქოს ეშინოდა, მზერა, რომ მოვაცილო,ვაითუ, სამყაროს დაუსაბამ სივრცეს შთავენთქე.

ჩვენი ოჯახის დედაბოძი ბებია იყო! ის თუ სახლში იყო, სტუმარი უპურღვინოდ ფეხს ვერ გაადგამდა. ჯარიმხან ბაალოუ ფჰასავით პურმარილიანი ყოფილიყავიო, ილოცებოდნენ სოფელში.

სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში სწავლისას არდადეგებზე რომ ჩამოვდიოდი ხოლმე, ჩვენსას იყრიდნენ თავს ბიძაშვილები, ბებიაჩემს ეს ისე უხაროდა, ჩვიდმეტი წლის პატარძალივით დატრიალდებოდა და ღმერთივით სუფრას შლიდა.

ბებია არასოდეს გვაყურებინებდა, როგორ კლავდა ქათმებს. სამზარეულოს უკან დიდ კაკლის ხეს მიყუდებულ მორს მოეფარებოდა და წააცლიდა თავებს.

ბებიაჩემის გაკეთებულ კერძებს ხომ ვერაფერს შევადარებ! მათი გემო სიკვდილის დღემდე მემახსოვრება!

ბებიაჩემზე ახალგაზრდობაში სოფელში სიმღერებს მღეროდნენ, ახლა კი მის სახელს რაღაც სხვანაირი კრძალვითა და მოწიწებით ახსენებდნენ.

— ალხას, ჩემს გვერდით რომ პატარა ოთახია, შენ იქ დაიძინებ და იმუშავებ. უფრო მყუდროდ იქნები, — მითხრა ბებიამ.

მეც. ეგ მინდოდა.

თუ მართლა სტუმრად ვიყავი ჩამოსული, როგორც ეს ხალხს ჩემმა დედინაცვალმა უთხრა, სტუმრობის დროც ამოწურულად უნდა ჩამეთვალა. რამდენხანს შეიძლება სტუმრობა?!

ბოლოსდაბოლოს, უნდა გამერკვია, რა გზას ვადგებოდი, რას ვაპირებდი.

მაგრამ იმ დღეებში ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი ოჯახი შეგვაწრიალა.

სოფელში ხმა გავარდა, — გაზეთ „აფსნი ყაფშში" ჩვენს ოჯახზე რაღაც სალანძღავი დაუბეჭდავთ.

ვინლა არ მოდიოდა ჩვენთან, ანუგეშებდნენ ბებიაჩემს, მამაჩემს, თვით გაზეთში გაწერილ ჩემს დედინაცვალს. მეც მიმსუბუქებდნენ ჭირს. ვატყობდი, ზოგი გულწრფელად წუხდა, ზოგი გულში ნიშნს გვიგებდა, ზოგიც ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით მოდიოდა.

სულ მალე ეს საკითხი სოფლის საერთო კრებაზე გაიტანეს. მეც დამიძახეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აბას ნაზბამ დინჯად, აუჩქარებლად, თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა გაზეთში დაბეჭდილი ფელეტონი.

— მოდით, ახლა ვილაპარაკოთ ამაზე, რამაც ამ ფელეტონის დაბეჭდვა გამოიწვია, — მიმართა ხალხს აბასმა.

თვითონვე დაიწყო.

არ მიუკიბ-მოუკიბავს, ჯიქურ, პირდაპირ თქვა, როგორ არიდებდა თავს ცარუ კოლმეურნეობაში მუშაობას, როგორ ცდილობდა იოლი გზით ფულის შოვნას.

შინ რომ ვბრუნდებოდით, — აბასის თათხვით გული ვერ იჯერეს.

— ისე, აბასი ტყუის, ვითომ? — ვიკითხე მე.

ეს ჩემი კითხვა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით აღმოჩნდა.

— ხომ გაიგე, რა თქვა შენმა შვილმა? ხომ გაიგონე... შენი ყურით? — წამდაუწუმ უმეორებდა ცოლი მამაჩემს.

— აბა, ეგ რას გააწყობს, — მამა ისე იქნევდა ხელებს, თითქოს ბზიკებს იშორებსო. ამით უნდოდა ქალი გაეჩუმებინა, მაგრამ გაჩუმებას არც აპირებდა.

— ხომ ხედავ, რომ შენი შვილიც ჩვენი მტრების მხარეს იჭერს, ხომ ხედავ!

მე მისი ლაქლაქი თითქოს არცკი მესმოდა. გულდამძიმებული მივუყვებოდი გზას.

ჩვენი სამოსახლო ადგილი სოფლის გულისგულია, მაღლობზეა, ზღვისპირიდან ჩანს და სოფლის ყველა უბნიდანაც.

ამზაპაში ბევრი კარგი კუთხე-კუნჭულია, მაგრამ ჩვენი სხვაა — მარგალიტია!

გადმოცემით ვიცით — ჩვენი წინაპარი, გვარის მეთავე, მედასაბამე კაცი აქ დაფუძნებულა, მერე ჩვენი გვარი გამრავლებულა და გამრავლებულა და ახლა ანბებს ნახევარი სოფელი უკავიათ, მათი ჯიში და ჯილაგი ქრიამულობს ამ არემარეზე.

ჩვენს მაღლობზე რომ ამოხვალ, თითქოს მთელი ქვეყნიერება ხელისგულზე გეფინება, თითქოს თვითმფრინავში ზიხარ, ძირს იცქირები და სოფლები თვალწინ გეშლებაო. თითქოს ის თვითმფრინავი დაბლა, დაბლა მიფრინავს და სოფლებიც შიშით მიწას გაკვრიანო.

ეზოს ბოლოდან დასავლეთისკენ ერთი რომ ფიცხლად ისკუპო, იქნება ზღვის სილურჯეში ჩაიკარგო, ისე ახლოა ზღვა!

აღმოსავლეთით აწოწილი მაღალი მთები აფხაზ ბრგე ბერიკაცებს მოგაგონებენ. მათ თითქოს დედამიწის სინდის-ნამუსი უჭირავთო მხრებით და დაღლის კვალიც არ ეტყობათ. ყიანტაზს, სოფლის თავზე წამომართულ მთას, თითქოს ხელით წვდება კაცი.

ამზაპელი კაცი პურღვინიანია, სტუმარს ერთი ცხვარი თუ ვერ დაუკლა, რაღა ამზაპელია, კაპიკია მისი ფასი. ასეთ კაცს ჩვენს სოფელში, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ ნახავ!

სულ ბებიაჩემის წყალობაა სახლში ამდენი ფრინველ-ცხოველი რომ გვყავს. ბებია რომ არ იყოს, მათი ბურდღა არ იქნებოდა ჩვენს ეზო-ყურეზე. ძნელი მოსავლელიაო, უჩიჩინებენ. მათი ყოლა ზარალი უფროა, ვიდრე ხეირიო, მაგრამ ბებია მაგრადაა დგას — სანამ პირში სული მიდგას, უფრინველ-უცხოველოდ ვერ ვიქნები და ნურც ნურავის ექნება ამის იმედიო.

ბებია ამბობს, რომ ბაბუაჩემი ბასა ყველაზე ადრე დგებოდა, ცისკრის ვარსკვლავამდე ნახევარი საქმე მოთავებული ჰქონდა თურმე. ბაბუა რომ მოკვდა, ოჯახის უფროსობა ბებიამ იკისრა. ბაბუას მიერ დადგენილ წესსა და რიგს, ადათს და ჩვევებს ურყევად იცავდა, ცოცხალი თავით არ შელახავდა მათ. წვრილმან-წვრილმან ამბებს მაინცდამაინც არ დაგიდევდათ, მაგრამ მთავარსა და არსებითს კბილებით იცავდა.

მამაჩემიც ბებიაჩემის ალიკვალი იყო, ბებიას ასე მიაჩნდა.

— ბაბუაშენივით წყნარი კაცია, შვილო, მამაშენიც, — წარამარა მეტყოდა, — იშვიათი კაცია, იშვიათი, ბაბუაშენივით ვერც მამაშენს დაასწრებს კაცი ადგომას.

მამაჩემს გაუთავებლად აქებდა, მაგრამ თვითონ უფრო ადრე დგებოდა. მის შემდეგ რომ მამას ვერავინ ასწრებდა ადგომას, ამას აფასებდა, აბა!

— კაცს რომ სტუმარი ლოგინში მოუსწრებს, თავი მოჭრილი აქვს, ნან ალხას, და ეგ არი, — მეტყოდა ხოლმე, მამაკაცი თუ ძილის გუდად იქცა, გლახავდება, — იტყოდა და მამაზეციერი ვერ შეაცვლევინებდა აზრს.

— ეგრე, ბები, ეგრე, — კვერს ვუკრავდი მეც, — დილის ჰაერი სიცოცხლეა.

— აბა, რა! — უხაროდა, მხარს რომ ვუჭერდი, — მამაკაცი და დილა დროულად რომ შეხვდებიან ერთმანეთს, გზასაც გრძელს მოიტოვებენ უკან.

— მე რომ შენზე გვიან ვდგები, ბებია, მგონია, ვერაა ეს მთლად კაი საქმე! — იქით დავასწრებდი, რომ აქეთ არ ესაყვედურა.

— რატომ, ბები, რატომ, არ დგები შენ გვიან, დროზე დგები... ისე, თუ საჭირო გახდა უფრო ადრეც ადგები, ალბათ...

— ამზაჭაში თუ ვარ, იცოცხლე, — აღარ ვაცდიდი.

— ცამდე მართალი ხარ, ამზაჭაში მზეს თუ არ დაასწარი, ვითომ ის დღე არც გიცხოვრია.

იყო ბებიაჩემი ასე, სიტყვატკბილი და ყველას გადაგებული. მხოლოდ ხანდახან, როდესაც მოთმინების ფიალა აევსებოდა, ერთ ორ აჯიკასავით ცხარე სიტყვას იტყოდა თავის რძალზე, ჩემს დედინაცვალზე. ეს იყო და ეს. მე ხან შევეპასუხებოდი, ხან ისე ვიჭერდი თავს, თითქოს ვერაფერი გამეგოს, მაგრამ ბებიას რას გამოაპარებდი.

— ცუდი ხასიათი აქვს, შვილო, თორემ შესახედავად, იცოცხლე, ერთი სოფლის ფასია. მაგრამ რად გინდა! ალხას, შენ არაფერზე იდარდო, ბებია, უნდა მოვითმინოთ, სხვა რა გზა გვაქვს. ბაძი მეცოდება ის უბედური! — ოჰო, ისე ჩაიქნევდა ხელს, თითქოს ურჩ ცხენს მათრახი დაჰკრაო და გაივლიდა.

— თავის დროზე ბაბუაშენი აფხაზეთში ცნობილი ვაჟკაცი იყო, დაიწყო მან ერთხელ, — ის რომ ტოლ-ამხანაგებში ჩადგებოდა, სხვა იქ თითქოს არცა მდგარა. ქალიშვილებს მის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდათ (ბაბუას სახელს — ბასას, აფხაზური წესის მიხედვით, ბებია დღემდე არ ამბობს — ესირცხვილება), ვიწრო ჩიხში მომწყვდეული შვლებივით მუხლები უკანკალებდათ, თავბრუ ეხვეოდათ.

— ასეთი კარგი იყო? — ეშხში ვაგდებ მე.

— ვისაც არ უნახავს, სულერთია, ვერ გაიგებს, — აპილპილდა ბებია, — სიტყვა ერთია, თვალით ნახვა — სხვა.

— ასეთი თუ იყო, ქედმაღალი, გოროზი კაცი იქნებოდა, — ამასაც განგებ ვეუბნები.

— აჰა! — მომიჭრა. — თავისი ფასი იცოდა, მაგრამ მისი სიგოროზე არავის უნახავს. ხალხის შეკრებულებაში ცხენს დინჯად, დარბაისლურად ატარებდა ,ხალხს რომ გასცდებოდა, ელვასავით გავარდებოდა. მაგის ყურებას არაფერი სჯობდა. მერე... მერე აქ მოვედი, — წამით სახე გაუბარჩხალდა და, თითქოს შერცხვარ, ისევ ისე თავისი ასაკის შესაფერისი სახე დაუბრუნდა, — ბედნიერ ფეხზე მოვედი. მაყრებმა საქორწილო სიმღერით შემომიყვანეს ეზოში. თეთრი თხელი თავსაფრიდან ვხედავდი ჩემს ბედნიერებას. აქეთ-იქიდან ვერცხლის ფულებს მაყრიდნენ. ხმლების ქვეშ გამომატარეს, კიბეზე ამიყვანეს, ოთახი მომიჩინეს და იმის მერე აქ გრძელდება, ნანა, ჩემი ყოფნაც და სიკვდილიც. ბაბუაშენისგან ერთი საწყენი სიტყვა არ გამიგია, ძალიან გამგებიანი კაცი იყო, — აგერ-აგერ ცრემლები წამოსცვივა-მეთქი, გავიფიქრე... თუმცა, ნეტა, რაღად გიყვები, ერთი... — თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო და გაჩუმდა.

— რატომ? მოყევი რა, ბებია, მოყევი...

— ეჰ, ასეთი რომ დაენახე საწყალ დედაშენს, რა იქნებოდა! ლამაზი სანთელივით ანათებდა ჩვენს სახლს. როცა უნდა გაეხარა, მაშინ დაიფერფლა ეგ უბედური.

— მახსოვს, ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე.

— მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს, — თითქოს დიდი საშიშროება მელისო, ისე წამში გადამეფარა ბებია, — დედაშენს თუ ერთხელ ნახავდა ვინმე, ვერ დაივიწყებდა. დედაშენი ტატიში რომ მოკვდა, თითქოს ნახევარი სხეული წამერთვა. რძალ-დედამთილი კი არ ვიყავით შვილო, დედა და შვილი ვიყავით, დედა და შვილი. ტატიშის მერე თითქოს ნახევარი ადამიანი დავრჩი, აცხონოს ღმერთმა! ეს შენი დედინაცვალი...

— ყველა დედინაცვალი ასეთია, ბებია? — რამდენი წელი ვიკავე თავი, მაგრამ პირველად ახლა წამცდა ეს კითხვა.

— რა თქმა უნდა, არა, — მძიმე ფიქრებიდან ბებიას ხმამ გამომარკვია, — ღვიძლ დედასავით დედინაცვლებიც არიან, ბები. რამდენიც გინდა... დედი-

ნაცვალს ვერც ეტყვი. ყველაფერს ხასიათი აკეთებს, ნან, ალხას, ხასიათი. დედის ცუდ ხასიათს შვილი ვერ ამჩნევს, დედა მაინც დედაა, დედინაცვლის ცუდი ხასიათი კი გულში გხვდება, თვალში ეკალივით გესობა. ასეა, დედინაცვალმა თუ თავიდანვე ვერ მოურგო გულს გასაღები, მერე, რაც არ უნდა ეცადოს, გათავებულია. ასეა, თორემ, რა უჭირს ცარუს, შესახედაობა არ აკლია და არაფერი, მაგრამ ცუდი ზნის ძროხას გვაგონებს, ბევრი რომ იწველა, იწველა და მერე ერთი წიხლის კვრით სულ გადააქცია, — ბებია აშკარად ცდილობდა ოჯახში ზავი ჩამოეგდო.

— ალბათ, აგრეა, — თითქოს დავეთანხმე, — მაგრამ...

— მესმის, ნან, ალხას, რისი თქმაც გინდა, — არ მაცალა ბებიამ, — არ არის საჭირო, ვიყოთ ასე...

— კარგი, — ვთქვი მე გაურკვევლად.

— ცოდვაა ბაძი, — ერთი ამოიოხრა ბებიამ და მეტი არაფერი უთქვამს.

ადგა, კომოდს თავი ჭრიალით ახადა, ფუთა გახსნა და რაღაცას ძებნა დაუწყო. მერე ჩემსკენ წამოვიდა.

— აი, საცოდავი ტატიშის სურათი, — მარცხენა წინ გადასწია და მზერა მიალურსმნა, — აი, მგლოვიარე ქალებში ზის.

თითით მიჩვენა.

ვუყურებ, ვუყურებ დედაჩემის სახეს, იქნებ, ასწიოს თვალები, იქნებ... მაგრამ, რაკი მგლოვიარე ქალებში ზის, თითქოს, ერიდებაო, არ სწევს დახუჭულ თვალებს მაღლა. თავს ვიტყუებ.

არა მარტო სამარეში, ამ ერთადერთ სურათშიც დახუჭული აქვს თვალები!

„დედაჩემის თვალები..., მე კარგად მახსოვს, მაინც კარგად მახსოვს ის თვალები, ამ ქვეყნად ყველა თვალისგან განსხვავებული თვალები. ვგრძნობ, მხურვალე ალმურივით ვგრძნობ იმ დახუჭული თვალების სითბოს. როგორ მწყურია მისი სიტყვების გაგონება, როგორ მჭირდება მისი რჩევა-დარიგება. როგორ მინდა დედაჩემის თვალებით ქვეყანას შევხედო!“

— დედაჩემის თვალები... — ვთქვი მე.

— დედაშენის თვალები, — თითქოს პირზე ჰქონდაო მომდგარი, სიტყვა წამართვა ბებიამ, — დედაშენის თვალები ყველაზე მეტად მე მაკლია... იცოდე, დედაშენის თვალები შენ უნდა გაახილო, ბები, შენ. ეს სხვას არავის შეუძლია! სხვას არც გაუხელს, მამაზეციერიც რომ ჩამოვიდეს ციდან და დაუჩოქოს.

„დედაჩემის თვალები“.

დედაჩემის თვალების სიღრმეში ჩემივე ფიქრებივით ჩავიძირე და სხვა ყველაფერი დამავიწყდა.

...გლეხკაცის საქმე დალოცვილია. გლეხს თუ მიწამ გული გადაუშალა, ეშმაკიც ვერაფერს დააკლებს. მიწასაც თუ გლეხის ფეხი არ მოაკლდა, შნოიანია და მადლიანი.

გაზაფხულმა რომ კოდალასავით დააკაკუნა სოფლის კარებზე, სწორედ მაშინ გავიდა იგი ვენახში. იქნებ, ადრეც გავიდა, მაგრამ მთელი ზამთარი ძილს მიცემულ მიწას ხომ უნდა შეულიტინოს გამოსაფხიზლებლად. მეფუტკრე რომ მთელი სოფლის დასანახად კი არა, განმარტოებულად ილებს თაფლს, ასე შევიდა ის ვენახში მარტო, ყველაზე ადრე, რომ ხელი გადაუსვას, მოეფეროს ატირებულ ვაზს.

არ ჩქარობს, დინჯად, ფხიზლად არჩევს მოსაჭრელ გამხმარ, უსიცოცხლო ან დაავადებულ ტოტებს. ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის.

ვდგევართ ისა და მე და ხარბად ვისუნთქავთ გაზაფხულის ჰაერს.

— გამარჯობა, ბათალ, — მოგვიახლოვდა აბასიც, — სტუმარი გყოლია, — მეც მომესალმა, — ადრე ხომ არ არის, ბათალ, სხვლის დაწყება.

— ამ დღეებში ისეთი ამინდი იდგა, რომ ადრე არ არის, მთელ კოლმეურნეობაშიც რომ დავიწყოთ, მგონი, არ

იქნება ურიგო, — მეტი ძალა მისცა თავისი გადაწყვეტილების სისწორეს.

— თუ ასეა, სხვა ბრიგადებსაც უნდა გავაგებინოთ, არა? — ისე იკითხა აზასმა, თითქოს ბათალისგან იღებს ნებართვასო.

— რა თქმა უნდა, თუ საჭიროდ ჩათვლიან ისინი, ვისაც ეს ავალია...

— გასაგებია, — ბათალმა ბოლომდე არ გააცხადა, რა გადაწყვეტილებაც მიიღო, — ალბათ, შეიკრიბება შენი ხალხი. ახალგაზრდა მევენახეები...

— სადაცაა მოვლენ, — თქვა ბათალმა, — ახალგაზრდობა მევენახეობას ახლა მეტი გულისყურით ეკიდება.

— ეს მათი დამსახურებაა, ვინც ვაზის სიყვარული ჩაუნერგა, — შეაპარა ქათინაური აზასმა.

ბათალს ეს ბოლო სიტყვები თითქოს არც გაუგიაო.

აზასი დაგვემშვიდობა.

შეფარვით ვუცქეროდი ბათალ კარბის, წარმოსადეგ, ახოვან, დიდი ოსტატის — ბუნების მიერ გამოკვეთილ მის სხეულს, მის ხელებს —მევენახის ხელებს, ვაზის ფესვებს რომ დამსგავსებოდნენ და გული სიხარულით მევსებოდა.

„თუნდაც მხოლოდ ამისთვის ღირდა ამზაჭაში ამოსვლა".

„მევენახის ხელები" — თვალწინ დამიდგა სურათი, რომლის ხატვასაც დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი.

* * *

ამზაჭიდან ხარკოვში რამდენიმე წერილი გავუგზავნე ადას, მაგრამ პასუხი არცერთზე არ მიმიღია. სხვა აქამდე ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ მე, მე სხვაგვარად არ შემიძლია — ყოველდღე ვწერ, ვწერ, ვგზავნი ,ვწერ, ვგზავნი.

შინ ვარ, მაგრამ დროებით ჩამოსულ კაცს ვგავარ. გული ვერავისთვის გადამიხსნია. მამაჩემსა და ბებიაჩემს ეს დიდად არ აწუხებთ, — უვნებელი ვარ და სახლში ვარ, პატარა ამბავია! ამინა და ადამირი ხომ წუთითაც არ მცილდებიან. სიხარულით მეცხრე ცაზე არიან, ამზაჭაში რომ მხედავენ.

ცარუ თავიდან არაფერს იმჩნევდა, ვითომ უხაროდა კიდეც ამზაჭაში ჩემი ყოფნა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდი. არადა, წასვლას ვაგვიანებდი. ცარუმ ბუზღუნს უმატა, სულ შარზე იყო, უმიზეზოდ ანჩხლობდა, მაგრამ პირდაპირ ვერაფერს ამბობდა. სხვებიც თავს არიდებდნენ მასთან აშკარა შებმას, ოღონდ, ყველა გრძნობდა რომ საცაა მეხი უნდა გავარდნილიყო.

ელოდნენ როდის იფეთქებდა ცარუ. მეც დაგლეჯაზე მქონდა ნერვები.

მინდოდა მარტო, უმოწმეებოდ, მიუკიბ-მოუკიბავად გველაპარაკა, რა უნდოდა, როგორ აპირებდა ცხოვრებას.

ერთხელაც მარტო დავრჩით და არც ვაციე, არც ვაცხელე:

— ვიცი, რაც გაწუხებს, ცარუ.

— რა მაწუხებს?

— ისიც იცი, რომ მეც ვიცი, რაც გაწუხებს.

— ვერ იტყვი, მაინც, რა მაწუხებს?

— ვერაფერში დაგეხმარები, იცოდე?

— ვინ რა გთხოვა, რო... ჩემი დახმარებისთვის გცხელა სწორედ...

— მე ჩემს სახლში ჩამოვედი, ცარუ.

— ვხედავ.

— სულ ჩამოვედი.

ამდენი კი ვერ მოითმინა, გაფითრდა, გაწითლდა, გაყვითლდა, აილეწა, გაწიწმატდა.

— რაო, რაო, რისი თქმა გინდა ამით?

— სულ ჩამოვედი ამზაჭაში, ჩამოვედი ჩემს სახლში, სადაც დავიბადე, ჩამოვედი, რომ სამუდამოდ აქ დავრჩე.

— მერე შენი სპეციალობა?

— ჩემი სპეციალობა აქაც გამომადგება.

— როგორ, შენი სპეციალობა... ამზაჭაში?

— დიახ, დიახ, ამზაჭაში!..

— არ მესმის.

— ძალიანაც კარგად გესმის.

— გული გინდა გამიხეთქო...

— უმიზეზოდ არა! როცა დაიმსახურებ, არ დაგინდობ, ეს იცოდე!

— მაშინებ?

— არა, გაფრთხილებ... წინასწარ!

— არ გეგონოს, დამავიწყდა, ჩამოსვლისთანავე ყველას დასანახად აბასის მხარე რომ დაიჭირე. მერე, თუ შესძლებ, სულაც გამაგდებ.

— ვნახოთ ჯერ, როგორ მოიქცევი.

კარტები გავხსენით. ჩემს სახლში რომ უცხოდ არ ვიქნებოდი, ვაგრძნობინე. პატარა რომ ვიყავი, მაშინაც არ ვეპუებოდი. მქონდა საამისო მიზეზი, მაგრამ ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ. ბრძოლა გრძელდებოდა.

მამაჩემი მეცოდებოდა. ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება სტანჯავდა. ორ ცეცხლშუა იწვოდა, მაგრამ ვერაფერი გაეწყო.

ზოგი თავის ნაკლს მალავს, მაგრამ მე ეს არ შემიძლია. ძალიან ვეცადე, ძალიან, მაგრამ ვერა და ვერ მოვერიე თავს! ეგ რომ დედაჩემის მაგივრად შემოვიდა ჩემს სახლში, ცეროდენა ვიყავი, მაგრამ მაშინვე არ მომივიდა თვალში, მეუცხოვა და მორჩა, გათავდა — დალუპულ საქმეს არაფერი ეშველა. იქნება ცუდი ქალი არც იყო, მაგრამ გული არ შემიბრუნდა. ისიც ცოდვა იყო და მეც.

პირველ ხანებში ცდილობდა ჩემი გულის მოგებას, ყველაფერს მითმენდა, მპატიობდა, თუმცა, უმიზეზოდაც ბევრჯერ გამიმწარებია. არ დამადგა საშველი. რამდენჯერ ვცადე გულის შებრუნება, მაგრამ მეტი არაა შენი მტერი!

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. ცარუმ იცის, — პირდაპირ თუ დამეტაკება, პასუხს მიიღებს, ამიტომ სხვა მხრიდან მიტევს. ჩემს გამო მამაჩემს ამწარებს, იცის, რომ მამაჩემი ყველაფერს მოითმენს, ოღონდ ჩვენ არ შევაკვდეთ ერთმანეთს. ცარუს ეს აგიჟებს და კიდევ უფრო აავებს. მამაჩემს თითქოს არც ესმის, რას უჩიჩინებს ცარუ, დარდს გულში იკლავს, მაგრამ ამდენი უკვე აღარ შეუძლია, განაწყვერდა კაცი. მამას რომ ხელს მოუთავებდა, ცარუ ბებიაზე გადადიოდა, გგონიათ ,ამას სჯერდებოდა! ბავშვებს მისდგებოდა და შავ დღეს დააყრიდა.

— არ ვიცი, რა მოსდის დედას, ალხას, — მკითხავდა ხოლმე შეშინებული ამინა, სუნთქვა ეკვროდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, — არაფერი დამიშავებია, არაფერი, — მომეკვრებოდა და ცრემლად იღვრებოდა.

— შეუძლოდაა, ალბათ, — სხვა რა მეთქვა ბავშვისთვის, — ნუ გეშინია, დედაა, ნუ უწყენ.

— ავად თუა, წამალი დალიოს, ჩაწვეს...

— საჭირო წამალს ვერ შოულობს, ჩაწოლით კი არ წვება, — რას არ ვჩმახავდი ,მაგრამ რას მომეშვებოდა.

— უშოვე რა, ალხას, — მეხვეწებოდა, — ის წამლები...

— ვუშოვი-მეთქი, ვპირდებოდი.

მაგრამ ერთხელ სრულიად მოულოდნელად, უეშმაკოდ ისეთი საიდუმლო გამიხსნა ამინამ, თმა ყალყზე დამიდგა.

— ალხას, დღეს რომ მაღაზიაში მივყავდი, იცი, რა მითხრა დედამ?

— რაო? — უგუნებოდ ვკითხე. არ მსიამოვნებდა ცარუზე საუბარი, მაგრამ ბავშვს ხომ არ ვაგრძნობინებდი.

— რა და, შენ რომ სოხუმიდან ჭრელი კაბა ჩამომიტანე, არ ჩამაცმევინა, არ გიხდებაო. ის კაბა ყველაზე მეტად მიყვარს-მეთქი, რომ ვუთხარი, გამიჯავრდა, გადააგდო და რამდენჯერმე მომაწყევლა, — შენცა და მაგის ჩამომტანიც მიწაში გნახეთ ჩადებულიო. რატომ დაიწყევლა დედა, ალხას, რატომ?

— არ ვიცი, ალბათ, უნდა, რომ კაბა შეგინახოს.

ადამირი უფროსი იყო, ისიც გრძნობდა, ალბათ, რაღაცას, მაგრამ არაფერს ამბობდა.

ერთხელ სახლში ვარ და ჭიშკართან ვიღაც იძახის:

— მასპინძელო, სახლში ხარ, მასპინძელო?

აივანზე გავედი.

ჩვენი ძაღლი — ბგაზლოუ ყეფით გავარდა ჭიშკრისკენ.

— გაჩერდი-მეთქი! — მამაჩემის ტყვიასავით ხმამ შუაგზაში გააქვავა. მამა სამზარეულოდან გამოვიდა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— ალხას, სახლში ხარ, ალხას? — კვლავ გაისმა ვიღაცის ხმა.

— აქ არის, — დაამსწრო მამაჩემმა.

— აქ ვარ, შენ რომელი ხარ? — შევეხმიანე.

— დათა ვარ, დათა.

ჩავეგებე.

პირველი მამლის ყივილამდე ვისხედით იმ ღამეს მე და დათა.

— სახელმწიფოს თავისი გასაკეთებელი გზებიც არ დაელევა, — სახელმწიფო საქმეებში ჩახედულის მოლვაწესავით მსჯელობდა დათა, — ჩვენი უბნის გზა ჩვენვე უნდა გავაკეთოთ. აბა, ვისხდეთ ასე გულხელდაკრეფილნი და ვიტყუოთ თავი, თუ გგონია, ვინმე მოვა და ასფალტიან გზებს შემოგვიყვანს ეზოებში!..

„თუ აკეთებთ, გააკეთეთ, თქვე კაი ხალხო! მე რა, გზის ინჟინერი კი არა ვარ, ნებართვა მოგცეთ ან დაგიშალოთ! ამზაჭაში იმისთვის ამოვედი სწორედ, რომ გზის გაყვანას შევაკლა თავი. ისე, თუ გაგყავთ, გაიყვანეთ და მეც თქვენთან ვარ, კი, ბატონო, კი!"

— გაიყვანთ, კი, მოაგვარებთ მაგ საქმეს, — ხმამაღლა ეს ვუთხარი.

— ეგ რა საუბარია, ალხას! მოაგვარებთ კი არა, მოვაგვარებთ-თქო, შე კაცო!

— თუ რამეში გამოგადგებით.

მერე — ამზაჭის ღვინო, ხომ იცი, ასეთია და ასეთიაო, ეს დალოცვილი მიწა გულს გვიხსნის, დაჩოქილი გვევედრება, მოდით, ყველაფერი ამომწურეთო, ჩვენ კი დაგვიკრეფია გულზე ხელი და ვამთქნარებთო.

რომ დაიწყო, არ გაათავა.

მისთვის რომ გესმინა, იფიქრებდი, რომ რამდენიმე წლიწადში ამზაჭის ქვევრები ღვინოს ვერ დაიტევდნენ, წყაროებად, ნაკადულებად და მდინარეებად გადმოიღვრებოდა და მთელ ქვეყანას წალეკავდა.

„რას ერჩი, თავისი საქმის რომანტიკოსია კაცი. ბედნიერებაა, როცა ადამიანს ასე სწამს რამე... ისე, მადლობელი ვარ, რომ სოფლის საქმეში მახედებს. მაგრამ რაც მე ჩამოვედი ამზაჭაში, მე და დათა ასე არ დავმჯდარვართ, არ გვისაუბრია? ახსოვს კი, რომ მხატვარი ვარ? მითხრა როდისმე, ოღონდ შენ ხატე და ჩვენ კი ყოველმხრივ ხელს შეგიწყობთო? გზა უნდა გაკეთდეს? ძალიან კარგი, ბატონო! მევენახეობაში გჭირდებით? აგერა ვარ, თქვენს გვერდით! მაგრამ მე, მე ვინ მიდგას ჩემს საქმეში გვერდით? მე არ მჭირდება ყურადღება? რას იტყვი, ჩემო დათა, ა?"

— ალხას, შენ, როგორც მხატვარს, იმდენი საქმე გელოდება, იმდენი, რომ...

„ეს რა მესმის, დათაა თუ სხვა ვინმეა, ხომ არ მეშლება, ნეტა?"

— რაო, რა თქვი, დათა, რა თქვი?

— კულტურის სასახლეში განსაკუთრებული კუთხე უნდა მოვაწყოთ, — სულმოუთქმელად მომაყარა, — შრომის მოწინავეების სურათები უნდა დავხატოთ და გამოვფინოთ იქ. ზარმაცები და უქნარებიც უნდა დავსუსხოთ. ლექსებსაც მივუწერთ, აბა!

ცა გამეხსნა. ესაა, ცხოვრებაში ჩემი ადგილი ვიპოვე-მეთქი, მომეჩვენა.

სულ მალე შევუდექით კიდეც საქმეს.

ალიონიდან გვიან ღამემდე ვრგავდით ვაზს. დავიღალე, ჩამოვწყდი, მაგრამ სოლცარ შვებას ვგრძნობდი.

იმ ღამეს მკვდარივით მეძინა. ერთი ფიორი სიზმარიც არ მინახავს.

დილით უცაბედად გამეღვიძა.

მეზობელი ოთახიდან ხმაური ისმოდა. ცარუს ხმა მაშინვე ვიცანი. ისიც გავიგონე, ვისზეც ლაპარაკობდა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი! — მომესმა მამაჩემის უღონო, უმწეო ხმა.

— ვაიმე. — ამოიოხრა ლოგინში ბე-

ბიამ და საბანში გაეხვია, რომ ხმაურისგან თავი არ გასკდომოდა.

— დედა, რა მოხდა, დედა? — მეორე ოთახიდან გაისმა ამინას ხმა.

პასუხი არ გასცეს.

...აივანზე რომ გამოვედი, სამზარეულოს კარები გაიღო და ბებია ეზოში გამოვიდა. ქათმებმა რომ თვალი მოჰკრეს, სიხარულით აკრიახდნენ და დაედევნენ. ბებია კი სალაშქროდ გამოსული ჯარის მეთაურივით წინ მიდიოდა, ქათმებს ყურადღებასაც არ აქცევდა. ეზოს ბოლოში კაკლის ხესთან რომ მივიდა, შეჩერდა, ქათმებიც გარს შემოეხვივნენ და ზედ აფრინდებოდნენ.

აივნიდან ვუყურებდი რა სწრაფად კენკავდნენ ქათმები სიმინდის მარცვლებს. კაკა-კუკი იდგა, თითქოს ერთდროულად რამდენიმე საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავენო.

კიბეებზე ჩამოვირბინე და ცივი წყაროსაკენ ჩავირბინე.

— ადექი, ბებია შემოგევლოს? — შორიდან ლოცვასავით მომელამუნა ალერსი.

— ავდექი, ბებია, ავდექი! — არ გავჩერებულვარ, ისე მოვაძახე.

— გაიხარე, შვილო! — ისევ მომეფერა ბებია, — ეხლავე, ნან, ეხლავე! მე არ დაგაყოვნებ.

ვისაუზმე და წავედი სამსახურში, როგორც ეს მოსამსახურე კაცს შეეფერება.

დილაა ჩემს ამზაჭაში.

მივდივარ. მივდივარ კი არა, მივქრი.

წაბლის ხეები ნეფეებივით დგას გზის გარდი-გარდმო.

აგერ, მზეთუნახავ მთას — ყიანტაზს მზე გადმოადგა. წაბლნარში სხივები შემობარჩხალდა. გზა ოქროს ძაფებით მომექარგა.

შორიდან, თითქოს რომელიღაც მთას ვეება ნაწილი მოწყვეტია და ხრამში ჩამომსკდარაო, მოისმის მდინარე აალიფსთას ხმაური.

ჩემს ბილიკს აღმართ-აღმართ მივყავარ გადასაჩეხში — ასე ჰქვია ამზაჭას ერთ უბანს.

წინა კაცი უკანას ხიდიაო.

ჩვენ რომ ახლა გზის გაყვანა გვინდა, განა იმ გზაზე მარტო ჩვენ გავივლით, — ისინი, ვინც დღეს ფეხზე ვდგავართ? ერთი წავა და სხვა მოვა.

გადასაჩეხი...

სახელი კი აშინებს კაცს, მაგრამ ეს უბანი არც იმდენად საშიშია, მით უმეტეს მისთვის, ვინც აქაურობას შეჩვეულია. მართალია, გზა-ბილიკი ციცაბოზე ადის, მაგრამ თუ ახვედი, ჩათვალე, რომ ციხე-სიმაღლე აღებული გაქვს და პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალი ხარ.

მერედა, მიწაა და რა მიწა!

ერთი მარცვალიც რომ გადააგდო, გაზაფხულის ყვავილივით მაშინვე ამოდის და ფესვებს იმაგრებს.

აქაური კაცი, რომ ააშენო, საცხოვრებლად სხვაგან არ წავა. წავა და ერთბაშად ნახავს ასეთ მიწას, ისუნთქავს ასეთ ჰაერს! უგზოობაო! უგზოობასაც ეშველება. ვუშველით!

გადასაჩეხი ბევრი რამითაა განთქმული ჩვენს რაიონშიც და უფრო შორსაც. აქაური თამბაქო — „აფხაზური სამსუნი“ ხომ ქუხს და ქუხს. ამისთანა თამბაქო მსოფლიოში არსად მოიძებნებაო, ერთხმად აღიარებენ შინაურნიც და სხვებიც.

აქაური სიმინდიც სხვანაირია, ოქროს ფულებივით მარცვლები აქვს.

აქაური ხილი გადასარევია. ვაზის ჯიშებიდან გადასაჩეხში ადესალა ხარობს. ძირში რომ ჩაეხვევა მაღალ ხეს, კენწერომდე ასდევს და მისი შავი მტევნები ზამთრის ნასუქარ შაშვებს მოგაგონებთ.

აქ წელიწადის ყველა დრო ერთმანეთზე უკეთესია, მაგრამ წაბლის კრეფის დრო მაინც სხვაა. ამ დროზე დიდი და პატარა ჭკუას კარგავს.

გადასაჩეხში ნათესავებთან ყოფნის დროს ბევრჯერ შევსწრებივარ წაბლის კრეფას. ენა ვერ იტყვის რა სიამოვნებაა.

ამბობენ, გადასაჩეხის ფუტკარმა მთელი მსოფლიო შემოიფრინაო. ასე

რომ მარტო აფხაზი მეფუტკრეები ამზობდნენ, იტყოდით, თავს იქებენო. ღმერთმანი, ეს ჩვენებური ფუტკარი მართლა მაგარი ყოფილა, ამას წინათ ჟურნალში ამოვიკითხე, აქაური ფუტკარი გემით ამერიკაში წაუყვანიათ.

პარტორობისას ბავშვები შევიყრებოდით და გადასაჩეხში ზღმარტლის საკრეფად ავდიოდით. გადასაჩეხის ზღმარტლის გემო რომ მახსენდება, ჩემი მემართება.

აღმართზე ავაღწიე თუ არა, მაშინვე დავინახე პარტორგანიზაციის მდივანი ბადრა სმირი, აბასი და დათა, რომლებიც საბრძოლველად გამზადებული ჯარების სარდლებივით მომავალი ბრძოლის ველს ათვალიერებდნენ. მთლად ახლოს მივედი, მაგრამ — გაგიგონია! — ვერ შემამჩნიეს.

„წუხელ არ უძინიათ? დღეს თუ ამასწრებდა, ნამდვილად არ მეგონა...“

პირველმა ბადრამ დამინახა.

— აგერ, ალხასიც მოვიდა, — სიხარული არ დაუმალავს.

— გამარჯობა შენი, — უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ჩემს მოსვლას აბასმა.

— ალხას! — ვერ შეიკავა თავი დათამ და ჩემკენ წამოვიდა. — რა კარგი ქენი...

მაშინვე ჩამრთეს თავიანთ საუბარში.

იმ დღეს მთელი ამზაჰა — დიდი და პატარა — გამოვიდა გზის გასაკეთებლად. შაბათობა დაარქვეს, მაგრამ, რაღა შაბათობა, ჯარის შემოსევა გეგონებოდათ.

მეც ამ ტალღამ ამიტაცა, ყველაფერი დამავიწყა. ლაშქრის თავში დათას ვხედავდი.

— ასე, ჰო, აბა, ჰე, მეგობრებო! — წარამარა იძახდა იგი.

მე, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, რახანია ფიზიკურად არ მიმუშავია. ამას შემჩნევას დიდი დაკვირვება არ სჭირდებოდა. ეს არც დათას გამოჰპარვია.

— ალხას, დაისვენე! — თითქოს დავალება მომცაო, ისე გადმომძახა, — ასეა საჭირო! — პასუხის გაცემაც არ მაცალა, გამიმეორა, — ასეა საჭირო!

საჭირო იყო თუ არ იყო, დავეთანხმე.

დათა ცეცხლივით იყო, აშკარა იყო — უდათაოდ ეს საქმე და უამსაქმოდ დათა ვერ წარმოიდგინებოდა.

შებინდებულზე, მუშაობის შემდეგ, მე და დათა ბრძოლაში გამარჯვებულებივით მივაბიჯებდით ამზაჰის შუკეში.

ცაზე ახალი მთვარე, როგორც იტყვიან, ნამგალივით ეკიდა.

9.

გუადალა სულაც არ ფიქრობდა, რომ ამზაჰაში ვინმეზე ნაკლები იყო. მეტიც, სოფელში ვინმე სხვა თუა პატივსაცემი, მეცა ვარო, ფიქრობდა და შესაფერი ადგილიც ეჭირა, მაგრამ ბოლოს წაიბორძიკა, თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ.

როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი თითქოს სულ არაფრისგან დაიწყო.

სოფლის გამოჩენილი ადამიანების ჩარჩოიანი სურათები კულტურის სასახლის წინა კედელზე იყო გამოკიდებული. დრო-ჟამს ისინი ისე გაეფუჭებინა, ვერც გაარჩევდი ვინ ვინ იყო, მზისგან გახუნებულიყვნენ. ეს სურათები, რა თქმა უნდა, გუადალას დახატული გახლდათ.

სასახლის სხვა კედლებიც გუადალას მოუხატავს ოდესღაც. სოფლელთა შრომაო, დღესასწაულებიო, დამმობილებული კოლმეურნეობების დელეგაციების სტუმრობაო, ერთი სიტყვით, ბევრი რამ მნიშვნელოვანი ეხატა ამ კედლებზე. ვერავინ იტყოდა, ეს სურათები უადგილოა და საჭირო არააო. მაგრამ დათამ თქვა და გაათავა: რაც მოძველდა, უნდა განახლდეს, რამაც დრო მოჭამა, უნდა შეიცვალოსო.

სრულიად მოულოდნელად ამან უთანხმოება გამოიწვია. მორევი ისე დატრიალდა რომ, მინდოდა თუ არ მინდო-

და, მეც ჩამითრია. იმ კაცის დღეში ალმოვჩნდი, მოულოდნელად ხელი რომ ჰკრეს და წყალში გადააგდეს.

მე რომ ამზაჭაში ჩამოვედი, იმის შემდეგ დაიწყო ეს რია-რია და ამიტომაც, ყველაფრის თავად და მიზეზად გუადალა მე მთვლიდა.

სინამდვილეში საქმე ბადრამ და დათამ ისე წამოიწყეს, რომ ჩემთან არც შეუთანხმებიათ. როცა გამენდნენ, დასამალი რაა, მხარი მივეცი, მაგრამ აბასი მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა და, როგორც ომის მემატიანე იტყოდა, ორი ძალა შეეჯახა ერთმანეთს.

ბადრამ და დათამ საკითხი ასე დასვეს: მასალა, რომლითაც მოხატულია სასახლის კედლები, მოძველდა და, რაც მთავარია, ახალი ფორმებია საჭირო.

„ვინ გვასახელებს, ვინ გვარცხვენს“ — ასე ერქვა სტენდს, რომლის გაფორმებასაც შევუდექი. რა თქმა უნდა, ზედ კედელზე არ ვხატავდი. ბადრა და დათა მხარს მიჭერდნენ, აბასი მაინც განზე იდგა, საქმეში არ ერეოდა.

ვიწყებ საქმეს და ვფიქრობ:

დაღებითი მოვლენების ამსახველ სურათებს რომ კმაყოფილებით შეხვდებიან, წყალი არ გაუვა;

მოწინავეთა პორტრეტების გამოფენაზე ენა ვის მოუბრუნდება;

ზარმაცებისა და უქნარების კარიკატურულ სურათებს რომ დაინახავენ, სხვები კი იცინებენ, მაგრამ თვითონ გაკრიტიკებულნი რას იზამენ, ნეტა, ჰა?

აი, ძაღლის თავი სად მარხია.

სათქმელად ადვილია, მაგრამ ცხოვრებაში საქმე სულ სხვაგვარადაა.

ყანას რომ სარეველა მოედება და მოერევა, ისე მოგვეჯარა ფიქრი და ათასმა წვრილმანმა ლამის წაგვლეკა.

ბადრა და დათა მამხნევებდნენ. როცა ერთად ვიყავით, თითქოს არაფერი, საავდრო ღრუბლებს იოლად ვფანტავდით, მაგრამ მე და ჩემი საქმე მარტო რომ ვრჩებოდით?

როცა გამოჩენილ, პატივდებულ ხალხს ვხატავდი, ფუნჯი ჩემს გულისხმას მიჰყვებოდა, მემორჩილებოდა — კარიკატურებსა და შარჟებზე რომ გადავდიოდი, ეს ოხერი ხელი თითქოს ჩემი არ იყო.

დათას გავუტყდი.

— მართალი ხარ, ვერ შეგეღავები. — დამეთანხმა ის, — თავიდან მეც ყველაფერი იოლი მეჩვენებოდა, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

„დაჯექი ახლა და აქიაქე, ამასხარავე შენიანები. შენი მოწინავე თანასოფლელების სურათების გვერდით გამოკიდე შენივე ზარმაცი, უქნარა თანასოფლელების შარჟები, კარიკატურები?“

ფიქრები აბობოქრებულ მდინარესავით წამოვიდა. მე და დათა თითქოს ამ მდინარის გაღმა-გამოღმა ვისხედით — ვერაფერი გვეთქვა ერთმანეთისთვის. დრო ბედაური ცხენივით დინჯად, აუჩქარებლად მიდიოდა, მაგრამ ჩვენ ახლა ისე ვისხედით მიწაზე, თითქოს იმ ცხენის ზურგიდან ეს-ესაა ჩამოვვარდითო.

—ერთ რამეს გეტყვი, ალხას, — შემახსენა თავისი აქ ყოფნა დათამ.

— გისმენ.

— ვთქვათ... ვთქვათ... ვთქვათ, იმ ცუდის ამსახველ სურათებს რომ არაფერი მიუწერო, რა იქნება? აი, სულ რომ არაფერი მიუწერო?

— თუ არაფერი მივუწერეთ, ტყვია მიზანს მოხვდება?

— ყველამ თავისი თავი თვითონ გამოიცნოს-თქო, რომ მივუწეროთ?

— ლომი ხარ, ვეფხვი!

გულზე მომეშვა!

უკვე გულდამშვიდებით ვმუშაობდი.

### 10.

დედაჩემის სურათი თავთით მეკიდა. ის სურათი — გულხელდაკრეფილი, თმაგაშლილი, თვალდახუჭული რომ უჯდა სხვა ქალებთან ერთად ცხედარს. ეს სურათი დამრჩენოდა ამქვეყნად ერთ დროს მისი ყოფნის დამამტკი-

ცებლიდ, — ცოცხლობდა, ცოცხლობდა, ცოცხლობდა!

ჩემთვის ის აღარ იცვლებოდა. იყო და იყო ისეთი, როგორიც სურათიც ფოტოგრაფმა გადაუღო. იჯდა მოტირალ ქალებში, თითქოს სამუდამოდ მგლოვიარეებში უნდა მჯდარიყო — საქაოშიც და საიქიოშიც.

როგორ მინდოდა, როგორ მინდოდა, თუნდაც წამით, თვალი გაეხილა და ქვეყნისთვის შეეხედა, დავენახე მე, მომფერებოდა თვალების თბილი სხივებით, — ამასაც ვიკმარებდი, ამასაც, ერთი სიტყვაც რომ არ ამოეღო.

დედაჩემის თვალები...

სიცოცხლეშივე რად დაიხურა ის თვალები ჩემთვის.

დიდხანს არ დამეძინა.

...მეზობლების ბავშვებთან ერთად ჩვენს მწვანე ეზოში აიმწაკიაჩას ვთამაშობდით. სანამ არ დაღამდებოდა და მშობლები არ დაგვიძახებდნენ, ერთმანეთს ვერ ვცილდებოდით. ბურთის თამაშით ვერ ვძღებოდით.

— ალხას! — ჩამესმა ვიღაცის ხმა, როცა ბურთიანად მივქროდი. და ეს ხმა ბავშვების ხმაურმა და ყიჟინამაც ვერ დაფარა. აგერ, სულ ცოტაც, ცოტაც და გოლი გამაქვს, მაგრამ ის ხმა არ მეშვება.

— ალხას! — და ნათლად დავინახე დედაჩემი, თუმცა იგი სახლში იყო.

— დედა! — ვთქვი და მეტი ვერაფერი მოვახერხე.

ეს რომ გაიგონეს, — არ ვიცი, რა იგრძნეს, — ბავშვები ჩუმად წავიდ-წამოვიდნენ.

სახლისკენ გავიქეცი.

— ალხას! — ისევ მომესმა მისი ხმა, როცა შუა კიბემდე ვიყავი მისული.

— აქ ვარ, დედა, — და ავუჩქარე ნაბიჯს.

იწვა. თავზე დავადექი.

— წყალი, — თვალი ძლივს გაახილა მან.

სავსე ჭიქა მივაწოდე.

— აქ დაჯექი, ალხას, — შემომხედა და ცახიელი ჭიქა მომაწოდა.

დავჯექი.

თავისი სუსტი, ულონო ხელებით მეუბნებოდა სათქმელს, კანკალებდა, თრთოდა, იმ უხელებო კაცს ჰგავდა, რომელიც ცდილობს ხეზე აცოცდეს.

საშინელმა სენმა ჩააგდო ლოგინში. დიდხანს იწვა. ხელ-ფეხი წაერთვა, ირგვლივ ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არაფრის თავი არ ჰქონდა.

იმ ავადმყოფობის ხსენებაზე დღესაც მაჟრჟოლებს...

ექიმები და წამლები არ დაჰკლებია. შინაური წამლებიც იხმარეს. ვერაფერმა უშველა.

ერთხელ, შუაღამისას ძილში ჩამესმა შეჩვეული ხმა:

— ალხას!... ალხას!...

ლოგინში წამოვჯექი.

— ალხას, ნან!

დედაჩემის ოთახიდან მოდიოდა. ის ხმა — დედაჩემის ხმა, შეჭირვებული...

წამში მოვიცვი რაღაც და შევედი.

მთელი მეზობლები უკვე თავზე ადგნენ. ასე იციან ჩვენში, როცა შეიტყობენ, რომ ავადმყოფი უკვე დიდხანს ვერ გასტანს — დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა — ყველა თავზე ადგება და აღარ მოსცილდებიან, სანამ სული არ ამოუვა, — ღმერთო, შემცოდე და, თითქოს ამას ელიანო.

მე რომ გამოვჩნდი, გაიწ-გამოიწიეს, გზა მომცეს.

დედაჩემი მიტკალივით თეთრი იწვა, შუბლზე ხელი რომ მივადე, თვალი გაახილა და შემომხედა, თუმცა, ეტყობოდა, რომ უჭირდა:

— წყალი მიეცი, ნან, წყალი, — ჭიქა მომაწოდა ბებიამ. — დაალევინე, პირი უშრება.

თავი ავუწიე და ჭიქა მივუტანე პირთან, მაგრამ ტუჩებს ვერ ამოძრავებდა. ყლუპიც ვერ დალია, ტუჩებიღა დავუსველე.

მერე მოიკრიბა მთელი ძალა და ხელი ხელზე ისე მაგრად მომიჭირა, ალბათ, იქ მყოფნი, ყველანი ერთად, ვერ გააშვებინებდნენ.

— მანდ დაჯექი, ნან, წინ დაუჯექი, — ჩამჩურჩულა ბებიამ.

მეზობელმა ქალიშვილმა ცარუმ სკამი დამიდგა.

დავჯექი. არ ვინძრეოდი. დედა ხანდახან თვალს ახელდა, შემომხედავდა და ისევ ხუჭავდა.

ასე გაგრძელდა ერთხანს.

სამარისებური სიჩუმე იდგა. ყველა რაღაცას ელოდა. მე მაშინ არ მესმოდა, რომ ჩვენი ოჯახის დიდ უბედურებას ელოდნენ. მოსახდენს ელოდნენ.

ღამე დილისკენ იხრებოდა. ავადმყოფს უკეთესობა არ ეტყობოდა. ჩუმად იწვა, თავისთვის, არაფრით გვაწუხებდა. ჩემს ხელს არ უშვებდა, მაგრად ეჭირა, თითქოს ეშინოდა, რომ გავუშვა, სულსაც დავლევო.

ერთი-ორჯერ სცადა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერაფერი შესძლო.

სალ გონებაზე იყო, თვალს რომ ახელდა, მაშინღა ეტყობოდა, რომ ყველაფერს გრძნობდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თვალი, გონება და ძალა ერთმანეთს არ მისდევდა.

ეს იყო ყველაზე დიდი საცოდაობა.

დილით...

შეირხა. თვალი აახილა. მიცქირა, მიცქირა... ღმერთო, დიდებულო! ძალა მოიკრიბა, თითქოს სასწაულით სულ გამოკეთდაო, წამოჯდა, თვალი გაუნათდა, კიდევ მიყურა ერთხანს — ჩემთვის ის დრო საუკუნე გაგრძელდა! — თითქოს ახლაღა დარწმუნდა, რომ ცოცხალი ვარ და ამასღა ნატრობდაო, ალხასო, ერთი კი დაიჩურჩულა ბედნიერმა და...

გათავდა.

თვალები სამუდამოდ დახუჭა.

დავრჩი უმისოდ.

ახლა სურათზე მის დახუჭულ თვალებს ვუყურებ.

ვიხსენებ ჩემს ბავშვობას. მოგონება მოგონებას ცვლის.

ბიძაშვილები ზაფხულობით ჩამოდიოდნენ, რომ წავიდოდნენ, მარტო ვრჩებოდი მამაჩემისა და ბებიას ანაბარა.

თუმცა, მამაჩემს ჩემთვის სად ეცალა. შინ გვიან მოდიოდა და მაშინაც — ვერ ვეკარებოდი. ბებია ყოველნაირად ცდილობდა უდედობა არ მეგრძნო.

— ბებია, მამა სად არის? მალე მოვა? — ლოგინში წამოვჯდებოდი მოულოდნელად.

— კიდევ არ გძინავს? — უკვირდა ბებიას, — საქმეები ექნება, შვილო, აბა, რატომ დაიგვიანებდა. დაიძინე, ნან, დაიძინე!

მაგრამ მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა — მამამ ცოლი შეირთო.

მერედა, ვინ? ცარუ, ის ჩვენი მეზობელი ცარუ, რომელიც დედაჩემის სიკვდილის წუთებს ესწრებოდა.

თურმე, მამაჩემი და ცარუ ადრეც, დედაჩემის სიცოცხლეშიც ახლოს ყოფილან. დედაჩემის სიკვდილიც ამას დაუჩქარებია. რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცი, ცოდვას ვერ დავიდებ, რაც არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ყველას რომ ეკერა პირზე — ვერ დავმალავ.

დიახ, მამაჩემმა ცოლი შეირთო.

სახლში მე და ბებია მარტონი ვიყავით.

ბებიამ არ იცოდა, რა ექნა.

არც მე ვიცოდი.

ისეთი რამ მოხდა, მთელი ჩვენი ოჯახი თავდაყირა დადგა, ყველა ჩვენი წესი და რიგი დაირღვა.

— ყველაფერი კარგად იქნება, ალხას, — მამშვიდებდა ბებია, — შენ რომ გინდა, ისე იქნება ყველაფერი. ცარუ... ცარუ რომ ჩვენს ოჯახში შემოვიდა, ბედნიერებაა.

ენა არ მიბრუნდებოდა, რომ მეთქვა: კი, ბებია, ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ ეგ ბედნიერებაა-მეთქი.

ვიყავი ასე ენაჩავარდნილი.

— რა ვქნათ, ნან, რა ვქნათ, — მეტს ვერაფერს ამბობდა ბებია.

მამას ქალი სახლში არ მოუყვანია, როგორც ეს ჩვენებური წესით ხდება.

სხვაგან მიიყვანა.

მაგრამ როდესმე ხომ უნდა მოეყვანა შინ.

ქორწილიც უნდა გადაეხადა, აბა!

ასეც მოხდა. მოიყვანა კიდეც და ქორწილიც გადაიხადა. გარეგნულად ყველაფერი კარგად მიდიოდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ვერა და ვერ შევურიგდი ამ ამბავს.

ვერ შევურიგდი, ვერა.

რა არ ილონა მამაჩემმა, — მეფერა, მეხვეწა, მელმერთა, არც მუქარა დაუკლია, მაგრამ ვერ მომარჯულა.

სახლი გაცივდა, სიტკბო და სითბო გაქრა.

ისევ ბებიაჩემის ჭკუამ და მოთმინებამ გასჭრა — სირცხვილია, თავი მოგვეჭრებაო, ჩუმად ვიყოთო. ოღონდ, გულით არ შერიგებია ბედს, ჩემი არ იყოს, არც იმას შეეძლო!

პატარა ნაპერწკალიც და ყველანი ავფეთქდებოდით.

ცარუ სულ კუდში დამდევდა, მაგრამ მე სულ გავურბოდი.

— ერთხელაც მიხელთა:

— ალხას, ალხას, მე... — ტკბილად, ალერსით დაიწყო.

— რა საჭიროა, — მკვახედ მივუგე და ხელი შორს გავუწიე.

— რატომ ალხას, რატომ? მე მინდა მე და შენ კარგად ვიყოთ, — ეს უკვე ხვეწნა იყო.

— მე არ მინდა, გაიგე, არ მინდა, — ეკალივით ვუჩხლიტე.

— რატომ, ალხას, განა მე შენ ყოველთვის არ მიყვარდი? სულ პატარა რომ იყავი, მაშინაც...

— მე კი არასოდეს არ მიყვარდი! — მინდოდა, რაც შეიძლება მეტად ტკენოდა გული, — არ მინდიხარ! არ მინდიხარ! არ მინდიხარ! — თითქოს სამი ტყვია დავახალეო ზურგში თავის ოთახში შემავალს.

ის ოთახი ხომ დედაჩემის ოთახი იყო.

დასანახად არ მინდოდა ცარუ.

ვინც შენ არ გინდა, იმას არც შენ ახატიხარ გულზე.

ვართ ასე დღემდე.

გარედან ერთ ოჯახად ვჩანდით, მაგრამ ამ ოჯახში უხმაუროდ, ჩუმად ცოდვის კითხვა ტრიალებდა.

11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე რომ ითქვას, მე და ცარუს ერთმანეთში ადრე არავითარი უსიამოვნება არ გვქონია. ის კი არადა, როცა შემხვდებოდა, მიხაროდა, — მეფერებოდა, ტკბილეულს მომიტანდა ხოლმე, მოდიოდა და, ავადმყოფ დედაჩემს უვლიდა, რამდენჯერ უჭმევია ჩემთვის. მისგან სითბოს ვგრძნობდი და გულის სიღრმეში მადლიერიც ვიყავი.

მაგრამ იმან, რაც შემდეგ მოხდა, ყველაფერი უკუღმა დაატრიალა.

ის რომ ისევ მზრუნველ, კეთილ მეზობლად დარჩენილიყო, ისევ ისევე მეყვარებოდა.

მაგრამ ჩემმა ბავშვურმა გონებამ ვერაფრით გადახარშა, რომ ცარუ ასე ურცხვად, უტიფრად დადგა დედაჩემის ადგილზე.

თითქოს ერთ წუთში გათავდა ჩემი ბავშვობა. გავტყიურდი, ბებიას გარდა ვერავინ მეკარებოდა. სულაც არ მინდოდა ასეთი ვყოფილიყავი, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი.

მამაჩემი გვიყურებდა მეც და ცარუსაც. გულში, ალბათ, ვეცოდებოდი და ყველაფერს მაპატიებდა, მაგრამ, ეტყობა, ბოლოს მაინც აევსო მოთმინების ფიალა — ბებიაჩემსა და ცარუს შორის გაირბინა შავმა კატამ.

მერედა, იცით, რატომ?

ბებიაჩემმა, ბაალოუფჰა ჯარიმხანმა, რომელსაც მთელი სოფელი თვალში შეჰყურებდა, დიდი მოთმინება გამოიჩინა, ზოგი რამ „ვერ დაინახა“, ზოგი რამ „ვერ გაიგონა“, მაგრამ როცა რძალი ყოველგვარ საზღვარს გადავიდა, ცხვარი გაცხარდა და მერე როგორ გაცხარდა?

რძალმა ყველაფერი თავის ყაიდაზე შეცვალა, თავდაყირა დაყენება მოინდომა ოჯახში, მიზნად დაისახა პირწმინდად წაეშალა მანამდელის, ძველის მცირეოდენი კვალიც კი.

რაც მართალია, მართალია, გამრჯე იყო. ჩვენი კარ-მიდამო ისე მოაკრიალა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. რაც

 

სახლსა და ეზო-კარს დედაჩემის ავადმყოფობის დროს ხელი დააკლდა, ცხადივ დაატყო. ბაძის ახალ ცოლს ოქროს ხელი აქვს, დიასახლისს მისი ეზოთიც იცნობო.

ჯარასავით ტრიალებდა, მაგრამ ვერ მოზომა და კაი გვარიანად შეტოპა. აი, მაშინ აირია მონასტერი.

ბებიაჩემს ჩემი უმცროსი ძმა მოენატრა და მის სანახავად წავიდა დედულეთში, სადაც იზრდებოდა და განზრახულზე მეტ ხანს დარჩა. ცარუმ მისი არყოფნით ისარგებლა, სახლი გადააქოთა, თავის ადგილზე არაფერი დატოვა, ზოგი რამ სულაც გადაყარა, ზედმეტიაო. ბებიაჩემის ოთახიც ხომ თავის ჭკუაზე გააწყო, საწყალი ქალი, თუკი რამე ჰქონდა შენახული გულის სახსოვრად ან შავი დღისთვის, ველარც იპოვიდა.

ბებია რომ დაბრუნდა, დასაბმელი გახდა.

— ეს რა ხდება ამ ოჯახში? — იყვირა აივანზე გამოსულმა, — რა ამბავია ჩვენს თავს?

— რა გაყვირებს, ადამიანო? — მაგარ გულზე გამოვარდა ცარუც სამზარეულოდან. მას მამაჩემიც გამოჰყვა.

— ეს რა ხდება-მეთქი გეკითხებით მე თქვენ, რა ხდება, რა? — ისევ იყვირა ბებიამ.

— რა მოხდა, მაინც, დედაჩემო? — მამაჩემი მიხვდა, რომ ბებიასაგან ხმის ამაღლება ავისმომასწავებელი ნიშანი იყო.

— რას ჰქვია, რა მოხდა? გითხრათ ვინმემ ბაალოუფჰა მადინა გარდაიცვალაო? ცოცხალთა სიიდან ვინ ამომიღო სიცოცხლეშივე, არ მეტყვით?

— რას ამბობ, დედა, ვინა თქვა შენზე. გარდაიცვალაო ან ცოცხალთა სიიდან ვინ ამოგშალა? — ჩაეკითხა მამაჩემი.

— რატომ ამბობთ მაგას? — ვერ მოითმინა და ხმადაბლა იკითხა ცარუმაც.

— კიდეც რომ კითხულობ, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო და შეჩვენებულო! მთელი ჩვენი სახლი რომ თავზე წამოიცვი და ყველას უფროსად — რომ დაგვიჯექი აქა, ეგ კარგია, ქალბატონო?

მამამ შეატყო, რომ საქმე გართულდა და სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო — სამზარეულოში მიიმალა.

— მაშ, ბაალოუფჰა ჯარიმხანის ოჯახში დღემდე მოტანილი წესების შეცვლა და ყველას შენს ჭკუაზე ტარება მოინდომე, არა? ყველაფერი — ყველაფერი და დაუკითხავად ჩემი ოთახის შენს ჭკუაზე მილაგ-მოლაგება როგორ გაბედე, როგორ? არა გრცხვენია მაინც? მე ჯერ სხვები მეკითხებიან ჭკუას, შენ კი შენს ჭკუაზე გინდა მატრიალო? წადი და დედაშენს დაულაგე ოთახები, როგორც მოგეგუნებოს! ჩემსას კი ხელს ნუ ახლებ, გაიგე? ოჯახი იმის ოჯახია, რომ უფროსი ჰყავდეს. ჰოდა სანამ ცოცხალი ვარ, ოჯახის უფროსი მე ვიქნები. როცა მოვკვდები, გაიხარეთ, იარხეინეთ... ჰო, ჰო, როცა მოვკვდები!..

არც ერთმა დათმო, არც მეორემ. მამაჩემმა ბევრი უჩიჩინა ცარუს, დაუთმე დედამთილს, უფროსია, პატივი ეციო, მაგრამ ცარუ მომართულივით ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ამ ოჯახში ან ეგ უნდა იყოს, ან მეო.

რომ არ გაათავა და არ გაათავა ამაზე საუბარი და ქმარი ძალიან შეაწუხა, პასუხიც მიიღო:

— მაშ, ეგრე, არა? მაშინ ის უნდა იყოს აქ...

— ეგრეა, ხომ?

— დიახ, ზუსტად ეგრე! — მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო ცარუსთვის ამის გაგონება.

— ასეა, ხომ? მაშ, ვნახოთ!

კარები მოიჯახუნა და წავიდა.

თავის მშობლებთან წავიდა.

წავიდა, მაგრამ... ისე არ არის, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო...

არც ჩვენს სახლს დამართნია რამე უმისოდ და არც ჩვენ.

კაბის კალთა არავის ჩამოუხევია მის-

თვის. წავიდა და დარჩა კიდეც დედმამის სახლში.

— დედასთან მინდა წასვლა, — თქვა პატარა ამინამ.

— მეც,— აჰყვა ადამირიც.

მამაჩემი ბავშვებს თავს არიდებდა, მაგრამ როცა ისინი ბებიას ჩააცივდნენ და ჩააცივდნენ, გულმა ველარ გაუძლო, შეეცოდა. ბავშვები ბავშვები არიან, მათი რა ბრალია?

ამინა და ადამირი დედასთან კარგახანს დარჩნენ. დედა რას არ აკეთებდა, რომ მათ კარგად ეგრძნოთ იმ ბებიასთან და ბაბუასთან თავი, მაგრამ ბავშვებს თავიანთი სახლი, მამა, ბებია ბაალთუფჰა და მე მოვენატრეთ.

— სახლში წავიდეთ, — აუჩემეს დედას.

— აქ იყავით, სახლში არა ხართ? — მოეფერა დედა.

— არა, ჩვენს სახლში გვინდა წასვლა, — არ იშლიდნენ ბავშვები, — შენც წამოდი, გვეყო, რაც აქ ვიყავით.

— მე იქ ვერ წამოვალ, მე ჩემს სახლში ვარ. თქვენც აქ დარჩებით ჩემთან.

ბავშვებმა ვერ გაიგეს:

— ჩვენს სახლში გვინდა წასვლა, მამასთან, ბებიასთან, ალხასთან. შენც წამოდი.

— არა, არა, მე ვერ წამოვალ, არც თქვენ წახვალთ, არ გაგიშვებთ!

ბავშვებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ.

— ჩვენს სახლში წავალთ! ჩვენს სახლში გვინდა ყოფნა!

როცა ვერაფერს გახდა, ბავშვები გამოგზავნა.

მაგრამ ასე როდემდე უნდა გაგრძელებულიყო.

ისევ ბებიაჩემმა დათმო, შვილს მოელაპარაკა, დაარიგა და ცარუ დააბრუნეს.

ის თავისთვის იყო.

ჩვენ — ჩვენთვის.

ცარუს დედა, ნუგთასი შვილს თავის ჭკუაზე ატრიალებდა.

ნუგთასი ერთი გაუმაძღარი ქალი იყო, სულ იმის ფიქრში იყო, ნემსი სად შეერჭო და ნაჯახი გამოეძრო და შვილსაც ასე ზრდიდა.

სახლში რომ ვერაფერს შემოიტანდა, ის დღე დღედ არ მიაჩნდა.

— შენ თუ რამე არ მოიტანე სახლში, სხვა არაკ არაფერს მოგიტანს, ჩემო კარგო, არაფერს! ეს დაიხსომე, დაიხსომე! — წარამარა ამას უჩიჩინებდა შვილს.

ცარუც დედის ალიკვალი იყო.

მისი გონება სულ მუდამ ყიდვა-გაყიდვაზე იყო მომართული. დედაც ხელს უწყობდა.

ვერა და ვერა მოაშლევინეს ეს ამბავი ვერც დედას და ვერც შვილს.

ჩემს სახლში რომ ვიყავი, ნუგთასი ცოფებს ჰყრიდა, ცარუც გაძარევას იყო.

ყველაფერს ვხედავდი და ვხვდებოდი. ყური მქონდა და თვალი.

წინ დიდი საქმე მქონდა და არ მინდოდა წვრილმანებში დავხურდავებულიყავი.

თავს უნდა მოვრეოდი. ძალა უნდა მომეკრიბა.

მარტო ძალაც არ კმაროდა.....

ბევრი რამ უნდა მოვითმინო.

ბევრი რამ უნდა მოვითმინო, თუ მე მხატვარი ვარ.

ბევრი რამ უნდა მოვითმინო, რაკი ყველაფერს ზურგი შევაქციე და ამზაჰაში ჩამოვედი!

რამდენ შარსა და ხათაბალაში გავეხვიე, მე კი მეგონა სოფლის — ჩემი სოფლის სიმშვიდე დამაწყნარებდა.

მაგრამ, პოეტისა არ იყოს, სიმშვიდე ჩვენ მხოლოდ თუ დაგვესიზმრება.

12.

ახალი ამბავი ელდასავით მოვარდა:

— ადა ჩამოდის, ადა, გაიგეთ? — ერთმანეთს ეუბნებოდნენ ჩვენი სოფლელები, — უმაღლესი დაამთავრა და ჩამოდის.

„ადა ჩამოდის!“

ბაქანზე რომ გავედი, ხალხი უკვე დაშლილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლის ქალმა ასე გამშრალი რომ დამინახა, მითხრა (ღმერთო, ყველამ ყველაფერი იცის!): ნან, ადას თუ ელოდები, ეს-ეს არის ამხანაგთან ერთად მანქანით წავიდა. თუ არა ვცდები, აბასიც მათთან იყო.

„დროზე ვერ გამოვადგი ფეხი, ასეც მომიხდება“ — ვთქვი გულში, ის ოხერი ყვავილები ზურგს უკან დავმალე და გულიანად შევუკურთხე ჩემს იღბალს.

...ადას ჩამოსვლის გამო, წესისამებრ, ოჯახს სუფრა გაეწყო. ძირითადად ახალგაზრდები ტრიალებდნენ. მიჰქონდათ და მოჰქონდათ შემწვარი და შესაწვავი. ხორცს დიდ ქვაბში ხარშავდნენ, ქვაბებს ცეცხლი შენელებოდა, მაგრამ ნაცარში გახვეული ნაკვერჩხალი ბოლომდე არ ჩამქრალიყო. ქვაბებში დარჩენილი ღომი მიმწვარიყო და ეზოში ყოველივე ამის სუნი ტრიალებდა. ნარჩენებით გამაძღარ ძაღლებს განძრევა ეზარებოდათ, ერთმანეთისთვის ზურგი შეექციათ და იდგნენ აქა-იქ ჭადრაკის დაფაზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ფიგურებივით.

...ყველაფერ ამას მე ვხედავდი!

ადა აივანზე გამოვიდა, ორივე ხელით მოაჯირს დაეყრდნო, ეზოს თვალი მიმოავლო, მერე თავი ასწია და კამკამა ზეცას აჰხედა, — თითქოს კოინდარზე და ცაზე ბავშვებისდროინდელ ნაფეხურებს ეძებსო.

გაოგნებული ვიდექი და ვუყურებდი.

ამ დღეში ვარ, რომ სახლიდან გამოდის დათა და მოდის ადასთან. ისიც ადასავით მოაჯირს შემოეჭდო, დგანან და ორივენი ოცნების თვალით შორეთს გასცქერიან, თითქოს სხვათათვის რაღაც უხილავს მზერენ. ადას რომ მისი მოსვლა გაეხარდა, აშკარად ვიგრძენი, რაღა ვიგრძენი, დავინახე.

აგერ, ა, აგერ მიეკვრებიან ერთმანეთს!

ვინ უშლით? რა უშლით?

აგერ, ა, აგერ მიეკრობიან ერთმანეთში ყველაფერი, მე დავინახე: წუთით არ დაუხანებიათ, სიცილ-კისკისით შევარდნენ სახლში.

მე სახლში მივდიოდი. ეტყობა, ფეხს ვითრევდი, ეტყობა, კაიხანს ვიბორიალე.

გზაში შევეფეთე.

ეტყობა, გულში მხოლოდ სიკეთე ედო, ეტყობა არავის წყენინება არ უნდოდა, — ნაქეიფარ, მარტომგზავრ დათას სახე გაბადროდა. ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს, თითქოს ვისსამე გალვიძებას ერიდებაო.

მომიახლოვდა თუ არა, მიცნო.

— ო, ალხას!

ვდუმარ.

— რა დაგემართა, ალხას? შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— ვითომ რატომ უნდა ვიყო შეუძლოდ? — მკვახედ ვპასუხობ.

— მეჩვენება, რომ მოწყენილი ხარ.

— ნამდვილად გეჩვენება. ძალიან კარგად ვარ.

— აგაშენა ღმერთმა. მეც ეგ მინდა.

— ჰოდა, ეგრეა.

— ადა საოცარი გახდა, ალხას, — თქვა დათამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— ალბათ, — ყელში მომაწვა რაღაც.

— ნატალკა აგრონომია, ადას ამხანაგი, ჩვენთან უნდა მუშაობის დაწყება. ადა და ნატალკა ხარკოვში დამეგობრდნენ და დობაც შეჰფიცეს ერთმანეთს...

— დაიწყოს მერე მუშაობა, ვინ უშლის, — უხალისოდ შევეხმიანე.

— არა, ალხას, არა, ეგრე კი არ არის საქმე, ნატალკა კარგი გოგოა, არაფრით ჩამოუვარდება ადას. ადა კი ვინცაა, მე მგონი, შენ კარგად იცი... ხომ ასეა, ალხას, ჰა?

„ახლა ყველაფერი გასაგებია. შენ მეუბნები, რომ ნატალკა ადაზე ნაკლები არაფრითაა, ჰოდა, ნატალკაზე იფიქრეო? რატომ მეუბნები, დათა, ამას, რატომ? ნატალკა თუ ასეთი კარგი გოგოა, ვინ გიშლის, ვის რა ხელი აქვს. ადას რაც შეეხება, დათა, სანამ პირში

სული მიდგას, არ დაგანებებ, არა, არა, არა!“

— ნატალკა თუ კარგი გოგოა, ვინ გეცილება, — არ მოვერიდე.

— მაგიტომ კი არ მითქვამს, — მე ალთას ვიყავი, ის — ბალთას.

— არ ვიცი! — თითქოს ვიღაცამ მიჯიკავაო, ზურგი შევაქციე დათას.

— არაფერი მესმის, ეტყობა მთვრალი ვარ, — შემომესმა დათას ხმა, მაგრამ მე ნაბიჯს ავუჩქარე.

ადას ნახვა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა. ვიდრე სამსახურს დაიწყებდა, ჩანს, დასვენება უნდოდა და თითქმის სულ სახლში იყო, შინ მისვლა კი უმიზეზოდ ვერ შევბედე.

ყველას თავისი დარდი აქვს. ბადრა წარამარა მეკითხებოდა:

— რა ჰქენი, ალხას, პირობაზე როგორა ხარ, კულტურის სახლისას რას შვები?

— ალხას, როდისღა გამოვკიდებთ სურათებს? — ცალკე დათა არ მასვენებდა, — დროა, ძმაო, დროა. დაუჩქარე!

დათას რა ენაღვლება, რა! ეგ სურათები, კარიკატურები, შარჟები მე უნდა ვხატო, მას კიდევ კედელზე გამოკიდებაც პრობლემა ჰგონია — საქმეში ეთვლება!

ყველა თავის თავზე ფიქრობს!

მაგრამ გასაკეთებელი უნდა გამეკეთებინა. უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილი მქონდა.

დამშვიდებული ვმუშაობდი-მეთქი, ვერ ვიტყვი. დრო ცოტა მქონდა და სამზეოზე უნდა გამომეტანა ჩემი ნახელავი!

ერთ საღამოს კულტურის სახლი დავკეტეთ და კედლებზე სურათების დაკიდებას შევუდექით.

შევატყე, რომ დათას ჩემთან განმარტოება და რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ თევზივით ვუსხლტებოდი.

გაკვირვება ვერ დამალა:

— ალხას, რაღაც მინდა გითხრა, — ძალიან ფრთხილად დაიწყო, — არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ...

— ძალიანაც კარგად იცი, — მაშინვე მოვუჭერი, ვიცი, რაც უნდა მითხრა და რასაც მიმალავ, ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს...

— დამაცადე, ალხას, იქნებ, რა უნდა გითხრა, იქნებ, შენ რომ გგონია, იმას კი არა, სულ სხვა რამეს გეუბნები, — დამითმინა დათამ.

„შენი გასამასხარავებელი თავი სადა მაქვს, დათა!“

— კარგი, ჰო, მოვრჩეთ!..

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. დათა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვინ იყო ყურისდამგდები — გავქრი!

გზაზე ისეთი რამის მოწმე გავხდი, ღმერთი რომ თავისი ფეხით მხლებოდა და იმას ეთქვა, არ დავუჯერებდი.

გზისპირას, პატარა მდელოზე, ბუჩქებს ამოფარებოდნენ ორნი და რაღაცაზე დაძაბულნი საუბრობდნენ.

უფრო სწორად, ერთი ლაპარაკობდა, მეორე — უსმენდა.

ადა უსმენდა ცარუს.

ისე იყვნენ ჩაყვინთულნი ამ თავიანთ საუბარში, რომ ვერც კი შემამჩნიეს. ცარუ რატრატებდა, რატრატებდა და ადა, ძალიანაც რომ სდომოდა, ერთ სიტყვასაც კი ვერ ჩაურთავდა.

უსმენდა და თავს უქნევდა, — ეთანხმებოდა.

მერე, ბოლოსდაბოლოს, ცარუმ შემამჩნია, ვინ იცის, დამშვიდობებისას რა უთხრა ადას და ელდანაკრავივით გავარდა.

ადა ჯერ გაკვირვებული იდგა, შემდეგ თავს ძალა დაატანა და ფეხათრევით წამოვიდა ჩემსკენ.

გზა გავაგრძელე. ადა თითქოს არც მინახავს. მაერეოლებდა. უკან მოხედვასაც ვერ ვბედავდი. ზურგში უნდა მომყვებოდეს — ვგრძნობ მისი თვალების სითბოს! ასე მგონია, ათასი ჭიანჭველა დამიდის ზურგზე. ცოტაც, ცოტაც და დამეწევა! ხმა რომ ამოიღოს, ალბათ, იქვე დავეცემი. მეტი აღარ შემიძლია.

წინიდან რაღაც ხმები მოისმა. ყური მივუგდე.

მოსახვევში ამინა და ადამირი გამოჩნდნენ. სკოლიდან მოდიოდნენ. რა ვქნა

ახლა? სად სიკვდილში წავიდე? ბავშვებს გაეხარდა ჩემი დანახვა და მომვარდნენ.

—ალხას, მათემატიკაში დღეს ხუთიანი მივიღე, — მახარა ამინამ (დღეს მთელი დღე წარბი მითამაშებდა — ვიცოდი, რაღაც გამეხარდებოდა).

— მე დედა-ენაში — ოთხიანი — არც მე ვარ მთლად ხელიდან წასული, ადამირმა.

ბავშვებს მივულოცე.

ამ დროს ადაც წამოგვეწია. როცა გაგვისწორდა, ჩემსკენ მობრუნდა და შეუჩერებლად გადმომიგდო სალამი.

— გამარჯობა, ალხას!

— გაგიმარჯოს, ადა. როგორა ხარ?

— არა მიშავს. შენ როგორა ხარ? — ისე, უფრო ზრდილობისათვის მკითხა და გზა გააგრძელა.

— გმადლობთ, — ვუპასუხე მე, მაგრამ არ ვიცი, გაიგო თუ არა.

— ალხას, აქეთ რა გინდა, საით მიდიხარ? — უეშმაკოდ მკითხა ამინამ. — წუხელ სახლში არ ყოფილხარ. ბებიამაც იჯავრა და ჩვენც.

— აქეთ მივდივარ, ამინა, აქეთ, — როგორ გაურკვეველ გზასაც ვადექი, — ისევე გაურკვევლად მივუგე. — რაღაც საქმეები მაქვს...

— რა შენი საქმეა, გოგო, სად მიდის, წამო სახლში, — ადამირმა კაცურად დამიჭირა მხარი, — წამო-მეთქი.

ადამიანის მხარდაჭერა რომ ვიგრძენი, ხო, სახლში წადით, მე მოვალ-მეთქი, ვუთხარი ბავშვებს და ადას კვალს მივყევი თითქმის ძუნძულით:

თვითონ რას გრძნობდა, არ ვიცი, მე — ხმას ვერ ვიღებდი.

— ადა! — გავბედე ბოლოს.

ჭინჭარივით დასუსხა ჩემმა ხმამ. მოულოდნელობისაგან ოდნავ შესამჩნევად შეკრთა და ფეხიც აერია.

— ადა, თუ შეიძლება, — მივადევნე, — ადა, ერთი წუთით...

თითქოს ჩემი უკანასკნელი სიტყვები ფეხზე თოკივით შემოეხვიაო, შეჩერდა, ჩემსკენ მოტრიალდა და თავისი დიდი, ნათელი თვალებით ამათვალიერა.

— გისმენ, ალხას.

ისე მშვიდად თქვა ეს, ისე მშვიდად, დავიბენი.

— რაღაცის თქმა მინდოდა.

— ახლა, აი, აქ? — ვერ მივხვდი, მართლა უკვირდა, თუ დამცინოდა.

შევყოვნდი.

— დიახ, თუ შეიძლება, რაღაცის თქმა მინდოდა, ახლა, აი, აქ, — თან მეშინოდა, არ გამქცეოდა.

— ძალიან კარგი, ალხას, ძალიან კარგი, — და გავაგრძელეთ გზა.

— გისმენ, ალხას.

— ადა, — ვლუღლუღებდი, — ზოგი რამ ვიცი, მაგრამ სიმართლე შენგან მინდოდა გამეგო...

— ზოგი რამ მეც ვიცი, ალხას, აბა! — თითქოს მიხვდა, რისი თქმაც მინდა და მაჯავრებსო, — მარტო შენ კი არ იცი ზოგი რამ!

— ვიცი, რომ იცი... ისიც კი ვიცი, რა აქვს დათას შენთვის ნათქვამი, მაგრამ მინდოდა შემეხსენებინა, რომ მეც ვარსებობ ამ ქვეყანაზე. ალბათ, იცი, ადა, რატომ ჩამოვედი მე ამზაჭაში.

— დათას ჩემთან თავისი საქმე აქვს. ეს ერთი. მეორე — შენ რომ არ მითხრა, ისედაც ვიცი რატომ და როგორ ჩამოხვედი ამზაჭაში. ჩამოსულხარ — კეთილი იყოს შენი მობრძანება.

— ეგრე არა, ადა, ეგრე არა... მე...

— ალხას, რად გინდა ახლა ლამაზლამაზი სიტყვები. ვიცი, ბოლო დროს რატომღაც იყავი დაკარგული, ჯერ თბილისში, აკადემიაში, მერე სოხუმში...

— შენ სიმართლე არ იცი, ადა, დამიჯერე.

— ყველაფერიც კარგად ვიცი, ალხას. ახლა რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი.

ჩვენს უკან მანქანის ხმა მოისმა. თითქოს მიწიდან ამოვიდაო, აბასი დაგვეწია. მანქანიდან თავი გამოყო და დაიძახა:

— ადა, მოდი, დაჯექი.

ძმას სიტყვა არ გაამეორებინა, მან-

ქანაში ჩაჯდა და მეც ყასიდად მითხრა:

— ალხას, ადგილი გვაქვს...

— კი, გვაქვს... — გაურკვევლად მითხრა აზასმაც.

— გმადლობთ, — ძლივს ამოვღერღე.

თითქოს ამის თქმას ელოდნენ, მანქანა დაფეთებული ცხენივით მოწყდა ადგილს და მოსახვევში გაუჩინარდა.

ესეც ასე...

სახლში რომ მივედი, ამინამ ახალი ამბავი ჭიშკართანვე მომაგება.

— ალხას, სტუმრები გვყავს, სტუმრები, შენი მასწავლებელია და ნათელა, შენთან ერთად რომ სწავლობდა. რა გვარია? პაპბა, არა? სწორად ვამბობ?

— კი, სწორად ამბობ.

ძალიან გამახარა ჩემი მასწავლებლის — ხუტა არძინბას და ნათელას ჩამოსვლამ.

სირცხვილი არ გვიჭამია. აფხაზის ოჯახისთვის საკადრისი მასპინძლობა გავწიეთ. მეორე დღეს სტუმრები სოფლის დასათვალიერებლად წავიყვანე.

სამი-ოთხი დღის შემდეგ სტუმრები წავიდნენ, მაგრამ მათმა ჩამოსვლამ სოფელში ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ამაში სულ მალე დავრწმუნდი. სტუმრები რომ გავაცილე და შინ ვბრუნდებოდი, სხვა დროს სანთლით საძებარი ადა შემხვდა.

— ძვირფასი სტუმრები გყავდა, ალხას, ძალიან მიხარია.

— დიახ, ჩემი მასწავლებელი და თანაკურსელი ჩამოვიდნენ ამზაჭის სანახავად, — სიხარული არ დამიმალავს.

— ძალიან კარგი გოგოა ის შენი თანაკურსელი ნათელა პაპბა. ჩემი თვალით ვნახე, სხვის ნათქვამს კი არ ვიმეორებ. „სახელი და გვარიც იცის — საიდან?“

— კი, ნათელა ძალიან კარგი გოგოა, — გულწრფელად დავუმოწმე.

— მომილოცავს, ალხას, — ამის თქმა და გავარდნა ერთი იყო.

ერთი სიტყვით თქმაც ვერ მოვასწარი.

13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებთან ერთად სოფლის შეკრებაზე ადაც გამოჩნდა თავის უკრაინელ მეგობარ ნატალკასთან ერთად. მათ ამაყად კავალრობდა დათა.

ენით ვერ ვიტყვი, რაც დამემართა. ადგილზე გავქვავდი, ხელ-ფეხი წამერთვა.

ახლა აქედან, შორიდან რომ ვუყურებ, თითქოს, ისეთი არც არაფერი მომხდარა, ორი ქალიშვილი ჩემს მეგობარ დათასთან ერთად შემოვიდა ეზოში, — ეს იყო და ეს, მაგრამ მაშინ...

დათამ ისინი ხალხში გამოატარა, შემდეგ ჩემსკენ წამოვიდა სახეგაბადრული, თითქოს ჩემი დანახვა ძალიან გაეხარდაო.

— გაიცანი, ალხას, უკრაინიდან ჩამოსული სტუმარი.

ძალა მოვიკრიბე, რომ დათასთვის ზურგი არ შემექცია და იქაურობას არ გავცლოდი, ძალიან სასიამოვნოა, ძალიან-მეთქი და ჩემი გვარ-სახელიც ბუზღუნით მივაყოლე.

— ნატალკა ოლეინკ, — ღიმილით მითხრა სტუმარმა.

— აბა, ალხას დღეს გამოცდას ვაბარებთ! — გამაფრთხილა დათამ.

— ჰო, ორივენი ერთნაირად მკაცრ გამოცდას ვაბარებთ, — ხაზგასმით, სხვების გასაგონად მივუგე.

— რაღა თქმა უნდა, ალხას. როგორც იცი, მე პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ. არც ახლა ვაპირებ, ჩემო ძმაო! — ვერ გავიგე, გულს მიმაგრებდა, თუ სოფლელებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, ამ სოფელში დიდი ვინმე ვარო.

კულტურის სახლი წუთი-წუთზე უნდა გახსნილიყო... კარები გააღეს და ხალხი გაემართა დარბაზებისკენ.

ხალხი კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს მისეოდა. ბევრი თითისწვერებზე იდგა და ისე ცდილობდა სურათები და პლაკატები დაეთვალიერებინა.

ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ამ სი-

ჩუმისა უფრო მეშინოდა, თითქოს მეხის გავარდნას ველოდი.

— როდის-როდის ვიღაცამ დაარღვია სიჩუმე.

— კარგია, კარგი... პირადად მე მომწონს. ვინ როგორ უნდა დაეხატათ, ცოდნიათ...

სხვებმაც ამოიღეს ხმა:

— მაგრადაა დახატული, ოსტატურად... სხვა ხმაც გავიგონე:

— თქვენ რომ აქებთ, მთლად ისეც არაა საქმე. მოწაფეების ნადღაბნსა ჰგავს ეს ნახატები. ვითომ, რაო, ახალს, ისეთს რას გვეუბნება ამის მხატვარი? მესმის, კაცს სურათი გადაუღო და დაკიდო, თორემ იდექი ახლა აქ, იყურყუტე და არკვიე ვინ პეტრეა და ვინ პავლე.

ვერ ვხედავდი, ვინ ამბობდა ამას, მაგრამ მივხვდი კიდეც და ხმაც ვიცანი — გუადალა გუაზბა იყო, ამზაჭელი ფოტოგრაფი.

— მართალი ხარ, გუადალა, მართალი, — ვიღაცამაც დაუჭირა მხარი, — აბა, სად ეს, უკაცრავად პასუხია და, ნახატები და სად შენ რომ კაც[illegible] სურათს გადაუღებ.

ამის მთქმელი მართლა ეთანხმებოდა გუადალას თუ ყასიდად უკრავდა კვერს, ვერ გავიგე, ის კი მსიამოვნებდა, რომ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა.

უეცრად ერთი ჯგუფიდან ქალი გამოვიდა, ქაღალდივით გაფითრებულიყო, დანა რომ დაგერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. ტყვიანაკრავივით გავარდა დარბაზიდან.

ეს ნუგთასი იყო, ცარუს დედა.

ღმერთმანი, შევწუხდი.

იმას ცარუც გიჟივით გადმოკარკლული თვალებით მიჰყვა.

ცარუსა და დედამისს ორი სხვა ქალიც მიჰყვა. ისე გაბერილიყვნენ, თითი რომ მიგეკარებინათ, გასკდებოდნენ.

ადგილს მიველურსმნე. როგორც იყო, გარეთ რომ გავედი, დავინახე, ხალხი ჯგუფებად იდგა. ყაყანებდნენ, დაობდნენ, ვინ რას ამბობდა, ვინ — რას.

ამას თითქოს წინასწარ უნდა შევგუებოდი. ხალხი რომ ქვეყნის სასაცილოდ გამოვხატე და ყველამ თავისი თავი იცნოს-მეთქი, რომ მივაწერე, აბა რა მეგონა? მადლობას მეტყოდნენ, თუ? ნელ-ნელა დაიშალნენ. ხარზამანი სხვებზე დიდხანს დარჩა, შევატყვე, სხვების დაუსწრებლად უნდოდა რაღაცის თქმა.

— მომეწონა, დად, ალხას, რაც დღეს ვნახე, — პირდაპირ მითხრა მან, — ტყვია ტყვიაში ზის. ბევრი ვინმე ისწავლის ჭკუას.

გვიანი იყო. სახლისკენ მიმავალს სახუმარო მელოდიები შემომესმა. ჩვენს კარიკატურებზე მიწერილ ლექსებს გოგო-ბიჭები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ და მღეროდნენ. თითქოს ლექსებითა და სიმღერებით მაცილებდნენ სახლამდისო. ეზოში შესულსაც კი მესმოდა, თუ როგორ მღეროდა ვიღაც:

ვითომ ეგა ღვთისშვილია?
რაც დედაა, ის შვილია,
ჰე!

...ცარუმ იკივლა.

14.

სოფელში სახელოსნოს მე ვინ მომაშავებდა, ოდა-სახლის უკანა აივანზე გავმართე და იქ ვმუშაობდი. სპეციალური სახელოსნო არ იყო, მაგრამ არ მაწვიმდა, არ მათოვდა, სინათლე მყოფნიდა და... კაცი ვიყავი გამართული.

აივნიდან კარგი ხედი იშლებოდა.

აფხაზი ვაჟკაცის ყაბალახივით ჩახვეულიყო გადასაჩეხი.

ამ აივანზე მუშაობა მიყვარდა, შევეჩვიე.

მოფარებულში, სიწყნარეში ყურადღებას არავინ მიფანტავდა.

...ვზივარ ამ აივანზე და ვეწამები — დედაჩემს ვხატავ.

არა, უბრალო მსგავსების მიღწევას როდი ვცდილობ. ეს არც გამიჭირდება. მისი იერი, ბუნება, ხასიათი, სული მინდა წარმოვაჩინო. ეს კი ძნელი ყოფილა, ძნელზე ძნელი.

— არაფერი გამომდის. მერამდენედ

ვიწყებ თავიდან. ვეძებ და ვეძებ. თითქოს სულ ცოტა მაკლია, სულ უმნიშვნელო რამ, მაგრამ ის სულ ცოტა, ის უმნიშვნელო რამ მაკარგვინებს მთავარ ძარღვს, მთავარ აზრს.

...მის კალთაზე ვარ ჩამოკიდებული. კვალში მივდევ. მას კი ჩემთვის არ სცალია, ათასი გასაჭირი აქვს. მე სხვა არაფერი მედარდება. რაღაცას წამოვკარი ფეხი, წავიქეცი, მაგრამ სანამ ავტირდებოდე, ხელში ავყავარ, თავზე ხელს მისვამს, მეფერება. თითქოს არც წავქცეულვარ და არც არაფერი, ვიტრუნები და ვარ ბედნიერი.

მისი თვალები შემომცქერის იქიდან, თითქოს ერთდროულად შორეული და გუშინდელი ბავშვობიდან.

საშინელი სენით შეპყრობილი იწვა, ახლა ხომ ვიცი, რა ტკივილებსაც უძლებდა, მაგრამ ერთსაც არ წამოიკვნესებდა, — ოღონდ ჩვენ არ შევეწუხებინეთ, ოღონდ!

როგორი თვალებით მიყურებდა, როცა თავთით ვეჯექი?

განა შესაძლებელია იმ თვალების დავიწყება?!

იმ თვალებში ჩანდა ყველაფერი!

აგერ, ის ჩემს წინ მიდის თხელი და მაღალი, საშუალო სიმაღლის ქუსლებზე დგას, გრძელი შავი კაბა აცვია, სადად გადავარცხნილი თმა უკანა აქვს შეკრული. მივყვები და ვესიყვარულები — დედაჩემზე უკეთ ამქვეყნად არავინ დადის!

მახსოვს, თითქოს ყველაფერი მახსოვს, მაგრამ ნამდვილი დედაჩემის დასახატად ეს არ აღმოჩნდა საკმარისი!

არ მინდოდა ის დალხინებული ან გატანჯული დამენახა, მინდოდა დამეხატა იგი მშვიდი, აუღელვებელი, სათნო და მწყაზარი!

. . . . . . . . .

ცხოვრებამ შეიძლება ყველა გათიშოს, ცოლ-ქმარი, ახლო მეგობრები, ნათესავები, მაგრამ დედა-შვილს ვერ გათიშავს! მათი გათიშვა არავის და არაფერს შეუძლია! თვით სიკვდილსაც კი არ შეუძლია ეს!

მიშველე, დედა!

დიდხანს მეძებდა, მოვიდა, ნაზი ხელები მხრებზე დამადო, ის ერთხელ და სამუდამოდ დახუჭული თვალები აახილა და ჩემს ნახატს მიაჩერდა.

ვზივარ და ვხატავ.

...ცხოვრება ცხოვრებაა, იგი განჯღრევს, თავის მორევში გითრევს, თავისას მოითხოვს.

მთელ ამზაჭას ჩემი ნახატები ეკერა პირზე.

ჩვენთან, სახლში ხომ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ცარუ და მე ერთმანეთს თვალში ვერ ვუყურებდით: ბებიაჩემისა და ცარუს ურთიერთობაც — უკვე მერამდენედ, — აიწეწა. ვითომ აინუნშიც არ ვაგდებდი ამბებს, მაგრამ მერჩია მიწა გამსკდომოდა და შიგ ცოცხალი დავტანებულიყავი.

— ისე არხეინადაა, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყოს და სოფელში წყალი სულ სხვა ვინმეს აემღვრიოს, — სალმის უთქმელად მომახალა ერთხელ აბასმა.

დავიბენი. ზღურბლზე გავშეშდი. ვერც წინ წავდგი ნაბიჯი, ვერც გამოვბრუნდი.

— გამარჯობა, ალხას, — წამოდგა ბადრა, — მოდი, შე კაცო!

— მოდი, ალხას, მოდი! — მომეგება დათა.

— გამარჯობა, — თითქოს ვიღაცისა ერიდებაო, ამოღერღა, როგორც იყო აბასმა.

— გაგიმარჯოს, — ძლივს ამოვიღე ხმა.

— ალხასი რა შუაშია, — ალის ჩაქრობა სცადა ბადრამ, — ჩვენი ნაკლი, სოფლის ნაკლი ალხასს რომ გადავაბრალოთ, რას გვარგებს? კი, ბატონო, დავაბრალოთ, თუ საქმეს უშველის... ვის აეწვა კუდი? იმას, ვინც ალხასის ნახატებში თავისი თავი იცნო, ვინც უვარგისია, უსაქმურია. როდემდე ვუხუჭოთ სიმართლეს თვალი?

კრინტი არ დამიძრავს, ენაგადაყლაპულივით ვიჯექი ერთხანს, მერე მაინც ვერ მოვითმინე.

— მე არავის წყენინება არ მინდო-

და. ამზაჭაში მტერი არავინა მყავს, ყველა ჩემი ნათესავი და ახლობელია. მეგონა სოფლის სიკეთისთვის, საქმისათვის ასე აჯობებდა, თორემ რა მრჯიდა. ახლა, აბასის სიტყვით, ისე გამოდის, რომ ქვეყნის დამაქცევარი და მომსპობი ვყოფილვარ. თუ ასეა, აგერ, ა, ახლავე ავდგები, წავალ, ჩამოვხსნი იმ სურათებს და ბუხარში ვუკრავ თავს.

— შენი რა ბრალია, ერთი, — ისევ ამეფარა ბადრა.

— გვაშინებ, ალხას? — შემომხედა აბასმა, — ბუხარში შეყრა რას უშველის გაფუჭებულ საქმეს? როგორ გინდა ახლა ყალყზე დამდგარი სოფლის დამშვიდება? დავიჯერო, შენს ყურამდე არ მოდის, რას ამბობს ხალხი?

— მერე იმათ დაკრულ დუდუკზე უნდა ვიცეკვოთ ჩვენ? — იფეთქა ბადრამ.

— თქვენ გააჩუმეთ მაშინ ხალხი, თუ ასეა! — ისევ არ გაიტეხა იხტიბარი აბასმა.

— არა, ეგრე არაა, საქმე, აბას! — არც ბადრა შეეპუა, — ეგრე არაა. ჩვენ თუ ერთად არ ვიქნებით და ერთმანეთს ტვირთი არ ავუწიეთ, მოგვერევიან, გაიგე, მოგვერევიან! მაგათაც ეს უნდათ...

— ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, მუშტივით უნდა შევიკრათ, — დაუდასტურა დათამაც.

— შენ შენი სიმძვიდე რომ ირღვევა, ის გაწუხებს ყველაზე მეტად, აბას... ოღონდ შენ არავინ შეგაწუხოს და იჯდომები გატრუნული. სიწყნარეს რომ ხანდახან ყანგიანი გარსი აქვს შემოკრული, ესეც არ დაგავიწყდეს, აბას!

— სიმშვიდე თუ არ გინდათ, მიდით, დაიკაპიწეთ მკლავები და დაიწყეთ ბრძოლა... თუმცა, რაღა დაწყება, რა! დაწყებული არა გაქვთ? ქვა ხვთრემულია, ჩემო ძმაო და, არ ვიცი, ვინ შეაკავებს. მე შარში არ გამხვიოთ და თქვენი საქმე თქვენ იცით...

— არა, ჩხუბი თუ იქნება, ხელს ვერც შენ დაიბან, — შეაჩერა ბადრამ.

— თავს ვიტყუებ, თორემ მართალი ხარ, — დროზე დაიხია უკან აბასმა, ამდენს რა მალაპარაკებს, მეც უკვე ჩხუბში ვარ ჩათრეული, აბა, რა ვარ? ამას წინათ გზაში ნუგთას ლატარბა შემხვდა და შავი დღე მაყარა. რა არ მაკადრა, მიწა გამსკდომოდა, მერჩია. რა დავაშავე, ხალხნო, ამისთანა?

— საქმეც ეგაა, აბას, — მაგრად იდგა ბადრა, — ნუგთასისნაირები სხვებსაც აცდენენ გზიდან, ამითაა ის შენი ნუგთასი საშიში.

— ნუგთასისნაირებს თუ კუდი აეწვათ, ჩვენი მიზანიც მიღწეულია, — ბეჭედი დაუსვა დათამ.

— შენც უდაოდ წარმატება გხვდა წილად, დათა. იმ შენს პატარა ლექსს ვინ რა მიუმატა და ვინ — რა, ჰოდა, გაჰყვირიან და გამოჰყვირიან ახლა მთელ სოფელში, მაგრამ, როგორ გგონია, ის ქალი, გაფრენილ ჩიტს ცაში რომ აყენებს, მოგვეშვება და მოგვასვენებს?

— აი, დარდი! ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრას, — გაცხარდა დათა.

— ყველაზე მეტად მე მემუქრება, — გავახსენე ხალხს ჩემი იქ ყოფნა, — სურათები მე რომ დავხატე, იცის ნუგთასმა და ყველაფერს მე მაბრალებს...

— არა უშავს, — გამამხნევა ბადრამ, — ჩვენ არავისიც არ გვეშინია. თხა თხაზე ნაკლებიო, ეგრე არ არი?

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

## წიგნი მეორე

## მუმლი მუხასა

### თავი ოცდამეცამეტე

გენერალმა ტოტლებენმა ზამთარი სამაჩაბლოში გაატარა. მეფე ერეკლემ რამდენჯერმე გამოუგზავნა მესტუმრეები, ორჯერ თვით გორის მოურავი თავადი ოთარ ამილახვარიც კი აახლა და სატახტო ქალაქ ტფილისში მიიწვია, მაგრამ რაღაცის გამო განაწყენებულმა და მომდურავმა გრაფმა მიწვევა ჩირადაც არ ჩააგდო და, თითქოს მისი სამკვიდრო მამული ყოფილიყოს, კვლავ სამაჩაბლოში დარჩა.

საქმე ის გახლდათ, რომ პურ-ღვინისა და ცხენების საკვების ნაკლებობა გენერალს აიძულებდა, დროდადრო სამხედრო თანამდგომობის ყველა პირობა დაერღვია და, რაკი საყიდლად ვერაფერს შოულობდა, ძალა ეხმარა. სწორედ ისე მოქცეულიყო, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. დრტვინავდნენ ადგილობრივი მებატონენი. გლეხობა სოფელ-სოფელ მოთარეშე სალდათებს უსაფრთდებოდა და დღე ისე არ გაივლიდა, ბანაკში ვისიმე მოკვლის ან უწყალოდ დალილავების ამბავი არ მოეტანათ. ვითარება ერთობ დაიძაბა. სამაჩაბლოს მშვიდობიანი მოსახლეობა ტოტლებენმა რუსეთის დაუძინებელ მტრად შერაცხა და მის დასაწყნარებლად და დასამორჩილებლად ერთიმეორეზე უფრო მკაცრ გეგმებს ადგენდა. მარტის ერთ სუსხიან დილას დრაგუნის ასეულს თვით გაუძღვა და, მიუხედავად მაიორ რატიევის ხვეწნა-ვედრებისა, მაგას ნუ ვიქმთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ერეკლე ხელმწიფესთან გვიჩივლებს და პასუხს გვაგებინებენო, ქრცხინვალი მოარბევინა.

ეს უკვე ნამდვილ ომსა ჰგავდა. ორმხრივი სროლა და ყიჟინა დაბინდებამდე არ შემწყდარა. რამდენიმე ადგილას ხანძარიც გაჩნდა. ხანძარი თავად გლეხებმა გააჩინეს. ჩალისა და თივის ზვინებს ცეცხლი წაუკიდეს, რათა მათი ნაჯახირევი გადამთიელ მტერს არ დარჩენოდა და, როგორც ლეკიანობის დროს, თავი ტყეს შეაფარეს.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

ასეული აღმა აუყვა დიდი ლიახვის ხეობას, აჩაბეთი, ქურთა და კეხვი მოიარა, პირუტყვის ჯოგი გამორეკა და უკან, ზამთრის სადგომში დაბრუნდა.

შინ სარდალს სასიხარულო ამბავი დაუხვდა: იმავე დარიალის ხეობის გზით, რომლითაც ტოტლებენი ქართველთა ქვეყნებში შემოვიდა, მოზდოკიდან ათას სამას ორმოცდაათი კაცი შევსება მოსულიყო და ალაღითა და ზარბაზნებითურთ მასთან შესახვედრად კრცხილვალისაკენ მოეჩქაროდა.

ტოტლებენი წელში გაიმართა. ახლა მის განმგებლობაში თითქმის ორი ათასი მხედარი და ქვეითი იყრიდა თავს, ზარბაზნების რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა და, ვიდრე ჯარი კიდევ მოემატებოდა, მას უკვე შეეძლო, ამიერიდან თავისუფლად ემოქმედა.

რუსეთიდან ახალი მხედრობისა და არტილერიის მოსვლამ, თუმცა ყველა ეს იმერთა მეფე სოლომონის დასახმარებლად, იმერეთის ციხეებიდან ოსმალების გასადევნად მოდიოდა, ტფილისის სამეფო კარსაც მხნეობა ჩაუნერგა და შვება მოჰგვარა. დედაქალაქი ფეხზე იდგა. ყველა ერთმანეთს ულოცავდა. ცნობის მომტანი რუსი ფელდიეგერი, ვინც ერეკლეს ახალი ამბავი ახარა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორ ბეკეტოვის დალუქული წიგნი გადასცა, ისინის სასახლეში მდიდრული საზოგადოება ავსეს, ხოლო ღამით ტფილისის ცა ილუმინაციის ფერად-ფერადი ნაშენშვლებით მოიჩითა და ქუჩები და მოედნები სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ლიანგით აივსო. ერთიანი საქართველოს ძველი სატახტო ქალაქი რუსეთის არმიების დუნაიზე გასვლას და რუსული საბრძოლო იარაღის გამარჯვებას ზეიმობდა.

მარტის თერთმეტს, დიდმარხვის მესამე სამშაბათს, კრცხილვალს მეფე ერეკლეს ელჩები მივიდნენ. მეფე სურამში იდგა და გრაფს იქ ეპატიჟებოდა. ელჩებს ხელმწიფის კარის მრჩეველი თავადი მოურავოვი და რწმუნებული ლვოვიც ახლდნენ. ტოტლებენს გულზე ხინჯად მოხვდა თავისი თანამემამულეების დანახვა. უთუოდ ერეკლემ მოხვე-ლა და ვაებატონებიც საქმის გამომძი-ებლად გარჯილანო. რაღა თქმა უნდა, ეს ქაღალდის მატლები, როგორც გრაფი სამოქალაქო უწყებაში, მათ შორის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, მომსახურე მოხელეებს ზიზღით უწოდებდა, ყოველივე მომხდარს წვრილად, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით აღნუსხავდნენ და ერთიმეორეში შეზავებულ ტყუილ-მართალს დანიშნულებისამებრ პეტერბურგში გაგზავნიდნენ. ტოტლებენი გულში ილანძღებოდა, ურმაწური სალდათური გინებით ამკობდა, ვინც „ქაღალდის მატლებს" ყურს უგდებდა და მათ მიერ შედგენილი დასმენის მიხედვით წყვეტდა იმათ ბედს, ვის მხედრულ თავდადებაზედაც ხშირად თვით ტახტის და სახელმწიფოს ბედიღბალი ეკიდა. გრაფი მზად იყო თავის გასამართლებლად და ერეკლე მეფის დასადანაშაულებლად. გადაწყვეტილი ჰქონდა, არეულობის ზოგიერთი წამქეზებლის სამუდამო გაციმბირებაც მოეთხოვა, უკეთუ მათს გაჯიხვაზე და შემდეგ საჯარო ჩამოხრჩობაზე რამე მოსაზრებით უარს ეტყოდნენ.

მალე გამოირკვა, რომ ელჩებიცა და რუსეთის ხელმწიფის კაცებიც, რომლებსაც საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან აქაური ამბების ძირფესვიანად შესწავლა და ქართველ მეფე-მთავართა რუსეთის ტახტის სასარგებლოდ ამოქმედება ეკისრებოდათ, აქ სულ სხვა მიზნით იყვნენ მოსული. სამაჩაბლოში დატრიალებულ უწესობაზე მათ კრინტიც არ დაუძრავთ, ის თითქოს არც მომხდარიყოს, გენერალს დუნაიზე და ყუბანში რუსეთის არმიების ბრწყინვალე გამარჯვებები მიულოცეს და მეფე ერეკლეს მეგობრული წიგნი გადასცეს. წიგნი ქართულ ენაზე იყო დაწერილი და ძლევამოსილად გულხელდაკრეფილ გენერალს, თითქოს ყუბანშიაც და დუნაიზედაც რუსეთის არმიებს სწორედ მისი მაღალამტებულების წყალობით გამ-

მარჯვოთ, იგი მაიორმა რატიევმა წაუკითხა და გადაუთარგმნა.

ერეკლე მოკლედ იმეორებდა, რაც ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს საიდუმლოდ მოეწერა, გაკვრით ახსენებდა რუსების მიერ ნავსადგურ და ციხესიმაგრე ტაგანროგის აღებას, რაიც აზოვის ზღვაზე გაბატონებას მოასწავებდა, და წიგნში უფრო მეტ ადგილს რუსეთის არმიების უმაგალითო გამარჯვებებით შეძრწუნებული ოსმალეთის შინაურ ამბებს უთმობდა. მოლდავეთისა და ვალახიის გოსპოდარები უკვე გადაუდგნენ თურქებს და თავიანთ სისხლისმსმელებს ზურგში მახვილი ჩასცეს. ახალციხეში დიდი სიძვირე და შიმშილობა ჩამოვარდნილა, ჩანახი ხორბალი ათი ყურუში ფასობს, ფული კი ისე ძნელი საშოვნელი გამხდარა, თვით ყველაზე მეტად შეძლებული მოქალაქეებიც სახლ-კარსა და ადგილ-მამულს აგირავებენ, რომ როგორმე თავი გაიტანონ და ოჯახს პირში ლუკმა არ გაუწყვიტონო. ასე რომ, მე და ჩვენმა ძმამ, იმერეთის მეფე სოლომონმა, წასულ კვირას ერთმანეთი მოვინახულეთ, უავგუსტოეს ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს მოწყალე რჩევისამებრ თანადგომის სიგელები გავაახლეთ, თათარზე წასვლა დავთქვით და უკეთუ თქვენი მაღლამამატებულების თანხმობა და მხარდაჭერაც იქნება, დღეისწორს საფაშოში ვაპირებთ შესვლას ორმოცი ათასი კაცით, რათა ღვთის შეწევნით ურჯულოს ფეხი ამოვკვეთინოთ ძველთაგანვე ჩვენი მამა-პაპის ნაქონ სამცხესაათაბაგოთაგან და შემდეგ გზა გავიკვლიოთ შუაგულ ანატოლიისაკენო.

–– მადლობა ღმერთს, გონს მოვიდნენ, — ვრაფმა ტოტლებენმა მეფე ერეკლე მრავლობით რიცხვში მოიხსენია. — თუმცა სოლომონის მე მაინც არ მჯერა. ის სულთნის საიდუმლო აგენტია!..

თავადი მოურავოვი გაწითლდა, ყიყვი აუთამაშდა. შეატყო, ისევ უსიამოვნო საუბარი მოუწევდა.

—რისთვის ბრძანებთ მაგას, გენერალო? რა საბუთი გაქვთ?

ტოტლებენმა სუფთად გაპარსული დანაოჭებული ტუჩები დაბერა და თავადს, რომელთანაც ერთხელ უკვე ჰქონდა პირისპირ შეტაკების სიამოვნება, თვალები მრისხანედ დაუბრიალა:

— ათასი ერთის წინააღმდეგ!

— მაინც, მაინც, ბრძანეთ, თქვენ იქნებ მართლა გაქვთ რაიმე საბუთი?

— როცა ვაცხადებ, მაშასადამე, მაქვს!

— აი, კაპიტანი ლვოვი, მაგალითად, რამდენიმე თვეს იყო სოლომონის გვერდით იმერეთში, ტახტის წართმევამდეც და მას შემდეგაც, საგანგებოდ აკვირდებოდა, ქართულიც ისწავლა, ყველა წვრილმანში გაერკვა, მაგრამ მაგის მსგავსი არაფერი შეუმჩნევია. პირიქით, მე თუ მკითხავთ, პრინცი სოლომონი ანტითურქული მოძრაობის ერთი უპირველესი ბაირახტრია მთელს აღმოსავლეთში. მან ეს საქმით არა ერთხელ დაამტკიცა და ხელმწიფე-იმპერატორის კარზეც ასე იციან.

— თქვენ ფიქრობთ, თავადო, რომ მე და კაპიტანი ლვოვი ერთი და იგივე ვართ?

— მე მაგ გაგებით არ მითქვამს, გენერალო, სიტყვა იმერეთის პრინცის კეთილსაიმედოობას შეეხება. თქვენ ბრძანეთ, რომ ის სულთნის, მაშასადამე, ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის მტრის საიდუმლო აგენტია. უბრალო ბრალდება როდი გახლავთ! გეკითხებით, რა საბუთი არსებობს ამის დასამტკიცებლად? თუ არავითარი საბუთი არ არსებობს და ეგ მხოლოდ ეჭვია, რომელიც შეიძლება ვის მიმართაც გნებავთ გაგვეღვიძოს, მაშინ ნება გვიბოძეთ, ტახტის რწმუნებულის პირადი დაკვირვებები მოგაწოდოთ...

— ეგ დაკვირვებები და ეჭვები, ვიღაც-ვიღაცების მიმართ რომ აღგძვრიათ, თქვენთვის შეინახეთ, თავადო, მე კი მხედარი კაცი ვარ და ჩემს შეხედულებებს ამათუ იმ საკითხზე არავის ვუთანხმებ. გესმით თუ არა?

მოურავოვს შეეძლო, რასაკვირველია, ეპასუხა, რომ, თუ ყოველი მხედართმთავარი, თუნდაც ფელდმარშალი, მარტო საკუთარი შეხედულებებით იხელმძღვანელებდა და არაფერ სხვას ანგარიშს არ გაუწევდა, ამას მხოლოდ გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეეძლო, როგორც 1763 წელს ბერლინის დათმობამ მოიტანა, მაგრამ აღარ უპასუხა, რათა ისედაც გამწვავებული ურთიერთობა კიდევ უფრო არ გაემწვავებინა. კანცლერ პოტიომკინის სახელზე შედგენილი რელაცია თითქმის უკვე მზად ჰქონდა. გენერალ ტოტლებენის საქმიან დახასიათებას დღეს კიდევ ერთი ნიშან-თვისება ემატებოდა და საექსპედიციო კორპუსის სათავეში მის დატოვებას სათუოს ხდიდა.

შეხვედრა სურამში უნდა შემდგარიყო, შეხვედრის დღედ კი 17 მარტი იყო დანიშნული. ტოტლებენმა ერეკლეს ელჩები დაითხოვა, დისპოზიციად ჩამოყალიბებულ ჩვენს პასუხს მოგვიანებით გაცნობებთო, მაგრამ, დრო რომ გავიდა, დისპოზიციის შედგენისა და სადაც ჯერ არს გაგზავნისაგან თავი აღარ შეუწუხებია, მეხუთე დღეს ბანაკი აშალა და 17 მარტს, ნაშუადღევს, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სურამში გაჩნდა.

თანამდგომ სარდალს ერეკლემ გულუხვი ძღვენი გამოუგზავნა, ჯარსაც პურღვინო ჩამოურიგეს. რწმუნებულ ლვოვთან და ხელმწიფის კარის მრჩეველ მოურავოვთან ერთად მეფემ ტოტლებენი სადამოს კარავში მეგობრულ ვახშმად მიიწვია. ტოტლებენმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. აღშფოთებული იყო, სურამში მისი ბრწყინვალე წოდებისა და მდგომარეობის შესაფერი საზეიმო შეხვედრა რომ არ გაუმართეს, ჯარი საპატიო ყარაულში არ დააწყეს და თვით მეფე ერეკლე ბანაკს გარეთ არ გამოეგება.

— ახლა ვახშმებისა და რაუტების გამართვის დროა? — გალიაში გამომწყვდეული ლომივით ბრდღვინავდა ის და ქართლ-კახეთის მეფის სახელით წარმომდგარ გორის მოურავ თავად ოთარ ამილახვარს საყვედურებით ავსებდა. — ჯარი გზას ადგას. დღეს თუ არა ხვალ მტერს ბრძოლის ველზე უნდა შევხვდეთ. კეთილი ინებეთ და ზუსტად შემატყობინეთ, აქ რამდენი კაცი მოიყვანეთ? რამდენი ცხენოსანია და რამდენი ქვეითი? იცის თუ არა თქვენმა ხალხმა თოფისა და შუბის ხმარება? ვაითუ ყველაფერი თავიდანა გვაქვს დასაწყები. ომის დროს მე ომი გამიგია და დასვენების დროს დასვენება!

ქართველმა თავადმა გულხელი დაიკრა, მოიღუშა, წამოჭარხლებულ „რუსის იარანალს" მოწყენილი მზერა დაადგა.

— ჯერ მისი უმაღლესობა იმერეთის მეფე სოლომონი არ გახლავთ მოსული. აქამდე უნდა მოსულიყო, მაგრამ, ეტყობა, ხელი შეეშალა და აგვიანებს.

ტოტლებენი თითქმის ყელში სწვდა:

— ეგ სიტყვები დაივიწყეთ! ხელის შეშლას და დაგვიანებას ომში არავინ გაპატიებთ, სისხლით ზღავთ მაგ ხელის შეშლას და დაგვიანებას! გადაეცით პრინც ერეკლეს: დაუყოვნებლივ გვაცნობოს, რამდენი კაცი ჰყავს და შეუძლია თუ არა, სოლომონის დაუხმარებლად შეებას მტერს?

ამილახვარი არ აჰყვა გრაფის სიფიცხეს, იმავე აუჩქარებელი, სწორედ ქართველისათვის დამახასიათებელ კილოზე უპასუხა:

— ჩვენ შვიდი ათასი კაცითა და სამი საველე ზარბაზნით ვდგავართ აქ, თქვენო მაღალაღმატებულებავ. ხვალზეგ ორი ათას კაცს ღვთით კიდევ ველით. სულ ცხრა ათასი შეგვიგროვდება. სოლომონი ორ ამდენს და ცოტა მეტს შეგვპირდა, ოღონდ იმერლებს ზარბაზნებს არ ვეგულებით. თუ პირი არ გატეხა და დროზე მოვიდა...

— სოლომონი არ მოვა! — მჭექარე ხმით მოსჭრა გენერალმა. — მომსვლელი თუ იყო, აქამდე მოვიდოდა. ახლაც მე ვტყუი, თავადო მოურავოვ, პიოტრ სემიონიჩ? იქნებ ვაჟბატონი სოლომონი უკვე მოსულია და მე ვერა ვხედავ? თქვენ რაღას უდგახართ? — გრა-

ფი ისევ ამილახვარს მიუბრუნდა და დატუქსა. — გადაეცით ერეკლეს, რაც დაგაბარეთ!

თავადს ფერფურმა გადაუარა სახეზე, მაგრამ ჩვეულებას არც ახლა უღალატა.

— მისი უმაღლესობა კარავში გელით, თქვენო მაღალაღმატებულებავ, სუფრა გაშლილია, პურ-მარილზე ხელს ნუ გვიკრავთ, ჩვენში ეს, წინათაც მოგახსენებდით, დიდ შეურაცხყოფად ითვლება.

— ვერ უყურებთ, რა თავმოყვარეები არიან? რას იტყვით, მოურავოვ, ვეწვიოთ?

— დიახ, უნდა ვეწვიოთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ეს ჩვენი ვალია.

— მართლა? მაშ, ეწვიეთ თქვენ და კაპიტანი ლვოვი, რაკი ასე ძალიან გინდათ და ამათი ადათ-წესებიც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. მე კი აქ მოვიცდი, სანამ საჭირო ცნობებს არ შეკრებენ და არ მომიტანენ.

მოურავოვი და ლვოვი ადრევე მიხვდნენ, მიხვდნენ თავადი ამილახვარი და თვით მეფე ერეკლეც: ტოტლებენი შეერთებული მხედრობის მთავარსარდლად იკაზმებოდა და ქართველი მეფეების დაქვემდებარებას აპირებდა. ეს შეუძლებელი და გაუგონარი რამ იყო, მსგავსი რამ ჯერ არავის მოსწრებოდა, მაგრამ არც ამ ამპარტავანი და დიდების დაფნის გვირგვინებს დახარბებული კაცის განაწყენება და ამხედრება ივარგებდა. საქმე ისე უნდა მოეგვარებინათ, რომ გრაფს აქეთ ეცნო ქართველ გვირგვინოსან მეფეთა უზენაესობა, „რეგულის ჯარის“ მწყობრი მოქმედებით გლეხკაცებისაგან შემდგარი ლაშქრისათვის მტერზე იერიშის მიტანის მაგალითი მიეცა და საერთო გამარჯვებაში თავისი წვლილი შეეტანა.

ორმა დღემ და ორმა ღამემ კვლავ მოუთმენელ ლოდინში გასტანა. სოლომონი ისევ არ ჩანდა, დრო კი შეუბრალებლივ მიდიოდა. ერეკლეს დაპირებული ორი ათასი კაცი და ორი ზარბაზანი შემოემატა, მაგრამ ამ მცირე მხედრობით, სულ ცხრა ათასი მოლაშქრითა და ორი ათასი რუსის სალდათით, კაპუდან-ფაშა იბრაჰიმის წინააღმდეგ წასვლა ხანგე-შოს ვერაფერს მოიტანდა.

სად იყო სოლომონი? ასე ულმერთოდ რად აგვიანებდა? ნუთუ მართლაც გატეხა ფიცი და სულ ბოლო წუთს მისი ნიადაგ კეთილისმყოფელი ერეკლე და რუსხელმწიფის მცირერიცხოვანი მხედრობა, რომელიც კავკასიაში სწორედ იმერლების დასახმარებლად მოვიდა, მძვინვარე ბეგლარბეგის პირისპირ დასტოვა? ამას ხომ სხვა სიტყვებით ღალატი ერქვა! ნუთუ მართლდებოდა ქართლ-კახეთის დიდებულებში ფეხმოკიდებული აზრი, თითქოს იმერეთის მეფე სოლომონი ოსმალთა მიერ ყაჩაღურად მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოს თავის სამკვიდრო მამულად თვლიდა და ქართლ-კახეთის მეფეთა არაერთგზის ცდას, იგი კვლავ შემოეერთებინათ, უკანონო ქმედებად მიიჩნევდა?

ერეკლე საგონებელს მიეცა. მთელი მისი დიდი გეგმა ინგრეოდა. ამერ-იმერ ქართველებს შორის ჩამოვარდნილი შინაგანი უთანხმოება ერთხელ კიდევ ასხამდა წყალს მტრის წისქვილს და თითქმის უკვე ბოლომდე მიყვანილ საქმეს ისევ თავიდან დასაწყებს ხდიდა.

ერეკლემ დარბაზი მოიწვია. საჭირო იყო, დიდებულებს ერთხელ კიდევ მოთათბირებოდა, ყველა ჰო და არა აეწონდაეწონა და საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო.

მხოლოდ ქიზიყისა და გორის მოურავებმა, კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა და ოთარ ამილახვარმა, გამოთქვეს შეშფოთება, რომ საომრად აძრულ სოლომონს უთუოდ რაღაც ისეთი შეემთხვა, რამაც თავშეყრის ადგილზე მისი მოსვლა დროებით შეაფერხა, სხვები კი ერთხმად აცხადებდნენ იმასვე, რაც ყველაზე მეტად გულის მომკვლელი და ავის მომასწავებელი იყო: სოლომონს სამცხე-საათაბაგო თავისთვის უნდოდა და ქართლ-კახელთა მოწადინებას, ძველი ქართული მიწა-წყალი კვლავ დედასამშობლოსათვის დაებრუნებინათ, ტფილისის სამეფო სახლის სხვა სამეფოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაურ საქმეებში უდიერ ჩარევად ნათლავდა.

— თუნდაც ჯვარს ვეცმები, რომ ეგ აგრე არ არის! — თავის ბუნებრივ სიდარბაისლესთან შეუფერებელი სიფიცხით თქვა სოლომონის ყმაწვილკაცობის და სამეფო სარბიელზე მისი პირველი ნაბიჯების მომსწრე თმა-წვერგათეთრებულმა, ჯერ კიდევ ბრგე და ჰარმაგმა კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა. — სოლომონის თავზე რაღაც ამბავია, ბატონებო, ბატონო მეფევ! ვინ იცის, მიშველება იქით სჭირდება, ჩვენ კი აქა ვბჭობთ და წყალში თევზს ვაფასებთ!

— სრულ სიმართლეს ბრძანებ, თავადო კონსტანტინე! — კვერი დაუკრა ოთარ ამილახვარმა.

ერეკლე სულითა და გულით ამ ორის მხარეზე იყო, არასგზით არ უნდოდა, ჭირში ბევრჯერ გამოცდილი სოლომონი მისივე სულმოკლეობით დამდაბლებული დაენახა, ბოლოს კი ღრმად ჩაფიქრებულმა გულხელი დაიჭდო. კარავში კედლიდან კედლამდე გაიარ-გამოიარა და ჩოლოყაშვილის წინ გაჩერდა.

— ვთქვათ, ვირწმუნოთ, რასაც შენ ბრძანებ. როგორ მოვიქცეთ, კიდევ მოვიცადოთ?

— ორი-სამი დღე, მეფეო, — თითქოს დილეგში უმართებულოდ ჩაყრილი დედ-მამის ან ცოლ-შვილის შეწყალებას ეხვეწებაო, ისე შეევედრა კონსტანტინე ჩოლოყაშვილი. — თავი დამიდვია მოსაჭრელად, თუ სოლომონი არ მოვიდეს, ან ვინმე არ გამოგვიგზავნოს ამბის შესატყობინებლად!

— ჩვენ თვითონ გაგვეგზავნა ხალხი, — გაისმა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. — იმერეთის გზებს მარჯვე ცხენოსანი ამასობაში ორჯერ მოივლიდა.

— ვინ იცოდა... — დანანებით თქვა ერეკლემ. — მაგრამ ეს მამაცხონებული რუსიც რომ არ გვაცლის? ამ დილას კიდევ მომიგზავნა მაიორი რატიევი. თუ ოსმალეთთან ომი მართლა გადაგიწყვეტიათ და ჩვეულებისამებრ არ მუხანათობთ, ახლავე დასძრით ჯარი, თუ არა და, სირცხვილს გაჭმევთ, მე მარტოდმარტო წავალ და ახალციხესაც ავიღებო. ისე აიღო ჩვენმა მტერმა!..

გადაწყდა, ცოტა ხანს კიდევ მოეცადათ და გაქირი ხარივით განზე გამდგარ ტოტლებენისთვისაც იგივე ეცნობებინათ. გრაფი ვისმე უნდა დაერწმუნებინა, რომ სოლომონის დაცდა აუცილებელი იყო და ისიც დღეს თუ ხვალ უსათუოდ მოაწევდა.

ტოტლებენმა ყურად არ იღო მეფე ერეკლეს შემონათვალი, დანაქადი შეასრულა, ჯარი მეორე დღესვე აჰყარა და გეზი სადგერისაკენ აიღო. „რუსის იარანალის“ შეუთანხმებელმა მოქმედებამ მეფე და დიდებულები დიდად განაცვიფრა. გრაფი ან უსაშველოდ მამაცი და გამჭრიახი სარდალი იყო, რომელსაც ზღაპრულ მზეჭაბუკივით ხელეწიფებოდა ერთს ათი დაემარცხებინა, ანდა მისი მხედართმთავრული გამჭრიახობა ამბოხებული პატივმოყვრობის იქით ვერ მიდიოდა და, შესაძლოა, ამას ორი ათასი კაცის უაზროდ დაღუპვა მოჰყოლოდა.

ორიდან მეორე ვარაუდი უფრო ანგარიშში ჩასაგდები ჩანდა და ერეკლეც იძულებული გახდა, ჯარის დაძვრისა და „იარანალის“ კვალდაკვალ სადგერისაკენ წასვლის ბრძანება გაეცა. მას პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი აწვა: საექსპედიციო კორპუსს რომ რაიმე ხიფათი მოსვლოდა, ყველა ბრალი ქართლ-კახეთის მეფეს დაატყდებოდა. ერეკლეს ორპირობას, ფაშასთან ფარული კავშირის გაბმას შესწამებდნენ და მთელი განათლებული კაცობრიობის თვალწინ ერთმორწმუნე რუსეთის მტრად, ერთგულების ფიცის გამტეხ ღვთისმგმობელად გამოაცხადებდნენ.

სადგერში კიდევ მეტი მოულოდნელობა ელოდათ. გრაფს ექვსი ვარგისი ზარბაზანი და თავისი ჯარის ნახევარი დაეტოვებინა, თვით კი დანარჩენი ჯარითა და არტილერიით შეუჩერებლივ აწყურისაკენ წასულიყო. ამ წუთამდე ერეკლეს შეეძლო, განზრახვაზე ხელი აეღო და საომრად გამართული ჯარი უკან მოებრუნებინა, მაგრამ ახლა, რო-

ცა ტოტლებენმა საფაშოს საზღვარი უკვე გადალახა, ომი უკვე დაწყებულად ითვლებოდა, ერთ მუჭა რუსობას მარტოდმარტო ვეღარ მიატოვებდა.

მეფეს ხელმწიფის კარის მრჩეველი თავადი მოურავოვი ეახლა და, თითქოსდა ბოდიშს უხდისო, როგორღაც დარცხვენილმა მოახსენა:

— გრაფი თავისნათქვამა კაცია, თქვენო უმაღლესობავ, ვერაფერი შევასმინეთ. დაიბარა, როგორც კი აქ, სადგერში, მობრძანდებოდით, მაშინვე აწყურისაკენ გაგეგრძელებინათ გზა. გრაფი იქ მოიცდის. ეტყობა, გადაწყვეტილი აქვს, აწყურის ციხეს ალყა შემოარტყას. ჩვენ ვიცით, რომ აწყურის ციხე ძალზე გამაგრებულია, მეციხოვნე ჯარიც დიდი ყავს და არც ზარბაზნები და თოფ-ზამბულაკები აკლია. უგუნურება იქნება, მისი ალყაში მოქცევა და უბადრუკი მარტორქებით აღება რომ ვცადოთ, შორაპნის ციხის მაგალითი განმეორდება და დროსაც უამრავს დავკარგავთ. სანამ ჩვენ იქ უსაქმოდ ვიდგომებით, მტერს თუნდაც ტრაპეზუნდიდან მოუვა მაშველი ძალა და კუდით ქვას გვასროლინებს.

ერეკლემ მდუმარედ მოუსმინა, გულწრფელად შეწუხებული თავადის ყოველი სიტყვის აზრს ჩასწვდა და მცირე დუმილის შემდეგ იკითხა:

— ეს ჯარი და არტილერია მაინც რისთვის გაჰყო, ვითომც ნახევარი სამარქაფოდ დაიტოვა?

— კაცმა არ იცის, თქვენო უმაღლესობავ. დაუჟინია, იმპერატორის კარისაგან საიდუმლო ინსტრუქცია მაქვსო. თავის განზრახვას საკუთარ ხელქვეით ოფიცრებსაც არ უმხელს!

— ჩვენ მაინც თქვენი მეტი იმედი გვქონდა, თავადო. როგორმე ისე უნდა მოგვეწყოთ საქმე, რომ თქვენც და ჩვენც იარანალს ამ შავ დღეში არ ჩავეყარეთ. ორთავ თვალით ხედავთ: გამოუვალ მდგომარეობაში ჩავცვივდით. სოლომონის მოუსვლელობამ ფრთა მოგვტეხა. არ ვიცით, რა ვიფიქროთ...

— აკი მოგახსენეთ, თქვენო უმაღლესობავ, ცდა არ დაგვიკლია. ჩვენი რჩევა ახლოსაც არ გაიკარა. როგორც მაშინ, სტეფანწმინდაში, დაპატიმრებით დაგვემუქრა და გვიბრძანა, მის საქმეში არ გავრეულიყავით. გრაფის თვითნებობა, უხეშობა და მედიდურობა სისხლს გვიშრობს უკლებლივ ყველას. მეტადრე მის უბედურ ხელქვეითებს, ვინც არტიკულით მოვალეა, ყველა ბრძანება, სწორი თუ მრუდე, სიტყვაშეუბრუნებლივ შეასრულოს. გთხოვთ, გემუდარებით, მოთმინებით აღიჭურვოთ. ეს სჭირდება თქვენს უმაღლესობასაც და ჩვენი დიდი ხელმწიფე-იმპერატორის საქმესაც. ჩვენ, მე და კაპიტანი ლვოვი, თქვენი უმაღლესობის ღრმა პატივისმცემელი, როგორც გაგვეწყობა, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გენერალი მკაცრად გააფრთხილონ, ან, რაც ყველაზე უფრო უკეთესია, უკან გაიწვიონ და საექსპედიციო კორპუსის სარდლად სხვა, უფრო გონიერი და გაბედული გენერალი გამოგზავნონ.

— როდის-ღა, თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო, როცა კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი უკვე თხუთმეტი ათასი ცხენოსნით გამოვიდა ახალციხიდან და სადაცაა აწყურში გაჩნდება?

— ნუთუ უკვე მიიღეთ ცნობა?

— მივიღეთ. ეს არის, შეგვატყობინეს.

— ღმერთო ჩემო! — თავზარდაცემულმა მოურავოვმა ორივე ხელი თმაში იტაცა და რამდენიმე წამს ასე დარჩა. — რას აპირებთ, თქვენო უმაღლესობავ?

— რა უნდა დავაპიროთ? უკან დასახევი გზა ჩვენ აღარა გვაქვს. ტოტლებენს მტერი კვალდაკვალ შემოჰყვება და შიდაქართლს გაგვიფუჭებს!

— მაშ, ასე მცირე ჯარით კაპუდან-ფაშას შეებმით?

— უნდა შევებათ, შვილო, ვახსენოთ მამა-ზეციერი, მივენდოთ განგებას. თუ აქ დაღუპვა გვიწერია, დაე გავწყდეთ ყველა, ოღონდ მოძმის მოღალატედ ღმერთმა ნუ გვატაროს ცისქვეშ!

ჯარმა, რომელიც აინუნშიც არ იყო, წინ რა ელოდა, შეუჩერებლივ განვლო სადგერი, შავი წყლის ვიწრო ხეობაში გრძლად გაიწელა, ორჯერ თუ სამჯერ ყინულივით ცივ მდინარეში გასვლა და გამოსვლაც მოუხდა და, ბინდი რომ ჩამოწვა, შორს, მღვრიედ მომავალი მტკვრის გაღმა, მწვანე კლდეზე, პირქუშად ცაში აზიდული აწყურის ციხის ქონგურებიც გამოჩნდა.

## თავი ოცდამეთოთხმეტე

ქიზიყის მოურავს ალღო არ ღალატობდა. ეს მალე დაადასტურეს იმერეთიდან ნაგვიანევად მოსულმა ხმებმა. ქედს გადაღმა ჯარების შეკრება თითქმის მოთავებული იყო, ოთხივე სადროშოს ლაშქარი დათქმულ ადგილზე — ძირულისა და ჩხერიმელას შესართავში გროვდებოდა, რათა აქედანვე უღელტეხილის აღმართებს შესდგომოდა სურამში მდგომ ერეკლესთან შესაერთებლად, რომ სოლომონს ვარციხის სასახლეში კაცი მოუვიდა და სარწმუნოდ აცნობა, შენი ცოლისძმა, ოდიშის ბატონი კაცია დადიანი, ჯარებს კრებს და, გახვალ თუ არა სამეფოს ფარგლებიდან, იცოდე, დროს იხელთებს და ოსმალებისაგან წაქეზებული და გალონიერებული იმერეთში შემოიჭრებაო.

სოლომონს უფროსი ასულის — დარეჯანის ნიშნობა ჰქონდა. ნიშნობის დღე ადრევე იყო შერჩეული. სოლომონი, მართალია, გზას ადგა და საამისო დროის გამოძებნა ერთობ გაუჭირდა, მაგრამ სიტყვას მაინც ველარ უღალატა და თავის მომავალ მოყვრებს — ხარაგაულელ აბაშიძეებს — ნება დართო, ნიშნის მოსატანად სასახლეში მობრძანებულიყვნენ.

ახალგაზრდა სასიდედროსა და სასიმამროს, დედოფალ მარიამსა და მეფე სოლომონს, სჯეროდათ და არცა სჯეროდათ, რაც მათივე სურვილითა და ლოცვა-კურთხევით მათს გარეშემო ხდებოდა. როდის გაიარა ამ დრომ? როდის გახდა ბატონიშვილი დარეჯანი გასათხოვარი? აგერ გუშინ არ იყო, ჩვილს ხელში რომ ათამაშებდნენ, ხან ბიჭად რთავდნენ, ხან გოგოდ და მისი ქალიშვილობა ძალზე შორეული მომავლის საქმედ რომ ეჩვენებოდათ?

აბაშიძეებს, მეფის მძახლებს, მარიამისა და სოლომონისაგან განსხვავებით, თავი მხნედ, თითქმის გამომწვევად ეჭირათ. რაკი სოლომონი დათანხმდა და საყვარელ სიყრმის შვილს აბაშიძის ოჯახში შესასვლელად იმეტებდა, წლების მანძილზე ჩრდილში მდგომი ეს ძლიერი და დიდებული გვარი, მაშასადამე, კვლავ მზვარეში გამოდიოდა და დღეს თუ არა ხვალ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კუთვნილ ადგილს დაიკავებდა. ამასვე ფიქრობდნენ სხვა დიდგვაროვანნიც, ვინც წარმომავლობამ თუ დღევანდელმა მდგომარეობამ ტახტის ახლო დააყენა და ქვეყნის ამრევი უწყალო აბაშიძეების ხელახლა წამოწევას სამოქმედო ასპარეზზე თვალს ფარული შიშით ადევნებდა.

იმავე დღეს, ოდიშიდან ავი ამბის მაცნე რომ მოვიდა და ელდისაგან გულშეწუხებული დედოფალი მარიამი სეფე-ქალებმა ძლივს მოაბრუნეს, სასახლეში კიდევ ერთი თავზარდამცემი ცნობა გაჩნდა, რამაც სახელდახელოდ გამართულ ნაძალადევ ლხინს ცივი წყალი გადაასხა და მთელი სამეფო კარი უზომოდ დაამწუხრა.

ხოტევში, საგვარეულო მამულში, მიცვლილიყო კარგა ხნის წინათ ლოგინად ჩავარდნილი თავადი გიორგი წულუკიძე, მეფის აღმზრდელი, სახელ-

მწიფო ბეჭდის მცველი, სოლომონის უპირველესი მრჩეველი და მეგობარი.

ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის ამბავს გიორგის უმრწემესი ძმა, თავადი ბერი იტყობინებოდა, რომელიც ჯარის შესაკრებად იყო წასული რაჭას და წუთი-წუთზე ვარციხის სასახლეში ელოდნენ.

სოლომონი ისე შეწუხდა, ისე აფორიაქდა, ისე ბალღივით ამოუჯდა გული, თითქოს აღმზრდელი კი არა, კეთილისმყოფელი მშობელი მამა მოჰკვდომოდეს, ურომლისოდაც სიცოცხლე და თითქმის გადაულახავ ამქვეყნიურ სიძნელეებთან ჭიდილი ვერც კი წარმოედგინა. გიორგი წულუკიძის უზადო ჭკუა-გონება, თავშეკავება, სიდარბაისლე, გამოცდილება, ტახტისადმი უყოყმანო ერთგულება, ღრმა განსწავლულობა სწორედ დღეს სჭირდებოდა, როდესაც ბედი ისევ გამოცდის წინაშე აყენებდა და ქვეყნის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა უნდა დაწყებულიყო. ბოლო დღეები და, შეიძლება ითქვას, კვირეებიც სოლომონი თავის საყვარელ აღმზრდელზე ფიქრობდა. ხსოვნაში როგორღაც გაფერმკრთალებული მისი სახე აკვიატებულად თან დასდევდა და უნებლიე შიში იპყრობდა, ღმერთო, არ დავიღუპოთ, გლახა არაფერი მოუვიდეს, თავზე ცა არ ჩამოგვენგრესო.

თავად გიორგის უკურნებელი სენი სჭირდა. გვირგვინოსანი აღზრდილის მიერ საგანგებოდ მიჩენილი აქიმები, მათ შორის კარის მკურნალი პაპუჩა აბულაძე, მონსინიორ ლეონე და კიდევ ორი კაპუჩინელი პატრი, ჭირისუფალსაც კი აღარ უმალავდნენ, რომ ავადმყოფის დღეები დათვლილი იყო და სულ ახლო მომავალში აღსასრულის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ.

ხანგრძლივი წოლით, წამლებით და უჰაერობით დაუძლურებული გიორგი სიკვდილზე ფიქრს ყველაზე ნაკლებ დროს უთმობდა, ვინაიდან იგი გარდაუვლად და, რაც მთავარია, დროულად მიაჩნდა, მტრის მიერ გავერანებული სახლ-კარის ხელახლა გამართვას მომაკვდავის სარეცლიდან ხელმძღვანელობდა და ღმერთს იმას-ღა სთხოვდა, სიკვდილის წინ თავის აღზრდილთან გამოსათხოვარი შეხვედრა და მასთან საგულდაგულო საუბარი ეცლია. სწორედ ამ უკანასკნელი შეხვედრისას უნდა თქმულიყო ის, რაც აქამდე არ თქმულა, რასაც სააქაო სოფლიდან საიქაო სოფელში მიმავალნი სულ ბოლო წუთისათვის ინახავენ და არცთუ იშვიათად გასამჟღავნებელი საიდუმლო თან მიჰყვებათ...

გადაუდებელი საქმეებით ყელამდე სავსე სოლომონმა ორჯერ დააპირა ხოტევს გადასვლა და სარეცელზე მიჯაჭვული გამზრდელის მონახულება. ერთხელ მაშინ, როდესაც უჩვეულოდ გამძვინვარებულმა ბატონიშვილმა იოსებმა მისი მდაბალი ხვეწნა-ვედრება არ შეიწყნარა, გვირგვინოსანი ძმისაგან უსინდისოდ მოტყუებულმა და დანაშაულის თანამონაწილემ, მღვდელმთავრის სამოსელი ნებაყოფლობით განიძარცვა და ერთ მშვენიერ დღეს ორად ორი მორჩილის თანხლებით უგზოუკვლოდ გადაიკარგა, და მეორედ მაშინ, როდესაც სრულიად ლიხთიმერეთის საეკლესიო კრებამ, თვით მეფე რომ თავმჯდომარეობდა, ქუთათელი ეპისკოპოსი მაქსიმე, ქუთათელად წოდებული, ეკლესიის საჭეთმპყრობელად აირჩია და უწმიდესი კათალიკოსის კვერთხი უბოძა.

სოლომონს არ მიეცა საშუალება, აღმზრდელს წინასწარ მოთათბირებოდა, რჩევა ეკითხა, არც ის იცოდა, როგორ შეხვდებოდა მის საბოლოო არჩევანს გიორგი წულუკიძე, მაგრამ განუზომლად კი სურდა, აღმზრდელის პირუთვნელ ბაგეთაგან თანხმობა მოესმინა და ამით თავისი ნაბიჯი და გადაწყვეტილება თვითვე ერწმუნა.

მეფის გული სამუდამოდ დაკოდილი იყო. ერისთავების უშიშროების თაობაზე დადებული ფიცის გატეხამ და ღვთის რისხვის მოვლენამ, რაიც უერთგულესი ძმის და ერისათვის თავდა-

დებული შვილის, იოსების, განდგომასა და დაკარგვაში გამოიხატა, სოლომონი სულის სიღრმემდე შესძრა და ახალი საშიშროების წინაშე დააყენა. ეს საშიშროება მარტოდმარტო დარჩენა იყო. მეფეს თანდათან, სიკვდილით თუ სიცოცხლით, ეცლებოდნენ ადამიანები, ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ მის უერთგულეს მესაიდუმლეებს და დასაყრდენს რომ წარმოადგენდნენ და იგი მარტოდმარტო რჩებოდა ულრან ტყეში ნაკლებად ნაცნობი, ანდა სრულიად უცნობი ბინადრებით გარსშემორტყმული...

დღეს საით წასულიყო? საით წასვლა აერჩია? სამად ხომ არ გაიჭრებოდა? ქართლ-კახელნი, ალბათ, უკვე სურამში ელოდნენ და თვალი აქეთ ჰქონდათ. ერეკლესთან პირის შერცხვენას სიკვდილი ერჩივნა. გარდა იმისა, რომ დადალატება საშვილიშვილო საქმეს წაახდენდა, „რუსის იარანალსაც" და ზოგიერთ ავყია დიდკაცსაც, როგორც ლიხს აქეთ, ისე ლიხს გადაღმა, ახალი საბუთი მიეცემოდა იმერთა მეფის წინააღმდეგ ბოროტი სისინის ასატეხად. არა და, სანამ დადიანის ამბავს არ გაიგებდა და მოტანილ ხმას საგულდაგულოდ არ შეამოწმებდა, აქედან დაძვრა და სამეფოს უპატრონოდ მიტოვება როგორ შეიძლებოდა! კაცია, რაღა თქმა უნდა, ფაშასთან იყო შეკრული. მისი გულის მოსაგებად, ოღონდ კი სოლომონისათვის ევნო და ურჯულოს წყალობა დაემსახურებინა, რას არ ჩაიდენდა! იქნებ იმერეთის ტახტსაც შეპირდნენ? პატივისა და დიდების მოყვარული კაცია სიძეს კი არა, თუგინდ ღვიძლ შვილს დაკლავდა, თუკი ამის სანაცვლოდ ბაგრატიონებისეულ ტახტზე წამოსკუპდებოდა!..

გაწამაწიაში სხვა გზა არ ჩანდა: მეფის აღმზრდელი გიორგი წულუკიძე სოლომონის დაუსწრებლად უნდა დაემარხათ. გულმოკლულმა მეფემ, რომ ძვირფასი ადამიანის ცხედრის წინაშე უკანასკნელ ვალს ვერ იხდიდა, ძმას, ბატონიშვილ არჩილს მიანდო მისი მაგივრობა გაეწია, საპატიო კაცებისაგან ასაბია შეუდგინა და ტახტისათვის დიდად გარჯილი წულუკიძის დასატირებლად რაჭას გაგზავნა. თავადაც არანაკლებ შეწუხებულ არჩილს არაფრად ეჭაშნიკა გვირგვინოსანი ძმის შემოსახვლება, გული ომში მიუწევდა, თუმცა იმასაც კარგად ხედავდა, რომ სოლომონს სხვა გასაძრავი ღონე არ ჰქონდა და ბრძანებას უსიტყვოდ დამორჩილდა. ლაშქრად მიმავალ სოლომონს ყველაზე ნაკლებ უნდოდა არჩილის ჩამოტოვება, რომელსაც ზემომხარის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის დაღუპვის შემდეგ არგვეთის სადროშოს სარდლობა დაეკისრა, უარჩილობა ჯარს აშკარად დაეტყობოდა, მაგრამ რა ექნა, თუ სხვა ღონე მართლაც არ იყო. არჩილს არც მოიშორებდა, დედოფალ მარიამს რომ შესძლებოდა და თანამეცხედრის მაგიერ სატირალში წასვლა ეკისრა. ოდიშიდან მოსულმა ცნობამ ქალი ერთბაშად მოცელა. თავის ოთახში ჩაკეტილი გარეთ აღარ გამოდიოდა და აღარც ვისმე დანახვა უნდოდა. სოლომონი ცალკე მარიამის ჯავრმა გააწამა, ცალკერძ ფიქრმა, თუ რა ოინბაზობისათვის მიემართა, როგორ დაესაჯა და დაემხო გულხარბი დადიანი ისე, რომ თანამეცხედრე სასიკვდილოდ არ დაეკოდა.

ჯავრისაგან გამშრალი ბატონიშვილები: დარეჯანი, თამარი და ალექსანდრე, რომელთაგან მთლად პატარა არც ერთი აღარ იყო, მამას შესცქეროდნენ თვალებში და პასუხს ყველა წამოჭრილ კითხვაზე მხოლოდ იმისაგან მოელოდნენ.

— ბატონო მამა, შეიძლება, ბატონი დედა ვინახულოთ? — მიმართა მეფეს თავისი ყმაწვილური დარდით გულადღებულმა ბატონიშვილმა ალექსანდრემ.

— ვინ გიშლის, შვილო, — შეკრთა ფიქრში წასული სოლომონი და თვალები ცრემლით აევსო. — განა მე როდისმე დაგიშალე? თუ თავად ნებავს და შეუძლია შენი მიღება... — დაუმატა მან. — უთხარი, რომ მე...

— რა მოგდის, ბატონო მამა, ვაჟკაცი და ცრემლი...

— მაპატიე, შვილო, მეც მიმტყუნა ღონემ. ქვისა და რკინის არც მე ვარ. ამ ჯოჯოხეთს როდემდე გავუძლო? შედი! ანუგეშე! უთხარი, ეს ამბავი მარტო ჩვენს თავს არ არის-თქვა. ამისთანა და ამაზე უარესიც წინათაც ბევრი მომხდარა-თქვა. რაკი თავზე გვირგვინი დავიდგით, იგი კიდევაც უნდა ვატაროთ ღირსეულად, ქედის მოდრეკა არც შეგვფერის და არც გვეპატიება-თქვა. რაღას უყურებ, შედი ბარემ, მე აქ დაგიცდი!

— ოღონდ პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ უჩემოდ არ წახვალ!

— სად წავალ, შვილო, ოდიშს კაცები ვაფრინე სინამდვილის შესატყობად. სანამ ისინი არ მობრუნდებიან და საბოლოო ამბავს არ მომიტანენ, ფეხს როგორ მოვიცვლი!

— მაშინ ორივე ერთად შევსულიყავით. მე გაგიძღვები, შენ უკან მომყევი, — ბატონიშვილმა ალექსანდრეჰ მამას ხელი ხელში ჩაჰკიდა, როგორც პატარაობაში სჩვეოდა, და წინ გაქაჩა.

— მაშ, არ მენდობი, გგონია, მართლა წავალ და შენ აქ დაგტოვებ? არა, მამა, მე ხომ აღგითქვი, ომში თან უნდა გიახლო-თქვა. მომხდარა ჯერ, შენთვის ერთი მითქვამს, მეორე კი გამიკეთებია? გამიძეხი, რაკი-ღა აგრე გინდა. კიდევაც რომ არ შეგვიშვან, მე და შენ მაინც შევიდეთ და ვნახოთ დედაშენი!

დედოფლის მოსასვენებელი ოთახის კართან მართლაც მოუხდათ შეყოვნება. დიდგვაროვანმა სეფე-ქალებმა, მარიამის უქეიფობის გამო უბრალო მოახლეებად რომ ქცეულიყვნენ და ყველა სათითაოდ ცდილობდა, პატრონის ოჯახისადმი სხვებზე მეტი ერთგულება გამოეჩინა, მეფესა და ბატონიშვილს გზა გადაუღობეს და რამდენიმე წუთი ითხოვეს, რომ დედოფალი მარიამი შვილთან და თანამეცხედრესთან შესახვედრად მოემზადებინათ.

სეფე-ქალებს რომ გაუარა, სოლომონმა ხმამაღალ ჩურჩულსა და მითქმამოთქმას მოჰკრა ყური, რაც იმას მოასწავებდა, რომ ქალები სწორედ ბატონის გასაგონად ჩურჩულებდნენ. თავდაპირველად ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, შემდეგ კი უნებლიეთ სმენა გაამახვილა. ვიღაც მოსარიდებელ პიროვნებას ჰორავდნენ, ქოქოლას აყრიდნენ, ყველა სიავის ბუდედა და წამომწყებად სახავდნენ. ჩურჩულის აზრს სოლომონმა მხოლოდ მაშინ ჩახვდა, როდესაც თანამეცხედრის ოთახში შევიდა და მაღალ სასთუმალზე მისვენებული მარიამის ფერმკრთალი სახე და შემოსულებისაკენ მოჩერებული დიდრონი, რაღაც გამოუცნობი კითხვით აღსავსე თვალები დაინახა. ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც ცოტა-ღა აკლდა რომ არ აზლუქუნებულიყო, დედასთან პირველი მიიჭრა, დაიხარა და შუბლზე სათუთად ეამბორა. მარიამმა საბანზე შემოდებული მარცხენა ხელი მოჰხვია, მიიხუტა და თვალები ცრემლით აევსო. სოლომონი შუა ოთახში იდგა. ალექსანდრეს აქ ყოფნა ბოჭავდა და სიტყვა ყელში ეჩხირებოდა.

— იქნებ მართლა ჩემი ბრალია, — თხელი ტუჩები ოდნავ გახსნა მარიამმა. — ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს...

— რაზე, ბატონო? — სოლომონმა კოპები შეიკრა, თანამეცხედრეს თვალი თვალში გაუყარა.

— თითქოს ჩემს უპირულ ძმას, ჩემს დამღუპველსა და შემარცხვენელს, მამის ანდერძზე ფეხის დამდგმელს, მფარველობას ვუწევდე, შენი მეფური რისხვისაგან ვიფარავდე!..

— ენას ამოვაძრობ, ვინც ზედმეტს იყბედებს! — სოლომონმა ხმას აუწია და ეს ისე თქვა, რომ კარზე მოყურადებულ სეფე-ქალებსაც გაეგონათ და ამიერიდან მაინც გაფრთხილებულიყვნენ. — მე არავის ვეკითხები, ვინ შევრისხო და ვის ხელი დავაფარო! თუ სამეფოში რაიმე კეთდება, ყველამ იცოდეს, ამ მარჯვენით კეთდება, არ კეთდება და მაგაზედაც მე ვარ პასუხისმგებელი!

— რა გადაწყვიტე? არის რაიმე ახალი?

— არჩილი რაჭას გავისტუმრე. მე ცოტას კიდევ მოვიცდი.

— ჯარი მზად არის?

— ვინც მოსასვლელი იყო, მოვიდა.

— რას იტყვის ერეკლე, ასე რომ ვაგვიანებთ?

— ჩვენ გვინდა და ვაგვიანებთ? რა ვქნათ, რომ არ დავაგვიანოთ?!

— მერჩივნა, სოლომონ, მოვმკვდარიყავი და ამ დღეს არ მოვსწრებოდი. მრცხვენია. სირცხვილით თავი სად-ღა გამოვყო? ჩემი ძმა გვერდში უნდა მიდგეს, ჩემს ჭირსა და ლხინს იზიარებდეს, ის კი რას სჩადის? ზურგში მახვილს გვილერებს, მტრის საჯიჯგნად ვემეტებით, აღარც ნათესაობა აჩერებს და არც ქვეყნისა და სარწმუნოების სიყვარული!

— ჩემი ბრალია, — გულის სიღრმიდან აღმოხდა სოლომონს და თვალები დახარა. — ჭკუა-გონება ვერ დავატანე, მაშინ ვერ ვივარგე, როცა დრო იყო და ახლა რაღა გაეწყობა! სულ მცირე ჯარით გორდს იდგა. მიდი თურმე, რაღას აყოვნებ, თავს დაესხი და ერთხელ და სამუდამოდ წესი აუგე! ხომ იცი, მოყვასის სისხლის დაქცევა მაინც არ აგცდება და მაინც. მე კი რა ვქენი? სამარცხვინოდ უკან გამოვბრუნდი, შემოთავაზებული ზავი მივიღე და წერეთლისა და იაშვილის გვამების გამოგზავნა შევუთვალე. გვამებს რა თავში ვიხლიდი! გაცოცხლდებოდნენ თუ? იარანალის გაბრუნებამ თავგზა ამიბნია. მეგონა, ცა თავზე ჩამომემხო, რუსის წასვლა და კაპუდან-ფაშა იბრაჰიმის მოსვლა ერთი იქნებოდა. გამოვედევნე იმ ჩემი ცოდვით სავსეს. ათუ მე და ათუ ჩემი ძმა არჩილი. მე ვთქვი, ან ასე დავაჯერებ, ან ისე და პირს ისევე აქეთ ვაქნევინებ-თქვა.

— დრო უქმად დავკარგეთ, სოლომონ, ზედმეტად მივენდეთ ურჯულოსთან ფიცვერცხლნაჭამ ჩემს პირშავ ძმას!

— ახლა კი, მამის სულს ვფიცავ, მარიამ, ასაკუწავად არ დავზოგავ, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა და სადმე უადგილო ადგილას მივიმწყვდიე. მეყო, რაც ვითმინე, ხმალმა გაგვასწოროს!

ქალს ტუჩები ძლივსშესამჩნევად აუთრთოლდა, თვალები ერთიან ჩაუღრმავდა და შიგ უზომო სევდა-ნაღველმა ჩაიბუდა.

— ღმერთო, იესო მაცხოვარო, ეს რა დღეს შემასწარი! — უმისამართოდ თქვა მან და ღვარად მოწოლილი ცრემლი საბნის ყურით შეიმშრალა. — რაღა მეთქმის მე ცხენის კუდზე გამოსაბმელს. მამაჩემის შვილს მიუძღვის ბრალი. ურჯულო ფაშამ ძმა გადამირია. ისედაც გადარეული მყავდა, იმას კიდევ გადარევა სჭირდებოდა? საბოძვრითა და უსვინდისო დაპირებებით თვალები აუჭრელა. შენ არაფერს ამბობ, შვილო, ალექსანდრე. ხომ ხედავ, აღარ გვზოგავს გულგოროზი ბიძაშენი, თავისი არ იკმარა და ახლა ჩვენზე მოდის!

— ჩუ, ეს რა ხმაურია? — სოლომონმა ხელი ასწია, გაირინდა და სმენად გადაიქცა.

გარეთ გაურკვეველი ჩოჩქოლი იდგა. ახალმოთავებულ ხის განიერ კიბეზე ვიღაც-ვიღაცები ჩარბოდნენ თუ ამორბოდნენ. მთელი სასახლე ზანზარებდა. სოლომონი მძიმე ნაბიჯით მივიდა, კარი გამოაღო და ხელში მთელი თავით დაბალი ჩაფხუტიანი მოლაშქრე, სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, ნიკოლოზა ნაფიჩვაძე და კიდევ რამდენიმე ყმა შერჩა.

— ვინა ხარ, კაცო, აქ რამ მოგიყვანა? — მკაცრად ჰკითხა სოლომონმა მოლაშქრეს, რომელსაც შუბლსა და ლაწვებზე ოფლის წვრილ-წვრილი ღელეები მოწანწკარებდა და შავი ახალუხის გაზინთულ საყელოში ჩასდიოდა, შეხედვით კი სახლთუხუცესს შეხედა.

— ზურაბ მიქელაძეს უახლებია, მეფეო, — მოლაშქრის მაგიერ უპასუხა პაპუნა წერეთელმა. — ეტყობა, შენი დიდებულება წასული გონია და ყელი გვიპოვნა. ვგონებ აგარიანიც უნდა ახ-

ლდეს. ზურაბ მიქელაძე მაშველ ჯარს თხოულობს...

— მოაწიეს კაცებმა ოდიშიდან?

— რაღა კაცები გვინდა, მეფეო, განა ყველაფერი ისედაც ცხადი არ გახლავს? გეხვეწე, შე დალოცვილო, მე და ჩემმა ობოლმა ძმისწულმა ზურაბმა კალთები შემოგახიეთ. მაშინ რომ გეწამა ღმერთი და ჩვენი სიტყვა დაგეჯერებინა, დღეს ეს მეხი აღარ დაგვეცემოდა.

მეფემ წერეთლის ყვედრებას წაუყრუა, რადგან გულის სიღრმეში ის სიმართლედ მიაჩნდა, ამის საქვეყნოდ აღიარება კი არ უნდოდა, ტუჩები მრისხანედ მოკუმა და ოფლში გახვითქულ მოლაშქრეს მიუბრუნდა.

— სად არის ახლა თავადი მიქელაძე?

— სანავარდოსკენ დეიხია, მეფეო, და ჩვენ აქით გამოგვიშვა, — სხაპასხუპით მიუგო მალემსრბოლმა, თან წამდაუწუმ ნიდაყვით შუბლზე ოფლს იხოცავდა. — წყეული დადია კვალდაკვალ მისდევს. ხონი და ორივე ჯიხაიში გადაწვეს. უიმე, უიმე!.. უზღვავი ხალხი დეიჭირეს და წინ გეირეკეს. ქრისტეს ტირილია! თუ დადიამ გზა მოუჭრა და, მტრის და ავისას, ჩვენ მწყალობელ ბატონ მიქელაძეს რიონზე გასვლა მოასწრო, მერე აღარ ვიცით, რაფერ იქნება საქმე.

სოლომონი კრიჭაშეკრული უსმენდა, თვალი და ყური კი სხვაგან ჰქონდა.

— ძირს რა ამბავია, თავადო, ვინ არის, რომ აიკლო იქაურობა?!

— გამობრძანდი და შენი თვალით ნახე, მეფეო, — უპასუხა მოხუცებულმა წერეთელმა და ხელმწიფეს თვალი აარიდა. — ხალხია. ახლომახლო სოფლებიდან მოგვაწყდა...

— ვინ ხალხი? რომელი ახლომახლო სოფლებიდან? რა უნდათ? რა აყვირებთ მერე? გაუკვირდათ, ეს პირველია, მტერი რომ შემოგვესია? ახლავე გადით და, სანამ ჯარი არ მომიხმია, ჩემი სახელით უკან გაისტუმრეთ ყველა! კაცის ჭაჭანება არ დავინახო!

— ვერაფერი შევაგნებინე, ბატონო, კაცები ორჯერ მივუგზავნე, მეც ბევრი ვემუდარე. ფეხს არ იცვლიან, გვექადნებიან, აქაურობას ცეცხლს მივცემთ, თუ თავად მეფე არ გამოვა და არ დაგველაპარაკებაო. არავინ არ გვინდა, ჩვენს გაჭირვებას და დალხინებას მარტვა მეფეს ვეტყვითო.

— ბიჭოს! ეს რას უნდა ნიშნავდეს? მაგრამ ახლა ამის დრო გვაქვს, სახლთუხუცესო, როცა პირსისხლიანი მტერი კარს მოგვდგომია და სადაცაა ჭერს თავზე ჩამოგვაქცევს?

— მე ვიცი, რაც უნდათ, მეფეო! — მოისმა უცებ ოთახის სიღრმეში დედოფალ მარიამის ცივი, მბრძანებლური ხმა და მეფე შემობრუნდა, იმ მხარეს გაიხედა, სადაც თანამეცხედრე ეგულებოდა. ქალს ლოგინიდან წამოდგომა მოესწრო, ფეხი ქოშებში წაედგა, სიასამურის ბეწვით ქობებშემოვლებული შინდისფერი ხავერდის მოსასხამი წამოესხა და თვალებად გადაქცეული ბატონიშვილი ალექსანდრე გვერდში ყავარჯენივით ამოეყენებინა. — ხალხი სასახლიდან ჩემს გაძევებას და დამდაბლებას მოითხოვს, — იმავე მბრძანებლური კილოთი განაგრძო მარიამმა. — მეც ხომ დადიანის სისხლის ვარ!..

სოლომონს თავზარი დაეცა. რა მესმის, სიზმარია, თუ ეს ამბავი მართლა ხდებაო. ისევ მორჩილად თავდახრილ სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს მიმართა:

— მართალია, პაპუნა, რასაც დედოფალი ბრძანებს?

— მართალი გახლავს, მეფეო. მე ვეღარ შემოგბედე, ეს ღვთის განმარისხებელი სიტყვები ვეღარ გავიმეორე. ანდა რა ენამ უნდა თქვას!..

— ვაი, შენ ჩემო თავო! — შუბლში ხელი შემოიკრა სოლომონმა და ზურგით კარის ძგიდეს მიეყრდნო. — ეს მინდოდა კიდევ? ყოველი წამი ოქროდ მიღირს. მტრის ნამუშევარია! ნალში შიგ ოჯახში შემომიგდეს, რომ სული დამინაწევრონ, მოსვენება დამიკარ-

გონ, ეჭვით გამასავათონ, მტერი მოყვარედ მომაჩვენონ და მოყვარე მტრად!

წერეთელმა ცოტა აღროვა და მერე ისევ ფრთხილად შეუკეთა:

— გავბედავ მოგახსენო, მეფეო, რომ მზირებმა ოდიშარი მალემსრბოლები შეიპყრეს. ახლაც დილეგში მყავს დამწყვდეული...

— მალემსრბოლები? — შეჰყვირა მეფემ. — ვინ მალემსრბოლები? რატომ მე არაფერი ვიცი?!

— კაციის საიდუმლო წიგნი ვუპოვნეთ, ბატონო. არ ტყდებოდნენ. მის უმაღლესობა დედოფალთან მიქონდათ...

მარიამი შეკრთა, წელში გაიმართა, გრძელი წამწამები აახამხამა, ეუცხოვა, რაც ყურთ ჩაესმა, ბოლოს მიხვდა, წერეთლის ნათქვამი რასაც ნიშნავდა, ორივე ხელი მხრებზე ჩამოშლილ თმაში იტაცა და ენაჩავარდნილმა აუწერელი ზიზღით და შეჩვენებით ალვსილი თვალები სახლთუხუცესს მიაპყრო.

— სად არის წიგნი? — მჭექარე ხმით იკითხა მეფემ. -- ახლავე აქ მომიტანეთ!

— აგერ, ბატონო, — პაპუნამ კაბის უბე დინჯად, საკუთარ სიმართლეში ღრმად დარწმუნებული კაცის სიდარბაისლით გაიხსნა, ორად ორი შუაზე გაკეცილი ფურცელი ამოიღო, გაშალა, სულიც შეუბერა და პირგამეხებულ სოლომონს კრძალვით მიართვა.

წიგნი კაცია დადიანის ხელით იყო შედგენილი. ხელრთვა და ბეჭედიც, რასაკვირველია, კაციასი ესვა. ოდიშის ბატონი საყვარელ გვირგვინოსან დას შორიდან პირზე კოცნით მოიკითხავდა და და-ძმას შორის ადრე დადებულ პირობას შეახსენებდა. ამ პირობის თანახმად, თუ წიგნს დაუჯერებდი, რაჭის ყმა-მამული, ჯერ კიდევ გუშინ დადიანის სამთავრო სახლის სისხლით ნათესავებს, ერისთავ როსტომს და მის შვილებს რომ ეჭირათ, ისევე როგორც თავის დროზე ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადადიანოს უნდა შეერთებოდა. პირობის განხორციელება მით უფრო საშური გახდა მას შემდეგ, რაც სოლომონმა ერისთავებს უღალატა, ფიცი გატეხა, გაუგონარი ბოროტება ჩაიდინა და რაჭის ყმა-მამული ნაწილობრივ სახასოდ დაინარჩუნა, ნაწილობრივ კი ერთგულ თავად-აზნაურთ დაურიგა. ახლა როგორც გნებავდეს, ჩემო საყვარელო დაოო, იწერებოდა კაცია დადიანი, სიტყვას შეასრულებ და ფიცის გამტეხ შენს ქმარს ნებით დაათმობინებ იმას, რაც კანონით მეკუთვნის, ხომ კეთილი და პატიოსანი, თუ არა და ორივემ, ცოლმაც და ქმარმაც, ერთმანეთს დააბრალეთ, რაც მოგივათ, ვინაიდან ღვთისაგან ბოძებულს მე კაცს არ წავართმევინებო.

მეფემ წიგნი ბოლომდე ჩაიკითხა, ბეჭდის წარწერას და ხელრთვას ერთხელ კიდევ დააკვირდა და თავი ასწია, სახლთუხუცესს ზიზღნარევი შეჩვენებით მიმართა:

— მერე ამას მიმალავდი, თავადო? ღმერთი აღარ არის, კაცო, თქვენში? ცოლისძმა თურმე ნახევარ ქვეყანას მედავება, ხვალ, ეტყობა, ტახტიდან ნებაყოფლობით გადადგომასაც მომთხოვს, თქვენ კი წიგნს გულისჯიბეში ინახავთ და არც არაფერს მიმხელთ?

-- შესაფერ დროს ვუცდიდი, მეფეო, — თავი იმართლა სირცხვილისაგან თუ შიშისაგან წამოჭარხალებულმა წერეთელმა. — მანდ ხომ მარტო ეგ არ წერია, თქვენო უდიდებულესობავ!..

— თქვენო უდიდებულესობავ!.. — დამარცვლით გაიმეორა სოლომონმა. — წამხედურები!.. თუთიყუშები!.. — მერე კი კილო შეიცვალა და საქმიანად განაგრძო: — აცნობეთ ჩემი სახელით ზურაბ მიქელაძეს, გამაგრდეს, როგორმე ხვალ საღამომდე გაუმკლავდეს პირშავი მტრის შემოტევას, სანამ მივიდოდე და საშველს გავაჩენდე. ახლავე აფრინეთ კაცები შორაპანს და სარდლები, ქაიხოსრო აგიაშვილი და ბერი ლორთქიფანიძე, ჯარითურთ აქ დაიბარეთ. სამცხის ლაშქრობის გაუქმება მიბრძანებია. თავისუფალი ხართ ყველა,

დედოფალთან და ჩემ შვილთან მარტო დამტოვეთ!

პაპუნა წერეთელი უხმოდ გატრიალდა, რათა მეფის ყველა განკარგულება დაუყოვნებლივ შეესრულებინა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, ფეხი აითრია, თითქოს აქაურობა ვერ დაუთმიაო და მეფეს მოწიწებით ჰკადრა:

— ხალხს რა პასუხი მივცეთ, ბატონო?

— ხალხს? — სოლომონი ძლივს გამოერკვა, ის უკვე მთლიანად დაეპყრო ცოლისძმის მზაკვრულ წიგნს. — რომელ ხალხს?

— ახლა არ მოგახსენებდი?

სოლომონს ყველაფერი მოაგონდა, მოაგონდა, რომ სასახლის გარეშემო მოგროვილი ბრბო მის გამოსვლას მოითხოვდა, რადგან ყველა ბრალს დედოფალ მარიამს, კაცია დადიანის ღვიძლ დას, აკისრებდა და ელდისაგან ქვად ქცეულ თანამეცხედრეს მიუბრუნდა:

— რა პასუხი მივცეთ ხალხს, დედოფალო?

— ნება შენია, მეფეო, მე ჩემი მოვალეობა მიკარნახებს, ყველა შენს ნებას უდრტვინველად დავემორჩილო!..

სოლომონი წუთით დაფიქრდა.

— მაშ, ქეშიკებს მოუხმეთ, სახლთუხუცესო, და კართან დააყენეთ. სანამ ჩემი ბრძანება არ იქნება შესრულებული, ფეხს ნურავინ გაადგამს! ბიბლიოთეკა

მარიამს მუხლი მოეკვეთა, თვალები მიელულა და აუცილებლად წაიქცეოდა, ბატონიშვილი ალექსანდრე დროზე რომ არ მიშველებოდა და წელზე ხელები არ შემოეჭდო.

— მამა! — განწირული ხმით დაიყვირა ყმაწვილმა.

დედოფლის ოთახი, თითქოს კუდიანმა ქარმა დაუბერა და ყველა იქ მყოფი აქეთ-იქით მიჰფანტ-მოჰფანტა, თვალის დახამხამებაში დაიცალა. მხოლოდ ერთადერთმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ გაბედა და ბატონიშვილის გვერდით გაჩნდა. რათა გრძნობამიხდილი ქალის დაწვენაში მოხმარებოდა,, მაგრამ ამდენის უფლება თავს ველარ მისცა და უკან დაიხია.

მალე ოთახში დედოფლის მოახლეები შემოცვივდნენ, თავიანთ ქალბატონს მოფარფატე მტრედების გუნდივით გარს შემოესივნენ და მამაკაცები, მათ შორის თვით მეფეც, მოურიდებლად დაითხოვეს. ბატონიშვილი ალექსანდრე დედასთან დარჩა. მოახლეებმა მალე ისიც გარეთ გაიყვანეს და კარი შიგნიდან გადაკეტეს. დედოფალს ნაადრევი მშობიარობა დასწყებოდა.

## თავი ოცდამეთხუთმეტე

ოდიშის ბატონ კაცია დადიანს ჩილდირის ვილაიეთის ბეგლარბეგმა კაპუდან-ფაშა იბრაჰიმმა ჯარი ზღვიდან მოაშველა და შეთანხმებისამებრ უბრძანა. უკეთუ მეფე სოლომონი დედოფალ მარიამის მიერ ახალციხის რაბათში ხელმოწერილ პირობას დაარღვევდა, ოსმალეთს კვლავაც უმუხთლებდა და რუსის საექსპედიციო კორპუსთან და ქართლ-კახეთის მხედრობასთან ერთად საფაშოს საზღვრებს გადალახავდა, აჩიკ-ბაშს შესეოდა და იქ ომის ცეცხლი დაენთო.

კაციას თავისი, აქამდე განუხორციელებელი ზრახვები ჰქონდა, შექმნილი ვითარება ხელის მოთბობის საშუალებას აძლევდა და ისიც რა შვილი იყო, პირში ჩადებულ ლუკმისათვის ყბა არ მოექნია. ზღვით მოსულ და რედუტ-კალეში გადმომსხდარ ათას ქვეით იანიჩარს მან ათას ხუთასი მხედარი თავისი მიუმატა, მათხოჯთან ცხენისწყალში გავიდა, გვიშტიბის საგულდაგულოდ

გამაგრებული ციხე უკან მოიტოვა და რიონს მიაშურა, რათა იქ მარცხენა ნაპირზე გადაბარგებულიყო, საჩინოს ციხეებს დაპატრონებოდა და ხანისწყლის ხეობისათვის მიეღწია. დადიანი ამით გზას ხსნიდა კაკასხიდისაკენ, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ფაშასაგან ახალი მაშველი ჯარის მიღება შეეძლო.

უფრო დიდი ჯარი, ქვეითი და ცხენოსანი, კაციამ ლეჩხუმისაკენ დასძრა. ეს ჯარი ორბელის უღელტეხილით ჯერ ლაჯანურის, ხოლო შემდგომ რიონის ხეობაში გადავიდოდა და აქედან ქვემო რაჭაში შეიჭრებოდა.

ოდიშის ბატონი დარწმუნებული იყო, რაჭველები წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, პირიქით, პურმარილითაც კი მოეგებებოდნენ და სოლომონის მიერ დანგრეულ ციხეებისაკენ თვით გაუძღვებოდნენ.

თავი რომ უფრო ხალვათად ეგრძნო, კაციამ წინასწარი თადარიგი გასწია, ქაიხოსრო წერეთლისა და ზურაბ იაშვილის უსულო გვამები მეფეს დაბრმავებულ ერისთვიშვილებში — ნაბერალ მეთოდესა და გიორგი სარდალში გაუცვალა და ორივე ერისთვიშვილი მაშინვე რაჭას გაისტუმრა მომხრეთა საშოვნელად და იქაური ერის სოლომონის წინააღმდეგ ასამხედრებლად.

სისხლით ნათესავ საჩინოელ ერისთავებთან სახლეულითურთ შეკედლებულ როსტომსა და მის შვიდ ვაჟს, რომელთაც ბედმა მეფის მიერ გამოტანილი მკაცრი სასჯელი არგუნა, თვით მეფისაგან მიჩენილი კაპუჩინელი ძმები მკურნალობდნენ და, შეიძლება ითქვას, მკურნალობას გვარიანი პირიც უჩანდა. ნაბერალს ცალ, მარცხენა თვალში სინათლე სანახევროდ აღუდგა, რაც ჯალათის გულმოწყალებას უფრო მიეწერებოდა, ვიდრე მკურნალების ხელოვნებას, გიორგი კი ორივე თვალით საგნებს ბუნდოვნად არჩევდა და თუ სასწაულმოქმედი პატრები მონდომებას არ დააკლებდნენ, საქმე იქნებ კიდევ უფრო გაუმჯობესებულიყო. ლოგინად ჩავარდნილ როსტომსა და დანარჩენ ხუთ ერისთვიშვილს მოკეთებისა არაფერი ემჩნეოდა. ისინი სამუდამო წყვდიადისათვის გაეწირა ღმერთს თუ განგებას და ავად თუ კარგად თანდათან ურიგდებოდნენ თავიანთ სავალალო მდგომარეობას.

პირველი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მეფესა და დადიანს შორის მუხიანსა და გეგუთს შუა, რიონის მარჯვენა ნაპირზე მოხდა. მოპირდაპირე ნაპირზე მოულოდნელად გაჩენილმა სოლომონმა ადვილად სძლია გამოღმა გადმოსული რამდენიმე ასეულ იანიჩარს, ბევრი აკუწა, დანარჩენები გააქცია, სხვები ტყვედ იგდო, მათს ნავებს, სახელდახელოდ შეკრულ ტივებს, ჩელტებს, ნავტიკებს დაეუფლა, სხვის ნახარს თავისიც მიამატა და გამძვინვარებულმა რიონში შესცურა.

კაციას გულში ეცინებოდა, შორსმჭვრეტელი, ომის ავ-კარგს ჩინებულად დაუფლებული, მხედრულ ეშმაკობაში გაწაფული მეფე ადვილად რომ მოატყუა და ორთაბრძოლაში ჩაითრია. სანამ მისი ორი ათას ხუთასი კაცი მეფის ჭარბ ძალებს უმკლავდებოდა და ალაგ-ალაგ წარმატებებსაც აღწევდა, რაჭის დასაპყრობად გაგზავნილი სპა დაკისრებულ საქმეს აკეთებდა და აწ უკვე მოშლილი საერისთავოს გულს უახლოვდებოდა.

ქვემო რაჭაში დადიანის შეჭრისა და აწყურიდან რუსის საექსპედიციო კორპუსის ტაშისკარისაკენ, შიდა ქართლში გამობრუნების ამბავი იანეთის მინდორში ბანაკად მდგომ სოლომონს ერთსა და იმავე დროს მოუტანეს. ყოველივე ეს წარმოუდგენელი და ძნელი დასაჯერებელი იყო. იმერთა მეფის ბანაკში აქამდე ისიც კი არ იცოდნენ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს მეფე ერეკლემ და რუსის სარდალმა ტოტლებენმა, როდესაც სოლომონი პაემნის ადგილზე არ მივიდა და ამით რუს-ქართველთა შემტევი ძალა ერთიორად დაასუსტა. ვინმე ისეთი, ვისაც მომხდარი თავისი თვალით ენახა და სიტყვა უუყუ-

მარტოდ დაეჯერებოდა, ჯერ არავინ ჩანდა, მაგრამ სამცხიდან მოღწეული ხმები ერთმანეთს ისე ძლიერ მიაგავდა, იგი სიმართლისაგან შორს არ უნდა ყოფილიყო.

აწყურის ციხის წარუმატებელი ალყის შემდეგ, რაიც ორიოდე კვირას გრძელდებოდა, ტოტლებენმა შემდგომ ომზე უარი თქვა, ერეკლეს ზურგი შეაქცია, დროშები დაკეცა და უკან გამოსაბრუნებლად შეემზადა. ამასობაში აწყურს კაპუდან-ფაშა იბრაჰიმიც მოადგა და ოცი ათასი კაცით ბანაკი მეოთხედი დღის სავალზე დასცა. შეტაკება გარდაუვალი იყო. ფაშა საიმედოდ კეტავდა ახალციხისაკენ მიმავალ გზებს და მტერს აიძულებდა, ბრძოლა გაშლილ ველზე მიეღო, სადაც აგარიანთა მხედრობის რიცხობრივი უპირატესობა თავს უმალ იჩენდა და გურჯებსაც და მათს თანამდგომ რუსებსაც ბედს აწყევლინებდა.

ერეკლემ ჯერ შვილები, გიორგი და იულონი, მიუგზავნა რუსის სარდალს და თხოვა, ასე მცირე ჯარით, მე რომ მახლავს, იწამე ღმერთი, ორწილ მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ ნუ დამტოვებო, მაგრამ როდესაც გრაფის ყრუ წინააღმდეგობას წააწყდა, თავისი მეფური ღირსება არად ჩააგდო, კორპუსის უფროსს თვით ეახლა, დაუჩოქა და შეევედრა, თუ ბრძოლის ველიდან ჯარის გაყვანა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, ქართველებისათვის თავისი გამართული არტილერია მაინც დაეტოვებინა.

— მერე? — გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ხმით შეჰყვირა სოლომონმა, როცა ტფილისიდან ქუთაისს საქონლის გასასაღებლად მოსულმა და იქიდან რის ვაივაგლახით მეფის ბანაკში შემოღწეულმა ისხაკა თეთრუაშვილმა ეს ამბავი მოუთხრო. — რა უპასუხა იმ უცხვირპირომ?

— ტოტლებენმა, ვადაი? — მოხეტიალე ცხოვრებას და კარიდან კარზე წოწიალს ისრაელი ვაჭარი შეუბრალებლად გამოეფიტა, ძვლად და ტყავად ექცია, ოდესღაც ცეცხლივით წითელი წვერიც სანახევროდ გასცვენოდა; სანახევროდ კი გაჭაღარავებოდა და ნიკაპსაც ველარ უფარავდა. — არ შეიწყნარა ღვთისაგან დალოცვილი მეფე ერეკლეს მუდარაი, ჯარი უკან გამობრუნა...

— თავად ერეკლე? ერეკლეს რაღა მოუვიდა? თქვი ჩქარა! ისიც უკან დაბრუნდა?

— უკან რომ არ დაბრუნებულა, მაგას დანამდვილებით მოგახსენებ, ვადაი, დიდებულო მეფეო, გოუგებელი რა დარჩებოდა, მარა იქ რა მოხდა, ვინ გადარჩა და ვინ ცოცხალია, რჯულის მადლმა, კაცმა არ იცის!..

— მაშ, ერეკლე მარტოა თავისი ცხრა ათასი კაცით და ექვსი ზარბაზნით კაპუდან-ფაშა იბრაჰიმის ოცი ათასიანი კორპუსის წინააღმდეგ?

— აგრე მოგახსენებენ, ვადაი, რჯულის მადლმა, ფაშას, შეიძლება, მეტიც ქე ყამდეს ჯარი.

მეფე მწარე საგონებელს მიეცა. რამდენიმე წუთს ხმა აღარ ამოუღია.

— სადა ვართ, სასწაული მოახდინა და ერთი იქა გვქნა ახლა! — სინანულითა და ნატვრით თავი გადააქნია ქაიხოსრო აგიაშვილმა.

— რავა ძირში გვეჭრება მარჯვენა! — ხელი ხელს შემოჰკრა მტერთან უკანასკნელი შეტაკების დროს ბარძაყში ტყვიით დაკოდილმა ბერი ლორთქიფანიძემ.

— თუ ნებას დამრთავ, მეფეო, ხუთი ათას კაცს შევკრებ და წავალ. რაც არის, არის, თუ ვერას წავადგები, კაცურად მაინც დავიხოცებით!

მტანჯველ ფიქრში წასულმა სოლომონმა თავი ასწია და ამ სიტყვების მთქმელ უმცროს ძმას, არჩილს, სიცხიანი თვალები შეანათა.

— შენ პირს შაქარი, ბატონიშვილო, მაგას რაღა აჯობებდა. ეგ დახმარება მოყვრობითაც გმართებს და მამულიშვილობითაც, მაგრამ სად არის ეგ ხუთი ათასი კაცი, შენ რომ სამცხეში გინდა წაიყვანო, ან ხუთი ათასი კაცით,

კიდევაც რომ გყავდეს, ვის რა უნდა დააკლო?! აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაისრისაო, ხომ გაგიგონია? ეს არის, ეკალ-მუხურიდან გვაცნობეს: ორი ახალი გემი შემოსულა ყულევში, ეგენი რედუტ-კალეს რომ უძახიან. დადიანს კიდევ მოუვიდა მაშველი. რას გვირჩევთ, დარბაისელნო, როგორ მოვიქცეთ?

— ჯერ იქნება ისხაკასათვის დაგვეგდო ყური? — სხვებს ისევ ქაიხოსრო აგიაშვილმა დაასწრო.

— ისხაკასათვის? — გაიმეორა სოლომონმა და მზერა მოხუცებულობითა და გაზაფხულის ნაადრევი სიცხით ქანცგამოლეულ ვაჭარს შეავლო. — ნუთუ კიდევ აქვს რაიმე სათქმელი? როდისთვის ინახავს!

— ტოტლებენი ქართლს შესევია, — თქვა ისხაკას მაგიერ აგიაშვილმა. — ნიჩბისი და ქვიშხეთი აუკლია. ნუზლის მოგროვებას იმიზეზებს...

— ეგ მართალია, ისრაელო? — ამ უკანასკნელი ცნობით კიდევ უფრო შეძრულმა სოლომონმა ახლა პირდაპირ ვაჭარს ჰკითხა.

— მართალია, ვადაი, დიდო მეფეო, — დაემოწმა თეთრუაშვილი. — რჯულის მადლმა! მე ტყუილ გეტყვი? მაგას ვინ-ღა წუხს, შენი მუხლების ჭირიმე, მარტვა ორი სოფელი რომ ეკმარა. საყვედურსაც ვერავინ შებედავდა. ვერა, შენ დაგენაცვლე!

— აბა?

— მიყვა პირწმინდად და ქართლის ციხეებ ზედიზედ იკავებს ი მარჯვენადასადუმებელი, გორზე მიდის, ერეკლეს ქვეყნის მართვა არ შესძლებია და რუსხელმწიფის ბრძანებით ქართლს მე უნდა ვუპატრონოო.

დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ.

— თანამდგომიც მაგას ქვია, — თქვა ქაიხოსრო აგიაშვილმა. — არ ავუშენებივართ?

მეფემ კოპები შეიკრა, მარჯვენა თვალის ქუთუთო ავად აუთამაშდა.

— ხომ იცი, ისხაკა, ჩვენ ყველაფერს ძირისძირობამდე გამოვიკვლევთ და თუ ეგ შენი ნათქვამი ტყუილი გამომდგარა, — ტახტისათვის გაწეულ ძველ სამსახურს ზედაც არ შევხედავთ, ჩვენი რისხვა არ აგცდება!

— მაგას რაზე ინებებ, დიდო მეფეო, მამიშენის შვილს, ღმერთმა გაანათლოს იმისი სული, ეგ ეკადრება? რჯულის მადლმა, სიკეთის წილ ბოროტი ჯერ არავის მოუმკია და რაღა მე უყისმათომ უნდა მოვიმკა!

— ქართლ-კახელთ აქ, სამცხეში, კი არა, აქ უფრო ჭირდებიათ მიხმარება, — თქვა აქამდე მდუმარედ გულხელდაკრეფილმა სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა. — მე რომ მკითხოს კაცმა, ჯარს ქართლში გავგზავნიდი და იარაღს, თქვენს პატიოსნებასთან ბოდიში და, მაგ ცოფიანს, გორისა და ტფილისის გზას მოვუჭრიდი!

— ნუ მიწყენ და, ფაშასაც ეგ უნდა, ბატონო პაპუნა, — შეესიტყვა წერეთელს აგიაშვილი. — აქედან ჯარების გაყვანით და ჩვენი ბანაკის დასუსტებით უფრო არ გალონიერდებიან ეგეც და დადიანიც? მაშინ მეტად გაუჭირდება მეფე ერეკლეს, თუ ღვთის განგებით დღეს კიდევ ცოცხალია.

— თავადი ბერი რას გვიბრძანებს? — მეფემ ტკივილისაგან შეწუხებულ და მაინც საომარ მწყობრში მყოფ ქვემომხრის სარდალს მიმართა. პირადად მას თავისი საბოლოო გადაწყვეტილება უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა, მაგრამ არ ჩქარობდა და დიდებულებს მოთმინებით უსმენდა.

— ჩვენგნით, ბატონო მეფე, ქართლ-კახეთის უფრო დიდი დახმარება ამ სისხლის წვიმაში ის იქნება, თუ აქ, — ლორთქიფანიძემ მტკივანი ფეხის ჰვინტი მიწას შეახო. — მაგრად დავდგებით, დადიანსა და აგარიანებს ვაკე იმერეთიდანაც ბარგს ავუკრავთ და რაჭიდანაც. თუ ეს შევძელით, ისე კი უნდა შევძლოთ უსიკვდილოდ, მაშინ ხუთიათასს კი არა, წელან ბატონიშვილი არჩილი რომ ბრძანებდა, შვიდ-რვა

ათას კაცსაც მოვუყრიდით თავს და ქართლ-კახელთ მივახმარდით!

სოლომონს ბერი ლორთქიფანიძის ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი თათბირი თანდათან ჭკუაში უჯდებოდა და უკვე კმაყოფილი იყო, რომ მრავალი ომის გადამტანი, ცეცხლსა და კვამლში უთვალავჯერ გამოვლილი, გაბედული და ჭკვიანი სარდალი საკამათოდ გამოიწვია.

— ვინ მოგვახსენებს იმისაგან განსხვავებულ აზრს, რაც ბატონმა მოურავმა მოგვახსენა? — იკითხა მეფემ და ქორული მზერა დაბლა დახრილ ჭაღარა თავებს მოავლო.

სიჩუმე ჩამოვარდა, ბერი ლორთქიფანიძის შემდეგ ხმა აღარავის ამოუღია, თვით სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელსაც კი, რომელმაც სრულიად სხვა მოსაზრება გამოთქვა და ახლა კიდევაც ნანობდა, რა მრჯიდა, რატომ პირში წყალი არ ჩავიგუბეო.

— მაშ, დარბაისელნო, ნება მიბოძეთ, მეც წარმოგიდგინოთ ჩემი შეხედულება და გზადაგზა, თქვენის ნებართვით, სათანადო განკარგულებებიც გავცე, — დაიწყო სოლომონმა. — სასწრაფოდ უნდა გავგზავნოთ ელჩები და გრაფ ტოტლებენის უსაქციელობის ამბავი გუბერნატორ ნერონოვს ვაცნობოთ აშტრახანში, რათა მან ჩვენი უმდაბლესი თხოვნის შესაბამისად იგი კანცლერ პოტიომკინის, გრაფ პანინის და თვით ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს ყურამდე მიიტანოს!

— სწორს ბრძანებ, მეფეო, — ერთხმად დაეთანხმნენ ქვეშევრდომები. — ნეტა ეგ აქამდე მოგვეფიქრა!

სოლომონმა განაგრძო:

— ეთხოვოს და ჩვენი დარბაზის ერის ბრძანება გადაეცეს მის უწმიდესობა კათალიკოს მაქსიმეს, შეარჩიოს, ვინც უფრო გამოადგება, თუნდ იგივე დავით კვინიხიძე და, დრო რომ უქმად არ დაიკარგოს, პირველი შესაძლებლობისთანავე გაუდგეს რუსეთის გზას!

— ვაშა!.. უკეთესს კაციშვილი ვერაფერს მოისაზრებს! — სარდლები და კარისკაცები კვერს უკრავდნენ სოლომონს და მის გასაგონად ამ სიტყვებით ერთმანეთს მიმართავდნენ.

მეფემ ღალაკო გოცირიძე მოიკითხა.

— ღალაკო რაჭაში უნდა გაიგზავნოს იქაური ერის გამოსაფხიზლებლად, შესაიარაღებლად და ფეხზე დასაყენებლად. სანამ ჩვენ აქ ჯარს დავძრავდეთ და წონასწორობის აღსადგენად რაჭაში შევიდოდეთ, გოცირიძემ ჩვენი სახელით რაჭველები, როგორც ზემო ისე ქვემო, ხატზე უნდა დააფიცოს, ქუდზე კაცი გამოიყვანოს, ცალკეულ რაზმებად დაჰყოს და ოდიშარებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს. დადიანს, როგორც იტყობინებიან და ისედაც ცხადია, იქ არც ისე დიდი ლაშქარი უნდა ჰყავდეს. თუ საქმეს გონივრულად გავუძღვებით და შინაგან ერთიანობას შევინარჩუნებთ, ვინ არის ჩვენი მომრევი, თვით რაჭისავე ძალით შეიძლება რაჭის ფარგლებიდან დადიანის განდევნა. ამას გარდა, სამი ათას ქვეითს და ცხენოსანს აქედან ვაგზავნით და სათავეში ჩვენს ძმას, ბატონიშვილ არჩილს, და ბოქაულთუხუცეს ბერი წულუკიძეს ვუყენებთ. ბატონებო, არჩილ და ბერი, ღმერთი იყოს თქვენი შემწე! გვინდა იცოდეთ, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთსაც და მეორესაც მეტად ძნელი და საპატიო მოვალეობა გეკისრებათ. გაიღეთ ხმა, კაცო, იქნება არა ხართ თანახმა და თავში სულ სხვა ფიქრი გიტრიალებთ?

— რას ბრძანებ, მეფეო, — მგლოვიარობის გამო წვერმოშვებულმა და თითქმის მთელი ათი-თხუთმეტი წლით დაბერებულმა ბერი წულუკიძემ თანშეზრდილ ბატონს თვალი თვალში გაუყარა და ორივე ხელი ხმლის მოვერცხლილ ვადაზე დაიდო. — სანამ პირში სული გვიდგას, შენი სიტყვის და ბრძანების შემსრულებელი ვიქნებით!

— ჩემი სათქმელი ბერიმ მოგახსენა, სოლომონ, — მიმართა გვირგვინოსან ძმას ბატონიშვილმა არჩილმა და ჩვეულებისამებრ გულღიად გაიღიმა. — შენ

ოლონდ მიგვითითე, ღმერთია მოწამე, თავი არც ერთს არ გვეზოგება!

— მაშ, თუ აგრეა, სხვა პასუხს არც მოველოდი, დროა, სამზადისს შევუდგეთ. რას იტყვი, ქაიხოსრო? მთელი არგვეთის მხედრობა ამიერიდან თქვენ გმორჩილებთ. შეივსეთ ნუზლი და იარაღ-საჭურველი. ხალხს ჩემი სახელით გული გაუკეთეთ. გლეხებს, ვინც ომში თავს გამოიჩენს, გააზატებას, აზნაურიშვილებს — თავადობას და სახელოებს ვპირდები. მუხლმაგარი ბიჭები, იცოცხლე, ყველგან საჭიროა, მაგრამ თქვენ ორს ნება გეძლევათ უკეთესები წაიყვანოთ!

— შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს, — თქვა ბერი წულუკიძემ. — ღალატო გოცირიძე გეახლა, მეფეო, — და ოდნავ გვერდზე გაიწია, მუდამ მოხდენილად ჩაცმულ-დახურულ რაჭველ ტახტის აზნაურს გზა მისცა.

— მობრძანდი, ღალაკო, სადა ხარ ამდენ ხანს, კაცო, აგრე უნდა გვაძებნინო თავი? — მიაგება სოლომონმა.

— მტრის ბანაკის დასაზვერად გახლდი, ბატონო, ნახევარი საათის მობრუნებული არც ვიქნები. მომაძახეს, მეფე გხმობილობსო და მაშინათვე აქეთ გამოვიქეცი.

— რას გვეტყვი ახალს და სასიამოვნოს? მართალია, ყულევში ურჯულოს გემების შემოსვლა?

— გემების შემოსვლა მართალი გახლავს, მეფეო, მაგრამ მაშველი ჯარის გადმოსხმა კი ხალხის შესაშინებლად დაყრილი ჭორი უნდა იყოს. ეტყობა, ფაშას ჩვენზე უფრო თავად უჭირს, აქეთ ჯარების გამოსაგზავნად აღარა სცალია.

— აბა, ეს გემები ვისია, შენი აზრით, ჩვენს ნაპირს რა საჭიროების გულისათვის მოსდგომიან?

— სავაჭრო გემებია, მეფეო, ტყვეების გასაყვანად და ნადავლის გასაზიდად მოვიდნენ!..

— გზა უნდა გადავკეტოთ ეკალ-მუხურთან. მიხმეთ ზურაბ მიქელაძე!

— ამ დილას ეკალ-მუხურში გეახლა, მეფეო, — უპასუხა აგიაშვილმა. — ხუთასი კაცი გავაყოლეთ ყულევისა და ფოთის გზის ჩასაკეტად.

— მიაშველეთ კიდევ ხუთასი კაცი, თავადო, დადიანი და აგარიანები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ როგორმე რკალი გაარღვიონ და ტყვეები ზღვის სანაპიროზე გაიყვანონ. მაგ ხუთასი კაცის გაგზავნა გურიელს ევალება. შენ როგორ ატყობ, ღალაკო ბატონო, გაქვს თავის იმედი?

რაკი-ღა ისევ გაიხსენეს და მეფეს მისი აქ ყოფნა არ დაავიწყდა, გოცირიძეს სახე გაებადრა.

— თუ ღვთის და შენი დიდებულების წყალობა არ მომაკლდა...

— ეგ შენზე კიდია, ჩემო ღალაკო. აშლი რაჭას, დააფიცებ ჩვენს ერთგულებაზე, გამოგყვება ხალხი?

— რაჭა, ისე რავარც ყველა სხვა კუთხე, შენი დიდებულების ერთგულია, მეფეო, რა ახალი დაფიცება უნდა!

— ვითომ? ჩვენც აგრე გვწამს, ღალაკო, შენ კი საქმეში ბევრჯერ გამოცდილ მისანდო კაცად მიგვაჩნიხარ და არჩევანიც სწორედ შენზე შევაჩერეთ.

— მესმის, დიდებულო მეფეო, რა ვთქვა მადლობის მეტი, — და მან თავი მდაბლად დახარა, მერე ცალ მუხლზე დაიჩოქა, ხელი გულზე მიიდო. — მაღლა ღმერთი და ძირს ეს პატიოსანი კრებული იყოს მოწამე, რომ ტახტსა და სარწმუნოებას არც ცოცხალი ვუღალატებ და არც მკვდარი!

— ადექი, ჩემო ღალაკო, — მეფე დაიხარა, გოცირიძეს მხარში ხელი ჩასჭიდა და ზეზე წამოაყენა. — გიწინამძღვროს მამაზეციერმა და ჩვენმა ერთგულებამ. თავი ნუ მოგიკვდება, ფრთხილად იყავი. მტერი შენც და მეც, ხომ იცი, ჯერ კიდევ ბევრი გვყავს. ჩვენს შორისაც ურცხვად დაძვრებიან და ორპირობენ. ღმერთმა დაგიცვას და, ჩემს ცოლისძმა კაცია დადიანს ვინ უნდა მიუყვანონ შენზე უკეთესი!

ღალაკო მიხვდა, მტრის ბანაკის და-

საზვერად წასვლის გამო მსაყვედურობსო, ნუთუ არ შეიძლებოდა, შენს მაგივრად ვინმე სხვა წასულიყოო, შინდისფერი ჩაბალახი, ბატონის წინაშე წარსდგომისას რომ მოიხადა, ისე თავზე მოირგო და დიდებულების გამამხნევებელ სიცილ-ქირქილში უპასუხა:

— არც აგრე გახლავს საქმე, მეფეო, სიფრთხილე არც ჩვენ გვაკლია, ხელში ვაგლახად არავის ჩავუვარდებით!

— ისხაკას მიჰმიეთ, პატივუცემელი არ დამიტოვოთ, თავანკარა ოჯალეშიც დაალევინეთ, პირისგემოს კაცია, — ამ სიტყვებით მეფე წერეთელს მიუტრიალდა და მოშორებით მდგომ ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს მხოლოდ ამ ორისათვის გასაგები ნიშნით უბრძანა ცხენი მოერთმია. — ცოტაც დაისვენე და ჩემი ქეშიკები ბანაკს გაგაცილებენ, ისხაკაბატონო. ქუთაისში დაბრუნებას არ გირჩევ. ნეტა იქ სულაც არ გამოჩენილიყავი. არეული დროა. ვაითუ ვინმე იუდამ დაგაბეზღოს და კიკიანმა იანიჩრები დაგასიოს შესაპყრობად!

ვაჭარი მცირე ხანს ყოყმანობდა, ეთქვა თუ არა, რაც გულში ედო და აქამდე გამხელა ვერ გაებედა, ბოლოს გამოტყდა, თუმცა ნამეტანი როყიოდ კი გამოუვიდა:

— მე მაგაზე უფრო სხვა რამის ჯავრი მაწუხებს, შენ დაგენაცვლე, მეფეო. ჩემი გროშების გადახდა ძალიან არ გვაგვიანდება? აგერ წელიწადნახევარი გადის, შენგან სარგებელი აღარ ვიცი, რა არის, თავნზე ხომ აღარაფერს ვამბობ!

სოლომონს პირკატა ეცა, ყვრიმალები წამოუხურდა, არ ეგონა, თუ ვაჭარი ასე გაუთამამდებოდა.

— ცოტაც მაცალე, ისხაკა, ცეცხლზე ნუ დამდებ, შენი რჯულის მადლმა, და უპირული კაცი დამიძახე, თუ ამ შემოდგომაზე შენი ვალი, თავნიცა და სარგებელიც, ერთად არ გადაგიხადო!

— მე თუ მივაწიე იქამდი, მეფეო, — ვაჭარი უკვე მიმხვდარი იყო, მეტისმეტი მომივიდაო და საწყალობლად დაიღრიჯა .— კი ნუ გამიწყრები, იმ შენი დიდებული მამის სულის ცხონებამ, ნურც იმას იტყვი, ისხაკა თეთრუაშვილი ხარბი და ფულის მოყვარული კაცი ყოფილაო. რა ვქნა, ვადაი, ჩემი ხელობა ეს არი, თავ ამით ვინახამ. ორიოდე ყურუში მქონდა მოქუჩებული. მინდოდა, შენის სიკეთით, სანამდი სხვისი სათრევი არ გავმხდარვარ, ჩემი საწყალი, სიდუხჭირეში დახოცილი დედ-მამის სულის საოხად ბანძაში სალოცავი ამეშენებინა...

სოლომონმა გაამხნევა:

— ნუ გეშინია, ჯერ მარჯვედ ხარ, ისხაკა, გული რამ გაგიტეხა, სალოცავსაც ააშენებ და კიდევ მეტსაც. თუ გაწყრა ღმერთი და მართლა რაღაცა გაგიჭირდა, სიკვდილი ყველას თავზეა, შენს ფულს არ დაგიკარგავთ, ბანძაში შენს სახელობაზე სალოცავს ავაშენებთ!

— უიმე, რას ბრძანებ, დაგენაცვლე, როდის იყო, შე დალოცვილო, ქრისტიანი მეფე ისრაელი შვილებს სალოცავ უშენებდა. ჩვენ, დედამიწის ზურგზე გაფანტული საწყალი ხალხი, იმაზედაც მადლიერი ვართ, აშენებულ რომ არ გვინგრევ და ღორის ხორც ძალით არ გვაჭმევ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩვენი ლოცვაც სადღაცა წაგადგება!..

ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ უზანგი დაუჭირა, მეფე ცხენს უნაგირზე მოევლო და მხლებლების ამხედრებისათვის აღარც კი დაუცდია, იქით გააჭენა, სადაც ამ დილას ოზურგეთიდან მოსული გურიელის მხედრობა ელოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი ოცდამეჩვიდმეტე

ოც აპრილს, ასპინძასთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თავისი ერთი მუჭა ლაშქრით და უმაგალითო თავგანწირვით მეფე ერეკლემ სძლია ორწილ მრავალრიცხოვან მტერს; ჯერ სოფელ იდუმალასთან, ხოლო შემდეგ ხერთვისისა და ასპინძის ვიწროებში ოსმალთა და ლეკთა შეერთებული ძალები აკაფა და იმავე თვის ოცდაცხრას, ახალქალაქისა და წალკის გზით, სასწრაფოდ სატახტო ქალაქ ტფილისში დაბრუნდა.

ერეკლეს ჯერ კიდევ იდუმალაში მისვლამდე ამცნეს, რა ამბავიც ქართლში დატრიალებულიყო და სურამში მოსასვლელად გამზადებულ სოლომონსაც რა გასაჭირი შეხვედროდა. სამეფოსაგან მოშორებით შემდგომი ყოფნა სამშობლოს ბედს ყოფნა-არყოფნის სასწორზე აგდებდა...

ქართლ-კახეთის მეფის დაუჯერებელი, თითქმის სასწაულებრივი გამარჯვება ასპინძის ომში, მას შემდეგ, რაც რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა, მიუხედავად დაბალი ჩინების, თავად მოურავოვის, კაპიტან ლვოვის და ზოგიერთი სხვა ოფიცრის აშკარა წინააღმდეგობისა, ის აწყურის ციხესთან აგარიანთან პირისპირ მიატოვა, ტფილისში გაცილებით ადრე შეიტყეს, ვიდრე გამარჯვებული მეფე სატახტო ქალაქის კოჯრის კარს მოადგებოდა და შურისციხის ქონგურებზე საზეიმო შეძლუხი ცასა და მიწას შეაზანზარებდა.

ტფილისში უკვე „რუსის იარანალს“ ელოდნენ. შეშფოთებული ქალაქის მამები ყოველგვარ თადარიგს სწევდნენ საიმისოდ, რომ მეფის შინ არყოფნით მტერს არ ესარგებლა და თავისი სიკვდილის მთესველი ზარბაზნებით საშიშ მანძილზე არ მოახლოებულიყო.

თოვლის ნადნობი წყლებით ადიდებულმა მტკვარმა ოცდასამ აპრილს გვამები ჩამოატარა. მეტეხთან ვიღაცამ დაიძახა, არიქა, ხალხო, მტკვარს გვამები მოაქვსო და აწიოკებული ქალაქი უმალ მდინარის ნაპირებს მოაწყდა. გვამები დინჯად, თითქოს შეომრულ მწყობრში მოჰყვებოდნენ ამღვრეული წყლის დინებას. ზოგი პირქვე იყო დამხობილი და უსიცოცხლო ხელები ძირს ჩაეკიდა, ზოგი გულაღმა იწვა და ცისათვის ღიად დარჩენილი თვალები მიეპყრო, ზოგსაც მდინარის ზედაპირამდე ვერ ამოეღწია და თითქოს წყალწყალ ვისმე ეპარებაო, მღვრიე წყლის ბურუსში გახვეული ქვემო დინებას მოსდევდა.

გვამები მარტოოდენ თათრებისა და ლეკებისა იყო, ჩოხიანი ქართველი ათასში ერთხელ თუ გამოერეოდა და მაშინ უნდა გენახათ, რა ამბავი და ცოდვისკითხვა ატყდებოდა ხოლმე ნაპირზე. ყველა წინ მიიწევდა, ყველას თავისი ახლობელი ელანდებოდა. მარჯვე მცურავები მორევში ხტებოდნენ, ერთხანს მიცვალებულებს შორის მიცურავდნენ და ყურისწამღებ ყვირილსა და გამამხნევებელ ყიჟინაში უპატრონო თავისიანებს ნაპირისაკენ მოათრევდნენ.

ეკლესიებში ზარები დაარისხეს. ხალხი ლოცვად დადგა და მაღალ ღმერთს მეფე ერეკლეს მართალი საქმის გამარჯვებას ევედრებოდა .

ფიცხელ ომში ნაჩეხ-ნაგვემი გვამები მტკვარს სამ დღესა და ღამეს მოჰქონდა, მეორე დღეს კი, აპრილის ოცდაოთხს, ყვიბისელმა მეტივეებმა ასპინძის ომში ერეკლეს გამარჯვებისა და ახალქალაქ-წალკის გზით ტფილისისაკენ წამოსვლის ცნობა მოიტანეს.

სატახტო ქალაქი შეძლუხითა და დოლ-დაირის გრიალით შეხვდა გმირ მეფესა და მის ძლევამოსილ ლაშქარს. ზეიმობდა და ცაში ქუდებს ისროდა მოქალაქეთა ყველა წოდება, გამონაკლისი იყვნენ მხოლოდ სუნიტი თურქები, რომლებსაც შეითან-ბაზარსა და ბამბის რიგში სავაჭროები ჰქონდათ, ზოგი კიდევ გოგირდის აბანოებში მექისე-

ობდა, და აქამდე მეფე ერეკლეს ხელისშეწყობითა და მფარველობითაც კი სარგებლობდნენ.

— ნუთუ გგონიათ, მართალია? — ამრეზით თქვა გრაფმა ტოტლებენმა, როდესაც ასპინძასთან კაპუდან-ფაშა იბრაჰიმის სასტიკად დამარცხების, ლეკების წინამძღოლ კოხტა ბელადის — ოცდაოთხი წლის მოხდენილი ვაჟკაცის, თვით ერეკლეს მახვილით განგმირვა და ლეკ-ოსმალთა ბევრი სხვა გამოჩენილი პირის, ფაშისა და სანჯაყ-ბეგის ომში გაულეტის ამბავი მოახსენეს. — ეს ერეკლეს ხრიკებია. უნდა, თავი უძლეველ სარდლად მოგვაჩვენოს. პრეზრენნი აზიატ! უთუოდ თავის მეგობარ ოსმალებს შეუთანხმდა და თვალს გვიხვევს, თეთრს შავად გვაჩვენებს და შავს — თეთრად!

ეს კი თქვა, მაგრამ აუცილებელი სიფრთხილე მაინც გამოიჩინა: გორის ციხის ალყის მოხსნა და სურამისაკენ სასწრაფოდ დახევა ბრძანა. მას ისე უნდოდა გამოეყვანა და კიდევაც გამოიყვანა, რომ ქართლის დაპყრობას სულაც არ აპირებდა და არც მეფე ერეკლეს ტახტიდან გადაყენება უფიქრია. გზაში თავად მოურავოვს და გვარდიის კაპიტან ლვოვს დაუტკბა. ახლა ბევრი რამ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რას და როგორ მოახსენებდნენ ისინი სანკტ-პეტერბურგს და თვით ერეკლესთანაც თავს როგორ დაიჭერდნენ. გამარჯვებულს, როგორც საზოგადოდ მიღებულია, არა სჯიან. ტოტლებენის გაბედული ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო და საექსპედიციო კორპუსს ქართლ-კახეთის სამეფო ერეკლეს მობრუნებამდე დაეკავებინა, ძნელი სავარაუდებელი იყო, რომ ხელმწიფე-იმპერატორის კარზე ამას ათვალწუნებით შეხვედროდნენ. მაგრამ ვინაიდან ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩა და ტოტლებენს ხელი მოეცარა, ეს, შესაძლოა, გრაფის მოწინააღმდეგეებს ხელზე დაეხვიათ და ბრალდების ახალი ქსელი დაეხლართათ.

მაისის სამს გორიდან უკანდახეულმა კორპუსმა სურამს მიაღწია. ტოტლებენმა ინტენდანტები მოიხმო და სურსათ-სანოვაგის მარაგის შევსება მოსთხოვა. ამჯერად ძალის გამოყენება სასტიკად აიკრძალა. საჭირო სურსათი ინტენდანტებს ნაღდ ფულზე უნდა შეეძინათ ადგილობრივი მოსახლეობისაგან და ძალისათვის მხოლოდ მაშინ მიემართათ, თუ მოსახლეობა უნდობლობას გამოამჟღავნებდა და პატიოსან აღებმიცემობაზე უარს იტყოდა.

ტფილისიდან არავითარი ცნობა არ მოდიოდა. ჩანდა, ერეკლე შემომწყრალი იყო, თანამდგომის ამბავს აღარ კითხულობდა, თუმცა ხელსაც არაფერში უშლიდა და საშუალებას აძლევდა, აქაურობას ახალი უსიამოვნების ჩამოგდების გარეშე გასცლოდა.

მოურავოვმა და ლვოვმა სარდალს ურჩიეს, პოლიტიკა შეეცვალა, თავისი წარმომადგენლები ტფილისს წარეგზავნა და, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, ერეკლესთან კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენა ეცადა, ისინი თვით სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, მაგრამ, რომ იტყვიან, ტოტლებენი რჩევას შუბებით შეხვდა: შესახვეწი და საბოდიშო მე არა მაქვს რა, ვინაიდან ასეთი არაფერი ჩამიდენიაო, თუ ერეკლეს სურს თავისი უტაქტობის გამო ბოდიში მომიხადოს, მზადა ვარ, იმისი წარმომადგენელი მივიღო და მოვუსმინოო.

გრაფის სიჯიუტეს, რაც არც წინათ აკლდა, ხელი იმანაც შეუწყო, რომ ყიზლარიდან კიდევ ორი ასეული — ას სამოცდათექვსმეტი პლასტუნი და ხუთი ზარბაზანი მოუვიდა. ორივე ეს ასეული კვლავ იმერეთის დასახმარებლად იყო განკუთვნილი, ტოტლებენს კი წერილობით ატყობინებდნენ, რომ ახალი მხედრობისა და არტილერიის მოსვლამდე სამცხის ფარგლებში შეჭრისაგან თავი შეეკავებინა და ეს საქმე მთლიანად „ქართლ-კახეთის პრინც“ ერეკლეს ნება-სურვილზე მიეგდო.

გრაფმა მოურავოვი და ლვოვი მოიხმო და გენერალ-გუბერნატორ ნერო-

ნოვის საიდუმლო ცირკულარი წაიკითხა: ახლა რაღას იტყოდნენ ქაღალდის მატლები? კიდევ უკიჟინებდნენ, რომ ტოტლებენი აწყურთან ულირსად მოიქცა და ხელმწიფე-იმპერატორისაგან მონდობილი ჯარი აუცილებლად ურჯულო ბეგლარბეგის ჭარბი ძალებისათვის უნდა შეეწყვიტა?

— კეთილი ინებეთ, თავადო, და თქვენ და რწმუნებული ლვოვი იმერეთში გადაბრძანდებით, — გამარჯვებული კაცის თავდაჯერებით უთხრა სარდალმა მოურავოვს. — წინასწარ მოელაპარაკეთ პრინც სოლომონს, რომ ურჩობას თავი დაანებოს და ყველა ჩემს ბრძანებას უყოყმანოდ დაემორჩილოს!

— რას აპირებთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ? — ჰკითხა პასუხად მოურავოვმა და გრაფს თვალი ველარ გაუსწორა, რადგან მისი დამლუპველი ყველა ქაღალდი უკვე შედგენილი და ხელმწიფის კარზე გაგზავნილი ჰქონდა. — გთხოვთ, თუ საიდუმლო არ არის, გაგვიზიაროთ!

თავად მოურავოვის ხმის კილოსა და სახის გამომეტყველებაში შეუფარავი დაცინვა გამოსჭვიოდა. ასე მხოლოდ იმას ელაპარაკებიან, ვისიც უკვე აღარაფერი სწამთ, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო მაინც იძულებული არიან, ანგარიში გაუწიონ.

— ჩვენ განზრახული გვაქვს, ამ ზაფხულს, არაუგვიანეს სექტემბრისა, ქუთაისი დავიკავოთ და იმერეთის ყველა ციხიდან ურჯულო ოსმალო გავდევნოთ!

— რამდენადაც მე ვიცი, ამის საწინააღმდეგო სოლომონს არაფერი ექნება, ვინაიდან დღესაც აგარიანებს და მათს დამხმარე დადიანს, საკუთარ ცოლისძმას, ეომება. ასე რომ თქვენს გადაწყვეტილებას იმერეთში სიხარულით შეხვდებიან და ჯარსაც მოგაშველებენ!

— არსებობს სუბორდინაციის წესები, თავადო, მე აქ იმისთვის კი არ გამომგზავნეს, რომ ვიღაც აზიელი პრინცების ჭკუაზე ვიარო. ნუ დაგავიწყდებათ, რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის გენერალს ელაპარაკებით!

მოურავოვი და ლვოვი გრაფმა იმავე დღეს გაისტუმრა და, მისი თქმით, მეორე დღეს თავადაც უნდა დაძრულიყო, მაგრამ მოულოდნელად ფეხი სურამშივე აითრია. იმერეთში გადასვლას უკვე აღარ ჩქარობდა. ჯერ ერთი, იმედი გაელვიძა, მეფე ერეკლეს წყენა გაუვლის, ჩემს ნახვას მოიგუნებებს და მესტუმრეებს მაახლებსო, ფეხის ათრევის მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ქედს გადაღმიდან ყოველ ცისმარე დღე ცხარე ომის ამბები მოსდიოდა. დადიანი, რაკი გაბედა და იმერთა ბატონის წინააღმდეგ ხმალი აღმართა, უკან დახევას აღარ აპირებდა, სამთავროდან სულ ახალი და ახალი ჯარი გამოჰყავდა, მთიელ ტომებსაც იშველიებდა და დაპყრობილი მიწის ყოველ მტკაველს გაწიწმატებული ეპოტინებოდა. სოლომონმა, მიუხედავად განმდგარი ცოლისძმის მედგარი წინააღმდეგობისა, მაინც მოახერხა იგი რიონის მარჯვენა ნაპირზე გადმოეგდო და საჩინო თავისად დაეგულებინა. რაჭა თითქმის უკვე გაწმენდილი იყო, ბატონიშვილი არჩილი და ბერი წულუკიძე უკანდახეულ მტერს კვალდაკვალ მისდევდნენ. სოლომონის მიერ ბარიდან გაგზავნილი რაზმები აქა-იქ ლეჩხუმშიაც შეიჭრნენ და ომის წამომწყებ დადიანს ოდესღაც იმერეთის მეფეების კუთვნილი ამ მთაგორიანი კუთხის წართმევით დაემუქრნენ.

ტოტლებენს სულაც არ ეხალისებოდა „ბუსურმანების ომში“ გარეულიყო და მთავრის ან პრინცის გასამარჯვებლად ზედმეტი ხარჯები და მსხვერპლი გაეღო. ბევრად უკეთესი იქნებოდა და ხელმწიფის კარზეც უფრო მოუწონებდნენ, თუ მზამზარეულად გაშლილ სუფრაზე მივიდოდა, გამარჯვების ნაყოფს მოიმკიდა და ორივე მხარის ჭკუის დასარიგებლად ორიოდე ბრძნულ სიტყვას იტყოდა.

ერეკლეს ლოდინი ამაო გამოდგა. ის

ხან ქიზიყში იყო, ხან ბორჩალოსა და ყაზახში, მარბიელ ლეკებს ხმალჩაუგებლად დასდევდა, მტკვრის ხეობაში ციხეებს ამაგრებდა, ახლებსაც აშენებდა და თავი ისე ეკავა, თითქოს გრაფ ტოტლებენის ქართლის მიწა-წყალზე ყოფნა მთლად დავიწყებული ჰქონოდეს. გენერალი მაინც ჯიუტად იმედოვნებდა, დავჭირდები და გამიხსენებსო. ეგ არ ბრძანდებოდა, მუხლმოყრილი რომ მევედრებოდა, ყელს ნუ გამომჭრი, შენს უძლეველ ჯარს ნუ წაიყვან, რიცხვით უმეტეს მტრის პირისპირ ნუ დამტოვებო? მარტო დატოვება მაშინ უნდა გენახა, თუ ოსმალები ღონეს მოიკრებდნენ და ქართლს აქეთ შემოუტევდნენ! ტოტლებენი ხელს არ გაანძრევდა და თავსაც ადვილად იმართლებდა: მე, როგორც მოგეხსენებათ, იმერეთის პრინცის, სოლომონის, თხოვნის შესაბამისად მოვედი, უავგუსტოესმა ხელმწიფემ მისი შეწევნა დამაკისრა, თქვენ კი, თქვენო ბრწყინვალებავ, წყალი რომ აამღვრიეთ, როგორც გნებავდეთ, თევზიც ისე დაიჭირეთო.

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვაზე. ტოტლებენმა კარგად იცოდა, რომ თვალუწვდენელ რუსეთთან ომში ჩაბმულ ოსმალებს ახლა თავისი გასაჭირი ადგათ. ყირიმი ხელიდან ეცლებოდათ, ყუბანსა და ყირიმს ერთად ჰკარგავდნენ და ერეკლესთან გაჭიანურებული ომის თავი აბა სად-ღა ჰქონდათ! მტაცებელი იმპერიის ყველა ძალა, სახმელეთოც და საზღვაოც, რუსეთის არმიების წინააღმდეგ იყო მიმართული და ყველა საზრუნავს უკანა რიგში გადაენაცვლებინა. სწორედ ამით აიხსნებოდა სოლომონის სამხედრო წარმატებებიც ვაკე იმერეთსა და რაჭაში. ფაშამ დაპირებებით მოღორებულ დადიანს ომი კი დააწყებინა და გულის გასამაგრებლად ჯარიც მოაშველა, მაგრამ შემდეგ ღონე აღარ ეყო, ასპინძასთან საბედისწერო დამარცხებამაც წელი მოსწყვიტა და მოტყუებული ოდიშის ბატონი მარტო დარჩა...

ტოტლებენი გაავდა, კიდევ უფრო უნდილი და მიუკარებელი გახდა. ხელქვეით ოფიცრებს, მიუხედავად მათი წარმოშობისა, წოდებისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისა, ისე ეპყრობოდა, როგორც უბრალო სალდათებს, მათთვის სავსებით შეუფერებელ საქმეებს ავალებდა და კიდევაც აკეთებინებდა. ბოლოს თავის დამადლებაც დაიწყო. თქვენი ადგილი ტუზემცების ბრბოშია, ჩემს კოჰორტებში კი არაო. პომპეუსი და იულიუს კეისარი სიტყვის მასალად გაიხადა. რამდენჯერმე კანცლერ პოტიომკინის ძვირიც წამოსცდა. დაავიწყდა, ამით ყველაზე დიდ უმადურობას რომ სჩადიოდა. გულით საყვარელი გენერლები, ჩემს ჰლინკად რომ არა ღირან, სასახლეს არ გასცილებიან და მკერდი ორდენებით აქვთ დამშვენებული, ვალახიასა და ყირიმში გაგზავნა, სადაც სახელის მოხვეჭაც შეიძლება და ხელმწიფის ჯვარ-მენდლების დამსახურებაც, მე კი ქვეყნის კიდეზე, კაციჭამიებში გადმომაგდო, რომ სადმე ქურდულად ხანჯალი გამიყარონ და მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ მოვხვდე „პეტერბურგსკი ვესტნიკში“, მეოთხე გვერდზე, ხელმწიფისათვის ომში დაღუპულ ან უკვალოდ დაკარგულ მაღალ ჩინებს რომ აცხადებენო.

ოფიცრობას მოთმინების ფიალა აევსო. ერთი გადაწყვეტა კიდევაც გადაწყვიტეს, ბერლინში მომხდარი საჯაყო ამბავი გაემეორებინათ, ძაღლთაპირი გენერალი გაებაწრათ და ღირსებააყრილი ყიზლარის მენაპირე ციხე-სიმაგრეში მიეყვანათ. სავალალო ის იყო, რომ შეთქმულებაში თვით დე გრაი დე ფუა, გრაფის ადიუტანტი და ყველაზე უფრო სანდო პირიც ერია და ტოტლებენს სენატის კომისიასთან კიდევ ერთი წარდგომა არ ასცდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ზანაკის აშლა და ჯარის სალაშქროდ დაწყობა რომ არ ებრძანებინა.

სოლომონს, ეტყობოდა, თვალი და ყური აქეთ ჰქონდა და იმით დაიმედე-

ბული, რომ რუსის საექსპედიციო კორპუსი, სამცხეში წარუმატებელი ლაშქრობისა და ქართლში თავის შერცხვენის შემდეგ, თავისი სამოკავშირეო ვალდებულების შესასრულებლად კვლავ უკან, იმერეთში ბრუნდებოდა, ტოტლებენს შორაპანს ზემოთ, ძველ ნაბანაკართან მოეგება. მეფეს ამჯერად დიდი და ბრწყინვალე ამალა ახლდა. აქვე იყვნენ გრაფის მიერ ნიადაგის მოსასინჯად წინასწარ გამოგზავნილი თავადი მოურავოვი და რწმუნებული ლვოვი. თარჯიმნის მოვალეობას ქართულს გვარიანად დაუფლებული ლვოვი ასრულებდა.

მუდამ ამპარტავან და სიტყვაძუნწ ტოტლებენს არამცთუ სოლომონი და იმერელი დიდებულები, თავისიანებიც კი ველარ სცნობდნენ. იმ მცირე დროის მანძილზე, რაც სურამიდან აქ, ძირულის ხეობაში მოსვლას დასჭირდა, გრაფი საკმაოდ დამთმობი, ყურადღებიანი და, ასე გასინჯეთ, თავდაბალიც კი გამხდარიყო. შეთქმული ოფიცრები ჩუმად პირჯვარს იწერდნენ, ეს დალოცვილი ხომ არავინ გამოგვიცვალაო, სოლომონი და მისი დიდებულები საკუთარ თვალებს ვერ უჯერებდნენ და თავადაც ისე ირჯებოდნენ, რომ „იარანალის“ გუნება-განწყობილების სასიკეთო შეცვლა ჯეროვნად დაეფასებინათ.

ეჭვი არ იყო, შეთქმულებისა, მის წინააღმდეგ რომ მწიფდებოდა, ტოტლებენმა რაღაც იცოდა. სხვა დროს ამას არ შეუშინდებოდა. პირიქით, ეჭვმიტანილებს უყოყმანოდ დააპატიმრებდა, საგანგებოდ გათხრილ ორმოში ჩაჰყრიდა და გამოძიებას შეუდგებოდა, მაგრამ ერთხელ უკვე სიმწარენაჭამი იყო და ამჯერად, ვითომც არაფერიც არ შემიტყვიაო, ყურის მოყრუება ამჯობინა.

გრაფი სოლომონსაც ლმობიერად მოეპყრო. სალონის ლომის გალანტურობა გამოიჩინა და მისი ბრწყინვალება დედოფლის ჯანმრთელობა მოიკითხა, რაზედაც მეფის ერთობ თავშეკავებული პასუხი მიიღო. გენერალი დაეჭვდა, ხომ არაფერი შემეშალოს, და ახალი შეცდომა რომ არ მოსვლოდა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

ქუთაისზე წასვლა და ციტადელის ალყაში მოქცევა, რასაც გრაფი იმთავითვე ვარაუდობდა, სოლომონმა ნაადრევ საქმედ მიიჩნია. მისი აზრით, ჯერ საჭირო იყო, შეერთებული ძალით ბეგლარბეგის კუდი დადიანი გადაედევნათ ცხენისწყალგაღმა, შემდეგ კი თხმელისციხეს შემოსწყობოდნენ, რათა ფაშასათვის ხანისწყლის ხეობა ჩაეკეტათ და, ამგვარად, თავისუფლად მოქმედების საშუალება მიეღოთ.

ტოტლებენი არ აფეთქებულა, არც თავისი პირვანდელი გეგმის მიღება დაუჟინებია, მხოლოდ საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნია, თხმელისციხესთან ერთად გაერთიანებული ჯარი ფოთის ციხესაც შემორტყმოდა და ოსმალებისათვის ზღვიდან მოდგომის საშუალებაც წაერთმია.

ეს დიახაც რომ კარგი იქნებოდა, ადრე თუ გვიან ფოთის ციხე უსიკვდილოდ უნდა აეღოთ და ზღვის სანაპირო ურჯულო თესლისაგან მთლიანად გაეწმინდათ, მაგრამ ამ ამბის დაჩქარება ძალების დაქსაქსვას გამოიწვევდა და ვაითუ წარმატების მიღწევა მეტისმეტად შეფერხებულიყო.

ტოტლებენი განცვიფრდა, თუმცა ეს თავისი განცვიფრება ხმამაღლა არ გამოუმჟღავნებია. იმერეთის მეფე და მისი სარდლები ისე მსჯელობდნენ, თითქოს ჯარების გაძღოლის ხელოვნება კურფიურსტის აკადემიაში მიეღოთ და აკადემიის ოთხკედელშუა ნასწავლი შემდეგ დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების დროს განემტკიცებინოთ. ყველაფერზე უფრო ყურადსაღები ის ჩანდა, რომ სოლომონი და მისი ქვეშევრდომი სარდლები არ კმაყოფილდებოდნენ მოწინააღმდეგის განლაგების, რიცხვისა და დამრტყმელი საცეცხლე ძალის განსჯა-განხილვით, ისინი მტრის საერთო მდგომარეობასაც ითვალისწინებდნენ და თავიანთ შეხედუ-

ლებებს ამ მეტად საფუძვლიან ცოდნაზე აფუძნებდნენ.

ერთიხანობა გრაფს ეჭვიც კი შეეპარა, ეს მოურავოვი, რატიევი და ლვოვი ხომ არ მაბრიყვებენ და იმის მაგიერ, რომ სოლომონის ნათქვამი მითარგმნონ, რაღაც სხვას ხომ არ თხზავენ და თავიანთ ნაცოდვილარ აზრებს იმერეთის პრინცს ხომ არ მიაწერენო, მაგრამ ეჭვი უმალვე გაეფანტა, როგორც კი სოლომონმა ყირიმსა და დუნაის ნაპირებზე მოქმედ რუსეთის არმიების სულ უკანასკნელი წარმატებების შესაშური ცოდნა გამოამჟღავნა და რამდენიმე რუსი გენერლის გვარი სრულიად უშეცდომოდ მოიხსენია.

ტოტლებენი თავს განიარაღებულად გრძნობდა, თუმცა ნაცნობი გვარების ამ ველურ ადგილას გაგონებამ შესამჩნევად გაალიზიანა. მას სოლომონისადმი რაღაც ნდობისმაგვარი გაუჩნდა, ყინულმა ლხობა იწყო და დაძაბული ურთიერთობა, მეფესა და საექსპედიციო კორპუსის სარდალს შორის შეხვედრის პირველი დღიდანვე რომ დამყარდა, თანდათან გამარტივდა.

გადაწყდა: ფოთის ალყა სამერმისოდ გადაედოთ, რადგან იქიდან ჯარების შემოყვანა ამჟამად ოსმალეთის სარდლობას არ შეეძლო ყირიმში გამწვავებული მდგომარეობის გამო, გადაედოთ ქუთაისის ალყა და იერიშიც, სანამ საფიშოდან აქეთ მომავალი უმოკლესი გზა — ხანისწყლის ხეობა არ ჩაიკეტებოდა და ამ უკანასკნელი ღონისძიების სისრულეში მოსაყვანად დაუყოვნებლივ ხეობის ყელში აღმართულ თხმელისციხეს შემოსდგომოდნენ.

— მაგრამ სხვა ციხეები, სადაც ჯერ კიდევ ოსმალეთის გარნიზონები დგანან? — კაპიტან ლვოვს ჰკითხა გენერალმა ტოტლებენმა. ლვოვმა, თუმცა შეეძლო, პასუხი თავადვე გაეცა, ტოტლებენზე მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად შეკითხვა სოლომონს უთარგმნა და მის პასუხს მოთმინებით დაელოდა.

გამოირკვა, რომ იმერელი სარდლები და თვით მეფე რომელიმე ცალკეული ციხის წინააღმდეგ გალაშქრებას, გარდა თხმელისციხისა, საჭიროდ არა თვლიდნენ. ყველა ამ ციხის ბედი ქუთაისის ციტადელის ბედზე ეკიდა. დაეცემოდა ქუთაისის ციტადელი — თავისთავად დაეცემოდნენ სხვა ციხეებიც. მათ ხომ მტრულ გარემოცვაში დიდხანს არსებობა არ შეეძლოთ!

ტოტლებენს ის-ღა დარჩა, სოლომონის ჯარის რაოდენობა გაეგო და როდესაც ერთობ მცირე რიცხვი დაუსახელეს, ტუჩების კუთხეებში დორბლი მოადგა, კინაღამ თავისებურად დაიგრგვინა, მაგრამ ერეკლე და ასპინძის ომი გაახსენდა და უსახლკარო პრინცის გათათხვის ნაცვლად ჯარის დაძვრა და ბაღდათისაკენ, თხმელისციხის ასაღებად წასვლა ინება.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

## გამოღვიძება 6 ივლისს

მეზობლად ახალგაზრდა ვაჟის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გამომეღვიძა და ნაცვლად იმის
მადლობა მეთქვა ნაჩუქარ დღისთვის,
გავანდე ფიქრი სიცხიან ივლისს,
დავღონდი მეტად დაღუპულ ძმისთვის!

უცნობი ძმისთვის! ნეტავი რატომ?
როდის ვყოფილვარ ქვეყნის ქომაგი?
რაც არ მეხება, მასზე რათ ვდარდობ?
რათ მინდა ვზიდო დარდი ორმაგი?

მე ხომ მოთმენით ვძლიე მანძილი,
რომ დევს აკვნის და სამარეს შორის!
არ იყო ამ გზის გავლა ადვილი
და არც გზა იყო ლარივით სწორი!

ჩემი მეზობლის დაღუპვამ ამ დღეს
ულმერთო სევდით სული დაჩრდილა!...
როგორ გავუძელ ამოდენ ავდრებს,
ან ბედმა რისთვის გადამარჩინა?!

ვიცი, რწმენისთვის სწვავდნენ და
ჰკლავდნენ —
ეს დრომ დამარხა დიდიხანია! —
ქრისტეს ხომ ჯვარი გოლგოთას მთამდე
სუსტი მკლავებით აუტანია!!

ის სიყვარული, რითაც ღმერთს ჰგავდა,
რაც მზისებრ ჯვარცმულს სულს
უნათებდა,
იგივე ძალით დღეს ისევ მწვავდა,
დაუძლეველად ჩემ გულს ავსებდა!!

იმ ჯვარის ზიდვა გოლგოთას მთამდე,
როგორც წყალობა, წილ არ მრგებია!!
ეს მხოლოდ რჩეულ და დიდბუნოვან
სამშობლოს შვილებს დავალებიათ!

არ ვიცით რატომ, ივლისის ამ დღეს
ულმერთო სევდამ
ასე დამჩრდილა!
როგორ გავუძელ ამოდენ ავდრებს,
ან ბედმა რისთვის გადამარჩინა?

განა იმისთვის — ივლისის ექვსი
დამთენებოდა ასეთი სევდით?!
არ ავცდენოდი დღის მიეთ-მოეთს,
რომ მე,
ჯერ კიდევ დაუღლელ პოეტს,
დღეს მწუხარებით მეწერა ლექსი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

## ვერ მოიველი...

ვერ მოივლი იმხელაა, იმგვარია, იმფერია,
ვაკე-საბურთალოს გზაზე სასაფლაოს იმპერია.

კლდე ნალეწი, მორღვეული...—იქვე—ხევი, აქეთ—ხევი,
შუა გზაა სამანქანო და არსაით ასაქცევი.

აუყვები, აღმართ-აღმართ გასრესილი გადის მიჯნა,
თითქო სისხლში მიდგას ფეხი, არც მინდოდა დამებიჯნა.

დავიწყება სატკივარის წამალია, ვცადე ეგეც,
არ გამოდგა, აგორებულ ცრემლებს ვერსად ვერ გავექეც.

არას მარგებს წყაროს წყალი, ღვინით სავსე არ მსურს
სურა,
იცის, თვითონ მიმიხვდება, ვისი სულიც მომეწყურა...

ვისი სახეც მიდგას თვალწინ, ვისიც არ მშორდება რიდი,
ვისაც დღეებს, აწ დარჩენილს, მე სიკვდილში
გავუცვლიდი...

გავებმები, აყალოში ჩაკიდული მიცდის ბადე,
როდის იყო, მოსვლა გთხოვე ანდა რამე დავიქადე.

რჩები მარტო და ლუსკუმის თავზე გეხურება ხუფი,
ასე უწერია გამჩენს — ილუპება დასაღუპი.

ვინც ქვესკნელის ორმოს მიგცა, ტანიც მანვე
შეგისუდროს,
ბზა და სურო შემოგირგას, შეგაფაროს კედელს
მყუდროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჩბით ამობრუნებული, აზელილი ლაფში ქვიშა...
რაღამ შეკრას, რაც ერთხელ და სამუდამოდ გაითიშა.

ვინ ისმინოს ლოცვა ჩემი, ხმა ვედრების გულსაკლავის,
როგორ მოვაქციო ცეცხლად ფერფლი გაყინული ლავის.

ძილში გამპარვია წლები და უძირო იცდის ძარა,
თუ ყოფილა ნეტა კაცი, ყოფნა რომ არ წაემწარა!

## ორი საათი უფიცის გალერეაში

არ გადასვლია ფერი საღებავს...
სად იყავ დღემდე და სად მოხვედი;
ახედე კედლებს, ზედ ისახება
ყველა სამოთხე და ჯოჯოხეთი.

უმზერ სამყაროს, გაყოფილს ორად —
ცად, მიწად... უჭირს მეტის მოთმენა;
აყვავებული ტერფიდან ფლორა
ცვარში იშლება და იფოთლება.

ზღვა ჩაზნექილი (ვენერას ჭიპი)...
შედგები, რაგინდ იყო აჯამი...
შემოგანათებს ფილიპო ლიპი
და ანჯელიკო ჭიანაჭამი.

გადარჩენილა, უძილო მატლო,
(ბნელში რომ ხრავდი) ფრთა
ანგელოსის,
შენ — უდღეური და უსინათლო —
ვერ მოერიე უფლის შელოცვილს.

სამარის ბინდი ვინ აგაფარა,
თვალებო, სიმწრით დასახუჭელო;
ცხენის და კაცის ტყე ნაკაფარი —
სან რომანოსთან მოთქვამს უჩელო.

გადალეწილი ფარი და შუბი,
სად წევს რაინდი მათი საფერი.
ჰაერში ფლოქვი ანთია ტყუპი,
დაყურებ კავშას, მუცელგაბერილს.

დიპტიქს, უცნაურს, თვალებით სწონი,
ჭამს კინოვარი ოქროს მინარევს;
გაანაწილა მხატვარმა ფონი,
ქალს კოშკი ერგო, ჰერცოგს —
მდინარე.

აერთებს ცოლთან ხაზი ზიარი,
ჩაჭრია შუბლი და ჩასტეხია,
მაინც მეფური ადევს იერი
ვიწრო ნაოჭებს და ცხვირს კეხიანს...

გადნა რამდენი ჩარჩო და მინა,
რამდენის ბედი მეკრობა, დამდევს...
ნურც ფიქრობ — მყუდრო გეღირსოს
ბინა
ამდენი შხამის და ცოფის დამტევს.

## ძველი ფლორენცია

შორი გზა მოვიარე,
მოველ ღამენათევი,
იწვიან, ანათებენ
წითელი გუმბათები.

მარიამის ყვავილო
და პალატო ვეკიო,
მუხლიც მოსაყრელია,
თავიც მოსადრეკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხარ, სად ჩაექანა
მზე, ცხოვრება ახალი,
სული ბეატრიჩესი
რომელ ცას შეახალე.

მახსოვს დღე პირველი, —
ხან ღრუბელი, ხან დარი...
კარგად შემინახავდე,
ჩემი დონაც მანდ არი.

დედის მკლავზე იესო
იწვა ფერმინახადი;
სისხლით ჩამოღარული
აცრემლებდა ნახატი...

ქუჩა სან ანტონიოს,
დახლები სავაჭროთა...
ეკიდა ხარ-ირემი,
ტყვია ბეჭში გაჩროდა.

ხოხობი ჩათვლემილი
ფრთაში ოქროს ირევდა,
ბრჭყვიალებდა, ბზინავდა
რიგი ნანადირევთა...

საითაც გაიხედავ,
ღვთის მადლი და ნიჭია,
უზანგში ფეხწაყრილი
რომელი მედიჩია...

კისერი ბრინჯაოსი
მოდის განზე, ირიბად,
აქამდე საყვარელის
სარკმლისკენ იმზირება.

აღარც რა დარჩენია,
წაგო წასაგები,
განზე აყრის სპილენძის
შხამიანი ლაქები.

## შადრევანი სენიორიის მოედანზე

**ფანტაზია**

მე დავახურე შადრევანს კეპი,
იდგა მაღალი, ალვისრტოება,
აუზის შიშველ ტანს გამოება
ფავნის ჩლიქები და თეთრი რქები.

მობერებული ხავსის გრილოში
გაცურდა სხივი, შუადღე გახდა,
ბროლის შხეფებზე იწყებდა თახთახს
ცივი კუნთები მარმარილოსი.

ჩასდევდა კოჭებს თეთრი ბალანი.
დაიძრა ცისკენ მტვერი და ორთქლი,
ვიფიქრე — მალე წამოვლენ
ფორთხვით
დაფეხვილები და ცალთვალანი.

თავისით დაცდა დაცვეთილ ბაგეთ:
ვინც სნეულებამ დააჯაბანა,
დამჭკნარი ლეშის უნდა გაბანა
და ახლად შობა, აჩქარდით, აქეთ...

იცრემლებოდა სავსე ფიალა,
ყელზე ეხვია თეთრი ალვირი,
ჩარბოდა წყალი ბეჭზე დაღვრილი
ქვესკნელის ღარში რომ ეჩხრიალა.

## ეჭვი

ვსვამ სადღეგრძელოს ბატონი ეჭვის —
ჩემი ყველაზე ხშირი სტუმარის...
მესმოდა, მესმის ხმა ტვინის ხლეჩვის,
ხმა სინიდისის დაუდუმარის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ იცის ძილი, მუდამ ზეზეა,
არ ახსოვს გემო ტახტის, ჰილობის...
წამით. არ მტოვებს, ის მიზეზია —
ჩემი სიგიჟის და აშლილობის.

ვერ ნახავ დაღლილს, ღვინით
                    გალეშილს,
არ გისმენს, გინდაც მონად ექმენი,
ღიმილი უკრთის თაფლის თვალებში
და შინდისფერი ბზინავს ჩექმები.

მაფრთხილებს იგი: „დაწერილს,
                    ნათქვამს,
ადრე თუ გვიან, ელის გაცვეთა,
დიდსა და მცირეს მორევი დანთქავს..."
შხამად იქცევა, რაც ჩაგიწვეთა.

აკრავს ნათურას ქსოვილი მრეში,
ვუცდი განაჩენს, რაა საშური.
ლანდებს, ჩაკეტილს ძველისძველ
                    წრეში,
დაფარავს მტვერი და აბაჟური.

## წარსული

...და გრძნობდა მკერდი ყინულს
                    გალხობილს...
დიდხანს მეძინა შლამიან მთებზე...
მომაგორებდა შავი ტალღები,
მოვყევი კეთილ წინაპრებს — თევზებს.

მერე დამტოვეს. დიდხანს მეძინა
დაქანცულს,
წარღვნის ლექსში ჩაკეცილს,
ძილის ბორკილი დამალეწინა
შენმა ძახილმა და ხმა გაგეცი.

იმ დღიდან მწამდა — ციდან მიწამდი—
არვინ გყოლია ერთგული ჩემზე.
შენი ღრუბლების შრიალს ვიცავდი,
შენი ჰალების ვიყავი მწყემსი.
მცოდნია მუდამ — ვის გვერდით
                    ვმჯდარვარ,
ტანზე ვიხვევდი დღეებს ქინიანს.
მარტო სული და სხეული არ ვარ,
ალბათ ამიტომ არ მეშინია.

ვიდექი შენი სიმართლის კართან,
დამუნჯებული შენი სიცოდვით,
ვიყავი შენი და სიტყვის გარდა
არაფრის გემო მე არ ვიცოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმოზას ყვავილობა

### პოემის ფრაგმენტი

ყველა მე მემტერება —
მატანტალა ტიტველი,
ტოტები დამტვრეული,
მიმოზას გამყიდველი,
ხეიბარი უფეხო,
მეეზოვე ჩლახუნა,
ვისი სახეც ქარებმა
და მზემ გამოახუნა...
მარჩიელი, მორჩილი —
ყველა მე მემტერება,
ბოშა-ჩვილის ნალეჭი,
გლახა — ჩალისწვერება.
წაგილიათ სისხლი ჩემი
წვეთ-წვეთობით, ლიტრობით,
აგივსიათ ჯამი, თასი...
ძლებით — სვამთ და ითრობით.
ღმერთმა იცის, ერთი ხარ
ჩემი გულის ჩამხევი,
მკერდზე, გამტყდარ ბეჭებზე
მატყვია ნადამლევი,
ძილში ჩატანებულო,
სამარეშიც ჩამყევი.
არასდროს მინატრია,
ბედმა გამილიმოსო...
შუბლზე დამეფარება
ტოტი მისი მძინარა,
მეტი ამ ცრუ სოფელმა
არა შემარჩინა რა.
უბეამოთეთრებული
უბერავს თებერვალი,
ჭრის და კერავს,
იდგამს კარავს
მარტი — კაბის მკერვალი.
რას მომიტანს გაზაფხული
აჭრელებულ ბოლოთი,
წამქცეოდა ბოძი ყველა
და მხოლოდ შენ მყოლოდი.
არ მაშინებს ლულა შავი
და არც დანის ძგერება....
ავლილი და ჩავლილი —
ყველა მე მემტერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რწმენა

## რომანი

—ერმილე, რას აკლავ თავს ამ გაგანია სიცხეში მაგ სათიბს?! — ჰკითხა შეუმჩნევლად მოახლოებულმა კირილე ებრალიძემ ერმილე ჯაყელს და თავზე წაადგა. — შენი ძროხისათვის ხომ არ თიბავ, ნენა?!

ჯაყელმა თიბვა შეწყვიტა, კირილესაკენ მიბრუნდა, ცელის ტარზე დაეყრდნო ხელებით და გაკვირვებით შეხედა მოულოდნელ სტუმარს.

— ფერმის ძროხა ჩემი ძროხა არ არის, კირილე? — ჯაყელი თავის სვრელზე იდგა. ათიოდე ნაბიჯით გაესწრო სხვა მთიბავებისათვის.

ისინი დაბალი, დაქანცული ხმით რუსულ სიმღერას მღეროდნენ მკაზე. ერთ მწკრივში იდგნენ ქალები და ბერიკაცები. ერთდროულად, აწყობილად იქნევდნენ ცელს. ნელა წვებოდა ცელის ქვეშ მაღალი, ხშირი, კედლად მდგარი ბალახი. მწკვრივში რვა ქალი და ოთხი ბერიკაცი იდგა.

— რაფერაა შენი ფერმის ძროხა, ნენა?! შენ ჰამ ფერმის ყველსა და ხორცს?! — ჩაიხითხითა კირილემ.

ერმილემ გოროზად შეხედა ებრალიძეს.

— მე არ ვჰამ, კირილე. რა შემაჰმევს ჩემი შვილების, ძმების, დების ლუკმას. შხამად ჩამივა პირში.

— აბა ვინ ჰამს, ნენა?!

— ჩვენი ჯარი ჰამს ფრონტზე. მე ჩემს მუცელზე არ ვფიქრობ.

— ვინც თავის თავზე არ ფიქრობს, ის არც სხვაზე ფიქრობს, ერმილე!

— მაგ ჰკუით არ ვცხოვრობ მე, ბიძი.

— დიდი ხანია, ნენა?!

— დიდი ხანია, — გადაჰრით მიუგო ჯაყელმა. არ უნდოდა იმის გახსენება, რომ ერთ დროს კირილეს ედგა მხარში. — რამ გადმოგაგდო ამ გახურებულ მუშაობისას აქეთ?!

— შუა დღეა, ნენა. ამ დროს ადამიანი კი არა ,მდინარე შეისვენებს, — უთხრა კირილემ და თუთუნის ქისა გაუწოდა.

ჯაყელმა არ ჩამოართვა. გაუკვირდა, კირილე არავის არ თავაზობდა თუთუნს.

— არ მცალია, კირილე, მოსაწევად. სამკალი არ იცდის!

ებრალიძემ ვითომ ვერ გაიგონა. გაწბილებული თვითონ შეუდგა ყალიონის გაწყობას.

— არც სამარგლავი იცდის, ერმილე, მაგრამ შენსავით თავს არ ვიკლავ. ვი-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6, 7, 8.

ფიქრე, სულს მოვითქვამ, ფერმაში შევალ იმ მეგრელ მეჯოგესთან, იქნებ ცივი მაწონი აქვსთქვა. ხომ იცი, მაწონი წყურვილს რომ კლავს. ყორათის დუბელა წყალი მტერმა დალია ამ ალხში.

— მაწვნის საჭმელად მარგვლა მიატოვე და ამ სიშორეზე წამოდი, ბიძი?! — ჯაყელი დიდსა და პატარას ბიძის ეუბნებოდა, — არ იცი ახლა ყოველი წუთი ოქროდ რომ ღირს, — ცალი თვალი ეშმაკურად მოჭუტა და ისე შეხედა კირილეს: — გაჭამა მერე იმ მეგრელმა მეჯოგემ მაწონი? რაცხა არ გეტყობა. მწევარივით გაგბრტყელებია მუცელი.

— ისე ჭამოს შენმა მტერმა, ნენა, რავაც მე იმან მაწონი მაჭამა. ჩემს ოჯახში რომ ვიყო, მაწონსაც გაჭმევდი და თიკანსაც დაგიკლავდიო. ფერმის მაწონს თვითონ არ გეახლები და არც ვაკეთებთ ფერმაშიო. სადა გვაქვს სამაწვნე რძე. რძისაგან მარტო ყველსა და კარაქვს ვამზადებთო.

— რას ერჩი, ბიძი, კარგად უთქვამს იმ მეგრელ მეჯოგეს.

— არ ვერჩი მარა, ერთი კოვზი მაწონი არ დააქცევდა ფრონტს.

— ფრონტს არც ერთი კათხაც დააქცევს, კირილე, მაგრამ ის რძე, ბურდა კვარაცხელიასი კი არ არის, ხალხისაა. შენ კი არა, ბურდა თავის შვილს არ შეაჭმევს ერთ კოვზ მაწონს.

— რატომ მერე, ნენა? რატომ იკლავთ თავს, რამ გადაგრიათ ასე?! მოდი, აგერ ჩრდილში მივჯდეთ. მზეს მოვერიდოთ პატარა ხანს.

— არ მცალია-მეთქი ხომ გითხარი, ბიძი. მე რომ ჩრდილში მივჯდე, მერე იმ ქალებსა და ბერიკაცებს რა თვალით შევხედო, დილის აქეთ წელი რომ არ გაუმართავთ, — მთიბავებისაკენ მიიხედა ერმილემ.

— მერე კარგია მაგი?!

— რანაირად მეკითხები, კირილე?! აბა, ცუდია?! არ იცი, ვისთვის და რისთვის ვიკლავთ თავს, რამ გადაგვრია?!

ებრალიძემ მთიბავებისაკენ გააპარა თვალი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისევ მღეროდნენ და კირილეს ლაპარაკს ვერ გაიგონებდნენ, სიფრთხილისთვის მაინც დაუწია ხმას:

— ჩვენი მიწა-წყლისთვის არ ვიკლავთ თავს, ერმილე!

— კირილე, — ხმა შეეცვალა ერმილეს. — შენ ერთ დროს კინაღამ ამიყოლიე. ეშმაკის გზაზე გინდოდა დაგეყენებინე, მაგრამ დროზე მიგიხვდი, რა სულიც ბრძანდებოდი.

— ის გზა შენთვისაა, ეშმაკის, ნენა. არ გაგიგონია — გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გვქონდეს სავალიო.

— შენ სიკეთის არაფერი გაცხია, ბიძი. შხამითა გაქვს გული სავსე. ეგ ანდაზა შენისთანა კაცზე არ არის ნათქვამი. არა ხარ შენ კეთილი კაცი. შავი გული გაქვს.

— ასე გამწირე, ნენა?! — დიდი გაჭირვებით იკავებდა ბოღმას კირილე.

— გულზე არასოდეს რომ არ მეხატე, ეს კარგად იცი. დღეიდან კი მთლად ამოგირეცხე. გაფრთხილებ, კირილე: შენი გზა სამუდამოდ მოჭრილია. დაფიქრდი, ვიდრ ეგვიან არ არის. წმინდა თვალითა და წმინდა გულით შეხედე ქვეყანას.

— რომელ ქვეყანას, ნენა? ეს ქვეყანა ჩემი არ არის. ბოლშეკიკებისაა.

— ამ ბოლშევიკების ქვეყნის გადარჩენისათვის დიდი და პატარა თავს არ ზოგავს. ტყვიას მკერდს უშვერს. შენ კი შენს ქვეყანას ღალატობ. ისიდორე სიორდიამაც კი ისწავლა ჭკუა. შენ რა ღმერთი გიწყრება?! ვერა ხედავ, მაგ დასავსები თვალით, რა სასწაულს ჩადის ხალხი?! ქალები და ბავშვები მიდიან ომში.

— ის ომი ჩემი ომი არ არის, ნენა, — კიდევ უფრო დაუწია ხმას ებრალიძემ და ღვარძლიანად განაგრძო: — რუსეთს ებრძვის გერმანია. ბოლშევიკებს ებრძვის.

— ვაი, შენს ჭკუას. ვინ გაჰყო, ყაძახო, რუსეთი და საქართველო, — ხმას აუწია ერმილემ.

— სუ, რა გაყვირებს შეკაცო. — შე-

შინდა კირილე. კვლავ გააპარა თვალი მთიბავებისაკენ.

— სასუჩ, მე არაფერი მჭირს, ბიძი, — უფრო ხმამაღლა განაგრძო ჯაყელმა. — რუსეთს კი არა, მთელ ქვეყანას ებრძვის ჰიტლერი. ან რუსეთის დამარცხება ჩვენი დამარცხება არ იქნება?

— ჩვენი არა. ბოლშევიკების დამარცხება იქნება.

— კირილე, — მოთმინება დაკარგა ჯაყელმა. — ამ ცელს ხომ ხედავ. თავი არ წამაგდებინო.

— მემუქრები, ნენა? — თვალი გაუსწორა კირილემ.

— თავი არ წამაგდებინო-მეთქი, — ცელის ტარს ხელი მოუჭირა ერმილემ.

— თავს ერთად წავაგებთ, — დაემუქრა კირილე. — ეს ქვეყანა ერთ დროს არც შენ გეხატა გულზე.

— სტყუი, ყაძახო, — მშვიდად მიუგო ჯაყელმა. — მე შენთვის არასოდეს არ გამისწორებია გული. ჩემი ქვეყნის ღალატზე არ მიფიქრია. ლანჩხუთის უბნის მშენებლობის შეჩერების წინააღმდეგი ვიყავი და როგორც კი დავრწმუნდი ვცდებოდი, ჩამოგეცალე. დაგინახე ვინცა ხარ, რა სულისა და ხორცისა.

კირილე უცებ შეკრთა. მინდორზე რაიკომის მდივანი, ტარიელ ქარდა, გალინა არკადიევნა და ლონგინოზ ლომჯარია მოდიოდნენ. წინ ბურდა კვარაცხელია მოუძღოდათ. ხელებს შლიდა, მოთიბულ მინდორს უჩვენებდა სტუმრებს.

კირილე ებრალიძემ გაცლა დააპირა, მაგრამ გვიან იყო. სტუმრები სვრელში შემოვიდნენ და უხერხულად ეჩვენა თავის არიდება.

— გამარჯობა ერმილე, — მიესალმა რაიკომის მდივანი ჯაყელს. ებრალიძეს გაკვირვებით გადახედა: — შენ ამ დროს აქ რა გინდა, კირილე?!

— მაწვნის საჭმელად მისულა ბურდასთან ფერმაში, — უპასუხა კირილეს მაგივრად ჯაყელმა.

— მაწონი ურიგო არ იქნება ამ სიცხეში, — თქვა რაიკომის მდივანმა და ბურდა კვარაცხელიას შეხედა: — გაუმასპინძლდი, ბურდა? ახლა მაწონი ამ სიცხეში ჩვენც არ გვაწყენს.

— მასპინძლობა მე შინ ვიცი, პატენ რაიკომის მდივან!

— ჰო, მაგრამ, თუ მწყურვალე კაცი მოგადგა კარზე?

— აგერ ერმილესაც პირი უშრება წყურვილით. იმ რუსებსა და უკრაინელებსაც, მაგრამ მაწონს არ მთხოვენ. თქვენც მართლა არ გაწყენდათ ამ სიცხეში მაწონი. რას ვიზამ. ფერმაში რძეს მაწვნისათვის არ ვხარჯავთ.

— არ უნდა დახარჯოთ, — მოუწონა რაიკომის მდივანმა სიტყვა, — ახლა ვის არ შია და წყურია. ყველა ითმენს. სხვას არ ადგებიან კარზე, კირილე, — მზეს ახედა რაიკომის მდივანმა: — სამარგლავი გიცდის.

მთიბავებმა სიმღერა შეწყვიტეს, ცელი მხარზე გაიდეს და სტუმრებისაკენ წამოვიდნენ.

რაიკომის მდივანი მიეგება. სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყველას და მოიკითხა.

— როგორაა საქმე, ამხანაგებო?

— ვთიბავთ, ამხანაგო მდივანო, — უთხრა შუახანს გადაცილებულმა წარმოსადეგმა ქალმა. ძუძუები ჯიქანივით ედგა მკერდზე და გულამოღეღილ ჩითის კაბიდან ნახევრად გაშიშვლებული მოუჩანდა. ღონიერი, მსხვილი, მზისაგან გარუჯულ მკლავებზე, მკერდზე და სახეზე ოფლის მძივები ეყარა. დაქანცული იყო, მაგრამ ცდილობდა რაიკომის მდივანთან მხნედ დაეჭირა თავი. ეს მაშინვე შეატყო ვახტანგ ქანთარიამ.

— კარგად თიბავთ, ანტონინა სილინა! კი არ თიბავთ, პარსავთ მიწას.

— აბა, როგორ. ასეთი ბალახის ერთი ღერის დაკარგვაც კი ცოდვაა.

— მოასწრებთ გათიბვას?

— ძნელი სათქმელია, ვახტანგ სემიონოვიჩ, —უთხრა ანტონინა სილინამ. — მონდომება არ გვაკლია. საქმე მაინც ნელა მიდის.

— მონდომება ნახევარი საქმეა, ამხანაგო მდივანო, — ჩამოართვა სიტყვა სილინას კაფანდარა, გრძელწვერიანმა

ბერიკაცმა კონდრატე კარპოვმა. ქუდი მოიხადა, კოლოებს აუქნია და მერე იმ ქუდით სახიდან და კისრიდან ოფლი ჩამოიწმინდა. — რა სიცხე ცოდნია თქვენთან. ზაპაროჟიეშიც იცის მაგარი სიცხე, მაგრამ ამ დროს არა. არც ასეთი მკბენავი. კოლოზე უფრო მწარედ იკბინება, — მინდორს გადახედა მოწონებით: — ბალახი კი ისეთი ღონიერია, ხვატი ვერაფერს დააკლებს. შეხედეთ, რა მუქმწვანედ ღაღანებს. მონდომება არ ეყოფა ამ საქმეს.

— კონდრატე კარპოვის რგოლი ორ ნორმას თიბავს, — უთხრა რაიკომის მდივანს თავმჯდომარემ.

— დილა-საღამოს ძროხებს კონდრატეს რგოლი წველავს, პატენ რაიკომის მდივან, — წარსდგა წინ ფერმის გამგე. — კაცი მანქანა არ არის. მოგეხსენებათ, ყველაფერს აქვს თავისი სამძღვარი.

— შრომაზე ჩვენ არ ვჩივით, — თქვა არა ქალური, ბოხი ხმით ანტონინა სილინამ. სხვებიც ასე მუშაობენ. საქმე მოითხოვს, ვახტანგ სემიონოვიჩ, — ხმაც ტანთან შესაფერი ჰქონდა. — არ უნდა დავკარგოთ ბალახი. ძროხას რაც მეტს აჭმევ, მეტ რძეს მოგვცემს. ადამიანიც ასეა. რაც მეტს აჭმევ, მეტს და უკეთ იმუშავებს, თუ გულით აკეთებს. ჩვენს სოფელში ერთი მდიდარი მემამულე იყო, გვარად კოსტიუკოვსკი. მუშას ჯერ ჭამაში გამოცდიდა და მერე აიყვანდა.

— გეტყობათ, ფერმის გამგე კარგად გაჭმევთ, ორ ნორმას რომ თიბავთ, — უთხრა რაიკომის მდივანმა კონდრატე კარპოვს.

— ფერმის გამგეს თვითონ არ აქვს საჭმელი და ჩვენ რას გვაჭმევს.

— თვითონ უცხვება კუჭი შიმშილით, — გაიცინა მსხვილთვალება ნადია ნაზარენკომ. ლამაზი არ იყო, მაგრამ სანდომიანი სახე ჰქონდა. გატკეცილი ლოყები და პატარა, ლამაზი რუსული ცხვირი.

კირილე ებრალიძემ თავი ჩაღუნა, ისე გაშორდა იქაურობას, არავის შეუნიშნავს.

— წელან თქვენმა თავმჯდომარემ თქვა, მასწავლებლები და უფროს კლასელები მივაშველოთ მთიბაეებსო, — დაიწყო რაიკომის მდივანმა და მთიბავებს შეხედა: — რას იტყვით, ამხანაგებო?

— დიდებული აზრია, — მოუწონა ანტონინა სილინამ.

— ღამითაც ვიმუშავებთ. დღესავით ღამეებია, — თქვა კონდრატე კარპოვმა.

— ღამითაც?! — გაუკვირდა რაიკომის მდივანს.

— რატომ არა. შრომას ჯერ კაცი არ მოუკლავს, — მხარი აუბა კარპოვს ნადია ნაზარენკომ.

რაიკომის მდივანს უნდოდა კირილე ებრალიძეს გაეგონა ეს სიტყვები. მიმოიხედა, მაგრამ ებრალიძე რომ ვერ დაინახა, იკითხა.

— კირილე სად გაქრა?!

— გაიპარა, — ჩაიცინა ერმილე ჯაყელმა.

— როგორ?!

— მაგას აქ გასაჩერებელი პირი არ ჰქონდა, პატენ რაიკომის მდივან, — ბურდა კვარაცხელიამაც ჩაიცინა. — გაიპარა. სირცხვილმა შეაწუხა ვითომ? არ დაიჯეროთ. მაგ ხნის კაცი აწი ჭკუას ვერ ისწავლის, ისე ჩავა სამარეში.

კირილეს თავის ბრიგადაში მიუჩქაროდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დაუგვიანდა და სამუშაოს ეშურება. მუშაობის ერთგული არც მშენებლობაზე იყო და არც აქ, კოლმეურნეობაში. უნდოდა გაქცეოდა ერმილე ჯაყელის სიტყვებს, რაიკომის მდივნის სიტყვებს, იმ მეგრელი მეჯოგისა და ლტოლვილების სიტყვებს. ვერა. ვერ გაექცა. ისევ ჩაესმოდა ერმილე ჯაყელის ხმა: — „შენ სიკეთის არაფერი გაცხია, ბიძი! შხამით გაქვს გული სავსე“.

ჯერ ის არ აპატია კირილემ ჯაყელს, იმ დღის შემდეგ, რომ ჩამოეცალა და მიატოვა, როცა ტარიელ ქარდამ, ვაჟა ჯაფარიძემ და პარტორგმა კოჩა ყორ-

შიამ ლანჩხუთის უბნის მშენებელთა საერთო კრებაზე გაიტანეს ამ უბნის დროებით კონსერვაციის საკითხი.

იმ დღიდან თვალის დასანახათ არ უნდოდა კირილეს ერმილე ჯაყელი: კირილე ლალატს შვილს არ აპატიებდა, პირდაპირ თუ ვერ შესძლებდა სამაგიეროს მიზღვას, მალულად გაუთხრიდა სამარეს.

დღეიდან მეც ამოგირეცხე გულიდან, ნენა! არაფერს შეგარჩენ. იმ ხიდან არა ვარ გამოთლილი. ვერ გაპატიებ იმ სიტყვებს, რაც წელან მაკადრე. ვერ დაგაყენე ჩემს გზაზე, არა! ჰმ, ვინძლო, ფეხი არ გადაგიბრუნდეს შენს გზაზე და კისერი არ მოიტეხო. ცელითაც რომ დამემუქრა ის ყაზილარი! თავი არ წამაგდებინოო. ვნახოთ, ნენა, ვინ წააგდებინებს თავს. შენისთანების დღე დათვლილია. სამშობლოს ღალატზე არ მიფიქრიაო. სად აქვს სამშობლო იმ უპატრონოს, სამშობლო მაშინ გვექნება, ჩვენ რომ ვიქნებით მისი ბატონპატრონი. დაგაბრმავეს ბოლშევიკებმა ხომ? დამაცადე, ერმილე, მალე დადგება ჩვენი დრო. კირილე ებრალიძე არ ვიყო, თუ მთლად არ დაგივსო ეგ თვალები.

ყველა ითმენს, სხვებს არ ადგებიან კარზეო, ბრძანა რაიკომის მდივანმა. ითმენენ, სხვა რა გზა აქვთ, მაგრამ სანამდე? მალე აევსებათ მოთმინების ფიალა, ვახტანგ სემიონოვიჩ! ჰმ, რა მოწიწებით მიმართავენ იმ გაღლეტილი ყაძახის შვილს.

სხვებიც ასე მუშაობენ, საქმე მოითხოვს, თქვა რუმბივით გასიებულმა იმ რუსის ქალმა. იმუშავებს თავის მიწიდან არეკილი, აბა, რას იზამს. მე არა მაქვს მოსაკლავი თავი, მას აქვს!

ჰმ, შენ ამ დროს აქ რა გინდაო, კირილე! — მითხრა ბაიასავით გაყვითლებულმა იმ რაიკომის მდივანმა. წუთებსაც მითვლიან ის ჰირიანები. ზანგები არა ვართ, ვახტანგ სემიონოვიჩ, შენი მათრახის ქვეშ რომ ვიმუშაო. მაჩქარებ? ვისთვის ვიჩქარო?! ბოლშევიკებისათვის?!

ცოტაც მოითმინე, კირილე, ოცდაერთი წელიწადი ხომ ითმენდი, ახლა რაღა დარჩა. ერთი წელიწადი მიწაში ნიორიც შეინახავს თავს. შენ ერთი წელიწადი აღარ დაგჭირდება. სტალინგრადს მიადგა, ჰიტლერი! ჩვენამდე ორი ნაბიჯი დარჩა.

მაინც რატომ იკლავს თავს, ერმილე ჯაყელი, ან ის მეგრელი მეჯოგე?! რას გამოელიან კოლმეურნეობიდან ამისთანას?! ბურდა კვარაცხელია ისე დაკანკალებს ფერმის რძეს, საჭმელად ვერ იმეტებს ის უბედური. რა უნდათ ან კვარაცხელიას, ან ჯაყელს?! პარტიულები მაინც იყვნენ.

ის რუსები, უკრაინელები და ბელორუსები რომ იკლავენ თავს, გასაგებია, — ისევ ლტოლვილებს გადაწვდა, — მათ მიწას უკიდია ცეცხლი, მათი მიწები დაიპყრო ჰიტლერმა. არა. ვერ დავიჯერებ ბოლშევიკების აგიტაციას. ჩვენ არ გვერჩის ჰიტლერი. ჩვენთან რა აქვს გასაყოფი?!

თუმცა, სხვა ქვეყნებთან რა ჰქონდა გასაყოფი, ნახევარი ევროპა რომ აიკლო?! დაეჭვდა კირილე. თავი მოიფხანა. არც ჩვენ დაგვინდობს ალბათ, ის გადარეული, მაგრამ ბოლშევიკებს მაინ ის მირჩევნია.

დაფიქრდი, კირილე ებრალიძე! მართლა არ წააგო თავი. შენი ხელით არ გაითხარო სამარე. ვაის გაეეყარე, უის შეეეყარეო. ისე არ წაგივიდეს საქმე.

სოფელს ბოლშევიკებმა შეაძულეს ჩემი თავი. ჩემს სამშობლოს რას ვერჩი? მე მარტო ბოლშევიკების ჯინი მაქვს.

ამ ფიქრში იყო კირილე თავის ყანას რომ მიადგა.

წინ, ყანის ნაპირზე ბრიგადირი შემოხვდა.

— სად ხარ, კირილე?! — შედგა ებრალიძის წინ ცია. მწყრალად შეხედა. — მზე დიდი ხანია გადაიხარა. იმ ბავშვების მაინც არა გრცხვენია?! — გაიშვირა ხელი ნატაშასა და მაკარისაკენ,— ან გუდუიას, ისიდორეს, ბოჩია ბალათურიას, ჯაჯუ ჯორჯიკიას, ქუჯი ქუჩუ-

ლორიასი? რომელი ერთი ჩამოგითვალო.

— იმ ბალნებს რას მადარებ, ნენა? ან იმ გადაყრუებულ ესვანჯიასა და ქურდბაცაცა ისიდორეს?! — მეტი ვერაფერი უთხრა თავის გასამართლებლად კირილემ ბრიგადირს.

— საქმეს გულით არ აკეთებ, კირილე. ცუდ მაგალითს აძლევ სხვებს.

— ყველას თავისი ჭკუა აქვს, ნენა!

— საქმისთვის შენს მეტს, ყველას ერთი ჭკუა და ერთი გული აქვს.

— წახდა ქვეყნის საქმე, შენისთანა ბალანა, რომ მასწავლის ჭკუას, — თავი ვერ შეიკავა, აგდებულად უთხრა ებრალიძემ.

— მე ბალანა არა ვარ, კირილე, — მკაცრად შეხედა ციამ. — ბრიგადირი ვარ. ქვეყნის საქმე არ წამხდარა და არც წახდება. თუ ასეთი ჭკუითა და გულით იმუშავებ, შენი საქმე კი წახდება, — უნდოდა უფრო მკაცრად ეთქვა, მაგრამ არ აკადრა ამ ხნის კაცს. — იცოდე, არავის ვაპატიებ საქმის ღალატს, — შეტრიალდა და განრისხებული გაშორდა.

ჩაფიქრებული ებრალიძე დიდხანს იდგა მდუმარედ. თვალს არ აშორებდა ყანის ბოლოსაკენ მიმავალ ბრიგადირს, რომელიც კრუხივით დასტრიალებდა თავზე თავის ბრიგადას. რგოლიდან რგოლში გადადიოდა. იგებდა, ვის რა უჭირდა. განსაკუთრებით ლტოლვილ ქალებზე და ბავშვებზე ზრუნავდა. უმრავლესობას აციებდა და ცია იყო მათი წამალი და მალამო.

— ეს ქლვინტიანი გოგოც იკლავს თავს, — კირილეს გულზე მოხვდა ბრიგადირის სიტყვები .— იცოდე, არავის არ ვაპატიებ საქმის ღალატს. ვის საქმეს ღალატობს კირილე, ბრიგადისას, თუ ბოლშევიკებისას?... დაფიქრდი, ვიდრე გვიან არ არის. წმინდა თვალით და წმინდა გულით შეხედე ქვეყანას, გაახსენდა ერმილე ჯაყელის სიტყვები. შავი გული გაქვსო, კირილე! შეაშინა ამ სიტყვებმა. იქნებ, ერმილე მართალია. კარგად ჩაიხედე შენს გულში, კირილე! ხალხის საქმეს მართლაც არ ეღალატება. მაგრამ ხალხის საქმეა ეს თუ ბოლშევიკების?! დაჟინებით უტრიალებდა ისევ ეს ფიქრი თავში. ხალხს არ ერჩის, კირილე ებრალიძე.

კირილეს გული გონებას ებრძოდა... გული ერთს ეუბნებოდა, გონება მეორეს. გამოცდილებით იცოდა, გონების კარნახით არასოდეს შემცდარა. გულის კარნახით კი ბევრჯერ. სქელი, ბურჩხა, ჭაღარაშერეული წარბები აეჭიმა მტანჯველი ფიქრისაგან, მოსვენება აღარ მისცა ფიქრმა და რომ მოეშორებია, თავის ნაკვეთს მიაშურა, თოხს მოკიდა ხელი.

ტარიელ ქარდამ და ლონგინოზ ლომჯარიამ რაიკომის მდივანი რომ გააცილეს, მერე მესიმინდეების ბრიგადებს ჩამოუარეს. სადაც კი სფერული კვლები ჰქონდათ მოწყობილი, მიწა გვალვისაგან კიდევ უფრო გატკეცილიყო; ვერ სუნთქავდა, სიმინდსაც ვერ აძლევდა სუნთქვის საშუალებას, ყელში უჭერდა, ახრჩობდა და მისი გალახული, გაყვითლებული და შემჭკნარი სამი ფოთოლი მოტეხილივით უღონოდ ეყარა სულთმობრძავ მიწაზე.

ყანებშუა მიდიოდნენ, მათ ფეხქვეშ ზანტად დგებოდა გახურებული, მძიმე მტვერი. გზისპირა შეყვითლებულ, შემჭკნარ ფოთლებს ეფინებოდა, კიდევ უფრო დაბლა ხრიდა.

მზე ულმობლად აჭერდა. უფერულ, გამოხუნებულ ცაზე თვითონაც უფერული ჩანდა, გამლღვალ თუჯს ჰგავდა.

მხოლოდ დროულად გამარგვლა გამოტაცებდა სიმინდს სიკვდილის კლანჭებს. კოლმეურნეები ზედ აკვდებოდნენ, მაგრამ მიწა არ ემორჩილებოდა თოხს.

მეექვსე ბრიგადაში მთლად უკუღმა მიდიოდა საქმე. ბრიგადირი გაბმით სვამდა და ბრიგადა უპატრონოდ ჰყავდა მიტოვებული. არც მისი წევრები იკლავდნენ თავს. სამუშაოდ დროზე არ გამოდიოდნენ, მუშაობას ადრე ამთავრებ-

დნენ. რასაც აკეთებდნენ, პაიპარად აკეთებდნენ.

ბრიგადა დაშლამდე იყო მისული.

ამ ბრიგადიდან ბრუნდებოდნენ ახლა შეფიქრიანებული და შეწუხებული ტარიელ ქარდა, პარტორგანიზაციის მდივანი, ცია, რამდენიმე ბრიგადირი და მერგოლური.

— ადმინისტრაციული წესით ვფიქრობდით, მიხეილ ლოშკაროვის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. თავის დიდ ჯავრთან მარტო დავტოვეთ ადამიანი. სად ვიყავით?! კაცს მესამე შვილი დაეღუპა. მთელი ოჯახი ამოუწყდა. მარტო დარჩა თავის ჯავრთან. ჩვენი თანაგრძნობა ვერ ნახა და არაყს მიეძალა. კარგი, სანიმუშო ბრიგადირი იყო. ნიჭიერი ორგანიზატორი. მან ხომ სხვებზე ადრე მოათავა თესვა. მუშაობა იცის, უყვარს, საქმისათვის თავგადადებული კაცია, მაგრამ ჯავრმა უცებ გატეხა და ჩვენ მოწმეებივით გულხელდაკრეფილები ვუყურებთ, — საკუთარ თავს საყვედურობდა თავმჯდომარე.

— ყველას გვიჭირს, ყველას თავისი ჯავრი აქვს, ტარიელ გრიგორევიჩ, — შეახსენა მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირმა ალექსანდრე მედვედმა. — ამის გამო ვერ მივადევნეთ ლოშკაროვს თვალი.

— მართალს ბრძანებ, ალექსანდრე. ყველას გვიჭირს. ყველას მეტნაკლები ჯავრი გვაქვს, მაგრამ ადამიანმა მარტო თავის გაჭირვებაზე არ უნდა იფიქროს.

— ეს რასაკვირველია, ასეა. დამნაშავენი ვართ ლოშკარიოვთან, — დაეთანხმა თავმჯდომარეს მედვედი.

— ახლა ჩვენ ორი ამოცანის წინ ვდგავართ, — განაგრძო ტარიელ ქარდამ: — მოვეხმაროთ, ფეხზე დავაყენოთ მიხეილ ლოშკარიოვი და ბრიგადის ყანა გადავარჩინოთ.

— ორივე ძნელი საქმეა, ტარიელ გრიგორიევიჩ, — უთხრა ალექსანდრე მედვედმა. ხარივით სქელი კისერი თავმჯდომარესაკენ მიაბრუნა და ზევიდან დახედა: — ვერც ლოშკარიოვის გულს გაამთელებს აწი ვერაფერი და ვერც მის ყანას ეშველება, — სინანული გაისმა მის ხმაში, — ჭრელი ხალხი ყოლია ბრიგადაში. არ მიყვარს ეჩო ადამიანები, გული არ აქვთ ასეთებს. თავკერძები არიან. სწორედ ამ დროს უნდა გამოეღოთ ხელი. მოხმარებოდნენ ბრიგადირს. მათ კი საქმეს ბაზარში სიარული არჩიეს.

— ვერ მოიქცნენ ბრიგადის წევრები კარგად. თანაგრძნობის ნაცვლად ზურგი შეაქციეს ლოშკარიოვს.

ყველა შეწუხებული და ჩაფიქრებული იყო. ვერ ხედავდნენ გამოსავალს. სამოც ჰექტარ ყანას დაღუპვა ელოდა, თუ დროზე არ გამარგვლავდნენ. დროზე კი არა, დროზე ადრე უნდოდა გვალვით გალახულ სიმინდს შველა.

— ბატონო ტარიელ, — დაარღვია დუმილი ციამ. — მე შემოვიერთებ ლოშკარიევის ბრიგადას.

— როგორ?! — შედგა ტარიელი.

შედგნენ სხვებიც. ინტერესით მიაჩერდნენ ციას.

— შენ ხომ მეექვსე ბრიგადაზე უფრო მეტი ჰექტარი გაქვს, ცია!

— ასე გახლავთ. მეტი ჰექტარი მაქვს, — უთხრა ციამ. — მაგრამ მაინც შემოვიერთებ, ლოშკარიევის ბრიგადას, — გაიმეორა ციამ. — ხომ არ დავღუპავთ სამოც ჰექტარ ყანას. ამას არავინ გვაპატიებს. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, თვით ჩვენი სინდისი.

— თქვენი ბრიგადის წევრებს ჰკითხეთ, ცია? — განაგრძო გზა ტარიელმა.

გაჰყვნენ სხვები. ყველა გახარებული და გაკვირვებული იყო ციას მოულოდნელი წინადადებით.

— ჯერ არ მიკითხავს, ბატონო ტარიელ.

— რომ არ ინდომონ ჩამორჩენილი ბრიგადის შემოერთება.

— უნდა მოინდომონ.

თავმჯდომარე ისევ შედგა:

— მაშ, უნდა მოინდომონ?

— დიახ. ასეა საჭირო, — გადაჭრით უთხრა ციამ. ამ სიტყვაში არაფერს

ხედავდა განსაკუთრებულს. — „ასეა საჭირო“, — გაიმეორა გულში.

— ჰო, ასეა საჭირო, ცია, — მამობრივი თბილი ხმით უთხრა ტარიელმა. — წესით უნდა მოინდომონ. ადამიანური სინდის-ნამუსით უნდა მოინდომონ. მოელაპარაკეთ ბრიგადის წევრებს. ნუ გადადებთ. ამ საღამოსვე.

— ამ საღამოსვე, ბატონო ტარიელ.

— დიდებულია, — ხელი ჩამოართვა ტარიელმა და დიდხანს ეჭირა. — ამით გამოთქვა თავისი კმაყოფილება და მადლობა. — ახლა კი გაბრუნდი. ჩვენ კიდევ დაგვრჩა ორი ბრიგადა სანახავი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ, გვიან საღამოს ციას ბრიგადა ღია ფარდულის ქვეშ იკრიბებოდა ხისაგან გამოჩორკნილ გრძელი მაგიდის გარშემო. მერგოლეურები აქ აბარებდნენ ანგარიშს ბრიგადირს, რა გააკეთა რგოლმა იმ დღეს. აქვე ადგენდნენ ხვალინდელ მუშაობის გეგმას. ციას ბრიგადაზე ხუმრობდნენ, სამხედრო წესები აქვს ბრიგადაში ციას შემოღებულიაო. ეს მართლაც ასე იყო.

დღეს ეს წესი დაარღვია ციამ. არ მოუსმენია მერგოლეურების ანგარიში. არ შეუდგენია ხვალინდელი მუშაობის გეგმა. შეიკრიბნენ თუ არა ბრიგადის წევრები, პირდაპირ, ყოველგვარი შესავალი სიტყვის გარეშე შეიტანა წინადადება მეექვსე ბრიგადის შემოერთების თაობაზე. ბრიგადის ყველა წევრმა იცოდა მიხეილ ლოშკარიოვის და მისი ბრიგადის ამბავი.

წინასწარ გრძნობდა, დარწმუნებული იყო, რომ ზოგი არ დაუჭერდა მხარს, რატომ აიტკივებდა მოწინავე ბრიგადა თავს, რატომ შეჰყოფდა სხვის მძიმე უღელში კისერს? მისი საქმე წინ იყო. თითით საჩვენებელი იყო კოლმეურნეობაში. მის ყანას ისეთი პირი უჩანდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. მარგვლას დროზე ამთავრებდნენ. შეწყობილად, შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. უხვ მოსავალს ელოდნენ და ასეთ ბრიგადას ჩამორჩენილი ბრიგადა უნდა შეერთებოდა. იმათ ყანიდან კაცმა არ იცოდა, რა მოსავალს მოელოდებდნენ.

— რატომ, ნენა? — როგორც ცია ელოდა, პირველი კირილე ებრალიძე წამოდგა, — ძალით გავიჩინოთ თავსამტვრევი? სხვისი ღობე ვღობოთ და ჩვენი ტრამალ მივაგდოთ?!

— რატომ კირილე?! — შეკითხვითვე მიმართა ციამ ებრალიძეს. — რატომაა მეექვსე ბრიგადის საქმე სხვისი საქმე, სხვისი ღობე?!

— იმიტომაა, ნენა, — არ აცალა სიტყვის დამთავრება ებრალიძემ. — რომ მეექვსე ბრიგადა სხვა ბრიგადაა და ჩვენი ბრიგადა სხვა. იმას უკუღმა აქვს წასული საქმე, — კირილემ ჩაიქილიკა: — შენს მტერს ნუ მისცა, ნენა ისე საქმე, როგორც იმათ აქვთ. ლოშკარიოვის ბრიგადის წევრებს ხვიშტი ელით შრომადღეზე, ჩვენ კი, კაი სამი-ოთხი კილო. სხვისი თხა სხვის ბოსტანში ოდელიას იძახდაო. ოდელია ვაძახებინოთ მიხაკია ლოშკარიოვს ჩვენს ყანაში?!

— კირილე, — შეკავებული გულისწყრომით მიმართა ციამ. — მიხეილ ლოშკარიოვს ოდელიას საძახებლად არ აქვს საქმე. ყველამ იცის, რა უბედურება დაატყდა თავზე. არავის ვუსურვებ იმ ცეცხლს, მის გულში რომ ანთია.

— იმან, ნენა, თავის ჯავრს ქვეყნის საქმე ანაცვალა. არაყს მიეძალა ყაძახი. ჯავრს თუ დაუწექი, დაგაწვება. ჯავრს გაძლება უნდა.

— ძნელია ასეთი ჯავრის გაძლება, კირილე, — არ შეხედა, ისე უთხრა ადრე გაჭაღარავებულმა, დაბალი ტანის, გამხდარმა პეტრე ლაგოიდამ კირილეს. მას გაცნობისთანავე არ მოეწონა კირილე ებრალიძე, თვალს არიდებდა, ისე ჩაუვლიდა, არ მიესალმებოდა. — ადამიანი რკინა არ არის. ვერ გაუძლო ლოშკარიოვმა სამი შვილის დაღუპვას, — გაჩუმდა, თავი ჩაღუნა და ჯავრიანად დაასრულა: — ხე ფესვებითა დგას, ხალხო, კაცი კაცით!

— აღარ დგას ის ხე ფესვებით, ნე-

ბიბლიოთეკა

ნა, — აგდებულად ჩაიხითხითა კირილემ. — მხართეძოზეა წამოწოლილი არყით გაბრანგული.

ყველამ წყრომითა და უკმაყოფილოდ შეხედა ებრალიძეს.

ისიდორე სიორდია წამოხტა. ჭრუტა თვალები ფართოდ დააჭყიტა. გამომწვევად შეხედა კირილეს.

— გესმის შენ, რას როშავ, ბებერო?! — კაც დედაბუდიანად ამოწყდა. თავს ჭკუაზე აღარ არს... — მღელვარებისაგან ენა დაება, პირი შეეკრა, თვალებზე ისევ ჩამოაწვა ზედა ქუთუთოები.

— იმ გადამთიელი კაცის ცოლ-შვილი ჩვენი სატირალი არ არის, ნენა, — მძულვარებით უთხრა კირილემ სიორდიას.

— აბა, ვისი სატირალია, შე ღმერთგამწყრალო?! — შავთავსაფრიანმა ქალმა, ებრალიძეს წინ რომ იჯდა, თავიდან ძაძა გადაიწია, მისი ტოტით თვალზე მომდგარი ცრემლი შეიწმინდა და მუქარით შეხედა კირილეს: — ახლა ჩვენ ვართ ლოშკარიოვის ჭირისუფალი. — ვეღარ მოითმინა, გაცეცხლებული წამოენთო, ქოქოლა მიაყარა: — მაგ მოწამლული სიტყვისათვის, ღმერთმა შენი თავი გაუხადოს სატირლად შენს ცოლ-შვილს. მაგ მკერდში ქვა გიდევს, თუ გული, შე ცოდვიშვილო?!

— ეპინე, შენი წყევლა არ მეწევა მე, — ღვარძლიანად მიუგო კირილემ. თავი ჩაღუნა. წყევლამ მაინც შეაშინა. — ჩემიანისთვის მე გული ყოველთვის ღია მაქვს.

— ისემც ჩაგიღამდეს შხამით სავსე ეგ გული, — გაწიწმატდა ეპინე. — შენ მარტო გარეშესთვის კი არა, შენიანისთვისაც დახურული გაქვს ეგ დასამიწებელი გული, — ცალ ხელში თოხი ეჭირა, მეორე ხელით მთელი დღის შრომით დაქანცულმა, დაღარულ ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლი შეიწმინდა. ერთი თვის წინათ ძმის დაღუპვის ბარათი მიიღო. გამოსატირებლად არა ჰქონდა დრო. ბარათის მიღების მესამე დღეს სამუშაოდ გამოვიდა. — ცია, შვილო, ერთხელ ყორათის აფთიაქში ქინაქინის ამპულების საყიდლად შევედი. მაშინდელი პროვიზორი კარლოია ხვინგია ციებიანებს — ქინაქინს უმალავდა. ამპულებს სისხლის ფასად ყიდიდა ჩუმად. შენმა უჩამ იმ შეჩვენებულს ძალით ამოაღებინა გადამალული ამპულები. დახრჩობას უპირებდა, ჩვენ რომ არ გამოგვეგლიჯა ხელიდან. ვისთვის გინდა, შვილო ამპულები-მეთქი, ვკითხე უჩას. ერთი ბელორუსი დრაგერისათვისო, მიპასუხა უჩამ. ვისთვისთქვა, ყურიდან თავსაფარი გადავიწიე გაკვირვებულმა. ბელორუსიიდან ჩამოსული დრაგერისათვისო. უცხო კაცისათვის ირჯები ასე-მეთქი?! არ დავიჯერე. უცხო რატომაა, დედა, მიპასუხა უჩამ. აი, რანაირი გული უნდა ჰქონდეს ადამიანს ადამიანისათვის. ბელორუსი იქნება იგი, რუსი, თუ უკრაინელი. ახლა ჩემი თვალით ვხედავ, რომ ეს ასეა. ერთი საქმისათვის არ მუშაობს ჩვენი გული და გონება? ერთი სატკივარი არა გვაქვს, კირილე ებრალიძის მეტს? — შეხედა ბრიგადის წევრებს: — ასე არ არის ხალხო, მართალს არ ვამბობ?

— ასეა.

— მართალს ამბობ, ეპინე.

— ერთი სატკივარი გვაქვს ყველას.

— ერთმანეთის გულში უნდა ჩავიხედოთ.

— ყველა ერთ საქმეს ვაკეთებთ.

— უნდა შემოვიერთოთ ლოშკარიოვის ბრიგადა.

— ზურგს ვერ შევაქცევთ.

ბრიგადის ერთმა ნაწილმა მხარი აუბა ეპინეს.

მეორემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— ჩვენი შრომადღე სხვას გავუყოთ, ხალხო?!

— ადამიანის ცოდვაში კი უნდა ჩავიხედოთ, მაგრამ შენი ცოლ-შვილის ლუკმის გაყოფა ძნელია. ისედაც გვიჭირს და კიდევ გავიჭირვოთ?!

— ავალიანის სუფრაზე ასათიანი ცეკვავდაო, ისე გამოგვივა.

— მოხმარებით კი უნდა მოვეხმა-

როთ, ლოშკარიოვს და მის ბრიგადას, მაგრამ შეერთებით ნუ შევიერთებთ.

— როგორ შევასრულოთ ასეთი დაჴ-ცეული ბრიგადის შემოერთების შემდეგ აღებული ვალდებულება?!

— დაგავიწყდათ რამდენი ცენტნერის აღება ვიკისრეთ ჰექტარზე?!

— კარგად დავფიქრდეთ, ამხანაგებო. ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილო, არ გაგიგონიათ.

კირილე ებრალიძეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იქედნურად შეჰყურებდა ეპინესა და ისიდორეს. თან ყალიონს ისეთი სიამოვნებით აწყობდა, გეგონებოდა, სულს შიგ ატანსო.

— ამათაც ქვა უდევთ გულში, ეპინეს ჰირიმე? — გადახედა შემოერთების მოწინააღმდეგეებს წამქეზებელი ღიმილით. მერე ციას მიუბრუნდა: — კენჭი ვუყაროთ, ნენა!

— თავზე ლაფს ნუ დავისხამთ, — წამოიყვირა გამკინავი ხმით სიორდიამ. წვრილი, ჰიაყელა კისერი წაიგრძელა და ისე შეხედა ებრალიძეს: — კირილეს გზა ჩვენი გზა არ არის ამხანაგებო. ნუ ავყვებით მის ჭკუას!

დაღამდა.

მთვარე ამოვიდა და ფარდული თეთრად გაანათა. თეთრად გაანათა მის ქვეშ შეყრილი ბრიგადის წევრების სახეები. შინ ყველას საოჯახო საქმე უცდიდა. ზოგს ძროხა ჰყავდა მოსაწველი, ბავშვები დასაბანი. ზოგს ვახშამი ჰქონდა მოსამზადებელი, მაგრამ შინ წასვლას არავინ აპირებდა.

— რას უცდი, ნენა, რატომ არ უყრი კენჭს?! — არ ისვენებდა ებრალიძე.

ციას ეშინოდა კენჭის ყრის. არ ელოდა ამდენ მოწინააღმდეგეს. არ იცოდა, რითი დამთავრდებოდა კენჭის ყრა, მომხრეების, თუ მოწინააღმდეგეების გამარჯვებით. ღელავდა. სახეზე ალმური ეკიდა.

— წამოდგა აქამდე გაჩუმებული ცისანა. იგი ციაზე არანაკლებ ღელავდა, თმა შეისწორა. თვალი მოავლო ბრიგადის წევრებს და იმათზე შეაჩერა, ვინც წინააღმდეგი იყო ბრიგადის შემოერთების.

— ამხანაგებო, კარგად დაფიქრდით, — არ მოეწონა თავისი ხმა. გაუბედავად ეჩვენა და უფრო ენერგიულად განაგრძო: — ჩემგან არ გესწავლებათ, რომ სიმინდი თოხის შვილია. თუ თოხს დროზე არ მიაშველებთ ლოშკარიოვის ბრიგადას, სიმინდი წახდება. ვისი სიმინდი? ლოშკარიოვის, თუ ხალხის?

— ხალხის, — უთხრა ეპინემ.

— გვესმის, ვიცით, ნენა, რომ სიმინდი თოხის შვილია, — შეაწყვეტინა ებრალიძემ ცისანას. — თოხი მივაშველოთ, მაგრამ ნუ შემოვიერთებთ ბრიგადას. სხვის ტვირთს ჩვენს ზურგზე ნუ მოვიკიდებთ.

— შენ არ მოიკიდებ, კირილე, — უთხრა ტრაქტორისტმა დურუ ჯობავამ. — ისე დაბერდი, ყაძახი, შენი ტვირთი არ გიზიდია და სხვისას მოიკიდებ ზურგზე? შენს გაჩენაში ღმერთი არ გარეულა, კირილე. უკულმართი კაცი ხარ.

— უკულმა ვქექავ, ჩემს წიწილებს ვკვებაო, არ გაგიგონია? — ჰკითხა დურუ ჯობავას კირილემ.

— ქათმის ჭკუა რომ გაქვს, იმიტომ იმეორებ ქათმის ნათქვამს, — მიახალა დურუმ. — კარგად თქვა ისიდორემ. ნუ აყვებით მის ჭკუასო. არა. არ ავყვებით, მისი ჭკუით არ ვივლით. ჩვენ ჩვენი ჭკუა და ჩვენი გული გვაქვს და ორივე ერთს გვეუბნება, შემოიერთეთ ლოშკარიოვის ბრიგადაო.

— შემოვიერთოთ, შვილო, — ისე უთხრა ბრიგადირს ეპინემ, რომ ყველას გაეგონა.

— შემოვიერთოთ, — დაიძახა ისიდორემ.

— ასე გვინდა ყველას, წამოდგა დურუ ჯობავა და გამომწვევად შეხედა კირილეს,

— შემოვიერთოთ, — გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

გამხნევდა ცია. წამოდგა და გულდაჯერებით დაიწყო.

— ჩვენ უკულმა არ ვქექავთ, ამხანაგებო. ჩვენს ბრიგადას რომ გაჭირვე-

ბოდა, დარწმუნებული ვარ, ლოშკარიოვი რომ კარგად იყოს, თავის ბრიგადის მოგვაჩმარებდა. ხომ ასეა, ხალხო? — მიმართა ბრიგადის წევრებს და გადახედა მთვარით განათებულ მათ სახეებს.

— ასეა.

— მტერს გაუჭირდეს ისე, როგორც ლოშკარიოვს უჭირს.

— ვისაც შვილი არ დაღუპვია, იმის გულს ის სატკივარი არ მოხვდება.

— ვის იცავდა ლოშკარიოვის სამი შვილი? — განაგრძო ციამ. — მარტო თავის მიწას? სხვისი ჭირი— ღობეს ჩხირი, არა კირილე? ასე არ ვფიქრობთ ჩვენ, ნენა, — „ნენა“ გამოჯავრებით უთხრა ციამ.

— ვინ თქვენ? — საქციელ წამხდარი ადამიანის კილოთი ჰკითხა ებრალიძემ.

— ბრიგადა, — მიუგო ციამ. — კოლმეურნეობა, ხალხი.

კამათი და შეხლა-შემოხლა გვიან ღამემდე გაგრძელდა. მოწინააღმდეგეთა სასწორი ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან მეორე მხარეს. ბრიგადის წევრები დაიღალნენ. სადილის შემდევ ლუკმა არ ჩასვლოდათ პირში. შიოდათ და წყუროდათ. — ერთი გულით შინ იყვნენ, მეორე გულით აქ. ეკლებზე ისხდნენ. დაშლას მაინც არ აპირებდნენ. ორივე მხარე თავის აზრზე მტკიცედ იდგა, მაგრამ ზოგს ბოლოს მაინც აღარ ეყო მოთმინება.

ციამ აღარ დააყოვნა. შეშინდა, კრება არ დაშლილიყო, კენჭი უყარა ლოშკარიოვის ბრიგადის შემოერთების წინადადებას.

ვინც წინააღმდეგი იყო იმათაც კი, მისცეს ხმა.

კირილე გველნაკბენივით წამოხტა. სიტყვა არ დაუძრავს. კუდამოძუებული გაშორდა ფარდულს...

ცია, ცისანა, ნატაშა და მაკარი კრებიდან ერთად ბრუნდებოდნენ შინ. ძილი ერეოდათ ბავშვებს. თავს ძალას ატანდნენ, ზეზეურად არ დაძინებოდათ იმდენად დაღლილები, მშივრები და დაქანცულები იყვნენ. კრებაზე ძალიან ღელავდნენ. ცდილობდნენ, ერთი სიტყვა არ გამორჩენოდათ. ებრალიძის სიტყვები ახლაც ნახევრად მძინარებს ჩაესმოდათ ყურში.

— დეიდა ცია, რა უნდა კირილეს? — დაარღვია დუმილი მაკარმა.

— ვერ გაუგებ რა უნდა. კაცი კაცით ცოცხლობს, კირილე ებრალიძეს კი კაცი ჭირივით ძულს. ეშმაკი უზის სულში.

— რას ერჩის, ლოშკარიოვს, მას თავისი უბედურება ეყოფა.

— ვის არ ერჩის, კირილე.

— ცოდვაა ლოშკარიოვი.

— კირილემ არ იცის რა არის ცოდვა.

სქელ მტვერზე რბილად ადგამდნენ ფეხს, რომ არ აშლილიყო. სულის შემხუთველი ჰაერი შეკრული იყო, ცა ისევ უფერული, გამოხუნებული, მთვარეც თითქოს გამღვალი, თუჯისფერი იყო. ვარსკვლავები ოდნავ ბჟუტავდნენ ბულის მიღმა.

— წინათ ამბობდნენ, ღმერთი კაცის შემწეაო, — ისევ დაარღვია დუმილი მაკარმა. — ახლა კაცი უნდა შეეწიოს კაცს, თორემ ცოდვაა ადამიანი. მარტო კაცი ცოდვაა, დეიდა ცია!

— რამ დაგაღონა, მაკარ, — მხარზე ხელი გადახვია ცისანამ მაკარს.

— არ მომეწონა კირილე ებრალიძე, — უთხრა მაკარმა. ბარაკის კიბეზე შეიცადა. — რატომ არა დგას, ლოშკარიოვი ფესვებზე?!

— ვინა თქვა არა დგასო?! — ჰკითხა ცისანამ.

— კირილემ თქვა, არ დგას ის ხე ფესვებზეო.

— დგას, მაკარ. მაგარ ფესვებზე დგას ლოშკარიოვი, — უთხრა ცისანამ. — ვერ დაინახე, რომ ყველა მას მიემხრო. თავი ასწიე, ბიჭო. ცხვირი ნუ ჩამოუშვი.

— კირილე ცუდი კაცია, დეიდა ცისანა...

ცია დილით ადრე მივიდა კანტორაში. ტარიელ ქარდა მარტო იყო თავის კაბინეტში. სხვა ოთახებში არავინ ჭა-

ჰანებდა. ყველა ყანებში იყო გასული. ბულალტრის ოთახში საანგარიშო ქვებს ტკაცატკუცი გაუდიოდა. ციამ მოკლედ უამბო ქარდას, როგორ გაუჭირდა თავისი წევრების დაყოლიება, ლომკარიოვის ბრიგადის შემოერთებაზე.

— ზოგმა გეგმა მოიმიზეზა, ზოგმა ნაკისრი ვალდებულება, შრომადღის ანაზღაურება.

— გეგმა, ნაკისრი ვალდებულება, შრომადღის ანაზღაურება, — გაიმეორა თავმჯდომარემ. — ამაში დასაძრახისი არაფერია, ცია!

— თუ გეგმის, ნაკისრი ვალდებულების უკან, მხოლოდ პირადი ინტერესი არა დგას, ბატონო ტარიელ!

— ეს კი დასაძრახია. ბრიგადული ეგოიზმი კიდევ მოსათმენია, პირადული კი, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში საძრახისია, — გაუღიმა ციას უძილობით დაწითლებულ თვალებით. — დიდებულია, რომ უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. მოხარული ვარ, რომ შენი იმედი გამართლდა, რომ არ შეცდი შენი ბრიგადის წევრებში. ხალხის გადაწყვეტილება მუდამ სწორია. ხალხი ბრძენია, ცია!

— წინასწარ ვიცოდი, ბატონო ტარიელ, ვინ რას იტყოდა, რას ფიქრობდა, ვინ როგორ შეხვდებოდა ჩვენს გადაწყვეტილებას, — არაფერი უთხრა კირილე ებრალიძეზე .— თქვენ ბრძანეთ, ხალხის გადაწყვეტილება მუდამ სწორიაო. დიახ, ასეა. ხალხი მარტო ერთ ადამიანზე არ ფიქრობს.

ქარდამ ისევ გაუღიმა.

— ზოგჯერ ერთ ადამიანზეც უნდა ვიფიქროთ, ცია, — დაფიქრდა და უთხრა: — მოდი, ლომკარიოვი ვინახულოთ. ვისთვის დაიღუპა მისი სამი შვილი? — ჰკითხა ციას და მის პასუხს არ დაელოდა: — ჩვენთვის, ყველასათვის!

— ბატონო ტარიელ, მაპატიეთ, რომ მადლობის თქმა დამავიწყდა, — უთხრა ციამ, — მეტისმეტი სიხარულისაგან მომივიდა.

— რისთვის მიხდი მადლობას?! — გაუკვირდა თავმჯდომარეს.

— იმისათვის, რომ მაშინ მირჩიეთ, ბრიგადის წევრებს დავკითხებოდი.

— ჰო, რასაკვირველია, უნდა გეკითხა. ეს მარტო შენი საქმე არ არის. ბრიგადის საქმეა, კოლექტივის.

— ავჩქარდი, ბატონო ტარიელ!

— არა უშავს რა. სასიამოვნოა, რომ ბრიგადის აზრი შენს აზრს დაემთხვა. თუმცა ყველა წევრის არა, — ტარიელმა იცოდა, რა თქვა წუხელ ებრალიძემ, კირილესთანები ჯერ კიდევ არიან. პირადული უკმაყოფილებით დაბრმავებულები საზოგადოებრივ ინტერესებს თავისას ანაცვლებენ. ამისათვის არაფერს ერიდებიან. კირილესთანა კაცს თავისი ცოდვა ზურგზე ჰკიდია, ცია!

ციამ კაბინეტში შესვლისთანავე თვალის ერთი შევლებით დაინახა ფარული ნაღვლითა და უძილობით დასიებული, ნისლიანი თვალები. ერიდებოდა ეკითხა მეუღლის ამბავი, მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინა:

—მარიამი როგორ არის, ბატონო ტარიელ?

— ვერ არის კარგად. წუხელ ისევ ჰქონდა შეტევა.

ტარიელს შვილისაგან ისევ არ მოსდიოდა ბარათი. არც რძლისა და შვილიშვილის ამბავი იცოდა. მარიამისათვის ყოველი დღე შიშით ღამდებოდა და ყოველი ღამე შიშით თენდებოდა. თავის შიშს ქმართან არ ამჟღავნებდა. შეკავებული დარდი უფრო ძნელი ასატანი იყო და მის სნეულ გულს ცეცხლად ეკიდებოდა. კვირა ისე არ გაივლიდა, მანქს არ შემოეტია. განსაკუთრებით ღამით. ტარიელი თეთრად ათენებდა, ცალკე შვილისა და მისი ოჯახის დარდით, ცალკე მეუღლის. მოტყდა, რამდენიმე წლით მოხუცდა. არავინ ჰყავდა ცოლთან დამტოვებელი.

— წავიდეთ, — წამოდგა ტარიელი, რომ მარიამზე სიტყვა აღარ გაეგრძელებია. საკიდარიდან ქუდი ჩამოხსნა. — უნდა ვუთხრათ ბრიგადის შემოერთების ამბავი. კი არ ვუთხრათ, — გაუსწორა თავის თავს. — შევუთანხმოთ,

რომ არ ეწყინოს. მის მდგომარეობაში მყოფ კაცს, ცოტა რამ ატკენს გულს.

— ცოდვაა, ლოშკარიოვი, ბატონო ტარიელ. არ ვიცი, რა ეშველება!

— არაფერი. ასეთი ჭრილობა სამუდამოდ რჩება ღიად. ჩვენი ვალია, ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ ტკივილი.

მიხეილ ლოშკარიოვს მერვე ბარაკში ფირფიცრით გადატიხრული პატარა კუთხე ეკავა. ტარიელი და ცია ბარაკში რომ შევიდნენ, იქ არავინ დახვდათ. მხოლოდ კოღოების წუილი არღვევდა სიწყნარეს. ფანჯრები ორივე მხარეს ღია იყო, მაგრამ ჰაერი მაინც არ იძროდა.

ტარიელი და ცია ტიხრისაკენ გაემართნენ.

მიხეილ ლოშკარიოვი პერანგისა და შარვლის ამარა ტახტზე იწვა. ეტყობოდა ნასვამი იყო. სახე გალახული ჰქონდა, თვალებს აელმებდა, ოფლში ცურავდა. ტიხრულში სიცხე და ჰაერი უფრო მძიმე და აუტანელი იყო. ფანჯარას მზე ადგა. კედლები, იატაკი ისე გაეხურებინა, ხელს ვერ დაადებდი.

მზე ადგა ლოშკარიოვსაც. ბურანში გახვეული თვლემდა. ნაბიჯის ხმა რომ შეესმა, თვალი გაახილა. ამ დროს ბარაკში მომსვლელი არავინ ეგულებოდა. ნაბიჯის ხმა მის ტიხრს უახლოვდებოდა. ლოშკარიოვი იწვა და უცდიდა, ვინ შემოვიდოდა.

მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ტიხრის ზღურბლს ტარიელ ქარდა და ცია ცანა მოადგნენ. უცებ გამოვიდა ბურანიდან. წამოჯდა და დამნაშავესავით შეხედა თავმჯდომარეს.

— გამარჯობათ, მიხეილ ფილიპოვიჩ, — მიესალმა ქარდა. დაინახა რა დღეში იყო. — დაბრძანდით, — უთხრა. ორივე ხელი მოკიდა და დასვა.

ტიხრში მხოლოდ ერთი ტაბურეტი იდგა.

— თქვენ? — ჰკითხა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ლოშკარიოვმა.

— ცია ტაბურეტზე დაჯდება, მე ტახტზე, შენთან, — უთხრა ტარიელმა.

— როგორა ხართ, მიხეილ ფილიპოვიჩ?

— მე რაღა საკითხავი ვარ, — ამოიოხრა ლოშკარიოვმა.

— უნდა გამაგრდეთ, მიხეილ ფილიპოვიჩ. თავს გაუფრთხილდეთ.

— რისთვის, ან ვისთვის გავუფრთხილდე თავს, — დაჯდა ლოშკარიოვი, როცა ტარიელი და ცია დასხდნენ.

— ბევრია თქვენს დღეში, — სანუგეშო მეტი ვერაფერი უთხრა ტარიელმა. თვითონ იყო სანუგეშებელი.

— ბევრია, — გაიმეორა ლოშკარიოვმა. — მაგრამ ამით რა. მით უარესი, რომ ბევრია... ჯავრი ჯავრს ემატება! — ტკივილისაგან თავი უსკდებოდა. — ჩემი შვილები აღარ არიან. მე ფეხზე ვარ.

— თქვენ კიდევ საჭირო ხართ, ბიძია მიხეილ, — შეებრალა, გული დაეწვა ციას.

— აღარავისთვის აღარა ვარ საჭირო... ლოთი, ოხერი. პირველი ჩემი ბრიგადა გადამიდგა. თავი მომჭრა. ყანა ილუპება. მე კი არაყს ვეძალები, რომ ჯავრი მოვიკლა. გამოდის, რომ ჩემს თავზე ვფიქრობ, ჯავრის განელებაზე. ასეთი საზიზღარია ადამიანი.

— თქვენ თავზე არ ფიქრობთ, ბიძია მიხეილ!

— აბა რატომ ვეძალები არაყს?! ახლა მე ყანაში უნდა ვიყო: ათ წილ მეტს უნდა ვმუშაობდე.

— თქვენ კიდევ იმუშავებთ, ბიძია მიხეილ!

— ყანას მიხედე, შვილო, — სთხოვა ციას ლოშკარიოვმა.

ცია მთელი დღე ლოშკარიოვის ბრიგადას დასტრიალებდა, თავის ბრიგადაში დღეში ერთხელ მივიდოდა რამდენიმე წუთით. იქ გაწყობილი ჰქონდა საქმე. მერგოლეურები მისი ერთგულებიც იყვნენ და საქმისაც. ლოშკარიოვის ბრიგადაში ასეთ ერთგულებას არ ხედავდა და არც ელოდა.

ალიონზე დგებოდა, ჩამოუვლიდა ბრიგადის წევრებს. ვიდრე ლოგინი-

დან არ წამოაგდებდა და არ გათათხავდა, არ მოეშვებოდა. არ გაგიგონიათ, თქვე უქნარებო, შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო. მუშაობაზე თავი არ გვკვდებათ, შუაღლემდე ლოგინში რა ცოდვის კითხვა გაჩერებთ. ადექით, მზე დიდი ხანია გადაიხარა. (მზე ჯერ ამოწვერილიც არ იყო). ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყანაშია გასული. თქვენ რა ღმერთმა დაგბორკათ, რამ შეგიკრათ ხელ-ფეხიო.

ეუბნებოდა მოურიდებლად და განურჩევლად ყველას,—რუსს, ბელორუსს, უკრაინელს, ქართველს, უფროსსა და უმცროსს.

ვინც დალევდა და სამუშაოდ არ გამოვიდოდა, შრომადღით აჯარიმებდა. ვინც ბაზარში დადიოდა, ფეხი ამოუკვეთა. ცალ-ცალკე ყველას დაუნიშნა, ვის რამდენი უნდა გაემარგლა დღეში. თუ ვინმე ნორმას არ შეასრულებდა, შინ არ გაუშვებდა, ვიდრე არ გამარგლავდა შუაღამემდეც, რომ დარჩენილიყო ყანაში.

ქალი კი არა, ქაჯი ყოფილაო, ამბობდნენ უკმაყოფილოები. ქალს უთქვამს: ზღვას ცეცხლს მოვუკიდებო. მართალი ყოფილაო, ამბობდნენ კმაყოფილები.

ნელა, მაგრამ საქმე თანდათან წინ მიდიოდა. აღარავინ სვამდა ჯარიმის შიშით, ფოთის ბაზარზე აღარ ფიქრობდნენ.

დღე ისე არ გავიდოდა, ან თავმჯდომარე არ მოსულიყო ბრიგადაში, ან პარტორგანიზაციის მდივანი ლონგინოზ ლომჯარია. მივიდოდა ლონგინოზი, გამოართმევდა რომელიმე მოხუც ქალს თოხს, ჩადგებოდა სვრელში და ისე სწრაფად, ისე გაწაფულად მარგლავდა, ისე კოხტად და მსუბუქად ხმარობდა თოხს, კაცი თვალს ვერ მოწყვეტდა.

ამის შემყურე, მკვდარიც გაანძრევს ხელსო, უხაროდათ ბრიგადის წევრებს. ლონგინოზი მუშაობდა, ხუმრობდა, ოხუნჯობდა, სხვებსაც აცინებდა და თვითონაც იცინოდა. იმდენად გადამდები იყო მისი შრომა, ხალისი და სიცილი, რომ სხვებიც უკეთ ამუშავდნენ.

გუდუია ესვანჯიამ და ისიდორე სიორდიამ ერთ დღეს მოათავეს თავის ყანის გამარგვლა და იმავე დღეს შემოერთებულ ბრიგადას მიაშურეს.

მეორე დღეს მათ ნატაშა და მაკარ ბაჩალოები მიჰყვნენ, შემდეგ დანარჩენები. უნდოდათ, ვადაზე ადრე ჩაეტარებიათ იქ მარგვლა.

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მართლაც დროზე ადრე ჩაატარეს მარგვლა. სურვილი საქმედ აქციეს.

ერთი პირის ჰქონდა და ბევრი ხელისაო, ეუბნებოდა სალამოს შინ მიმავალი გუდუია ნატაშასა და მაკარ ბაჩილოებს. უდედმამოდ დარჩენილნი ისე იყვნენ საქმეში ჩაბმული, დარდისა და ვარამისათვის აღარ ეცალათ.

ისიდორე თავის ოჯახშიაც გამოიცვალა. თუ წინათ თვეში ერთხელ მიაკითხავდა ცოლ-შვილს, ახლა ყოველ კვირადღეს მიუხაროდა შინ. ბავშვებისათვის მოსაკითხი მიჰქონდა. მათი სიყვარულით ვერ ძღებოდა. ცოლისაკენაც მოუბრუნდა გული და ცოლიც შეურიგდა.

დარწმუნდა ნატაშასა და მაკარის მაგალითზე, რა ძნელი ყოფილა უმამობა და უდედობა. იმათკენაც მოუბრუნდა გული, ვის გვარებსაც უბის წიგნაკში იწერდა. ყველას კაცურად ეპყრობოდა, გარდა კირილე ებრალიძისა. მას სამუდამოდ მიაბერტყა კალთა.

ებრალიძე დაბოღმილი იყო. — „არ ვაპატიებ, არ შევარჩენ ღალატს, — ემუქრებოდა გულში. აშკარად ვერაფერს უბადავდა.— მოღალატე კალთაზე რომ მოგედვას, ის კალთა უნდა მოიჭრა. — ასევე ფიქრობდა ერმილე ჯაყელზეც. იმასაც მოღალატედ თვლიდა. მარტო ამ ორ კაცს კი არა, ყველას, ვინც მხარს არ უსწორებდა, მისი ჭკუით არ ფიქრობდა და არ ცხოვრობდა.

ისიდორემ და ერმილემ იცოდნენ, კირილე არ დაინდობდა, პირველივე შემთხვევაში იძიებდა შურს, მაგრამ არ შეშინდნენ, მართალ გზაზე დამდგარნი,

ეშმაკის გზაზე გადახვევას არ აპირებდნენ.

ერთადერთი კაცი, ლოშკარიოვის ყოფილ ბრიგადაში რომ არ წავიდა, კირილე ებრალიძე იყო. როგორც კი თავის ნაკვეთის გამარგვლა მოათავა, თოხი მხარზე გაიდო და შინ გაეშურა.

არავის გაკვირვებია, არც არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება და არ უკითხავს — კირილე, მთელი ჩვენი ბრიგადა იქაა წასული და შენ რამ აგიგორა გულიო!

ამან უფრო აუმღვრია გონება. სათვალავში არ ჩააგდეს, ზურგი შეაქციეს. კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდა თავის თავს. კიდევ ერთხელ გაჰკრა შიშმა, ნამდვილად ქაჯი მითამაშებს სისხლშიო.

გუდუია ესვანჯიამ და ისიდორე სიორდიამ ნატაშა და მაკარი შუაში ჩაიყენეს და იმ ნაკვეთის კვალში ჩადგნენ, ლოშკარიოვს თავისთვის რომ ჰქონდა მოზომილი. მიხეილის ბრიგადის ყანაში ახლა ყველა მუშაობდა, კოლმეურნეობის კანტორის თანამშრომლებიც კი; სულზე მიუსწრეს სიმინდს. კიდევ რამდენიმე დღე რომ დაეგვიანებინათ, მიწა იმ წაჭერილ მარწუხს ბოლომდე წაუჭერდა და წაახრჩობდა.

გუდუიასავით ისიდორე სიორდიაც უცებ დაუახლოვდა ნატაშასა და მაკარს, შვილების ალერსს მოწყურებული კაცი, ცოლის სიძულვილის გამო მეტ დროს გარე-გარე ატარებდა, შვილებს იშვიათად ნახულობდა. რაც იმათ ადრე ყურადღება და ალერსი დააკლო, ახლა ნატაშასა და მაკარს უნაწილებდა. დედის დაღუპვის ამბავი რომ უამბეს ბავშვებმა, მას შემდეგ კიდევ უფრო მეტს ზრუნავდა მათზე!

დედა რომ დაეღუპათ ნატაშასა და მაკარს, ფაშისტები შორს იყვნენ, მაგრამ სწრაფად მოიწევდნენ წინ. სოფელი მაინც არ ელოდა მტრის უეცარ მოახლოებას. გვიან აიყარა. ყველაზე ბოლოს ნატაშასა და მაკარის ოჯახი გავიდა სოფლიდან. მეზობელმა, რომლის ფორნითაც უნდა გაქცეულიყვნენ, დროზე ვერ იპოვნა თავისი ცხენი. დედა კოფოზე დაჯდა. ნატაშა, მაკარი, ბებია ოლგა და მეზობლები გვერდით გაჰყვნენ ფორანს. სირბილით მიდიოდნენ.

ღრუბლებში უცებ გამოიჭრნენ გერმანელების თვითმფრინავები. ყველამ ვერ მოასწრო გზიდან გადარბენა, გზისპირა ყანაში ჩამალვა. ისინი კი, ვინც გზაზე დარჩნენ, ერთი ჯერით დაცხრილა პილოტმა. ნატაშასა და მაკარის დედას ალვირში გაეხლართა ფეხი და ცხენთან ერთად იქვე დარჩა.

თვითმფრინავი როგორც მოიჭრა, ასევე უცებ გაბრუნდა და ღრუბლებს შეეფარა. ხალხი წამოცვივდა ყანიდან. გზისკენ გაიქცა. იცოდნენ, რომ იქ არავინ დარჩებოდა ცოცხალი.

ბებია ოლგა ნატაშასა და მაკარს აეფარა, ფორნისაკენ არ გაუშვა.

ნატაშასა და მაკარსაც მოეწონათ ისიდორე. უკვირდათ, რატომ არავინ მეგობრობდა ამ კეთილ კაცთან. მართალია, ისიდორე გუდუიასთან ერთ ოთახში ცხოვრობდა, მაგრამ ატყობდნენ, არც გუდუიას ეხატა გულზე. რატომ?! ეკითხებოდნენ ერთმანეთს და პასუხს ვერ პოულობდნენ.

ბავშვებს ეცოდებოდათ ისიდორე. უკვირდათ, რანაირად მუშაობდა ამდენს ეს ერთციცქნა კაცი, რანაირად იტანდა მისი გალეული სხეული ამდენ ჯაფას, რანაირად შეეძლო მუშაობის დამთავრების შემდეგ ყოველ კვირა სალამოს ფოთის გრძელ გზას გადგომოდა, რომ ცოლ-შვილი ენახა, ან სათევზაოდ გაყოლოდა მათ.

ეს ბუმბულივით მსუბუქი კაცი ისეთი ძალით ჩაყვინთავდა რიონში, თითქოს ძარღვებში ტყვია ესხა, ისე მარდად ამოიყვანდა მდინარის კალაპოტის კედელში ღრმად შეჭრილ ღრმულიდან თითქმის თავის სიგრძე ღლავს და ისე მსუბუქად ამოაგდებდა ნაპირზე, ბავშვები გაოცებას იყვნენ.

იცოდნენ, ისიდორე მათთვის ირჯებოდა. მათთვის ყლაპავდა რიონის დუბელა, თბილ წყალს, ისიც იცოდნენ, რომ თევზი ჭირივით სძულდა, ერთ

ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, მის სუნსაც კი ვერ იტანდა.

ისიდორე მწარე ხვედრნაწნევი იყო. გამოვლილი ჰქონდა ცხოვრების ყველა სიდუხჭირე. კიდევ ამიტომ ექცეოდა ბავშვებს ასე გულთბილად. იცოდა, დედა როგორ დაეღუპათ .მამისაგან კი წერილი დიდი ხანია არ მოსდიოდათ. თავის შორეულ მიწაწყალს მოშორებულები, აქ, კოლხეთის გაცოცხლებულ მიწაზე ცხოვრობდნენ. მიწაზე, რომელსაც მათი ბიძა აშრობდა. ლუკმაპურს თავის შრომადღით შოულობდნენ, დედ-მამის სახელს ღირსეულად იცავდნენ.

ცისანა და ცია გულისყურს არ აკლებდნენ, როგორც ახლობლებს ისე ექცეოდნენ, მაგრამ ბავშვები თავს მაინც ობლებად გრძნობდნენ.

ამიტომ ზრუნავდა ისიდორე განსაკუთრებული მონდომებით ბავშვებზე, ამიტომ ცდილობდა გაექარვებინა მათი დარდი.

რამდენიმეჯერ თავის შვილებთან წაიყვანა ფოთში, იმ მცირე რამით, რაც მის ღარიბ ოჯახს ებადა, გულუხვად გაუმასპინძლდა, ქალაქი დაათვალიერებია, კინოში წაიყვანა.

ერთხელ ნატაშას გააცია. სიორდია არც დაფიქრებულა, დიდი ხნის გადამალული ქინაქინის ამპულები მოურბენინა და ექთანი მოუყვანა. მესამე დღეს ფეხზე დააყენა.

ის სამი დღე ცისანა ადგა თავზე თავის საქმროს ძმისწულს. ერთი საათი არ მოშორებია. ფეხზე კი დადგა ნატაშა, მაგრამ ისე დასუსტდა და გახდა, ერთი თვის ნაავადმყოფარს დაემსგავსა.

ცისანას უნდოდა თავის სოფელში წაეყვანა მშობლებთან, რომ იქ სული მოეთქვა. ნატაშა ცივ უარზე დადგა: სხვებსაც აციებთ ბრიგადაში, მაგრამ დასასვენებლად არ მიდიან, მე რა წითელი კოჭი ვარ, ერთი დღით ვერ მივატოვებ ჩემს ბრიგადასო.

მარგვლა მოთავებული ჰქონდა. მაინც ვერ დაიყოლია ცისანამ. თორმეტი წლის გოგოს ასეთმა საქციელმა, ცისანა და ცია აღტაცებაში მოიყვანა. კიდევ უფრო შეუყვარდათ ანტონის ძმისწული.

ნატაშა და მაკარი მამისაგან ბარათს აღარ ღებულობდნენ, შიშით აღარ იყვნენ. დარდს გულში იკლავდნენ, სხვებს არ უჩვენებდნენ.

მარგვლა ყველა ბრიგადამ დროზე მოათავა. ორი კვირა დაჭირდათ. ასეთ ვადაში გამოცდილი მესიმინდე მამაკაცებიც კი ვერ მოასწრებდნენ ამოდენა ყანის გამარგვლას კარგ ამინდშიც კი და გვალვისას ხომ ვერ მოასწრებდნენ და ვერა.

ყველას უკვირდა რაიკომში, ქალების, ბერიკაცების და ბავშვებისაგან შემდგარმა, ნახევრად მშიერმა და ციებით დასნეულებულმა კოლმეურნეებმა როგორ მოასწრეს ამდენი მიწის გამარგვლაო.

ომმა გააკეთებინათო, ამბობდა რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია.

ოვალურ კვლებზე მთლად აიწყვიტა თავი სიმინდმა. ყოველ დღე ჯიქურ, ძლიერად იწევდა მაღლა, უმსხვილდებოდა ტანი, უსქელდებოდა ფოთოლი. პირველი თოხი ახალი მოთავებული იყო და უკვე მუხლამდე წვდებოდა კაცს, ამაყად მდგარს ზღვაური შერხევას ვერ უბედავდა. მიწა ძირში ისე უხვად ჰქონდა შემოყრილი და ამით ნესტი შერჩენილი, რომ გალაღებული ამაყად და თავმომწონედ გადაყურებდა სფერულ კვლებს.

ცია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, სულ დეიდა ოლგას ხსენებაში იყო. ოვალურ კვლებს კი არ ამბობდა, დეიდა ოლგას კვლებიაო, გაიძახოდა. ამას სხვებიც იმეორებდნენ, ციას ბრიგადის ყანის დანახვაზე. შეხედეთ, დეიდა ოლგას კვლებზე სიმინდს, რა ფერი დაეშხი გადასდისო.

მტრის სატანკო დივიზიებმა მდინარე დონი გადალახეს, ზადონსკისა და სალსკის სტეპებზე გაიჭრნენ, მერე კრასნოდარის გაშლილ ველებს მოედვნენ

და წინ გასწიეს, რომ კავკასიონის მთავარი ქედისათვის შემოევლოთ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მერე შავი ზღვისა და კასპიის ნაპირებზე გასულებს, ამიერკავკასია მარწუხში მოექციათ.

ჩვენს სარდლობას სასწრაფოდ უნდა გაემაგრებინა საქართველოს ზღვისპირეთი, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და სანგრები უნდა გაეთხარათ.

არ დარჩენილა ფოთში და ზღვისპირა სოფლებში ადამიანი, ვისაც ბარისა და წერაქვის აღება შეეძლო, რომ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებისა და სანგრების სათხრელად არ გასულიყო. არ გადიოდნენ მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მოსამსახურეები. იქ სამ ცვლად მუშაობდნენ. დაწესებულებების თანამშრომლები და კოლმეურნეები კი ღამითაც მიდიოდნენ სათხრელად.

„ოქროს საწმისის“ კოლმეურნეები დაბრუნდებოდნენ თუ არა ყანიდან და ივახშმებდნენ, სულსაც არ მოითქვამდნენ, ისევ გაეშურებოდნენ სათხრელად. მიდიოდა ქალი, ბერიკაცი, ბავშვი.

მიხეილ ლოშკარიოვმაც კი მიანება თავი არაყს ამ საშიშროების ჟამს და ბარი აიღო.

მხოლოდ კირილე ებრალიძე იდგა განზე. ხან რას იმიზეზებდა, ხან რას. წელკავი მკლავსო, ჩუმმა ციებამ წამახდინა კაციო, კუჭის წყლული • სიცოცხლეს მიმწარებსო.

ივლისის მიწურულს ფოთში ვითომ ექიმთან წასული კირილე, გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა.

მთვარიანი ღამე იდგა.

გზა ყანებშუა გადიოდა. აქეთ-იქით სიმინდის მაღალი კედელი იყო აღმართული. მეორე თოხი, რომელსაც ოდიოშში მაჟირუას ეძახიან, კარგა ხნის მოთავებული ჰქონდათ და ყანა ტაროში იყო შესული. სიმინდს ტანი ისე აეყარა, ცხენიან კაცს დაფარავდა. ლობიოსა და მუხუდოს ისე გაესქელებია ყანა, კაცს გზის გაკვლევა გაუჭირდებოდა.

კირილე ნელა მოდიოდა. დაქანცული იყო გრძელი გზით. ფერმიდან ყორათამდე კარგა დიდი მანძილია. უცებ მარჯვენა მხრიდან სიმინდის ფოთლების ჩუმი შრიალი შეესმა. შედგომა ვერ მოასწრო, ვიღაცამ განზე გადაწია სიმინდები და გზაზე გამოვიდა. ორი ნაბიჯით მიუხტა კირილეს, გულზე პისტოლეტი დაადო. მან ადრე დაინახა გზაზე მომავალი კირილე, სიმინდებში გვერდზე გამოჰყვა და აქ უყელა გზა.

— ვინა ხარ, ნენა?! — არ შეშინდა კირილე.

უცნობმა მეორე ხელი პირზე დააფარა.

— ყანაში შემომყევი, — უბრძანა დამტვრეული ქართულით. პისტოლეტით უბიძგა.

„მტერია“, — მაშინვე გაუელვა კირილეს თავში, — მაგრამ ჩემი არა, — მორჩილად, სიამოვნებით გაჰყვა. კირილე წინ მიდიოდა. ფრთხილად წევდა განზე სიმინდებს და მათზე ასულ ლობიოს, მაგრამ მაინც ლობიოში ხელები ეხლართებოდა და მუხუდოში ფეხები.

მის უკან მომავალ უცნობს კი არც ხელები ეხლართებოდა და არც ფეხები.

ყანაში ღრმად რომ შევიდნენ და გზას დიდი მანძილით დაშორდნენ, უცნობმა ახლა ზურგზე მიადო პისტოლეტის ლულა, ამით ანიშნა შეჩერდიო.

კირილე შეჩერდა. უცნობს მიუბრუნდა. ახლაღა შეხედა სახეში, იგი ორმოცდაათი წლის იქნებოდა. ჩაფსკვნილი იყო, საშუალო ტანის, შუბლი ნაჭრილობევით ჰქონდა გადაღარული. მკაცრ სახეზე, თითქმის უმთძრაო თვალები მთვარის შუქზე ცივად უელავდნენ. მუქარით შეჰყურებდა კირილეს.

ებრალიძე არც ახლა შეშინდა. მშვიდად გაუსწორა თვალი.

— რა გინდა, ნენა?! დაუშვი რევოლვერი, — უთხრა წყნარად, — ვხედავ, მტრად ხარ მოსული, მაგრამ ჩემთან სამტრო არაფერი გაქვს. მე მასპინძლად მიგულე.

უცნობმა შეატყო, გულწრფელად ეუბნებოდა.

— იქიდან მოვედი.

— მივხვდი, ნენა. ზღვიდან გადმოგსხეს ალბათ.

— მაგას მნიშვნელობა არ აქვს.

— მალე მოხვალთ?

— მოსული არა ვარ.

— ერთი მერცხალი გაზაფხულის მოსვლა არ არის, ნენა, — უთხრა კირილემ.

— ასე გეჩქარება?!

— სული მიმდისო, რომ იტყვიან, ისე ვარ.

— რატომ?!

— შემჭამეს ბოლშევიკებმა.

— არ გიყვარს ბოლშევიკები?

— არა!

— არ დაგახრჩვეს?

— აქამდე გავუძელი. მეტი აღარ შემიძლია.

— აბა აწი კი გეშველება, — ულვაშებში ჩაიცინა უცნობმა.

კირილეს არ გამოეპარა ეს, მაგრამ იფიქრა, ბოლშევიკებს დასცინისო.

— რით დაგეხმარო, ნენა?

— შენი ხალათი მე მომეცი, ჩემს პიჯაკს შენ მოგცემ. ქუდებიც გავცვალოთ.

— ეგ ადვილი სამსახურია.

— ძალიან მეტყობა, რომ აქაური არა ვარ? — ჰკითხა უცნობმა.

— ჩვენთან იმდენი გარეშე ოხერი დაეთრევა, ქართველებზე მეტი მგონი სხვებია. ვინ გაარჩევს?! — ჩაიხითხითა კირილემ.

— გაიხადე ხალათი!

ებრალიძემ სწრაფად შეიხსნა ქამარი. იქვე დააგდო. ხალათის კალთა ორივე ხელით აიწია, რომ თავზე გადაეტარებია.

— ხოხო, რა პიჯაკში გიცვლი. დღეს ფოთში ვიყავი. ბაზარზე ვიყიდე-მეთქი ვიტყვი. ახლა ბაზარზე ნიფხავსაც კი ყიდიან, ისეა ხალხი დამშეული, — ხალათი წაიძრო და გაუწოდა.

ვიდრე კირილე ხალათს იხდიდა, უცნობმა პისტოლეტი შარვლის ჯიბეში ჩაიდო. იქ საკეც დანას სწვდა. ხალათი მარცხენა ხელით ჩამოართვა. ის დანა ცერი თითის დაჭერით ჰაერში გახსნა. გაწკაპუნდა ლითონი, მაგრამ კირილემ თვალი ვერ შეასწრო, ისე გაუყარა დანა გულში.

კირილე შექანდა, წაქცევისას ქვეშ სიმინდები მოიყოლა, პირაღმა დაეცა და უცებ განუტევა სული.

უცნობმა დანა პერანგზე შეიწმინდა, ისევ დააჭირა ცერი თითი. კვლავ იმ ხმაზე გაწკაპუნდა ლითონი და დანა დაიკეცა. ქამარი აიღო. ხალათის ჯიბეში პასპორტი თუაო, გასინჯა. მერე ხალათის გახდისას წავარდნილ ქუდს წამოავლო ხელი და სიმინდებს ისე შეერია, ერთი ფოთოლი არ შეურხევია.

ებრალიძეს ბრიგადირისათვის დაბარებული ჰქონდა, ფოთში მივდივარ ექიმთანო. დაბრუნდა თუ არა იქიდან კირილე, ამით არავინ დაინტერესებულა, არავის მოუკითხავს.

ფოთში იმიტომ წავიდა, რომ გაზეთისა და რადიოს საინფორმაციო ცნობებს არ უჯერებდა. უნდოდა ქალაქში ხალხის განწყობილება გაეგო, რას ამბობდნენ კავკასიის ფრონტზე, რა მდგომარეობა იყო იქ. იქიდან ელოდა გერმანელების შემოსვლას.

ბევრი არ იყო დარჩენილი კავკასიონის უღელტეხილამდე. კირილეს გული სიხარულით უფრინავდა, შემოუვლიან თუ არა მთავარ ქედს, მერე რიხინრიხინით გამოეშურებიან საქართველოსაკენო.

გავიდა რამდენიმე დღე და სიცხეპაპანაქებაში ცხედარს სუნი აუვიდა. ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულმა ისიდორე სიორდიამ, გზა რომ შეემოკლებია, ალექსანდრე მედვედის ბრიგადის ყანაში გადაუხვია. თავისი გალეული ტანით ადვილად ძვრებოდა ერთმანეთში ჩახლართულ სიმინდებში, ლო-

ბითში და მუხუდოში. სუნი შორიდანვე ეცა. იფიქრა, ალბათ ნადირის მძორიაო.

რაც უფრო უახლოვდებოდა იმ ადგილს, საიდანაც სუნი მოდიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა სიმყრალე. გადაწყვიტა, მძორი ყანიდან გაეტანა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ზედ წაადგა მას.

კირილე ისე იყო გახრწნილი, ძლივს იცნო. გაუკვირდა, რამ მოიყვანა ყანაში პერანგის ამარა ფოთიდან დაბრუნებული და ვინ მოკლაო. გულის არე და სახე ჩამპალი, ჩაშავებული ჰქონდა.

კირილე არავის დაუტირია. არც არავის ტკენია გული. მესამე დღეს ფოთში ახლად გარემონტებული გემი აფეთქდა. იქვე. ნაპირზე გემიდან მოშორებით ნაჭრილობევით შუბლგადალარული მეზღვაკაცის გვამი იპოვეს.

ზაფხული იწურებოდა.

ხშირი, მაგრამ ხანმოკლე, შხაპუნა წვიმები ბანდა მიწას, ზღვიდან აღარ ჰქროდა ცხელი, ნესტიანი ნიავი. ფერისცვალება ახალი გასული იყო და ბუნებას მართლა შეეცვალა ფერი და ზნე.

სიმინდის დარი დგასო, ამბობდნენ ბერიკაცები. მის შემხედავს გული სიხარულით ევსებოდა. დეიდა ოლგას ოვალური კვლების ყანა სფერულ კვლების ყანიდან ახლა კიდევ უფრო გამოირჩეოდა. ვინც კი შეხედავდა, ასეთი ყანა კაცის თვალს არ უნახავსო, იტყოდა.

სამ-სამი და ოთხ-ოთხი, მკლავის სიმსხო ტაროებით დაჯოგრილი, ცისარტყელას ფერებით ანთებული, გადაგრეხილი ულვაშებით დამძიმებული სიმინდის ტანი ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გადაწოლილიყო. ტარო ფუჩეჩში ველარ ეტეოდა. წვიმების შემდეგ ყანა ისე ღაღანებდა, ისე მსუყედ და მაძღრად ბზინავდა სიმწიფეში ადრე შესული, უნებლიედ გაიფიქრებდი, რა მიწამ შობაო ეს დალოცვილი.

ყანა ფეხმძიმე დედაკაცს ჰგავდა.

ჯერ დათვი დაიჭირე და მისი ტყავი მერე გაყიდეო, ამბობს ანდაზა, მაგრამ ლონგინოზ ლომჯარიას დათვი უკვე დაჭერილად მიაჩნდა. ზუსტად ჰქონდა ნაანგარიშევი ჰექტარზე რამდენ ცენტნერ სიმინდს აიღებდნენ. თავზე ცეცხლი ეკიდა, სად წაეღო ამდენი სიმინდი, ლობიო და მუხუდოვო. ამის ნახევარს ვერ დაიტევს ჩვენი სასიმინდეები, ვინ ელოდა ასე თუ ზღვად გასკდებოდა ყანა.

სასიმინდეების ასაშენებლად სასწრაფოდ ხე-ტყე და ყავარი უნდა დაემზადებიათ. მოსავლის აღებამდე ცოტა დრო რჩებოდა. ისიდორე სიორდიასთან ერთად სავარაუდო გეგმა შეადგინა, ვინ და რამდენი კაცი გაეგზავნა ყორათის ტყეში ჯარგვალის საჭრელად. ჯარგვალი ოდიშურად რგვალ ხეს ნიშნავს. ასეთ ხისაგან აშენებდნენ სასიმინდეებს, რომ კედლებს ქარი გაუვიდეს, სიმინდი არ ჩახურდეს.

ყორათის ტყეში საყავრე ხე არ ეგულებოდათ, იქ მხოლოდ თხმელა იყო. ყავარს კი მუხისა და ცაცხვისაგან ამზადებენ. გადაწყვიტეს, ისლით დაეხურათ სასიმინდეები. ისიც იანგარიშეს, რამდენი ურემი დაჭირდებოდათ ჯარგვალისა და ისლის მოსაზიდად, რამდენი ხურო ასაშენებლად.

ლონგინოზ ლომჯარიამ ისიდორე ისლის მთიბავებს გააყოლა პალიასტომზე.

გუდუიას ურმების მომზადება დაავალა. თვითონ ხის მჭრელებს გაჰყვა ტყეში. ლონგინოზი, როგორც წინათ მშენებლობაზე, ახლა აქაც უმთავრესად სამეურნეო საქმეებს განაგებდა.

ახლა შრომა იყო მთავარი. შრომა იყო მისაბაძი, სამაგალითო და ყველაზე დიდი პროპაგანდისტი. შრომა სჭედდა ზრუგში გამარჯვების საქმეს.

◻ გაგრძელება იქნება ◻

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლია სტურუა**

## გაზაფხული

ერთხელ, გვიან შემოდგომაზე,
ბაზართან ატუზულმა დედაბერმა
შალის წინდები მომყიდა,
მე არ მჭირდებოდა შალის წინდები,
მაგრამ დედაბერი შემეცოდა,
თან რომ არ სწყენოდა,
ფასი ოდნავ გაოცებით ჩავიმღერე,
მოვრიგდით,
წინდები ჭრელი კნუტებივით
ჩამიწყო ხელში,
უკიდეგანო კაბის ნაოჭებში
ქარი აიკრიფა და გაფრინდა,
ქალაქის განაპირას, სოფელ ბაგებში,
სადაც მის მრავალრიცხოვან ოჯახს
ერთმანეთთან და ძროხასთან
ჩახუტებულს
უკვე ეძინა...
ძროხა მაკედ იყო და მარცხნივ,
მზის მხარეზე მძიმდებოდა,
აღმოსავლეთს მისით სცნობდა დედაბერი
მათ, ალბათ, რკინის ღუმელიც ედგათ
სოფელ ბაგებში,
რომელიც ქალაქმა
ტყის კიდეზე მიიმწყვდია
და ცარცის ყალიბს ამზადებდა
მისთვის...
ქარი ქროდა მთელი ზამთარი,
ხეები დაილალნენ სირბილით,
მძიმე იყო კედლების
თეთრი სახეების ყურება,
იატაკზე დაყრილი წინდები
უპატრონო ჭრელ კნუტებს გავდნენ
და ამ ჭრელმა თაიგულმა ცარცის
ფონზე,
ბრმა კნუტების სიბრალულმა,
გადამატანინა კედლების
თეთრი სახეების კრთომა,
რომლებიც წინ მეღობებოდნენ,
როცა ქუჩაში გავდიოდი
და რომლებზედაც, როგორც ეკრანზე
გარბოდნენ ქანცგაწყვეტილი ხეები...
ამ გაზაფხულზე
წინდებს, ალბათ, ჩრჩილი შეჭამს,
მე მათთვის ველარ მოვიცლი,
ახლა აყვავებული ხეებია მისახედი,
რადგან ცაში
სეტყვის ლაბი ინასკვება,
თუმცა რა უნდა მოხდეს იმაზე უარესი,
რისი წარმოდგენაც არ შეგიძლია...

## ლირიკული გადახვევა

ჩემი მუშა ტვინის და
მუშა გულის გზაჯვარედინზე
უქმე დღესავით ძევს არე,
რომელსაც ჩემი სულიერი სამყარო ჰქვია
და რომელშიც
აყვავებული ხეების მიღმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ბროწეულის ცეცხლი,
ნუშის თეთრი მიტკალი)
დაფშვნილი შუშით მოფენილი
მინდორი იწყება:
ასეთი ნიადაგი სჭირდება
გამოტანჯულ ხატებს,
რომლებიც კენწეროში ტკბილდებიან...
წვეტიანი შუშაც
შაქარივით ელავს მზეზე
და დარაჯობს ჩემს მარტოობას,
განსაკუთრებით მაშინ,
როდესაც ჩემი მუშა ტვინი
ამაოდ ცდილობს ამოავსოს უფსკრული
ხატებსა და სიტყვებს შორის:
მის პატიოსნებაში ეჭვს ვერ შეიტან,
მაგრამ სიტყვასაც
წვეტიან შუშაზე ვერ გამოატარებ,
ის ისეთი რეალურია,
რომ შეიძლება სისხლიც წასკდეს...
გამოწუწნული შაქრის წვეროზე
კი კიბეა მიმდგარი...
ღმერთო, შემაძლებინე ამის გამოთქმა,
მე, სქელტუჩას და ენაბრგვილს!

ჩემი ტვინი პატიოსნად მუშაობს,
გული სისხლს ქაჩავს,
ტრაგიკული მეხსიერება სოდომის
ცოდვებს
ისეთი ფერადი სახიერებით ინახავს,
რომ გამოწუწნული შაქრის
წვეროზე მიმდგარი კიბე ირყევა,
ამ წუთში შენ შეგიძლია
ძაღლის გუმანივით გაიწელო
ტკივილიდან იმ ერთადერთ ბალახამდე,
რომელიც წამლობს ამ ტკივილს,
მერე კი ორი შეკრული, ელვარე მუშტი
შედის თვალებში,
როგორც სიტყვაში
ტმესის ცივი და გამთიშავი
ძალმოსილება
და დაფშვნილი შუშით მოფენილ
მიწაზე
ბროწეულის ხე ამოსკდება,
მას უამრავი ხალხი მიაშურებს,
წვეტიან შუშაზე ისე გაივლიან,
როგორც დაპენტილ ბამბაზე.,
რადგან მარტივი და ძლიერი
ანდამატი ძევს ალისფერში...

## სიმშვიდე

კვირადღე,
შუშაში აუცილებელი ქრიზანტემები,
გაბურძგნულ, უპატრონო ძაღლებს
გვანან,
რომლებიც ზომაზე მეტი იყო
შენს ცხოვრებაში
თავისი შემზარავი ერთგულებით
და უენო სევდით...
შენმა კეთილისმყოფელებმა
ამოიღეს ისინი მანქანების
ბორბლებიდან,
მათზე დამიზნებულ თოფებს
ხელი აუკრეს,
რკინის მაშებიდან გამოღლიტეს
ხაოდაგლეჯილი კისრები
და შუშებში ჩასდეს,
როგორც ხავერდს დებენ ხოლმე ხმაში.
ხავერდმა მიზიდვა იცის,

სითბო, გაყუჩება,
მითუმეტეს, როცა სახსრებში
ყინული გაქვს ჩავარდნილი...
ძაღლის ფიტულები ყვავილებს გვანან,
ანდა პირიქით,
მაგრამ მთავარი მაინც ის არის,
რომ მათ არც ყეფა შეუძლიათ,
არც ლეკვების დაყრა
და აღარც სიყვარული,
რომელიც ახლა
ყველაზე უფრო შეგაწუხებდა,
თავისი ნარ-ეკლიანი ბუნების გამო,
როდესაც გარშემო ასეთი სიმშვიდეა,
შემოდგომა, ქრიზანტემები
და ხავერდი დევს
შენი მტრების
ერთ დროს ზარივით წვეტიან ხმაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორშაბათი

ორშაბათობით მე მხვდება კაცი,
რომელსაც სახეზე ალამი ახატია
და მასწავლის მკაფიო ხმით:
— კვირადღეს სისხლში
ცეცხლის ბორბალი უტრიალებს,
ორშაბათი კი
შავი პურით იკვებება,
შენ ისე მინებდი მუზის ფუფუნებას,
რომ კვირადღეების კოცონები აინთე
გარშემო,
ხოლო ორშაბათს გეშინია არ იქცე
პურად,
როცა სიტყვადქცევა გენატრება...
მისი ხორხიდან მოკალული სპილენძი
ანათებს,
რაიც აშკარად ოქროპირობის ნიშანია
და ასატანია დიდ მოედანზე,
მაგრამ როდესაც დედა მესტუმრება,
და დახშული სმენის ბინდიდან
თვალის კაკლებს გამოაცურებს,
რომ დაინახოს მაინც ჩემი სიტყვები,
ვერცხლით და ტკივილით სამრეკლოს
ტოლი,
რადგანაც
მის გასაგონად ვლაპარაკობ...
ახლახან წასული მამაჩემის ლანდიც
მოსდგომია კარებს,
უპატიებია სარეველა ბალახი
დიდიხნის მიუხედავ საფლავზე,
მაინც რა იისფერი ლანდი ჰქონია
და ფრთებიც არ ამოსვლია
ტვირთისგან გადაყვლეფილ მხრებზე,
ბედნიერების სხივი დააკლდათ,
ტკბილი სიტყვების საფანელი
და ამიტომაც ვერ ამოსულან...
„ამაოება ამაოებათა და ამაოა
ყოველივე“...
დედაჩემის გულში
სევდის ბალი ირხევა,
იქაც რომ
ჩასაბერი ინსტრუმენტების ტყე
ჩაყაროს
რომელიმე ოქროპირმა...
და მე უკვე მენატრება ორშაბათი,
მოხარშული კარტოფილის, შავი პურის
ვალების გასტუმრების დღე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ყელში ნერვიულობის
ეკლიანი გორგალი მიდი-მოდის
სასიდან ნუნებამდე,
კბილები კი უკვე ორშაბათისაა,
მოხვეჭის, გაკბეჩის, დაქუცმაცების
უნარის გამო,
ისინი სულ უფრო იშვიათად
გამოსცრიან სიტყვას,
ვერცხლით და ტკივილით სამრეკლოს
ტოლფასს...
კიდევ ექვსი დღით გადაიწია
კვირის ბორბალმა, ცეცხლოვანმა
„ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებაო“...

## იმ ცეცხლის გამო

დღეს ზუსტად ისეთივე დღეა,
როგორც გუშინ,
ისეთი დაღლილი იღვიძებ,
თითქოს მთელი ღამე ქვას ტეხდი,
სიტყვაზე იჭერ თავს,
ქვის ტეხვა
უფანტაზიო კაცის საქმეა,
რადგან ქვას, გატეხილს,
გაზომილს და აწონილს,
აღარა აქვს ის თანდაყოლილი
საიდუმლო,
რითიც ქვა განსხვავდება შენგან,
და შენ საკუთარი შვილისგან,
მაგრამ სიტყვებისადმი გულგრილობა
ისე შემოგეჩვია,
როგორც ჩაის ჭიქაში კოვზის წკარუნი
დილიდან საღამომდე,
შუალედებში გამოკრთა და ჩაქრა
მთელი სიცოცხლის ოცნება
დიდ, გაურანდავ საწერ მაგიდაზე,
კუბოსავით ერთადერთზე...
სურვილი იყოს, თორემ
წერა მუხლებზედაც შეიძლება...
სურვილი კი, თუ იყო, მაშინ იყო,
სკოლაში, როცა ზარის დარეკვამდე
2 X 2 ოთხს უდრიდა,
ზარის შემდეგ კი 2 X 2
ერთმანეთზე ხახუნით ცეცხლს
გამოსცემდა,
ხოლო შენ პირდაპირ მთისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგარბენინებდნენ
(შორს არ სჭირდებოდათ წასვლა,
ქალაქი მთებით გარემოცულ ქვაბში
იდო)
და ჯაჭვს გადებდნენ ხელებზე,
რომლებშიც ჩანთა და მზესუმზირა
გეჭირა
ასეთი ქარაფშუტა ხელები
ჯაჭვის სიმძიმეს როგორ გაუძლებდნენ?
სკოლაში შენი მერხის ნახევარზე
მანათობელი გოგო იჯდა,
მას იშვიათი სახელი ერქვა — ყამარი
და სევდიანად იყურებოდა ფანჯარაში,
მას სულ სჯიდნენ გაფანტული
ყურადღებისათვის,
რადგან ზარის დარეკვამდე სევდა
გაუმართლებელი ფუფუნება იყო...
შენ დიდ დასვენებაზე დაბრუნდი,
გემწარა არწივის ნისკარტი
ვარდის ფურცელივით ნაზ მუცელზე,
კიდევ უფრო მწარე იყო
დავიწყების ნაცარი შენს გზაზე...
ჩანთიდან კი 2 X 2-ის
ზუსტი სიმშვიდე ჰვიოდა,
და შენ დაბრუნდი
გაზომილი, აწონილი და სწორი
ხაზებით
გატიხრული გაკვეთილების
გრილოში.,
შენი მერხის მოზიარეს
მანათობელი სახე ჩაუქრა
და გამრავლების ტაბულა აღარ
ეშლებოდა...
დღეები დაემსგავსა ერთმანეთს,
ჩაის ჭიქაში კოვზის წკარუნივით,
დილას ისეთი დაღლილი იღვიძებ,
თითქოს მთელი ღამე ქვას ტეხდი,
ქვის ნატეხების ხახუნისგან კი
ცეცხლი ჩნდება, რომელშიც იწვის
დიდი, გაურანდავი საწერი მაგიდა,
კუბოსავით ერთადერთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

## ბევრს არაფერს გთხოვ...

მე ქალი ვარ და ჰოი. ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია,
უფლისწულო,
სიყვარულის ბადეს დავწნავ,
ფიფქივით მოგიკვდები ხელისგულზე.
მე ქალი ვარ და ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია,
უფლისწულო,
მზის კვირისტავით ღრუბლის
ფთილიდან
ერთგულების ქათიბს მოგიქსოვ...
მე ქალი ვარ და ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია,
უფლისწულო,
სამ ვაჟს გაჩუქებ მთვარის სწორს და
სამივეს შენი თვალები ექნება...
მე ქალი ვარ და ჰოი, ღმერთმანი,
ბევრს არაფერს გთხოვ, უფლისწულო,
დამინახე!

## დაბერდა ზღაპარი

თქვენ მუდამ იჩქარით, ბატონო!
ნასწავლი ღიმილი, ნასწავლი სევდა...
სახლში გელოდებათ ვეება სეტერი,
და იქ კი, სოფელში, ჭაღარა დედა.
— თუ გახსოვთ ის ქალა, იების
დღეობა?
ბრძენივით თქვენ შუბლთან მიიდეთ
თითი...
გახუნდა ოცნება, დაბერდა ზღაპარი.
ასრულდა, ასრულდა, ასრულდა მითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს ესტრადაა

ხალხს მოუხსნია ფიქრის საბელი,
აუწყვეტია ურა კვიცივით
და მომღერალიც გაცვეთილ ქესტით
გვესალმება და ყალბად გვიცინის.
დაწყვეტილია სიმშვიდის ძაფი,
არის სიგიჟე და მისტერია;
და ყველაფერი არის, რაც არის
და ყველაფერი სიზმრის ფერია.
ელნათურების ჭრელ-ჭრულა თვალი,
(თითქოს დარბაზში ქარი ზუზუნებს)
და მღერის ქალი, კაკაოსფერი,
და ათამაშებს ფერად ძუძუებს.
და ამ ხმაურში შენ უხმაუროდ,
უსაყვედუროდ ჩემში ინთები
და ტყდება შუქი, როგორც ყაყაჩო
ან სატრფოს თმებში ქალის თითები.
ახლა ჩემიდან შენს სამეფომდე
გზაა უვალი და ისე შორი,
როგორც ქართული საგალობლიდან
ტვისტი, ჯაზბანდი და როკენროლი.

## სოფლური სახუმარო

კალიების ღრეობა,
ჭრიჭინების როკი
და თებრონე წყაროზე
ყელმაღალი კოკით.
სოფლის კლუბში ფილმია,
ალბათ არაბული,
გადაყლაპავს მალვით ცრემლს
ხალხი განაბული.
პირველ რიგზე — ბალღები,
ბოლო რიგში — წყვილები,
შინაბერებს რად კბენენ
ნეტავ შურის რწყილები.
ჭორის ბადეს მოქსოვენ
ნანახით თუ იჭვით,
კლუბის უკან თებრონეს
თავს აწონებს ბიჭი:
„შენს მოსვლამდე, გოგოვ, გული,
ოი, როგორ მელეოდა,
ეს ჯინსები, ფირმენია,
ეს დისკები სტერეოა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი

# ეშმაკის ცხენზე

## მოთხრობა

ნატომ საქსოვი კალთაში ჩაიდო, სათვალე მოიხსნა; თვალები ამოიმშრალა და ქმარს გახედა.

— ჰა, ნიკოლი, რას იტყვი, ჩემი ნათქვამი ჭკუაში არ დაგიჯდა? ან ჰო თქვი, ან არა, რას ჩაჰყუჩდი...

ნიკომ ტახტი ააჭრიალა, გვერდი ინაცვლა და ცოლს დაყვავებით მიუგო.

— აბა, რა გითხრა, აზრი რომ ვეღარ მომიკრებია, რაზე შემოგვწყრა ის ჩვენი ცოდვით სავსე, მოყვრის გულის გასახარად ვერ დავავაქკაცეთ, თუ რა...

— კერპია... ენაცვალოს დედა!

— კერპი რას მიქვია, რა გული უძლებს, ან იქნებ პირი აღარ უნდა ქნას ჩვენკენა? — წამოჯდა აფორიაქებული ნიკო, — უკვდავ-უბერებლები ხომ არ ვგონივართ? პაპა მოუკვდეთ, იმისი ყმაწვილები ისე წამოჩიტდნენ, ქოჩორზე ხელი არ გადამისვია... (ნატომ ამოოხვრით თანაუგრძნო ქმარს) — ჰო, იქნება არცა გვშია, არცა გვცივა, — ხმა გაებზარა ნიკოს, — არც შვილიშვილების ჟრიამული გვაკლია, იმათ ენაცვალოთ ჩემი თავი, მაგრამ ერთი შვილი მეორეთი არ შეიცვლება, სხვა არა იყოსრა, სიყრმის შვილია ეგ ღმერთძაღლი! — სიმწრისაგან პერანგის კალთა მომუჭა ნიკომ და ჩამოიხია.

ნატო წამოხტა, გვერდით მიუჯდა ქმარს;

— დამშვიდდი კაცო, შენთან ხომ ვერაფერს იტყვის ადამიანი, იქავ აბობოქრდები, — ნატომ ქმრის გახეშეშებულ ხელს თავისი ჩამჭკნარი ხელი გადაუსვა. — ნავახშმევს ქაღალდი უნდა გეთამაშო. იმღლევანდელი ჯობნა უნდა გაგიბათილო...

ნატო სამზარეულოში გავიდა და, როგორც კი თავი დაიმარტოხელა, ცრემლებად დაიღვარა.

„დედა მოგიკვდეს შვილო, ეს რა ეშმაკის ცხენზე ხარ შემჯდარი? რამ გაგაქვავა ასე, არ გებრალება დედაშენი? აღარ შემიძლიან დარდთან ამდენი ჭიდილი! შენ გზაზე გვაწყდება თვალები, რას გვემართლები, აღარ იტყვი? შენმა ცოლმა უმიზეზოდ აგიცრუა ჩვენზე გული. ცოლის სიტყვას ყური კი უნდა მიუგდო, მაგრამ იმის დაკრულზე არ უნდა იხტუნო...

დოგა-დოგა რომ დაგვადგა — რა მოგვეცით, რა მოგვეცითო, მაგისთანა ვაჟკაცი გაგზარდე მაგისთვისა, ეს არაფერი? თუ არა და რაც გვაბადია, თქვენი არ არის? მე ცხოვრება სიამტკბო-

ლობისა გამიგია, შენ როგორი ჩემი შვილი ხარ? იმ დღეს თავიანთ მამიდასთან რომ ამოგეყვანა ბალღები, გავიგეთ თუ არა მე და მამაშენი ავიჩონჩხლეთ სანოვაგით და ჩაველით ჩვენც გულოსთან. აბა, თუ ახლოს გაგვიკარეს, აბა, თუ პირი დააკარეს ხილეულსა, დაჰკრეს ფეხი და გარეთ გაცვივდნენ. ღმერთმა დიდი დღე მისცეთ, კიდევაც ჭირს მოვჭამთ, მაგათ ენაცვალოთ ბებია, დანატრებულები ვართ მაგათ თავსა, გულოს კუდრაჭა გოგოები გვახალისებენ, თორემ რა იქნებოდა მე და მამაშენის ყოფა.

სანთელ-საკმელის იმედი ჩემს მტერსა, მაგრამ იმ დღესა დავანთე — ჩემს არჩილთან შემახმატკბილე-მეთქი, შევთხოვე... შენი არაფერი გვინდა, აბაბაბაბაბაბა!.. არაფერი, ჩვენი სამყოფი ყველაფერი გვაქვს, ოღონდ თავს სძლიე და თვეში ერთხელ შემოგვიღე კარი, სხვა არა იყოსრა, ხალხოსა გვრცხვენია. დაგიფიცავ, შვილო, პირში წყალი გვაქვს ჩაგუბებული, შენს აუგს რა გვათქმევინებს. პირიქით, სულ პირსა გწმენდავთ — ვერ იცლის, ყელამდეა საქმეში ჩაფლულიო, ვკვეხულობთ კიდეცა, მაშ! იმდენი შენ კარგად გვეყოლე, რამდენიც განგებ დაგვიგდია ხმა უბანში, წუხელის ჩვენი არჩილი შუაღამისას დაგვადგა მანქანით თავზეო, და დილაუთენია უკან გაბრუნდაო... მამაშენის ცოდვით აღარ ვარ... გატყდა კაცი. რაკი თავს ვერა სძლიე, ჩვენ მოვალთ შენთან. სულაც არ გვეთაკილება თავის მოხრა, მთავარ ექიმობას მოგილოცავთ..."

ნატომ მოფარვით გახედა ქმარს. ნიკო ტახტზე იჯდა, კედელს მიყრდნობოდა და გაზეთი სახესთან ჰქონდა მიტანილი. ხომ არ ჩაეძინაო, წამოდგა და თივთიკის მოთელილი შალი მუხლებზე დააფარა.

მტერსა და ავადმახსენებელს ეძინოს ისე, როგორადაც ნიკოს ეძინა.

ისიც შვილთან კამათში ჩაბმულიყო...

„ჰო, უვარგისია მამაშენი, უცხვირპირო, ეგრე იყოს, დედაშენს რაღას ემართლები! — შვილებისათვის თავმკვდარსა? შენი ნახელავი ოპერაციები ზღაპრად მოდის სოფელში, ოქროსმარჯვენიანიაო, ამისათვის დიდი მადლობა მომიხსენებია, ბარაქალა რომ ხალხი ამჯობინე ჩვენ თავსა, მაგრამ მაინც აღარ იტყვი, განა რა მოვიმოქმედეთ ასეთი უპატიებელი? ასე გულდაკოდილები უნდა გაგვისტუმრო სააქაოდან? შენც მამა ხარ და ცოტა წინ იყურე, გრცხვენოდეს, შენი შვილები სიმზარში დამაზრდევინე, ისე წამოიჩიტნენ პაპასაგან ზღაპარი არ მოუსმენიათ! რატომ, რისთვინა! რაკი გაგიბედეთ და მამაშვილურად რჩევა შემოგკადრეთ შენ და შენ კნეინას? რა ვქნა, ვერ შევეგუე შენს ხელში ცოცხსა და შენი ცოლის ხელში — პაპიროსს... იწყინეთ არა, ბოდიში მომითხოვია მეათეთა და მეასეთა, მეტი რა ვქნა! დათმობით კი, ვერ დაგთმობ, შვილო! შენმა უფროსებმა რომ იცოდნენ, ორი წელიწადია შენს გზაზე გვაწყდება თვალი, როგორ პატივშიაც ხარ, ისევე აგყრიან, მაგრამ მიწით უნდა ამევსოს პირი; სადმე რამე დავიჩივლო! ხალხი გემადლიერება, სიცოცხლე გვაჩუქაო, მე და დედაშენიც იმ ხალხს მივათვლით თავსა... მოვიხრით ქედს და ჩვენ მოვალთ, ჩიტისგულა არა ვარ, მაგრამ განა კაცის გულს რამდენიღა შეუძლიან?"

ნიკომ საბერველივით ამოიქშინა, გაზეთი ჩამოიცალა პირისახიდან და ცოლს დაეხმაურა.

— ნატო, წეღან რას მეკითხებოდი?

— ჩვენ არჩილთან წავიდეთ-მეთქი, — გამოტუსტუსდა ნატო და ქმარს ვედრებით მიაპყრო თვალი. — მთავარი ექიმობა მივულოცოთ...

— დედა ხარ, უარი არსაით გეთქმის...

— ჰოდა, ხვალ მივკრავ-მოვკრავ საახალწლო ნობათს და ვახსენოთ ღმერთი.

— კეთილი და პატიოსანი... — ხელების ფშვნეტით წამოდგა ნიკო და ბოლთის ცემა დაიწყო.

* * *

ნატომ და ნიკომ შვილის ნახვა სამსახურში ამჯობინეს, რძლის „ჰექა-ქუხილი“ ჯერაც ყურში ედგათ. კითხვა-კითხვით მივიდნენ საავადმყოფოში, თვალი ვერ აუწვდინეს, იმ სიმაღლე შენობა იდგა, კარისკაცმა, გაიგო თუ არა, მთავარი ექიმის მშობლები იყვნენ, ფართოდ გაუღო კარი და ლიფტამდე მიაცილა.

კაბინეტის წინ ექთანმა წარბები შეჰყარა, მთავარ ექიმს მიღება არა აქვსო, ნატო მოიხარა და ყურთან ჩაულაპარაკა: ავადმყოფები არა ვართ, მშობლები... ექთანი უმალ ჩიტივით წამოფრინდა და კარი შეუღო, მიბრძანდითო.

მოულოდნელმა შეხვედრამ მთავარი ექიმი ადგილზე გააქვავა. ნატომ ხელის კანკალით შემოდგა სამუშაო მაგიდის კიდეზე ძღვენის კალათა, ნიკომ ლამის ჩააფშვნიტა ხელები ერთმანეთს, შვილი უცებ გამოფხიზლდა, ეცა ტელეფონს და ჩხაკაჩხუკი აუყენა. „ესა ხარ, ისა ხარ“ — ძახილით აიკლო იქაურობა. მერე მაჯის საათი თვალებთან მიიტანა და ჩასძახა, ახლავე მანქანებით.

ნატომ და ნიკომ უმწეოდ შეხედეს ერთმანეთს. ერთი სული ჰქონდათ, ყურმილი დაედო იმათ სიყმიშვილს, მან მართლაც დადო, მივარდა საკიდს, პალტოს გზადაგზა გაუყარა მკლავები და კარში ელვასავით გაუჩინარდა.

მოხუცებს თავბრუ დაეხვათ, ნიკომ დროზე მიაშველა ხელი ნატოს, გასამხნევებლად კიდეც ჩაიღიმილა —„მართლა ყელამდე ყოფილა საქმეში ჩაფლული“ .

— ამ ხნის ადამიანები ტყუილს კადრულობთ! — გაცხარებული შემოვარდა ექთანი და კარებისაკენ გამოუყენა „კადნიერი პაციენტები“.

დაჩიავებულები, ჩამქრალები წამოვიდნენ ნატო და ნიკო საავადმყოფოდან, მშვიდი ამინდი შეცვლილიყო, დეკემბრის სუსხი მოჰქონდა ქვენაქარს. კედელ-კედელ მიჰყვებოდნენ ქუჩას ხელმკლავგაყრილი მეუღლენი, ერთი სული ჰქონდათ მშვიდობით გაეღწიათ ქალაქიდან, თუ ამას მშვიდობა ერქვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზურაბ კუხიანიძე

ცნობილ პოეტს ზურაბ კუხიანიძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. მისი პირველი ლექსები ამ ოცდაათი წლის წინ დაიბეჭდა ქართულ პრესაში.

ამჟამად პოეტი ოცამდე წიგნის ავტორია და ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე მისი საუკეთესო ლექსები.

წრფელი ლირიზმი, სისადავე, ორიგინალური თვალთახედვა, მაღალმოქალაქეობრივი პათოსი — აი ის მთავარი თვისებები, რაც მის პოეზიას ახასიათებს.

ამასთან ერთად ზ. კუხიანიძე ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაშიც, მთელი რიგი მხატვრული ნარკვევებისა მიუძღვნა მან ჩვენს სახელოვან თანამედროვეებს — კომუნიზმის მშენებლებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მის რამდენიმე ახალ ლირიკულ ლექსს.

### ძველი ღობეები

ფერდგალანდულებს
დაგკლებიათ ხელი პატრონის,
მუხლისთავებზე
კოჟრებივით გაზით აბედი...
სულ გპირდებოდით,
გპირდებოდით, ნიშნად მადლობის,
თქვენს ძვირფას მხრებზე
ერთ დღეს დროშებს გადმოვაფენდი.

ჩაჩუმებულა
აცეტებულ გულის ჩოჩქოლი,
ცას შერევია
მაშინდელი ოქრო ხილვები...
წლები წასულა,
წაულიათ ქარებს ქოჩორი,
ვერ შეგისრულეთ,
ღობეებო, დანაპირები!

ზაფხულის ხვატით,
გაგრძელებულ გვალვით დაკლებულ
სოფლის მდინარის
ტოტებივით მისდევთ გზისპირებს;

ზამთარში მგლების
შორ ყმუილზე აცახცახებულ
სარზე ჩამოცმულ
ცხენის გამხმარ თავს აჭიხვინებთ.

ეკალ-ბარდებით
დაგკაწვრიათ ხმელი სხეული,
ხართ გათანგული
კატაბარდის მაგარ ღვედებით...
და აგერ-ეგერ
ხერხემალი გაქვთ ჩამტვრეული,
თითქოსდა ხმალით
ჩაგჩეხესო თავგამეტებით.

გულს მიხარებდით
ყრმობაშიც და სიჭაბუკეშიც,
ვინ მოთვლის,
თქვენთან თუ რამდენი ღამე ვათენე...
თქვენს ბებრულ ცრემლებს
საკენკივით თქვენს თბილ უბეში
გამოჩეკილი
ჭინჭრაქები უნისკარტებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესღაც თქვენი
შუბებივით სწორი ხარდნები
გადაფერდილან,
შემკრთალნი და შენაციები...
თქვენს კალთებს ისევ
სუნი ასდის შაშვის ბარტყების
და გაზაფხულზე
ამოქარგულ იაიების.

თქვენს ახლომახლო
აყვავებულ იმ ძველ გზებს ვეძებ,
სადღაც მიკარგულს
უკვალოდ და უმისამართოდ,
მაგრამ თქვენს ბებერ
და ჩალეწილ წნელის ნეკნებზე,
როგორც ჩაცვენილ
კლავიშებზე ქარი ნავარდობს.

ისევ და ისევ
დგახართ, წლებმა ჯერ ვერ მოგცელათ,
თუმცა მუხლებში
სიმტკიცე და ძალა კლებულობს...

დაბერებულო
ღობეებო, ყრმობის ოცნებებს
გადაულახავ
გალავნებად შემოვლებულნო!

დგახართ წლებით და
ნაფიქრალით დამძიმებული,
სოფლის ათასგვარ
ჭირ-ვარამის ხართ მონაწილე...
შუკაში ჩავლილ
უცხო მგზავრებს თქვენი ბებრული,
აუტოკებელ,
განურჩეველ მზერით აცილებთ.

მე რომ ჩაგივლით,
მომაფრქვიეთ სითბო ულევი,
მესკიას სტვენით
გამიქარვეთ სევდა-ნაღველი,
გზად გადმოფინეთ
ყვავილები ბროწეულების —
ჩემი ბავშვობის
მობრიალე ბაირაღები.

## ჩემი ოთხი ფიცრის ხე

სად იზრდები,
ჩემო ხეო,
ქარიშხლებით ნატარო,
ცად აწვდილო სიცოცხლეო,
ბოლოს ჩემო პატრონო!

სად შრიალებ
აჯამეთში,
თუ ორბელის უღრანში,
თუ ციმბირის აჯამ ტყეში,
თუ რიონის მუხნარში.

სად მოგაგნო,
სად იზრდები,
ტანი ხომ არ მიაზრებს...
იქნებ,
აგერ,
ლაღ სიზმრებით
სავსე სათაფლიაზე.

რა ჯიშის ხარ, —
უთხოვარი,
მუხა,
ცაცხვი
წიფელი:
იქნებ გამსხვრევს უნდო ქარი,
ღამე გთოშავს მგლისფერი.

იქნებ მეხი დაგცემია,
სახვალიო პატრონო...
სად იზრდები,
სად, ცრემლიანს
მოგეშველო, ბატონო!

სად ხარ,
ბოლოს ჩემო ციხევ,
ჩემო დედაშვილობავ,
ტანზე პერანგს შემოვიხევ
და შეგიხვევ ჭრილობას.

იქნებ ხეო,
შე დღეგრძელო,
გხუთავს ცხელი ტაროსი;
სად იზრდები, —
შეგეშველო,
წყალი გასვა წყაროსი!

რომ გათალოს შენგან, იმის
დიდოსტატი ვინც არის,
უფრო გამძლე,
უფრო მძიმე
ჩემი ოთხი ფიცარი!

## პეტრე ჭაბუკიანი

მიმოფანტული თბილი ქარებით,
სათაფლიაზე თოვლი დამდნარა;
წმინდა გორაზე რეკენ ზარები,
ხმა მოდის, როგორც წყარო ანკარა.
წყალი ჩამდგარა დინოზავრების
ნაკვალევებში, წყალი ჩამდგარა.

ბუჩქებში დნება მისი ჩურჩული
და მით საზრდოობს ნედლი ნეკერი;
ციცაბ ფერდობზე მკერდგარუჯული
და დაკაწრული ქაცვით, ეკლებით,
ლეგა, ყომრალი ქვები ძუნძულით
უკან მოსდევენ, ვით მგლის ლეკვები.

ჩამოვუტანე ერთხელ ამბავი,
რაც დამაბარა მასთან კოლაუმ...
შეათამაშა თეთრი ფაფარი:
მახარებს მისი კარგად ყოლაო,
მაგრამ რად მინდა პიტაკ-ხაბარი,
მომწყურდა მისი ჩამოქროლვაო!

დაღარულ შუბლზე ფიქრის შრეები
ამოუტვიფრავს დრო-ჟამს ნუსხურით;
დადის მიწის და ზეცის მშვენებით
ამჩატებული და მონუსხული
და უბით დააქვს აღმაშენებლის
დროინდელ ფუტკრის ოქროს ზუზუნი.

მწვანეყვავილას ქარი ქორივით
ჩამოუქროლებს ლხენად, სადაროდ;
თითქოს სურს კაცი მხრებდათოვლილი
ფრთებზე შეისვას, როგორც ფათალო,
და საქართველო ასჯერ მოვლილი
ამ ერთხელ კიდევ შემოატაროს.

ზოგჯერ შეკრთება, როცა ხმობილობს
შავ ანგელოსის ჩუმი ძახილი...
ჩაიბუზღუნებს უკმაყოფილოდ,
ბზის ჯოხს ამართავს იარაღივით
და იგერიებს უცხო სოფლიდან
გამოდევნებულ ბებერ ძაღლივით.

სიზმარში ხედავს ამაყ ულაყებს,
ცხადში ხელჯოხით მიწას დაჰყურებს;
დედაო მიწავ, ნუ ხარ უმძრახი,
რაკი აქამდე მოსვლა არგუნე...
ნუ დაუძახებ,
ნუ დაუძახებ,
დრო მოვა, თვითონ დაგიკაკუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

# აია-კოლხიდელი ზღვაოსანი

## პოემა

### XXXII

ბუბა ოდორია ძმებთან
ბჭობად იჯდა გემბანზე,
ზღვა „ბაიას“ მიარწევდა
უდრტვინველი, მკერდსავსე.
ჩია-ბიჭი წიგნსა სწერდა
მოხუც დედას მეასედ;
წერდა, ჩუმად ინახავდა
ყველა წერილს ერთისთვის,
ერთადერთი, ვინც მას ყავდა,
მისთვის ახლა მთელი თვის
ღაღადს მალვით ინახავდა,
რაც ხმამაღლა ვერ ითქმის...
მან ახლაღა გაუმხილა
ძმებს ბარათი სხვაგვარი:
„დედავ, ჯერ არ წაულია
მეწყერს ჩვენი სახლ-კარი,
მაგრამ კერა დაგვღუპია,
ძველთა ნაამაგარი.
რაც მტერს ჯერ არ დაუპყრია
ის კოლხეთი აქ არი,
სადაც მახლავს ცხრა გულღია
თანამოძმის ლაშქარი...“
არა უთხრეს ჩიას ძმებმა —
ბჭობდა მსხდარმა გემბანზე:
ზღვა ბაიას მიარწევდა
უდრტვინველი, მკერდსავსე;
ცხრავეს აუტირდა სევდა,
მაგრამ კრინტი ვერ დაძრეს
მიტოვებულ მიწაზე და
მიწაწაყრილ დედაზე.
ერთად სძლევდნენ ათივენი
დარდს და — რაც დაავალეს;
შორს მისდევდა მათი გემი
არიონის ნაკვალევს.
სად მიწრიელ-მაწრიელნი
უფსკრულებმა დამალეს —
ხმა სიკეთის მადიდებლის
პირს უკრავდა ნაპრალებს.
და „ბაიას“ გარდა ზღვაში
ყველა კარჭაპს, ყველა ნავს,
ყველა ხომალდს — აფრაგაშლილს
ერთი რამე ევალა —
ნაშოვარის და ნავაჭრის
შინ მშვიდობით შემალვა.
ზღვაში შიშიც დაცურავდა
ამბურძგვნელად ბუსუსის,
მგზავრთა სდევდა ზაფხულ-ზამთარ,
გრიგალთ გარდა, ბურუსიც.
წრე ბრუნავდა საზრუნავთა
უსასრულო ფუსფუსის.
ბუბას სხვა რამ აფიქრებდა,

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 5, 6, 7, 8.

ვითარც სხვა ბაიელებს,
და სხვა ქვეყნის ნაპირებმა
ოდეს სხვაფრად იელვეს,
სხვაგვარი ზნის ზღვა პირველად
შეხვდა სხვა სიჯელეს.
გემს ვეება მთად აღუდგა
შავი ტალღა ღრიალით,
აბობქრდა, გაბატონდა
ღელვა ათბალიანი.
ზღვა ებრძოდა კაცთა მოდგმას
და ზღვას — ადამიანი.
აიფოფრა მთელი სივრცე
მწუხრის ქარჩახვეული
და უცნაურ გემის ქიმზე
ჯავშანს დაჯახებული
აღიმართნენ მთები ისევ
სამტროდ აჯანყებული.
სტიქიონი მდგარი ყალყზე
ზვირთზე ზვირთთ აშენებდა
და „ბაიას" ზარისდამცემ
ზავთად, რისხვად შეება,
ის კი ტალღათ ედგა თავზე,
ვითარც სიზმარ-ჩვენება.
მძლავრი გემი, როგორც ჩანდა,
მაგრად იდგა ზვირთებთან,
იზოგავდა დონეს ჭარბად
და გემბანზე იმედად
ხუთ საბრძოლო ოლეჭანდარს,
ხუთ ორჩხომელს იტევდა.
ლურჯი სივრცე ბარბაცებდა,
გაღმუოდა კარგახანს,
მაგრამ არა ზარდამცემად
და არც ისე ხმამაღლა.
ალბათ მალე მთლად დაცხრომას
პირდებოდა ამაღამ —
ვინც მის ნამდვილ გამკაცრებას
უსაშინლესს ხვალ ნახავს.
ზღვის ბუნება როგორია —
ცხრავემ კარგად უწყოდა,
მაგრამ ბუბა ოდორიას
ფიცხლად წინწაუძღოლად
წააგებდა ომს „ბაია"
სასეიროდ უცხოთა.
ქიმზე შემართული ეშვი
შორით ძლივს გამოუჩნდა —
ძმათა ჭერი და ნუგეში
კვეთდა ზღვას და დროს ურჩად,
ბოლოს ყრუ და ღრმა ყურეში
ქალაქგარეთ მოყუჩდა.

XXXVIII

ზღვის ღელვაზე უმძაფრესი
ღელვა სულს აბობქრებს,
ოდეს თვალი უფალ ზევსის —
თემიდა — ჰვრეტს, როგორ კრეფს
მართლსაჯული უმაღლესი
ქრთამით ნაშოვნ ოქროებს.
ყაჩაღთ შორის დგას დამცველი —
მოსდევს საქმე შნოიანს;
არიონის გამძარცველნი
თვალს ავლებენ შორიდან —
დელფინით მხედარს ტანსაცმელი
ჯერაც არ შეშრობია.
დაგვიანებული ბუბა
რა ფუჭად ისარჯება:
ეაჯება შველას უფალს,
ჯდება მერხზე და სჯერა —
რაც ჯერ არს და წრფელად უნდა —
სიმართლის გამარჯვება.
მაგრამ ბუბა ოდორიას
მივუტევოთ ეს ნაკლო,
თუ არ უწყის — როგორ მიჰყავს
ქრთამს სამსჯავრო — სპექტაკლი
და მსაჯული რომ ჰგონია
მზეებრ წმინდა, სპეტაკი.
სთხოვს დამცველი ახლო მისვლას
აედს — დაზარალებულს
და უწოდებს ნათქვამს მისას
„სიზმარს ზღაპარგარეულს",
თან გაშრობას სამოსისას
ურჩევს თავგზააბნეულს...
და გასძახებს ხალხს ხმამაღლა:
— ვინც სწამებდა ამათ ცილს,
მან საბუთად რა გვანახა
გარდა სველი ტანსაცმლის.
ჩავისველებ შარვალს ახლავ
თუ მსაჯული დამაცლის! —
თქვა და დიდხანს ახარხარა
ხალხი ტაკიმასხარამ,
აედს ესეც არ აკმარა,
ლამის ლაფით გასვარა.
დააცქერდა ყაჩაღთ დამცველს
მოქადაგეს ხმამაღლა,
ოდორიას თავზარს დასცემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონის დანახვა;
ლამის თავის თავი გასცეს,
რა ილონოს მან ახლა?...
ადგეს ხალხში და გასძახოს,
რომ მძარცველთა დამცველი
ახლაც ურცხვად ავაზაკობს,
თავად არის მძარცველი,
რომ ყალბია რასაც ლაყბობს
ყაჩაღთ ხელისდამცლელი.
მაგრამ ამ დროს ეს ბავშვობა
უჩნდა ეგზომ მარტივად,
ვინც უმზაკვრეს მტერს აჯობა —
ამორძალთა პატიმარს,
დარჩეს, ვითარც დედამ შობა —
სწორად და პირდაპირად?
არ ცხოებოდა ავაზაკთა
პირგასვრილი მოსარჩლე:
— თუ გაცივდი, არამზადავ,
შინ ჰაშიში მოქაჩე,
ცხენის მწურეს აბაზანაც
უსიკვდილოდ მოგარჩენს.
ვინ გიძღვნიდა ამდენ ოქროს,
ქუჩა-ქუჩა მავალო?
ძარცვა-გლეჯას ამათ როგორ
აბრალებდი საბრალო?
ცილისმწამებელს და ობროდს,
კურნავს ვირის აბანო! —
ბოლოს მშვიდად თქვა ყაჩაღმა, —
ფეხადგმული ძეგლივით,
რა ზვიადად და ამაყად
მოცურავდი დღეს დილით...
ვირს გიყიდი, თუ არა გყავს,
რას დაძრწიხარ დელფინით? —
თქვა და უდრო გათავხედდა,
მსაჯულს თვალი ჩაუკრა,
კითაროდი განახევრდა,
განზე გადგა და უბრად
კორინთოელთ გადახედა,
კაცთა რწმენა ჩაუქრა,
თანაგრძნობდნენ მდაბიონი
აედს თავაზიანად,
ავაზაკთა მაყრიონი
ჰვრეტდა მას დამცინავად,
გულმოკლული არიონი
გაშრა ტანსაცმლიანად.
იდგა იგი ნაცემივით
და მტერს ერთით ჯობნიდა —
მგოსნად მოსვლით დაწყევლილი
დარჩა კეთილშობილად;
გამარჯვებულს დარცხვენილი
შესცქეროდა შორიდან.
იაზონი — ვალმოხდილი,
როგორც იქნა, ჩაჩუმდა,
აედს სახე კმაყოფილი
აარიდა ლაჩრულად,
ვისი ოქროც გაყოფილი
ჰქონდა უკვე მსაჯულთან.
ბოლოს წამოღერილ სიტყვა
თვით ქურუმმა თემიდის,
ვითარც მწყალობელმა დიდმა
ბრძანა მან — აედისათვის
ბრალდადებულთ წარედგინათ
გასამრჯელო მთელი თეის.
— რადგან მგოსანთ დიდად უჭირთ,
— რადგან არ აქვთ სახლ-კარი,
რადგან ცხოვრობთ ერთ ნაჭუჭში
მთელი მათი ამქარი,
უწყალობეთ, ვითარც დუხჭირთ
თქვენი ნაამაგარი! —
ამა სიტყვის წარმომთქმელმა
გადახედა ავაზაკთ...
და მთავრდება წარმოდგენა
ისე კოხტად, ლამაზად,
რომ გინება წამოსცდება
დამსწრე უცხოს ანაზდად.
გაუსწორებს თვალს დამცველი
უცნობს მგოსნის დამხმარეს,
მაგრამ ელდა ზარდამცემი
გააქანებს სხვა მხარეს,
სადაც ზღვაში გასავლელი
ბრბო ყაჩაღთა ხარხარებს.
ასწრებს ბუბა ოდორაა
მისკენ უკან მოხედვას,
მაგრამ მხარზე, როგორც რკინა,
მძლავრი ხელი მოხვდება,
ესალტება ორ ბორკილად
ძლიერ მკლავთა მოხვევა:
— ძმაო, წამით გამიგონე,
ვისგან გინდა გაქცევა?
არ გეგონოს მთლად იოლი
ჩემგან თავის დაღწევა! —
იქაჩება არიონი
სტუმრის პატივსაცემად.
ვერ შეხედა მან აედის
თბილ, ძმურ ხვევნას გასცლოდა.
უწევს ახლა გზაჩაკეტილს

მისი ახლო გაცნობა,
ვინც სიწრფელით და სიკეთით
ვერ ქნა კაიკაცობა.
— არც ისეთი ლატაკი ვარ,
ვითარც ბრძანე თემიდამ,
ცხარე იყო და ბატკანი
ძღვნად მომდის მთებიდან;
იქ უწყიან სამართალი,
აქ რას მემართლებიან?
— არ ვარ შენთან წამომსვლელი, —
ეტყვის ბუბა არიონს, —
ის დამცველი — არგონელი
რაკი იხილე, მამილო,
ახლავ ნახე და მოსძებნე,
იყო მერე ლაღილოთ.
შეიცხადებს მნეთთემნელი:
— ვის კითხულობ, ბატონო?
ქვესკნელის ძე ბნელზე ბნელი
როგორ დავიმარტოვო?
ღამით მარტოს ბელზებელი
მომკლავს, არ მიმატოვო!...
ვფიცავ, არა მშვენება,
საქმე ეგრე თუ არის.
აგერ გაშლავს ჩვენი ბინა, —
თქვა და ხათრით სტუმარის
შინ სადილისთვის შეირბინა
და რაც ალაგენს პურმარილს —
თან კითარაც წამოიღო,
ბნელში კრთოდა სურათად —
თითქოს ლურჯ წყალში იყო
და ლეღვებით ფურავდა,
სტუმრის [illegible] ავსილიყო
მოთაყვანე სტუმართა.
ოდორია გადარია
არიონის სიმარდემ,
„სანთლით საძებნ ადამიანს"
დაეძებდნენ ცისკრამდე;
ვერ მიაგნეს და „ბაიას"
სწორედ იმ დროს მიადგნენ.

XXXIX

რომ ტალანდეს ზღვაში ანძა,
— ისინია აშკარად! —
თქვა და სახე გაიმკაცრა,
ოდორია აჩქარდა,
შორს ხომალდი აილანძა
გამარჯვებულ ყაჩაღთა.
გემის დაძვრა ბრძანა ბუბამ,
გასცა განკარგულება,
აედს სთხოვა: — აბა, [illegible]
გაგვისწორე გუნება,
ახლა გვმართებს ვაჟკაცურად
ჰანგის დაგუგუნება.
გემი ხომალდისკენ ქროდა
და უსმენდა ზღვა უცხო:
„ოი... ოდოია... ოდა... —
ამ დიდებულ და უცნობ
ჰანგს ხმა დიდმა კითაროდმა
წამის უმალ აუწყო.
და სიმღერას ათი ძმისას
ამძაფრებდა კითარით
არიონის ხმა ცისკრისას,
ხმა იმ სიმწრით მდიდარი.
ურთმლისოდ ვერ შეგიძრავს
სულს ხმა ვერავითარი.
ზღვას დაასხა ბრუ განგაშით
გემმა მძლავრმა, ქიმბასრმა;
მტრის ხომალდმა შუა ზღვაში
შესვლა ოდეს იაზრა,
გულმა გაიხარა მაშინ,
შუბა ოდორიასმა.
ღრმად შეცურდნენ, მიჰყვნენ ძმებიც
ავაზაკთა ნაკვალევს,
მათ ფეხდაფეხ, დიდხანს დევნით
ბუბა არ გააწვალებს,
ადრე გალევს იმ გზას გემით —
სხვისთვის გვიან გასავლელს.
შავი ღვინო დაეღვარათ,
ოქროს თასით რომ სვამდნენ,
შავი სული გაეპარათ
შავი საქმის ოსტატებს,
შავი ჩრდილი დაეფარათ
გემის ახლო მოსვლამდე.
და წინ გაშვერილი ეშვი
რომ გამოკრთა ფოლადის,
ლუკმა გაეჩხირა ყელში
უფროსს ყაჩაღთა ხომალდის,
პირზე მიიფარა პეშვი
წყალში გადახტომამდის.
დარჩნენ სხვანი უტიფარნი
და შექანდნენ ბარბაცით
იცნეს მათგან უკვე მკვდარი
იავარქმნილ-ნაძარცვი,
მაგრამ რვალის ქიმზე მდგარი
ვერ შეიცნეს ვაჟკაცი.
ბუბამ გაახელა მთვრალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს მიმდგარ გემიდან:
— ეედა! ეადუხადეთ ვალი,
ისე, ვითარც მე მინდა.
თვარა, ვაი თქვენი ბრალი,
სიკვდილი გყავთ თემიდად!
— ესლა დაგვრჩა! — მათ პასუხად
სტყორცნეს თასი ოქროსი, —
სხვა უფროსმა გადახუხა,
ზღვამ კი — ჩვენი უფროსი...
ჰქონდეს თასი, რადგან უხვად,
ხუხავს თქვენი ორფევსიც!..
ათმა არამზადამ ათივ,
როს ჩათვალა ყმაწვილად,
ახარხარდნენ ავაზაკნი,
არ აკმარეს დაცინვა:
იწყო კვართის ამხანაგის
ჩახდა ერთმა მაცილმა.
ბუბამ ბრიყვნი და ხვასტაკნი
თვალით შორს გააცილა.
წინ გაუშვა, უკან გაჰყვა
ყაჩაღთ ხომალდს ჩანჩალით
და იხილა ბუბამ ახლა
ის — ყველაზე არჯალი —
ამოეგდო უკვე ტალღას
შუა ზღვაში ჩამხრჩვალი.
„რად ტივტივებს?“ — თქვა და მყისვე
სცნო მან ხელი ხვასტაგთა —
ალბათ წილი არ აღირსეს...
წყალში კი არ გადახტა,
წიხლი კრეს და დააკისრეს
ყველა ვალის გადახდა“.
ბუბა ოდორია მანძილს
ხომალდამდე გადათვლის,
ბრძანებს: — ძმანო, ფიცხლად გასწით,
ხალხი ეგეთ ადათის
ძალით ჩვენით და სიმკაცრით
ვმუსროთ აწ და მარადის!
რკინის ბორბლის ზარ-გრიალით,
ზღვაზე ასი ფრთის გაკვრით,
გაქლეენთილი ზღვის მარილით,
გაქაფული ზღვის ქაფით,
ადგილს მოსწყდა გრიგალივით
გემი სიზმრულ სისწრაფით.
ურჯად მოელვარე რვალი
ოდეს მტრისკენ შემართა,
დამცხრალ სივრცეს ძველი ყავლი
დაუბრუნა ღელვათა,
მისგან გაქცეული ტალღით
შეკრთა წამით ელადა.
„ბაიამ“ რომ დასცა ზავთით
ავაზაკთა სალაყბო,
დაცალეწა მტრის ხომალდი,
ჯახით გაჭრა, გააპო;
იმა ყაჩაღთაგან ლანდიც
აღარ დარჩა საამბოდ.
გააცილეს დიდი ამბით
არიონი ღამიან,
ვინც წასვლამდე დითირამბო
უძღვნა მათ და „ბაიას“
და თქვა: — მზეო, სიკვდილამდის
ნუ მოჰკლავ ადამიანს...
თუ აცოცხლე, ნუ უციებ
სიწრფელეს და სინაღდეს,
შურით აწმყოს ნუ უმძიმებ,
მიწას წმინდად მიბარდეს,
ძმობის წყურვილს თუ უძინებ,
ნუ ულევიძებ სიხარბეს,
ნუ სპობ ცოცხლად, ნუ უმცირებ
სულის კანდელს ცისმარდღეს,
კერპად ოქროს ნუ უბრწყინებ,
ძე კაცისა გიყვარდეს!

XXXL

ქალაქს და მის შემოგარენს
ჩამავალი მზე გვიან
შარავანდედს შემოავლებს
და შორს — ნარინჯებიდან
ხელთუქმნელი შენობანი
ზღაპრულ სახით ჩნდებიან.
მზის საყდარნი აღანთებენ
მზისფერ გუმბათთ მზისხელას,
მზის დიდებას აღავლენენ
და მზის თაყვანისცემას,
მზის ჩასვლისას ამაღლებენ
მზეებრ აზრის ღირსებას.
ზღუდე ციხე-გალავანთა,
მრუმე ლანდებს იქით შლის,
სადაც ზვიად მთავარსარდლად
დგას ტაძარი მთის ჩრდილში,
გაქცევია თვალი სადაც
ხუროთმოძღვრის შვილიშვილს.
ოდეს ნაპირს გადახედა
თქვა მან გულისნადები:
— ალბათ, უფრო ამაღლდება
ოდითგანვე ნაქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ამგვარ სასახლეთა
და ტაძართა ამგებზე!..
მაგრამ რა 'სჭირს ადამიანს —
პატრონს ამ ზღვის და ამ ცის,
ამ წყაროთა და მადლიან
ამ მშვენების, ამ ტაძრის,
რად შურს, რაც სხვას აბადია,
რად არ ცხრება, რას დაძრწის?!
ბჭობა, საუბარი ძმათა
ყრუ და ვერან ნაპირთან
ჯერ კარგახანს არ მიწყნარდა,
ვითარც დავა რაყიფთა,
ბოლოს ათივ თავისთავად
კაცის მრწამსზე ჩაფიქრდა.
გაიხსენებს ახლა ბუბა,
დედას იაზონისას,
ვინც შინ მარტო დახვდა სტუმარს,
ვითარც შვილის ცოლისძმას.
განგებ კარგის მოიმედედ
შესცქეროდა მზაკვარი,
უცხო ჭაბუკს პოლიმედემ
აუბნია გზა-კვალი...
„გზა ასწავლა", დაფაცურდა
და ღვინოც დააძალა,
მაგრამ ბუბამ, რა თქმა უნდა,
არ დალია სამსალა.
როკაპს ენდო, აბანტთ ქვეყნის
გზებს შესწირა ორი თვეც —
არ დაუდგამს სადაც ფეხი
დღემდე არცერთ კორინთელს.
გვიან დასთმო ღამით გემმა
მყუდრო ნავსაყუდარი,
უცხო გზანი დაიბევა,
ვითარც გზა საკუთარი,
ბოლოს დახვდათ აირებთან
აიეტის უსტარი.
მეფე ბუბას არიგებდა
მამაშვილურ მუდარით.
შავით თეთრზე სიტყვა-სიტყვით
ეს ეწერა ბარათში:
„ვიდრე დაიღვრება სისხლი
მანდ გასძელი და დარჩი,
თავს უშენოდ ვერ დაიხსნის
ქალი ეგზომ ნატანჯი.
სმენა მისანთ თქმულის მმართებს,
თმენის ტაძარს ვაშენებ,
ვუცდი ზევსის გულისნადებს,
რაც მომწერე — მას შემდეგ.
ვიდრე ველი, ნუ იდარდებ,
ჯარს თუ ვერ მოგაშველებ,
ასი მოყმე რას მიქვია,
ოღონდ სპათა გაწყვეტა
უშედეგოდ რა რიგია,
ჩვენთა თავში საცემად?
გვიჯობს კარგად დაფიქრება;
ვუწყი — გული დაგწყდება,
მაგრამ უცბად არ იქნება
დიდ საქმეთა დაწყება.
მეფეს ბრძოლის გადადება
აზრად რად დაებადა?..
დინჯად რატომ ქადაგებდა,
რატომ აღარ ღელავდა?..
თურმე ოქროს ქანდაკება
ქრთამად უძღვნა ელადამ.
ბუბას იმედს ჰრიდა ძირში
მზედხმობილი ,მზისშვილი,
იგი აგრე სჯიდა შიშით,
ვითარც სიკვდილმისჯილი,
მზის მაგიერ ზვიად სისხლში
ჩაკვდომოდა მზის ჩრდილი...
ანიშნებდა ამით ბუბას,
რომ ელინთა მხარეში
ბრძოლის შავი კვამლის სუნთქვა,
შავი დროშით თარეში
მას ძალუძდა თავისუფლად,
ოღონდ... მეფის გარეშე.
გადაწყვიტა ამ ფირანმა
ათის ხვედრი და წამსვე —
შავი დროშა აფრიალდა
მათი გემის ანძაზე.
უხელმწიფოდ ზღვაში შთენილს,
უკოლხეთოს, მარტოკას
უელავდა რვალის ეშვი,
ვითარც მცურავ მარტორქას.
გემს სახელი ჯავშნად ეცვა
წმინდა კოლხი ქალწულის,
ზღვა სამშობლოდ გადაექცა —
ისიც სამტროდ დაძრული.
და ხომალდი კორინთელთა
ვისაც ვალად ემართა,
ახლა უკვე დროს იგებდა,
შავი დროშა შემართა,
ვიდრე მახვილს მოიქნევდა
ზღვათა რისხვა — ელადა.
კაცს ექებდნენ გადაკარგულს;
გზაზე ათას მეკობრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვდნენ ძმანი, მაგრამ „არგოს“
თვალი ვერსად ვერ მოკრეს.
თვალთა წყაროც წყალუხვია,
ოდეს დარდი დაბუგავს,
დაგუბდება და უხილავს
გადმოანგრევს საგუბარს.
„ის სიკვდილსაც წაუღია, —
ცრემლმომდგარმა თქვა ბუბამ, —
ვინც მას ჩვენგან წაუგვრია,
სადმე ხომ არ დაღუპა?“
დღისით ჭაბუკს თვალწინ ედგა
ვინც ამღვრევდა წუხელის,
ღამით აღარ აძინებდა
მედეაზე წუხილი.
ჯავრს იყრიდა, სადაც დახვდა
ავაზაკი ავთვალი,
იავარქმნილ ყაჩაღთაგან
ბლომად დარჩათ ნადავლი...
შორით გემის დალანდვისას
ნაძარცვს თმობდნენ უჩხუბრად,
მათ კიკლოპად გადაიქცა,
მათ კერბეროს — ურჩხულად,
მაგრამ აქილევსთა რისხვაც
ზვავდებოდა უჩუმრად.
მეწამულ და მარმარილოს
ზღვებსაც ხარკი მიაგეს,
ბევრჯერ აყვნენ აღმა ნილოსს,
მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს...
აფეთებდნენ სასაცილოდ
პირდაბჩენილ ნიანგებს.
ევფრატს შავი დაფიონი
კვეთდა აღმა და დაღმა,
ნიტოკროსის ბაბილონიც
შესძრა მისმა დანახვამ.
ბევრი მოვლეს მათ ქალაქი —
შორს, თუ ახლო, მეზობლად,
ზრინვა, ბჟობა და ლაქლაქი
ბევრ ენაზე ესმოდათ.
ნახეს, ვითარც მდაბიონი
ყველა ხალხის ელიტა,
ბაზრობანი, სალხინონი
სკვითთა, ჰუნთა, ელინთა,
ეგვიპტელთა, ლიბიელთა,
მილეტელთა და სპარსთა,
პელაზგელთა, ლიდიელთა,
თრაკიელთა და სხვათა.
ჭრედ შეიკრა ზოდიაკი,
წლებად თვე თვეს წაება,
ვერ გასრულდა ფორიაქი,
ზღვებზე თრევა, წამება...
როს მიადგნენ სამოსიდან
კირკორელთა კუნძულებს,
ისართ წვიმამ წამოსწვიმა,
მთებმა დაიზუზუნეს.
მათი მიზნად ამოღება
დაიწყესეს ადათად.
ქამი ჯახის ამბოხებად
ზვავდებოდა თანდათან.
გემს აგნებდნენ ძაღლის გეშით
ელინთ სამეძებროდან,
მას ყრუ, უღრან ადგილებშიც
ველარ გაეძლებოდა.
ოდეს საშველს არ აძლევდა
ძმებს მდევარი ცბიერი —
საოცნებოდ გადაექცათ
მიწა უკაცრიელი.
ველარ კლავდნენ ჯიხვს და ირემს
თავად სიკვდილმისჯილნი,
სამ წელს ზღვაში იჯახირეს,
ვერ მოიკლეს შიმშილი.
მათ გარშემო ტყე ანძათა
ნელა ამოიზარდა,
ქარიშხლიან სეტყვას გავდა
ქროლვა ჰოროლ-ისართა.
ელინთ ჯერ ხმა არ დაუძრავთ
პირველ ბრძოლათ სროლამდის.
და ყიჟინა ატყდა უცბად
ერთად ათი ხომალდის.
ხოფთა დგაფუნს, აფრათ ბუბუნს
ზრინვა ბუკთა, დაფდაფთა
ალტკინებულ სპათა გუგუნს
ქარიც აჰყვა თანდათან.
და ხომალდნი აქეველთა,
რომ დაიძრნენ განგაშით,
როცა ძმანი ალალბედად
ექცეოდნენ ალყაში...
გემი მათკენ გაქანდება,
რკალს გაარღვევს და დაშლის,
თავზე მეხად დაატყდება
ყველაზე მძლავრს და საშიშს —
სამი წლისწინ კამბალებთან
მოვეშაპეს შავ ზღვაში.
გაკვეთს იგი ეშვით „არგოს“ —
ორმოცდაათხოფიანს,
მლაშე ტალღებს რძედ შეარგებს
გაახსენებს კოლხიდას.

და რად შეწყდა ზარ-გუგუნი,
განა საკითხავია?
მათ ორმოცი საუკუნით
წინ უსწრებდა „ბაია“.
სხვა ხომალდნი „არგოს“ ბედმა
დაატყეთა, გაფანტა,
ყურთა აღარ ასმენდა
ზრინვა ბუკთა დაფდაფთა,
სახელგანთქმულ ზღვაოსნებთან
ბრძოლა მალე დამთავრდა.
რა იხილა საოცრება
ჩამოუშვა ცამ ფარდა.
ზღვამ ჯანღ-ნისლი წამოისხა,
ვითარც ჩრდილთა ულუსი
და ამბავი ესე დიდხანს
მოცულ იყო ბურუსით.
იმ დღეს ბევრი არგონავტი
გაიწირა კაცურად,
ზოგმაც ალბათ, სხვა ხომალდით
ნაპირამდე გასცურა.

## XXXLI

არა სხედან ქეიფად,
არ უჩნთ ღვინო დასათრობი,
ხის ქვეშ დასთენებიათ
კამათელთა მარათონით!
რაც არ გახლავთ ელინთა
ოდენ ერთი გასართობი;
თეატრონზე ბევრი აქვთ
სტადიონნი, სადაც ოდით
პაექრობენ ერთიან
ასპარეზთა არდამთმობნი.,
მაგრამ უყვართ ელინთაც
არამარტო გასართობი;
ზოგჯერ მათი ელიტა
ზარს აგორებს საათობით;
თამაშობენ გულდიად
და ძველ ხალხთა მზაკვრობანი
მთლად ვერ გადმოუღიათ,
აქვთ აქა-იქ აკრეფილა,
ისე, ვითარც უგიათ
ტაძარნი და აკროპოლი.
სპილოს ძვალიც რომ იყოს
მაინც ძაღლის ძვალი ჰქვია,
ზარი ყეფით მოგიხმობს
და თუ ჯერ არ წაგიგია,
ხვალ ენას გამოგიყოფს —
სულ მოგება ხარიგაა!..
შენგან ძვალ-ხორცს მოითხოვს,
რადგან ძაღლის ძვალი ჰქვია.
ოღონდ, კარგად გაწვრთნილმა
თუ დასცინცქლე რაღაც ძვალსაც,
თუ გაუძელ დაცინვას,
ხალხში თრევას და გალანძღვას,
თუ მოექეც მაცილად
ყველა არიფს, გლახაკს, საწყალს —
არასოდეს გაგწირავს
ძაღლის ძვალი ძაღლ-მამაძაღლს.
აკრთობს მისი დანახვა
დაფნის მარად მწვანე ტოტებს
დაფნის ხის ქვეშ, ვაგლახად,
ვინც აროდეს აგებს ოდეს,
ვისაც ვერვინ გალახავს,
ზეზეც რომ არ ადგებოდეს.
ზის ის, დიდი კუნძივით,
კრივში სამჯერ მტერმოკლული;
ირგვლივ განა გულცივი,
მზერა ხვდება მეგობრული,
პირში ყველა უცინის —
ვისაც მზაკვრულ ერგო ფული,
ახსოვთ თავზე უწინ ის —
მუშტი — მისგან შემოკრული.
დგება იგი ამაყად
და კოლხებზე ანეკდოტებს
ყვება, თითქოს ამალამ
სახლში კოლხი არ ელოდეს;
სიტყვას ოდნავ ხმამაღლა
ვინც შებედავს — დათვლის ქოთებს,
აკრთობს მისი დანახვა
არამარტო დაფნის ტოტებს.
ყველა ერთად ისჯება
და ორლიამოკლებული
პირი დაელრიჯებათ
ქლესა ღიმილმორგებული,
არცერთს ეპატიება,
ისე მიდის მოგებული.
მიდის და კამათლებიც
მიაქვს ტყვიისთვალჩასმული,
უკან მისდევს ლანდივით
უცხო ვიღაც ხანდაზმული,
რომ ავაზაკს ნამდვილი
ზარით ამცნოს დასასრული.
და იქ, სადაც გაისამდე
ვაზს მტევნები ვერ დახრის,
სადაც ზღვარი გადის გზამდე
მორთველილი ვენახის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სდექ! იაზონ! დაიცადე! —
მგზავრს უცნობი ეძახის
დგება ფეხადგმული კუნძი
და სისხარტით მოისრის
მოიჭრება ის მოხუცი,
ნიღაბს წამსვე მოიხსნის,
მოისვრის და კითხავს უცებ:
— გახსოვს სახე მოსისხლის?!...
იაზონი გაშეშდება,
შიში შესძრავს შეუმკრთალს.
გზაზე ურცხვად გაჩერება
რევს და სიტყვა ვერ უთქვამს,
ნაცნობს დიდხანს აშტერდება,
და მის ნაქონ ბებუთსაც,
— აგრე ხვდები სიძესაც კი!
ყალბად გადიხარხარებს,
თან ცაცხას სიძე-კაცი
გააპარებს ცალმხარეს.
— რაც ჯიბეში გიძევს განძი,
აქ დაყარე ახლავე!!
დასჭექს ბუბა ოდორია, —
ვის დასცინი მასხარავ?!
იავარქმნილს რომ უყვირა,
მარტო ეს არ აკმარა,
მიაყენა ღობისპირას,
იარაღიც აჰყარა.
მამცნო სამისნოთა ბრძნობამ —
ჩაესვენოს მზე ქურდის.
გზა განსაჯოს ორთა ბრძოლამ
ხელმართლის და ხელმრუდის, —
თქვა და განზე მოისროლა
მან თავისი ბებუთიც.
წუთით თითქოს მოუთმინა
იაზონმა დაცინვა,
მაგრამ უცებ მოუქნია
მთელი ძალით ცაცია;
ძლიერმა და მოუქნელმა
ბუბა ვერ წააქცია.
მას პასუხად ორი სილა
ყბაში მოხვდა ჭახანით,
მერე ცხვირი მოუქცია,
წითლად, ვითარც ჭარხალი.
— ჩემს წყაროში, ღორმუცელავ,
დინგი რარიგ ჩაჰყავი?
დასჭყივლა და ახლა მუშტის
რომ ეწადა მოქნევა,
არც მეტოქე გახლდათ კუტი,
იწყო აბობოქრება;
ისეც გულღრძო, სახეკუშტი
უფრო გაბოროტდება.
თავქვეშ შემდგარ ბუბას წიხლი
ოდეს ჩასცხო მან ხვნეშით,
აუჯანყდა უცბად სისხლი
ოდორიას ძარღვებში,
შეხტა, შეაფურთხა ზიზღით
შიგ თვალებში ძაღლიშვილს.
მტერთა მკლავთა სანავარდოდ
ექცათ ტანიც, სიფათიც.
ვის რამდენჯერ ასცდა სამტრო
მძაფრი ხელი ვინ დათვლის!...
ბრძოლა იყო არამარტო
ძალ-ღონის და სიმარდის,
ბნელ-ნათელის და ამავ დროს —
მზაკვრობის და სიმართლის.
მათ თვალებში მოზღვავებით
ორი მხარე ელავდა,
მუშტად კრავდნენ ორთავენი,
რაც ამ ქვეყნად ებადათ,
თითქოს იქცნენ მოდავენი
კოლხეთად და ელადად.
მძვინვარებდა იაზონი,
სჭირდა მკლავის კაცობა;
ბუბა ოდორიას ღონით
ერთხანს ლამის აჯობა,
დარტყმით დაუბნელა გონი,
ეცა, სცადა დახრჩობა;
შემოაჭდო მარწუხებად
ყელზე ათივ თითი და
გამარჯვების მაუწყებლად
როცა წამებს ითვლიდა,
სწამდა ველარ გაუძლებდა
მტერი ჭიდილს სიკვდილთან.
რომ იფიქრა — დაამარცხა
და მეტოქე მოღვედა,
რომ ეჩვენა იგი მკაცრად
დასჯილ წინამორბედად,
იაზონი სწრაფად დაცხრა,
თითქოს უცებ მობერდა,
სწორედ ამ დროს დაანარცხა
ძირს კოლხურმა მოგვერდმა.
იმწამს ბუბა ოდორია
ხელგაწვდილი ეახლა
და მოქიშპე, როგორც იქნა
მტრის გამოწვდილ ხელს აჰყვა,
ადგა, მაგრამ ბოლოს ყირამ
ძირს გაშხლართა ხელახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახეთქა მხრებით ქვებზე
მხეცს არისხა მხეცობა,
მტრის მლახვრელმა, ბევრის შემძლემ
მხოლოდ ერთი შესცოდა,
უთხრა: წამოდექი ზეზე,
წამომყევი შენს ცოლთან...
სადაც ცოცხლად დამარხულა
ჩვენი მზე და ქალღმერთი,
იქ კოლხებზე, გლახაკურად
სამასხარო რამე თქვი!
წამოსწია გალახულმა
თავი ქვებზე ნათეთქვი:
— ჩუმად ჰვრეტდი ჩვენს მაგიდას?
სხვას უძრახავ ლაჩრობას?!
თქვა და ლანძღვით შეუღრინა
წუთის წინათ ნაჩხუბარს...
ძალმოსილი შემაგინარს
დაუპირებს დარჩობას.
შეევედრა: — ნუ მახრჩობო,
ვერ ჰპოვებო ღონით ბედს
— რომ გაცოცხლო, ძუდ ნაშობო,
რას ჩაიდენ ცოდვის მეტს?
ხვალ შენ მომკლავ, თუ სამშობლო
სპათა თქვენთა მომისპეს.
ადექ, გდიხარ უსაშველოდ,
კვლავ მერკინე მოქიშპეს! —
იაზონმა წამოზიდა
მკერდი ულვთოთ ნათეთქვი,
დაახველა, გადმოსცვივდა
პირით ფიქვის ნაფლეთნი.
— თქვი, ჰონსილაგამოცლილმა,
სად დამალე ქალღმერთი?!
ეტყვის ბუბა, — თუ არ გესმის
წარმართისა, წარმართო,
რაც დაგმართე, უარესი
ძალმიძს ახლა დაგმართო!
არ მაღირსებ, უამესი
სიტყვა ერთი თქვა მარტო:
ქალთა შორის უნაზესი
სად გყავს უმისამართო?...
მეტყვი? შენსავ ხმალს გიბოძებ
ვერდამთმობი ბებუთის.
იაზონი ხმას გამოსცემს:
თუმცა სული მეხუთვის,
ქვეყანაზე რა მაცოცხლებს,
თუ დაგითმობ ჩემს კუთვნილს!
მასთან ბუბა ოდორია
აღარ სიტყვობს, ვისგანაც
იგებს — ტყვესთან როგორ მივა,
ძალით აგნებს მისამართს,
იტყობს — ბოლო რომ ჰქონია
უსასრულო მის აღმართს.
— სიძევ, შენი ოქრო მიმაქვს,
ხმალიც მიმაქვს გზაკვეთილს! —
თქვა და ბუბა ოდორია
სამახსოვრო გაკვეთილს
უტოვებს მტერს — ღობის ძირას
საიქქვეყნოდ დათეთქვილს.

XXXLII

ზღუდე რკალად ავლია
ქალაქს — ღამით ბჭეჩაკეტილს,
ჰგავს გალავნით აიას;
ერდოც ცათამბჯენი კედლის
სწორედ იმსიგანეა —
მეფემ გაიჭენოს ეტლით.
მაგრამ რაშთა ქროლება
ახლა აღარ ძალუძს მეფეს,
კრეონტს შავმა ყორნებმა
შუაღამით დაუყეფეს,
სტოვებს საწუთროებას,
ვითარც ვენახს დაუკრეფელს.
ეტლის ნაცვლად საწოლი
აღარ ეძვრის აღარსაით,
სულ ლევს მისი ასულიც —
ლეთე უხმობს ლამაზმანით;
იაზონის საცოლეს
სიკვდილი სჭირს მამასავით.
დგას სასიძო, ახველებს
გარდახდილი ბრძოლის შემდეგ,
პირს არიდებს მნახველებს,
ცრემლავს ტახტის მოიმედე,
ჭირისუფალს ამხნევებს
დედამისი პოლიმედე:
ამათ ველარ მოარჩენ,
წადი, ავთვალთ განერიდე,
კოლხი ეშმა მოახრჩე
არ გასულა ღამე ვიდრე,
მეფის სკიპტრა რომ დაგრჩეს
ვითარც სიძეს და მემკვიდრეს.
ხარ ვისთვისაც ნაბრძოლი,
გასწი, ახლავ მოაკვდინე
ძალლის ძუძუნაწოვი,
ხვადაგებზე, მონადირე.
ძუკნა სხვებთან ნაწოლი —
ქალწულად რომ მოათრიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე შენსას შევასრულებ
და სულს გააცხებინებ,
მთელ ქვეყანას შევაძულებ,
ყველას დავაწყევლინებ,
ხალხს ეგრერიგ შევაძრწუნებ —
ცოცხლად დავაწვევინებ... —
ვრცელ დარბაზებს დაუარა
პოლიმედემ ჩურჩულით,
რძალს სახელი დაუყარა
შვილთა მხრჩობელ ურჩხულის,
მოვლო მისმა ნაუბარმა
ყველას კუთხე-კუნჭული.
შესძრა ჭორმა განგაშივით
ბჭენი მეფის სასახლის;
„მსხვერპლიაო მამა-შვილი
აიური სამსალით,
გაქლენთილი ბალახშივით
მიძღვნილი მოსასხამის“.
დასწვეს შალი ალ-ალდარით,
ენდნენ „კეთილისმსურველს“,
სცეს პატივი და თაყვანი
პოლიმედეს სიცრუეს;
კოლხი ქალის არმაღანით
ჯადოსნობა ირწმუნეს.
დედაკაცი „მუშაკობდა“
ჭალარათმებგაშლილი,
უსაშველოდ გუშაგობდა,
შინ გაუშვა მან შვილი,
როს ჰადესთან* ჩუმად მოდგა
პერსეფონეს** აჩრდილიც,
მაგრამ უკვე იმღვრეოდა
მრუმე ღამე ცისკარით,
მზის სასტუმროდ იღებოდა
გალავნის ბჭე-ჭიშკარი
და ამაოდ მიჰყვებოდა
გზას ვიღაც სახიჩარი...
შინ ეწერა დამუნჯება
და იაზონს — დღედათვლილს
მაჯისცემა გაუჩერდა:
ქმარს და მზაკვარ დედამთილს
გასხლტომია დაუსჯელად
პატარძალი ელადის.
დაემგვანა ოდეს შეშლილს
დაძონძილი, მზებნელი,
ოდეს სუნთქვა ოთხკედელში
გახდა შეუძლებელი,
მოვლენია კოლხთა ელჩი —
სამ წელს მისი მძებნელი.
განა ძველი ნავი მათი
მიარწევდა ტაატით,
შორს მიჰქროდნენ „ბაიათი“
და ძველი მისამართით,
გზას უხსნიდათ განთიადის
შუქმფენი ანდამატი.
და რაც ითქვა, იგი სიტყვა
ოდეს საქმედ გასრულდა,
ერთურთს გზნებით შეენივთა
ორთა მკერდი და სუნთქვა,
ბუბა ოდორია დიდხანს
სდუმდა მეფის ასულთან.
ჯავრს და ჯვარცმას გაეთანგა
ქალის სახე ფაქიზი,
ნატამალიც არ ებადა
წარსული სიხალისის,
თითქოს უცხო ბაგეთაგან
ჩაესმოდა ხმა მისი:
— ოდეს მამცნო იაზონმა,
რომ მეყრება და მიდის —
შემძრა მისმა დიაცობამ,
უცბად შეცვლამ ამინდის,
გამახსენა წინათგრძნობამ
ხვედრი ღვიძლი მამიდის.
თუმცა უსაშველო დავრჩი,
არ ვემონე განაჩენს,
შორს გავხიზნე ტყუპი ვაჟი —
სადაც და ჰყავს მამაჩემს,
ხმა დავყარე, თითქოს ზღვაში
ორთავ ერთად დავახრჩე.
გამიმეტა ულვთო ქმარმა
და ძირს თმებით მათრია,
მას შევგმინე სულთმობრძავმა,
ვუთხარ, რაც სიმართლეა,
რომ ყავთ ბავშვებს სულ სხვა მამა,
ვინც მას ძმარი ადინა,
შევახსენე სხვისგან თქმული
თქვენი ბრძოლის ამბავი,
როს ესვენა ძირს განრთხმული,
მისსავ სისხლში დამბალი,
როს დაინდე სიბრალულით
და იქვე არ დაჰკალი.
გავახსენე, რომ ცხრა თვეზე
ადრე ვშობე ისინი,

---

* ბერძნული მითების მიხედვით — მამაკაცთა სულთა განმგებელი.

** ქალთა სულთა განმგებელი.

ვინც ღმერთებთან განვაწესე,
წყვილად ჩვილი ღვთის ძენი.
მან მიმაკრა მაღალ ძელზე,
საიდანაც მიხსენი.
ის ძვირფასი მოსასხამი
როს წამგვარა მან სხვისთვის,
თქმა ვერაფრის მოვასწარი,
რად მტაცებდა შავ სიკვდილს —
ზედ ესხურა ბრწო და შხამი
შენგან მოკლულ ასპიტის.
ხელში რასაც მოიგდებდა —
ძლვნად მიჰქონდა მეძავთა,
მან იმ დღესაც მოიხელთა
და წაიღო ქეძაფად,
რითაც თავის მოკვდინება
ეგზომ დიდხანს მეწადა.
სამ დღეს აგრე ძელსგაკრული
ოდეს ვიდექ ყირაზე,
ვცანი, ვითარც დღენაკლული,
დღეთა ჩემთა სასავსე,
დასჯილს ახლა მწყდება გული —
რაც სიავე ვიაზრე,
რად წამომცდა ვერაგული
ზრახვა დედამიწაზე...
მაგრამ, ბუბავ, დავზრდი ბავშვებს —
დღემდე მოვლილთ უშენოდ;
მსურს — დედოფალ მამიდაჩემს
სისხლმა შენმა უშველოს,
მემკვიდრენი ტახტის დარჩეს
უძეოს და უშვილოს.
სადაც აიეტის ელჩით
მივალ ბედგამოცვლილი,
შვილნი შენნი არიეთში
ნახე დღედალოცვილნი,
ორთავ ჩაიკარი მკერდში
მამის დაუკოცნელნი;
მერე მოყვასთ ძალი ერჩით —
გაგეიჩაღონ ქორწილი.

XXXLIII

მებოძირი კლდე აყვირდა
ყურწამლები განგაშით,
ამოზიდულ ელვას ღვრიდა
ზღვისპირ ყველა ქარქაში,
ტანს იყრიდა ტყე-მახვილი,
ამორძალთა ბანაკში.
და ელადის ტყვე დახსნილი
გასცქეროდა იმ მხარეს,
სადაც კივილ-შეძახილი
გრიგალს ჰგავდა მრისხანეს.
უძუძონი ნაპირიდან
უკიოდნენ ზღვაოსანთ,
შავი ტყავი ნადირისა
ეცვათ ქვედა სამოსად.
შორიახლო გადარეულ
ტიტველ რაშზე შემხტარი
ჯარს უხმობდა აბლავლებულს
ტანშიშველი მხედარი.
დაუჩოქა ყველამ უცებ
მათკენ ჩორთით წამოსულ
ახალბედა ბელადს — შუბზე
თავისქალა წამოცმულს.
მიყუჩებულ ორომტრიალს
ჩრდილი გადააფრინდა,
ოდეს ბუბა ოდოირიან
გემი მოდგა ნაპირთან.
უკუიქცნენ ამორძალნი
მაგრამ მათმა ბელადმა
თავის ქალაწამოცმული
შუბი ჯიქურ შემართა.
ცალი ძუძუ ამოსწვოდა
უკეთ სასროლ-სატყორცნად;
ცხენით წყალი გამოსტოპა,
რომ გახედავს ამორძალს,
თავის ქალის გამოცნობა
არ ეძნელათ ზღვაოსანთ.
და მედეამ ძალუმ სულის
უხმო მოთქმა-ზრიალით
იცნო შუბზე წამოცმული
ბნელად მათკენ მზირალი
არაკაცი კაცთმოძულე,
ჯანკა — ნავეზირალი.
ზე შემართა მეფის ქალმაც
გემით წამოღებული
მსგავსი თავის თეთრი ქალა
შუბზე წამოგებული.
ორის სულში დელგმა იდგა,
შავ ხვედრს უხმოდ სწყევლიდა —
ერთი ქალი გემბანიდან
და მეორე — ცხენიდან.
ერთს შორეთში გაუცლია
ნახევარი სიცოცხლის,
მეორეს ჯერ არ უგრძვნია
დაწყეულება სისხლ-ხორცის.
ორთავ იდგა წაგებული
წუთისოფლის ნაყოფად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასრ შუბებზე აგებულნ
ხელში ეპყრათ არყოფნა.
მათ სიკვდილი ბადროსავით
ოდეს სტყორცნეს ერთმანეთს,
ხმა გამოსკდა საოცარი
შეჯახებულ თეთრ თავებს,
ბოლმით, შურით, შხამ-სამსალით
ძმათა თავთა მკვეთავებს.
მოყვასთ, ავადსახსენებნი
რომ სწირავდნენ იაფად —
ძვალთა მათი ნამსხვრევები
წყალში მიმოიფანტა.
გემს გაშორდა ჩუმად, უხმოდ
ვალმოხდილი მხედარი,
როს წარხოცა სულმა უცხომ
ბრძვილი — გულზე შემხმარი,
როს არ დარჩა უპასუხოდ
მისი ნამოქმედარი.
და მედეა დასძენს ბოლოს:
— ბრძნულ არს კოლხთა ნათქვამი...
თავი თვისი გასცემს ბოროტს,
ავად წავა ავთვალი.
ამორძალთაც აგრე როგორ
შეაძაგა მან თავი?..
ხმალთა ელვას აღარ ღვრიდა
ათასობით ქარქაში;
ცეცხლი ჩაქრა ფარ-მახვილთა
ამორძალთა ბანაკში;
გემის მაღალ ანძას ხრიდა
სხვა საბრძოლო განგაში —
მთანი ჰექით ათას მხრიდან
ჩამოშვავდნენ შავ ზღვაში.
თოვლის თეთრი ნამქერივით
კრთოდენ თხემნი შავ მთათა.
ქაფს ზვირთებზე დაფრენილი
ქარბორბალა ართავდა
და ქსელავდა ძაფებივით
გემთან — მიუსაფართან.
ჯერ ზღვაოსანთ არ ეხილათ
ზღვა აგრერიგ საზარი:
გადათქერა ქარტეხილმა
ცის და მიწის საზღვარი,
გარს ერტყმოდათ მთაგრეხილად
სივრცე უზარმაზარი.
თითქოს ძირით დაუძრავთო
ქვესკნელეთის უკუნი,
დაემგვანა ცა უდაბნოს
საწვიმრად მოღრუბლული.

და „ბაია“ ასწვდა ტატნობს
მძლავრი ბორბლის გუგუნით
ლაღად ქროლვას დაჩვეული
გემი ფარხმალს არ ყრიდა,
ორთაბრძოლა საშინელი
ეწყებოდა ახლიდან,
ხან ნაპირთა თვალშეუვალ
უფსკრულს ჰვრეტდა მაღლიდან,
ხან სიღრმეში ჩაშვებული
ქიმს ტალღაზე ახლიდა...
მიეჯარნენ ლონეჭარბად
ზვირთნი ულვთოდ, ბურბეცად,
ორჩხომელთ და ოლექანდართ
მოსტაცებენ უეცრად;
ჩია-ბიჭიც აღარ ჩანდა,
ტალღას გადაურეცხავს.
ოდეს უცხო გემთა რისხვა
გრიგალს სხარტად აპობდა —
ის დრო ნატვრად გადაექცა,
დარად ჩამქრალ მნათობთა,
ბორგვამ, ღელვამ ზარდამცემმა
მოაქცია ნაფოტად.
ბრძანა ბუბა ოდორიამ —
მოხსნეს ზედა ქანდარა,
მაგრამ ზვირთთა ბოროტ ღრიალს
ქვეყნად არა სწამდა რა,
გემს სალტენი მოურღვია
და ბორბალი წაჰგვარა;
ბორგნეულად ბოლოს, გვიან
დაიქუხა ავდარმა.
ხოფებს ხელი არ გაუშვა
რვა ძმამ თოკით მიბმულმა,
როს იხუვლა და დაუშვა
წვიმამ კოკისპირულად,
იმ დელგმასაც გადაურჩა
ათი კოლხი გმირულად:
ზღვამ და ზეცამ პირი შეკრეს,
სჭექეს მაშინ ელვებმაც
და ვეება ტალღის კედელს,
ვითარც საშინელებას
ზღვაოსნებმა ძლივს შებედეს
წამით თვალის შევლება.
ზვირთებს ქარი ახელებდა,
ირს ახევდა ძაბრებად,
თეთრი ქაფის ნახევები
წყალს წყდებოდა აფრებად.
მიწას წარღვნას ახსენებდა
შავი ზღვის გამძაფრება.

გემს მოუღო ბოლო გვიან
მძლავრმა ჯახმა, ქარ-წვიმამ,
ბანი მიუნგრ-მოუნგრია,
მეცხრე ტალღამ ასწია
ლაწა-ლუწით მოაბნია,
შთანთქა ნაწილ-ნაწილად,
ძმანი, ბუბა ოდორია
და მედეა გასწირა.
არ გაყარა მაინც ბედმა
კარზე სიკვდილმომდგარნი,
შორს გარიყა ნავით ერთად
დალუპული ცოლ-ქმარი;
თქვა მათ ძეთა არიეთმა
მშობელთ შესანდობარი.
მაგრამ უცხოს წმინდა დედა
ურცხვად გაუყიდია —
შვილთა სიკვდილს მიაწერდა,
რაც უგვანი მითია!..
თუ აგრეა, ვით აღზევდა —
ვინც მყობადშიც გვინთია,
რად დაერქვა მისთა ძეთა
ძველ სამეფოს მიდია,
რად იწოდა მის სახელად
წამლად რაც სიწმინდეა,
სულის უკვდავების ძეგლად
რად აღმართეს მედეა?!..

ახლაც რატომ სწყალობს საქართველო —
ვინც ღმერთებზე მეტია?
ჩრდილთა ცოცხლად წარმოსახვაც
ვისით გვეიმედება?
აზრთა მილმა წყაროც ნაღდად
მხოლოდ მისით ედინა;
წარსულიდან ალმომავალ
მზედ მოგვყვება მედეა!
კოლხთა თქმულებათა გმირმაც
იძმო მარადისობა,
ოღონდ ბუბა ოდორიას
მივეტევოთ ის ცოდვა —
მშვიდობის დღე როგორია,
თუ სხვათაგან იცოდა.
ის არც ურჩხულს ასთავიანს
და არც უდავთ გუდავდა,
ქომაგობდა ადამიანს
მხრჩობი სულთამხუთავთა;
რაც დარჩა და აბადია —
ნიშნად უდგას ბუბასმთა.
გარიყული ლურჯ კოდორთან,
ვითარც გემი ქიმბასრი,
დგას მთა, ზარავს ურჯუკ დროთა
შორეული გნიასი
და ქედს უხრის ურჩი მოდგმა
ბუბა ოდორიასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვლადიმერ ჯანჯღავა**
გენერალ-ლეიტენანტი,
საბჭოთა კავშირის გმირი

# ერთგულება

### დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

## წინა დღეს

ფრონტის სარდალი — კონსტანტინე როკოსოვსკი და მისი თანმხლები ოფიცრები მორიგი საძიებო დაზვერვის გეგმის დამუშავებას ჩაუსხდნენ. მორიგი იმიტომ, რომ ჩვენი მაძიებარი ჯგუფები, ბოლო თვეში, ყოველ ღამე გადიოდნენ დაზვერვაზე.

ოღონდ ეგ იყო, მოენის დაჭერა ივლისის პირველ რიცხვებში, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

არა და, საჭირო იყო მოენე, საჭირო იყო, როგორც წყალი, როგორც ჰაერი.

მაძებართა ჯგუფის კიდევ ერთი ცდა ამ დავალების შესასრულებლად 4 ივლისის ღამეს ისევ მარცხით დამთავრდა. მზვერავებმა ვერ შეძლეს მტრის განლაგებაში შეღწევა.

აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად 5 ივლისს, ღამით გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა მზვერავ-მაძიებელთა კიდევ ორი ჯგუფი უყველაზე უფრო გამოცდილი მებრძოლების შემადგენლობით. ერთ მათგანს, რომელიც დივიზიონის მზვერავებისაგან შესდგებოდა, ლეიტენანტი ივანე მალეშნიკოვი ჩაუდგა სათავეში, მეორეში შეყვანილი იყვნენ 47-ე მსროლელი პოლკის საუკეთესო მზვერავები; ამ ჯგუფს გავრილა რიაბუშენკო ხელმძღვანელობდა.

შევთანხმდით, რომ ორივე ჯგუფი მტრის თავდაცვისაკენ ერთდროულად გავიდოდა 47-ე მსროლელი პოლკის წინა ხაზის ტრანშეადან: ერთი საბჭოთა მეურნეობის დასახლების „ტაგინოს“ დასავლეთის მხრიდან წავიდოდა, მეორე — აღმოსავლეთის მხრიდან.

ლეიტენანტ რიაბუშენკოს ჯგუფისათვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთი ვარიანტი: მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად მისულიყო მის თავდაცვასთან „ტაგინოს“ აღმოსავლეთით და იქ მოეწყო ჩასაფრება; და თუ ამ მხარეს ჰიტლერელები გამოჩნდებოდნენ, დაეჭირა ტყვე და მასთან ერთად სწრაფად დაბრუნებულიყო უკან თავისი პოლკის განლაგებაში. ეს ვარიანტი ნაკარნახევი იყო იმით, რომ ჩვენმა მზვერავებმა რამდენჯერმე შეამჩნიეს იქ მტრის ჯარისკაცთა მცირე ჯგუფები, რომლებიც, როგორც ჩანდა, თავისი მეთაურების რაღაც დავალებიდან ბრუნდებოდნენ.

შედარებით უფრო რეალური და უფრო სახიფათო დავალება ჰქონდა მიცემული ლეიტენანტ მელეშნიკოვის ჯგუფს. იმას უნდა გაეღწია გერმანელებისაგან საკმაოდ ძლიერად დაცულ სიმაღლე 256-ის სამხრეთ კალთაზე, საბჭოთა მეურნეობის დასახლება „ტაგინოს“ დასავლეთით, სადაც ჩვენი მზვერავების მიერ აღმოჩენილი იყო საგულდაგულოდ შენიღბული ტყვიამფრქვევის სანგრებლი წერტი. სწორედ იგი იყო ახლა მზვერავების მიერ თავდასხმის ობიექტად შერჩეული. არ იყო გამორიცხული ჰიტლერელების შეხვედრა ნეიტრალურ ზონაშიც. ასეთ შემთხვევაში მზვერავებს გარემოების შესაბამისად უნდა ემოქმედათ.

მელეშნიკოვის ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილი იყვნენ კაპიტან კოლესოვის დივიზიონის მზვერავთა ასეულის ყველაზე გამოცდილი ღამის მზვერავები. მათ რიცხვში უფროსი სერჟანტი ასეულის პარტორგი ანდრეი ივანოვი, დივიზიაში ყველასათვის ცნობილი შეკუ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8.

რობის ოსტატები, ლონიერი და გაბედული ვეტერანები, ეფრეიტორები — ფედორ სემიონოვი, ალექსანდრე გუზინი და სხვები, სულ, მეთაურის გარდა, 12 კაცი. კაპიტანმა კოლესოვმა საგანგებო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა მათ, ხოლო შეპყრობის ყველა ვარიანტი წინასწარ ადგილზე დამუშავდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მზვერავები მოწინააღმდეგეს 47-ე მსროლელი პოლკის ტრანშეიდან უთვალთვალებდნენ. ოცდასამი საათისათვის იქ მივედით მე, პოდპოლკოვნიკი ბოჩაროვი, კაპიტანი სავინოვი, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც დივიზიის შტაბის მზვერავთა დანაყოფის უფროსად გადმოიყვანეს, და კაპიტანი კოლესოვი. იქვე იმყოფებოდნენ არმიის შტაბის სადაზვერვო განყოფილების წარმომადგენლებიც.

კოლესოვი შესამჩნევად ღელავდა, ბევრს ეწეოდა, და ღამით ცეცხლი რომ არ გამოჩენილიყო, პაპიროსს მუჭში მოხერხებულად მალავდა.

— აბა, კეთილად, ვანია, — უთხრა ბოლოს მზვერავთა ახეულის მეთაურმა, თავის მეგობარ მელეშნიკოვს გადაეხვია და ყველას წარმატება უსურვა, — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბიჭებო.

ერთ-ორ წუთში მზვერავები თითქოს სიბნელეში გაითქვიფნენ. მაგრამ თითქოს ცხადად ვხედავდი, როგორ მიდიოდნენ მტრის სადგომისაკენ: წინ ხელში ნაღმსაძიებელებით მესანგრეები მიუძღოდნენ ხოხვით, მათ შემპყრობთა ჯგუფი მოჰყვებოდა, ხოლო სულ უკან ზურგზე სატელეფონო მავთულის კოჭაწამოკიდებული მეკავშირე მიდიოდა. „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბიჭებო!“

23 საათსა და 40 წუთზე თავისი საკომანდო პუნქტიდან 47-ე პოლკის მეთაურმა ივანე კარტაშოვმა დარეკა და თქვა, რომ რიაბუშენკო პირობით კვადრატში, მტრის სანგრებთან 60 მეტრის დაშორებით იმყოფებათ. რიაბუშენკომ მოგვახსენა, რომ მოწინააღმდეგის წინა მხარეზე ძალიან ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერია თავმოყრილი, ხოლო თავდაცვის სიღრმიდან დიდი რაოდენობის მანქანების ხმა და ტანკებისა და თვითმავლების მუხლუხების ღრჭიალი ისმისო. ამას გარდა, რიაბუშენკომ და მისმა მზვერავებმა სიმაღლე 256-დან ავტომატების სროლისა და ხელყუმბარების აფეთქების ხმებიც გაიგონეს.

სიმაღლესთან ავტომატის სროლის ხმა ჩვენც გავიგონეთ, მაგრამ ჯერ იქიდან არავითარი ცნობა არ ჩანდა.

რა მოხდა იქ? რატომ დუმს ტელეფონი? ნუთუ კვლავ მარცხი მოუვათ და მზვერავები ხელცარიელები დაბრუნდებიან? ლოდინის დამქანცველი წუთები, ხუთი, ათი, თხუთმეტი... დრო თითქოს გაიყინა.

უცბად წინიდან ძლივსგასაგონი შეძახილი მოისმა. მერე სიბნელიდან ადამიანის ფიგურა გამოიკვეთა და უმალ ვიცანი მაღალი და მხარბეჭიანი ეფრეიტორი, ციმბირელი ფედორ სემიონოვი, რომელსაც მზვერავთა ჯგუფის წასვლის წინ ველაპარაკებოდი.

მარჯვედ გადმოაბიჯა ტრანშეის ბრუსტვერს და ზურგზე წამოკიდებული, ლაბადში გახვეული მძიმე ტვირთი ძირს დაიგდო, აქოშინებულმა სიხარულით მომახსენა:

— დავალება შესრულებულია, ამხანაგო პოლკოვნიკო, ტყვე ავიყვანეთ... დანაღმულ მინდორში, იქ ეგენი ოცამდე კაცი იყო...

ფედორ სემიონოვის შემდეგ დანარჩენი მზვერავებიც დაბრუნდნენ ლეიტენანტ ივანე მელეშნიკოვის მეთაურობით.

„ტყვე დანაღმულ მინდორში შევიპყარით. იქ ეგენი ოცამდე კაცი იყო, — გამახსენდა სემიონოვის ნათქვამი და უმალ თავში გამიელვა, — მაშასადამე, ჰიტლერელები გასასვლელს აკეთებენ, სრულიად შესაძლებელია, რომ ერთი-ორი საათის შემდეგ იერიშზეც გადმოვიდნენ“.

ტყვეს ხელ-ფეხი შეუხსნეს და ფეხზე წამოაყენეს.

— დაეკითხეთ, — ვუბრძანე იქვე მდგარ თარჯიმანს, — ვინ არის და რას აკეთებდა სხვებთან ერთად დანაღმულ მინდორში?

ტყვემ იმავ წამს დაასახელა თავისი გვარი და სახელი: მე-6 ქვეითი დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის ჯარისკაცი ბრუნო ფერმელი. მესანგრეთა ოცეულის სხვა ჯარისკაცებთან ერთად დანაღმულ მინდორში ტანკებისა და ქვეითი ჯარის გასასვლელს ვაკეთებდი. მერე დაუფარავი ბოროტი სიხარულით, დამტვრეული რუსულით დაუმატა:

— დღეს რუსიშ კაპუტ! ორიოლი... ბელგოროდი! — ჰიტლერელმა ხელი განზე გაშალა, მერე სწრაფად შეაერთა და ერთ მუშტად შეკრა, — კურსკი — კაპუტ!

— ჰკითხეთ, როდის იწყებენ შეტევას? — დავაჩქარე თარჯიმანი.

— დღეს, ხუთ ივლისს, საარტილერიო მზადება დაიწყება 2 საათსა და 30 წუთზე. იერიშისათვის გამზადებული ტანკები და ქვეითი ჯარები უკვე საწყის პოზიციებზე დგანან. ნაწილებში შეტევის ბრძანებაც უკვე წაკითხულია. — იყო პასუხი.

„კოლოსალურმა დარტყმამ, რომელიც დღეს დაატყდებათ თავს საბჭოთა არმიებს, ძირფესვიანად უნდა შეარყიოს ისინი“, — იკითხებოდა ამ ბრძანებაში, რომელიც მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი.

მე დაუყოვნებლივ დავუკავშირდი არმიის სარდალს.

— ტყვე ახლავე ჩემთან! — მიბრძანა მან, — დაუყოვნებლივ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეს მცველებად ორი მეავტომატე მივუჩინე და მანქანით გავგზავნე, რომ არმიის შტაბში ჩქარა მიეყვანათ.

ლეიტენანტმა ივანე მელეშნიკოვმა, უფროსმა სერჟანტმა ანდრეი ივანოვმა, ეფრეიტორებმა ფედორ სემიონოვმა და ალექსანდრე გუზინინმა და სხვა მზვერავებმა მოკლედ გვიამბეს, როგორ მოახერხეს იმ მომენტისათვის ასეთი ძვირფასი მტრის ხელში ჩაგდება.

მოწინააღმდეგის მესანგრეთა ჯგუფი პირველად მათ ნეიტრალურ ზონაში დაინახეს. ისინი მცირე სიღრმის ღელით ჩვენი წინა ხაზისაკენ მოდიოდნენ, რათა დანაღმულ მინდორში გასასვლელი გაეკეთებინათ.

მტრის მესანგრეებისა და ჩვენი მზვერავების გზები ერთმანეთს გადაეჭვარედინა, მაგრამ ჩვენი მზვერავები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — ჰიტლერელებს მაღლიდან მოექცნენ. ლეიტენანტმა მელეშნიკოვმა იმავ წამს სწრაფი იერიშის მიტანა გადაწყვიტა. თუმცა, მტრის ჯგუფი რიცხობრივად გაცილებით დიდი იყო.

მტრის მესანგრეებს ავტომატის პირველი ცეცხლი გაუხსნეს მელეშნიკოვმა, ივანოვმა, სემიონოვმა და გუზინინმა. უეცარმა თავდასხმამ ჰიტლერელები გაათოგნა, ეფრეიტორმა ალექსანდრე გუზინინმა ისარგებლა მათი დაბნევით და მტრის ჯგუფში ხელყუმბარა ისროლა. გაისმა აფეთქების ხმა. ყუმბარამ ათამდე ჰიტლერელი მოსპო. ცოცხლად დარჩენილებმა გაქცევით სცადეს გადარჩენა, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ ორმა გააღწია. დანარჩენები მზვერავებმა ავტომატებით დაცხრილეს, ხოლო ერთი მათგანი ლეიტენანტმა კალეშნიკოვმა შეიპყრო და ძირს დასცა; ამ დროს ეფრეიტორმა გუზინინმა მიუსწრო. ორმა მტრის მესანგრე სასწრაფოდ გაბაწრეს, პირში წინასწარ გამზადებული ალიკაპი ჩასჩარეს და ლაბადაში გაახვიეს.

ჯგუფის მეთაურმა ტყვის წამოყვანა მზვერავებს შორის ყველაზე ღონიერს — ფედორ სემიონოვს დაავალა. დანარჩენ მზვერავებმა ლეიტენანტ კალეშნიკოვის მეთაურობით 47-ე პოლკის პირველ ტრანშეამდე მოაცილეს. ეს სიფრთხილე სულაც არ იყო ზედმეტი იმიტომ, რომ ორი ცოცხლად გადარჩენილი გერმანელი მომხდარ ამბავს ხომ შეატყობინებდნენ თავისიანებს, ხოლო გერმანელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ დრო, ორგანიზებული დევნა მოეწყოთ და ტყვე უკანვე წაერთმიათ. საბედნიეროდ, ამისი მსგავსი არაფერი მომხდარა.

ამგვარად, გავიგეთ პირველად ის დრო ზუსტად, რომელზეც გერმანელთა სარდლობა კურსკის რკალის ჩრდილო კიდურიდან ჩვენს კურსკის თავდაცვას მასიურ დარტყმას უმზადებდა.

## ბრძოლა

დიადი ბრძოლა კურსკის რკალზე! ძნელია ჩვენს ქვეყანაში იპოვო ადამიანი — მოსწავლიდან დაწყებული ხანდაზმულამდე, — რომელსაც არ წაეკითხოს ან არაფერი სმენოდეს ამ გრანდიოზულ საომარ ამბებზე. კურსკის ბრძოლის მიმდინარეობა დაწვრილებით არის გაშუქებული დიდი სამამულო ომის ისტორიის ტომებში, აღწერილია გამოჩენილი მხედართმთავრების მემუარულ ნაწარმოებებში, კურსკის ბრძოლების გმირთა სახელები ცნობილია მთელს ქვეყანაში. მათი უკვდავი გმირული საქმენი, სიმამაცე, გამბედაობა, ურყევი გამძლეობა დახატულია სხვადასხვა ჟანრის ათეულობით წიგნში — დაწყებული დოკუმენტური წიგნებით და დამთავრებული მხატვრული ლიტერატურით, ასახულია მთელ რიგ კინოფილმებსა და დრამატულ ნაწარმოებებში.

მაგრამ კურსკის გმირული ეპოპეის თემა, როგორც მთლიანად დიდი სამამულო ომისა, დაუშრეტელი და ამოუწურავია. ამიტომ მივეცი თავს ნება და, როგორც ამ ამბების ერთ-ერთმა მონაწილემ და თვალით მხილველმა, მინდა მოვუთხრო მკითხველს ახალგაზრდობას ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ამბავზე ამ გრანდიოზული მოვლენისა, რაც კურსკის ბრძოლების სახელით შევიდა მსოფლიო ისტორიაში და რამაც სათავე დაუდო კაცობრიობის უსაშინელესი მტრის — ფაშიზმის საბოლოო განადგურებას.

მაშ ასე, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ჰიტლერელი ტყვე არმიის შტაბში რომ გავგზავნე, თვითონ დივიზიის სათვალთვალო პუნქტში გავეშურე. იგი მაშინ ტაქტიკურად ხელსაყრელ სიმაღლეზე მდებარეობდა, დასახლებული პუნქტის ხტეპის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით კილომეტრნახევარზე. ჰიტლერელები ამ სიმაღლეს ჩვეულებრივ ხშირად უშენდნენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს, მაგრამ ამჯერად სიწყნარე იყო.

ჯერ კიდევ 47-ე პოლკიდან წამოსვლის წინ ტელეფონით გავაფრთხილე დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი შმიგლევი ჰიტლერელი მესანგრის ჩვენებების თაობაზე. შმიგლევმა საკომანდო პუნქტზე გამოიძახა უფროსი ოფიცრები და საქმის ვითარება გააცნო: მტრის იერიშის დაწყებამდე, თუ ჰიტლერელი ტყვე მართალს ამბობდა, დაახლოებით ორი საათიღა რჩებოდა.

პოდპოლკოვნიკმა შმიგლევმა შეკრებილ შტაბელებს მთელი სიზუსტით მოახსენა, რომ დივიზიის ყველა პოლკი და მათი გამაძლიერებელი ნაწილები მზად არიან ბრძოლისათვის, მათი მეთაურები თავთავიანთ სათვალთვალო პუნქტებზე იმყოფებიან და ელიან შემდგომ განკარგულებას.

**ღამის ორი საათზე არმიიდან** მოვიდა ბრძანება **ჯარების საბრძოლო** მზადყოფნის შესახებ.

2 საათსა და 20 წუთზე, მოწინააღმდეგის მიერ საარტილერიო მომზადების დაწყებამდე ზუსტად ათი წუთით ადრე, კავშირგაბმულობის ყველა ხაზით ჯარებს გადაეცა საარტილერიო მომზადების დაწყების ბრძანება — პირობითი სიგნალი „მზე" და მთელი ცენტრალური ფრონტის თავდაცვის ზოლში ერთდროულად დაიქუხა მტრისკენ მიმართულმა უამრავმა საარტილერიო ბათქმა. მარტო ჩვენი მე-13 არმიის თავდაცვის ზოლიდან მტრის პოზიციებსა და მისი ტექნიკისა და ცოცხალი ძალების სავარაუდო თავმოყრის ადგილებს 600 ქვემეხმა და ნაღმსატყორცნის გათვლამ გაუხსნა გამანადგურებელი ცეცხლი.

კონტრსაარტილერიო მომზადება უწყვეტად ნახევარ საათს გაგრძელდა. ჭეშმარიტად ეს იყო ყოვლის გამანადგურებელი, უძლიერესი დარტყმა. ნახევარ საათში ჩვენმა არტილერიამ იმდენი ჭურვი გახარჯა, რომლის შევსება არცთუ ისე იოლი საქმე იყო, თუმცა საომარი მასალები დივიზიაში საკმარისზე მეტიც იყო — სამ და მეტ საბრძოლო კომპლექტს აღწევდა.

თავში სულ ერთი მოუსვენარი ფიქრი მიტრიალებდა: დაიწყებს თუ არა მოწინააღმდეგე თავის შეტევას დღეს? სანდოა თუ არა გერმანელი ტყვე მესანგრის ჩვენებები? სწორედ არის შეფასებული სიტუაცია და მტრის საქციელი? ხოლო თუ მტერი შეტევის დაწყებას აპირებდა არა დღეს, არამედ ორი-სამი დღის შემდეგ, მაშინ მტერი შესძლებს, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც შეძლებს ჩვენი სარტილერიო დარტყმით მიყენებული ზარალის აღდგენას, რომლის დროსაც ჩვენ არა მარტო დიდძალი საომარი მასალა გავხარჯეთ, არამედ შენიღბული საცეცხლე წერტებიც გამოვამჟღავნეთ.

— დაიწყებს, მაშ რა ჯანდაბას იზამს. მსხვილი საბრძოლო ოპერაციის გადადება შეუძლებელია, როცა იგი უკვე მზად არის და დროც განსაზღვრულია, — თითქოს თავს იმშვიდებსო, წყნარად თქვა არტილერიის სარდალმა ფედოტოვმა.

მაგრამ დრო მიდიოდა და მოწინააღმდეგის მხრიდან კი ერთი გასროლაც არ ისმოდა. მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზზეც და სიღრმეშიც ხანძარი მძვინვარებდა. დრო და დრო ძლიერი აფეთქების ხმებიც ისმოდა. ეჭვი არ იყო, საომარი მასალით დატვირთული ავტომანქანები და საწყობები ფეთქდებოდა. ეს იყო და ეს. შეტევის დაწყებისა კი არავითარი ნიშანი არ ჩანდა. ხოლო ჩვენ მოუთმენლად ველოდით. როდისღა? როდის?.. კარგად ვიცოდით, რომ განუზომელად მძიმე ბრძოლა მოგველოდა, მოგველოდა გაძლება ძლიერი, მზაკვარი, უკიდურესობამდე გაბოროტებული და გაცოფებული მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარების დაწოლას ვუძლებდით და გვწამდა, რომ გავიმარჯვებდით — გავუძლებდით მტრის გააფთრებულ დაწოლას და „ვეფხვებს", „პანტერებს" და „ფერდინანდებსაც" დავთრგუნავდით.

გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას ორი საათი დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენი საარტილერიო მომზადების შემდეგ შედარებით მაინც თავისი ჯარები წესრიგში მოეყვანა. ასე საგულდაგულოდ მომზადებული შეტევის შეცვლა, ან ხანგრძლივი დროით გადადება უკვე აღარ ძალუძდა, და სრულ 4 საათსა და 30 წუთზე მისი საარტილერიო მომზადების პირველი ბათქიც გაისმა, თუმცა ისეთი ძლიერი არა, როგორსაც მოველოდით. იმავ დროს, ხუთი წუთის გასვლის შემდეგ, საბჭოთა არტილერიამ კვლავ დაატეხა ახალი ძლიერი დარტყმა (თუმცა არა ხანგრძლივი) მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრის პუნქტებს. მე-13 არმიის თავდაცვის ზოლზე, ექვსასის მაგიერ, ახლა უკვე ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი გრგვინავდა — ბრძოლაში არტილერიის ახალი ძალები და ბატალიონების ნაღმსატყორცნებიც ჩაებნენ.

როცა საარტილერიო დუელი დამთავრდა, დილის 5 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგე იერიშზე გადმოვიდა: დიდი რაოდენობის ტანკებითა და ბომბდამშენებით გაძლიერებული ორი ქვეითი პოლკის ძალებით შეეცადა იგი მოეხდინა გარღვევა 47-ე მსროლელი პოლკის თავდაცვის უბანზე, რომლის წინაც არავითარი ბუნებრივი დაბრკოლება არ იყო. ერთდროულად მტრის იერიშში მოჰყვა 676-ე მსროლელი პოლკიც, მაგრამ რამდენადაც მის პოზიციებს ძნელად გასასვლელი ადგილები ეკავა — ხრამები, მდინარე ოჩკას დაჭაობებული საფლობები — მოწინააღმდეგემ ტანკების სრული შესაძლებლობით გამოყენება ვერ შეძლო და მისდაუნებურად დარტყმის ძალა შესუსტდა.

მიუხედავად მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალებისა და საშუალებების დიდი უპირატესობისა, პირველი მისი იერიში წარმატებით იქნა უკუგდებული. მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევების ძლიერ ცეცხლს წააწყდნენ და იძულებული გახდნენ თავიანთი საწყისი პოზიციებისკენ დაეხიათ.

6 საათსა და 30 წუთზე კიდევ უფრო ხანგრძლივი საარტილერიო მომზადებისა და ჰაერიდან დაბომბვის შემდეგ, ჰიტლერელებმა კვლავ იერიშით შემოუტიეს ჩვენი დივიზიის ორი პოლკისა და მარჯვენა მეზობლის — 81-ე დივიზიის პოლკების პოზიციებს.

— მოწინააღმდეგე იერიში მოაქვს ვერხნი ტაგინოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან, იასნაია პოლიანას მიმართულებით, — მომახსე-

ნა რადიოთი 47-ე პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა კარტაშოვამ.

— ბევრი ტანკებია?

— თვით ეშმაკიც კი ვერ დაითვლის.

— გამაგრდი, ივან ივანიჩ, გამაგრდი! ჩვენ ახლა მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია — გამაგრება — ჩავძახე მიკროფონში.

ძნელია, შეუძლებელია კაცმა მთელი მოცულობით წარმოიდგინოს ძალა და ღონე გააფთრებული ბრძოლისა კურსკის შვერილზე პირველ საათებსა და პირველ დღეებში. ზედიზედ ფეთქდებოდა წინ გამოჭრილი ჰიტლერელთა მსუბუქი ტანკები ნაღმებზე, ან ჩვენი არტილერისტებისა და ტანკსაწინააღმდეგო მეთოფურების ზუსტი სროლით დაზიანებული ცეცხლის ალში ეხვეოდა და იწვოდა. მათ უკან მომავალი ტანკები განზე უხვევდნენ და ამით ცდილობდნენ დანაღმული უბნის გადალახვას, მაგრამ ისინიც წინმავალთა ბედს იზიარებდნენ. „ვეფხვები" და მოიერიშე თვითმავალი „ფერდინანდები" მსუბუქი და საშუალო ტანკების მოქმედებას გაძლიერებული ცეცხლით იფარავდნენ, მაგრამ ბევრს ვერც ისინი შველოდნენ.

ჩვენი მსროლელი ქვედანაყოფები და ნაწილები სიკვდილის პირისპირ უშიშრად იდგნენ და მტერს თავდაუზოგავად ებრძოდნენ. მესანგრეები და ყუმბარმტყორცნელები ცეცხლის გრიგალში გადიოდნენ წინ, მიდიოდნენ მტრის ტანკებთან ახლო მანძილზე, უწყობდნენ ქვეშ ნაღმსა და ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით აფეთქებდნენ. თვითონ გმირული სიკვდილით იხოცებოდნენ, მაგრამ მტრის ტანკებს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. განუწყვეტლივ ისმოდა ტანკსაწინააღმდეგო თოფების სროლის თავისებური ტკაცა-ტკუცი. ტანკების მუხლუხებს პირდაპირი დამიზნებით უშენდნენ ცეცხლს ქვეითთა საბრძოლო რიგებში მოქმედი ეგრეთწოდებული „ორმოცდახუთიანები". როცა ფაშისტთა ტანკები ჩვენი ტრანშეების გადალახვას მოახერხებდნენ, ჩვენი მსროლელები, მეავტომატეები და მეტყვიამფრქვევეები მათ უკან მომავალ ქვეით ლაშქარს იმავე წამს გზას გადაუჭრიდნენ, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ და უწყალოდ ჟლეტდნენ. ხოლო წინ გაჭრილ მტრის ტანკებს ჩვენი არტილერისტები ანადგურებდნენ, აფეთქებდნენ, წვავდნენ.

მდგომარეობის გართულების გამო დივიზიის სათვალთვალო პუნქტებს საშიშროება დაემუქრა. მოწინააღმდეგის ტანკებმა დასახლებულ პუნქტს — სტეპს შემოუარეს, მათთან ბრძოლაში ჩაებნენ არტილერისტები.

შევატყობინე გენერალ მ. ი. გლუხოვს, რომ ჩვენს საკუთარ ძალებს მოვწყდით-მეთქი, და საკომანდო პუნქტზე გასვლის ნებართვა ვთხოვე.

დივიზიის სათვალთვალო და საკომანდო პუნქტები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ღრმა ტრანშეით, მაგრამ მისით სარგებლობა ჩვენ ამჯერად ველარ შევძელით, რადგან რამდენიმე ადგილას მტრის ტანკებს უკვე გადაეკეტათ. საბედნიეროდ, კაპიტან ჟუკოვის ბატალიონის კონტრიერიშებით შეჩერებული მტრის ქვეითი ჯარი რამდენადმე ჩამორჩა თავიანთ ტანკებს, ამან საშუალება მოგვცა გადაგველო ჭვავის ყანა ხან ხოხვით, ხან გადარბენებით და საკომანდო პუნქტზე გავსულიყავით. ხოლო ჭვავის ყანები იმ ზაფხულს კურსკის ველზე ისეთი იყო, რომ შიგ ცხენიანი კაცი დაიმალებოდა.

მე და კავშირგაბმულობის უფროსს ბოჩაროვს მიგვაცილებდა მზვერავთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა დივიზიის ვეტერანი, მამაცი და მარჯვე მებრძოლი, უფროსი სერჟანტი ანტონ ფერაძე. ჯგუფის ნაწილი წინ მიდიოდა და გზას გვიკაფავდა, დანარჩენები უკანიდან გვიცავდნენ. უცბად გაცხარებული სროლის ხმა შემოგვესმა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მზვერავები საკომანდო პუნქტისაკენ მიმავალ ჰიტლერელებს გადაეყრნენ, ხუთი იქვე მოკლეს, ხოლო მეექვსე უფროს სერჟანტ ფერაძეს ტყვედ დაეჭირა. ამ დროს ცაში კვლავ გამოჩნდნენ გერმანელთა თვითმფრინავები, ბომბის ნამსხვრევით ფეხში მძიმედ დაიჭრა ფერაძე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტყვე მაინც დივიზიის საკომანდო პუნქტზე მოიყვანა.

დაბომბვის დამთავრებამდე შევიცადეთ ჭვავის ყანაში, მერე ისევ გზა განვაგრძეთ. ამჯერად არაფერი მომხდარა და საკომანდო პუნქტამდე უხიფათოდ მივედით, რომელიც სოფელ პოდსობოროვკის მახლობლად მდებარეობდა.

შტაბის უფროსმა ვ. გ. შმიგლევმა მომახსენა არსებული ვითარების შესახებ მთლიანად დივიზიაში და კერძოდ 676-ე მსროლელ პოლკში.

— მიუხედავად მტრის განუწყვეტელი იერიშებისა, ოლოფრიენკოს პოლკი განაგრძნობდა შეუპოვარ თავდაცვას პირველ ეშელონზე, — მითხრა ბენიამინ პეტროვიჩმა.

შმიგლევს ვთხოვე 321-ე პოლკის მეთაურთან პოდპოლკოვნიკ ვოლოშჩენკოსთან შემაერთე-მეთქი, მაგრამ იგი აპარატთან არ აღმოჩნდა. მის მაგიერ პოლკის შტაბის უფროსმა მაიორმა მალიუგამ მიპასუხა.

— მდგომარეობა მეტად რთულია, — ამხანაგო პოლკოვნიკო, — მითხრა მან, — ვეწევით მძიმე ბრძოლას ბობრიკისა და სტეპის უბანზე. მოწინააღმდეგის მხრიდან ასამდე ტანკი მოქმედებს, ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავს ჩვენს საბრძოლო რიგებს, მაგრამ ბატალიონები მტკიცედ დგანან დაკავებულ ზღუდეზე.

ვიცოდი, რომ პოლკს უჭირდა და გადავწყვიტე გრიგოლ ვასილის ძე ცოტა გამემხნევებინა:

— სამშობლო ჩვენ შემოგვყურებს, მაიორო. შეიძლება ომის ბედი სწორედ დღეს წყდებო-

დეს. ეს კი ჩვენ კოლოხალურ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

საუკეთესოდ იბრძოდნენ პოლკის ნაღმტყორცნელები. მათ ამ სასტიკ ბრძოლაში მოწინააღმდეგის საკმაოდ ბევრი ქვეითი ჯარისკაცი გამოასალმეს სიცოცხლეს. ძნელ წუთებში, როცა მეორე ნაღმსატყორცნის ახეულის პოზიციებისაკენ ტანკები დაიძრნენ და ერთმა მათგანმა — „ვეფხვმა“ ძალიან ახლოს მისვლაც კი მოახერხა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების კონით ხელში სანგრიდან ამოხტა ახეულის პოლიტხელი უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბოტკოველი — კაცი ხრულიად უწყინარი სპეციალობისა, თელაველი მასწავლებელი, — ჩაება მრისხანე მანქანის წინააღმდეგ უთანასწორო ორთაბრძოლაში და გაიმარჯვა კიდეც. მისმა მარჯვედ ნატყორცნმა ყუმბარამ „ვეფხვს“ ბენზინის ავზი შეუნგრია. სამწუხაროდ, ბოტკოველი თვითონ ველარ გადარჩა, ცეცხლის ალში გახვეული გერმანელთა ნაქები ტანკი უკვე შავი კვამლით ბოლავდა, როცა გმირი მებრძოლი მტრის ტყვიამ განგმირა.

აი რას წერდა იმ ცხარე დღეებში გაზეთი „პრავდა“ 676-ე მსროლელი პოლკის ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეებზე.

„ჩვენი არტილერია ურტყამდა „ვეფხვებს“. იმ წუთებში საბჭოთა მეომრებმა, რომლებიც სანგრებში იბრძოდნენ, დაინახეს, როგორ ეხვეოდა ალში გერმანელთა მძიმე ტანკები. მაგრამ ჩვენს პოზიციებს ახალი ძლიერი კოლონა უახლოვდებოდა. წინ კვლავ „ვეფხვები“ მოუძღვოდნენ. ორი სერჟანტი — უსამბეკოვი და ფალალეევი, თავიანთი ტანკსაწინააღმდეგო თოფებით, წინ გამოვიდნენ. ეს იყო მოკლე და სასტიკი ორთაბრძოლა. „ვეფხვები“ მოდიოდნენ და თან ზარბაზნებს ისროდნენ. ისინი მიწას მტვერს აღენდნენ და სრესდნენ სანგრების წინ დახოცილ ჯარისკაცთა გვამებს. უსამბეკოვი და ფალალეევი იცდიდნენ. ტანკები უკვე სულ ახლოს მოვიდნენ. უსამბეკოვმა დაიძახა:

— მოდი, აგე ისინი! მიდი, მე პირველს ვესვრი!

ფილალეევმა არაფერი არ უპასუხა. ლოდინს განაგრძობდა. იგი გამოცდილი ტანკსაწინააღმდეგო მეთოფე იყო, მაგრამ ახლა ყველაზე დიდ გამოცდას გადიოდა თავისი პოლკის წინაშე, რომელსაც ის უყვარდა და თავისი ხალხის წინაშე, რომელმაც მას ეს ზლუდე მიანდო. შეიძლება ნახევარი წუთის შემდეგ იგი ცოცხალიც აღარ იყოს — ახალგაზრდა უფროსი სერჟანტი ფილალეევი, მაგრამ მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ის წითელი „ვეფხვი“ მეტად აღარ მოძრაობდეს. იქ, სანგრებში სხედან ამხანაგები, ისინი პირველები ხედავენ ამ ტანკს, მაგრამ არ წუხან, იციან, რომ ფალალეევი გააკეთებს თავის საქმეს. ასე ფიქრობდა იგი ამ მოკლე წუთებში, დაძაბულ წამებში და თინ ტანკის სამზერ-ჭუჭრუტანას მიზანში იღებდა. მან კარგად იცოდა ამ „ვეფხვების“ სუსტი ადგილები.

დროა, ფალალეევი მჭიდროდ მიეკრა თავის თოფს და ესროლა. იმავ წამს უსამბეკოვის გასროლის ხმაც გაიგონა. „ვეფხვები“ პირდაპირ მათკენ წამოვიდნენ, ეტყობოდათ, ეშინოდათ გვერდები არ შეეშვირათ ტყვიისათვის. ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეებმა ხელახლა დაუმიზნეს. ორი გასროლა ერთმანეთს შეერწყო და ორი ტანკიც ერთდროულად აბრიალდა. უსამბეკოვმა გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— ესენი „ვეფხვებია“ არა?

— სწორედ ისინია. აჰა, ესენი უკვე უხვევენ!

გერმანელთა ჯავშნოსანმა კოლონამ თავიანთი დამწვარი ტანკების გვერდის ავლა განიზრახეს, მაგრამ ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეებმა ის უკვე გათოფეს და ცეცხლი გაუჩინეს. ფალალეევთან უფროსი ლეიტენანტი სერდი მიხოხდა და მაგრად გადაეხვია. კიდევ ერთი სატანკო იერიში უკუგდებული და განადგურებული იყო“.[1]

როგორც ჩანდა, ჩვენი პოლკების პოზიციებზე განუწყვეტელი იერიშებით ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამოწურავდნენ ჩვენი ჯარების მოთმინებას, რომ ტანკებისა და ქვეითის გააფთრებული იერიშები და მისი თანმხლები მძლავრი დაბომბვები ხმელეთიდან და ჰაერიდან ბოლოს და ბოლოს მიიყვანდნენ ადამიანებს სულიერი გაღატეხის იმ ზღვრამდე, დაღლილობის იმ დონემდე, რის შემდეგაც გატეხისა და უკან დახევის მეტი აღარაფერი რჩებათ, მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუვდა. პოლკის არც ერთ მეომარს სულმოკლეობა არ გამოუჩენია. „ილეშობდა“ ფოლადი, გავარვარებამდე წითლდებოდა ზარბაზნისა და თოფის ლულები, მაგრამ ადამიანებმა, უბრალო საბჭოთა ადამიანებმა — მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა თითქოს დაღლა არც იცოდნენ, — იბრძოდნენ და მშობლიურ მიწა-წყალს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ.

„ჩემი“ ყოფილი 676-ე მსროლელი პოლკი კვლავ პირველ თავდაცვით ზოლზე იდგა და უკან ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა. ერთიმეორის მიყოლებით უკუგდებდა ფაშისტთა გააფთრებულ იერიშებს. პოლკის მებრძოლებისა და მისი გამაძლიერებელი ნაწილების გამძლეობა და სიმტკიცე ჰიტლერელებს უარესად აცოფებდა. ისინი მთელი მონდომებით ეშურებოდნენ პოლკისთვის უკან დასახევი გზის გადაჭრას, რათა როგორმე ალყაში მოემწყვდიათ და დამხმარე ქვედანაყოფებთან ერთად მთლიანად გაენადგურებინათ.

---

1 „პრავდა“, 10 მაისი, 1943 წელი.

 

ბოლოს მაინც მოუშვრეს და შემოერტყნენ. დღე უკვე იწურებოდა, პოდპოლკოვნიკმა ონოფრიენკომ რაციით რომ მომახსენა:

— მტრის თვრამეტმა ტანკმა და ქვეითმა ჯარებმა ჯავშანტრანსპორტიორებით ბუტირკი-დროუჟკოვსკის გზა გადაკეტეს. მოპირდაპირე მხრიდან გზაზე გამოვიდა ოცამდე ტანკი ქვეითთან ერთად. გარემოცვის ხალტე შეკრეს.

— მოსინჯეთ ხალტეში სუსტი ადგილი და დაბნელებისთანავე გამოიყვანეთ პოლკი გარემოცვიდან. დახმარებას გაგიწევთ არტილერია. ხშირად მომახსენეთ საქმის ვითარება. შემატყობინეთ გამოსვლის დრო, — ვუპასუხე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

დავუკავშირდი არმიის სარდალს გენერალ ნ. პ. პუხოვს და მდგომარეობა მოვახსენე. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ რამდენიმე შეავიწროვა ჩვენი 47-ე და 321-ე პოლკები, დივიზიის მთლიანი მოქმედებით ნიკოლოზ პავლეს ძე კმაყოფილი იყო. ასე იყო თუ ისე, დივიზიამ თავის თავზე დაიბანდა მტრის მთავარი ძალები და სასტიკ ბრძოლებში გაუძლო მათ დაწოლას. მეზობლებთან ერთობლივი მოქმედებით ჩაშალა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი ჩვენს თავდაცვაში ღრმად შეჭრის შესახებ. ასევე არ განხორციელდა ფაშისტი გენერლების ჩანაფიქრი ტარანული სატანკო დარტყმის შესახებ, რასაც ისინი ელვისებური გარღვევის ანგარიშზე ვარაუდობდნენ. პირიქით, ბრძოლის ამ პირველსავე დღეს მოწინააღმდეგემ უდიდესი რაოდენობის ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა დაკარგა.

არმიის სარდალმა მიბრძანა, გაგვეგრძელებინა დაკავებული ზღუდეების დაცვა და საჩქაროდ გამოგვეყვანა 676-ე პოლკი გარემოცვიდან. კურსკის შვერილზე ბრძოლის პირველი დღე იწურებოდა. 676-ე მსროლელმა პოლკმა, მისთვის დართულმა ქვედანაყოფებმა და გამაძლიერებელმა ნაწილებმა დაბნელებისთანავე გამოარღვიეს ალყის რკალი და გამოვიდნენ გარემოცვიდან. პოლკის აზალგაზრდა მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ნ. ნ. ონოფრიენკომ და მისთვის დაქვემდებარებულმა ბატალიონებისა და ასეულების მთელმა პირადმა შემადგენლობამ არნახული გმირობა ჩაიდინეს, გამოავლინეს მოვალეობისადმი განუზრელი ერთგულება და მაღალი სამხედრო ოსტატობა. მათ გარემოცვაში ბრძოლის დროს მტრის ოცდაექვსი იერიში უკუაგდეს და მისი ყველა ცდა, რომ პოლკი შუაზე გაეხლიჩა და გაენადგურებინა, წარმატებით მოიგერიეს.

დასრულდა კურსკის რკალზე დიდი ბრძოლების პირველი დღე. მტერი ვერ გავიდა, ვერ უშველა „ვეფხვებმა“ და „ფერდინანდებმა“. განთიადიდან გვიან ღამემდე ბობოქრობდა ბრძოლის ველზე ცეცხლის გრიგალი, გავარვარებული ლითონი მიწას ელვენთებოდა, ხახმალი მორწყული დედამიწა წითლად თამთამებდა, იფარებოდა მუქი მტერითა და ფერფლით. დუღდა, გრგვინავდა... მაგრამ მტერმა თავის წადილს მაინც ვერ ეწია, ვერ გატეხა საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა, ვერ გავიდა მიზნისაკენ. გვიან ღამით დივიზიისათვის ცნობილი გახდა მთელი მე-13 არმიის პირველი დღის ბრძოლების შედეგები. წინასწარი გაანგარიშებით არმიის თავდაცვის ზოლზე მტერმა დაკარგა ასზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 45 თვითმფრინავი, 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასეთია პირველი დღის ბრძოლის შედეგები ჩვენი არმიის თავდაცვის ზოლში, კურსკის შვერილის ჩრდილო ფასადზე. ეს იყო ჩვენი ჯარების მნიშვნელოვანი გამარჯვება. მან საშუალება მისცა ფრონტის ჯარებს, მთელი დღე-ღამის განმავლობაში მომზადებულიყვნენ ახალი ბრძოლისათვის, წამოეწიათ რეზერვები და მეორე ეშელონები მოწინააღმდეგის მთავარი დარტყმის მიმართულებით, რომელიც ახლა უკვე ნათლად იყო განსაზღვრული. მანვე მისცა შესაძლებლობა ჩვენს სარდლობას ბრძოლის მეორე დღისათვის დაეგეგმა და განეხორციელებინა მძლავრი კონტრიერიში იმ ძალებით, რომლებიც წინა დღეს ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ. და ყველა ეს შესაძლებლობა შედეგი იყო სივაშელთა გმირობისა. მათ, თავის მარჯვენა მეზობელთან — 81-ე მსროლელ დივიზიასთან ერთად, თავიანთ თავზე მიიღეს ბრძოლის პირველ დღეს მოწინააღმდეგის მთავარი ტარანული დარტყმა და ისტორიაში გაუგონარი სიმამაცითა და გმირობით ჩაშალეს ფაშისტთა სარდლობის ჩანაფიქრი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაერღვიათ სივაშელთა თავდაცვა, ხელთ ეგდოთ ოპერატიული სივრცე და კურსკისაკენ დაძრულიყვნენ.

მეორე დღეს ბრძოლაში კვლავ მონაწილეობდა 676-ე მსროლელი პოლკი, რომელიც არც ცოცხალი ძალითა და არც ტექნიკით ისე საგრძნობლად არ იყო დაზარალებული, როგორც დივიზიის ორი დანარჩენი პოლკი. 676-ე პოლკმა მეორე დღესაც კვლავ ისახელა თავი სანიმუშო საბრძოლო თვისებებითა და გმირობით. იგი აქტიურად მონაწილეობდა 6 ივლისს სარდლობის მიერ ფრონტის ჯარებისათვის მიცემული მთავარი ამოცანის გადაჭრაში — მოწინააღმდეგის ძირითადი დაჯგუფებისათვის კონტრდარტყმასა და თავისსავე საწყის პოზიციებზე მის განდევნაში.

მე-13 არმიის არც სხვა ნაწილები ურტყამდნენ და ანადგურებდნენ მტერს ნაკლები თავგანწირვითა და შეუპოვრობით. თუ 5 ივლისს მოწინააღმდეგემ მოახერხა ცალკეულ უბანზე 7-8 კილომეტრით წაეწია წინ, სამაგიეროდ ბრძოლის მეორე დღეს მისი წინსვლა 1-2 კილომეტრს აღარ გასცილებია და ეს მცირე წარმატებაც ჰიტლერელებს ძალიან ძვირად და-

უჭდათ. მათ დაკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით 25 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაახლოებით 200 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 200-ზე მეტი თვითმფრინავი; უზარმაზარი რაოდენობით საარტილერიო ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და დანარჩენი საომარი ტექნიკა.

ასე დასრულდა მეორე დღეს მტრის შემოტევა ოლხოვატკის მიმართულებით. ფაშისტმა დამპყრობლებმა ვერა და ვერ მიაღწიეს ოლხოვატკამდე. და ეს იმიტომ კი არა, რომ მათ საამისოდ საჭირო ძალები და საომარი ტექნიკა არ გააჩნდათ, არა, რა თქმა უნდა, ქვეითი ნაწილები, ტანკები, ავიაცია, არტილერია და ნაღმსატყორცნები კურსკის რკალის ჩრდილო მხარეზე, მათ საკმარისზე მეტიც ჰქონდათ. მთავარი დარტყმის მიმართულებით საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ საბჭოთა ჯარისკაცზე ხუთი-ექვსი ჰიტლერელი მოდიოდა, ერთ საბჭოთა ტანკზე კი — მტრის სამი-ოთხი ტანკი, მაგრამ ფაშისტი მძარცველები მაინც ვერ გავიდნენ.

11 ივლისს მტრის შეტევითი პარპაში საბოლოოდ დასრულდა. მეორე დღეს ჰიტლერელები თავდაცვაზე გადავიდნენ და ჩასანგრება დაიწყეს. ახლა მხოლოდ იმასღა ფიქრობდნენ, როგორმე ტყავი გადაერჩინათ და სტალინგრადის მსგავსად ორმოში არ მომყოლოდნენ.

იმავე დღეს, 12 ივლისს, ორიოლის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ ბრიანსკის ფრონტისა და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარები. 15 ივლისს ბრძოლის ველისაკენ დაიძრა მე-18 არმიაც. ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოში, ცენტრალური ფრონტის სხვა ნაწილების მხარდამხარ ჩვენი დივიზიის პოლკებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მტრის საბრძოლო განადგურებაში. და იმ ჯარებს შორის, რომელთაც უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით 1943 წლის 5 აგვისტოს 120 ზარბაზნის ოცი საარტილერიო ბათქით პირველად მიესალმა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, იყვნენ ძლევამოსილი მე-13 არმიის ნაწილებიც და მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, — ჩვენი მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიაც.

## გმირები და გმირობა

კურსკის ბრძოლა ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სივაშის მე-15 ორგზის წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი მსროლელი დივიზიის მატიანეში. იყო ძნელი, მძიმე ბრძოლები მანამდეც, ორმოცდასამი წლის ივლისამდეც და მის შემდეგაც. მაგრამ თავისი გაფრთებით, სისასტიკით, თავისი თავგანწირვით, ჰეროიკითა და დივიზიის მეომრების სიმამაცით კურსკის რკალის ჩრდილო მხარის თავდაცვის პირველ ზოლზე მომხდარ ბრძოლებს ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება.

დღეისათვის იმ მეტად მორეულ ივლისის დღეებსა და ღამეებში სახელოვანმა დივიზიამ, მისმა პირადმა შემადგენლობამ — ჯარისკაცებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა განახორციელეს ისეთი კოლოსალური გმირობა, რომელსაც თამამად შეიძლება უკვდავება ეწოდოს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი გამოჩენილი მხედართმთავრები — გ. ძ. ჟუკოვი, კ. კ. როკოსოვსკი და სხვები თავიანთ ომისშემდგომ მემუარებში მე-15 სივაშის მსროლელ დივიზიას ასახელებენ იმ შენაერთებს შორის, რომელთაც თავის თავზე მიიღეს და უკუაგდეს მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა ყველაზე მძლავრი დარტყმები ოლხოვატკის ჩრდილოეთითა და პონირთან.

ზემოთ, ბრძოლების აღწერისას, მე ვახსენე 676-ე მსროლელი პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ნ. ნ. ონოფრიენკო. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო ოცდასამი წლისა, მაგრამ კურსკის ბრძოლებში ისეთი სულიერი სიმტკიცე, პირადი სიმამაცე, სამეთაურო ოსტატობა, გამძლეობა და ნებისყოფის სიძლიერე გამოამჟღავნა, რომ გამოცდილ და ხანდაზმულ მეთაურებსაც კი შეშურდებოდა.

არ შემიძლია კიდევ ერთხელ ქებით არ მოვიხსენიო „ჩემი“ ყოფილი 676-ე პოლკის მესამე მსროლელი ბატალიონის მეთაური, იმ დროისათვის უკვე მაიორი ი. ლ. შვენდიკი. ოცი წლის მეთაურმა და მისმა ბატალიონმა წინათაც ბევრ ბრძოლაში ისახელეს თავი. ხოლო კურსკის რკალზე ივანე შვენდიკი, მისი მებრძოლები და ხელქვეითი მეთაურები ხაშ დღეღამეს ზედიზედ უსმელ-უჭმელად და დაუსვენებლად პირისპირ ედგნენ სიკვდილს და თავდაცვის ყველაზე პასუხსაგებ, ყველაზე ძნელ და საშიშ უბანზე იბრძოდნენ. მისი ბატალიონისაგან პოლკი ბევრად იყო დავალებული, თუნდაც იმით, რომ 5 ივლისს მოგერიების წინა ხაზიდან არც ერთი ნაბიჯით არ დაიხია უკან, არ შეშინდა, არ გატყდა და პოლკისათვის ყველაზე კრიტიკული, პასუხსაგები ბრძოლის უბანი ბოლომდე შეინარჩუნა

იყო ასეთი შემთხვევაც. პოლკი ალყაში იყო მოქცეული და მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის გაშმაგებულ იერიშებს იგერიებდა. ამ დროს ივანე შვენდიკის ბატალიონის თავდაცვის უბანზე ფაშისტთა 60 ბომბდამშენი შემოიჭრა. თვითმფრინავებმა ბომბების ჩამოსაყრელად იწყეს შემობრუნება, ხოლო თავისივე ჯარი რომ არ დაებომბათ, დაბლიდან თეთრი ფერის შუშხუნით გააფრთხილეს. ბატალიონის მეთაურმა ივანე შვენდიკმა იმავე წამს გაიმეორა ეს ნიშანი და მტრის ტანკებისა და ქვეითის მხარეს სამი თეთრი ფერის შუშხუნა აუშვა. ეშმაკობამ გასჭრა, ფაშისტთა მფრინავებ-

მა მთელი თავისი სასიკვდილო ტვირთი თავიანთსავე ჯარებს დააყარეს. ბატალიონმა ამით ისარგებლა და თავდაცვისათვის უფრო მოხერხებული ადგილი დაიკავა.

როცა ჩვენი დივიზია კორპუსის მეორე ეშელონში იქნა გადაყვანილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ოხოფრიენკომ მითხრა, რომ სწორედ ივანე შევენდიკის ეშმაკობამ მოგვცა საშუალება სიჩქაროდ გამოგვეყვანა პოლკი გარემოცვიდან.

თანაპოლკელებმა ხუმრობით „ვეფხვების" მომთვინიერებელი დაარქვეს 676-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო საცეცხლე ასეულის მეთაურს უმცროს ლეიტენანტს კომუნისტ ი. ი. ბორისიუკს, როცა გაიგეს, რომ კურსკის რკალზე გააფთრებული ბრძოლის ორი დღე-ღამის მანძილზე მისმა ოცეულმა მოსპო გერმანელთა 11 ტანკი, საწევარი და ჯავშნოსანი მანქანა, თანაც 6 ტანკი და მათ შორის ორი „ვეფხვი" თვითონ მეთაურმა გაანადგურა და გამოიყვანა მწყობრიდანო.

უთანასწორო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის, სარდლობის ბრძანების სანიმუშოდ შესრულებისა და მის შესრულებაში პირადი მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულებით უმცროს ლეიტენანტ ივანე ივანეს ძე ბორისიუკს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დივიზიის სარდლობამ და პოლიტგანყოფილებამ მხურვალე გულწრფელობით მიულოცეს ბორისიუკს გმირის მაღალი წოდების მინიჭება. მტრის ტანკების მამაც გამანადგურებელს გულთბილი მილოცვები გაუგზავნეს აგრეთვე ცენტრალური ფრონტის სარდალმა არმიის გენერალმა კ. კ. როკოსოვსკიმ და ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრმა გენერალ-მაიორმა კ. ფ. ტელეგინმა.

ივანე ბორისიუკი ბრძოლას განაგრძობდა და შემდგომ შეტაკებებში კიდევ ბევრჯერ დაამტკიცა საქმით გმირის სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა დიადი გამარჯვების ბედნიერ დღემდე სიცოცხლე არ აღირსა. იგი, უკვე პოლკის არტილერიის უფროსი, ბრესტთან დაიღუპა. მისი ნათელი ხსოვნა — ხსოვნა „ვეფხვების" უშიშარი „მომთვინიერებლისა" დღესაც ცოცხალია და დავიწყება არც ოდესმე უწერია.

სოფელ პოდოლიანის მახლობლად, სადაც კურსკის ბრძოლების დაწყების წინ ჩვენი ჯარების თავდაცვის წინა ხაზი გადიოდა, პატარა კორომის გვერდით შემორჩენილია უზარმაზარი მუხა. სწორედ ამ მუხის გვერდით იყო განლაგებული დიდი ბრძოლების პირველ დღეს ტანკსაწინააღმდეგო მეზარბაზნეთა საცეცხლე პოზიცია. პოდოლიანელებმა გმირის სახელის უკვდავსაყოფად ამ ხეს „ივანე ბორისიუკის მუხა" დაარქვეს და ზედ მემორიალური დაფაც დაჰკიდეს არტილერისტთა გმირობის მოკლე აღწერით. ძლიერი მუხა ამაყად აზიდულა ცაში, როგორც ერთგული და უშიშარი გუშაგი, რომელიც თითქოს ფხიზლად დარაჯობს ირგვლივ გაფენილ ჭირნახულით მდიდარ ველ-მინდვრებს, დარაჯობს იმ საქმეს, რისთვისაც თავგანწირვით იბრძოდა გმირი არტილერისტი ივანე ბორისიუკი.

მარჯვედ და წარმატებით ანადგურებდნენ მტრის ტანკებსა და ქვეით ჯარებს დივიზიის 203-ე საარტილერიო პოლკის არტილერისტები. ბრძოლის სამი დღის მანძილზე მათ მოსპეს ფაშისტთა 11 ტანკი, 4 თვითმავალი „ფერდინანდი", თავიანთი ცეცხლი ჩაახშეს და მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 9 საარტილერიო და 14 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 2 სატყორცნი რეაქტიული დანადგარი, გაჟლიტეს მტრის ასობით ჯარისკაცი და ოფიცერი. განსაკუთრებით დიდ საბრძოლო წარმატებას მიაღწიეს ლეიტენანტების სოროდოვიცინისა და შახნაზაროვის საცეცხლე ოცეულებმა, აგრეთვე, 76 მილიმეტრიანი ქვემეხის სერჟანტმა ტიმოშინმა და მემიზნე სერჟანტმა პერეიასლავცევმა.

საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს მტრის ტანკების წინააღმდეგ ბრძოლაში დივიზიის მესანგრეთა ქვეგანაყოფებმა. მტრის ტანკებისათვის მეტად ძლიერი ბარიერი იყო მესანგრეთა მიერ დანაღმული ველი ტანკსაშიში მიმართულებებით, როგორც თავდაცვის წინა მხარის წინ, ისე ზურგში. მარტო ბრძოლის პირველ დღეს დივიზიის თავდაცვის უბანზე მოწინააღმდეგემ ნაღმით 70-ზე მეტი ტანკი და ჯავშნიანი მანქანა დაკარგა.

არანაკლებ ეფექტური გამოდგა ახალი ხერხი, რომელსაც მესანგრეები მოგერიებით ბრძოლებში იყენებდნენ. დივიზიის ინჟინრის მაიორ ი. ა. პედის ინიციატივით, ყველა მსროლელ პოლკში უფრო გამოცდილი მესანგრეებისაგან შეიქმნა მოძრავი გადამღობი რაზმები. მოგერიების წინა მხარეზე, ანდა სიღრმეში, თუ მტრის ტანკები თავდაცვაში სოლისებურად შეიჭრებოდნენ, მოძრავი გადამღობი რაზმები მტრის ცეცხლქვეშ რამდენიმე წუთში დგამდნენ ნაღმფეთქებად ღობურებს მოწინააღმდეგის იერიშის მიმართულებით. ჰიტლერელებმა, რა თქმა უნდა, ამ ახალი ხერხისა ჯერ არაფერი იცოდნენ, მათი ტანკები ნაღმზე ხვდებოდნენ და, უმალ ფეთქდებოდნენ. მათთან ერთად იღუპებოდნენ თანმხლები ქვეითი ჯარისკაცები და ჯავშანზე მყოფი მეავტომატეთა ჯგუფები.

დივიზიისათვის მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალ, ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლის ამ საოცარ ოსტატობაში დიდი სიმამაცე და გაბედულება გამოავლინა კაპიტან მ. მ. ბუგრეევის მესანგრეთა ბატალიონის ბევრმა მებრძოლმა, მათ შორის განსაკუთრებით იჩინეს თავი ასე-

ულის მეთაურებმა, უფროსმა ლეიტენანტმა პ. ა. ოდელაძემ და ლეიტენანტმა დ. ვ. ზნეაკინმა. მათი მეთაურობითა და უშუალო მონაწილეობით ათეულების მეთაურებმა სერჟანტებმა ლუკიანჩუკმა, არტემიევმა, კოშევოიმ, წითელარმიელმა ბონდარმა და სხვებმა არაერთხელ გადაულობეს გზა მოწინააღმდეგეს და მოუხპეს ჩვენს თავდაცვაში ღრმად შეჭრის საშუალება. მაგალითად, სერჟანტმა კოშევოიმ რთულ საბრძოლო ვითარებაში, პირდაპირ ფაშისტების ცხვირწინ, — მტრის სატანკო კოლონის წინ, ააფეთქა ხიდი მდინარე ხვოლაზე, რის შედეგადაც გერმანელთა ტანკები მეორე დილამდე დარჩა წყალგაღმა, სოფელ სობოროვკის ზღუდეზე.

821-ე მსროლელ პოლკში მტერთან გმირულად იბრძოდნენ უფროსი ლეიტენანტის გიორგი ლელაძის ასეულის ნალმტყორცნელები. ყოველთვის, როცა კი მოწინააღმდეგე ჰარბი ძალებით შემოუტევდა მსროლელ ბატალიონს, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა ლელაძის ასეული, ნალმტყორცნელები ისეთ მჭიდრო ცეცხლს დაატეხდნენ თავზე, რომ გერმანელები იძულებული ხდებოდნენ ყოვლად არახელსაყრელ ადგილას ჩაწოლილიყვნენ მიწაზე, და შემდეგ, დიდი მსხვერპლის ფასად, კუსებური ხოხვით დაბრუნებულიყვნენ საკუთარ პოზიციებზე. ბრძოლის სამი დღე-ღამის განმავლობაში ნალმტყორცნელთა ამ ქვედანაყოფმა ასობით ჰიტლერელი გაანადგურა.

არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი არ გასულა იმ უბანზე, რომელსაც მამაცი სერჟანტი დიმიტრი გამხიტაშვილი იცავდა.

გიორგი ლელაძის ასეულმა არაერთხელ გამოიჩინა თავი შემდგომ ბრძოლებშიც. როცა დნეპრის ფორსირება დაიწყო, გიორგი ლელაძემ თავისი ხელქვეითების ჯგუფთან ერთად პირველმა გადალახა მდინარე და დასავლეთ ნაპირზე გავიდა. იქ გერმანელებს ორი ქვემეხი წაართვა, შეაბრუნა ისინი მოწინააღმდეგისაკენ და ცეცხლი გაუხსნა. მაშინ არა ერთი და ორი ფაშისტი დაწვა ბრძოლის ველზე თავიანთივე ჭურვების ნამსხვრევებით განგმირული. მეორეჯერ, როცა ბატალიონის მეთაური დაიჭრა, ლელაძე დაუყოვნებლივ ჩაუდგა ბატალიონს სათავეში და ამ ქვედანაყოფისათვის დაკისრებული საბრძოლო ამოცანა წარმატებითაც შეასრულა... ახვევ [illegible] დობა გამოავლინა ლელაძემ მდინარე ვისლის გადალახვისას, რისთვისაც მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გამარჯვების პარადის მონაწილე საბჭოთა კავშირის გმირი, გიორგი დავითის ძე ლელაძე ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში. აქვს სრულიად მშვიდობიანი პროფესია — არქიტექტორია და თავისი საქმის კარგი სპეციალისტიც არის, სულ ცოტა ხნის წინ, მშვიდობიან მშენებლობაში თავდადებული შრომისათვის, იგი დააჯილდოვეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის ყველა ცდა — გაერღვია ჩვენი თავდაცვა კურსკის შვერილზე, მოგერიებული და უკუგდებული იქნა, ცენტრალური ფრონტის სამხედრო საბჭომ დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს სპეციალური დეპეშა-მომართვით მოულოცა წარმატება. მასში ნათქვამი იყო:

„მადლობა თქვენ, მებრძოლო ამხანაგებო, სიმამაცის, რკინისებური გამძლეობისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის!.. თავიანთი უმაგალითო სიმტკიცითა და შეუდრეკელობით თქვენ უკუაგდეთ მტრის შემოტევა და მიაყენეთ მას აუნაზღაურებელი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. მტერი თავის საკუთარ სისხლში იხრჩობოდა და მძიმედ დაჭრილი მტაცებელი მხეცის უძლური გამძვინვარებით აწყდება ერთი უბნიდან მეორისაკენ, დაეძებს სუსტ ადგილს.

სახელოვანო მეომრებო! დაჭრილი მტერი სისხლიდან იცლება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძლიერია და არც თავის ბოროტ განზრახვაზე აუღია ჯერ ხელი. დასცხეთ, ამხანაგებო, შეუბრალებლად ფაშისტთა გაიძვერა ბანდებს! დავცალოთ იგი ბოლომდე სისხლად და შევქმნათ პირობები მისი სრული განადგურებისა და მოსპობისათვის! დასცხეთ მტერს სტალინგრადისებურად! ჩვენი მშობლიური მიწის არც ერთი მტკაველი მტერს!“

☐ გაგრძელება იქნება ☐



ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გელაშვილი

# ვინ ააშენა თქვენი სახლი

I

ნიკოლოზ ზლობინი, შუახნის კაცია, შევნის უკან გადავარცხნილი, ოდნავ შევერცხლილი წაბლისფერი თმა. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად მშვიდი სანდომიანი თვალები აქვს, უაღრესად მკვირცხლი და დაუდეგარი სულის ადამიანია. მის პიროვნებაში თავმოყრილია ყველაფერი მუშური; ამიტომ შეხვდებით თუ არა, მყისვე გრძნობთ თქვენს წინ უბრალო, კეთილი კაცი რომ დგას და შეუძლებელია ცდუნებამ არ დაგძლიოთ, ძველი ნაცნობივით არ შეეხმიანოთ, არ მიესალმოთ...

ნიკოლოზ ზლობინი, რომლის პორტრეტიც ასე მოკრძალებულ, ძუნწ ფერებში წარმოვიდგინეთ, როგორც სამართლიანად ამბობენ, მარტო შრომის ახალი მეთოდების პროპაგანდისტი როდია, იგი საბჭოთა მუშის მაღალი წოდების მატარებელიცაა და, ამასთან, სხვადასხვა ერების მუშათა მეგობრობის ელჩიც, რადგან ეს თავმდაბალი კაცი, განუწყვეტლივ მოგზაურობს—დადის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და თავის პროფესიულ საიდუმლოებებზე აწრთობს და აოსტატებს მშენებლებს. მეგობრობის ელჩი ხუთი წლის წინათ თბილისშიც ჩამოვიდა. ნოვატორი მშენებელი ქართველ კოლეგებს პირდაპირ სამშენებლო უბნებზე ესტუმრა. სიტყვა-სიტყვით აი რა თქვა მაშინ ნიკოლოზმა: „ის პირველი სახლი, რომელიც დღესაც ჩემი ბრიგადის თითოეული წევრისათვის ძვირფასია, ბრიგადამ ააშენა ნორმატული ვადით გათვალისწინებულზე ოთხმოცი დღით ადრე. ხარჯთაღრიცხვა არა მარტო დავიცავით, არამედ რამდენიმე ათასი მანეთი კიდევაც დავზოგეთ. მეორე სახლი კი ასორმოცდაცამეტი დღით ადრე ჩავაბარეთ მობინადრეებს, შემდეგ მესამე, მეოთხე... ავაშენეთ საბავშვო ბაღი, სკოლა, ყველა ნაგებობას ერთად რომ თავი მოვუყაროთ, ერთი მიკრორაიონი გამოვა. ამ ობიექტებზე მთლიანად დავზოგეთ მთელი წლიწადი და ათეულ ათასობით მანეთი.

მახსოვს ვილნიუსში, სადაც დიდ თათბირზე სიტყვის წარმოთქმა მომიხდა, ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენმა ბრიგადამ, სახლი ვადაზე ასორმოცდაცამეტი დღით ადრე ააგო, უნდობლობის ღიმილი გამოიწვია; ეს არც გამკვირვებია, სამი წლის წინათ ამას თვითონაც არ დავიჯერებდი, დღეს კი ვიცი, როგორ დავზოგო საათები, დღეები, თვეები..."

—და კონკრეტულად თავისი ძვირფასი გამოცდილება ნიკოლოზმა გულწრფელად და დაუზარებლად გაუზიარა ქართველ მშენებლებს. საქართველოს მიწაზე ამ დროისათვის მას უკვე ბევრი მიმდევარი ჰყავდა, პირველ რიგში საქვეყნოდ ცნობილი მშენებელი ვილჰელმ გალდავა...

* * *

გლდანის დასახლება... რა უნდა ნახოს თვალმა უკეთესი, მიჯრით ჩალაგებული ნათელი კორპუსები სიცოცხლეს აუვსია: მწვანე ფარჩის ტანსაცმლით იმოსება საცხოვრებელი სახლების ეზოები, ახლად გაყვანილი ქუჩები, გზები. სა-

რაჩოების ტყე ჭრელ-ჭრელი მინდვრის ყვავილებით დაწინწკლულ ფერდობებისაკენ მიაწევს...

ადრიანი დილაა. ცვლის დაწყებამდე, სანამ ვილჰელმ გალდავას ბიჭები სამშენებლო პოლიგონზე სამუშაო ადგილებს დაიკავებდნენ, სახელდახელო თათბირზე წითელ კუთხეში შეიკრიბნენ.

ისინი ხომ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის ვახტზე დგანან და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ბრიგადირთან ერთად აქ არიან მემონტაჟეები: ლერი დოხნაძე და ლევან ვაჩნაძე, კალატოზი ედუარდ ბაჩაკაშვილი, მებეტონეები უკრაინელი ანატოლი დიხტიარი და ქართველი ბოგდან ქორიძე, რუსი დურგალი გრიშა დანშინი, მეარმატურეები სომეხი შრაამ ხაჩატუროვი, ოსი ვასილ ცხოვრებოვი და სხვები, რომლებიც ცხელ გულზევე შეუდგნენ დღის სამშენებლო გეგმის შედგენას. ბრიგადირმა, ვილჰელმ გალდავამ, ვეება აღნაგობის ჩასხმულმა მამაკაცმა ერთხანს დაფიქრებით უმზირა თავისი სიგარეტის ბოლოზე შერჩენილ ფერფლს, მერე ნეკა თითი გაჰკრა, სიგარეტს მოაცილა და მოკლედ მოჭრა:

— ჩვენს ბრიგადაში უკვე დაკანონდა, ერთხელ დაწყებულ საქმეს არ მოვეშვათ, ჰო და დღეს რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მეორე სართული მთლიანად უნდა დავამთავროთ. გადიდებულ ვალდებულებებს შესრულებაც უნდა.

— მასალები თუ დროულად გვექნება, ბრიგადირო!

— გექნებათ, უეჭველად გექნებათ, დღეს გრაფიკი არ დაირღვევა, მე ვარ ამის თავდები.

— სამშენებლო ობიექტი ის მექანიზმია, სადაც ყოველთვისაა მოსალოდნელი რაიმე უწესრობაც — თქვა გაუბედავად ვიღაცამ.

ბრიგადირს სახე გაუმკაცრდა და იმწამსვე უპასუხა:

— მე კი მწამს, თუ მუშაკაცის გული სუფთა და მართალია, ის ყოველთვის იპოვის მისთვის საჭირო ხერხებსა და საშუალებებს ყოველგვარი დაბრკოლება გადალახოს — ბრიგადირმა წუთით იყუჩა, სული მოითქვა, მერე ნათქვამს თავი მოუყარა და დაასკვნა:

— ბიჭებო! დღეს მეორე სართული უსიკვდილოდ უნდა მოვრჩეთ, გესმით? უსიკვდილოდ... და წვრილად, გულდაგულ მოჰყვა დღის სამუშაო გეგმის დეტალებს. საუბარში იგრძნობოდა, შესანიშნავად ფლობდა თავის საქმეს, ამიტომ იყო, რომ ბრიგადის წევრები სულგანაბული უსმენდნენ... დღის სამუშაო გეგმის დეტალები, ბრიგადირის ყველა მოთხოვნის მოტივები ისე დღესავით ნათელი და დასაბუთებული იყო, რომ სიტყვა აღარავის უთქვამს...

...მალე სამშენებლო პოლიგონზე ყველაფერი ამოძრავდა, გაცოცხლდა. ერთხმად აჭრიალდნენ პორტალური ამწეები, აზმაურდნენ სატვირთო მანქანები, ბულდოზერები... მშენებელთა გამრჯე ხელებში სამუშაოს პირდაპირ ცეცხლი წაეკიდა... წამდაუწუმ მიდიან და მოდიან სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანები. ორი ამწე-კრანი პირდაპირ გასაჭირში ჩავარდა, ვეღარც კი ასწრებს მუშაობის ეშხში შესულ მშენებლებს მოემსახუროს...

ვილჰელმ გალდავას ინტერნაციონალურ კომპლექსურ ბრიგადაში ოცდაშვიდი კაცი მუშაობს და ყველას ერთი მიზანი ამოქმედებს. არ უმტყუნონ ერთმანეთს, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ დროს, საშენ მასალებს, ტემპიანად, რიტმულად მიჰყვნენ კონვეიერული სისტემის მუშაობას. ბრიგადას ამის საშუალებას აძლევს ის, რომ ყველას საშუალო განათლება აქვს. რამდენიმე სამშენებლო ტექნიკუმდამთავრებულია, უმრავლესობა კი პროფტექნიკური სასწავლებლის დიპლომითაა. სწორედ ამიტომ არის, რომ ბრიგადაში ბევრი ერთდროულად რამდენიმე ხელობას ფლობს. ვილჰელმ გალდავას მაგალითად, კალატოზობაც შეუძლია, დურგლობაც, ლესვაც, ამწის მემანქანეობაც, მემონტაჟეობა ხომ მისი უშუალო ხელობაა.

— რაც ზლობინისეულად დავიწყეთ მუშაობა, თითქმის ყველა სამუშაოს ჩვენვე ვასრულებთ. სადურგლოს, შელესვის, სამონტაჟო სამუშაოებს...—ამბობს ბრიგადირი და თქვენც თვალის ერთი გადავლებით გრძნობთ მშენებლობაზე როგორი ზუსტად, შეთანხმებულადაა მოგვარებული ურთიერთმოქმედება, განსაკუთრებით ბრიგადის ყველა რგოლს შორის. თუ წინათ მშენებლობაზე ჯერ მემონტაჟეები მოდიოდნენ, შემდეგ სანტექნიკოსები, მებათქაშეები და ელექტრიკოსები, ახლა ეს სამუშაოები პარალელურად წარმოებს. კედლების ამოყვანასთან ერთად იდგმება ფანჯრის ჩარჩოები, კარის ნიშები და სხვა. ძირეულად შეიცვალა ნედლეულისა და მასალების მიწოდების წესი, ზლობინელთა სამშენებლო ობიექტი მათ იღებს დაკომპლექტებულად, სართულების მიხედვით, სალიმიტო რუკების საფუძველზე, რაც სწრაფ და რიტმულ მუშაობას განაპირობებს. ნიკოლოზ ზლობინის სანარდო სისტემამ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერის ვილჰელმ გალდავას კომპლექსურ ბრიგადას ბევრი სიკეთე მოუტანა. ჯერ ერთი, ამ მეთოდმა ორი თვით შეამცირა თითოეული ცხრასართულიანი სახლის მშენებლობის ვადები, მეორეც, საგრძნობლად გაზარდა ბრიგადის თითოეული წევრის დღიური გამომუშავება — მან თორმეტ მანეთს გადააჭარბა.

ვილჰელმ გალდავას ბრიგადამ ზლობინის მეთოდით დღემდე თოთხმეტი ცხრა სართულიანი სახლი ააშენა სამოცი ათასი კვადრატული მეტრი ფართობით და, რაც მთავარია, ორმოც

პროცენტამდე გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

...ყოველ სიახლეს ცხოვრება კონკრეტულ პირობებს უყენებს, ამიტომ მისი ხორცშესხმა ხანგრძლივი ძიების, დაბრკოლებათა გადალახვისა და დიდი შრომის შედეგად ხდება. ბრიგადირ გალდავას ნათელმა გონებამ, უდრეკმა სულმა ყველა ეს დაბრკოლება გადალახა. აი რატომ ვესწრაფოდით მასთან საუბარს; ქვემოთ გაგაცნობთ მშენებლის პასუხებს ჩემს კითხვებზე.

კ ი თ ხ ვ ა: — მაინტერესებს ყველაზე უკეთ სწორედ თქვენი თვალებით შევხედო ნიკოლოზ ზლობინს, თქვენგან გავიგო მისი თაოსნობის თავისებურება.

პ ა ს უ ხ ი: — ნათქვამია, წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო. ასეთია პირადად ჩემთვის ნიკოლოზ ზლობინი. მე კარგად ვიცნობ ნიკოლოზს, ზელენოგრადშიც ვინახულე იგი. მისი ეფექტური მეთოდით, რომელსაც ბრიგადული ხანარდო ჰქვია, ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში, ასეულ ათასობით სამშენებლო ბრიგადა მუშაობს. ზლობინის მეთოდმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთაც. მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ მეთოდს წარმატებით იყენებს მშენებელთა თითქმის ოთხმოცი პროცენტი; დამერწმუნეთ ეს ფაქტი ბევრის მეტყველია... კონკრეტულად, მაინც რა გადმოვიღეთ მისგან? — უმთავრესი. ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადამ კარგად იცის არა მარტო თავისი ფიზიკური სამუშაო, არამედ ფულისა და მასალების ხარჯვის, ტექნიკის სწორად გამოყენების, სწრაფი მშენებლობისა და ხარისხის საიდუმლო. ზლობინისეული სანარდო სისტემა მშენებლობის ძირეული ქვედანაყოფის მართვის ის ახალი ფორმაა, რომლის სული და გული სამეურნეო ანგარიში. ეს კი პირდაპირ გულისხმობს მშენებლების დაინტერესებას იმუშაონ სწრაფად, მაღალი ხარისხით, ეკონომიურად.

ზლობინის მეთოდში მთავარი ის არის, რომ სამმართველოსა და ბრიგადას შორის, როგორც წესი, იდება ხელშეკრულება: ვთქვათ ამა თუ იმ სახლს რამდენი ფართი ექნება, რამდენი სადარბაზო, მერე მოვრიგდებით რა ფასად უნდა გავაკეთოთ ეს საქმე. ჩვენ ვაშენებთ ერთნაირ, ტიპიურ სახლებს, განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ საძირკველში, ასე რომ ხელფასის, შრომის გასამრჯელო საძირკველმა უნდა განახვავოს; სხვა ყველაფერი მთლიანად სტანდარტიზებულია, დადგენილია რა რა ღირს. ეს ერთგვარად გვიადვილებს ანგარიშსწორების საქმეს. შემდეგ, სამმართველო ვალდებულებას იღებს შეუფერხებლად მიაწოდოს ბრიგადას ყველა სამშენებლო მასალა და ამით მოცდენა გამორიცხოს, რადგან სწორედ სამშენებლო მასალების რიტმულ, შეუფერხებელ მიწოდებაზეა დამოკიდებული ჩვენი გამომუშავება. ამიტომაც ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი მასალა მოვცეს, არ მოვცდეთ, მეტი ავაშენოთ, რადგან რასაც უფრო ჩქარა, ხარისხიანად და მეტს ვაშენებთ, ხელფასიც მეტი გვექნება.

ბიბლიოთეკა

კ ი თ ხ ვ ა: — მაინც რამდენია თითოეული თქვენგანის გამომუშავება, ყოველთვიური ხელფასი?

პ ა ს უ ხ ი: — გააჩნია როგორი დატვირთვით ვიმუშავებთ, ყოფილა შემთხვევა თვეში ექვსას-შვიდასი მანეთი აგვიღია, სულ მცირე, ასოცი მანეთი — ეს დამოკიდებულია კვლავ და კვლავ მასალის მომწოდებელ ორგანიზაციებზე, ისე კი თუ ავიღებთ მყარ, საშუალო თვიურ გამომუშავებას, უმაღლესი კვალიფიკაციის მუშისათვის იგი ხუთას მანეთს შეადგენს... ახლა კვლავ ძირითად თემაზე მოგახსენებთ.

ყველა ეს სიახლე, რომელსაც ზლობინელები იყენებენ, ზევიდან კი არ არის ნაკარნახევი, არამედ ბრიგადაშია ჩასახული. დიახ, შიდასაწარმოო რეზერვები, რომლებსაც ისინი პოულობენ, ეხმარებიან მათ დაზოგონ წუთები, საათები, დღეები, რაც მათი ინტერესებიდან გამომდინარეობს. აი ეს გახლავთ ის მთავარი, რამაც ასეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა ყველა ჩვენთაგანზე, გახადა ზლობინელთა მეთოდი მშენებელთათვის ასე ახლობელი, გასაგები, მისაღები.

კ ი თ ხ ვ ა: — ძირითადად მაინც რაზეა დამოკიდებული ზლობინისეული მეთოდის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა?

პ ა ს უ ხ ი: — უმთავრესად სამშენებლო ინდუსტრიის დონეზე, მის მატერიალურ ბაზაზე, სამშენებლო მასალებით მშენებარე ობიექტების რიტმულ მომარაგებაზე... — ნიკოლოზ ზლობინის მეთოდით მუშაობა მართლაც და წარმოუდგენელია ისე, თუ ბრიგადამ საათის მექანიზმივით აწყობილად არ იმუშავა, თუ მშენებელთა ბრიგადა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ, ნაწრთობი და შეხმატკბილებული არ არის, თუ ყოველი ჩვენგანი ყველა საქმეში ერთმანეთს მხარს არ დაუჭერს, გასაჭირში არ დაეხმარებით, თუ ყველას ერთნაირად არ აგვაღელვებს და გაგვახარებს ბრიგადის წარმატება თუ წარუმატებლობა.

ჩვენ მივაღწიეთ ამას და შევქმენით ისეთი ინტერნაციონალური ბრიგადა, სადაც მხოლოდ სიყვარული და ურთიერთგაგებაა.

კ ი თ ხ ვ ა: — ეს კი, მეტნაკლებად, მაინც ბრიგადირზეა დამოკიდებული, ხომ მართალს ვამბობ?

პ ა ს უ ხ ი: — ეს მართალია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ადამიანის სულში ყოველთვის იპოვო რაღაც საუკეთესო, თუ გინდა მისი გული მართლა დაიპყრო. ამიტომაც ჩემს ინტერნაციონალურ ბრიგადაში მე პირადად ყველას ვუდგები თავისი ხასიათისა და პირადი თვისებების მიხედვით. ეს გადამწყვეტი ფაქტორია მათთან დამოკიდებულებაში, მით უმეტეს, რო-

ცა ბრიგადაში მრავალი ეროვნების წარმომად-გენლები მუშაობენ. აბა დაფიქრდით, განა მომ-ხდარა ოდესმე მშრალი ბრძანებით, თუნდაც კეთილი რჩევით ერთბაშად გარდაქმნა ადამია-ნის ის შინაგანი ხასიათი, რითაც ის დაიბადა და აღიზარდა? — ცხადია დროთ ფუჭი ფლანგვაა ელოდო, შენი ხელქვეითი ამ ბუნების კაცად აქციო, რაც პირადად შენ გაგაჩნია. აქ მთავარი სწორედ ის არის, მისი ხასიათი წარმართო ისე, როგორც საერთო საქმეს და ბრიგადის ინტე-რესებს ჰირდება, ამაშია ჩვენი ურთიერთობის გახსნები.

კ ი თ ხ ვ ა: — აქამდე ჩვენ მხოლოდ კარგზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ახლებურად მუშაობაში ხომ არის მთელი რიგი ისეთი პრობლემებიც, რომლებიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვენ? განსაკუთრებით მშენებლობის ხარისხის ამაღლე-ბის საკითხები ავიღოთ: თქვენ როგორც სახელგან-თქმული მშენებელი, რომელმაც ნიკოლოზ ზლო-ბინის ბრიგადული იჯარის მეთოდს პირველმა აუბით მხარი, სხვებზე უკეთესად იცით და ამ-ჩნევთ ამ ნაკლოვანებებს; რას გვეტყვით ამაზე?

პ ა ს უ ხ ი: — დასამალი როდია, რომ მშე-ნებლობის ხარისხის ამაღლების საქმეში ჯერ კიდევ საკმაოდ მოვიკოჭლებთ. ბევრი ბინა უხა-რისხოა: მობინადრენი ზოგჯერ ყველაფერს თა-ვიდან აკეთებენ, ასე რომ მათი პრეტენზიები სამართლიანია; ბუნებრივად იბადება კითხვა, რაშია საქმე, განა ჩვენ, მშენებლები გულწრფე-ლად არ ვცდილობთ კარგი ბინა ავაშენოთ? რა თქმა უნდა, ვცდილობთ, მაგრამ ხანდახან სურ-ვილი სურვილად რჩება და ამის მიზეზი უხარი-სხო სამშენებლო მასალაა. თქვენ თვითონ გან-საჯეთ, ფრიადზე შეფასებული მასალით, რა თქმა უნდა, კარგ სახლს ააშენებს კაცი, მაგრამ გეკითხებით, მდარე ხარისხის საშენი მასალე-ბით როგორ უნდა ააგო კარგი შენობა? ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ხშირად ვიღებთ უხარისხო მასალას. ზოგი ბლოკი ჩაფშვნილ-ჩამტვრეულია, ზოგს სამაგრები არ აქვს და სხვა. აქედან დასკვნაც ლოგიკურია, იმისათვის, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი, პირველ რიგში თვით სამშენებლო მა-სალა, ნაკეთობა და რკინა-ბეტონის კონსტრუქ-ციები უნდა იყოს ხარისხიანი.

კ ი თ ხ ვ ა: — მერედა რა უშლის ამას ხელს...

პ ა ს უ ხ ი: — ის, რომ ამ მხრივ ჩვენს ქა-ლაქში არასახარბიელო მდგომარეობაა. რადგან მისი სამშენებლო ინდუსტრიის დღევანდელი დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვ-ნებს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების უმრავლესობა მოძველე-ბულია. ეს საწარმოები თორმეტი წლის და უფ-რო მეტი ხნის ფორმებით ამზადებენ კონსტ-რუქციებს, ძირითადად ამით არის გამოწვეული, რომ საკედლე ბლოკების სართულებზეა გადა-ხურვის სამკარებისა და სხვათა გეომეტრიული ზომები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება არ-სებულ ნორმებს, აკლია სიზუსტე, არასტანდარ-ტულია, ამიტომ ადგილზე გვიხდება მათი გას-წორება, ზედმეტი შრომისა და დროის დახარჯ-ვა. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ორი-ოდე წელიწადს დავკარგავთ არსებული ბაზების განახლება-რეკონსტრუქციაზე და ამით ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრით ამ მეტად მნიშვნე-ლოვან პრობლემას.

კ ი თ ხ ვ ა: — კიდევ...

პ ა ს უ ხ ი: — კიდევ ის, რომ ჩვენს მიერ აგებულ სახლებში დროულად არ ხდება შესახ-ლება, კაცმა რომ თქვას, ესეც დიდი და გადა-უჭრელი პრობლემა გახდა ჩვენთვის...

...წარმოიდგინეთ, ჩვენ, მშენებლებმა დავამ-თავრეთ სახლი და აი, ამ სახლში, ორი, ზოგ-ჯერ სამი თვის განმავლობაში არ ხდება შესახ-ლება. აშენებულ სახლს კი მოვლა უნდა, განი-ავება, პარკეტზე საცხის წასმა... არც ხელმრუ-დი ხალხია იშვიათი; იპარავენ ონკანებს, სახე-ლურებს, რაფებს, ფილებს და თქვენ წარმოიდ-გინეთ აბაზანებსაც კი... ეს ცოდვები კი მერე ჩვენ, მშენებლებს გვეწერება: საკითხავია რა-ტომ? განა არ შეიძლება აშენებულ სახლში მო-ბინადრეები დროულად შეასახლონ?

კ ი თ ხ ვ ა: — რას გვეტყვით მშენებლობათა დაგეგმარების თაობაზე?

პ ა ს უ ხ ი: — სახარბიელოს ვერაფერს, რა-დგან კაცმა რომ თქვას, ამ საქმეშიც გვაქვს სე-რიოზული ხარვეზები. ზოგჯერ, როცა დღე და ღამეს ვასწორებთ, ვჩქარობთ, არ გვცალია, სწო-რედ ამ დროს მოულოდნელად უგეგმო ობი-ექტს გადმოგვცემენ, ზოგჯერ პირიქით, დრო და საშუალებაც გვაქვს, მაგრამ უსაქმოდ ვდგავართ, სათანადოდ დატვირთულები არა ვართ...

კ ი თ ხ ვ ა: — ნიკოლოზ ზლობინის მეთო-დით მუშაობა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, წარ-მოუდგენელია ისე, თუ არ იქნა რიტმული მო-მარაგება, ამ მხრივ როგორა გაქვთ საქმე?

პ ა ს უ ხ ი: — ცუდად და ეს საქმეც სასწრა-ფოდ არის მოსაწესრიგებელი, განსაკუთრებით ეს ითქმის სამშენებლო მასალებითა და კონსტ-რუქციებით მშენებარე ობიექტების მომარაგე-ბაზე. ხშირად ამ საქმეში ირღვევა რიტმი, გევ-მაზომიერება. ამის გამოა, რომ ზოგჯერ უქმად ვდგავართ, ვცდებით, ზოგჯერ კი პირიქით, ერთ-ბაშად მოგვაყრიან მასალებს. ცხადია ამას მოს-დევს იერიშობანა, ზედმეტი აჩქარება, რაც მშენებლობის ხარისხს საზიანოდ ხდება.

კ ი თ ხ ვ ა: — ზლობინის მეთოდი, რომ უაღ-რესად ქმედითი და პროგრესული მეთოდია — საქვეყნოდ ცნობილია, სხვა თუ არა, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს თქვენი კომპლექსუ-რი ბრიგადის შესანიშნავი შრომაც, მაშ რაშია საქმე, რატომ ასე ნელა ინერგება ეს მეთოდი? რამდენადაც ვიცი, ანაზღაურება თქვენთან მა-ღალია, სამუშაო პირობებიც განსაკუთრებულ•

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვთ შექმნილი, ამან ხომ უნდა განაპირობოს ახალგაზრდობის მოზიდვა, ისინი მაინც რატომ არ გეტანებიან?..

პ ა ს უ ხ ი: — მე უკვე გითხარით, რომ ზლობინის მეთოდის გავრცელება დიდად არის დამოკიდებული მშენებარე ობიექტების სამშენებლო მასალებით რიტმულ მომარაგებაზე; ჰო და, საამისოდ ტექნიკური ბაზა ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის საკმაო სიმაღლეზე. რაც შეეხება ახალგაზრდობის მოზიდვას მშენებლობაზე, ამას ბევრი კონკრეტული ფაქტორი უშლის ხელს. ავიღოთ თუნდაც ეს ჩვენს მაგალითზე — სამშენებლო ობიექტზე რომ მოსულიყავით, უგზოდ რა მანძილი გამოიარეთ?.. დაახლოებით ორ-სამი კილომეტრი, არა? ასეთ მზიან ამინდში დარწმუნებული ვარ არ გაგჭირვებიათ აქ ამოსვლა, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ ავდრიანი ამინდი ყოფილიყო, წვიმა, თოვლ-ჭყაპი!.. გლდანის დასახლებულ მასივში, სადაც ჩვენ ახლა ბინებს ვაშენებთ, როგორც თქვენ თვითონ დარწმუნდით ამაში, ჩვენ, მშენებლებმა ავდარში ორი-სამი კილომეტრი ტალახი უნდა ვზილოთ მანამ, სანამ სამშენებლო მოედანზე მოვიდოდეთ; ეს კიდევ არაფერი, განვიცდით წყლის ნაკლებობასაც. ეს უკვე სიძნელეებია. ახალგაზრდები კი, ბუნებრივია, ერიდებიან გაუმართლებელ სიძნელეებს. საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში სამშენებლო ობიექტამდე წინასწარ მოაწყობენ ხოლმე მისასვლელ გზებს, კომუნიკაციებს, წყალს და ასე შემდეგ. რა უშლის ხელს იმას, რომ ჩვენთანაც ასე იყოს?.. სხვათა შორის, ეს საკითხი ხშირად იდგა დღის წესრიგში. საქმე იმაშია, რომ უნდა შექმნილიყო გაერთიანება „საძირკვმშენი“, ესე იგი სპეციალიზებული სამმართველო, რომელიც სამშენებლო ობიექტამდე მიიყვანდა მისასვლელ გზებს, კომუნიკაციებს, წყალს, ამოიყვანდა შენობის საძირკველს. მერე კი მშენებლები მივიდოდით. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

ბოლოს მინდა შევჩერდე კიდევ ერთ მოსაგვარებელ საკითხზე. მხედველობაში მაქვს მშენებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები. სამწუხაროდ, ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ მასზე ბევრად არის დამოკიდებული მშენებლის შრომის ნაყოფიერება, მისი განწყობილება და მუშაობის ეფექტურობა, ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ მოუგვარებელია მშენებელთა გადაყვანა-გადმოყვანა სამშენებლო ობიექტებზე. არ გაგვაჩნია მოძრავი კინოდანადგარები, იშვიათი სტუმრები არიან ჩვენთან მხატვრული ბრიგადები. აი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ და თუ ყოველივე ეს განხორციელდება, დარწმუნებული ვართ, ნიკოლოზ ზლობინის შესანიშნავი მეთოდი ყველას კუთვნილება გახდება.

* * *

...სამშენებლო პოლიგონზე კი, ისევ ისე ყველაფერი მოძრაობაშია, მონოტონურად, ერთხმად ჭრიალებენ პორტალური ამწეები, გუგუნებენ სატვირთო მანქანები, ბულდოზერები... მშენებელთა გამრჯე ხელებში სამუშაოს ცეცხლი უკიდია, რადგან ვილჰელმ გალდავას ინტერნაციონალურ ბრიგადაში ყველას ერთი მისწრაფება და მიზანი ამოქმედებს, არ უმტყუნონ ერთმანეთს, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ დროს, ტემპიანად, რიტმულად მიჰყვნენ კონვეიერული სისტემით მუშაობას — უყურებთ ამას და მთელი სიცხადით გრძნობთ, რომ ამ სხვადასხვა ეროვნების ადამიანების დამოკიდებულებაში განმსაზღვრელი მაინც ინტიმია, მაგრამ არა გარეგნული მყვირალა და ცვალებადი, არამედ ღრმა, შინაგანად მყარი, აი ისეთი ჩვენმა სახიქადულო მწერალმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთხელ ძველქართველების ნათქვამი რომ გაიხსენა: „ამ წუთისოფელში არის ერთი რამ განძი, რასაც ჟანგი და ობი არ ეკიდება, და ხმალი ვერას აკლებს — ეს განძი უცხო მოყმეთა ჭეშმარიტი ძმობა, მეგობრობა და სიყვარული არისო“!..

## II

...ალიონზე უკვე ფეხზეა ხოლმე ვარცენტი აბზიანიძე, და იცით რატომ, — მზის ამოსვლას ელოდება, — უკეთესი აბა რა უნდა ნახოს ადამიანის თვალმაო — უყვარს ხოლმე თქმა. ახლაც პირზე წყალი შეისხა თუ არა, სახელდახელოდ ისაუზმა და ეზოში დაეშვა...

...აღმოსავლეთით ცის კიდური ჯერ კვერცხის გულისფრად შეიღება, მერე გავარდისფერდა და წითლად გავარვარებული დისკო ცის ტატნობზე ტაატით ამოცურდა...

ხშირ ფოთლოვან ხეხილნარში ძლივს გამოეტია მზის აბრდღვიალებული სხივები; ვარცენტიმ სათითაოდ ჩამოუარა, სათითაოდ მიუალერსა ატმის, მსხლის, ვაშლის, ალუბლისა და ლეღვის ხეებს, მერე ეზოს მეორე მხარეს გადაინაცვლა. იქ ლარივით გაჭიმულ მავთულებზე მწკრივებად ადევნებულ, მტევნებდახუნძლულ ვაზებს მიესიყვარულა. თვალისჩინივით უვლის თავის კარმიდამოს ვარცენტი, დღენიადაგ თავს ევლება, რადგან ყველაფერი მისი ნახელავ-ნაჯაფარია. ირგვლივ მხიარულად ჟღურტულობდნენ ფრთოსნები. ვარცენტ აბზიანიძე მალე გამოერკვა, საათს დახედა, სწრაფად გაუყვა ჭიშკრამდე ვაზით გადაკამარებულ დერეფანს და ქუჩაში გამოვიდა.

...ინდუსტრიული ქუთაისის ცხოვრების და სიცოცხლის რიტმი, თანდათან მატულობდა დღის დადგომასთან ერთად. ეს ვარცენტიმ

ყველაზე უფრო ძლიერად თეატრის შენობასთან იგრძნო, სადაც ხელისგულივით გადაშლილია ფართო ლამაზი მოედანი, რომელსაც პატარა ნაკადულებივით უერთდება ქალაქის მრავალი ქუჩა, სწორედ ეს ადგილი ახმიანდა ახლა ერთბაშად.

...წინა დღით დავთქვით, ერთმანეთს სწორედ ამ ადგილზე შევხვედროდით... გზას საუბრით გავუყევით.

— რა კარგად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს — კაცი კაცის მაგალითიაო, ჩვენს ამბავზე ხომ ზედგამოჭრილია.

— რას გულისხმობთ...

— იმას, რაც თქვენ ასე ძალიან გაინტერესებთ — ნიკოლოზ ზლობინის მეთოდს — აბზიანიძე წუთით გაჩუმდა, ჭკვიანი თვალები ოდნავ მოჭუტა, მზერა ქუჩის გასწვრივ ცაში ატყორცნილ შენობებს შეავლო და განაგრძო:

— დიახ, ცხოვრებაში ყველაფერს შეგიძლია მიაღწიო კაცმა, თუ მაგალითად გყავს ისეთი ვინმე, ვისაც შეგიძლია მხარი გაუსწორო, რადგან ადამიანი, ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებებიდან მიღებულ სწორ დასკვნებს უნდა დაეყრდნოს. ასეთი კეთილი მაგალითია ჩვენთვის ზლობინი, მისი შესანიშნავი თაოსნობა... სწორედ მან გაგვამდიდრა ყველაზე მეტად თავისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით და მოგვცა უამრავი საზრდო ფიქრისათვის, აზროვნებისათვის, საკუთარი შეხედულებებისა და დასკვნების გამოტანისათვის. ამ გარემოებამ კი თავის მხრივ კიდევ უფრო განავრცო და შეავსო მშენებლობის ზლობინისეული მეთოდი, აქცია ჩვენი შრომა შემოქმედებით შრომად.

მართალი გითხრათ, პირდაპირ სულის სიღრმემდე შემძრა ამ მუშა კაცის სიტყვებმა, იმდენი გულწრფელობა და ცოცხალი გრძნობები იყო მასში... ვარცენტი აბზიანიძე საშუალოზე მაღალი, საოცრად ჯანმაგარი და ჩასხმული მამაკაცია. მზედაკრული სახე, ხეშეშა კანი, მკვეთრი მოხაზულობის ნაკვთები ერთბაშად მიგახვედრებთ, რომ მას დღენიადაგ გარეთ, ქარსა და წვიმაში, მზესა და ყინვაში უხდება მუშაობა. აქვს ფართო ღია თაფლისფერი თვალები და ისეთი თავისებური გამოხედვა, რომ ადამიანი ერთბაშად ვერ ჩახვდება მის იდუმალ ფიქრებს, შეიძლება სწორედ ეს აძლევს მას მუდამ თავდაჭერილი, სერიოზული და ასე გამოკვეთილი გამჭრიახი კაცის იერს.

...აბზიანიძეს თავს ურჩევნია მშობლიური ქუთაისი. მის აშენება-გამშვენიერებას ორ ათეულ წელზე მეტი შეალია და განა ეს ცოტაა? შორი და ავ-კარგიანი იყო ეს გზა, ბევრი ნაჯაფი და განიცადა ამ გზაზე, შეიძინა ძიების სურვილი, ბრძოლის უნარი და მუშური მეცნიერების მთელი კურსიც გაიარა. აბა სცადეთ და ქალაქში იპოვეთ მის მიერ აშენებული თუნდაც ერთი სახლი, რაიმე წუნი და ზადი რომ დასდოთ. ამ ოქროსხელებიანი მშენებლის კომპლექსურმა ბრიგადამ, იმერეთის მშვენიერ ქალაქში, — ათობით ლამაზად, მკვიდრად ნაგებს სახლს აშენებს.

ბრიგადის თავკაცი ზოგჯერ მკაცრია ახალგაზრდა მშენებელთა მიმართ, მაგრამ ამის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული და სიმართლეა:

— პატიოსნება და დაუზარელი შრომა სავსებით საკმარისია ამ ქვეყანაზე იმისათვის, კაცურად რომ იცხოვროთ, — შთააგონებს ახალგაზრდებს. ეს მისი ცხოვრების პრინციპია და მშენებლის პროფესიის უმთავრეს განუყოფელ ნაწილად მიაჩნია.

...საუბარში გზა საკმაოდ შეგვიმოკლდა, ასე, რომ ხამშენებლო პოლიგონზე ისე მივედით, ვერც კი გავიგეთ.

სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მშენებლები შრომობენ დევიზით: „ლენინური პარტიის ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა".

— ბიჭებს სამუშაოს გავუნაწილებ და ახლავე დავბრუნდები — მითხრა მობოდიშებით ვარცენტიმ და ეზოში მოფუსფუსე ბრიგადის წევრებს შეერია... მალე მუშაობაც გაჩაღდა. საბლოკე ფილებით მტკიცედ შეკრული სართულები ცისკენ მიიწევენ... შენობის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლია და ეტყობა მშენებლები ჩქარობენ. ვარცენტი მალე მოვიდა. გახურებული შრომის ატმოსფეროში ჩვენმა საუბარმა უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო...

კ ი თ ხ ვ ა: — რა პირობებს უყენებს ყოველ თქვენთაგანს ზლობინისეული მეთოდი?

პ ა ს უ ხ ი: — უპირველესად, ვაშენოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად. შემდეგ ბრიგადაში სუფევდეს ერთსულოვნება, დისციპლინა. სხვათა შორის, ზლობინის მეთოდთან თავისი ხასიათითა და ბუნებით ძალზე ახლოსაა რუსთაველ მეტალურგთა ცნობილი თაოსნობა „არცერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით". ამიტომაც იყო, რომ უპირველესი გამოხმაურება ამ თაოსნობამ სწორედ ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებში ჰპოვა და იცი რატომ? იმიტომ, რომ ამას თვითონ სანარდო სისტემით მომუშავე ბრიგადის ცხოვრების არსი განაპირობებს, რადგან ჩვენთან ერთი კაცის ჩამორჩენა, სიზარმაცე, გულგრილობა მუშაობაში მთელი კოლექტივის ღალატს უდრის, მით უმეტეს, როცა კოლექტივი შენ შემოგყურებს, როცა კოლექტივის მუდმივი და განუყოფელი ნაწილი ხარ. ერთი სიტყვით, ზლობინის მეთოდით მომუშავე კაცისათვის მუშური სინდისი მთავარია.

კ ი თ ხ ვ ა: — მაინც რა სიკეთე მოუტანა ქუთაისელ მშენებლებს ზლობინისეულმა მეთოდმა?

პ ა ს უ ხ ი: — საქმე მარტო მშენებლობის

ვადების შემცირება როდია, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ; მთავარი ისიცაა, რომ ყოველი სახლის აშენებაზე იზოგება ასობით კაცდღე, საგრძნობლად უმჯობესდება მშენებლობის ხარისხი. რაც შეეხება მშენებლობის ვადების შემცირებას, იგი ხელსაყრელია, როგორც ჩვენთვის, ისე სახელმწიფოსათვის. ჯერ ერთი, ასეთ შემთხვევაში დაბალია სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულება და, ცხადია, მეტია მოგებაც. მოგების გარკვეული წილი კი მოგეხსენებათ, ბრიგადული ხანარდოს წესისამებრ, მშენებლებს ერიცხება. მაშასადამე, მათი ხელფასი დამოკიდებულია თვითონ მშენებელთა ინიციატივასა და ორგანიზებულობაზე, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მშენებლობათა ტემპების დაჩქარების თვალსაზრისით.

კ ი თ ხ ვ ა: — ეს ყველაფერი მშენებლობის წარმოების სტრუქტურას შეეხება, მატერიალური სიკეთის სფეროში როგორღაა საქმე?

პ ა ს უ ხ ი: — უკეთესს რომ ვერ ინატრებდა კაცი. მოდით ციფრების ენით ვილაპარაკოთ, უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდება, თანაც მთელი ჩვენი კომბინატის მასშტაბით. მაშინ დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ: ქუთაისის სახლმშენებელ კომბინატში ამჟამად ირიცხება თოთხმეტი სამშენებლო ბრიგადა, აქედან თორმეტი ზლობინის მეთოდით მუშაობს, ასე, რომ მთლიანი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების ოთხმოც პროცენტს სწორედ ეს ბრიგადები ასრულებენ. მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში, ჩვენ, ზლობინელებმა ორი მილიონ სამასი ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შევასრულეთ და მობინადრეებს საექსპლოატაციოდ გადავეცით ოთხი ათას ცხრაასოცდათოთხმეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ ხნის მანძილზე თითოეული მშენებლის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ სამას მანეთამდე მიაღწია. ხანარდო სისტემით მუშაობის დროს კომპლექსურ ბრიგადაში მომუშავეებს მოეთხოვება დიდი ოსტატობა, მრავალმხრივობა, უნივერსალობა. ეს კი ნიშნავს, რომ ყველამ ზედმიწევნით იცოდეს და ფლობდეს მონათესავე პროფესიებს, ასეთი მაღალკვალიფიციური კადრები კი ძალზე მცირე გვყავს.

კ ი თ ხ ვ ა: — პირადად თქვენ, მაინც რა ღონისძიების გატარება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ ფართოდ განვაზოგადოთ და ყველას კუთვნილებად გავხადოთ ზლობინისეული მეთოდი...

პ ა ს უ ხ ი: — ის, რომ ნიკოლოზ ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებს შევუქმნათ განსაკუთრებული პირობები. დამერწმუნებით ზლობინისეულად რომ იმუშაო, ესე იგი სწრაფად, მაღალხარისხოვნად და ეკონომიურად, მარტო სურვილი როდი კმარა. საჭიროა ასეთ ბრიგადებს ზუსტი გრაფიკით, რიტმულად აწვდიდნენ სამშენებლო მოედნებზე მასალებს, ჰქონდეთ შეუფერხებელი მომარაგება, მაღალი იყოს სამშენებლო მასალების ხარისხი. ეს განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ მომარაგების სამსახურის მუშაკებს და საშენ მასალათა დამამზადებელ საწარმოთა ხელმძღვანელებს.

ხანარდო სისტემაზე მომუშავე ბრიგადები აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ საკმაო რაოდენობის სამეშნებლო ტექნიკით და, რაც მთავარია, მაღალკვალიფიციური მშენებლებით, რომლებიც დაუფლებული იქნებიან სხვადასხვა ხელობას, მაგალითად, მემონტაჟეობას, დურგლობას, მლესაობას, ამწის მემანქანეობას და სხვა. ჩემის აზრით, ეს უნდა გაკეთდეს სამშენებლო პროფილის პროფტექნიკური სასწავლებლების გაზრდის ხარჯზე. ერთი სიტყვით, მთავარია თავი მოვუყაროთ სამშენებლო ძალებს და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს მშენებლობის იმ წამყვან გადამწყვეტ უბნებზე, სადაც ზლობინელები მუშაობენ.

...მზე შუბის წვერზე იდგა, როცა მშენებლებს გამოვემშვიდობეთ.

III

...ზლობინელ მშენებელთა გაწაფულობა, მაღალი ოსტატობა ფასდაუდებელი განძი რომ არის სამშენებლო მოედანზე, ამაში თვალნათლივ დარწმუნდებით თუ ერთხელ მაინც ესტუმრებით ოთარ პატიაშვილის კომპლექსური ბრიგადის სამშენებლო ობიექტს. შემიძლია ზუსტი მისამართიც გითხრათ: ქალაქი რუსთავი, ნომერ პირველი სამშენებლო ტრესტის მეორე სამმართველო, მეოცე მიკრორაიონი...

მშენებლობის გრაფიკული სურათი კი, რომელსაც მე იქ შევესწარი, ასეთია: ვეება კოშკურა ამწე წეროსავით ცალ ფეხზე შემდგარა და მეექვსე სართულზე მომუშავე მშენებლებს წამდაუწუმ აწვდის საკედლე ბლოკებს, რკინაბეტონის ნაკეთობათა ნაწარმს. მისი ტყუპისცალი ხრჭიალით მიემართება სამშენებლო მასალებით დატვირთულ ავტომანქანებისაკენ და ხელისგულივით მოსწორებულ მოედანზე ერთიმეორის მიყოლებით ალაგებს საკედლე ბლოკებს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, გადახურვის ფილებს, ტიხარებს, რომ შემდეგ მშენებლებს მიაწოდოს მომდევნო სართულების დასამონტაჟებლად. გრიალით შემოდიან სატვირთო

ეზოში ბეტონსაზიდი და ხსნარსაზიდი მანქანები, უკანა სვლით სპეციალურ სათავსოებთან მიდიან და ხმაურით უშვებენ მასში ტვირთს. ცოტა უფრო ხელმარჯვნივ ამ მშენებარე ობიექტის გაგრძელებაზე ბულდოზერი მიწას შეჭიდებია, რომელიც უკან კვალად იტოვებს ვეშაპივით პირდაღებულ საძირკველზე ქვაბურებს. ამ ქვაბურებში ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა, ყველაფერი თითქოს თვალის დახამხამებაში კეთდება, თავის განიერ მხრებს წამომართავენ კედლები და საბლოკე ფილებით მტკიცედ შეკრული სართულები ციხკენ მიტყორცნებიან...

საიდან გაჩნდა მშენებლობის ასეთი ტემპი? რიტმულობა? კონვეიერული სისტემით მუშაობის ასეთი ზუსტი მექანიზმი? საქმე იმაშია, რომ რუსთაველმა მშენებლებმა ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადულ იჯარით მუშაობას კარგად შეუხამეს ქალაქ ორიოლის სახლმშენებელთა გამოცდილება, რაც სახელგანთქმულ ბრიგადირს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად, რაციონალურად გამოიყენოს მშენებლობაზე თავისი ძალები, ოპერატიულად და ზუსტად გააანალიზოს ისინი, ამოწიოს ჩამორჩენილი რგოლები, აამოქმედოს გამოუყენებელი რეზერვები.

— წინათ ასე როდი იყო, — მითხრა ჩვენი საუბრის დაწყებისთანავე ოთარმა და განაგრძო, — მებათქაშეები ცალკე ირჯებოდნენ, კალატოზები ცალკე, თავისთვის მუშაობდნენ მემონტაჟეები და ხუროებიც. გაგიჭირდებოდა რამე და მე შენ გეტყვი ვინმე დაგეხმარებოდა, ის კი არა, ამწესაც არ ვუთმობდით ერთმანეთს. რა დასამალია, ყველა თავისთვის ცდილობდა, რაც საერთო საქმეს ვნებდა. ახლა ბრიგადაში ყველა გაერთიანდა, უქმად და უსაქმოდ არავინ რჩება, ერთს თუ სამუშაო არ აქვს, მეორეს ეხმარება, ამან კი რამდენიმე პროფესია შეგვასწავლა, კალატოზობა, დურგლობა, მემონტაჟეობა, ჩემს ბიჭებს ახლა ნახაზების კითხვაც შეუძლიათ. ერთი სიტყვით, კარგ ხელებს კარგი თავიც უნდაო რომ იტყვიან, სწორედ ასეა. ეს კაცმა რომ თქვას ბუნებრივიცაა, მშენებელთა შრომა შემოქმედებითი უნდა იყოს და არა მექანიკური, რადგან არაკოლექტიური, გაუაზრებელი შრომა ისეთი ორგანიზმის მოქმედებას ჰგავს, რომელსაც მთავარი სული ამოაცალეს. ერთი სიტყვით, ჩვენი ძალა ახლა იმაშია, რომ მთელი ბრიგადა ვცხოვრობდეთ და ვშრომობდეთ ერთ ოჯახად...

...ვცხოვრობთ და ვშრომობთ ერთ ოჯახად! დამერწმუნებით — ამაყად ჟღერს ეს სიტყვები. როგორც ძმები, ერთად ცხოვრობენ, ერთად შრომობენ სამშენებლო პოლიგონზე, მემონტაჟეები, ხუროები, კალატოზები, მემანქანეები: ჯონარი მჭედლიძე, ირაკლი ზვიადაური, მაგრან სულეიმანოვი, სურენ საფაროვი, ვიქტორ იაშინინი, გიორგი სულიმა და სხვები. გაეცნობით მათ და არ შეიძლება არ აღფრთოვანდეთ ამ მრავალეროვანი ადამიანების ჯგუფის სიმდიდრით, რომლებსაც სწორი პრინციპები და შეხედულებები აქვთ საგნებსა და მოვლენებზე.

— მრავალი წელია ამ ადამიანებში ვტრიალებ და გულახდილად გეტყვით, ჩვენმა ინტერნაციონალურმა ოჯახმა ძალზე გაამდიდრა პირადად ჩემი ცხოვრება, მე სწორედ მათგან ვისწავლე დაკვირვება, ცხოვრების ავკარგი და იქიდან სწორი დასკვნების გამოტანა.

...ოთარ პატიაშვილის ამ უბრალო მართალ სიტყვებში მე დავინახე ის უანგარო და გულწრფელი სიყვარული, რომელიც ბრიგადირს აკავშირებს მშენებელ მუშებთან, ვიგრძენი, რომ მათ შესანიშნავად ესმით ერთმანეთის და როცა ოთარს ვკითხე, როგორ მიაღწიე ბრიგადაში ასეთ ერთობასა და ურთიერთგაგებას მეთქი, არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— მთავარია ბრიგადირს შეეძლოს თავისი ხელქვეითების შესაძლებლობათა გამოცნობა. იგი მოვალეა ყური დაუგდოს ვის როგორი რჩევის მიცემა შეუძლია — საქმიანისა თუ უვარგისის, ვინ არის მართალი გულისა, ვინ მრუდე. ერთი სიტყვით, მათი შრომისმოყვარეობა, ჭკუა-გონება საქმეში გამოსცადოს. ჰო და, როცა ბრიგადირი ასე გამოავლენს მათ შესაძლებლობებს, მერე მიუზღოს გარჯილობის შესაფერი პატივიც.

— ამას სხვა ბრიგადირებზე ამბობთ, თუ...

— რატომ სხვებზე, — შემაწყვეტინა სიცილით ოთარმა და სერიოზული კილოთი დაატანა:

— ჩემს თავზე ვამბობ, რადგან ბრიგადაში სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიმუშავა ურყევი პრინციპი, შრომაში მუდამ დავეყრდნო ერთგულებს, რჩევა ვკითხო ყველას, ვინც ჭკვიანია და ამის არ მომერიდოს.

...ასეთი გულწრფელი საუბრით დაიწყო ჩვენი კონკრეტული დიალოგი ზლობინის მეთოდის პრობლემებზე.

კ ი თ ხ ვ ა: — ვინ იყო რუსთავში ამ საქმის პირველი წამომწყები?

პ ა ს უ ხ ი: — ჩვენთან რუსთავში ზლობინის მეთოდი პირველად გადმოიღო და დანერგა საქვეყნოდ ცნობილმა მშენებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა შოთა მოლებაძემ. მართალი გითხრათ, მაშინ ბევრი ჩვენთაგანი ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმეს, შორიდან ვუტრიალებდით რთული და საძნელო გვეჩვენებოდა, ერთი სიტყვით ვყოყმანობდით, მაგრამ შოთამ არ მოგვასვენა, ძალიან სასარგებლო მეთოდია და დროს ნუ კარგავთო, ჩვენც დავუჯერეთ, ხელმძღვანელობამ მხარი დაგვიჭირა... უკვე ექვსი წელია ზლობინის მეთოდით ვმუშაობ და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, სადღეი-

სოდ მშენებლობის უკეთეს მეთოდს ვერ ვხედავ. ჩვენთან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ბრიგადები, ძველი მეთოდით რომ მუშაობენ, მე მათ გულწრფელად ვურჩევ, რაც შეიძლება მალე აუბან მხარი ამ შესანიშნავ თაოსნობას და ახლოს გაეცნონ ქალაქ ორიოლის სახლმშენებელთა გამოცდილებას.

კითხვა: — რუსთაველმა მშენებლებმა მგონი პირველებმა აითვისეს ორიოლელთა მეთოდი... ასეა, ხომ?

პასუხი: — დიახ, და შედეგებიც შესანიშნავი მივიღეთ. საერთოდ თუ გინდა სოციალისტური ვალდებულებით აღებული საწარმოო გეგმები წარმატებით შეასრულო, სანიმუშოდ უნდა ფლობდე სამშენებლო საქმეს, შენს პროფესიას; ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საფუძვლიანად შეისწავლი და შეითვისებ მოწინავეთა გამოცდილებას, მტკიცედ დაეუფლები მშენებლობის პროგრესულ მეთოდებს, სწორედ ასეთი პროგრესული მეთოდებია ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადული იჯარით მუშაობა და ქალაქ ორიოლის მშენებელთა გამოცდილება საცხოვრებელ სახლთმშენებლობაში. ჩვენ ორივე ეს მეთოდი წარმატებით ავითვისეთ. ერთმანეთს შევუხამეთ და წარმატებამაც არ დააყოვნა. ჯერ ერთი, ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ სახელმწიფო გეგმებს, მეორე, მნიშვნელოვნად შევამცირეთ ობიექტთა მშენებლობის ვადები და მესამე, საგრძნობლად გავაუმჯობესეთ ხარისხი.

კითხვა: — ძირითადად მაინც რამ განაპირობა ეს?

პასუხი: — რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის გრძნობამ, რომელიც ნიკოლოზ ზლობინის მეთოდის სული და გული, მისი ქვაკუთხედია. მართლაც, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობ კაცი, როდესაც შენი ბრიგადის, შენი ამხანაგების სახელით ხელშეკრულებაზე ხელს აწერ, ობიექტის მშენებლობის ავკარგს საკუთარ თავზე იღებ. ესეც რომ არ იყოს ამას ხომ ბრიგადული სანარდო წესიც გვკარნახობს: — კარგად იმუშავებ — გეგმებს შეასრულებ, ვადაზე ადრე ჩააბარებ სამშენებლო ობიექტს — შესაბამისად კარგ ანაზღაურებასაც მიიღებ. ჩამორჩებით, ცუდად, უხარისხოდ ააშენებ სახლს, კვლავ საკუთარი თავით აგებ პასუხს, როგორც მატერიალურად ასევე მორალურადაც. ასე რომ აქ მესამე გზა არ არსებობს, უნდა იმუშაო კარგად, გულდაგულ.

კითხვა: — ეს რაც შეეხება ზლობინის მეთოდს, მაგრამ როგორც აღნიშნეთ, ზლობინისეული მშენებლობის ახალი ფორმა თქვენთან მრავალმხრივ შეავსო ქალაქ ორიოლის მშენებელთა გამოცდილების დანერგვამ; ჩემის აზრით, ეს ფრიად სერიოზული საკითხია, ამიტომ გთხოვთ უფრო დაწვრილებით, საგანგებოდ შეჩერდეთ მასზე.

პასუხი: — სიამოვნებით. ორიოლელთა მეთოდის მშენებლობაში დანერგვა რამდენიმე საკვანძო საკითხის ერთდროულად გადაწყვეტას მოითხოვს. ესენია: ორწლიან დაგეგმარებაზე გადასვლა, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაგების და სკოლების ტერიტორიულად ერთ მოედანზე აგება, მსხვილბლოკიანი პანელების ახალი გაუმჯობესებული ყალიბების ათვისება და სხვა. მთელი ეს საკვანძო საკითხები, ამ ორიოდე წლის წინათ, წარმატებით გადაწყვიტა ჩვენმა ტრესტმა.

კითხვა: — მერე და, რა კონკრეტული შედეგები მოგცათ ზლობინისეული ბრიგადული იჯარის მეთოდისა და ორიოლელ მშენებელთა გამოცდილების ერთმანეთთან შერწყმამ, მათმა გამოყენებამ?

პასუხი: — ჯერ ერთი ის, რომ ამჟამად საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის განკუთვნილ პროექტებს ვღებულობთ ორი წლით ადრე და, რაც მთავარია, არ იცვლება და არ სწორდება წამდაუწუმ, როგორც ეს წინათ ხდებოდა. შემდეგ, ვყავს ერთი შემკვეთი, სწორედ ამის გამოისობითაა, რომ გრაფიკით გათვალისწინებული მშენებარე ობიექტები, ამ მშენებლობათა ხანგრძლიობის შესაბამისად, სავსებით უზრუნველყოფილია სათანადო დაფინანსებით. გარდა ამისა, დროულად და რიტმულად ვღებულობთ საჭირო მოწყობილობებს. ასე, რომ მთელი ჩვენი ტრესტის ყველა სახლის მშენებლობა მიმდინარეობს კვარტალური დაგეგმარების ზუსტი გრაფიკით. ასეთი მკვეთრი გარდატეხა ამ საქმეში გამოიწვია იმან, რომ თუ წინათ ტრესტის მასშტაბით რამდენიმე შემკვეთისათვის ერთდროულად ვაშენებდით ათ-თხუთმეტ სახლს, და ამისდა მიხედვით ვაქუცმაცებდით სამშენებლო ტექნიკას, მუშახელს, ფინანსებს, სამშენებლო მასალებს და სხვა, რის გამოც დაუმთავრებელი რჩებოდა მშენებარე ობიექტების საგრძნობი რაოდენობა, ახლა, ზლობინისა და ორიოლელ სახლმშენებელთა გამოცდილების საფუძველზე, საშუალება გვაქვს რეალურ შესაძლებლობათა დონემდე დავიყვანოთ სამშენებლო ობიექტების მშენებლობა.

კითხვა: — მაინც რამდენ სახლს აშენებთ ამჟამად?

პასუხი: — ახლა ხუთ სახლს ვაშენებთ ერთდროულად. ასე რომ, წლის ბოლოსათვის ჩვენი სამშენებლო ტრესტი სახელმწიფოს. სულ მცირე, ათ სახლს აბარებს და ისიც, მხოლოდ და მხოლოდ, მაღალი შეფასებით. სწორედ ასეთი რეალური დაგეგმარების წყალობით ხდება ის, რომ სამშენებლო მასალები გრაფიკის მიხედვით და რიტმულად ეგზავნებათ ვადაშემცირებულ სამშენებლო ობიექტებს, რომ ამჟამად, ყოველი სახლის მშენებლობის ვადა შევამცირეთ სამი-ოთხი თვით, ამასთან მთლიანად ავკვეთეთ მუშახელის მოცდენა და ამა თუ იმ

ობიექტის მშენებლობის გრაფიკიდან ჩამორჩენა.

— გამოდის, რომ თქვენგან, რუსთაველი მშენებლებისაგან, ბევრი საინტერესო რამის შესწავლა შეუძლია ადამიანს...

— დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ შეუძლიათ, და თუ უფრო კონკრეტულად ვისმეს სურს ჩვენს გამოცდილებას გაეცნოს, მობრძანდეს, ყველაფერს გულწრფელად გავუზიარებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის XXVI ყრილობის შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საჭიროა მზრუნველად ვუდგებოდეთ დადებით გამოცდილებას და აქტიურად ვავრცელებდეთ მას.

მართლაც ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში მეწინავეთა მაგალითის ძალა. ხუთწლედის დამკვრელები ავლენენ შრომის ნაყოფიერების გადიდების სიღრმისეულ რეზერვებს და საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითებს გვიჩვენებენ...

...გვიან საღამოთი წამოვედით მშენებლობიდან. იალღუჯისა და გარეჯის მთებიდან ფეხაკრეფით ჩამოიპარა მიმწუხრის ბინდი... ნელი ნაბიჯით მივუყვებით მეგობრობის გამზირს — აფუსფუსებულ, ახმიანებულ, აბობოქრებულ ქუჩას. მეტალურგიული ქარხანა გიგანტური პროჟექტორის თვალებით ათასფრად ათინათობს მის წინ გადაშლილ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქს, რომელსაც გულზე ლამაზ ორნამენტებად დახატვია სამრეწველო საწარმოთა ვეება კორპუსები, საცხოვრებელ შენობათა კომპლექსები, ლარივით სწორი ქუჩები, მოედნები, პარკები, ხეივნები.

ოთარს გადავხედე, სახელოვანი მშენებელი ანთებული თვალებით მიჩერებოდა ლამპიონებით გაჩახჩახებულ შენობებს, სადაც სიცოცხლე სამუდამოდ დასადგურებულიყო. უნებლიედ გავიფიქრე: აი კაცი, რომელმაც საქვეყნოდ სახელი მოიპოვა, აქვს შესანიშნავი ოჯახი, ხალხმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ სანაქებო შრომისათვის დააჯილდოვა შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, და მაინც სწორედ ახლა, ამ წუთებში, ნეტავ ყველაზე უფრო რა უხარია, რა ეამაყება მეთქი. ოთარმა სიჩუმე დაარღვია:

— როცა ჩვენი მარჯვენით აშენებულ სახლებს შევყურებ, სადაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ჩასადგურებულა, გულს რაღაც გამოუცნობი, მძლავრი და ამაღლებული სიხარული ეუფლება, და, იცით რატომ? იმიტომ, რომ ყოველ მათგანში მთელი ჩვენი სისხლი და ხორცი, მთელი ჩვენი სული და გულია ჩაქსოვილი.

აშენო მკვიდრი, ლამაზი, მოხერხებული სახლები, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებს, ადამიანთა თაობას სიამოვნებასა და ბედნიერებას მიანიჭებს, განა ჩვენთვის, მშენებლებისათვის საპატიო და საამაყო საქმე არ არის?

...ასეთი გახლდათ ჩემი იდუმალი ფიქრების ზუსტი პასუხი, ცხოვრების სინამდვილე, ცხოვრების სიმართლე; ოთარ პატიაშვილმა იპოვნა თანამოძმე — რუსი დიდოსტატი, მხარი გაუსწორა მას და ყველაფერს მიაღწია. ამიტომ ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს ძმობის ქალაქში, მეგობრობის გამზირზე, მხნედ მივაბიჯებდით ნიკოლოზ ზლობინთან ერთად, იმ კაცის გვერდით, რომელიც არა მარტო შრომის ახალი მეთოდების ბრწყინვალე პროპაგანდისტია, არამედ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ერების მუშათა მეგობრობის ელჩიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# მე ჯავახეთს რა მიჭირდა...

ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე გადაჭიმულა ჯავახეთის ზეგანი. თავისი უკიდეგანო სივრცეებით, აბულის მთასა და სამსარის ქედს შეუუღული სოფლებითა და ფერმების მეტად ეგზოტიკური კომპლექსებით სამხრეთ საქართველოს ეს მხარე მნახველში ჭეშმარიტად განუზომელ აღტაცებას იწვევს.

გადავხედოთ სტატისტიკურ მონაცემებს: საერთო-საკავშირო მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწის ფართობი 0,9 ჰექტარს შეადგენს. ჩვენი რესპუბლიკისათვის კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,14 ჰექტარია: ამ უსასრულო სივრცეების შემხედვარეს კი უნდობლობის განცდა გეუფლება სტატისტიკური მაჩვენებლების მიმართ და წუთიერად თავისუფლდები ყოველი ქართველისათვის ნიშანდობლივი, ტერიტორიული სიმცირით გამოწვეული უსიამო გრძნობისაგან. მართლაც, ამ ხალიჩასავით გადაშლილი ველების, მდინარე-ჩანჩქერიანი, თევზიან-ნადირიანი, . იალალიან-ყანიანი, მზიან-თოვლიანი კურთხეული კუთხის პატრონს შეიძლება ეწოდოს „მცირემიწიანი რესპუბლიკა"?

ერთადერთი, რითაც აქაური მიწა ვერ დაიტრაბახებს, ეს გახლავთ მცენარეულობა, ტყეები, საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი მდიდარი ფლორისტული სავარგულები. ძველი, შრიალა ტყეებიდან მოტიტვლებული ზეგანილა შემოგვრჩა. წარაფებზე ჩამპალი და ეულად მოლავლავე ძირებილა მეტყველებენ იმ უხსოვარ წარსულზე, როცა აქაური მიწა, გარემო-ბუნება ნაძვნარებისათვის დამახასიათებელი სასიამოვნო სურნელით იყო შეზავებული და გამდიდრებული...

იმჟამად, შორეულ წარსულში, მესხეთ-ჯავახეთის ზეგანა და, საერთოდ, მთელი სამხრეთ საქართველო ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი, სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის დარგებით ცნობილი რეგიონი გახლდათ. დუღდა სიცოცხლე, განვითარებული იყო ვაჭრობა და ხელოსნობა. რომის იმპერიას, მრავალ მხარეთა შორის, მესხეთ-ჯავახეთთანაც ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა. ძველი რომის „სავაჭრო რუკაზე", „მარადიული ქალაქის" პარტნიორთა შორის, ახალქალაქიცაა მოხსენიებული. ევროპიდან ბოსფორ-დარდანელის სრუტით, მცირე აზიისა და მტკვრის ხეობის გამოვლით, საქართველოსა და მთელი კავკასიისაკენ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ვაჭართა ქარავნები. ამაზე მეტყველებს ამ ხეობაში არსებული მრავალი საგანგებოდ მოწყობილი სადგური და ლაინსსათევი, გაწოქვაბული და თავშესაფარი. შესაძლოა, ქართველი კაცისათვის ოდითგან დამახასიათებელ სტუმარმასპინძლობის უმაღლეს მიზანსაც ემსახურებოდა „კომფორტაბელური სასტუმრო", 1156-1185 წლებში ქართველი მეფეების მიერ საზღვრის კიდეზე საგანგებოდ მოწყობილი, კლდეში ნაკვეთი რვასართულიანი ქალაქი ვარძია.

ალბათ იმ დროს არის აქაური გლეხის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები:

მე ჯავახეთს რა მიჭირდა,
მთვარე იდგა მზესავითა
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა...

მაგრამ მოშურნეთ მოსვენებას უკარგავდა აქაური დოვლათი და სიმდიდრე. მტარვალთა ურდოები, ერთიმეორის მიყოლებით, მაღრიბით თუ მაშრიყით, ჩრდილოთი თუ სამხრით მოემართებოდნენ „ღვთის ჩენილი ქვეყნისაკენ". მათი მრავალრიცხოვანი არმიები ათხრე-

ბდნენ აქაურობას, გაჰქონდათ ყოველი სიმდიდრე. სპობდნენ ადამიანებს, აჩანაგებდნენ, წვავდნენ ტყეებსა და ბუნებას, ანგრევდნენ ციხე-ქალაქებსა და მონასტრებს, ქართული კულტურის ძეგლებს. როცა ყოველივეს მოსრავდნენ, ბრუნდებოდნენ თავიანთი გზებით და ელოდებოდნენ, როდის მოიყენებდა მადლიანი მიწა ახალ ბარაქას, და ისევ მოემართებოდნენ...

ასე თანდათანობით დაცარიელდა აქაურობა, ასე მოიშთო და მოისრა ყოველი სულდგმული ჯავახეთის მიწაზე, მოშიშვლდნენ წიწვოვნებითა და შრიალა ტყეებით დაბურული ლვინიას ქედისფერა ზეგნები. ტრიალ მინდორთა წიაღში წამოიზარდნენ წითლად შეფერილი გოხები და დარდის ბორცვაკები, წარმოჩნდნენ სამარხები, ნამოსახლარები, იმ ძველთა საზარ საქმეთა მოდასტურენი, ჩვენთა წინაპართა ტანჯვასა და ვაებაზე მოლაღადენი...

დარდის გორები... გორები... გორები...

* * *

ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის მკვიდრი პეტრე ზურაბაშვილი ენერგიული და მეტად ტკბილმოუბარი მეგზური გამოდგა. ბატონმა პეტრემ გაცნობისთანავე ძველი ნამოსახლარის — მურჯის დათვალიერება შემოგვთავაზა. ჩვენ ფეხით გავწიეთ სოფლის ჩრდილო-დასავლეთით პირამიდებად აზიდულ ბორცვებისაკენ.

— ირგვლივ ტრიალი, ტრიალი მინდვრები და შუაგულში კი უეცრად ეს კონუსები, — დაფიქრებითა და ნაღვლიანი კილოთი მოგვმართავს მასპინძელი, — ამ ადგილიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი ჯავახეთის ზეგანი, ამდენად, მას სამეთვალყურეო დანიშნულებაც გააჩნდა თავის დროზე...

ორივე გორა ხავსმოდებული, უშველებელი ლოდებითაა მოფენილი. ქანჩახი გეგონება. ახლოს მისულები უცნაური სანახაობის მომსწრენი გავხდით. მთელი ეს ხავსიანი და ჩაყამებული, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ლოდეჩის გროვა ერთბაშად „გაცოცხლდა“, გარკვეული ფორმა მიიღო, და ჟამთამდინარებით მივიწყებული კირითხუროს უცნაური და მეტად საინტერესო ჩანაფიქრი გვაგრძნობინა — ჩვენს თვალწინ გადაიშალა საქართველოში მეტად იშვიათად შემორჩენილი გორა-ნამოსახლარის უნიკალური კომპლექსი მისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტითა და იერით.

ამ ცალპირად გათლილი ზღაპრული სიდიდის ლოდებისაგან ამოშენებული ბინათსადგომების კედლები ბუნებრივად ერწყმიან გორის პროფილს; ხუროთმოძღვარს, ეტყობა, ერთობ ფრთხილად შეჰქონდა თავისი კორექტივები ბუნებრივ ლანდშაფტში, რათა იმ არეულ-დარეულობის ჟამს მტარვალისათვის შეუმჩნეველი და ძნელად მისაგნები გამხდარიყო გორა-სოფელი. მართლაცდა, თითქმის შეუძლებელიც კია უცხო თვალმა „ქალდეველთა მიწად“ იგულოს, ერთი შეხედვით უცნაური ქანჩახი.

ამ გორებზე წარმოდგენილია ძველი ტიპის მიწურ-სადგომთა, ნაბინავართა, საწესჩვეულებო და საკულტო ნაგებობათა ნაშთები. აქვე არის მიცვალებულის დასასვენებელი და გამოსათხოვარი, ჭირისუფალთათვის განკუთვნილი ადგილი, უფრო მოშორებით კი მდებარეობს ლოდებით მოფენილი სასაფლაო — აქ ყოველი ქვის ძირას ჩვენი წინაპარი — მხვნელ-მთესველი, მესაქონლე, დიასახლისი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, საბოლოო ჯამში კი ყველა მეომარი და სამშობლოს ერთი დამცველი განისვენებს.

ვინ უწყის, რა უბედურება დატრიალდა მათ თავზე. ბუნებრივი სიკვდილით, მოხუცებულობით განუტევეს სული აქ მწოლიარე მურჯელებმა, თუ ცოდვის კალოზე ეწამნენ და აღესრულნენ ჯერეთ ღინღლიანი ნინველები, ქალწულნი და ბავშვურად მოტიკტიკენი?

„ხოლო ლანგთემური მოადგა ციხესა ტფილისისასა და განამაგრეს ციხე, რამეთუ იდგნენ რამდენიმე ქართველნი შინაგან ციხესა. აღილო ციხე და გარემო სიმაგრენი ყოველივე ქართლისანი, შეუყენა შიგან სპარსნი თვისანი“ — გვამცნობს ჟამთააღმწერელი თბილისის დაცემის ამბავს.

სამწუხაროდ, ამ გორა-ნამოსახლარსაც შემოუნახავს მომხდურთა მხეცობის საზარი ამბავი. მასაც ჰყოლია თავისი ავადსახსენებელი თემურ ლენგი, აქაც, ამ გორის ძირში — მურჯის მინდორზეც ულეწიათ ადამიანთა კალოკალოუბნის ნაღვლიანი ორეული გახლავთ მურჯის გორა-ნამოსახლარი!

— სადაც უნდა ამოჩიჩქნოთ, ყველგან ძვალი ამოდის, — ნაღვლიანად გვამცნობს პეტრე ზურაბაშვილი, — თუმცა გათხრა რაღად გინდა, როცა ქარსა და წვიმას ისედაც იმდენი ქალა და ძვალი ამოაქვს ყოველწლიურად, რომ იმათ ჩაფვლას ველარც კი აუდიან ჩვენი ბავშვები. რამდენჯერ ამომიყვანია კოთელიის საშუალო სკოლის მოსწავლეები ამ გორაზე, მიკრეფინებია წინაპართა ძვლები და კვლავ სახოებით მიგვიბარებია მიწისთვის; მაგრამ, აი, ხომ ხედავთ, კიდევ ამოსულან...

ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: სიძველის უნიკალურ ძეგლებს, ახალქალაქთან უფრო ახლოს რომ მდებარეობენ (აწყურის ციხე, ხერთვისი, თმოგვი, წუნდის ეკლესია და, ბოლოს კი, საქვეყნოდ ცნობილი ვარძია), სათანადო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ყურადღება არ აკლია. ახალქალაქის და, ასევე, ბოგდანოვკის, დმანისისა და სხვა რაიონებში არსებულ კულტურის ძეგლებზე და აგრეთვე მთელ რიგ შინაურსა და ადგილობრივ პრობლემებზე ამას ვერ ვიტყვით; ამ მხრივ მეტი თაოსნობა მართებთ ქართველ ის-

ტორიკოსებსა და სხვა დარგის მეცნიერებსაც.., თორემ, განა შეიძლება, რომ ეს ჩვენი გორანამოსახლარი აქამდე უყურადღებოდ იყოს მიტოვებული? წითლად შერუჟღული გოხები, ჩვენს წინაპართა ძვალთსალაგები, ნაქალაქარები და ნამოსახლარები რამდენია ძველ ჯავახეთის მიწაზე... ახლა იავარქმნილ ეკლესიებსა და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს არ იკითხავთ? ამაში თავადვე დარწმუნდებით, როცა ცნობილ კუმურდოს ტაძარს, ანდა იხტილის უძველეს ეკლესიას მოინახულებთ და დაათვალიერებთ...

ეს, რაც შეეხება კულტურის სფეროს, მაგრამ გარდა წარსულისა ამ მხარეს გააჩნია თანამედროვეობაც. თანამედროვეობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მერე და რამდენი პრობლემა დაგროვდა საღლეისოდ ჩვენს რესპუბლიკაში, მის ქალაქებსა თუ სოფლებში? დღეს, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების მეცნიერული შესწავლა და განზოგადება, ახალი გზების ძიება და ეფექტური მეთოდების დანერგვა. განა ჩვენს მხარეს აწყენდა ერთი ასეთი გონების თვალით გადმოხედვა, იმ საკითხებში ჩახედვა, რომელთა მოუგვარებლობა დიდი ხანია აწუხებს აქაურ მოსახლეობას, ხელს უშლის სწავლა-განათლებისა თუ სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და სრულყოფას! არის ზოგიერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა მეტად მარტივად მოხერხდებოდა, რთული პრობლემებიც გაგვაჩნია, მაგრამ სათანადო თაოსნობისა და ღრმა დაინტერესების გარეშე არც ერთი ხერხდება და არც მეორე. ყოველივე ამას კი მოსდევს მნიშვნელოვანი დანაკარგები სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით და აგრეთვე მიგრაციის უკუქცევადი პროცესით გამოწვეული, მე ვიტყოდი, მიუტოვებელი ხარვეზები და შეცდომები...

და აი, უველა ეს საკითხი აღიძრა, კერძოდ, გასული წლის აგვისტოში, როცა ამ მხარეს — ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის რაიონებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. მან დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის კერები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. უშუალოდ, სამუშაო უბნებზე გაეცნო ამ რაიონების მცხოვრებთა ყოველდღიურ საქმიანობას, მათი შრომისა და დასვენების პირობებს, შეხვდა ადგილობრივ აქტივს. კერძოდ, სოფელ კოთელიაში, მექანიზატორებთან შეხვედრისას განიხილეს ტექნიკის რაიცონალური გამოყენების, რეზერვების ძიების საკითხები, ხოლო სოფ. იხტილაში, სადაც ლაპარაკი ჩამოვარდა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ სოფლის მშრომელთა მიგრაციის შესახებ, გამოითქვა მოსაზრება აქ დიდ საწარმოთა ფილიალების შექმნის აუცილებლობის თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად განავითარებდა რაიონის ეკონომიკასა და სოფლის მშრომელთა ადგილზე შენარჩუნებასაც შეუწყობდა ხელს. რაიონის მოსახლეობის საარსებო სოციალურ პრობლემებზე იყო საუბარი ხანდოში, ბარალეთსა და სხვა სოფლებში. ყოველივე ეს დიდად იმედის მომცემია და წარმოადგენს გამოხატულებას იმ დიდი კეთილნაყოფიერი სამუშაოების პროგრამისა, რაც დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ასაღორძინებლად და განსავითარებლად.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა ისევ წარსულის შესახებ.

* * *

ყველაზე მეტად მაინც დარანის არსებობამ გაგვაოცა ყველანი. ხუროთმოძღვარს არსებული მძიმე ვითარების, შემოსევებისა და არეულდარეულობის გათვალისწინებით მთელი აქცენტი მიწის სიღრმეში გადაუტანია, სადაც უშველებელი და ჯერეთ შეუსწავლელი გამოქვაბული „გაუშენებია“. ხავსიან ლოდებს შორის მიტოვებული ბუნებრივი და შეუმჩნეველი ორი ხვრელით დაინტერესებულ ადამიანს ძალუძს იხილოს მიწისქვეშა სამყარო მთელი თავისი საიდუმლოებებით, უცნაურობით, არქაულობით. ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის მდგომარეობა, რომ ჯერ აქ მკვლევარსა და ჩვენი წარსულით დაინტერესებულ პიროვნებას ფეხი არ დაუდგამს და ბარი არ დაუკრავს. მასპინძლის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქაურობა „მისი გონების მიღმა დარჩენილა“. არა და, ვინ უწყის, რამდენ საინტერესო ამბავს ინახავს თავის გულში მთის წიაღში გამოჭრილი „ქალაქი“?

— ბავშვობაში, მახსოვს, სოფლის ონავრები შევძვერით დარანში, — გვეუბნება პეტრე, — მაგრამ ჭრაქი ჩაგვიქრა და დაშინებულები ერთის ფაცხაფუცხით გამოვცვივდით გარეთ. მას მერე, როგორც ზემოთაც ვთქვი, ამ დარანს ახლოს არავინ გაჰკარებია... არა და, გორის მიდამოებში შემთხვევით ნაპოვნი მრავალი უძველესი რელიქვია თბილისის ისტორიის მუზეუმის მშვენებას წარმოადგენს. ამასწინათაც, აი, ქვემოთ, ყანის პირზე ამოთხრილი ორმო რომ ჩანს, ალალბედზე ძველი ქართული წარწერით დამშვენებული რაღაც ძვირფასი მძივი თუ ბეჭდის თვალი იპოვეს მემინდვრეებმა...

* * *

და, აი, მურჯიდან კოთელიის სასოფლო კლუბისაკენ გავეშურენით, სადაც მთელი აქაური მცხოვრებლები დიდიან-პატარიანად შეკრებილიყვნენ. გაცნობისთანავე ერთობ რეგლა-

მენტორებული, მშვიდი და ყოვლისმომცველი საუბარი გაიმართა, სადაც სხვადასხვა სპეციალობისა და დარგის, ასაკისა და გამოცდილების ადამიანებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ მცირე და სახელდახელო „მრგვალ მაგიდასთან“ სარკესავით აისახა ახალქალაქელთათვის ნიშანდობლივი პრობლემების წრე, რომელთა შესახებაც ზემოთ ჩვენი პირველი აქაური ნაცნობი და აწ უკვე მეგობარი პეტრე ზურაბაშვილი მოგვახსენებდა.

პირველი სიტყვა კოთელიელთა „მახვშიმ“ აიღო, უფრო სწორად, თანასოფლელებმა პატივცემულ ადამიანს, აქაური ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის მედროშეს, კოთელიის ქართული საშუალო სკოლის მხცოვან დირექტორს შოთა ზურაბაშვილს ანდეს „ლენტის გაჭრა“. ბუნებრივია, ჩვენმა საუბარმა „განათლების ასპექტში“ ჩაიარა. და ეს გასაგებიცაა — სწავლა-აღზრდის თემა იმდენად მრავალწახნაგოვანი გახლავთ, რომ ფაქტიურად თითქმის „ამ უბანზე“ იყრის თავს ცხოვრებისეული ყველა გზა და ბილიკი; ერთი სიტყვით, განათლების მდგომარეობა ძირითადად ის გზაჯვარედინია კოთელიის მკვიდრთათვის, რომელზეც გაედინება მათი ყველა მიღწევა, დარდი, სიხარული და საფიქრალი...

შოთა ზურაბაშვილმა გულისტკივილით ილაპარაკა კოთელიის საშუალო სკოლის მდგომარეობაზე: „უფრო სწორი იქნებოდა, თუ კი „საშუალო სკოლას“ ბრჭყალებში ვიხმარდით, — თქვა მან, — რადგანაც ამ ჩვენს ოცდაათიანი წლების პირმშოს, თანამედროვე საშუალო სკოლას არაფერი უგავს. მისი შენობა 1922 წელს არის აშენებული. იმ დროს კი მოგეხსენებათ, ფუფუნებისათვის არ ეცალა ჩვენს სახელმწიფოს, და ეს, ბუნებრივიცაა, მაგრამ დღეს, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით უდიდესი ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო ქსელის მოდერნიზაციას, განათლების დარგის მუშაკებმა ხელი უნდა გამოიღონ ჩვენი სკოლის მიმართაც. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამ ყოფილ დაწყებით სკოლაში, მისი საშუალოდ გადაკეთების შემდეგ ისედაც მომცრო ოთახები ჩავტიხრეთ, რათა საკლასო ერთეულების რიცხვი გაგვეზარდა და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენს წინაშე კვლავ დადგა საკითხი ამ გადატიხრული ოთახების ხელახლა გადატიხვრისა. წარმოგიდგენიათ? საბოლოოდ ჩვენს სკოლაში, თუ კი ასე გაგრძელდა კვლავაც, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ველარ მოიქნევს, აღარაფერს ვამბობ სასწავლო და დამხმარე კაბინეტებზე, რომლებიც საერთოდ არ გაგვაჩნია. ყოველივე ეს, ალბათ გასაგებია, რა გავლენას იქონიებს სკოლაში მოსწრების მდგომარეობასა და მასწავლებელთა საერთო განწყობილებაზე. ამას რომ ვამბობ, პირველ რიგში პედაგოგ-მასწავლებელთა უკმარისობა მაქვს მხედველობაში. მათემატიკისა და ფიზიკის სპეციალისტები საერთოდ არა გვყავს. ეს შეთავსებები კიდევ არ გამოდის. ისტორიის ანდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რა იცის არითმეტიკის, ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიისა. დღემდე ქიმიის მასწავლებელი, ნოდარ ბერუაშვილი გვშველოდა, ერთბაშად ხუთ საგანს ასწავლიდა სკოლაში, არ გეგონოთ ეს ადვილი საქმე იყოს, ჩვენი თხოვნა-მუდარა და კოთელიელთა და ბარალეთელთა ხათრი რომ არა, ამოდენა საპალნეს ნამდვილად არ აიკიდებდა. მაგრამ, ეტყობა, ნოდარი გადაგველალა, ოჯახური საქმეების გამო ბორჯომში გადასვლას აპირებს. ერთი სიტყვით, იგიც მიჰყვება მრავალთა გზას, რომლებიც „წარვიდნენ და აღარ დაბრუნდნენ“.

რაღა გაეწყობა, ჩვენ, ძველები და ნაცადნიდა დავრჩებით ისევ. დავრჩებით, მაგრამ როდემდის ვეყოფით აქაურობას. ნეტავი სასწაული მოხდეს და „ცას გამოვეკეროთ“, მაშინ ჩვენი სოფლის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, ასეთი სასწაულები არ ხდება...

შოთა ერთხანს გაჩერდა, დარბაზში შემოკრებილებს სევდიანი მზერა მოავლო და კვლავ განაგრძო საუბარი:

— წავა ნოდარი...,

ერთი გამაც გამოაკლდება ჩვენს ყოველდღიურობას, ერთი ტკბილმოუბარი — კოთელიელთა საფიხვნოს. კიდევ უფრო დაღარიბდება ჩვენი ხმიერი სამყარო.

უბრალოდ, ყველაფერს რომ შევეშვათ, სიტყვა დაგვიჩლუნგდა, ჩვენმა ლექსიკამ მაცოცხლებელი საზრდო დაკარგა...

ამ თემასთან დაკავშირებით, მინდა ერთ ამბავს შევეხო. ეს გახლავთ ჩვენი საშუალო სკოლადამთავრებულთა შემდგომი ბედის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. აქაურ აბიტურიენტებს უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებლებში მოწყობისას არავითარი შეღავათები არ ეწევათ. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ამ იზოლაციით გამოწვეული მეტყველების დაბალი კულტურის გამო ნიშნებს უკლებენ. მეტყველების კულტურის შედარებით დაბალი დონე დამახასიათებელია მთიანი რაიონების მოსახლეობისათვის, მაგრამ ეს ყოველთვის როდი ნიშნავს მათს უცოდინარობასა და ჩამორჩენილობას საერთოდ.

ადრე, ჩვენი მხცოვანი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო კეცხოველის უნივერსიტეტში რექტორობის დროს, მახსოვს, როგორი განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ ჩვენებურები გარემოსილნი, თვითონ პატივცემული აკადემიკოსი ძმლეოდა ამის მაგალითს, უშუალობითა და ბუნებრივი დამოკიდებულებით ცდილობდა ჩვენი მოსწავლეების ამეტყველებას, მათი საუკეთესო თვისებების წარმოჩენას, ალაპარაკებას, და ამით, რო-

ტორც ამჟამად ყველასათვის ნათელია, არც არაფერი დაშავებულა...

ისევ დავუბრუნდეთ სკოლას; ერთი ამბავი უნდა გავიხსენო: ამასწინათ ჩვენს სკოლაში რუსულის მასწავლებელი გამოგზავნეს. რომ იტყვიან, სიხარულით ცას ვეწიეთ, მაგრამ მოკლე გამოდგა ჩვენი ბედნიერება. სასწავლო წლის შუა რიცხვებში, მასწავლებელი რაიონის ცენტრში რომელიღაც სავაჭრო ორგანიზაციაში მომმარაგებლად გადაიყვანეს. აბა, მითხარით, რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ კადრების ასეთი პოლიტიკა?

ამასწინათ თბილისში, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილესთან მქონდა ამ საკითხებზე საუბარი. კადრების დენადობასა და უკმარისობაზე შევჩივლე. მინისტრის მოადგილე რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს დაუკავშირდა და მასწავლებლების დასაქმების მდგომარეობა მოიკითხა. როცა გამოირკვა, რომ პედაგოგების მთელი არმია ელოდა ადგილების გამოჩენას; განათლების განყოფილების ხელმძღვანელებს შესთავაზა, რომ გალაპარაკებოდნენ ამ მასწავლებლებს და როგორმე დაეთანხმებინათ ახალქალაქის რაიონში და, კერძოდ, ჩვენს სოფელში სამუშაოდ წამოსვლაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის სურვილი არავის არ აღმოსჩენია. მაგრამ ნათქვამია, „კაცი იმედით ცხოვრობსო" — ჩვენც ვიტოვებთ იმედს, რომ მოკლე ხანში ჩვენშიც გამოსწორდება მდგომარეობა.

* * *

— იქნებ ვიღაცამ იფიქროს, რომ სამეურნეო მაჩვენებლები გვაქვს დაბალი და სათანადო ყურადღებასაც ამიტომ ვერ ვიმსახურებთ? — ჩვენს საუბარში ჩაერთო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო აჩელაშვილი — პირიქით, ახალქალაქში არც ერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არ გააჩნია იმდენი სავარგულები, რამდენიც კოთელიისას. და მიუხედავად მუშახელის სიმცირისა, ჩვენ ყოველთვის მაღალი შედეგებით ვამთავრებთ სამეურნეო წელს. არავის ახსოვს ჩვენი ჩავარდნა, პირიქით, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ვართ. ამ პოზიციების დათმობას არც ვაპირებთ. ყოველივე ეს იმაზე მოგახსენეთ, რომ ამ შრომითი ფონზე უფრო გამოკვეთილიყო სოფლის ინტელიგენციისა და მშრომელთა აქ გამოთქმული გულისტკივილი, მეტი დამაჯერებლობა და სარწმუნოება მისცემოდა მას...

იცით, რა, აქამდე, შესაძლოა, ასე მწვავედ არ განვიცდიდით მთელ რიგ ნაკლოვანებებს განათლების სფეროში, რადგანაც ეს ხატკივარი მეტნაკლებად საერთო ხასიათისა გახლავთ მთელი რაიონის მასშტაბით. მთელ რაიონში ორად-ორი ქართული საშუალო სკოლა გვაქვს და ერთ-ერთი მათგანი, კოთელიის საშუალო სკოლა, რომელიც ახალქალაქს ათობით კილომეტრითაა დაშორებული, ასე სავალალო მდგომარეობაში ნამდვილად არ უნდა იყოს.

კოლმეურნეობის ახალგაზრდა ბულდოზერისტმა თემურ საბაშვილმაც გაგვიზიარა თავისი გულისტკივილი:

— უფროსების საუბარზე გული მეკუმშებოდა: აკი, მეც აქედან წასვლაზე ვფიქრობდი. ჯერჯერობით მალულად ვფიქრობდი, რადგანაც ხმამაღლა განცხადება მეუხერხულებოდა. მერე და მერე კი, როცა შევეჩვეოდი ამ ლაჩრულ აზრს გაქცევისას (ადამიანი საერთოდ ყველაფერს ეჩვევა, ოღონდ დრო სჭირდება ამისათვის) მერე ალბათ ხმამაღლაც ვიტყოდი, დავკრავდი კიდეც ფეხს და დიდ ქალაქში გავუჩინარდებოდი მეც მრავალთა მსგავსად. მაგრამ დღევანდელმა საუბარმა კიდევ ერთხელ ჩამაფიქრა საკუთარ საქციელზე, მთელი ამდენი ხანი, რაც თქვენ ამ საკითხებზე მსჯელობთ, ვფიქრობდი, რამდენად მართალი ვიყავი ჩემი მშობლიური მიწის, სოფლის, აღმზრდელთა წინაშე, როცა ასეთი განზრახვა ჩავიდე გულში. ყოველ შემთხვევაში, ერთ დასკვნამდე მაინც მივედი, რომ აქედან წასვლა, მართლაც იგივე ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. მე ვგრძნობ, რომ ამ გაქცევის ჟამმა სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც გადაიწია უკან.

მაგრამ ახლა იმ მიზეზებზე, რომელიც ამ ბზარს წარმოშობს ახალგაზრდებში და მათ უბიძგებს „ლაჩრობის გზას" დაადგნენ! ზემოთ დასახელებულ საკითხთან ერთად სოფლის აბსოლუტური კეთილმოუწყობლობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მეტად დაბალი დონეც გახლავთ ამისი მიზეზი. სოფელში ქართულ კინოსურათს ვერ ნახავ, ახალციხის თეატრი თუ ჩამოგვაკითხავს ხანდახან, თორემ სხვა გასართობი ახალგაზრდობისათვის აქ არაფერი მოიძებნება.

ერთ მშვენიერ დღეს კი რაღაც მოგივლის თავში და გაქცევა გინდა აქედან. ქალაქის სიჭრელე და ხმაური გენატრება. ზოგი წინ აღუდგება ამ სურვილს, ზოგიც — ვერა. ჩემი აზრით, ვერავის ვერ გაამტყუნებ ამაში. გასამტყუნარი ისაა, ვინაც ამ მიზეზთა მიზეზებზე არ ფიქრობს და მათ წამლობაზე არ ზრუნავს...

ბოლო სიტყვა ბარალეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარემ ვალოდია გოგოლაშვილმა თქვა:

— ამ რამდენიმე წლის წინ, კარგად მახსოვს, სოფელში ხმა დავარდა, ახალქალაქის რაიონში დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ოჯახები უნდა ჩამოასახლონო, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ვიცით, რომ მესაქონლე, მიწის მუშა და მამაცი ხალხია, ჩვენსავით მთიელები არიან. ყველას გვეიმედებოდა, რომ შევეწყობოდით... მაგრამ, სამწუხაროდ, დაპირება დაპირებათ დარჩა.

მერმე შეგვპირდნენ, აჭარის მაღალმთიანელებს ჩამოგისახლებთო, მაგრამ სასურველი შედეგი არც ამას მოჰყოლია...

* * *

წუთით მახსოვრობაში ამოტივტივდა ავბედითი ქრონიკები რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებიდან, დიდთოვლობა, ზვავები, ჩაკეტილი სოფლები, წყალდიდობანი, მეწყრები და ადამიანთა მსხვერპლი, მაშველი შვეულმფრენების განწირული და, სამწუხაროდ, უშედეგო ირაო სოფლების თავზე...

როგორ განვირიდოთ და ავიცილოთ სტიქიური უბედურება?

ამ მიმართულებით თავის დროზე ჩვენში მრავალი ღონისძიება იქნა განხორციელებული, მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ ადრინდელ წლებში, საშიში ადგილებიდან მოსახლეობა გამჟავდათ ერთობ სტიქიურად, მათთვის საცხოვრებელი ადგილების შერჩევა კი ხდებოდა რესპუბლიკის წინაშე მდგარი სამეურნეო, ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების გაუთვალისწინებლად. ასე ჩამოასახლეს მთიელები თბილისის გარეუბნებში — კრწანისში, ლილოსა და სხვაგან, სადაც ჭარბი მოსახლეობა ისედაც სულს ვეღარ ითქვამდა, ალარაფერს ვამბობთ „ხევსურეთის აურაზე“, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ მიუტევებელ შეცდომაზე.

მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, თუ კი მომავალშიც მოგვიწევს მათი გამორიდება საშიში ადგილებიდან, წარსულის მწარე გაკვეთილებიდან გამომდინარე, გვმართებს მეტის სიფრთხილით, აწონდაწონილად, პასუხისმგებლობით, მიზნობრივად ჩავატაროთ ეს ღონისძიება; გამორიდებულ მოსახლეობას უფრო პერსპექტიული, მისი ბუნებისა და ხასიათის, სამეურნეო საქმიანობისათვის შესაფერისი ზონები და რეგიონები შევურჩიოთ და შევთავაზოთ, ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ეკონომიკური პირობებით დავაინტერესოთ, ყოველნაირად დავეხმაროთ, რათა უფრო ადვილად და საიმედოდ მოიკიდონ ფეხი ახალ ადგილებზე.

უნდა ვიფიქროთ სისხლჭარბი სოფლების ბედზეც. რა მოელით მათ მომავალში? მთად თუ ბარად მრავლად მოგვეპოვება დასახლებები, „საკუთარ ტყავში რომ ვეღარ ეტევიან“, გასაწევ-გამოსაწევი ადგილი აღარ დარჩენიათ, ზოგი მათგანი - მინდორში გადასულა, ნაყანევები, ნავენახრები, საქონლის გასადევარი ადგილები და საძოვრები აუთვისებია და ახლა ახოებსა და აქა-იქ შემორჩენილ პირმზითებს მისდგომია.

ამ ლალიან, ნაყოფიერ მიწებზე ჩვენს წინაპრებს არსებობის პური—მარცვლეული კულტურების მოსავალი მოჰყავდათ, კარგად თუ ავად, წლიდან წლამდე როგორღაც იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას პურეულზე. მცირემიწიან და მწირმიწიან სვანეთშიც კი ადგილობრივად მოწეული ქერით, ხორბლით, ფეტვისა და ოსპის, სიმინდისა და ლობიოს მოსავლით გამქონდათ თავი. ამჟამად დრო სასიკეთოდ შეიცვალა. პურის პრობლემა უკვე აღარა დგას ჩვენი მოსახლეობის წინაშე, მაგრამ განა ეს მდგომარეობა გვაძლევს იმის უფლებას, რომ ის მამაპაპური სავარგულები, ანაგული მიწები ბინათმშენებლობისათვის გავიხმაროთ?

არა მგონია, რომ ასეთმა უყაირათო დამოკიდებულებამ მიწის მიმართ საბოლოოდ სასურველი შედეგი გამოიღოს. სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე ვაყენებდით საკითხს აუცილებლობის შემთხვევაში მოსახლეობის უფრო გეგმაზომიერი გადანაწილების, მათი დასახლებისათვის შედარებით აუთვისებელი, ნაკლულმოსახლეობიანი ტერიტორიების შერჩევისა და შეთავაზების თაობაზე.

იქნება ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში ასეთი „თავისუფალი“ ადგილები უკვე აღარ შემოგვრჩა?

როგორც თავშიაც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი, ეგრეთწოდებული, „სისხლნაკლულ რეგიონთაგანი“ გახლავთ მთლიანად ჯავახეთის ზეგანი, განსაკუთრებით კი ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის და სხვა რაიონები. აქ უკიდეგანო, თვალშეუვლები იალალები და მინდვრები ჯერაც ინტენსიურად ვერ არის ათვისებული, იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა, აკი კოთელიელებიც ვამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებას ამის თაობაზე. მართლაცდა, ბედის უკუღმართობით აქ სოფლები ისე დაშორიშორებულან, ერთმანეთისათვის ხმა ვეღარ მიუწვდენიათ.

ელექტროსადგურებისათვის მაღლივი კაშხალმშენებლობის ზონიდან, აგრეთვე სტიქიური რაიონებიდან თითო-ოროლა ოჯახის გამორიდება და სისხლჭარბი სოფლების ნამეტი მოსახლეობის დაინტერესება ახალი საცხოვრებელი გარემოთი, მიგრაციის თვალსაზრისით, საშიში როდი გახლავთ. ჩვენდა საბედნიეროდ, აქვე, ჯავახეთის მეზობლად, სამხრეთ-დასავლეთისა და აგრეთვე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მთიანეთში მოსახლეობის მატების ტემპი სასურველ დონეზეა შენარჩუნებული, ხოლო რადგანაც მთას მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მრევლის რჩენა და შეფარება ძალუძს, ეს ნამატი მისი კალთებიდან გადმოედინება. ერთი სიტყვით, მთა ზიარჭურჭელივითაა და ჩვენი ვალია, მთიდან ბარისაკენ ქაოტური მოძრაობის ცხოველი პროცესი ჩვენს ნება-სურვილს დავუმორჩილოთ, სათანადო არხში მოვაქციოთ და სასურველი მიმართულებით წარვმართოთ...

* * *

ვრცელი ველების დასასრულს გელოდებათ ზღაპრული სასწაული... ეს გახლავთ ჩვენი წო-

ნაპრების მიერ შთამომავლობისათვის შემონახული ხელთუქმნელი სახსოვარი და ასევე ჩვენი საზოგადოებრივი შემართებულობისა და კაცობის, სულიერი ამაღლებისა და შემოქმედებითი ძალისხმევის სასინჯი ქვა — კუმურდო! ეს არის ერთ-ერთი ულამაზესი და უთვალსაჩინოესი ტაძარი, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — „ხორცშესხმული და სრულქმნილი 964 წლისა მაისის თვისა ბოლო შაბათსა ხუროთმოძღვრისა საკოცარისა მიერ“.

როგორც გალაკტიონი იტყოდა ნიკორწმინდაზე — „რა ნიჭმა ააგო, რა მადლმა ააგო სვეტი — ნიკორწმინდა...“ — კუმურდოს ტაძარიც სწორედ ასეთი გახლავთ თავისი სისადავით, ამაღლებულობით, უბრალოებითა თუ ურთულესი და, ამავე დროს, რუსთაველის პოეზიასავით ყველასათვის საცნაური და გასაგები, ამაღელვებელი და გულშიჩამწვდომი ორნამენტული ხმიერებით, სინარნარით, ჩუქურთმათა რიტმით, ამღერებულობით, არქიტექტურული მთლიანობით...

სიტყვამ მოიტანა და მესხეთ-ჯავახეთში ყველას პირზე აკერია დიდი გალაკტიონის სახელი. მისი მოგზაურობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლეგენდად შემორჩა ახალქალაქელთა მეხსიერებას. ყოველ შეკრებასა და შეხვედრაზე, ზეიმსა და თუ სუფრაზე, როგორც ქართველები, ისე სომხები დიდი სიყვარულითა და ერთგვარის სიამაყის გრძნობით იხსენებენ ხოლმე გალაკტიონის სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობასთან დაკავშირებულ დეტალებს. და რაოდენ დასანანია, რომ დიდ პოეტს არ დასცალდა აქ ნანახისა და განცდილის სათანადოდ გადამუშავება და საკუთარ პოეტურ გრდემლზე ჩვეული ალმაფრენითა და ძალისხმევით გამოკვერვა. ვინ უწყის, მისი უდროო სიკვდილით რა ხელთუქმნელი სიმღერები დავკარგეთ ამჯერად უკვე ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საოცრებებსა და მშვენიერებაზე, მოძმე ერების სიყვარულსა და მეგობრობაზე.

მაგრამ როგორც უკვე ითქვა, კუმურდო ჩვენი საზოგადოებრიობისათვის არა მხოლოდ ნივთიერი დანატოვარი, „გასართველი“ და „საამოდ საცქერალი“ ძეგლი გახლავთ, არამედ, ამავე დროს, იგი არის საუკუნეთა ლაბირინთებიდან ჩვენი წინაპრების მარადიული მოძახილი; დიახ, ეს გახლავთ ჩვენივე სულიერი შემართებულობის საზომი და სიმბოლო. ამ მიმართულებით, კომურდოს, ისევე როგორც დიდი სიხარულის მინიჭება, ისე უკმაყოფილების გრძნობის გამოწვევაც შეუძლია: ძეგლი თითქმის უპატრონოდ არის მიტოვებული. აი სადამდე მისულა ჩვენი უდარდელობა და ინდიფერენტულობა. საოცრად მწარეა ყოველივე ამის განცდა უშუალოდ აქ, ტაძრის ჩამონგრეულ ჰიშკართან, ღედე-ღუდე ეზოსთან, იავარქმნილ გარემოსთან, ჩამოშლილ, ამოსვირინგულ კედლებთან... ასიოდე ადამიანის რამდენიმე ორგანიზებული შაბათობა ეყოფოდა კუმურდოს „მოწესრიგებას“, შესასვლელთა და ეზო-ჰიშკრის სისუფთავის ასატან კონდიციამდე მიყვანას. მაგრამ... მაგრამ. მაგრამ... ჩვენდა სამწუხაროდ, უსასრულოდ უნდა ვიძახოთ ეს არც თუ დიდად საამური სიტყვა „მაგრამ..“

საყვედურით იმსჭვალები რესპუბლიკაში ძეგლთა დაცვის მესვეურთა მიმართაც, რომელთა უგულისყურობის შედეგიც გახლავთ ეს ყოველივე. ტაძარში რესტავრატორებს უშველებელი ხარაჩოები აღუმართავთ, რათა მნახველებს შთაბეჭდილება შეუქმნან, რომ აქ „ყველაფერი რიგზე თუ ვერ არის, მალე იქნება!“. მაგრამ ეს სატუუარა, დაინტერესებულ და გულშემატკივარ ადამიანს, ბუნებრივია ადვილად ვერ დაახვევს თავბრუს, როცა ვიკითხეთ, რამდენი ხანია, რაც ეს ხარაჩოებია აღმართული-მეთქი, ადგილობრივმა გლეხებმა გვიპასუხეს, ბარე ათი წელი მაინც იქნებაო. ხარაჩოთა ნაწილი მოპარული და დატაცებულია, მავანს და მავანს, როგორც მიუწვდა ხელი, დააძრო და მოანგრია ქვედა საყრდენები, შინ წაიღო, ზედა კოჭები კი ჰაერში ირწევიან. ტაძრის მრავლისმთქმელი ზარი ძირს არის დანარცხებული, ირგვლივ ყოველივე მტვრითაა მოფენილი, მეთექვსმეტე საუკუნეში მიშენებული ეკლესია ნაირნაირი უცხოური წარწერებითაა წაბილწული.

კვლავ გაგვახსენდა კოთელიელი მეგზურის, პეტრე ზურაბაშვილის სიტყვები — ვარძია რომ თაფლივით არ იზიდავდეს მნახველებს, ჩვენს რაიონს სტუმარი არ მოაკლდებოდაო; მართლაც, ამ სიტყვების მიღმა ჩანდა პეტრეს გულისტკივილი იმ საერთო ინდიფერენტულობის გამო, რომელსაც ჩვენ დღემდე ვიჩენთ ყველანი ახალქალაქისა და მის ტერიტორიაზე მდებარე კულტურის ძეგლების მიმართ და, ასევე, ამ რაიონისათვის ნიშანდობლივი საჭირბოროტო საკითხებისადმი. ამაში, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ვარძიის „მიმზიდველობა“ როდია დამნაშავე, რომელიც წარატყვევებს ეგზოტიკისა და ისტორიის მოყვარულთ და „აქეთ აღარ უშვებს“; ამის მიზეზია აგრეთვე საექსკურსიო ბიუროს ერთგვარი მოუქნელობაც, რომელსაც მშვენივრად ძალუძს ისეთნაირად შეიმუშაოს ტურისტული მარშრუტები, რომ მსურველს საშუალება მიეცეს საკუთარი თვალით ერთ გასვლაზე არა მხოლოდ მტკვრის ხეობაში მოფენილ ძეგლებს გაეცნოს, არამედ მთელი სამხრეთ საქართველოს სიძველეთა მონახულება და დათვალიერება შესძლოს. ამას, პეტრე ზურაბაშვილის გულისტკივილისა არ იყოს, იმიტომ ვამბობთ, რომ საზოგადოებისა და ხალხის საერთო აზრი და სურვილი ისეთი ძალაა, რომელიც წყალს აღმა აიყვანს. აქაური საკითხების მოგვარებისათვის ამ ერთიანი შე-

ხედულების არსებობას და სათანადო კომპეტენტური სამინისტროებისა, უწყებების და ორგანიზაციების ერთობლივ დაინტერესებას მართლაც რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

დიახ, მესაქონლე და მიწის მუშა, საქმიანი და ფხიზელი ახალმოსახლეობით გამდიდრება სჭირდება აქაურ თვალუწვდენელ სავარგულებს, ტრიალ ველ-მინდვრებს, იალაღებს, რათა კიდევ უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად იქნას გამოყენებული ისედაც მცირემიწიანი ოქროს ფასი სახნავ-სათესები მესხეთ-ჯავახეთისა, რათა ჩვენი რესპუბლიკის ბეღელს მეტი ხვავი და ბარაქა შემოემატოს აქაური ხორცის, კარაქის, პურის, კარტოფილისა და თაფლის სახით. სწორედ აქეთ არის მიმართული ის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებსაც მესხეთ-ჯავახეთის მიწა-წყალზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს. საჭიროა მხოლოდ რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ, ყველა ჩვენთაგანმა არ დაზოგოს თავისი ძალ-ღონე, ხელი შეუწყოს სამხრეთ საქართველოს აღორძინების ისტორიულ საქმეს.

ეს უნდა გაკეთდეს, რათა სამარადჟამოდ გახასხასდნენ წითლად შერუჟღული სევდის გოხები, მწვანედ აბიბინდეს დარდიანი სული ადამიანისა, რომელსაც ისევე, როგორც თავისუფლებისმოყვარე დაუდგრომელ კალმახს — ცივციველა ჩქერში დგაფუნი, თავის თანამოძმესა და მოყვასთან ლაღობა, ჭირსა და ლხინში თანაზიარობა, გულიანი ფიხვნობა მონატრებია.

* * *

როგორც ითქვა, ჯავახეთის მიწა წითელი გოხებითაა მოფენილი. ამ შემთხვევაში ბებერი მიწის შეფერილობა ყველა ჩვენგანში მწარე ასოციაციებს იწვევს. ჩვენთა წინაპართა ბებერი ძვალთშესალაგია და აკლდამაა ძველი სამცხე-საათაბაგო. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ისტორიული ძეგლები მოუელუელათობენ. არის დღეები, როცა მათ კაციშვილი არ ეკარება, ანდა ვიღაც „გულშემატკივარი", ბარითა და წერაქვით შეიარაღებული, საკუთარი ინიციატივით იწყებს ნივთიერი ძეგლების „მოპოვებას", ვითომცდა შესწავლის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი გადარჩენილი, დღემდე შეუსწავლელი ძეგლი ეულად შეყუჟულა კუმურდოს ტაძრის ეზოში, რომელიც პირდაპირ ხელიდან გამოსტაცეს აქაურმა ხელისუფლებმა დედაქალაქიდან მოვლინებულ ერთკაციან „ექსპედიციას".

ღვთის ანაბარა მიტოვებული ძეგლი გახლავთ პტენის დიდებული ძველისძველი ეკლესიაც, სასაფლაოთი და ძველქართული წარწერებით დამშვენებული, მისთვის ერთი ჩვეულებრივი აბრაც კი დანანებიათ კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივი სარაიონო კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობას. ალარაფერს ვამბობთ ელემენტარულ წესრიგსა და სისუფთავეზე. კიდევ კარგი, მის ეზოში მოქმედი სასაფლაოა და სოფლელები ასე თუ ისე მაინც პატრონობენ, თორემ...

ჩვენ ძირითადად შევეხეთ ახალქალაქის რაიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტს, მაგრამ მკითხველისათვის ალბათ გასაგებია ამ მოსაზრებათა ქვეტექსტის დედააზრი, რომელიც ამ ტერიტორიებზე მიმობნეულ დიდთა და მცირე ეკლესიათა და ტაძართა მწარე ხვედრსა და აქაური საჭირბოროტო საკითხების მიმართ ყოვლად შეუწყნარებელ უყურადღებობაზე მიგვანიშნებს...

* * *

გზა... მთვარიანი საღამო...

გამომშვიდობებისას ჩვენმა მასპინძლებმა მძღოლს მდინარე ფარავნის მახლობლად შეაჩერებინეს მანქანა, ვიღაც მებადური ალმა მიუყვებოდა ნაპირს. როცა მივუახლოვდით, ქალბატონი თამარ ლაზარაშვილი გამოეცნაურა მას და ჩვენი თავი გააცნო. მერე კი უთხრა, აბა, ერთი შენს გაზრდას, ჩემი სტუმრების სახელზე მოისროლე ბადეო. სიამოვნებითო, თქვა პირხმელმა მეთევზემ, ცალი ხელით ბადის კალთა მოზიდა, მარჯვედ მოიგდო თითებში და სივრცეში გასტყორცნა. როცა უკან გამოსწია და მოწურა, მწრაფლ ამოაქანა ჩვენსკენ და ყველამ დავინახეთ მოლზე აფართხალებული თევზები. როცა კარგად დავაკვირდით, ყველამ ერთხმად წამოვიძახეთ — კალმახი ხალხო, კალმახი! ჩვენს ხელებში ფართხალებდნენ წინწკლებიანი, ქვიშისფერი სხარტა და წელმოქნილი მდინარის მშვენებანი. ეს უნებლიე შეძახილი ყველაზე ნათლად გამოხატავდა საერთო აღფრთოვანებას, რომელიც მდინარის ამ ლამის გადაშენებულ ბინადართან შეხვედრამ გამოიწვია სამხრეთის ქვეყანაში. ჩვენ უმალვე მოვისროლეთ თევზები ფარავანში.

და კვლავ ამოტივტივდნენ აზრიანი სიტყვები:

მე ჯავახეთს რა მიჭირდა,
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა...

მთვარე მართლაც მზესავით მაღლა იდგა, მინდორში ხორბლის ჯეჯილი გაშლილიყო. კალმახი კი ძველებურად დგაფუნობდა ფარავნის ჩქერებში. ყველაფერი თითქოს ისე გამოიყურებოდა, როგორც უწინ, ამ ლექსის დაბადების ჟამს. ეს ცაც, ეს მიწაც, ეს მდინარეებიც...

და ჩვენ იმედი მოგვეცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი

# ისტორიული გმირი აკაკის პოეზიაში

## („თორნიკე ერისთავი“ და „პატარა კახი“)

გმირებს ეძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!
აკაკი

1.

თავისი შინაგანი, სულიერი და ზნეობრივი თვისებებით, თავისი პირდაპირობით და მოქალაქეობრივი გამბედაობით აკაკი თვითონ იყო გმირი, რომელმაც თავისი ნიჭიცა და მთელი სიცოცხლეც სამშობლოს კეთილდღეობას, დაჩაგრულთა დაცვას, მშრომელთა ბედნიერებას მოახმარა.

ჭაბუკობისას მან შემთხვევით მოჰკრა ყური ევროპის ორი გამოჩენილი პატრიოტის საუბარს: ფრანგი ტურესი და პოლონელი როდზიევიჩი იგონებდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ეპიზოდებს; ამ ეპიზოდებმა ჭაბუკ პოეტზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინეს.

„იმათმა საუბარმა, — ამბობს იგი, — ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გარდავიქეცი. ბოლოს სთქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გამხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია!“.

ეს რომ ჩამესწვეთა ყურში, ჩემი თავი ველარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა, ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური! ოდესმე სარდალი გავხდები“.

ასე ოცნებობდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჭაბუკი პოეტი, მაგრამ ბედმა მას სხვაგვარი სარდლობა, — ერის სულიერი წინამძღოლობა არგუნა, და უნდა ითქვას, რომ ალბათ ვერც ერთი სარდალი ვერ გაუწევდა თავის ერს ისეთ დიდ სამსახურს, როგორიც აკაკიმ საქართველოს გაუწია.

აკაკი წერეთლის პოეზია განსაკუთრებული ძალით ჟღერდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ხანა დაუდგა. ამ მძიმე დროს აკაკის გამამხნევებელი ხმა მალამოსავით ედებოდა ყოველი ქართველის, ყოველი დაჩაგრული ადამიანის სულსა და გულს.

როგორც ცნობილია, რუსეთის რევოლუციონერებმა სწორედ ამ ასი წლის წინათ გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მეფის მთავრობაზე და ტერორის საშუალებით მოინდომეს თვითმპყრობელობის დამხობა. ისინი გაბედულად დაესხნენ თავს და მოკლე დროში მოსპეს ცარიზმის ყველაზე საძულველი სატრაპები, ხოლო 1881 წლის პირველ მარტს თვით მეფე ალექსანდრე II გამოასალმეს წუთისოფელს.

იმ საბედისწერო ყუმბარის ხმა, რომელიც გრინევიცკიმ პეტროგრადში მეფეს ესროლა, ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს და ჩაგრულ ადამიანებს ცხოვრების გარდაქმნის იმედი ჩაუსახა. ამ ხმამ იმავე დღეს მოაღწია საქართველომდე და ხალხის საყვარელ პოეტს უაღრესად გაბედული სიტყვები დააწერინა:

დღეს მერცხალი შემოფრინდა, —
ჭიკჭიკითა გაღმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა...

—„—

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!“

მაგრამ პოეტის ეს სიხარული, სამწუხაროდ, ნაადრევი აღმოჩნდა. მოკლული მეფის ნაცვლად ტახტზე ავიდა უხეშობით სახელგანთქმული სალდაფონი ალექსანდრე III, რომელმაც მთელ რუსეთში სასტიკი რეაქცია გაამეფა. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთის დაჩაგრული ერები, მათ შორის ჩვენი სამშობლო — საქართველო. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ძნელია დავასახელოთ იმაზე უფრო მძიმე დრო, ვიდრე ალექსანდრე III ხანა იყო. მეფის ჩინოვნიკები აბუჩად იგდებდნენ ქართულ კულტურასა და ისტორიას, ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ დროშას; აიკრძალა ქართული ენა, აიკრძალა თვით ჩვენი სამშობლოს სახელის ხსენებაც კი, — „საქართველოს“ ნაცვლად გაზეთებს უნდა ეწერათ „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“. ერთი სიტყვით, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგა.

ასეთ ვითარებაში ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად თავგანწირული ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანმა მოღვაწეებმა, რომლებსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ედგნენ. ცარიზმის უხეშ ძალადობას მათ დაუპირისპირეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, რომელიც ყოველგვარ რეაქციაზე ძლიერი აღმოჩნდა.

1881 წლის 27 აპრილს ილია ჭავჭავაძემ დაწერა „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი ეტაპის მთელი პროგრამაა ჩამოყალიბებული. დიდი ილია მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას, მიებაძა სლავი ხალხის, კერძოდ, ჩეხების მაგალითისათვის და თავისი ცხოვრების უპირველეს საგნად ეროვნული თავისუფლების მოპოვება გაეხადა. აი ილიას შესანიშნავი სიტყვები:

„სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ... თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლადააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს, პოეზიის შემწეობით, დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისთვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა, მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოთ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად, აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვა ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილკაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დღენი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის ფიცარზედ“.[1]

აქედან სავსებით ცხადია, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერის წარსულის ცოდნას და პოეზიის საშუალებით იმ სახელოვანი ისტორიული გმირების სახეების გაცოცხლებას, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი დასდვეს. ზუსტად ასეთივე აზრისა იყო ამ საკითხზე აკაკი წერეთელიც და სწორედ ამით აიხსნება, რომ 80-იან წლებში მან საქართველოს ისტორიის სიუჟეტებზე არა ერთი ლიტერატურული შედევრი შექმნა.

1882 წლის ზაფხულში აკაკიმ კახეთში იმოგზაურა და ხალხის წინაშე მრავალი შესანიშნავი, პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი სიტყვა წარმოთქვა. 17 აგვისტოს თელავის ინტელიგენციის მიერ მის საპატივცემლოდ გამართულ სადილზე აკაკიმ თქვა:

„ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი; ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს, და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდათა-წმიდა“ ზიარება ჩვენთვის, რომელიც სიწმინდითა და სასოებით უნდა მივიღოთ სოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვაწლსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დრო-

ების შესაფერისად კი... საჭირო არიან მეომარი გმირი — მამულიშვილები, იმავე გრძნობით და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ“.

პოეტის ამ სიტყვის შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გაზეთმა „დროებამ“ მკითხველებს აუწყა: „ამ დღეებში ჩვენ დაგვატკბო აკაკიმ თავისი ახალი პოემის წაკითხვით. პოეტის ნიჭი, კილო ენისა და მშვენიერი ლექსთწყობა ცხადად იხატება პოემაში“ (1883 წ. № 60).

ასე დაიბადა პოემა „თორნიკე ერისთავი“, — ქართული პოეზიის ეს მშვენიერი თვალმარგალიტი.

არ გასულა დიდი ხანი და „თორნიკე ერისთავს“ გვერდში ამოუდგა აკაკის პატრიოტული პოეზიის კიდევ ერთი შედევრი — დრამატული პოემა „პატარა კახი“.

ორივე ეს პოემა, ისევე როგორც აკაკის მრავალი სხვა ქმნილება, ქართველი ხალხის უსაყვარლეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის და დიდი ხანია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული.

„თუ რა გასაოცარი შთამაგონებელი ძალა ჰქონდა აკაკი წერეთლის პატრიოტულ პოეზიას, — ამბობს გამოჩენილი ქართველი მწერალი გერონტი ქიქოძე, — არა მარტო სალად მოაზროვნე ქართველ დემოკრატიაზე, არამედ ეროვნულად გადაგვარებულ ქართველ ახალგაზრდობის ნაწილზე, ჩანს, მაგალითად, ივ. ბუქურაულის „მოგონებიდან“, სადაც ავტორი გვიამბობს, რომ 15-16 წლამდე თავისთავს სრულიადაც ქართველად არ გრძნობდა და პირველად ჩემში რაღაც სტიქიონურმა პატრიოტიზმმა იმ დღეს გაიღვიძა, როცა მასწავლებელმა კლასში ახლად გამოსული „თორნიკე ერისთავი“ წაგვიკითხა. არაფერი არ შეედრება იმ სიამოვნებას, რაც ამ კითხვის დროს განვიცადეთ“.2

ასეთივე გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და მაყურებელზე „პატარა კახი“, რომელიც თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ქართული თეატრის სცენას ამშვენებს და დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ვინ იცის, რამდენ მამულიშვილს ათრთოლებია გული ამ დრამის გმირთა ცეცხლოვან სიტყვებზე და რამდენ მათგანს გადაუწყვეტია, თავგანწირვით ებრძოლა სამშობლოს დასაცავად, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ერთი სიტყვით, ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ „თორნიკე ერისთავმაც“ და „პატარა კახმაც“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და რომ ამ მხრივ მათი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის განუზომელია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გაირკვეს კითხვა: რამდენად შეესაბამება ხსენებული პოემების შინაარსი ისტორიულ სინამდვილეს, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოემებში წარმოდგენილი ისტორიული ვითარება, გმირთა მოქმედება და სხვა მარტო აკაკის ფანტაზიის ნაყოფია, თუ საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვაა?

ამ საკითხის გარკვევას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხსენებული პოემების ავ-კარგის გასაგებად, არამედ XIX საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის მხატვრულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დასადგენად. ამიტომ თავს ნებას მივცემთ ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე.

## II

კიტა აბაშიძემ თავის ცნობილ „ეტიუდებში“ დიდ პოეტს ასეთი საყვედური აკადრა:

„აკაკი წერეთლის... ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი“, დრამა „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაშიაჩუკი“ ერთი და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრივ ისინი ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომსახველი. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებენ, რომ ძველ საქართველოს მზეზე არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად — სულ სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა“.3

რა უნდა ითქვას ასეთი მძიმე ბრალდებების გამო?

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი მსჯელობა აშკარად ტენდენციური და უსაფუძვლოა, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მკვლევარებმა კარგად შეამჩნიეს ამ მსჯელობის ტენდენციურობა და საკმაოდ საფუძვლიანადაც გააკრიტიკეს იგი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კ. აბაშიძის თვალსაზრისი ჯერ კიდევ საბოლოოდ დაძლეული არ არის; საქმე ისაა, რომ აკაკის ზემოთ ხსენებული პოემების ისტორიული თვალსაზრისით განხილვა და შეფასება, თუ არ ვცდებით, ჯერ არავის უცდია, უამისოდ კი ძნელია გაირკვეს, რამდენად სწორადაა

აკაკის პოემებში ასახული ისტორიული სინამდვილე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის ვახტანგ კოტეტიშვილის აზრს, გამოთქმულს კ. აბაშიძის შენიშვნების გამო. მოაქვს რა, კ. აბაშიძის ზემოთ ჩვენს მიერ ციტირებული მსჯელობა, ვ. კოტეტიშვილი ამბობს:

„კიტა აბაშიძე, ერთი მხრივ, მართალია, რომ აქ იდეალიზაციაა, მაგრამ ამის გარეშე მხატვრობა არ არსებობს. დოსტოევსკი, დიდი ოსტატის სიმახვილით წერდა: მთელი ხელოვნება ერთგვარი გადაჭარბებისაგან შესდგება, მხოლოდ ისე, რომ საზღვარს არ გადასცდეს. ეს პორტრეტისტებმა კარგად იციან, მაგალითად, თუ ორიგინალს ცხვირი ოდნავ დიდი აქვს, უფრო მეტი მსგავსებისათვის კიდევ ოდნავ უნდა მოემატოს ზომა, მხოლოდ თუ ამას გადასცდა, კარიკატურა გამოვაო“. საკარიკატურო აკაკის ამ ნაწარმოებში არაფერი მოუცია. მან მხოლოდ თვალსაჩინო ისტორიული გმირები აილო თემად და დიდი ადამიანების პორტრეტები ზოგს გადაჭარბებულ იდეალიზაციად ეჩვენა. ეს კი მართალი არ არის“.[4]

როგორც ვხედავთ, ვ. კოტეტიშვილი არ უარყოფს, რომ აკაკის ისტორიულ პოემებში ადგილი აქვს ერთგვარ გადაჭარბებას, (რასაც ის იდეალიზაციას ეძახის), მაგრამ ასეთი გადაჭარბება მკვლევარს რეალისტური ხელოვნების აუცილებელ პრინციპად მიაჩნია; რაც შეეხება კ. აბაშიძის ბრალდებას თითქოს აკაკი მეტისმეტი გადაჭარბებით აიდეალებდეს წარსულს, ამის შესახებ ავტორი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ „ეს მართალი არ არის“.

ჩვენი აზრით, ვ. კოტეტიშვილის ზემოთ მოტანილი მსჯელობა საფხებით სწორი და მეცნიერულია, მაგრამ ამის შემდეგაც არსებითად გასარკვევი რჩება ის უმთავრესი კითხვა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: რამდენად შესძლო აკაკი წერეთელმა დაეცვა ხელოვნების ის კანონზომიერება, რაზედაც დოსტოევსკი ლაპარაკობს, და დაეხატა თვალსაჩინო ისტორიული გმირების რეალისტური პორტრეტები? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თუ არა რაიმე საფუძველი კ. აბაშიძის მიერ აკაკისადმი წაყენებულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ თითქოს აკაკის ისტორიული პოემები „ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომხატველი“; რომ მისი პოემების და დრამების მიხედვით, „ძველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა?; რომ ძველი ქართველები „ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთით და მშვენებით აღსავსენი“; რომ მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტა; რომ ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს“ და ა. შ.

მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ამგვარი ბრალდების უარსაყოფად მარტო ხელოვნების კანონზომიერებაზე მითითება და დოსტოევსკის ავტორიტეტის მოშველიება არ კმარა; ამისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა მოკლედ მაინც შევეხოთ, ჯერ ერთი, იმ პრინციპებს, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერება ისტორიულ ნაწარმოებს უყენებს, ხოლო მეორე, — იმ ისტორიულ ვითარებას, რომელიც „თორნიკე ერისთავსა“ და „პატარა კახშია“ ასახული.

გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ერთ თავის ნაშრომში მოკლედ, მაგრამ ამომწურავად განმარტავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებითაც ისტორიული ნაწარმოების შექმნისას მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს. გავეცნოთ მოკლედ ამ პრინციპებს.

„ლიტერატურა და ხელოვნება, — ამბობს კონსტანტინე, — ყოველთვის თანამედროვეობის პრობლემებს წყვეტენ, ოღონდ მარტო მისი თემატიკით არ იზღუდებიან... დანტე, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, შექსპირი, გოეთე ბიბლიურსა და ანტიკურ თემებს ამუშავებდნენ, მაგრამ ისინი ისტორიულ თემებში თანამედროვეობის პრობლემათა გადაწყვეტას ეძებდნენ. მიქელანჯელოს „მოსე“—ებრაელთა წინასწარმეტყველის ძეგლი კი არაა, იმ ეპოქის ნათელი განსახიერებაა, რომელსაც ამ ნაწარმოების შემქმნელი ეკუთვნოდა... მთავარი ისაა, თუ რა გამოხატა მწერალმა თავისი ნაწარმოებით, რა უნდოდა ეთქვა მას თავისი ხალხისათვის და რამდენად შეძლო ჩანაფიქრის ქმნილებაში გამოხატვა...

შექმნა — არ ნიშნავს ცხოვრებისაგან უბრალოდ გადმოწერას, — ეს შემოქმედებაა... თუ მწერალი, წარსულზე რომანის შექმნისას, მატიანეების ტყვეობაში მოექცა, ის ვერაფერს ახალს ვერ მიუმატებს იმ ქრონიკებს, რომლებსაც ბერები წერდნენ“.[5]

მაგრამ როგორ უნდა მოეპყროს მწერალი-შემოქმედი ისტორიულ მასალას? შეუძლია თუ არა მას შეცვალოს ისტორიული ფაქტები ან დაამახინჯოს ისტორიული სიმართლე?

ამ კითხვაზე კ. გამსახურდია შემდეგ პასუხს გვაძლევს:

„მაგრამ ყოველივე ეს არ ანთავისუფლებს მწერალს ისტორიის სულის გადმოცემისაგან... მწერალი ვალდებულია ისტორიული სიმართლე დაიცვას. ისტორიული ფაქტები შეიძლება ახლებურად განვმარტოთ, მაგრამ მათი შეცვლა არ შეიძლება. მე უკვე ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ისტორიული ფაქტების დამახინჯება ყოვლად დაუშვებელია... წარსულის განსახიერებისას ძალიან დიდი სიზუსტე და სიფრთხილე გვმართებს, მე ვიტყოდი, რომ უნდა ვიყოთ

„ზომიერნი“, რათა არ შევბღალოთ სიმართლე“.6

ასეთია, ისტორიული რომანის დიდოსტატის აზრით, ლიტერატურისა და ხელოვნების ის მეცნიერული პრინციპები, რომლებითაც ისტორიული ნაწარმოების ავტორი უნდა ხელმძღვანელობდეს.

ახლა გავეცნოთ „თორნიკე ერისთავსა“ და „პატარა კახში“ ასახულ ისტორიულ ვითარებას და ვცადოთ იმის გამორკვევა, თუ რამდენად შესძლო ამ პოემების ავტორმა „ისტორიის სულის“ გადმოცემა.

## III

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თორნიკე ერისთავი ისტორიული პიროვნებაა და მან ნამდვილად ჩაიდინა ის გმირობა, რომელიც აკაკის პოემაშია აღწერილი, მის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახეს არა მარტო ქართულმა, არამედ აგრეთვე სომხურმა ისტორიულმა წყაროებმა. ამ ცნობების მიხედვით, თორნიკე ერისთავი წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი, რომელიც სიბერის ჟამს ბერად შედგა და მთაწმინდის მონასტერში (საბერძნეთში) იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს (979 წელს) ბიზანტიის იმპერატორ ბასილს სარდალი სკლიაროსი აუჯანყდა და ტახტიდან ჩამოგდება დაუპირა. საცოწიხდილმა იმპერატორმა და მისმა მეუღლემ დახმარებისათვის მიმართეს ტაოკლარჯეთის ძლიერსა და გავლენიან მეფეს დავით კურაპალატს, რომელიც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი და უაღრესად პროგრესული მოღვაწე იყო. „დაწერეს წიგნები ვედრებისა და წარმოგზავნეს ქართველი თორნიკე, რომელ მყოფ იყო დიდსა და ლავრასა შინა მთაწმინდისასა, მონასტერსა დიდისა ათანასესა, დავით კურაპალატისა თანა, რათა შემწე ეყოს მათ“.7 დახმარების სანაცვლოდ იმპერატორი ბასილი დავითს დიდი ტერიტორიების დათმობას ჰპირდებოდა.

დავით კურაპალატმა და მისმა მრჩევლებმა გადაწყვიტეს, კეისარს დახმარებოდნენ. მათ „განზრახვა ქმნეს“, რათა ლაშქარნი წარგზავნენ საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკე განაჩინეს... მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული, და შეწევნითა ქრისტესითა [illegible] სკლიაროსი, და ვიდრე სპარსეთადვე მეოტად წარიქცია. და მერმე შეიქცა სიტყვისაებრ მეფეთასა და ტყვე ყვნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი, და მონაგები მათი იავარ-ყო. და რომელიმე ლაშქართა განიუყო, და რომელიმე თვით დაიმჭირნა ნატყუენავი ფრიადი და დიდძალი: ოქრო, და ვერცხლი, და ხტავრა, და სხუა ესევითარი. და უკუნ იქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა“.8

როგორც ვხედავთ, თორნიკე ერისთავის ის პორტრეტი, რომელიც აკაკის პოემაშია წარმოდგენილი, ისევე როგორც ქართველთა 12 ათასიანი რაზმის მიერ სკლიაროსის ჯარის სასტიკი შემუსვრის ამბავი, აკაკი წერეთლის ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, მთლიანად ისტორიულ ფაქტებს, რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს ეყრდნობა. ამიტომ სრულიად უადგილოდ მიგვაჩნია კიტა აბაშიძის ირონიული მსჯელობა. — „ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამეო“. ამით კრიტიკოსს სურს აკაკი წერეთელს წარსულის გადაჭარბებული იდეალიზაცია უსაყვედუროს, მაგრამ არავითარი იდეალიზაცია აქ არ არის: საქართველოს ისტორია სავსეა ისეთი მაგალითებით, როცა ბერები, და საერთოდ სასულიერო პირები, პოლიტიკურ მოღვაწეებად გამოდიოდნენ და სამშობლოს ინტერესებს არა მარტო სიტყვით, არამედ ხმლითაც იცავდნენ. სწორედ ამიტომ ამბობს მათ შესახებ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი: „ისინი მხოლოდ მშვიდობიანი, მლოცველი ბერ-მონაზვნები როდი არიან; ისინი აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებლები. სწორედ ამათ ასწავლეს დიდაზნაურებს (მაგალითი მისცეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მათ გადააყენეს სუსტი გიორგი II, დავითის მამა, და უსასტიკესი ომი გამოუცხადეს „მტრებს“ შინაურთ თუ გარეულთ“.9

სავსებით შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს მეფე დავით კურაპალატის აკაკისეული დახასიათებაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დავით კურაპალატი იყო დიდი პროგრესული მოღვაწე და პატრიოტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების საქმეში. დავითი ძლევამოსილ ომებს აწარმოებდა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ანთავისუფლებდა მათი ბატონობისაგან ქართველ და სომეხ მოსახლეობას. ამით აიხსნება, რომ მას დიდი ქებით იხსენიებენ არა მარტო ქართველი, არამედ სომეხი ისტორიკოსებიც: აი, მაგალითად, რას ამბობს ცნობილი სომეხი მემატიანე სტეფანოზ ტარონელი: „დიდი კურაპალატი დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ღმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე“.10

ზემონათქვამიდან, ვფიქრობთ, ცხადია, რომ პოემა „თორნიკე ერისთავში“ სავსებით სწორად

და რეალისტურად არის გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. აკაკიმ არა მარტო გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების, — დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის, — შესანიშნავი რეალისტური პორტრეტები დაგვიხატა, არამედ ქართველი ხალხისა და მისი რჩეული ლაშქრის დაუვიწყარი გმირობაც სინამდვილესთან სრული შესაბამისობით აღწერა.

ზუსტად ასეთივე ვითარებაა პოემა „პატარა კახშიც“. ვინც ოდნავ მაინც იცნობს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას, ის უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაში აღნიშნული ომი უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ და ქართველი ხალხის თითქმის ყველა ფენის საუკეთესო წარმომადგენელთა თავდადებული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, უაღრესად დამახასიათებელია იმ ეპოქის საქართველოს ცხოვრებისათვის. ამიტომ გაოცებას იწვევს კიტა აბაშიძის ტრივიალური შენიშვნა „მეფე ისე ადვილად სწირავს თავს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტოსო“; ფლავის ჭამისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოჩენილი ქართველი მეფეები, და მათ შორის, პირველ რიგში, პატარა კახი რომ სამშობლოსათვის თავის გაწირვას არ ერიდებოდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და რატომ მიაჩნია იგი დაუჯერებლად ისეთ განათლებულ კრიტიკოსს, როგორიც კიტა აბაშიძე იყო, ძნელი გამოსაცნობია.

უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კ. აბაშიძის მსჯელობა აგრეთვე იმის შესახებ, რომ თითქოს, აკაკის მიხედვით, „ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებდა“ და რომ ქართველები „ყველანი მხნენი, გულადნი, მამაცნი ყოველი სიკეთით და მშვენებით აღსავსენი იყვნენ“.

მართალია, თორნიკე ერისთავის რაზმი, რომელმაც სკლიაროსის ლაშქარი დაამარცხა, შედარებით მცირე იყო (სულ 12 ათასი მხედარი), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ესენი იყვნენ დავით კურაპალატის ძლევამოსილი არმიის რჩეული ვაჟკაცები, ომებში გამობრძმედილნი და მაღალი დისციპლინის მქონენი, რომლებსაც წინ უნიჭიერესი სარდალი მიუძღოდა. რაც შეეხება სკლიაროსის ბანაკს, შესაძლოა მისი ლაშქარი ქართველებზე რიცხობრივად რამდენჯერმე მეტი იყო (თუმცა, რა თქმა უნდა, არა ათასჯერ), მაგრამ ეს იყო კანონიერი მეფის (იმპერატორის) წინააღმდეგ აჯანყებულ ფეოდალთა ლაშქარი, რომელიც უსამართლო, ძმათა მკვლელ ომს აწარმოებდა და ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით იყო გართული. ასეთ ლაშქარს, ცხადია, არ შეიძლებოდა მაღალი ბრძოლისუნარიანობა ჰქონოდა; ნუ დაგვავიწყდება, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ღმერთთან იყო გათანაბრებული და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ხალხის თვალში, ღვთის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სკლიაროსის ლაშქარი დამძიმებული იყო უამრავი ნაძარცვი ქონებით, რაც ხელს ვერ შეუწყობდა ქარისკაცთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. — შემთხვევითი როდია, რომ მემატიანე ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიელ დიდებულთა იმ აურაცხელ სიმდიდრეზე (მონაგებზე), რომელიც თორნიკე ერისთავმა ნაწილობრივ იავარყო, ხოლო ნაწილობრივ ნადავლის სახით წამოიღო.

დავით კურაპალატი, როგორც ჩანს, ძალიან კარგად იცნობდა ბიზანტიაში იმ დროს შექმნილ ვითარებას, იცოდა სკლიაროსის ლაშქრის მდგომარეობაც და ამიტომ იყო, რომ მის წინააღმდეგ შედარებით მცირე ლაშქარი გაგზავნა.

აკაკი წერეთელი მშვენივრად ითვალისწინებს ყოველივე ამას და ამიტომაა, რომ მას სრულიადაც არ მიაჩნია დაუჯერებელ ამბად 12 ათასიანი რაზმის მიერ (რომელთაგან 5 ათასი ბრძოლის ველზე დაეცა) სკლიაროსის მრავალრიცხოვანი ლაშქრის დამარცხება.

კ. აბაშიძეს ისიც საეჭვოდ მიაჩნია, რომ „სიბრძნითა და ომის ტაქტიკით“ მოწინააღმდეგეს ქართველები სჯობდნენ, მაგრამ ასე რომ არ ყოფილიყო, როგორღა შესძლებდა მცირერიცხოვანი ქართული ლაშქარი მასზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხებას?!

აკაკი წერეთელი განსაკუთრებით დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს ომის სურათებს; მკითხველს ხიბლავს და იტაცებს საომარი მოქმედების დინამიკური განვითარება, ის თითქოს ხედავს კიდევაც ცხენოსანი რაზმების პირისპირ შეჯახებას და ესმის მათი ხმლების ჩახა-ჩუხი. „თორნიკე ერისთავი“ შესანიშნავი რეალისტური პოემაა, რომელშიც დიდი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. მასში არ მოიპოვება არც ერთი ყალბი ან მხატვრულად არაბუნებრივი, ნაძალადევი ადგილი. ამიტომ გაუძლო ამ პოემამ დროის გამოცდას და გადაიქცა ხალხის საყვარელ უკვდავ ნაწარმოებად.

რაც შეეხება კ. აბაშიძის მტკიცებას, თითქოს აკაკის მიერ დახატული ისტორიული გმირები ყ ვ ე ლ ა ნ ი იდეალურად უნაკლონი იყვნენ, ესეც აშკარა გაუგებრობის ნაყოფია. ნუთუ კრიტიკოსმა ვერ შენიშნა ის უარყოფითი ტიპები, — მეფისა და ხალხის მოღალატენი, რომლებიც აკაკის არა ერთ ისტორიულ ნაწარმოებში, მათ შორის „პატარა კახშია“ წარმოდგენილი?

ვინ არიან, მაგალითად, თავადები რევაზ ბებურიშვილი და მისი ძმა ნოდარი, აგრეთვე მისი მსახური თედო რამაზაშვილი, თუ არა საზიზღარი გარეწრები და მოღალატენი? ნოდარ ბებურიშვილი ომის დროს მტრის მხარეზე გადავიდა, რისთვისაც პატრიოტებმა მოჰკლეს, ხოლო რევაზმა ჯერ უმწეო ქალი გაიტაცა და შეურაცხყო (რაშიაც მას აქტიურად და-

ეხმარა მისივე გადაგვარებული მსახური თედო (რამაზაშვილი), ხოლო შემდეგ მტერთან პირისპირ ორთა ბრძოლაში გასული გმირი ლევან ქვაბულაძე მუხანათურად, ზურგიდან მიპარვით მოჰკლა. განა შეიძლება ამის შემდეგ ობიექტურმა მკვლევარმა თქვას, აკაკიმ უ ვ ე ლ ა ისტორიული გმირი ანგელოზებად წარმოგვიდგინაო? ცხადია, არ შეიძლება!

ამრიგად, დღესავით ნათელია, რომ აკაკი წერეთელმა თავის პოემებში სწორად ასახა ისტორიული სინამდვილე და დაუმახინჯებლად გადმოგვცა ძველი საქართველოს ცხოვრების სურათები.

მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, თითქოს აკაკიმ წარსულის მოვლენები უბრალოდ ისტორიული წყაროებიდან გადმოიწერა. აკაკი უდიდესი შემოქმედი იყო და თავის შემოქმედებაში ეპოქის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ეყრდნობოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ წყაროებში ლაკონურად აღწერილ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს იგი თავისი დიდი ნიჭის წყალობით აცოცხლებდა, ავსებდა და აღრმავებდა, რათა უფრო სრულყოფილად და შთამბეჭდავად გადმოეცა გარდასულ დროთა ცხოვრების მაჯისცემა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ აკაკის ისტორიულ პოემებს სრულიად გარკვევით აზის მათი ავტორის მოწინავე მსოფლმხედველობის ბეჭედი.

ვნახოთ ეს კონკრეტულ მაგალითებზე.

## IV

სკლიაროსზე გამარჯვების შედეგად საქართველომ ბიზანტიისაგან საკმაოდ ვრცელი ტერიტორია (ე. წ. „ზემონი ქვეყანანი“) მიიღო, თორნიკე ერისთავს კი ხელში ჩაუვარდა დიდი სამხედრო ნადავლი: ოქრო, ვერცხლი, სტავრა და სხვა მისთანა ძვირფასეულობა. გმირი სარდლის დახასიათებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორ მოიხმარა მან ეს აურაცხელი სიმდიდრე.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თორნიკე ერისთავმა ხსენებული სიმდიდრის ერთი ნაწილი ჯარისკაცებს გაუნაწილა, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად მთაწმინდის იმ მონასტერს შესწირა, რომელშიც იგი ბერად იყო შემდგარი. ამ თანხით შემდგომში აშენდა ათონის ივერიის მონასტერი, — ქართული კულტურის დიდებული კერა.

ამ ნადავლის განაწილების ამბავს გიორგი ათონელი შემდეგნაირად გადმოგვცემს: თორნიკე ერისთავმა „ტყუე ყვნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვით დაიმჭირა ფრიადი და დიდძალი: ოქრო და ვერცხლი და სტავრა და სხუა ესევითარი... თორნიკ მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა... რომელი იგი ყოვლივე მამისა თჳსისა სულიერისა იოვანეს ხელთა მისცა და თავი თჳსი სრულიად უარ-ყო და არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ხელმწიფებასა ქვეშე თავისსა“.11

აკაკი წერეთელს საჭიროდ დაუნახავს წყაროს ამ ჩვენებაში გარკვეული კორექტივი შეეტანა, რათა უფრო სრულყოფილად ეჩვენებია მთავარ გმირთა ხასიათები, მათი კეთილშობილება, მათი სიმპათიები გაჭირვებული ადამიანებისადმი.

პოემის მიხედვით, თორნიკე ერისთავმა მისი კუთვნილი სიმდიდრე მთლიანად მეფე დავით კურაპალატს მიართვა და ასე მოახსენა: ეს სიმდიდრე ქვეყნისაა, ამიტომ ნახევარი თქვენთვის მომიძღვნია, — საქვეყნო საქმეს მოახმარეთ, ხოლო მეორე ნახევარი ქვრივ-ობლებსა და ღატაკებს დაურიგეთო. ამ წინადადებაზე „მეფემ უთხრა: — გმადლობ! ვიცი, ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო, მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის არ ვიღებ არც ნახევარსო!“.

აქედან სავსებით ცხადია, თუ რატომ დასჭირდა აკაკის წყაროს ჩვენებაში კორექტივის შეტანა: მას სურდა მკითხველისათვის ეთქვა, რომ გმირი მოვალეა პირველ რიგში ამ ქვეყნის გაჭირვებულ ადამიანებზე, ქვრივ-ობლებსა და ღატაკებზე იზრუნოს, ხოლო ეკლესია-მონასტრების აშენება და საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვა, თუმცა დიდად საპატიო საქმეა, მაგრამ მაინც მეორე რიგის ამოცანააო. საკითხის ამგვარი დაყენება სავსებით შეესაბამება აკაკის მსოფლმხედველობას, მაგრამ ხომ არ არის იგი ისტორიული სინამდვილის გამრუდება?

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში ქვრივ-ობლებსა და ღატაკებზე ზრუნვა მეფეთა და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი სასულიერო დიდკაცთა საპატიო საქმედ ითვლებოდა. ასეთი ქველმოქმედება ფეოდალური საზოგადოების შინაგანი ვითარებით, კერძოდ კი კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებით და ღატაკთა სიმრავლით იყო გამოწვეული, რის გამო დიდ სახელმწიფოებრივ და, ამავე დროს, კეთილშობილ საქმედ იყო მიჩნეული. თამარ მეფის დროს ოფიციალურადაც კი იყო დაკანონებული, რომ „გლახაკთათვის“ სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედი მიეცათ, და აძლევდნენ კიდევაც.

ნათქვამიდან ცხადია, რომ აკაკის სრული უფლება ჰქონდა გამოეგონებია თორნიკე ერისთავისა და დავით კურაპალატის დიალოგი, საიდანაც გარკვევით ჩანს ამ სახელოვან ადამიანთა სიმპათიები ქვრივ-ობლებისა და ღატაკების მიმართ. წყაროს ჩვენების ასეთი გამდიდრებით პოეტმა კიდევ უფრო გააკეთილშობილა ორივე გმირის ხასიათი და ამავე დროს უფრო სრულყოფილად გადმოგვცა იმ ეპოქის სული.

მაგრამ აკაკი წერეთელმა ისიც მშვენივრად იცოდა, ისტორიული ფაქტის შეცვლა რომ არ

შეიძლება. სწორედ ამით აიხსნება, რომ მან პოემაში გამოიყვანა მესამე კეთილშობილი გმირი, — ყოველი სიკეთით შემკული ბერი გაბრიელი, რომელიც გაბედულად ჩაერია მეფისა და მისი სარდლის საუბარში და მოითხოვა, რომ თორნიკეს მიერ მოტანილი სიმდიდრე გადასცენ მთაწმინდას, ააშენონ იქ ამ სახსრებით ახალი მონასტერი და ამით აანთონ „ლამპარი მეცნიერებისა და მწიგნობრობისა". ეს აზრი მოეწონა მეფეს და განძი თორნიკეს ხელით გაგზავნეს მთაწმინდას, ე. ი. მოხდა სწორედ ისე, როგორც ამას ისტორიული წყაროს ჩვენება მოითხოვდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აკაკიმ უბრალოდ კი არ გადაიწერა მემატიანის ჩვენება, არამედ შემოქმედებითად გადაამუშავა იგი, რითაც გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ისტორია, თუმცა ისტორიული წყაროს ჩვენება ოდნავადაც არ შეუცვლია.

ისტორიული სინამდვილისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშად ჩაითვლება აგრეთვე თორნიკე ერისთავის საუბარი საქართველოს კათალიკოს არსენთან, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოემის დედააზრის გასაგებად.

მემატიანის ცნობით, თორნიკე ერისთავს არ სურდა სკლიაროსის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება, რადგან ომი და სისხლისღვრა, მისი აზრით, არ შეეფერებოდა ღვთისმსახურ ბერს, მაგრამ ათონის წმინდა მამებმა, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით და სამშობლოს ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, აიძულეს იგი სათავეში ჩადგომოდა სკლიაროსის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს.

აკაკის საჭიროდ დაუნახავს მემატიანის ეს ცნობაც შემოქმედებითად გადაემუშავებია და გაეღრმავებია, რისთვისაც მას პოემაში საქართველოს კათალიკოსი შემოჰყავს. ყოვლად სამღვდელო თავისთან იხმობს თორნიკეს და მათ შორის იმართება უაღრესად საინტერესო საუბარი, საიდანაც გარკვევით მოჩანს არა მარტო ის, თუ რა აზრისა იყო აკაკი სასულიერო წოდების დანიშნულებაზე, არამედ ისიც, თუ რა შესანიშნავად იცოდა მან საქართველოს ძველი ისტორია.

თორნიკე ომში მონაწილეობის მიღებაზე უარს ამბობს იმ მოტივით, რომ ის უკვე ბერია, ღვთისმსახურია, ამიტომ მისი „ცოდვილი როლი ზეცას ეკუთვნის" და „აღარ შეფერის, რომ ხელმეორედ ფარ-ხმალი სისხლით შეღებოს". ამის პასუხად აკაკი საქართველოს კათალიკოსს ისეთ უაღრესად გაბედულ და პროგრესულ სიტყვებს ათქმევინებს. მოვუსმინოთ:

ნუთუ შენ, მართლა, რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა მშვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?...
საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით. გაახლებული!...
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი!
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც,
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი.

აქ მკითხველს უთუოდ მოაგონდება ილიას „განდეგილის" ის ადგილი, სადაც მეუდაბნოე ბერი და მწყემსი ქალი საიქიო და სააქაო ცხოვრების ურთიერთობაზე საუბრობენ, ოღონდ აქ მწყემსი ქალის თვალსაზრისს თვით პირველი მღვდელმთავარი, საქართველოს კათალიკოსი გამოთქვამს.

ილიას და აკაკის თვალსაზრისების ასეთი ურთიერთდამთხვევა სრულიად ბუნებრივია, რადგან ორივენი ერთი და იმავე „იდეოლოგიის, — რევოლუციური დემოკრატიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან, განდეგილობას უარყოფენ და სიცოცხლეს უმღერიან, მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს ის ფაქტი, რომ ასეთ პროგრესულ აზრებს თვით საქართველოს კათალიკოსი ქადაგებს? განა შესაძლებელია, რომ ქართული ეკლესიის მეთაური ბერობისა და განდეგილობის ღვთაებრივ იდეას ამქვეყნიური ცხოვრების ყოველდღიურ საჭირბოროტო საქმეებზე დაბლა აყენებდეს და ღვთის მსახურ ბერს სისხლისღვრისაკენ მოუწოდებდეს?

ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია გავითვალისწინოთ სასულიერო წოდების სოციალური შემადგენლობა, როგორც საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში, ისე საკუთრივ საქართველოში

ცნობილია, რომ ევროპის ძირითად სახელმწიფოებში სასულიერო წოდება, რომელიც ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიას იცავდა, არსებითად ორი კლასისაგან შედგებოდა: უმაღლესი არისტოკრატიისა, რომელსაც ეკლესიის მთელი სიმდიდრე ეკუთვნოდა, და დაბალი, პლებეური ნაწილებისაგან, რომელსაც ქალაქისა და სოფლის ღარიბი მღვდელ-დიაკვნები ეკუთვნოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელთა შეხედულებებსა და სულისკვეთებას გამოხატავდნენ შუასაუკუნეების რევოლუციური მოძრაობის თეორეტიკოსები და იდეოლოგები; ბევრი მათგანი, ფ. ენგელსის თქმით, „გამოდიოდა რა პლებეებისა და გლეხების წარმომადგენლად, თავის ცხოვრებას ეშაფოტზე ამთავრებდა".12

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართვე-

ლოშიც. დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა და მისმა გამოჩენილმა მოწაფეებმა ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთეს ის აზრი, რომ სასულიერო დიდკაცობას შუასაუკუნეების საქართველოშიც უპირისპირდებოდნენ პლებეური წარმოშობის პროგრესული მოღვაწენი, რომლებიც სასულიერო წოდების ღარიბი ნაწილის სულისკვეთებას და შეხედულებებს გამოხატავდნენ. საკმარისია გავიხსენოთ გიორგი ათონელის, ლეონტი მროველის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ნიკოლოზ გულაბერიძის, გიორგი და ანტონ ჭყონდიდელების და სხვა გამოჩენილ სასულიერო პირთა სახელები, რათა ნათელი გახდეს, რომ შუასაუკუნეების ქართულ ეკლესიაში, რეაქციონერ არისტოკრატიასთან ერთად, მოღვაწეობდა პროგრესისა და კულტურის მსახურთა მთელი პლეადა, რომელიც თავის მთავარ მიზნად ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების გარდაქმნასა და გაუმჯობესებას ისახავდა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ აკაკი წერეთელს სრული უფლება ჰქონდა მხატვრულ ნაწარმოებში გამოეყვანა პროგრესულად მოაზროვნე კათალიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს საიქიო ცხოვრების ინტერესებზე მაღლა აყენებდა და სწორედ ამიტომ თორნიკე ერისთავს სქოლიარობის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა.

ასევე სრული უფლება ჰქონდა აკაკის „პატარა კახში“ გამოეყვანა გლეხთა ჯარის მამაცი მეთაური გიორგი (გელა) ხმალაძე, რომელსაც ომში სამი ვაჟიშვილი მოუკლეს, თვითონაც დაბრმავდა, მაგრამ მაინც თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. სწორედ ამ ბრმა მოხუცმა მოამზადა და უდრესად კრიტიკულ მომენტში პატარა კახს მიაშველა გლეხთა მთელი ლაშქარი, რომელმაც ომის ბედი ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ ომში პატარა კახმა დიდი გმირობა გამოიჩინა, მაგრამ მოწინააღმდეგეების ჭარბმა ძალებმა მაინც სძლიეს ქართველებს და მტრებით გარშემორტყმული ერეკლე უკვე თავის მოკვლაზე ფიქრობდა, მაგრამ...

მაგრამ მოგვესმა, შორით გუგუნი,  
ხმა „ჰკა მაგასა“ და ზედ ყიჟინა;  
მოზღვავდა უცბად სულ გლეხკაცობა,  
მტერს მიესია და დაუშინა!  
შეიქმნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი,  
თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი;  
ამ უცნაურმა სანახაობამ  
მტერს წაუხდინა გული და თვალი:  
დაჰყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,  
მხოლოდ სიცოცხლეს გვევედრებოდნენ  
და, გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ,  
ალაზანშიაც კი ვარდებოდნენ.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ პოემაში ამ ეპიზოდის შეტანა, — დამოუკიდებლად იმისა, მართლა მოხდა ასეთი ამბავი, თუ იგი ავტორის გამოგონილია, — მოწმობს პოეტის მიერ იმ მაღალი აზრის აღიარებას, რომლის მიხედვით ისტორიაში გადამწყვეტ როლს ხალხთა მასები ასრულებენ და რომ სწორედ მშრომელი ხალხია ისტორიის შემოქმედი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

აქედან თავისთავად ცხადია, თუ რატომ მიაჩნდა აკაკი წერეთელს ხალხის სამსახური პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად!

ხალხი და სამშობლო იყო დიდი პოეტის უფაქიზესი სიყვარულის საგანი და სწორედ მათი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის უხმობდა იგი გარდასულ დროთა სახელოვან გმირებს.

## შენიშვნები:


1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952, გვ. 65-66.

2. იხ. ა. წერეთელი, რჩ. ნაწერები, 1940, წინასიტყვაობა. გვ. XII.

3. „ეტიუდები“, 1962, გვ. 239.

4. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 395-396.

5. „ვოპროსი ლიტერატური“, 1969, № 11, გვ. 157-158.

6. იქვე, გვ. 158.

7. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 273.

8. იქვე.

9. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 35.

10. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 132.

11. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 180-181.

12. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 7, გვ. 352 (რუსულად).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# პოეტის კრიტიკული წერილები

ამ რამდენიმე წლის წინ დამთავრდა ვიქტორ გაბესკირიას თხზულებათა სამტომეულის გამოცემა, სადაც მესამე, დამამთავრებელი ტომი მთლიანად ეძლვნება მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. თავის დროზე მწერლის ეს წერილები, რომლებიც მეტწილად ჩვენი „ლიტერატურული გაზეთისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა, აღძრავდნენ თანამედროვე მწერლობის აქტუალურ საკითხებს; აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს ამ წერილების გამო უსამართლოდ თავს დაესხნენ ცალკეული ტენდენციურად განწყობილი მწერლები; და აი, გავიდა თითქმის ოცი წელი ვიქტორის წერილების გამოქვეყნების დღიდან და საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ამ წერილებმა თითქოს ახალი სიცოცხლე შეიძინეს, მათ შეინარჩუნეს თავიანთი აქტუალობა და ის ინტერესი, რომელმაც ამ გულწრფელი ლირიკული ლექსების ავტორს ხელში კრიტიკოსის კალამი აალებინა.

რა თქმა უნდა, ვიქტორ გაბესკირია, უპირველეს ყოვლისა, პოეტია, მაგრამ, როგორც ამ წიგნიდან ჩანს, კრიტიკაც მისი მოწოდება იყო. მისი წერილები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მწერლობაზე, ხელოვნებაზე, თანამედროვე თეატრზე აღსავსეა ტემპერამენტით, ახლის, ორიგინალურის დაუცხრომელი ძიებით, ულრმესი პატივისცემით ჩვენი დიდებული კლასიკური მემკვიდრეობისადმი.

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პოეტი თავისი ლექსების ბეჭდვას, ხოლო როგორც კრიტიკოსი, საკმაოდ მკაცრი იყო იმათ მიმართ, ვინც არ ერიდება მოუფიქრებელი და უმწიფარი ნაწარმოების გამოქვეყნებას. მისი აზრით, მწერალმა მხოლოდ მაშინ უნდა გადასცეს ქაღალდს თავისი ჩანაფიქრი, როდესაც გრძნობისა და გონების ბრძმედში გამოაწრთობს და კონკრეტულ, ახალ., ორიგინალურ მხატვრულ სახეებში გაიაზრებს მას. თვით მისი პოეტური შემოქმედება ამ პრინციპის მხატვრული განხორციელებაა. ამიტომაც არ გვხვდება მის ლექსებში ჩავარდნილი თვლები და გაუმართავი სტრიქონები.

წიგნი იხსნება წერილით „ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები“, რომელშიც ვკითხულობთ: „ყოველი ჭეშმარიტი ლირიკული ლექსის თვისება არის, მოგხიბლოთ პირველივე სტრიქონმა, პირველივე სტრიქონმა გაგრძნობინოთ ის პოეტური განწყობილება, რომელსაც ლექსი შეუქმნია“. უბრალო, მაგრამ საინტერესო დაკვირვებაა! საილუსტრაციოდ გაბესკირია იხსენებს დიდ პოეტთა ლექსების პირველ სტრიქონებს: „სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა“, „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად“, „არწივი ვნახე დაჭრილი“, „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“, ან პუშკინის „მახსოვს მე წამი გამოუთქმელი“. დიახ, ამ სტრიქონების საშუალებით იწყება გამხელა იმ ღრმა პოეტური განცდისა, რომელიც მათ შემქმნელებს ჰქონიათ. ლექსი, რომელიც მოკლებულია ამ თვისებას, ესე იგი, თუ ვერ დაგაინტერესათ პირველივე სტრიქონმა, ვ. გაბესკირიას აზრით, არ შეიძლება პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ, ვინაიდან მისი შენება დაწყებულია არა რომელიმე პოეტური განცდის შედეგად. რომლის მაუწყებელიც პირველი სტრიქონი უნდა იყოს, არამედ მხოლოდ ლექსის ტექნიკური მხარის გამოყენების იმედით., რაც ვერასდროს საწადელს ვერ აღწევს.

საგულისხმო დაკვირვებებით გამოირჩევა მისი სხვა წერილებიც („ზოგი რამ ოთარაანთ ქვრივის შესახებ“, „აკაკი“, „ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეები“, „გ. ტაბიძის მხატვრუ-

ლი სახეები", „ქეთევან მაღალაშვილის სურათების გამოფენა", „თანამედროვე დრამისათვის" და სხვა).

ვ. გაბესკირია გვარწმუნებს, რომ დიდი მწერლების სულიერ სამყაროში მუდამ, თავისთავად, პოეტური ფიქრები და განცდები ბინადრობენ, მიუხედავად იმისა, საწერ მაგიდას უზის იგი, თუ ვთქვათ მოგზაურობს, ან ისვენებს. მაგალითად, აკაკი წერეთელი პოეტად იყო დაბადებული და მას პოეტური განცდები ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, როდესაც არცერთი მხატვრული ნაწარმოების ავტორი არ იყო. ანუ, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, უკვდავ ნაწარმოებებს მხოლოდ ის მწერლები ქმნიან, რომელთა სულიერი ცხოვრება მხატვრული ნაწარმოების გარეშეც პოეტურია. სწორედ ასეთი მწერლები გახლდათ დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი ინტერესი თავიდანვე ესოდენ დიდი იყო. მის ლექსებზე, პოემებზე, მოთხრობებზე ბევრი საინტერესო წერილი და წიგნია დაწერილი. ვ. გაბესკირიამაც თქვა თავისი სიტყვა ვაჟა-ფშაველას რთულ და ღრმა პოეზიაზე, მის ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის ბრძნულ ქმნილებებზე, მის მდიდარ, შესანიშნავ, ჯავარიან ქართულ ენაზე. ამ სიტყვას წინ უძღვის ერთი მეტად სერიოზული განმარტება, რომელიც შუქს ფენს გაბესკირიას პოზიციას. პირველ რიგში, — ამბობს იგი, — უნდა განვიხილოთ ნაწარმოების იდეა და გავარკვიოთ, თუ რამდენად სწორად გამოხატავს ეს იდეა საზოგადოების სულისკვეთებას, რამდენად პროგრესულია იგი. ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელია ფორმის განხილვა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ის ნაწარმოების იდეას, რა დონეზე დგას მწერლის ოსტატობა. სწორედ იდეისა და ფორმის ურთიერთობათა ასპექტში, ნაწილების მთელთან მიმართებაში არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ვ. გაბესკირიას წერილში; ვ. გაბესკირიას დამსახურება ის გახლავთ, რომ მან უმთავრესად ალნუსხა და განიხილა ვაჟა-ფშაველას ის მხატვრული სახეები, რომელთა შესახებ არაფერი თქმულა, ან გაკვრით შეხებიან; ძლიერი მხატვრული სახეები მხოლოდ შედევრებში გვხვდება. „ბახტრიონი" სწორედ ერთი იმ შედევრთაგანია, რომელშიც იმდენი მხატვრული სახეა, რამდენიც სტრიქონი.

„შვილდზე ნუ ვაგებთ კვირიას, ნუ ვათამაშებთ ისრადა", ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ამგვარი მხატვრული სახის შექმნა მხოლოდ დიდი ტალანტის პოეტს შეუძლია. ვ. გაბესკირიამ ვაჟა-ფშაველას მრავალი სახე განიხილა და დაგვაჯერა კიდეც, რომ ისინი მსოფლიო პოეზიის მხატვრულ სახეთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

რაკი სიტყვა მხატვრულ სახეებზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე შევეხოთ მის მეორე წერილს, რომელშიც ლაპარაკია გალაკტიონ ტაბიძის მხატვრულ სახეებზე. აქ მან თანამედროვე დიდი პოეტის მხოლოდ რამდენიმე სახე გაარჩია და ხაზი გაუსვა იმ ფიქრებსა და განცდებს, რომლებმაც ეს სახეები შექმნეს.

„მაისი იყო, მთას მოხვეოდა გაზაფხულისა მთრთოლვარე ხელი". აქ მეტად საინტერესო პოეტური ხილვაა. რას შეეძლო საფუძვლად დასდებოდა პოეტის ამგვარ ხილვას? მრავალი რამ, — მთას მოხვეული მზის შუქი, ან, პირიქით, მზით გაბრწყინებული მთაზე დაცემული ჩრდილი. ზემოთმოყვანილი მხატვრული სახე გალაკტიონისა იმის გამო უნდა მივიჩნიოთ ნოვატორულ მოვლენად პოეზიაში, რომ მან ბუნებაში რეალურად არსებული სურათები ორიგინალური ნათქვამი ფრაზით დაგვანახა; მხატვრული სახე, რომელიც ორიგინალური საშუალებებით არარეალური სურათების ან ადამიანების არაბუნებრივი განცდების გადმოცემას შეეცდება, როგორც ეს ფორმალისტ მწერლებს სჩვევიათ, ვერცერთ შემთხვევაში, — ამბობს გაბესკირია., — ნოვატორული ვერ აღმოჩნდება, სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს. მაგრამ მთავარი მაინც ს ა თ ქ მ ე ლ ი ა და არა ცალკეული სახეები. ნაწარმოებმა თავისი ფორმა უნდა მიიღოს თავისი სათქმელის მიხედვით; სახეებს, მეტაფორებს, ეპითეტებს მხოლოდ მაშინ აქვთ ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი, როდესაც ისინი შინაარსობრივად გამართლებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სიცოცხლე ისევე შეუძლებელია, ლ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვა, როგორც მიწიდან ამოგლეჯილი და მწირ რიყეზე გადაგდებულ მცენარის ცხოვრება. აი ეს გახლავთ ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე დაწერილი ვ. გაბესკირიას წერილების ძირითადი აზრი.

ვ. გაბესკირიას ღირსება კიდევ ის გახლავთ, რომ იგი მწერლის ნაწარმოებს განიხილავს არა აბსტრაქტულად, არამედ დროსთან კავშირში. მისი აზრით, ყველა დიდი ნაწარმოები საგნობრივად განსაზღვრულია, კონკრეტულ ცხოვრებისაგან გამოთიშული მწერლობა მხოლოდ ფორმალისტებისათვის არსებობს.

ვ. გაბესკირიას აქვს ერთი პატარა წერილი, რომელსაც „ურითმო ლექსი" ეწოდება. ამ წერილის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ემარჯვებოდა მას სულ პატარა წერილში საინტერესო და საგულისხმო აზრების გამოთქმა. ამ წერილმა მეტი აქტუალობა შეიძინა დღეს, როცა ასე მომრავლდა თეთრი და თავისუფალი ლექსი. ვ. გაბესკირია უპირატესობას რითმიან ლექსს ანიჭებს, ეს სავსებით გასაგებია, — მსოფლიო პოეზიის თითქმის ყველა შედევრი რითმიანი ლექსითაა შექმნილი, ხოლო თუ

ქართულ პოეზიას ერთი წუთით განცალკევებულად წარმოვიდგენთ, საკმარისია მარტო „ვეფხისტყაოსანი“ დავასახელოთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ვ. გაბესკირია უარყოფდა ლექსის სხვა ფორმებს; რა თქმა უნდა, არა. გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“, ა. იაშვილის „წერილი დედას“, კ. ნადირაძის „სათქმელი ჩემი“, კ. ჭიჭინაძის „ყველაზე ახლობელს“ გადახვევაა ქართულ კლასიკურ პოეზიაში მტკიცედ დამკვიდრებული ფორმისაგან, მაგრამ ჩვენ გვხიბლავს ეს ლექსები და ვგრძნობთ კიდეც თუ რატომ განერიდნენ მათი ავტორები რითმებს., ხოლო, როცა ამას ვერ ვგრძნობთ დღევანდელი ავტორის ლექსში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ მდარე ნაწარმოებთან. საერთოდ კი, ვ. გაბესკირია როგორც რითმიანი, ისე ურითმო ლექსის ობიექტური შემფასებელი იყო. თავის ზემოთხსენებულ წერილში ვ. გაბესკირიას მოჰყავს კ. ჭიჭინაძის ლექსის „ყველაზე ახლობლის“ ბოლო სტრიქონები:

რა გითხრა ლექსით, შენ რუსთაველის
და ხაიამის
ზეპირად მცოდნეს? მწუხარებამ ამ
ლექსისათვის,
როგორც ბრჭყვიალა სამკაული ძაძაზე, ისე
ჩემი უბრალო რითმებიც კი ამაკრძალვინა.

შემდეგ გაბესკირია დაასკვნიდა:

„ამგვარი ურითმო ლექსია, დრო-ჟამს რომ უძლებს და ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშებად აღიარებულ რითმიან ლექსებს შორის სრულუფლებიან წევრად ჩანს. ისეთი ურითმო ლექსები კი, რომელთაც არ ესმით რათ არიან ურითმონი, და, — მიუხედავად ამისა, ნოვატორობის პრეტენზიები აქვთ, — წვიმის შედეგად გაჩენილი ბუშტების მსგავსად, ისევე სწრაფად გაქრებიან, როგორც გაჩნდნენ“.

სამწუხაროდ, როგორ მომრავლდა დღეს ისეთი ურითმო ლექსების ციკლები, რომლებიც მზის გამოჩენისა და სინათლეზე გამოტანისთანავე ნაწვიმარი ბუშტებივით უმალ გაქრებიან ხოლმე!

ფრიად საგულისხმოა ვ. გაბესკირიას წერილი ქეთევან მაღალაშვილზე. ეს ჩინებული მხატვარი, უმთავრესად, პორტრეტისტი იყო, ხოლო პორტრეტისტის ამოცანა გაცილებით რთულია, ვინემ პეიზაჟისტისა, ვინაიდან, — ვკითხულობთ, ხსენებულ წერილში, — მხატვრის მიერ დახატული ადამიანის სურათისაგან საზოგადოება, გარდა საინტერესო განწყობილების გამომჟღავნებისა, პირველ რიგში მოითხოვს იმ ერთადერთისა და განუმეორებლის, იმ ინდივიდუალურის გადმოცემას, რომელიც მხოლოდ ამ პიროვნებას ახასიათებს. ამგვარი ზუსტად შესრულებული მოთხოვნილებებისაგან მხატვარი-პეიზაჟისტი თავისუფალია საგნების, ბუნების სურათების, მოვლენების ტილოზე გადატანის დროს.

მაინც რაში მდგომარეობს ქეთევან მაღალაშვილის, როგორც მხატვრის მთავარი ღირსება? მან დახატა რამდენიმე პიროვნების სურათი და ამ სურათის მიხედვით შეიძლება მათი ზუსტი დახასიათება. ავიღოთ თუნდაც ტიციან ტაბიძის პორტრეტი, რომელმაც ვ. გაბესკირიას განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ამ პორტრეტში, როგორც ამას ვ. გაბესკირია აღნიშნავს, ნათლად ჩანს საერთოდ პოეტებისათვის და შემდეგ ტიციან ტაბიძისათვის დამახასიათებელი სიკეთე და გულწრფელობა. სურათში ტიციან ტაბიძე მთაგორიანი ქართული სოფლის ფონზე არის დახატული ისე ცოცხლად, და, რაც მთავარია შინაგანი განცდების ისეთი მოზღვავებით, რომ გვგონია, თუ თვალი არ მოარიდეთ ამ სურათს, თუ დიდხანს დაუწყეთ ცქერა, ტიციანი მიგიხვდებათ გულის საწადელს, უცებ ხელებს გაშლის, —შეიძლება მიბნეული მიხაკი (მისი პოეტური გულუბრყვილობის ერთ-ერთი ნიშანი) ჩამოვარდეს — და ამღერებული ხმით, მთელი გატაცებით გვითხრას სტრიქონები თავისი ერთი ლექსიდან: „სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა!“

ასე ღრმად ჩაწვდა პოეტი მხატვრის ჩანაფიქრს. ვ. გაბესკირია აღტაცებული იყო აგრეთვე ეკატერინე ბაღდავაძის სურათებით და უკმაყოფილო მისი შემოქმედების ჯეროვანი დაუფასებლობის გამო; ამ აზრს იზიარებს პროფესორი ოთარ ფირალიშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „ეკატერინე ბაღდავაძე დღემდე შეუსწავლელი და შეუფასებელი მხატვარია. როდესაც ქართული მხატვრობის სამართლიანი ისტორია დაიწერება, პატიოსანი ავტორები იტყვიან, რომ მან, ისე როგორც სხვა არავინ, დეკორატიული ფერწერის თავისებურებანი ახალ ხარისხში აიყვანა“.

ეკატერინე ბაღდავაძეს პირადად მე ძალიან ახლოს ვიცნობდი, მეზობლად ვცხოვრობდით ერთ უბანში (ნაძალადევი); ის იყო ჩემი უფროსი დის ნათლული. კატუშა ბავშვობის წლებში გატაცებით ხატავდა. თუმცა, მძიმე საბინაო პირობები ჰქონდა — ერთ დიდ, მაგრამ ნახევრად ბნელ ოთახში ხუთი სული ცხოვრობდა (მშობლები, ორი ძმა და თვითონ). მაგრამ ახალგაზრდა მხატვარი ამას არაფრად აგდებდა, მისი ნამუშევრების ხარისხი სულ უფრო და უფრო უკეთესი იყო. მახსოვს, ერთხელ მიხეილ ჭიაურელმა და შალვა რადიანმა რუსი და ფრანგი მხატვრები მოიყვანეს მის „ატელიეში“, ისინი გაოცებული შესცქეროდნენ ნესტიან კედლებზე ჩამოკიდებულ შედევრებს; მ. ჭიაურელმა ცალკე გაიხმო ეკატერინე და ქართულად უთხრა: ეს რომ მცოდნოდა, სტუმრებს არ მოვიყვანდიო. ამის შემდეგ, სულ მა-

ლე. ეკატერინე ჩვენი უბნიდან წავიდა და შესანიშნავ ბინაში დასახლდა, მაგრამ ადგილის დედის სიყვარული ბოლომდე შემორჩა. იგი იყო არა მხოლოდ საოცარი მხატვარი, არამედ უღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი და მართალი ადამიანი.

ვ. გაბესკირიას პიესები დიდხანს ამშვენებდნენ ქართული, საბჭოთა თეატრის სცენებს; მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ლიტერატურული და სცენური ღირსება, ხოლო რაც შეეხება მის წერილს „თანამედროვე დრამისათვის" ბევრ საგულისხმო და გასათვალისწინებელ აზრს შეიცავს. უფრო სწორია დრამატურგი გაბესკირია, როდესაც ამბობს: „თეატრის ამაღორძინებელი პირველ რიგში ტრაგედია, დრამა, შემდეგ კომედია". ეს აზრი დასახელებულ წერილში სათანადოდ არის დასაბუთებული.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე თეატრი ორიგინალური დრამატული ნაწარმოებებით უნდა ამაყობდეს და არა გადაკეთებულ-გადმოკეთებული გასცენიურებებით.

ვ. გაბესკირია ამ წიგნში თარგმანის საკითხსაც ეხებოდა. მან მაღალი და ნამდვილი სამართლიანი შეფასება მისცა გამოჩენილი მწერლის გრიგოლ აბაშიძის შანდორ პეტეფის ლექსების თარგმანებს: „ქართველ ხალხს დიდიხანია გულით უყვარს უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი. ეს სიყვარული, ვფიქრობთ, სამუდამოდ განამტკიცა გრიგოლ აბაშიძემ, ვინაიდან, როგორც ქვემოთ დავინახეთ, მან ბრწყინვალედ თარგმნა ამ დიდებული პოეტისა და სწორუპოვარი მოქალაქის ლექსები". დიახ, ეს მართლაც ასეა — როდესაც კითხულობ გრიგოლ აბაშიძის თარგმანებს, ასე გგონია პეტეფს თავისი უკვდავი ქმნილებები ქართულ ენაზე დაეწეროს. ეს საერთო და საყოველთაოდ განმტკიცებული აზრია.

უდავოდ საინტერესო წერილებია „პოეზია და თეატრი", „პოეზია და ტექნიკა", „ლექსის ბუნების გაგებისათვის", „ქილილა და დამანას" გარშემო, „რა იყო საქართველო პუშკინისა და ლერმონტოვისათვის", „წინაპართა სიყვარული" და ა. შ. აქ ჩანს პოეტის ყოველმხრივი ცოდნა, უნივერსალიზმი, ისიც თუ რაოდენ უცხო იყო მისთვის ტრაფარეტული სტილი, ჩანს ის სიახლეც, რაც მან ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მოიტანა.

დიდი ხანია, რაც ვიქტორ გაბესკირია ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი ნაფიქრი და ნაგრძნობი დღესაც ცოცხლობს, მუდამ იცოცხლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე მოდებაძე

# „სურამის ციხის" მხატვრული სტილის ზოგიერთი თავისებურება

## დ. ჭონქაძის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი ისტორიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა:

„სურამის ციხე... რა ნაწარმოებია იგი? ზღაპარია კარგი, რომლის ყოველი ნაკვთი სინამდვილეა უარსაყოფი. ამ ზღაპრის რეალიზმი დასულია პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებამდე. ხელოვნებაც ამას არჩევს. დანიელ ჭონქაძე მით არის თვალსაჩინო, რომ იგი „სურამის ციხით" ტრიალებდა იმ დროის წყეულ და რთულ მორალურ პრობლემათა წრეში, და საკითხებს კი არ სწყვეტდა, არამედ ისეთი განცდების ჩანგლებს აბამდა, რომელიც აუცილებლად გამოედებოდნენ ადამიანის გულს. თანაც ისეთი სიმართლე იკეტებოდა ყოველ მის ფრაზაში, რომ ამ უკანასკნელის გახსნა დღესავით აელვებდა თავისში დაცულ შინაარსს".[1]

და მართლაც, დ. ჭონქაძემ რთული პრობლემები წამოჭრა მკითხველის წინაშე. მისი „სურამის ციხე" მეცხრამეტე საუკუნის ქართული რეალისტური პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. ამ ნაწარმოების გამოქვეყნებამ ჟურნალ „ცისკარში" მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

დანიელ ჭონქაძემ გაბედულად აღიმაღლა თავისი ხმა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ; მანვე სასტიკი მსჯავრი დასდო ბატონყმურ წყობილებას. მისმა „სურამის ციხემ" დიდად შეუწყო ხელი პროტესტანტული განწყობილების გაღვიძებას, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

„სურამის ციხის" იდეურ მიზანდასახულებასთან ერთად საგულისხმოა მისი განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებიც.

„სურამის ციხე" წარმოადგენს არამარტო ახალი ქართული პროზის, არამედ, საზოგადოდ, მთელი ქართული ლიტერატურის ინტენსიური განვითარების ახალი პერიოდის ერთ-ერთ პირველ რეალისტურ ნაწარმოებს. ამიტომ მის მხატვრულ სტრუქტურაში თვალსაჩინოდ აისახა იმდროინდელი ქართველი რეალისტების შემოქმედებაში ახალი ფორმების ძიების გზებიც. ესაა ეპოქა, როდესაც იწყება არსებული ტრადიციებისა და რომანტიკული მსოფლშეგრძნობის ხელახალი გააზრების, სხვა ხალხების ლიტერატურული გამოცდილებისა და ქართული ფოლკლორის შემოქმედებითი ათვისების პროცესები. მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის შესაბამისად ათვისებული ეს მოვლენები ძალზე მკვეთრად ჩანს „სურამის ციხის" მხატვრულ ქსოვილში. მკითხველი აშკარად ხედავს, რომ ჩამოყალიბებულია ახალი, თავისებური და განუმეორებელი ლიტერატურული სტილი, თავისებური ხელწერა.

ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედების სტილისტურ ერთიანობასთან ერთად, ცალკეული მხატვრული ქმნილებები საკუთარი განუმეორებელი ელფერით, ცალკე ნიშნებითა და თვისებებითაც ხასიათდება. ყოველი ნაწარმოები ცალკე წარმონაქმნია, მას რაღაც განასხვავებს სხვებისაგან და რაღაც აკავშირებს, აერთებს მწერლის მთლიან შემოქმედებასთან; და სწორედ სტილის მეშვეობით ხერხდება კერძო ელემენტთა მოწესრიგება გარკვეული შინაარსობრივი სისტემის სახით. აღსანიშნავია, რომ დ. ჭონქაძე ქართულ მწერლობაში მხოლოდ ერთი ნაწარმოებით შევიდა, ხოლო მისმა სხვა თხზულებებმა, მათ შორის მოთხრობამ „ვინ არის დამნაშავე" ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამდენად, საზოგადოდ დ. ჭონქაძის სტილს, ან, მით უმეტეს, მისი მხატვრული ინდივიდუალობის ყველაზე ტიპიური ნიშნების შესახებ მსჯელობა ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ნაწარმოების მიხედვით შეგვიძლია.

„სტილის წარმოქმნა, მისი ესთეტიკური მოტივირება და საჭიროება წარმოადგენს ფორმის შინაარსად გარდაქმნას, — აღნიშნავს ნ. კ. გეი, — სიტყვიერი კონგლომერატიდან ახალი თვისობრიობისაკენ შესრულებულ ნახტომს, რომელიც ამყარებს მიმართებას ცალკეულ ელემენტებს ან მათ ჯგუფებს შორის. ეს კი წარმოუდგენელია სიტყვიერი მასალის გარეშე, ამით შინაარსი სიტყვაკაზმული ხდება, ხოლო შინაგანი სტრუქტურა ფორმის გარსში ეხვევა, სახის ფორმა — ალქმადი ხდება“.[2]

გარკვეულ მიზეზთა გამო, რომელთა შესახებ ქვემოთ ვიმსჯელებთ, „სურამის ციხის“ მხატვრული სისტემა ქართული ლიტერატურის უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს. „სურამის ციხის“ განუმეორებლობა განაპირობა რეალისტური მეთოდის განვითარების ადრეულმა ეტაპმა და თვით მწერლის ლიტერატურული სტილის დამახასიათებელმა მხატვრულმა ძიებებმა.

„სურამის ციხის“ შექმნისას დ. ჭონქაძეს უნდა გადაეჭრა ორი ურთულესი ამოცანა: ნაწარმოების შინაარსი მიმართული უნდა ყოფილიყო ბატონყმობის წინააღმდეგ და ეს შინაარსი რეალისტური პროზის ფორმაში უნდა მოქცეულიყო.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხშირად აღინიშნება, რომ დ. ჭონქაძემ მაღალმხატვრულად ასახა თავისი ეპოქის სოციალური ვითარება და დამაჯერებლად, გასაგებად აგრძნობინა მკითხველს ბატონყმობის პირობებში ადამიანის მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. ასე, მაგალითად, მიხეილ ზანდუკელი, რომელიც ითვალისწინებდა პროზის განვითარების დონეს ამ ეტაპზე, ხაზგასმით აღნიშნავდა დ. ჭონქაძის, როგორც ტიპიური სახე-ჩანახატების მთელი გალერეის შემქმნელის ოსტატობას: „სურამის ციხეში“ გამოყვანილი გალერეა ბატონებისა და გლეხების ცოცხალი სინამდვილიდან ამოღებული ტიპებია, — ..რდა იგი, — ავტორს უდავოდ ეხერხება ცხოვრებიდან ამოგლეჯა ცოცხალი ტიპიური მოვლენისა, ცოცხალი სახის შექმნა. მკითხველის წინაშე ცოცხლად იშლებიან დანიელ ჭონქაძის მოთხრობის მოქმედი პირნი“.[3]

მოთხრობის სოციალური ჟღერადობა მნიშვნელოვნად განაპირობა გმირების სახეთა დამაჯერებლობამ, ბატონყმობის ეპოქაში მათი ბედ-ღბლის ტიპიურობამ.

კარგად არის ცნობილი კ. მარქსის დებულება: ერთნაირად უმართებულოა ცენზორისთვის — ტემპერამენტის, ხოლო მწერლისთვის — სტილის თავს მოხვევა, ვინაიდან გენიოსთა ღირსება აქცენტსა და დიალექტს მოკლებულ მწიგნობრულ ენაში კი არ მდგომარეობს, არამედ თვით საგნის ენით მისივე თავისებურების გამოხატვაში უნდა ვეძიოთ. შემდგომ, თუ გამოვრიცხავთ ყოველივე სუბიექტურს, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ინდივიდში სხვადასხვაგვარად აისახება და თავის მრავალსახოვნებას ამდენსავე სულიერ ხასიათად აქცევს, განა თვით საგნის ხასიათმა სულ მცირე ზეგავლენა მაინც არ უნდა მოახდინოს გამოკვლევაზე?

„სურამის ციხის“ მხატვრული ტექსტის ანალიზი კ. მარქსის ამ დებულების შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს; რეალისტური ხასიათებისა და სიტუაციების ხატვისას დ. ჭონქაძე კარგად გრძნობდა ასახვის ახალი მანერის აუცილებლობას. მწერალმა, რომელიც კარგად იცნობდა მშობლიურ ლიტერატურას, თავის ქმნილებას მიანიჭა „ჩარჩოში ჩასმული“ მოთხრობის უძველესი ფორმა; და ეს მოხდა „სურამის ციხის“ შინაგანი ლოგიკის შესაბამისად, აგრეთვე ფოლკლორული წყაროებით მისი გამდიდრებისა და ნაწარმოების მეორე ნაწილის თხრობის მანერაში ეპიკური საწყისის გამოყენების მეშვეობით.

ამგვარად, მწერლის მხატვრული ძიებანი სამ მიზანს ითვალისწინებდა: უძველესი პროზაული ტრადიციების ხელახალ გააზრებას, რეალისტური ხასიათებისა და სიტუაციების ხატვას და ქართული ხალხური შემოქმედების წყაროების გამოყენებას. ამიტომ „სურამის ციხის“ მხატვრულ სისტემაში რამდენიმე შრე გამოიყოფა: რომანტიკული ელფერის მქონე ტრადიციული შრე, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას ახასიათებს (გულისვარდის სახე, მისი ტრფიალი დურმიშხანისადმი); ლეგენდარულ-ბალადური (მოთხრობის მეორე ნაწილი, რომელშიც სურამის ციხის აგების ამბავია ასახული); და სოციალურ-რეალისტური (დურმიშხანისა და ოსმან-აღას ამბავი). ამასთან, თხრობის სტილი ხასიათდება იმ ჩვეული ლიტერატურული კლიშეების წინააღმდეგ მიმართული ირონიის ელემენტით, რომელსაც ადრეც და იმ დროსაც იყენებდნენ ხოლმე სიყვარულის, ბატონებისა და მსახურების ურთიერთდამოკიდებულების და საერთოდ მსგავსი ეპიზოდების ხატვისას.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა გულისვარდის სახე; მან ისე შეიყვარა თავისი სატრფო „როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული“.[4] ესე იგი, აღმოსავლური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად — მგზნებარე, განუკურნავი ვნებით, რომელიც მიჯნურის მთელ არსებას ეუფლება და თავდავიწყებისკენ უბიძგებს მას. ყოველივე ეს მიმზიდველობას და მხატვრულ ძალას ანიჭებს ნაწარმოებს. ამასთან, აქ ძალზე თვალსაჩინოდ ვლინდება სატირა და ჩვეუ-

ლი ლიტერატურული კლიშეებისადმი ზემოაღნიშნული ირონიული დამოკიდებულება.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია მივმართოთ გმირი ქალის პორტრეტს. ნ. კ. გეის თქმით, „ფაქტების უპიროვნო კონსტატაციისაგან განსხვავებით, ნაწარმოებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ „წარმოუდგება“ ეს პირი ნაწარმოების სხვა პერსონაჟებს, აგრეთვე ამ წარმოდგენათა ურთიერთმიმართებას და მათდამი ავტორის დამოკიდებულებას“.5 დ. ჭონქაძე თვით არ აღწერს გულისვარდს, გამოგონილი მთხრობელიც კი გამზრდელის აღწერას მოიხმობს, რომელშიც გულისვარდი აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციებისათვის დამახასიათებელი მზეთუნახავის სახეს მოგვაგონებს. ეს პორტრეტი ძველი ქართული ლიტერატურული ქმნილების — „ვისრამიანის“ გმირ ქალს — ვისის წააგავს. აი, როგორია ის:

„ალვის ხესავით ტანი, შავი, გიშერსავით თვალები, ბროლის შუშა თითები“. და რამდენადმე მოულოდნელად, ყოფითი ტონით ასრულებს: „ერთი სიტყვით, სიკო, შენს კატოზე უფრო ლამაზი“.6

ამ სიტყვებით, რომლებიც ამაღლებულს — ყოფითად გარდაქმნის, აღინიშნება მწერლის დამოკიდებულება გულისვარდის მიმართ. ამასვე მოწმობს „მსმენელთა“ რეაქცია.

„— კარგი, იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი, სხვა?“7

სიკო აქ აღნიშნავს, რომ ამგვარი შტამპები ცნობილია და მათზე დაწვრილებით შეჩერება საჭირო არ არის.

კიდევ ერთხელ მივმართოთ გულისვარდის პორტრეტს, ნატოს პორტრეტთან შესადარებლად. ის რამდენადმე ჭარბად ემოციურია: „ამ დროს ქალბატონს ჰყავდა ერთი გოგო, სახელად ნატო. წაბლისფერი გრძელი თმა, ბამბასავით თეთრი პირისახე, ცოტათი მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილები, ტანი შუათანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა და ლამაზი, მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშვენიერი, — ეს იმის თვალები, არ ვიცი, როგორ გამოვსახო ის თვალები. შენ სხვაგან სადმე რომ ყოფილხარ დიდხანს და რომ მოსულხარ, შეგინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედაშენს?.. ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე“.

ამგვარად, ძველი ლიტერატურული ტრადიციებისადმი დ. ჭონქაძის ირონიული დამოკიდებულება მხოლოდ მთავარი გმირი ქალის ხატვისას ვლინდება. ავტორი ამ ტრადიციებს აქცევს ეფექტური აღწერის ელემენტებად, რაც გულისვარდის სახის შინაგანი ლოგიკით არის განპირობებული.

მისი პორტრეტის დასაწყისისა და დასასრულის მსგავსად, გულისვარდის ბედ-იღბალი წინააღმდეგობრივია (მისი განცდები, დურმიშხანისადმი სიყვარული, შურისძიება და შურისძიების ხერხი) „სურამის ციხის“ სხვა გმირთა (ნოდარის, ნატოს, დურმიშხანის) ბედ-იღბალთან შედარებით.

აშკარაა, რომ მხატვრული გამომსახველობისა და სიუჟეტის თვალსაზრისით, ეს სახე რეალისტური ნაწარმოებისთვის არატიპიურია. ეს იმით აიხსნება, რომ გულისვარდის სახე ურთიერთგანსხვავებული მხატვრული პლანების შემაერთებელი რგოლია. მისი მეშვეობით მწერალი ქმნის ერთიან ნაწარმოებს, რომელიც აღიქმება, როგორც რეალისტური. აღსანიშნავია მისი სოციალური ჟღერადობა, რომელსაც აძლიერებს სიუჟეტის ზღაპრული ჩარჩო, ხოლო დ. ჭონქაძის მიერ ხალხური შემოქმედების მოხმობამ, ფოლკლორული მასალის მიმართ მისმა პოზიციამ განსაზღვრა ცხოვრებისეული ფაქტებისა და სიტუაციების აღწერის დემოკრატიზმი და რეალიზმი.

ამგვარად, „სურამის ციხეში“ მთელი სიმძაფრით გამოჩნდა დანიელ ჭონქაძის მიერ ახალი სახის ახალ საშუალებათა და ფორმათა ძიება, რომელთა საჭიროება იგრძნობოდა ქართულ ლიტერატურაში რეალისტური პროზის განვითარების პირველსავე დღეებში. მწერალს არ შეეძლო ნაწარმოების ძირითადი იდეის სრული ხორცშესხმა მარტოოდენ რეალიზმის პოზიციებიდან; ამიტომ მან აითვისა და შემოქმედებითად გაიაზრა ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციები და ეპიკურ-ფოლკლორული ელემენტები, რითაც მიაღწია ჭეშმარიტ მხატვრულ ეფექტს. ამ ტრადიციებიდან მომდინარე ეპიკური საწყისი „სურამის ციხეში“ აერთიანებს განსხვავებულ სტილთა ელემენტებს.

## შენიშვნები:

1 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტ. ისტორია, 1 ნაწილი, 1925 წ. გვ. 229.

2 ნ. კ. გეი, ლიტერატურის მხატვრულობა, პოეტიკა, სტილი. „ნაუკა“, 1975, გვ. 212. (რუს. ენაზე).

3 მიხ. ზანდუკელი. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1976, გვ. 150.

4 დ. ჭონქაძე. სურამის ციხე, თბ., „ნაკადული“, 1974, გვ. 5.

5 ნ. კ. გეი. ლიტერატურული მხატვრულობა, პოეტიკა, სტილი, მ., „ნაუკა“, 1975, გვ. 220 (რუსულ ენაზე).

6 დ. ჭონქაძე. სურამის ციხე, თბ., „ნაკადული“, 1974, გვ. 5.

7. იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

ლეო ქიაჩელი:

...ციხიდან გაქცევის შემდეგ ფოთში რომ ჩავედით, იქ დაგვხვდა ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგი პეტრე ურუშაძე. მან წამიყვანა შედარებით ექვმიუტანელ ბინაზე — ფოთელ მდიდარ მოქალაქე კეშელავასთან.

ეს კეშელავა მიხა შენგელაიას (ცოლის მამის) მეგობარი იყო, ერთად ჰქონდათ საიჯარო სამუშაოები. მეც მიმიღო, როგორც მიხას ნათესავი. ძალიან პატივს მცემდნენ, როგორც თითონ, ისე მისი ცოლიც.

იმ დღეებში ფოთი საგენერალგუბერნატოროდ გამოცხადდა.

ქუთაისის ციხიდან გაქცევასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, დაიწყო მთელ ქალაქში საშინელი ჩხრეკა. ჩხრეკდნენ თვითეულ სახლს.

ერთ საღამოს მოვიდა პეტრე, მითხრა, ბინა უნდა გამოვიცვალოთო. პეტრემ წამიყვანა ნავთსადგურის უბანში, მუშის ოჯახში.

იმ ღამესვე პოლიცია მისულა კეშელავას ბინაზე გასაჩხრეკად. აქაც გადავრჩი. გადარჩა აგრეთვე ოჯახი.

ამხანაგებმა გადასწყვიტეს ჩემი გაპარება საზღვარგარეთ.

ვაცნობე ჩემს უფროს ძმას. ეჭვი რომ არ აეღოთ, ზუგდიდიდან ის ცხენით ჩამოვიდა, 250 მანეთი ჩამომიტანა. დანარჩენი ორგანიზაციამ მომცა. სულ 500 მანეთამდე შემიგროვდა.

ნავსადგურში უცხოეთის გემები იტვირთებოდა მარგანეცით.

მე შევერიე მტვირთავ მუშებში, გემზე ავედი. ჩამიყვანეს ტრიუმში. მითხრეს ამხანაგებმა, გემი ამაღამ გავა. შენ აქ გასძელი სამი დღელამე, მერე შიგნიდან რახუნი ასტეხე, გაგიღებენ, ზევით ამოგიშვებენო. ამ დროს გემი უკვე ტრაპიზონს იქნება გაცილებულიო.

ალბათ, როგორც უბილეთო მგზავრს ლანძღვას დაგიწყებენ, გემიდან გაძევებას დაგიპირებენ, ამისათვის ფული შეაძლიე და მოქრთამე მეზღვაურებიო.

ჯიბეში ერთი ბოთლი წყალი მქონდა, ხუთი ჩურჩხელა, ათიოდე ვაშლი.

ტრიუმი ჩქარა დაკეტეს. საშინელი მტვერი იყო. ძლივს ვსუნთქავდი. მტვრით გამევსო პირი, ცხვირი, კბილებში კრაჭა-კრუჭი გაუდიოდა მარგანეცის კენჭებს.

რა ჭამის თავი მქონდა. წარამარა პირს ვირეცხდი წყლით.

სრულ სიბნელეში ვიჯექი. ვერ გავარკვიე, მივდიოდი თუ არა, რა დრომ განვლო. ჭუჭრუტანაში სინათლე გამოჩნდა. ეტყობოდა გათენდა.

(სამი დღე-ღამის გავლა ამ ჭუჭრუტანის მიხედვით უნდა გამეგო, როგორც ამხანაგებმა დამარიგეს).

ცოტა ხანმა განვლო. ტრიუმი მოულოდნელად გაიღო. დაიწყო მარგანეცის ტვირთვა. გავოცდი.

მოვიდნენ მუშები, მომძებნეს. შეწუხებულებმა მითხრეს, შეგვეშალა, თურმე წუხელის ეს გემი კი არ გადიოდა, მეორე გემი ყოფილაო წასასვლელი და კიდეც წავიდაო.

ერთის მხრივ გამეხარდა კიდეც ეს ამბავი. ტრიუმში მეტი გაძლება აღარ შემეძლო, ვატყობდი გავგიჟდებოდი.

ამოვყევი მუშებს, გადმოვედი გემიდან. სულ მთლად გამურული ვიყავი. მიმიყვანეს ისევ იმ მუშის ოჯახში. სამ დღეს ამომდიოდა მარგანეცის მტვერი და ტალახი ცხვირპირიდან.

მუშები ძალიან პატივს მცემდნენ. შემოდგო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6, 7, 8.

მა იყო. ზოგს მაჭარი მოქონდა, ზოგს ხილი და ყურძენი.

გადავწყვიტეთ თავი დაგვენებებინა საზღვარგარეთ წასვლაზე, ისევ მოსკოვში წასვლა ვარჩიე, იქ ამხანაგები მყავდნენ, სტუდენტები.

მიშოვეს პასპორტი და სამხედრო ბილეთი, მერე თანრიგი მოლაშქრისა, მასწავლებელ მგელაძის სახელზე. ამიღეს ბილეთი სამგზავრო გემზე ნოვოროსიისკამდე.

სანამ გემი წავიდოდა, ნავსადგურში ბაქანზე ვისხედით მე და ურუშაძე, საუზმეს შევექცეოდით.

ამ დროს შორიახლოს ხანში შესული ჟანდარმი გამოჩნდა. ნელა მოდიოდა, მგზავრებს ათვალიერებდა. დამცეცხლა.

მაგრამ ჩემი შიში გაასკეცდა, როცა ამ ჟანდარმში ჩვენი გიმნაზიის პანსიონის ყოფილი „დიადკა" შევიცანი.

მე თუმცა პანსიონში არ მიცხოვრია გიმნაზიაში სწავლის დროს (დავამთავრე 1904 წელს), მაგრამ პანსიონერ ამხანაგებთან ხშირად ვიარებოდი და იმ „დიადკას" კარგად ვიცნობდი. პატივსა ვცემდით ბავშვები, კარგი კაცი იყო, კეთილი მოხუცი.

და აი მას თურმე გიმნაზიაში სამსახურისათვის თავი დაენებებინა და ჟანდარმად შესულიყო.

გვერდულად გავცქეროდი. არ მინდოდა დავენახე. მაგრამ მაინც შემავლო თვალი.

დამინახა თუ არა, მიცნო. მიცნო და მყისვე ჩემსკენ წამოვიდა.

„დიადკა"-თქო მივაძახე, დავასწარი, რადგან სხვა გამოსავალი აღარ იყო. მოვიდა, გამიცინა, ალერსით მკითხა, სად მივდიოდი, როგორ ვიყავი.

მეც ვუთხარი, ხარკოვში მივდივარ, უნივერსიტეტში სასწავლებლადთქო.

გამომკითხა ამხანაგების ამბავი. ჩვენ პატივი ვცეით, დავალევინეთ. განსაკუთრებით პეტრე ცდილობდა მის პატივისცემას. სთავაზობდა, არ ეშვებოდა. იცოდა, რომ ჩვენს კამპანიაში ჟანდარმის ყოფნა ყოველგვარ ეჭვებს გვარიდებდა უცხო თვალის მხრივ.

როგორც იქნა, გემი დაიძრა, წავედით.

ნოვოროსიისკში ნავსადგურიდან პირდაპირ რკინიგზის სადგურს მივაშურე.

სადგურის ბუფეტში სულ მეგრელები აღმოჩნდნენ. გავესაუბრე მეგრულად. გაეხარდათ. 22 წლის ჭაბუკი ვიყავი (დაბადებული ვარ 1885 წ.), ვუთხარი, მოსკოვს მივდივარ სასწავლებლადთქო. პატივს მცემდნენ, თითონ მიყიდეს ბილეთი.

რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში ვიყავი. ჩასვლისთანავე მივაშურე ამხანაგებს — ვასია კანდელაკს, გიზო ანჯაფარიძეს, ერთად ცხოვრობდნენ, სტუდენტები იყვნენ. მათ უკვე იცოდნენ ქუთაისის ციხის ამბავი. როგორც გაქცეული, შემიფარეს.

ჩქარა მეც მიშოვნეს საქმე. დავიწყე წრეებში სიარული. მიშოვეს აგრეთვე ორი გაკვეთილი. მატერიალურად ცოტა უზრუნველყოფილი შევიქენი.

მოსკოვში მგელაძის პასპორტით ვიყავი გაწერილი.

ასე ვიცხოვრე 1908, 1909, 1910 წლები. ჩემი დოკუმენტები ხარკოვის უნივერსიტეტში იყო დატოვებული, ოთხი სემესტრის საგნები (იურიდიული ფაკულტეტიდან) ჩაბარებული მქონდა. გადავწყვიტე მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლა, მივედი რექტორთან, მან მითხრა, დოკუმენტები წარმოადგინეო და მიგიღებთო.

ხარკოვიდან მართლაც გამოვიწერე ჩემი საბუთები. ყველაფერი უკლებლივ მომივიდა, გარდა ფოტო-სურათებისა. ამან გადაწყვიტა ჩემი საქმე. ფოტო-სურათების უქონლობის გამო უნივერსიტეტში არ მიმიღეს. დოკუმენტები შენგელაიას სახელზე მქონდა, მე კი მგელაძის პასპორტი მქონდა, ასე რომ დამოწმებული ფოტოების წარდგენა არ შემეძლო შენგელაიას სახელზე.

ამასობაში მოსკოვში ლიბერალურმა პროფესორებმა გახსნეს კერძო ეკონომიურ-ფინანსიური ინსტიტუტი. იქ მიმიღეს.

1911 წელს მოსკოვში დაიწყო მცხოვრებთა გასინჯვა, პოლიცია ბინებში შედიოდა და სინჯავდა დოკუმენტებს. ჩემი მდგომარეობა საშიში შეიქნა. მირჩიეს პეტერბურგს წასვლა დროებით. წავედი. ერთ თვეზე მეტს ვერ გავძელი, უკანვე ჩამოვბრუნდი.

არ ვიცოდი, რა მექნა. დილას რომ გავიდოდი, ბინიდან, ღამის 11-12 საათამდე აღარ ვბრუნდებოდი, პოლიციის შიშით. ძალიან გამიჭირდა საქმე.

გადავწყვიტე საზღვარგარეთ წასვლა. საჭირო იყო პოლიციაში მისვლა, განცხადების მიცემა, ძალიან მეშინოდა პოლიციაში გამოცხადება.

მეტი ღონე არ იყო. მივედი. დამხვდა ბოქაული, გულზე უნივერსიტეტის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული. იურისტი იყო. მე ვუთხარი, რომ ვარ მასწავლებელი, უცხოეთში მინდა წასვლა ექვსი თვით, ენების ცოდნის გასაუმჯობესებლად.

— რამდენი ხანია, რაც ჩემს უბანში ცხოვრობთო, მკითხა. მე ვუპასუხე, რომ აქ ვცხოვრობ წელიწად-ნახევარზე მეტი.

მან საქმისმწარმოებელს გამოუცხადა და უბრძანა: ჩახედეთ საქმეებს, თუ რამეში შენიშნული არ არის, გაუმზადეთ მოწმობებიო. მეორე დღისთვის დამიბარა.

მეორე დღეს დიდხანს ვყოყმანობდი წავსულიყავი თუ არა პოლიციაში. მეშინოდა, ხრიკი ხომ არაფერი იყო, ჩემი დაჭერა ხომ არ ჰქონდა განზრახული ბოქაულს.

ბოლოს გავბედე, მივედი. საქმისმწარმოებელმა დამახვედრა გამზადებული საბუთები. ჩე-

მი მგელაძის პასპორტი ჩავაბარე, საზღვარგარეთის მივიღე.

იმ ღამესვე გამოვეთხოვე ამხანაგებს, წავედი სადგურში, ბერლინის ბილეთი ავიღე. მახსოვს 23 მანეთი მივეცი.

ბერლინში დიდხანს არ გავჩერებულვარ. ჩქარა იქიდან ლოზანას გავემგზავრე.

რედაქციაში მიამბო.
23. ოქტ. 1945.

* * *

**თედო რაზიკაშვილის ზღაპრები**

ლეო ქიაჩელი:

— თედო რაზიკაშვილის მიერ შეგროვილ ქართულ ზღაპრებს სასოებით ვინახავ, როგორც სახარებას. ეს ნამდვილი საუნჯეა ქართული სიტყვიერებისა. უდამომწვარი, ალაგ-ალაგ დახეული წიგნი ბუკინისტთან ვიყიდე და აღარ ვიშორებ.

დიდის მოწიწებითაა ჩვენგან, ქართველისაგან, მარად გასახსენებელი ის ღარიბი, ჩარგლელი მღვდელი პავლე რაზიკაშვილი, რომელმაც სამშობლოს დაუზარდა ამდენი სასახელო შვილი: ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა...

* * *

10. ნოემბ. 45 წ.

**ბეთანია**

ბეთანია ძველი ტაძარი მაღალი მთების ხეობაში. ირგვლივ შემოდგომის მუქყვითელი პეიზაჟი. ტაძარიც — სიძველისგან გაყვითლებული, როგორც ბალახზე დაცემული ფოთოლი.

ჩრდილო კედელზე — დიდებული ფრესკა თამარის, მისი თვალები, მარჯვენა წარბი, ოდნავ ზეაწეული. მისი კავები. შემავედრებელი აპყრობა სათუთი ხელების, წვრილი, ნათალი თითებით.

კედელს ბზარი გასჩენია. ბზარი თამარის სახეზე გადის — ნიკაპზე, მარცხენა ლაწვზე.

საკვირველია, რატომ მაინცდამაინც სახეზე?

განა ცოტა იყო კედელზე სხვა ადგილი? მაგრამ არა, ეს თითქოს ნიშანია ჩვენი წარსული ცხოვრების. ეს ბზარია ჩვენი ისტორიის, — ქართული სულის ჰარმონიას რომ არღვევდა საუკუნეთა მანძილზე. აპობდა ქართველი კაცის ხასიათს, მის ზნეს, გულის სიმტკიცეს, საკვირველია, როგორ გადავრჩით! რომ სულ არ დავიშალეთ, რომ სულ არ დავიფერფლეთ. აკი დავმეგობრებით კიდეც „დაყრუებულსა, გზაშეუვალსა, უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს“. ეს სტრიქონები ხომ სულ რაღაც ოთხმოცი წლის წინათ იწერებოდა?

ტაძრის გალავანში — მცირე პურობა. გოგლა იგონებს პოეტის სტრიქონებს: „შენს წმინდა სახეს, შვენებით სავსეს“ — გრ. ორბელიანის ლოცვას („მოველ ვედრებით“), შთაგონებულს ძველი მხატვრის უკვდავ ქმნილებით ტაძრის კედელზე. თუმცა უნდა ითქვას — მხატვრობა აქ ნაკლებ გავლენას ახდენდა პოეზიაზე. მთავარი იყო წარსულის მწვავე განცდა, ქართული სულის სასოწარკვეთილი ძახილი უკან — ისტორიის უდაბურებაში, გამოხმობა დიდი და ნათელ დღეების...

11 ნოემბერი. 45.

* * *

**ილია ჭავჭავაძის პორტრეტი**

ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი გიგო გაბაშვილს 1907 წლის ზაფხულში დაუწყია. დაუხატავს ილიას თავი და ტანის კონტურები, ხატავდა ნატურიდან.

შემდეგ გიგო გაბაშვილი დროებით ყუბაში წასულა, სურათი დაუმთავრებელი იყო.

ყუბაში გაუგია მას სამწუხარო ამბავი ილიას მოკვლისა.

პორტრეტი მას 1908 წელს დაუმთავრებია, ნატურისათვის მოუძებნია ვიღაც პოლკოვნიკი, სერბიული გვარით. დავით სარაჯიშვილის სურთუკი ჩაუცმევია, ისე ხატავდა. მარჯვენა ხელი ილიას პორტრეტზე ამ პოლკოვნიკიდან აქვს დახატული გაბაშვილს.

**გ. გაბაშვილის ცოლის მოგონებიდან.**

* * *

**ქართველები ირანსა და ინდოეთში**

**კაპიტანი კოტე ჯავრიშვილი (ალპინისტი):**

— ამ ომის დროს სამჯერ ვიყავი ირანში. ვინახულე ფერეიდანი, მაზანდარანი.

ფერეიდნელი ქართველები ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ქართულად. ბუნდოვნად, გადმოცემებით იციან თავისი ვინაობა, სადაურობა. მეტად ღარიბად ცხოვრობენ.

მაზანდარანელი ქართველები უფრო საწყალ შთაბეჭდილებას სტოვებენ. მათ უკვე დაუკარგავთ მშობლიური ენა, დავიწყნიათ თავისი წარსული, ერთმა მოხუცმა გვითხრა: აქ ჩვენ გიურჯის, ქართველების მოდგმას გვეძახიანო.

არავითარი ნიშანწყალი ქართველობისა მათ აღარ სცხიათ. ეს იმით აიხსნება, რომ, ფერეიდნელებისაგან განსხვავებით, მაზანდარანელი ქართველები ირანში თურქული მოსახლეობის სიახლოვეს დაუსახლებიათ. თურქული რეჟიმი, ამ შემთხვევაში, ყოველთვის უფრო მკაცრი იყო, ქართველების ასიმილაცია უფრო ჩქარა მოხდა.

ირანში ერთი ადგილობრივი ქართველი გავიცანი, იმან მითხრა: ინდოეთის ბელუჯისტანში, ირანის საზღვარზე, ოცი-ოცდახუთი ქართული სოფელი არისო. მეც იმ ქართველებს ვეკუთვნიო.

15 დეკ. 45 წ.

* * *

**გიჟუას როლის შემსრულებელნი**

გიჟუას როლის („რაც გინახავს ველარ ნახავ“) პირველი შემსრულებელი იყო თითონ

ავტორი — ასიკო ცაგარელი. ამბობენ, ის იყო ტანადი, ბრგე ვაჟკაცი, ძალიან უხდებოდა თურმე ამ როლს, თუმცა შესაფერი არტისტული ნიჭი არ ჰქონდა.

საუკეთესო ამსრულებელი ამ როლისა იყო ვიქტორ გამყრელიძე. მის შემდეგ — ალ. იმედაშვილი. ამ ორისთანა გიჟუა ქართულ თეატრს არ ჰყოლია.

არასოდეს დამავიწყდება ვიქტორ გამყრელიძე ერთ შესანიშნავ სცენაში: როდესაც გიჟუას გარშემო ეხვევიან, უნდათ დაიჭირონ, იმერელი მსახურიც, — ვასო ურუშაძე თამაშობდა — წაეტანება, თან ეშინიან, — გიჟუა გადახედავს მას მედიდური და დამცინავი მზერით: „ეს ვიღა არისო“ და სულს შეუბერავს (ვითომ სულის წაბერვით გაგაქრობო). ამ დროს ურუშაძე, თითქოს ფეხებში გორგოლაჭები აქვსო, — მართლაც ელვის სისწრაფით უკან გასრიალდება, და მაგიდის ქვეშ შევარდება. სრული შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გიჟუამ მართლა სულის შებერვით შეაგდო ის მაგიდის ქვეშ. არა, შესანიშნავი იყო გამყრელიძის გიჟუა.

როდესაც ის დაბერდა და სცენას მოშორდა, ამ როლში ალ. იმედაშვილმა შესცვალა. ესეც უებრო იყო.

მარჯანიშვილის თეატრში ახლა გიჟუას ახალგაზრდა მიხეილ მგელაძე თამაშობს. მე მგონია, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლია. გარეგნობა, თამაში, — ყველაფერი მას ნამდვილი ყარაჩოღელისა აქვს. სწორედ ასეთები იყვნენ ის ყარაჩოღელები, მე რომ მყავს აწერილი „ძველი თბილისის ბოჰემაში“.

ი. გრიშაშვილი — თეატრ. საზოგადოების კრებაზე.

17 დეკ. 45

* * *

შალვა დადიანი კრემლში

**შალვა დადიანი:**

— ორდენების მისაღებად კრემლში რომ მივედით, ალ. ფადეევმა, — მწერალთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, — მითხრა: სიტყვა უნდა წარმოთქვათო.

დიდ დარბაზში უამრავი ხალხი იყო. ათასნაირი პროფესიის, სხვადასხვა ეროვნების.

ორდენებს კალინინი გვირიგებდა.

როცა დრო მოვიდა, მე გაველი სიტყვის სათქმელად, ჩოხა მეცვა. გადავხედე დამსწრეებს. ალმაცერად მომჩერებოდნენ. ალბათ ფიქრობდნენ, დაიწყებს ახლა ეს ვიღაც კავკასიელი თავისი დამტვრეული რუსულით.

მე დავიწყე... სიტყვაში მოკლედ აღვნიშნე, სადაური ვიყავ, რომელი ხალხის შვილი, მცირედ მოვიხილე წარსული ჩემი ხალხისა, მისი კულტურა,.. მისი ადამიანები — რუსთაველი, სტალინი...

გავათავე. მქუხარე ტაში ატყდა.

ვიღაც ოფიცრები შემომეხვივნენ, ხელში ამიტაცეს. გაკვირვებულნი და აღტაცებული იყვნენ სიტყვით, რომელიც მე მართლაც მოულოდნელად, კარგი, წმინდა რუსული ენით წარმოვთქვი.

17 დეკ. 1945.

* * *

**სერგო კლდიაშვილი:**

— მოსკოვში, სტუდენტობის დროს, ერთ ოჯახში ვრეპეტიტორობდი. არითმეტიკაში ვამეცადინებდი მოსწავლეს. როდესაც ამოცანის გამოყვანა გამიჭირდებოდა, ვეტყოდი ბავშვს:

— პეტია, მე მინდა რომ შენ თითონ დამოუკიდებლად გამოიყვანო ამოცანა. აბა დაფიქრდი... მე კი ახლავ მოვალ.

კისრისტეხით ჩავრბოდი ქვემოთ, ტელეფონზე და ვეძახდი ამხანაგებს. ტელეფონითვე მივიღებდი მათგან ამოცანის ახსნის წესს და გულამოვარდნილი ისევ უკან ვბრუნდებოდი, ჩემი მოწაფე პირდაღებული იჯდა და ბუზებს ითვლიდა.

მივუჯდებოდი გამოვუყვანდი ამოცანას.

**სტუდენტობის მოგონება.**

23. XII. 45.

* * *

**ხოხობი**

სოფ. ვარდისუბანში ლაგოდეხის მახლობლად, ერთი მასწავლებელი იყო, ხარატიშვილი, გატაცებული მონადირე.

ერთხელ ტყეში ხოხობის ბუდეს წააწყდა, შიგ კვერცხები ელაგა. წამოიღო, კრუხს შეუდვა საბუდარში.

კრუხმა წიწილებთან ერთად ერთი ხოხობიც გამოჩეკა.

ის გაიზარდა, მოშინაურდა, ქათმებთან ერთად დასეირნობდა ეზოში.

ხოხობი აღარ აპირებდა ტყეში გაფრენას, არასოდეს მსმენოდა ასეთი ამბავი.

ერთხელ ხარატიშვილს მეზობელ სოფლიდან ნაცნობი მასწავლებელი ეწვია. ქათმებში მოსიარულე ხოხობი ნახა, გაუკვირდა მეტად. ჩააცივდა მეგობარს: მაჩუქე და მაჩუქეო!

დაენანა მონადირეს, უთხრა: რამდენსაც გინდა ქათამს გაჩუქებ, ოღონდ მაგას ნუ მთხოვო.

ის მაინც არ მოეშვა. წაიყვანა.

გავიდა კვირა, მეორე. მოენატრა მონადირეს თავისი გაზრდილი ხოხობი.

წავიდა იმ სოფელში.

ნაცნობი მასწავლებელი მხიარულად გამოეგება სტუმარს, არც კი დაალაპარაკა, ისე უთხრა: — ახ, რა გემრიელი იყო შენი ხოხობი! მოვიყვანე თუ არა, ეზოშივე წავაჭერით თავი!

ეწყინა მონადირეს:

— ათ ხოხობს მოგიტანდი, მე დალოცვილო, გეთქვა, თუ უსაჭმელად გინდოდა.

გაბრუნდა, სიტყვა აღარ დაუძრავს.

„მხეცი, ნადირი“, — ფიქრობდა გულში, ბრაზმორეული.

აკაკი ბელიაშვილის ნაამბობი.

23. XII. 45.

* * *

**ქართული საეკლესიო საგალობლები**

**კოტე ფოცხვერაშვილი:**

— გადმომცეს, თითქოს სტალინს ეთქვას: „თუ თანამედროვე ქართველი მუსიკოსები იყენებენ წარმართულ ქართულ მუსიკის მოტივებს, საქრისტიანო ეპოქის მუსიკამ რაღა დააშავაო. ქართული საეკლესიო საგალობლების გამოყენება ნუთუ არ შეიძლება ჩვენს სიმფონიურ ნაწარმოებებსა და ოპერებში?“

27. დეკ. 45.

— პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, როცა 1914 წლის აპრილში, პეტერბურგის სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზში მოვაწყე პირველი ქართული საეკლესიო საგალობლების კონცერტი.

სამზადისი წინასწარ დავიწყე. არავის სჯეროდა ამ საქმის წარმატებისა. ქართველმა სტუდენტებმა კი, სათვისტომოს მაშინდელი ხელმძღვანელის შთაგონებით, სულაც ბოიკოტი გამომიცხადეს — ფოცხვერაშვილი გვარცხვენს. რაღაც საეკლესიო გალობა აეოუჩემებია, თავს გვჭრის ქართველებსო. მხოლოდ წინასწარ შემეზადებინა საზოგადოებრივი აზრი, აკადემიკოსს ნ. მარს ვთხოვე რამდენიმე სიტყვა დაეწერა ამის გამო გაზეთისათვის. შემპირდა.

როცა დავურეკე რამდენიმე დღის შემდეგ, მიპასუხა, ვეცადე, დაწერას, მაგრამ არაფერი გამოდისო, უარი მითხრა.

არც ფული მქონდა. დარბაზის ქირისა და სხვა ხარჯებისათვის საკრებულოს მმართველობაში წინასწარ უნდა შემეტანა 1.800 მანეთი.

იმ ხანებში ჩამოვიდნენ პეტერბურგში გიორგი ზდანოვიჩი — ქიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, — და იაკობ მანსვეტაშვილი, მაშინ ცნობილი ბაქოელი მილიონერი და ქართული კულტურის მეცენატი.

ზდანოვიჩისა და მანსვეტაშვილისათვის უკვე მიეტანათ ენა ჩემი „გაგიჟების“ შესახებ.

მივედი ზდანოვიჩთან და მაინც ვთხოვე დახმარება ამ საქმისათვის — 3.000 მანეთი, ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თანხებიდან. (მე თვითონ მრეწველთა საბჭოს სტიპენდიანტი ვიყავი, მეხმარებოდა აგრეთვე მანსვეტაშვილიც).

გიორგი ზდანოვიჩმა ეჭვის თვალით შეხედა ჩემს წამოწყებას: მითხრა, რადგან არ მეშვები, პირადად მე მოგცემ 1.000 მანეთსო, გამოვართვი, მერე მანსვეტაშვილთან მივედი. იმასაც ბევრი ვეჩიჩინე. ის ხელმოჭერილი კაცი იყო. 500 მანეთს მოგცემო, მითხრა, მაგრამ ათასი მანეთი მოვაცემინე.

იმ ხანებში იმავე საკრებულოს დარბაზში მიდიოდა რეპეტიციები ბახის მესსასი. პეტერბურგელი გერმანელების ინიციატივით ეწყობოდა ეს მესსა. სპეციალურად გამოიწერეს ბერლინიდან კაიზერ ვილჰელმის კარის დირიჟორი ლიუდერი. რუსეთის საუკეთესო ხმები ჩააბეს ამ საქმეში, აგრეთვე მეფისკარის სამხედრო ორკესტრი.

შაბათს რომ ბახის მესსა უნდა შესრულებულიყო, კვირას იმავე დარბაზში ჩემი ქართული საეკლესიო საგალობლების კონცერტი იყო დანიშნული. არავინ იცოდა, რა იყო ეს ქართული კონცერტი, ან ვინ ვიყავი მე, ამ კონცერტის ლოტბარი და ხელმძღვანელი, უცნობი სტუდენტი პეტერბურგის კონსერვატორიისა.

მაგრამ არ შევშინდი.

პარასკევს, ბახის მესსას რეპეტიციის შემდეგ, ჩემი კონცერტის რეპეტიცია იყო დანიშნული.

იოსებ ყიფშიძეს ვთხოვე როგორმე ამ რეპეტიციაზე ნიკო მარი მოეყვანა. მარი მართლაც მოვიდა.

როდესაც ლიუდერმა დაამთავრა თავისი რეპეტიცია, მასაც წასძლია ცნობისმოყვარეობამ და დარჩა ჩემს რეპეტიციაზე.

პირველ ნაწილს არხანგელსკი ლოტბარობდა, მეორე ნაწილს — მე.

კონცერტმა მოულოდნელი, პირდაპირ გასაოცარი შთაბეჭდილება დასტოვა ლიუდერზე, აგრეთვე ყველა დამსწრეებზე.

მარი გაკვირვებული იყო ქართული კონტრაპუნქტის მრავალფეროვნებით.

ნიკო მარი გვიან დაბრუნდა შინ.

იმ ღამეს უზარმაზარი წერილი დაწერა. შაბათს მთელი რედაქციები შემოვირბინე, მინდოდა კვირის გაზეთში დაბეჭდილიყო მარის წერილი, რომ ხალხს წაეკითხა. აკადემიკოსის აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველთა მისაზიდად კონცერტზე. ყველგან უარი მივიღე — გვიან იყო, კვირის ნომრები ყველგან მზად დამხვდა ბოლოს „რეჩის“ რედაქციამ მოახერხა წერილის დაბეჭდვა ოდნავი შემოკლებით.

კონცერტი დიდის წარმატებით ჩატარდა. დაწყების წინ მე თვითონ შევედი სალაროში, სარკმელის წინ უზარმაზარი რიგი იდგა. ვინ არ იყო იქ, განსაკუთრებით ბევრი მოვიდა სასულიერო წოდების ხალხი, მღვდლები და სხვა.

შემოსავალიც იყო. ზარალი არ გვქონია. ეს პირველი კონცერტი იყო რუსეთში, სადაც ქართული მეტად მდიდარი საეკლესიო მუსიკა იქნა დემონსტრირებული.

**რედაქციაში. 27 დეკ. 45.**

* * *

**ბელორუსიის ფრონტზე**

**გ. ნატროშვილი:**

— ერთხელ ბელორუსიაში, ფრონტის წინა ხაზისაკენ მივდიოდით. თოვდა. ასობით დახოცილი ეყარა ველზე.

ერთგან, გზის პირას მოკლული მებრძოლი ეგდო. მისთვის ჩექმები გაეხადნათ. „პორტია-

ნკებით“ შეხვეული ფეხები ისე ეწყო თოვლზე, თითქოს დალილა, ისვენებსო.

მახლობლად კოვზი ეგდო.

ეტყობა, ჩექმის ყელში ჰქონდა ჩადებული, როცა გახადეს, გადმოვარდა.

* * *

**ქართველი ტყვეები ჰოლანდიაში**

ჰოლანდიაში, დასავლეთ ფრიზის ერთ-ერთ კუნძულზე, ტექსელზე, გერმანელებს ქართველი ტყვეები აუჯანყდნენ, 750 კაცი.

ბევრი დაიხოცა, 200 კაცი გადარჩა, მაინც გაიმარჯვეს, კუნძული ხელთ იგდეს. ორასი ჰოლანდიელი პარტიზანი შეუერთდა მათ.

აჯანყებულთა შორის ერთი ახალგაზრდა მებრძოლი ყოფილა, გვარად სურმავა, მოუკლავთ გერმანელებს. მე ვნახე მისი ფოტოსურათი.

ახოვანი ვაჟკაცია. ფართო მკერდზე „ნაკოლკა“ აქვს, — აკაკის მთელი ერთი ტაეპი აწერია:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

1 იანვ. 46 წ.

* * *

**ბავშვის წერილი**

პატარა თინიკოს უმცროსი და მოუკვდა. ძალიან უყვარდა. მშობლები დიდხანს არ უმხელდნენ. ბოლოს განუცხადეს.

ბავშვმა ბევრი იტირა.

ერთხელ დედამისმა ქაღალდის ნაგლეჯი იპოვა, — თინიკოს წერილი იყო. თავის დას სწერდა;

„სასაფლაო. ლეილას.

ჩემო საყვარელო დაიკო! დედამ მითხრა, რომ შენ მოკვდი, მე ბევრი ვიტირე. ძალიან მენატრები. სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“

**მანია ასათიანის ნაამბობი.**

9. I. 46 წ.

* * *

**კეცხოველის ნეშტი**

14 იანვარს ყოფილ სამხედრო სასაფლაოსთან ვერის ძველ სასაფლაოზე გადმოასვენეს ლადო კეცხოველის ნეშტი.

მისი გვამის ძებნის დროს რამდენიმე საფლავი გაუთხრიათ, ვერ უპოვიათ. ერთი მოხუცი კაცი მისულა, — იქვე მახლობლად სასაფლაოსთან მცხოვრები, — უთქვამს, თქვენ ალბათ კეცხოველის საფლავს ეძებთ, მე გიჩვენებთო.

მართლაც უჩვენებია; ვინაობა რომ უკითხავთ იმ კაცისათვის, უპასუხნია:

— მე ძველი რკინიგზელი ვარ. ლადო რომ მოჰკლეს, ჩვენ, მუშებმა, გავიგეთ, სად იქნა ის დამარხული. მივედით მის საფლავზე პურლვინით, მოვიხსენეთ განსვენებული. მერე ყოველ წელიწადს, მისი სიკვდილის დღეს დავდიოდით. პურს ვჭამდით მის საფლავზე — ღვინოს მოვასხურებდით.

მთელი ეს სასაფლაო უპატრონო, დაკარგული მკვდრებით არის სავსე.

ლადოს სამარე არასოდეს არ დაგვვიწყნია.

კეცხოველის გვამი იცნეს ნიშნით: ორი ზედაკბილი აკლდა, წვერი და თმაც შერჩენოდა თავის ქალას.

15. I. 46 წ.

* * *

**თარგმანის სიძნელე**

**ალ. აბაშელი:**

— ლექსის სიტყვა-სიტყვით თარგმანი (ე. წ. პწკარედი) წააგავს მშვენიერი ძეგლის ნამსხვრევებს.

მთარგმნელს, რომელმაც ორიგინალის ენა არ იცის, ამოცანად ვუსახავთ აღადგინოს ეს ძეგლი სიტყვა-სიტყვითი თარგმანის საშუალებით. რასაკვირველია, ეს შეუსრულებელი ამოცანაა!..

**ს. შერვინსკის მიერ თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ლექსების განხილვაზე.**

* * *

**ქართული სიმღერები**

არასოდეს დამავიწყდება მოხუცი ჯილაურის სიმღერა საგარეჯოში, მისი სევდიანი „ბერიკაცი ვარ“, დამღონებელი „ზამთარიო“, ფიქრების ამშლელი „ჩაკრულო“, სულ მაღლა და მაღლა ამავალი კახური „მრავალჟამიერი“.

რაოდენ ღრმააზროვანია, იმედიანია, მხნეობითა და სტოიციზმით გამსჭვალული, სიმღერა, რომლის სიტყვები მუდამ მაღელვებენ მოგონების დროს:

წუთისოფელი ასეა,
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია!

გინდათ გაიგოთ რა არის საქართველო? დაუკვირდით ამ სიმღერას.

**მოგონება.**

22. I. 46. წ

* * *

**ხევსური იუბილეზე**

**ი. გრიშაშვილი:**

— შარშან, ჩემი იუბილეს დროს, როცა ოპერის თეატრში შევდიოდი, კარებში ერთი ხევსური დამხვდა (ხევსურულად ეცვა). მან ბილეთი მთხოვა: ხევსურეთიდან ჩამოვსულვარ, მინდა დავესწრო შენს საღამოსაო.

მე ვუთხარი, მხოლოდ შესასვლელი ბილეთი-ღა მაქვს, თუ გინდა მოგცემ, მხოლოდ ფეხზე მოგიხდება დგომათქო.

— ოღონდ შევიდე, — მიპასუხა, — სულ ცალფეხზე ვიდგომებიო.

31 იანვ. 46.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ამაღლება კაცისა

გარდაიცვალა ლადო გუდიაშვილი! ეს შემზარავი სიტყვები მეხივით გავარდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ლადო გუდიაშვილი იყო მეოცე საუკუნის მხატვართა იმ პლეადის წარმომადგენელი, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების წლები მთლიანად დაემთხვა ისტორიის დიდი კატაკლიზმების ხანას. რევოლუციურ განახლებასთან ერთად საზოგადოების ეპოქალურ ცვლილებებს თანა სდევს სამყაროს აღქმის თავისებური გარდაქმნებიც. მზამზარეული და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ხელოვნებაში არაფერი არ არის. ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს, მწერალს, მხატვარს თუ მუსიკოსს, თავიდან უხდება სამყაროს აღმოჩენა, რაც ქმნის ილუზიას, რომ მათ მოვლენამდე სიტყვის, ფერისა და ბგერის ხელოვნება თითქოს არც არსებულიყოს.

ლადო გუდიაშვილი მიეკუთვნება სწორედ იმ ბედნიერ მხატვართა რიცხვს, რომლებმაც თანამედროვენი და შემდგომი თაობები განაცვიფრეს სამყაროს თავისებური ჭვრეტით, თვალთახედვით, სულისკვეთებით, ესთეტიკური იდეალით.

ლადო სიყრმიდანვე დიდ თემებს, დიდ ამოცანებს შეექიდა და მოვლენების ღრმა წვდომითა და უზადო პროფესიონალიზმით იმთავითვე მიიპყრო უკვე სახელმოხვეჭილი ოსტატებისა და საზოგადოების ყურადღება.

ახალგაზრდა გუდიაშვილი არ შეუშინდა აიძნელეებს და შემოქმედების დასაწყისში ხელოვნების მექას — პარიზს მიაშურა, სადაც, როგორც ზღაპრებშია თქმული, წასული ბევრი უნახავთ, უკან დაბრუნებული კი არავინ, უკან დაბრუნებული, ესე იგი, ჭეშმარიტ მხატვრად აღიარებული, არა დაკარგული და ჩაძირული ათასობით ბედის მაძიებელ ხელოვანთა უსახო მორევში.

მონმარტრზე, კაფე როტონდაში მაშინ ვის არ ნახავდით! აქ თავს იყრიდნენ და გაუთავებელ დისკუსიებში ებმებოდნენ ისინიც, ვისაც ბედმა უტყუარი ნიჭი და ბრწყინვალე მომავალი დაანათლა, ვინც შემდგომში თავისი ერის მხატვრული კულტურის ყველაზე მაღალი იდეალების გამომხატველი უნდა გამხდარიყო და ისინიც, ვინც ანთებული სანთლის ალზე ფუმფულასავით იწვოდნენ და რაიმე ღირებულის გაკეთება არ ხელეწიფებოდათ.

თუმცა გუდიაშვილის უზარმაზარი შემოქმედება მკვეთრად შემოსაზღვრული, ყოველივე დანარჩენისაგან უაღრესად განსხვავებული უნივერსალური სამყაროა, თვით მხატვარი მამულიშვილური რუდუნებითა და პატივისცემით ეკიდებოდა ყველაფერ ნამდვილსა და გულში ჩამწვდომს, რაც მის მოსვლამდე შექმნილიყო მხატვრობასა, ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებში, ანდა თანამედროვეთა ხელით მის გვერდით იქმნებოდა.

ამის მაგალითია ლადოს დამოკიდებულება ნიკო ფიროსმანაშვილის თავის დროზე მივიწყებულ შემოქმედებისადმი, რომლის ერთ-ერთ პირველ აღმომჩენად, დამფასებლად და პოპულარიზატორად იგი სამართლიანად ითვლება.

ლადო გუდიაშვილი ზუსტად ის არის ნიკო ფიროსმანაშვილისათვის, რაც ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის. როგორც ერთს, ისე მეორეს, ნიკო ფიროსმანაშვილსაც და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, თითო-ოროლა მცოდნე და დამფასებელი მანამდეც ჰყავდათ, მაგრამ მათი დიდებული სულის ნაღვაწი ერის საკუთრება მხოლოდ მას შემდეგ გახდა, როდე-

საც ილია ჭავჭავაძისა და ლადო გუდიაშვილის ხელი შეეხო.

მახსოვს, რა განუმეორებელი მოვლენა იყო ლადო გუდიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ თბილისში, სურათების გალერეაში მოეწყო. ეს იყო ჭეშმარიტად თვითმყოფადი თანამედროვე მხატვრის ტალანტის გრანდიოზული ტრიუმფი, მას სხვა სიტყვებით ვერ დაახასიათებ, რომელიც შემდეგ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ბევრ სხვა ქალაქში განმეორდა. ვინ არ მოდიოდა, ვინ არ იდგა გუდიაშვილის განუმეორებელი ნიჭით აღბეჭდილი ქმნილებების წინ, რომელი ერისა და ქვეყნის შვილი! დიდი ხნის იძულებითი დუმილის შემდეგ ახლა თვით ლადო გუდიაშვილსაც დასჭირდა აღმოჩენა ახალი თაობების წინაშე, თითქმის ისევე, როგორც თვით მან, თავისი მხატვრული კარიერის გარიჟრაჟზე, ნიკო ფიროსმანაშვილი აღმოაჩინა!

„ლხინი არმაზში“, „სერაფიტას განეირნება“, „ღირსეული პასუხი“, „ბედს მინდობილი“, „ესპანელი მეგობრები“, „ბოროტი ოჯახი“, „დაჭრილი ამორძალი“, „ბერიკაობა“, „მოცეკვავე ოლოლი“, „ლხინი აივანზე“, „მხატვრის ავტოპორტრეტი ნიამორით“, „მხატვრის მეუღლე“, „ჩუქურთმა“... ასე ექსპრომტად, ალბომში ან კატალოგში ჩაუხედავად რომელი ერთი მოვიგონო!

არა მსურს მკითხველს გავახსენო ის დრო, როდესაც ეს ყველაფერი და ასობით სხვა ზეგარდმო მადლით გასხივოსნებული ქმნილება რაღაც იზმად იყო გამოცხადებული და ვიღაც მედროვეების პირით თითქმის ანტისაზოგადოებრივ მოვლენად ცხადდებოდა. არ ყოფილა თურმე ეს ასე. დრომ გაიარა და ისტორიამ ჩვენს თვალწინ, მხატვრის სიცოცხლეშივე გამოიტანა მიუდგომელი განაჩენი. საქმე თურმე სწორედ პირიქით ყოფილა!

ლადო გუდიაშვილის ფერწერულმა ტილოებმა და გრაფიკულმა ნაწარმოებებმა გააფართოეს რეალიზმის საზღვრები, გაამდიდრეს იგი, სრულიად ახალს და აქამდე ჩვენთვის უცნობ სამყაროს გვაზიარეს. რით შეიძლება, თუ არა სწორად გაგებული რეალიზმის მოშველიებით, მხატვრის მოქალაქეობრივი მრწამსი — მისი ჰუმანიზმის, ბოროტებისაგან [illegible] სათნოების ასე სრულყოფილად გამოხატვა!

მე მაგონდება ერთი მომცრო ტილო, „უსახლკარონი“. რომელზედაც სიდუხჭირით გაწამებულ დედა-შვილს ვხედავთ. ძველი დროის დიდი ფერმწერები ამ კომპოზიციაში ღვთისმშობელსა და ყრმა ქრისტეს ხატავდნენ. დედის გრძელ, გატანჯულ სახეს დიდრონი, ნაღვლიანი თვალები აცოცხლებენ. მუხლზე მას უმწეო, გაძვალტყავებული ბავშვი უზის. ბავშვს ცხოვრებაგამოვლილი მოხუცის პაწაწინა, დანაოჭებული სახე და მშვიდი, ფიქრიანი თვალები აქვს. ისინი არაფერ უკეთესს ცხოვრებისაგან აღარ მოელიან. მათი წილი წუთისოფელი დასასრულს მიახლოებია.

როგორ შეიძლება ეს ნახო და ოდესმე დაგავიწყდეს! საოცარი გრძნობა, თითქოს სინდისის ქენჯნა გიპყრობს. დიახ, შენზეც მოუთითებს მხატვარი, შენც დამნაშავე ხარ. დიახ, დამნაშავე, ვინაიდან შენც რაღაც შეგეძლო და ამ უბედურებისათვის არ გააკეთე!

ლადო გუდიაშვილის სამყარო ქართული სამყაროა. მან თავისი ქართული წვლილი შეიტანა მხატვრობის მსოფლიო საგანძურში და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი სამსახურის ერთადერთი გზაც სწორედ ეს არის!

ლადო გუდიაშვილმა, როგორც ადამიანმა და შემოქმედმა, სამაგალითოდ იცხოვრა. მხოლოდ ასე შეიძლება ცხოვრობდეს და ილვწოდეს ნამდვილი მამულიშვილი ხელოვანი, რომელსაც შუბლზე განგებამ ერისა და სამშობლოს წმიდათა-წმიდა სამსახური დააწერა.

დიდი ადამიანები მიდიან, მაგრამ წასვლის შემდეგაც იმად რჩებიან, რანიც სიცოცხლეში იყვნენ. მომავალს ახალი სიცოცხლე მოაქვს, მოდიან ახალი თაობები და მათ წინაშე ბიბლიურ გოლიათად წარმოსდგება ის, ვინც ოდესღაც მათებრ ადამიანი იყო, „აწუხებდა მოწყენა, ტალახი და წვიმები“, ვინც თავისი ზეკაცური ვალი პირნათლად მოიხადა და ხანუკვარი სამშობლოს ცასა და მიწას შეუერთდა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ